

საქართველოს მაცნეორაპათა ეროვნული აკადემიის გაცემ  
PROCEEDINGS OF THE GEORGIAN NATIONAL ACADEMY OF SCIENCES

ისტორიის  
არქეოლოგიის  
ეთნოლოგიისა და  
ხელოვნების ისტორიის  
სერია

Series  
of History,  
Archeology,  
Ethnology  
and  
Art History



თბილისი  
Tbilisi

2. 2020

მთავარი რედაქტორი  
Editor-in-Chief

პასუხისმგებელი რედაქტორი  
Editorial Manager

როინ მეტრეველი  
Roin Metreveli

გონელი არახამია  
Goneli Arakhamia

### სარედაქციო კოლეგია:

ზაზა აბაშიძე, ზურაბ აბაშიძე, ზაზა ალექსიძე, დევიდ ბრაუნდი (დიდი ბრიტანეთი), ნანა გელაშვილი, ომარ გოგიაშვილი, მარიამ დიდებულიძე, სერგო ვარდოსანიძე, ბუბა კუდავა, დავით ლორთქიფანიძე, პიროტაკე მაედა (იაპონია), ლია მელიქიშვილი, დავით მუსხელიშვილი, გიორგი ოთხმეზური, ოთარ უორდანია, გორგა საითიძე, ჯაბა სამუშია, ბერნარ უტიე (საფრანგეთი), კიაზო ფიცხელაური, კახა შენგელია.

### Editorial Board:

Zaza Abashidze, Zurab Abashidze, Zaza Aleksidze, David Braund (Great Britan), Mariam Didebulidze, Nana Gelashvili, Omar Gogiashvili, Buba Kudava, David Lordkipanidze, Hirotake Maeda (Japan), Lia Melikishvili, David Muskhelishvili, Giorgi Otkhmezuri, Bernard Outter (France), Kiazo Pitskhelauri, Gocha Saitidze, Jaba Samushia, Kakha Shengelia, Sergo Vardosanidze, Otar Zhordania.

ლიტერატურული  
რედაქტორი:

Literary editor:

ვალერიან ასათიანი

Valerian Asatiani

კომპიუტერული  
უზრუნველყოფა:

Computer design:

პაატა ქორქია

Paata Korkia

## სარჩევი

### საქართველოს ისტორია

როინ მეტრეველი. მეფე ერეკლე 300 წლისაა .....	5
ნინო ჯაველაძე. კათოლიკური სიმბოლო XIII ს. ქართველ მეფეთა მონეტებზე.....	19
ყარამან ფალავა. ბაღვაშთა და ორბელთა იგივეობის შესახებ.....	34
ვახტანგ გურული. არჩილ ჯორჯაძე (ეროვნული თანხმობის იდეა და მისი განხორციელების გზები).....	50
გორგი სოსიაშვილი. „ქრისტეს ლახვარი“ და „შავი ჭირის“ ეპიდემია საქართველოში ....	64

### კავკასიის ისტორია

მარიამ გურეშიძე. იმამ შამილისა და ქუნტა ჰაჯის ბრძოლის განსხვავებული გზები (XIX საუკუნე, ჩრდილო კავკასია) .....	75
--	----

### არქეოლოგია

კონსტანტინე ფიცხელაური. კახეთი (არქეოლოგიური კვლევის საფეხურები) .....	89
--	----

### ეთნოლოგია

ზურ გუმაშვილი. ქისტური მითოლოგია .....	106
--	-----

### ისტორიული დამოგრაფია

რევაზ გაჩერილაძე. ებრაელები საქართველოში (ისტორიულ-დემოგრაფიული ნაკვევი).....	118
--	-----

### ცყაროთაცოდვეობა

გონელი არახამია. „მოქცევად ქართლისადს“ ისტორიული ქრონიკის პროტოგრაფის აღდგენისათვის .....	145
--	-----

### პოლიტოლოგია

ზურაბ აბაშიძე. საქართველო-რუსეთი: არის კი გამოსავალი ჩიხიდან? .....	163
თამარ ჩიკვილაძე. ეროვნული თვითგამორკვევის შესახებ კატალონიელთა მაგალითზე .....	173

### კულტუროლოგია

ქეთევან ჯერვალიძე. კიდევ ერთხელ: რიტორიკული ფიგურები ცოდვის ორ ჰარადიგმაში გიორგი მერჩულის „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებიდან“ .....	181
ქეთევან ახობაძე. კულტურა და კულტურული ფასეულობები როგორც საზოგადოების მორალური სახის ანარეკლი .....	195

### რედაქციას ქართველი მხატვარ-პროზაიკოსი ენცი

რეზო ადამია. ნოტრდამი დღეს .....	209
----------------------------------	-----

### ისტორიული მეცნიერების გამოჩენილი მოღვაწეობი

აკადემიკოსი ოთარ ლორთქიფანიძე – 90.....	217
---	-----

### პრიტკა და გიგლიოგრაფია

ქეთევან ახობაძე. ცივილიზაციათა შორის დაპირისპირების პრობლემატიკა. რეცენზია აკადემიკოს რ. მეტრეველის წიგნზე .....	221
„სად არის კავკასიური ცივილიზაცია?“ .....	233
მაგდანა გურგულიანი. ლეჩეუმის კულტურული მემკვიდრეობა. რეცენზია ვალერი ასათიანის წიგნ-ალბომზე „ლეჩეუმი საქართველო“ .....	239
ახალი წიგნები .....	239

## CONTENT

### GEORGIAN HISTORY

<b>R. Metreveli.</b> Some Issues from the History of Georgia of the 18th Century (the 300th anniversary of the birth of Erekle II).....	5
<b>N. Javelidze.</b> Catholic simbol on the coins of Georgian Kings of XIII century .....	19
<b>K. Pagava.</b> On relatedness of medieval Georgian families Baghwashi and Orbeli.....	34
<b>V. Guruli.</b> Archil Jorjadze (Idea of national agreement and ways of its realization).....	50
<b>G. Sosishvili.</b> ‘The Christ’s Lance’ and ‘The Black Death’ Epidemics in Georgia .....	64

### CAUCASUS HISTORY

<b>M. Gureshidze.</b> Different Fighting Paths of Imam Shamil and Kunta-haji Kishiev (XIX century, North Caucasus) .....	75
---	----

### ARCHAEOLOGY

<b>K. Pitskhelauri.</b> Kakheti Pages of Ancient Past Exploration .....	89
---	----

### ETHNOLOGY

<b>Z. Gumashvili.</b> Mythology of Kists.....	106
---	-----

### HISTORICAL DEMOGRAPHICS

<b>R. Gachechiladze.</b> Jews in Georgia: A Historical-Demographical Essay .....	118
--	-----

### SOURCES

<b>G. Arakhamia.</b> “Conversion of Kartli” for the reconstruction of the protograph of the historical chronicle .....	145
---	-----

### POLITOLOGY

<b>Z. Abashidze.</b> Georgia-Russia: Is There a Way Out of a Deadlock? .....	163
<b>T. Chikviladze.</b> Catalans’ National Self-Determination and its Consequences.....	173

### CULTUROLOGY

<b>K. Jervalidze.</b> Rhetorical Figures in the Two Paradigms of Sin in the “Life of Gregory of Khandzta” by Giorgi Merchule .....	181
<b>K. Akhobadze.</b> Culture and Cultural Values as Reflection of Moral Image of Society.....	195

### THE ARTIST VISITED

<b>R. Adamia.</b> Notre Dame today .....	209
--	-----

### THE PROMINENT FIGURES OF HISTORICAL SCIENCE

Academician <b>Otar Lordkipanidze</b> – 90 .....	217
--	-----

### CRITICISM AND BYBLOGRAPHY

<b>K. Akhobadze.</b> The Problematic of contradictions between civilizations.Review of the book “Where is the Caucasian civilization?” Academician R. Metreveli .....	221
<b>M. Gurguliani.</b> Cultural Heritage of Lechkhumi. Review of Valeri Asatiani’s book-album “Lechkhumi Georgia”.....	233
<b>New books</b> .....	239

# საქართველოს ისტორია

## როინ გეორგიელი

### მაცე ერეკლე 300 წლისაა

„ხმალი სჭრის ბაგრატოვნისა,  
მეფისა ერეკლისაო“

**ხალხური**

„.... და საყვარელი კახეთის გმირი  
იყო ნიადაგ მტერთა გამგმირი!“

**ნიკოლოზ ბარათაშვილი**

„.... დღეს ციურთა საკვირველება მოშურნე ექმნა ქვეყნისა საკვირველსა: ცამან მისტაცა ქვეყანასა სიმდიდრე, ძლიერთა – ძალი, ბრძენთა – გონიერება, ერთა – გვირგვინი, მხედართმთავართ – სარდლობა და თვითმპყრობელთა – სახელმწიფო ზრდილობა.

დიდო მფლობელნო! ...სტიროდეთ ახლად ქვეყნისა დიდებასა, სტიროდეთ სახლსა უავლუსტესა თქვენსა, შერაცხდეთ ცუდად სოფლისა დიდებასა! ისმინეთ ესე სახსოვრად სასმინარი: მოკუდა ღერკულეს, უძლეველი მეფეთა და მზისა ქვეშე, და იხილეთ და ყოველი ამაო“ – ესაა ფრაგმენტი „მოთქმით ტირილისა საქართველოს მეფის ღერკულეს ნეტარების ლირსისა“. მისი ავტორი (წარმომთქმელი) გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე, ერეკლე II-ის სამეფო კარის დიპლომატი, გამჭრიახი გონებითა და ფართო განათლებით ცნობილი სოლომონ ლიონიძე იყო, კაცი – განთქმული ცოდნითა და მჭევრმეტყველებით. ეს სიტყვა სოლომონ ლიონიძემ წარმოსთქვა 1798 წლის 22 თებერვალს მცხეთაში, სვეტიცხოვლის ამბიონიდან, მეფე ერეკლეს დაკრძალვის წინ.

ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ „მოთქმით ტირილი“ სამგლოვიარო უანრის მაღალი დონის ორატორული ქმნილებაა და ქართული სახოტბო მჭევრმეტყველების შესანიშნავი ძეგლი.

მეფე ერეკლე 1798 წლის 11 იანვარს გარდაიცვალა და ორმოცდლიანი გლოვის შემდეგ თელავიდან მცხეთაში წაასვენეს და 22 თებერვალს იქ დაკრძალეს. განისვენა მეფემ, რომელიც საყოველთაოდ იყო აღიარებული და რომლის შესახებაც პრუსიის მეფემ ფრიდრიხმა ხმამაღლა განაცხადა: „ევროპაში მე ვარო და აზიაში – ღერკულეს უძლეველი, საქართველოს გეორგიანთ მეფეო“. ქართველმა ხალხმა მოფერებით „პატარა კახი“ უწოდა... პიროვნებას, რომელმაც გრძელი და ურთულესი ცხოვრებისა და მოღვაწეობის გზა გაიარა.

არაერთი ქართველი და უცხოელი ისტორიკოსი შეეხო ერეკლე II-ს და ბევრი საინტერესო მოსაზრება გამოითქვა ამ გამორჩეული პიროვნების შესახებ...

\* \* \*

თეიმურაზ II-ისა და ვახტანგ VI-ის ქალის თამარის შვილი ერეკლე დაიბადა 1720 წლის 7 ნოემბერს - ზუსტად სამასი წლის წინ. ერეკლე ბატონიშვილმა ბავშვობა მკაცრ პირობებში გაატარა. მას სპარტანულად ზრდიდნენ. ქვეყანა მძიმე პოლიტიკურ ვითარებაში იყო. ოსმალებისა და ლეკების ძალმომრეობას საზღვარი არ ჰქონდა. კახეთის სამეფო ოჯახი იძულებული იყო ფშავში გახიზნულიყო. ოთხი-ხუთი წლის ერეკლეს ბევრი გაჭირვების გადატანა უხდებოდა. მას კარგი ურთიერთობა ჰქონდა გლეხის ბიჭებთან. პატარა უფლისწული ადრე დაეუფლა ცხენზე ჯდომას, ჰყავდა თავისი ცხენი („ბაჩა“). მშობლები მის განათლებაზეც ფიქრობდნენ. მისი მასწავლებლები იყვნენ: აბელ ანდრონიკაშვილი (საერო სწავლება), ბოგბის ეპისკოპოსი ონოფრე – ღვთისმეტყველებაში, მღვდელი დიმიტრი ხელაშვილი გალობას ასწავლიდა.

ერთხელ ერეკლეს ნადირობის დროს შვლის ნუკრი დაუჭერია, ბიუნა დაურქმევია და საკმაოდ ნებიერად ზრდიდა. თელავის სასახლეში ანცი შვლის ნუკრი ძნელი ასატანი გამხდარა და როცა ერეკლე შინ არ ყოფილა სასახლის „დიაცთა სამსჯავროს“ გადაწყვეტილებით დაუკლავთ. უფლისწულმა ძლიერი წყენით გამოხატა ბიუნას ასეთი დასჯა.

თხუთმეტი წლის ერეკლე მამამისმა ალავერდში გაგზავნა, რათა ოსმალთა და ლეკეთა წინააღმდეგ აჯანყებას სათავეში ჩასდგომიდა. ერეკლე რჩეულ ვაჟკაცთა რაზმით შეება ქიზიყიდან მომავალ ლეკების რაზმს და მწარედ დაამარცხა. ომან ხერხეულიძე რელიეფურად აგვინერს ამ გამარჯვებას: „... ძე მეფისა ირაკლი მეორედ შევიდა შინაგან ჯარსა ლეკისასა და პირველად ამან მოკლა კაცი; ამის მხილველთა კახთა ერთპირად მიმართეს ყივილით და წინანარაქცვეს ჯარი ლეკისა, აჰყარეს ტყვენი და საქონელი და მოსწყვიტეს უმრავლესნი“.

ერეკლემ ალაზნის გაღმა მხარეში ჩამოსახლებულ ლეკებს (ჭარ-ბელაქნელებს) კახელებთან ზავი შესთავაზა, რაზეც უარი მიიღო. კახელებმა მათი დამარცხებაც მოახერხეს. ასე მოიპოვა ყმანვილმა ერეკლემ პირველი წარმატებები სახელმწიფობრივსა და სამხედრო ასპარეზზე.

წიშანდობლივია, რომ XVIII საუკუნის 20-იან-30-იან წლებში საქართველოს მესვეურებს მნიშვნელოვან ძალად მიაჩნდათ რუსეთი, რომელსაც თითქოს შეეძლო, რომ უცხო ტომები გაეგდო აღმოსავლეთ ამიერკავკასიიდან. ვახტანგ VI მტკიცედ დადგა რუსეთის მხარეზე, მაგრამ რუსეთი ვერ დაეხმარა საქართველოს, ქვეყნის პოლიტიკამაც მარცხი განიცადა.

პოლიტიკური თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესი აქტი შესრულდა. 1744 წელს სპარსეთის შაჰმა ნადირმა კახეთის მეფე თეიმურაზ II ქართლის მეფედ დანიშნა, ხოლო მისი ვაჟი ერეკლე – კახეთის მეფედ. ამასთან აღსანიშნავია, რომ ნადირ შაჰმა უარი თქვა ქართლის გამაჰმადიანებაზე. თეიმურაზი ქრის-

ტიანული წესით იკურთხა მეფედ. 1745 წლის 1(14) ოქტომბერს, მცხეთობა დღეს, სვეტიცხოვლის ტაძარში მოხდა მისი ინტრონიზაცია საქართველოში ძველთაგან არსებული მეფეთა კურთხევის წესის მიხედვით. ეს მნიშვნელოვანი მოვლენა იყო, რადგან ას წელზე მეტი იყო გასული, რაც ქართლ-კახეთის ტახტი ქრისტიან მეფეებს არ დაეკავებინა. ქართლს დაუპრუნდა ლორე, ბორჩალო და ბაიდარი, რომელიც ადრე შაჰ-აბასის მიერ იყო მიტაცებული.

1747 წლისთვის მდგომარეობა გამწვავდა დიდი გადასახადების შეწერის გამო. აჯანყება თითქმის მზად იყო, რომ შაჰმა განზრახვაზე ხელი აიღო. ამასთან თავისთან იხმო ერეკლე II. შვილის ნაცვლად, ყოველგვარი საფრთხე რომ აეცილებინა მისთვის, თეიმურაზ II გაემგზავრა, მაგრამ ნადირ შაჰს ცოცხალს ვეღარ ჩაუსწრო. 1747 წლის მაისში შეთქმულებმა მოკლეს იგი. ირანის ტახტი ალი-ყული-ხანმა (იგი ნადირის ძმისწული იყო) მიიღო და ტახტზე ადილ შაჰის (სამართლიანის) სახელით დაჯდა. 1748 წლის ზაფხულში ერეკლემ თბილისის ციხეები დაიკავა და იქ ქართველი მეციხოვნები დააყენა. 1949 წლისთვის ქართლი და კახეთი ფაქტობრივად უცხოელებისაგან თავისუფალი იყო. მამა-შვილი თეიმურაზ II და ერეკლე II ერთობლივად მოქმედებდნენ. სწორედ მათი მოქმედების შედეგი იყო, რომ ერევნის სახანომ ხარკი იკისრა ქართლ-კახეთის სამეფოების სასარგებლოდ. ამ სამეფოთა ვასალი გახდა განჯის სახანო. ქართული სამეფოების გავლენა ნახტევანის სახანოზეც გავრცელდა.

იმ პერიოდში ყარაბალის ხანი განჯას ავინწროებდა. განჯის ხანმა ქართლ-კახეთის მეფეებს მიმართა დახმარებისათვის, თანაც ხარკი იკისრა. თეიმურაზმა და ერეკლემ კრალიციური ლაშქარი შეკრიბეს. განჯისხანის, გიულისტანის მელიქის, განძასარის (ყარაბახელ სომეხთა) კათალიკოსის გარდა აქ შემოდიოდნენ „იმერნი, ოსნი, კავკაზი, ერევნელნი, ყაზახი, შამშადილნი, ლეკნი“. ერთიანმა ლაშქარმა ბრწყინვალე გამარჯვებას მიაღწია. განჯის ხანმა ლაშქრობისათვის მეფეებს ფულადი გასამრჯველო გადაუხადა.

1751 წელს ერეკლეს ხელმძღვანელობით ქართული ჯარი თავრიზამდე მივიდა. მიზანი ალი-გარდან ხანთან შებრძოლება იყო, რომელიც სპარსეთის ტახტისათვის იღწვიდა და ისპაპანიც კი დაიკავა. ქართული ლაშქრის წინსვლა ავღანთა მოქმედებებმა შეაფერხა. მათ ტახტის პრეტენდენტის აზატ-ხანის მეთაურობით ნახიჩევანსა და ერევანს შეუტიეს. მეფე ერეკლე ოთხიათასიანი ლაშქრით ერევნის სახანში გადავიდა. პირველ შეტაკებებში ქართველთა მოწინავე რაზმი დამარცხდა. მაშინ ძირითად შენაერთს თვით მეფე ჩაუდგა სათავეში და ავღანთა მრავალჯერ აღმატებული ჯარი დაამარცხა. პატუნა ორბელიანის ცნობით: „შეშინდა ყოველი ქვეყანა და მონებდნენ ქართველ ბატონს ხმლის ძალით გარეშემონი ქვეყანანი“.

ხალხურ შემოქმედებაშიც აისახა აზატ-ხანთან გამარჯვება, როგორც კი გაიგო ერეკლე მეფემ აზატ-ხანის გადადგმული ნაბიჯების შესახებ „ცხენს შეჯდა, ხმალი აიღო, მსუბუქის ჯარით ნავიდა, ჯაბახანა არ წაიღო... ჩვენმა ჯარმა შეუტია, ლაშქარი ორად გაიყო... ერეკლემ ცხენს შეუტია, ხევს გაადინა ჩქაფანი, ხევ-დელე მძორით აივსო, ცხენს შეულება ფაფარი, წინ ვერავინ ვერ დაუდგა, მტერს სრესდა მისი ნაფარი“ („აზატ-ხანი და ერეკლე“).

ქართლ-კახეთის მეფეების სწორმა პოლიტიკამ დიდად გაზარდა მათი ავტორიტეტი. პაპუნა ორბელიანის თქმით: „შეშინდა ყოველი ქვეყანა და მონებდნენ მეფესა ქართლისასა თეიმურაზს და ძესა მისსა ერეკლეს“. XVIII საუკუნის ორმოცდაათ-სამოციან წლებში (განსაკუთრებით ნადირ შავის გარდაცვალების შემდგომ) დიდად გაიზარდა ქართლ-კახეთის ავტორიტეტი მთელს რეგიონში. ნიშანდობლივია აღინიშნოს, რომ ამ პროცესს სომეხი მოსახლეობის დიდი მხარდაჭერა და პოლიტიკური დაქვემდებარებაც მოჰყვა. სომეხი ისტორიკოსის ცნობით, ერეკლე II-ის დროს მისმა თანამემამულეებმა გარკვეული შვება იგრძნეს. 1763 წელს საქართველოში საგანგებო მისით ჩამოვიდა სომეხი სახელმწიფო მოღვაწე იოსებ ემინი, რომლის გეგმა ითვალისწინებდა ქართულ-სომხური სახელმწიფოს შექმნას ერეკლე II-ის თავკაცობით. ქართლ-კახეთის მეფე სომხურ პოლიტიკურ ერთეულებს ისედაც აკონტროლებდა, ამიტომ ჯერ შეყოვნდა, შემდეგ კი უარი თქვა ემინის წინააღმდეგ იმ მოტივით, რომ ზოგიერთი სომხური პროვინცია კათოლიკოს სემიონის ხელდასხმით მას მხარს არ უჭერდა. მოგვიანებით ეს საკითხი კვლავ დადგა დღის წესრიგში სხვადასხვა კუთხის სომეხთა მოთხოვნით. სომეხმა პოლიტიკურმა მოღვაწემ შამირ შამირიანმა შესთავაზა ერეკლე II-ს ქართულ-სომხური სახელმწიფოს შექმნა (ცხადია, ერეკლე II-ის მეთაურობით). ეს გეგმა სხვადასხვა მიზეზების გამო ჩაიშალა (ერთ-ერთი მიზეზი შამირიანის გარდაცვალება იყო).

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ქართლ-კახეთის სამეფოსა და ჩრდილოეთის ურთიერთობა. XVIII საუკუნის 50-იანი წლებიდან ლეკების თავდასხმებმა მძიმე ხასიათი მიიღო – ქვეყანას განადგურებას უქადდნენ დალესტინის ტომები. ისინი იჭრებოდნენ კახეთის სოფლებში, იტაცებდნენ ადამიანებს, საქონელს და უკან ბრუნდებოდნენ. ამგვარ საქციელს მხარს უჭერდა იმდრო-ინდელი ოსმალეთი, რომელიც, თავის მხრივ, მონათა ბაზარს წარმოადგენდა.

ქართველები ბრძოლებში ამარცხებდნენ მთელთა რაზმებს, მაგრამ საბოლოოდ ვერ აჩერებდნენ. ჩვეულებრივი „ლეკიანობიდან“ განსხვავდებოდა 1754 წელს ხუნდახის ბატონის ნურსალ-ბეგის შემოსვლა კახეთში. ქართველებმა დაამარცხეს მომხდური მტერი მჭადიჯვართან. ნურსალ-ბეგი 1755 წელს დიდი ჯარით კვლავ შემოიჭრა საქართველოში და ყვარლის ციხეს შემოადგა. ერეკლე მეფემ შეძლო თავი მოეყარა ოცი ათასიანი ლაშქრისთვის და მოხერხებული მოქმედებით მტრის მუხანათური გეგმები ჩაშალა. ერეკლემ ყვარლის ალყის გასარღვევად ნებაყოფლობით შემდგარი საგანგებო ორას ექვს კაციანი რაზმი შეკრიბა (ექვსი თავადი, ორი აზნაური, დანარჩენი ყველა გლეხი, აქედან 103 ქიზიყელი). რაზმმა ციხისკენ გზა გაიკაფა, ციხეში თოფის წამლის მარაგი შეიტანეს. მტერი ყვარლის ციხეს ჩამოსცილდა. ნურსალ-ბეგმა ომი წააგო. ერეკლემ ალყის გამრღვევი გლეხები გააზატა და ყოველი გამოსალებისა და საურავისაგან გაათავისუფლა („თქვა: დამაცადეთ, ლეკებო, მე რომ თქვენი სჯული ვიცი“. ლეკებმა შექმნეს ჩიჩქოლი, მოგვენია არჩილ გიუ, ზოგს მოგვკლავს, ზოგსა და გვარჩენს... თავს ვერ მოუვალთ,

შეგვარცხვენს, ... სჯობია ახლავ გავიქცეთ, მოვერიდოთ ერთ კლდის ძირში”... („ერეკლე მეფის გამარჯვება ლეკემბზე”).

საერთოდ, ერთის მხრივ, ლეკთა თარეში, სხვა მხრივ, ეკონომიკური სისუსტე, მუდმივი ჯარის შექმნის შეუძლებლობა, ირანთან ურთიერთობის სირთულე მძიმე ტვირთად აწევს ქვეყნის პოლიტიკას. ამის გამო თეიმურაზ II იძულებული გახდა რუსეთში წასულიყო და ეთხოვა: ჯარი ან ფული სესხად. ასეთ შემთხვევაში ლეკთა თარეში აიღაგმებოდა, შეიქრებოდნენ ირანში და ტახტზე რუსეთისთვის სასურველ პირს დასვამდნენ.

თეიმურაზ II ჩავიდა პეტერბურგში, მაგრამ დახმარება ვერ მიიღო – 1762 წლის 8 იანვარს იგი გარდაიცვალა (სამწუხაროდ მეფის ცხედარმა საქართველომდე ვერ ჩამოალწია. იგი, ქვეყანაში გართულებული მდგომარეობის გამო, რუსეთში – ასტრახანში, ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში დაკრძალეს იმ იმედით, რომ გარკვეული დროის შემდეგ თბილისში გადაასვენებდნენ. ეს კი დღემდე ვერ მოხერხდა. აქვე განისვენებს ვახტანგ VI და რამდენიმე ქართველი სამღვდელო პირი).

ერეკლე II-მ თავი ქართლ-კახეთის მეფედ გამოაცხადა. ამასობაში ირანში საქემე საინტერესოდ წარიმართა. ერეკლემ შეიძყრო აზატ-ხანი და ირანის ტახტის რეალურ პრეტენდენტს ქერიმ-ხანს გაუგზავნა. ქერიმ-ხანი მთელი ირანის მმართველი გახდა. განული სამსახური შაჰმა არ დაუვინცა ერეკლეს და სცნო ქართლ-კახეთის გაერთიანება ერთ სამეფოდ; ერეკლე II კი მის მეფედ აღიარა. ქერიმ-ხანმა ქართლ-კახეთის სამეფოს უფლებები სცნო განჯასა და ერეკლის სახანოებზე, რითაც ხაზი გაუსვა ერეკლე II-ის უპირატესობას აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში.

XVIII საუკუნის 60-იან წლებში საერთაშორისო ვითარება ქართლ-კახეთისათვის სასარგებლო იყო. ირანის მმართველი ქერიმ-ხანი ერეკლე II-ს ემეგობრებოდა. თურქეთი, რუსეთთან გამნვავებული ურთიერთობისა და იმერეთში გართულებათა გამო, ქართლ-კახეთთან ურთიერთობის გზას დაადგა. ქართლ-კახეთის მეფემ ოპოზიციონერი თავადების წინააღმდეგობაც გატეხა. 1865 წელს პაატა ბატონიშვილის ხელმძღვანელობით შეთქმულება მოეწყო. მიზანი ერეკლე II-ის მოკვლა და პაატა ბატონიშვილის გამეფება იყო. მონაწილეობდნენ დავით ბატონიშვილი (აბდულა ბეგის ძე), სახლთუხუცესი დიმიტრი ამილახვარი, მისი შვილი ალექსანდრე, ელიზბარ თაქთაქიშვილი, გლახა ციციშვილი და სხვ. იყრიბებოდნენ ვინმე მარკოზაშვილის ბინაში („მარკოზაშვილის დარბაზი“). შეთქმულები გასცა სამშვილდელმა გლეხმა - დათუნა ფეიქარმა. ერეკლეს ბრძანებით ისინი შეიძყრეს და სასტიკად დასაჯეს: პაატა და დავით ბატონიშვილებს თავები მოჰკვეთეს, ელიზბარ თაქთაქიშვილი ცეცხლში დაწვეს, გლახა ციციშვილს ენა მოჭრეს და ა.შ. ეს სისასტიკე მტკიცე ზურგის შექმნას ემსახურებოდა.

ერეკლე II-მ ყურადღება მიაქცია გლეხთა საკითხს. 1865 წელს გამოსცა კანონი, რომლის ძალითაც უცხოეთის ტყვეობიდან თავდაღწეული გლეხი ძველი მებატონის ყმობიდან თავისუფლდებოდა. არსებობს მასალა, რომელიც აჩვენებს მეფის დიდ ყურადღებას გლეხებისადმი. არის ცნობა, რომ

მეფე ქიზიყის ასისთავს ავალებდა: „... გლეხს კაცს უსამართლო არა დამ-ართო რაო“. არის ცნობები, რომ რევაზ ამილახვარსა და თავად ჯავახიშვილებს მიუთითებს: „გლეხებს სამართლიანის საქმით მოექცით, თორემ თუ გიჩივლეს, გიწყენთო“. ქართლ-კახეთის მეფე, როგორც ფეოდალთაგან, ისე ყმისგან კატეგორიულად მოითხოვდა „ბატონიყომობის რიგის“ დაცვას.

მიუხედავად გარკვეული წარმატებებისა ქვეყანას მაინც უჭირდა. მოსახლეობა შემცირებული იყო. საქართველოს მოსახლეობა 1254 წელს ხუთ მილიონს აღწევდა, 1770 წლის ცნობით, ქართლ-კახეთის სამეფო 67 ათას კომლამდე იყო, თანაც ყაზახ-შამშადლოსა და დიდოეთის ჩათვლით (დასავლეთი საქართველო ამ პერიოდში 31 ათას კომლს მოითვლიდა). როგორც ვხედავთ, საქართველოს მოსახლეობა XIII საუკუნის შუალებთან შედარებით XVIII საუკუნის 70-იანი წლებისათვის ათვერ იყო შემცირებული (5 მილიონიდან დაცა ნახევარ მილიონამდე). ქვეყნის თავდაცვა ეკონომიკური თუ ტექნიკური ჩამორჩენილობის გამო ვერ ხერხდებოდა. საჭირო იყო ძლიერი მოკავშირის მოძებნა. ქართლ-კახეთს დიდი ავტორიტეტი ჰქონდა აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში, თუმცა ეს არ იყო გარანტია მომავალი წარმატებებისა. აუცილებელი იყო ირანთან კეთილი ურთიერთობის შენარჩუნება და ლეკთა საკითხის გადაჭრა. არც თურქეთის შემოსევისგან იყო ქვეყანა დაცული. ცხადია, ყველა ეს ამოცანა ვერ გადაწყდებოდა საკუთარი ძალებით. ქართველი პოლიტიკოსები ითვალისწინებდნენ, რომ გარკვეული დროის შემდეგ რუსეთი შეებებოდა ირანსა და ოსმალეთს. ეს რუსეთს სჭირდებოდა კასპიისა და შავი ზღვების აუზებისაკენ გზის გასაკაფად. ამიტომაც საქართველოს პოლიტიკური კურსი რუსეთისკენ იყო მიმართული.

მეფე ერეკლეს რთული ოჯახური ცხოვრება ჰქონდა. მეორე ცოლის ანა აბაშიძის გარდაცვალების შემდეგ, მან მესამე ცოლი შეირთო - დარეჯან დადიანი, რომელიც ზედმეტად პატივმოყვარე იყო და სასახლეში ინტრიგების ქსელი გააპა. მეფეს ჰყავდა ერთგული თანამებრძოლი კათოლიკოსი ანტონ I, რომელიც მისი მამიდაშვილი იყო. ანტონ I-მა მნიშვნელოვანი ღონისძიებები გაატარა ქართულ ეკლესიაში. მან ერეკლეს აღადგენინა თავის დროზე ვახტანგ VI-ის დაფუძნებული სტამბა. 1756 წელს ანტონ I-ის მცდელობით ფილოსოფიური სემინარია დაარსდა. ანტონ კათოლიკოსს ეწინააღმდეგებოდა ფანატიკურად განწყობილი ქართველი სამღვდელოება ზაქარია გაბაშვილის (ბესიკის მამა) მეთაურობით. ერეკლე ვერ დაეხმარა ანტონს, რადგან თემურაზ II-ც სეფე-ქალების წაქეზებით ებრძოდა კათოლიკოსს. საეკლესიო კრებამ ანტონ I კათოლიკოსობიდან გადააყენა. მამის სიკვდილის შემდეგ ერეკლე II-მ ანტონი საპატრიარქო ტახტზე დააბრუნა.

ნიშანდობლივია, რომ რუსეთის იმპერატორმა ეკატერინე II-მ ინტენსიური დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა ქართლ-კახეთის სამეფოსთან. საქართველოში საგანგებო რწმუნებული გამოაგზავნეს. ეს იყო გარუსებული ქართველი თავადი ქობულაშვილი (ხვაბულოვი). მოითხოვეს, რომ ერეკლეს და იმერეთის მეფეს სოლომონს შეთანხმებულად ემოქმედათ რუსეთის სასარგებლოდ. მეფეებმა მართლაც შეჰვიცეს, რომ საერთო საქმეს არ უღალატებდნენ.

ერეკლეს მიერ რუსეთისადმი მიმხრობამ გააღიზიანა ოსმალეთი – მათ საქართველოს ნეიტრალიტეტის დაცვა მოსთხოვეს. თანაც ითხოვდნენ, რომ სოლომონ მეფისათვის არ დაეჭირათ მხარი მის ანტითურქულ პოლიტიკაში.

რუსეთის ხელისუფლებას, როგორც ჩანს, მთლად კარგად არ ჰქონდა გაცნობიერებული, რა დოზის დახმარება სჭირდებოდა ქართლ-კახეთს. ფიქრობდნენ ჯარის მცირე შემადგენლობითაც გავიდოდნენ ფონს. ძალიან ცუდად იყო შერჩეული რუსეთის კორპუსის სარდალი. გრაფი ტოტლებენი გერმანელი იყო. როგორც გადმოგვცემენ, ავანტურისტული მიდრეკილებები და ბნელი წარსული მას გამოუსადეგარს ხდიდა.

1869 წელს გენერალ ტოტლებენის სარდლობით რუსის ჯარი შემოვიდა საქართველოში. მომდევნო წელს ერეკლე და ტოტლებენი ახალციხის საფაშოზე სალაშქროდ გაემართნენ. ერეკლეს ფარული მიზანი იყო ოსმალთაგან მიტაცებული სამხრეთ საქართველოს ტერიტორიის დაბრუნება. რუს-ქართველთა ჯარმა ალყა შემოარტყა ანურის ციხეს. ომი დაიწყო თუ არა, ტოტლებენმა გაუგონარი ნაბიჯი გადადგა – თავისი ჯარით უკან გაბრუნდა. ამან, ცხადია, ჯარში არევ-დარევა გამოიწვია. ერეკლე II გულმოცემულ მტერს მედგრად დახვდა და ისევ ციხეში შერეკა. მეორე დღეს მეფე ასპინძის მიმართულებით წავიდა. ასპინძასთან ქართველებს ოსმალები შემოეყარნენ. ერეკლე რჩეულ მხედართა რაზმით მედგრად ეკვეთა მტერს და დაამარცხა იგი. ახალციხის მხრიდან შემოსულ ლეკ-ოსმალთა ოთხიათასიანი ლაშქარიც გაანადგურა. მტრის სამიათასამდე მოლაშქრე მოიკლა, ბევრი მტკყვარში დაიხრჩო, ან ტყვედ ჩავარდა. ქართველთა ზარალი უმნიშვნელო იყო. ასპინძის ბრძოლაში გამარჯვება 1770 წლის 20 აპრილს მოხდა („ასპინძას ერეკლე ვნახე, ხელში ეჭირა ხმალიო, ხოცვა დაუწყო ლეკ-ოსმალთ, ადინა სისხლის ღვარიო“. ხალხური).

ერეკლესა და ტოტლებენს შორის ურთიერთობა ძალზე დაიძაბა. უჭკუო გენერალს მეფის ტახტიდან ჩამოგდება უნდოდა. მას ოპოზიციონერი ქართველი თავადებიც უჭერდნენ მხარს. გენერალმა ხალხის რუსი ხელმწიფის ერთგულებაზე დაფიცება დაიწყო. ერეკლემ საპასუხო ენერგიული მოქმედებით ტოტლებენი შეაშინა და განზრახვაზე ხელი ააღებინა.

რუსეთის მიერ საქართველოში გამოგზავნილმა ლაშქარმა ქვეყანას ვერაფერი არ გო. ერეკლეს მიზნები მიუღწეველი იყო. ერევნის ხანი გამდგარი იყო და ოსმალეთის უზენაესობა უღიარებია, ქერიმ-ხანიც გაუორგულდა ქართლ-კახეთის მეფეს, ლეკებიც აშლილი იყვნენ. რეაქციონერი თავადებიც გააქტიურდნენ – ალექსანდრე ბატონიშვილის (ბაქარის ძე) დახმარებით აპირებდნენ ერეკლეს განდევნას ქართლიდან. არც მოკავშირე რუსეთი გამოირჩეოდა საქართველოს გაძლიერებისათვის ბრძოლით. დადგა საგარეო პოლიტიკის გადასინჯვის საკითხი. ერეკლე II-მ თანამზრახველებთან თათბირის შემდეგ მიიღო გადაწყვეტილება – ეთხოვა რუსეთის მთავრობისათვის საქართველოს შესვლა რუსეთის მფარველობის ქვეშ.

პარალელურად ერეკლე მეფე შინა საქმეებსაც აგვარებდა. 1773 წელს შექმნა „მორიგი ჯარი“. ლაშქრობის შემძლე ყველა მამაკაცი ვალდებული

იყო წელინადში ერთი თვე ლაშქარში თავისი ხარჯით გასულიყო. მორიგე ლაშქარს ერეკლეს ვაჟი ლევან ბატონიშვილი ხელმძღვანელობდა. 1781 წელს ლევანი გარდაიცვალა და ცოტა ხანში მორიგე ლაშქარიც დაიშალა. ეს რეაქციის გამარჯვება და ერეკლე II-ის მარცხი იყო.

ქართლ-კახეთის ბრძნება მეფემ სცადა გარკვეული კავშირი ევროპის ქვეყნებთან დაემყარებინა. იგი აშკარად ცდილობდა ქართველთა ევროპულად გარდაქმნას, ქვეყნის სამხედრო-ტექნიკურ და სამეურნეო-სახელმწიფოებრივ დაწინაურებას. მეფის მცდელობა დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან დაახლოებისა, წარუმატებლად დამთავრდა. აქე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს მიმართ ურთიერთობა გაააქტიურა რუსეთმა – რუსი მოხელეები, ელჩები, მოგზაურები ურჩევდნენ ერეკლეს, რომ ეთხოვნა რუსეთის მფარველობა, თან აიმედებდნენ, რომ ამ გზით საქართველოს კეთილდღეობას მიაღწევდა.

1782 წლის 21 დეკემბერს ქართლ-კახეთის მეფემ ერეკლე II-მ, რუსეთის ხელისუფლების სურვილის შესაბამისად, რუსეთის მეფის მფარველობა ითხოვა. უმაღვე ეკატერინე II-ის ბრძანებით დარუბანდელმა ფათალი-ხანმა ქართლ-კახეთის წინააღმდეგ შეყრილი ჯარები დაითხოვა; ალექსანდრე ბაქარის ძე აიძულეს რუსეთში წასულიყო – ტახტის მაძიებელი ბატონიშვილი გზაშივე დააპატიმრეს.

1783 წლის 24 ივლისს ჩრდილოეთ კავკასიის ციხე გიორგიევსკში რუსეთ-საქართველოს მორის „მეგობრობითი პირობა“ („ტრაქტატი“) გაფორმდა. დოკუმენტს ქართლ-კახეთის მეფის მხრიდან ხელი მოაწერეს იოანე მუხრანბატონმა და გარსევან ჭავჭავაძემ. ეკატერინე II-ის სახელით – გენერალმა პავლე პოტიომპინმა. 1784 წლის 24 იანვარს ერეკლე II-მ ხელი მოაწერა და „მეგობრობითი პირობა“ („ტრაქტატი“) ძალაში შევიდა.

„ტრაქტატით“ რუსეთის იმპერატორი ქართლ-კახეთის მეფეს საუკუნო მფარველობას აღუთევამდა, ერეკლეს სამფლობელოს დაცვას ივალებდა; ერეკლე II-სა და მის მთამომავლობას ქართლ-კახეთის ტახტზე უთუოდ დაიცავდა, ქვეყნის მართვა-გამგეობაში ქართლ-კახეთის მეფე დამოუკიდებელი იყო – რუსეთი საქართველოს შინაურ საქმეებში არ უნდა ჩარეულიყო. თავის მხრივ ქართველი მეფე ვალდებული იყო თავისი სამხედრო ძალით საჭირო შემთხვევაში რუსეთის მეფის განკარგულებაში გამოსულიყო; ქართლ-კახეთის ტახტზე ახლად გამეფებული რუსეთის იმპერატორს უნდა დაემტკიცებინა; დიპლომატიური საქმიანობაც ქართლ-კახეთის მეფეს რუსეთის ხელისუფლებასთან (ან ადგილობრივ მოხელესთან) შეთანხმებით უნდა ეწარმოებია.

ტრაქტატით შეთანხმებული რუსთა ჯარი 1783 წლის 3 ნოემბერს ჩამოვიდა თბილისში. 1784 წლის 23 იანვარს ერეკლე II-მ რუსეთის იმპერატორისადმი ერთგულების ფიცი დადო.

დიდი გეგმები, რაც ქართლ-კახეთს და მის მეფეს გააჩნდა ტრაქტან დაკავშირებით არ გამართლდა. ერეკლე II-ის გადადგომით განაწყენებულმა ოსმალეთმა თავი წამოყო. განახლდა ლევიანობა. 1785 წელს ხუნდახის ბატონი მოარ-ხანი შემოესია კახეთს, აიღო რამდენიმე ქალაქი და ციხე. ერეკლემ ლაშქრის სიმცირის გამო შებმა ვერ გაძედა. ომარ-ხანი დიდალი ტყვით უკან

გაბრუნდა. ერეკლე II მოურიგდა ომარ-ხანს – ყოველწლიური „ჯამაგირი“ (ხარკი) 5000 მანეთი იკისრა. თავის მხრივ ოსმალეთი მოუწოდებდა ერეკლეს შეეწყვიტა რუსეთთან კავშირი და მასთან მეგობრობა დაემყარებინა. მეფის მონინაალმდეგე რეაქციულმა ძალებმა თავის დასაყრდენად დარეჯან დედოფალი და მისი შვილები გამოიყენეს, რომლებიც ოსმალეთთან მორიგების მომხრენი იყვნენ. ამ უკანასკნელმა მეფეს ორი უმართებულო კანონი მიაღებინეს (1792 წ.). ამიერიდან სამეფო ტახტი უფროს შვილს (პირმშოს) კი არა, არამედ გვარში უფროსს უნდა დაეკავებინა. ეს უხერხული გადაწყვეტილება (კანონი) ერეკლემ თავად მალე უარყო. თუმცა დარჩა მეორე კანონი, რომლის ძალითაც ქვეყანა დაიყო საუფლისწულოებად, თითოეულ უფლისწულს მეფემ ყმათა გარკვეული რაოდენობა მისცა. თავის საუფლისწულოებში ბატონიშვილებმა თავი დამოუკიდებელ მეფეებად წარმოიდგინეს და რეალურ რეაქციულ ძალად იქცნენ.

ამ, ქვეყნისათვის საკმაოდ რთულ პერიოდში, ქართველ საზოგადოებაში გაჩნდა საქართველოს გაერთიანების იდეა. ამ იდეას მდგრადი ხალხიც მხარს უჭერდა. 1790 წელს ქართლ-კახეთის მეფეს ქვია იმერელ თავადთა დელეგაცია, რომელმაც ალმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს გაერთიანება შესთავაზეს. ერეკლე II-მ საგანგებო სხდომა მოიწვია აღნიშნული წინადადებების განსახილველად. კამათში აქტიურები იყვნენ მზეჭაბუკ ორბელიანი, ანტონ კათალიკოსი, დავით ორბელიანი (სარდალი), სოლომონ ლიონიძე. ესენი ქვეყნის გაერთიანებას უჭერდნენ მხარს. თანაც მეფეს გადასცეს იმერელთა აზრი: ერეკლე მეფე იფიქრებს, როგორ წავართვა ტახტი ჩემს შვილიშვილს (იმერეთის მეფე სოლომონ II ერეკლეს შვილიშვილი იყო). ეს აზრი უკულმართი და დამდუბავიაო. უნდა აღინიშნოს, რომ გაერთიანების იდეას მტკიცედ იცავდა სოლომონ ლიონიძე.

იმერეთის დესპანების სახელით ქაიხოსრო წერეთელმა კომპრომისული წინადადება დასვა: იმერეთში მეფობა ნუ მოისპობა. იქ ერეკლეს შვილიშვილი სოლომონი გამეფდეს და მან კავშირი შეკრას ქართლ-კახეთთანაო. უარყოფითი მოსაზრებით გამოვიდა იოანე მუხრანბატონი: ქართლ-კახელებს ჩვენთვის ვერ მოგვივლია, იმერეთს როგორლა მოვუაროთო. სარდალი დავით ორბელიანი მეაცრად შეეკამათა იოანე მუხრანბატონს, რამაც ფაქტობრივად სხდომა ჩაშალა. ცალკე უნდა აღვნიშნოთ დარეჯან დედოფალი, რომელიც კატეგორიული წინააღმდეგი იყო გაერთიანებისა (ცხადია საკუთარი შვილიშვილის გამო) და ქმარზეც უარყოფით გავლენას ახდენდა. ერეკლე მეფემ სოლომონ II-ის ტახტზე დასმას დაუჭირა მხარი და იმედი გამოთქვა მომავალში კავშირს შევერავთო.

1790 წელს ერეკლე II-ს, სოლომონ II-ს, გრიგოლ დადიანსა და სვიმონ გურიელს შორის დაიდო „ტრაქტატი ივერელთა მეფეთა და მთავართაგან დამტკიცებული ქართლისა, კახეთისა, იმერეთისა, ოდიშისა და გურიისა“. ეს დოკუმენტი, ცხადია, მნიშვნელოვანია, თუმცა მას პოლიტიკური შედეგები არ მოჰყოლია. ტრაქტს ჰქონდა სერიოზული ზნეობრივი მნიშვნელობა, ნაკლებად პრაქტიკული.

ამასობაში ირანში მიმდინარე მძაფრ შინაომებში გაიმარჯვა აღა-მაჰმად-ხან ყაჯარმა. მისი ზეობის პირველივე წლებიდან აღმოჩნდა, რომ ქართლ-კახეთში ირანის ბატონობის აღდგენა სურდა. ერეკლე II-ს ჰქონდა ინფორმაცია, რომ ირანის შაჰი ქართლ-კახეთზე შემოსევას აპირებდა, ქართლ-კახეთის მეფემ რუსეთის სამხედრო დახმარება მოითხოვა. დაპირებები იყო, რეალურად კი არაფერი კეთდებოდა. 1795 წლის სექტემბრის დასაწყისში აღა-მაჰმად-ხანი თბილისსაცენ წამოვიდა. შაჰმა რუსეთში მზვერავები გააგზავნა და დაადგინა, რომ რუსეთი ქართლ-კახეთის სამეფოსა და აღა-მაჰმად-ხანის კონფლიქტში არ ჩაერეოდა (ინფორმაცია „კავკასიის ხაზის“ უფროსის გენერალ გუდოვიჩის დოკუმენტის შედეგად გახდა ცნობილი მზვერავებისთვის). 1795 წლის 29 აგვისტოს მეფე ერეკლე აღშფოთებით სწერდა გარსევან ჭავჭავაძეს, რომ „აღა-მაჰმად-ხანი ბილჩ საქმიანობას ეწევაო“. ირანის შაჰმა საგანგებო ულტიმატუმი გამოუგზავნა ერეკლე II-ს. იგი არ უწონებს რუსეთისკენ გადადგმულ ნაბიჯს და მოითხოვს – ჩამოშორდიო: „თუ ამას არა იქმ, რაც გვიბრძანებია,... საქართველოზე მოვალთ, რუსთა და ქართველთა სისხლს ერთად დავაქცევთ და მტკვრის მსგავსად მდინარეთა გავაკეთებოთ“.

ქართლ-კახეთის ლაშქარი მოუმზადებელი იყო. მეფეს მხოლოდ 5 000 მოლაშქრე მიუვიდა. უფლისწულები არ დაიძრნენ საუფლისწულოდან. იყვნენ მოლალატები, რომლებიც ხალხში მტერთან შებმის უიმედობას ქადაგებდნენ. ალ. ორბელიანმა მოგონება დატოვა მამამისზე, ვახტანგ ორბელიანზე (თევკლა ბატონიშვილის მეულეზე), რომელიც არ მოეშველა სიმამრს (მას 2000 კაცის გამოყვანა შეეძლო) კრნანისის ბრძოლაში. ნიშანდობლივია, რომ მოლაშქრეებიდან 3000 კაცი სოლომონ II-ის მოყვანილი იყო იმერეთიდან.

8 სექტემბერს მტრის დასაზვერვად 12 მხედარი გაგზავნა. ფარეშთუხუცესის გოჯასპ ნათალიშვილის მეთაურობით. იალლუჯის მთაზე ირანელ მოლაშქრეებს გადაეყარნენ. შეებრძოლნენ მტერს და ერთიანად შეაკვდნენ. მხოლოდ გოჯასპი ნათალიშვილი გადარჩა, მოკლული თურქების ცხენით გამოაღწია. 10 სექტემბერს თბილისთან მოახლოებული მტრის ლაშქრის შენაერთს დიდი ზარალი მიაყენა დავით ბატონიშვილმა და დაამარცხა. მოლალატებისა და შაჰის აგენტების საშუალებით ცნობილი გახდა მეფე ერეკლეს ლაშქრის სუსტი მხარეები და აღა-მაჰმად-ხანი კვლავ მძლავრად შემობრუნდა თბილისისაცენ. 11 სექტემბერს დარეჯან დედოფლალმა, ზოგიერთი ქართველი დიდებულის ოჯახთან ერთად, თბილისი დატოვა და ანანურში გაიხიზნა. ამან პანიკა გამოიწვია მოსახლეობაში. სიტუაცია უმართავი გახდა - დაიწყო ქალაქის ძარცვა. ამას მოლალატე ნაძირდები აკეთებდნენ. ერეკლე თავად დაბრუნდა ქალაქში, ვითარება მოაწესრიგა და კვლავ კრნანისში გაბრუნდა.

წინ 11 სექტემბრის ბრძოლა იყო. ბრძოლის თავკაცობა სხვადასხვა ფრონტებზე დაევალათ დავით და ოანე ბატონიშვილებს, იოანე მუხრან-ბატონს, ზურაბ ნერეთელს. სამარქაფო ჯარს (არაგველები) ვახტანგ ბატონიშვილი და ოთარ ამილახვარი ხელ-მძღვანელობდნენ. ქართველ ლაშქარს შეუერთდა სახელდახელოდ შეკრებილი რაზმი, რომელსაც დავით მაჩაბელი „მაჩაბელა“) ედგა სათავეში („ფიცხელ ომში რომ მღეროდა მაჩაბელი“) - ლ.

ასათიანი). მედგრად იპრძოლეს ქართველებმა. ყველას გმირობის მაგალითს აძლევდა 75 წლის ერეკლე II. ქართველთა ლაშქარმა გარკვეულ წარმატებებსაც მიაღწია. თითქმის ათვერ ჭარბმა ძალამ თავისი გააკეთა – მტერი ზურგიდან მოექცა ქართველებს და შეუტია. ქართულმა ჯარმა გმირობა გამოიჩინა. დიდი ნაწილი, მათ შორის, სამასი არაგველი ბრძოლის ველზე დაეცა. ერეკლე მეფემ ჯერ სეიდაბადისკენ დაიხია, შემდეგ ქალაქისკენ. იგი თბილისში შემოვიდა 150 კაცის თანხლებით.

ალა-მაჰმად-ხანი თბილისში 13 სექტემბერს შემოვიდა და ქალაქის დანგრევა დაიწყო. დაანგრია თოფხანა, ზარაფხანა, სემინარია, სტამბა, ავლაბრის ხიდი. განადგურდა მეფის წიგნსაცავიც. ამგვარად, კრწანისის ბრძოლა ტრაგიული შედეგით დამთავრდა.

ერეკლე II აწენილი საქმეების მოგვარებას შეუდგა, შემდეგ თელავში გადავიდა და იქ გატარა სიცოცხლის დარჩენილი წლები. ქვეყანაში რთული ვითარება იყო, მაგრამ დაუძლურებულ მეფეს ალარ შეეძლო ბრძოლის ველზე გასვლა. ამ დროს დარეჯან დედოფალი აქტიურობდა. სიკვდილის წინ მეფე გიორგი ბატონიშვილმა ინახულა. მასთან იყო თეიმურაზ ბატონიშვილი, რომელიც ავადმყოფ პაპას უვლიდა.

1798 წლის 11 იანვარს გარდაიცვალა დიდი ქართველი პოლიტიკური მოღვაწე, ქართლ-კახეთის მეფე, „პატარა კახად“ წოდებული ერეკლე II. ნიშანდობლივია, რომ მეფე იმავე პალატსა და სანოლში გარდაიცვალა, რომელშიც დაიბადა („ქართველებ ვერ გაიგითა, რკინის შეგეხსნათ კარიო, მეფე ერეკლე აღარ გყავთ, ბაგრატიონთა გვარიო“).

ორმოცი დღე იგლოვა საქართველომ დიდი მეფე... მეფის ცხედარი სასახლის მთავარ დარბაზში ესვენა ამბიონზე. აქვე იყო წარმოდგენილი სამეფო რეგალიები. დარბაზის ერთ მხარეზე თეთრ საბურველში გახვეული სეფექალები ისხდნენ, მეორეზე – კარისკაცები გადატეხილი კვერთხებით ხელში. ეზოში მეფის ცხენი იყო უკუღმა შეკაზმული, რომლის აღვირი მინაზე მჯდომარე მეუზანგეს ეჭირა. საერთო გლოვაში - დატირებაში გამორჩეული იყვნენ სოლომონ მსაჯული („მოთქმით ტირილი...“) და ქიზიყელი ქვრივი დედაკაცი, რომელიც „შეწყნარებული იყო კარსა ზედა მეფისასა“. ამ ქალბატონის ტირილი გამორჩეული (ალმატებული) იყო სხვა მგლოვიარეთაგან. მეორმოცე დღეს ერეკლეს ცხედარი მცხეთაში წასვენეს და სვეტიცხოვლის ტაძარში დაკრძალეს („სვეტიცხოვლის ძველ ტაძარში, საქართველოს ცხელი გული ასვენია“ - ლ. ასათიანი).

უნდა აღინიშნოს, რომ უამიანობის გამო (შავი ჭირი მძვინვარებდა) პროცესია თბილისში ვერ შევიდა. მცხეთაში, ეპიდემის შიშით კახელებმა არაგვზე გადასვლა ველარ გაბედეს, კუბო მცხეთელებს გადასცეს და თავად უკან დაბრუნდნენ.

მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ დარეჯან დედოფალი სამგლოვიარო პროცესიას მცხეთაში არ გაჰყოლია. მის გეგმებში შედიოდა, რომ თავისი ღვიძლი შვილებისათვის ტახტი უზრუნველეყო. ეს ვერ მოახერხა. თავის მხრივ გიორგი ბატონიშვილმა შეძლო ბატონიშვილებისა და დიდებულებისათ-

ვის თავისი ერთგულების ფიცი მიეღებინებია (დარეჯანმა ფიცი არ მიიღო). ამის შემდეგ გიორგი ბატონიშვილი დარეჯან დედოფალთან ერთად თელავი-დან გაემგზავრა თბილისში, სადაც ეპიდემია (შავი ჭირი) დამცხრალი იყო.

ქართლ-კახეთის სამეფო ტახტი გიორგი ბატონიშვილმა (გიორგი XII) დაიკავა.

დიდი ქართველი მოღვაწის, ქართლ-კახეთის მეფის, „პატარა კახად“ ნოდებულის ერეკლე II-ის დაბადებიდან 300 წლის აღსანიშნავი წერილი მინდა დავამთავრო კვლავ სოლომონ ლეონიძის ამაღლებული დატირებით („მოთქმით ტირილი“):

„ხელმწიფევ მფლობელო, საზოგადოვ მამავ, მეფევ ორაკლი, ვის მივსცე შენის უმაღლესის თავისა და უძლეველის ტანის უზომო ტრფიალება?! ვის დროშას ვემსახურო?! ვინ შევიყვარო?! ვისთვის მოვკვდე?! ვისთვის ვიცოცხლო. შენს უკან სიცოცხლე საზრახვად გამნარებულმან?!“

არსებობს გადმოცემა: დიდმა თამარმა მეფედ კურთხევის დროს თავის სეფე-სიტყვაში წარმოსათქვა „შიშველი მოვდივარ და ამ ქვეყნიდან შიშველი წავალო“. მეფე ერეკლეს თამამად შეეძლო გაემეორებინა დიდი წინაპრის სიტყვები.

ერეკლე მეორემ შექმნა დიდი ეპოქა. არც ერთ მეფეს, თამარის შემდეგ, არ მიუღია ხალხის დიდი სიყვარული, აღტაცებული ქებათა-ქება, როგორც მეფე ერეკლემ. ის დიდი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე იყო, ჭეშმარიტი გმირი, ბრწყინვალე რაინდი. მისი ხმალი საქართველოსათვის ბრძოლაში არასდროს გადამტყდარა. მრავალნაცად თოფსაც მედიდური წარწერა ჰქონდა:

„მე ვარ თოფი –მუსაიფი  
კახთ ბატონის ერეკლესი“.

დღეს, ერეკლე მეორის დაბადების სამასი წლისთავზე ხმამაღლა უნდა განვაცხადოთ: იგი იყო ყველა დროის ქართველ გამორჩეულ მოღვაწეთა შორის – გამორჩეული და დიდი; მას განსაკუთრებული ადგილი უკავია უკვდავთა შორის.

**ROIN METREVELI****SOME ISSUES FROM THE HISTORY OF GEORGIA  
OF THE 18TH CENTURY  
(the 300th anniversary of the birth of Erekle II)****Abstract**

The 18th century is an important period in the history of Georgia, especially in the time of Teimuraz II and his son Erekle II (from 1720s to 1790s).

In 1744 Nadir Shah of Iran appointed the king of Kakheti, Teimuraz II, as the king of Kartli, and his twenty-four-years-old son Erekle as the king of Kakheti. The father and the son acted in concert as Christians and as a result of their sound policy, the authority of the country increased.

However, the Georgians had to fight with the enemies invading from the North Caucasus and Georgia had a hard time in the relationship with Iran. Consequently, Teimuraz II went to Russia to request Russian troops for help and to borrow some money. But with no success in receiving any assistance, Teimuraz II died in St. Petersburg (1762).

In 1762 Erekle II became the king of Kartli and Kakheti (Kartl-Kakheti). He was recognized as the king by the other states of the East. In 1765, Erekle II defeated a conspiracy led by Paata Batonishvili. He paid great attention to the problems of the peasants.

Due to the complicated situation of the 60s and 70s of the 18th century (the problem of Persian and Lek attacks), Erekle II decided to establish an alliance with Russia. Russian Emperor Catherine II established active diplomatic relations with the Kingdom of Kartle-Kakheti that caused the irritation in Iran and in the Ottomans.

On July 24, 1783, a “Friendship Pledge” (treaty) was signed between Russia and Georgia at the fortress of Giorgievsk in the North Caucasus. Unfortunately, the Russian side did not fulfil the points provided in the “Treaty” in favour of the Kingdom of Georgia (to protect the kingdom, not to abolish the kingdom, to defend the kingdom, independence in administration, etc.). The result was severe. In September 1795, the Georgian army (Erekle II) was defeated in the Battle of Krtsanisi, The country turned out in a difficult situation. Erekle II himself left the capital and moved to Telavi, where he died in 1798. His son Giorgi became the last king of Georgia. After his death (1800) Russia abolished the monarchy and annexed Georgia (1801).

**Keywords:** Georgia; Erekle II; Kartli ; Kakheti; Teimuraz II; Iran; Ottomans; Russia.

**РОИН МЕТРЕВЕЛИ****НЕКОТОРЫЕ ВОПРОСЫ ИСТОРИИ ГРУЗИИ XVIII ВЕКА  
(в связи с 300-летием Ираклия II)****Резюме**

XVIII век – важный период истории Грузии, особенно деятельность отца и сына Теймураза II и Ираклия II (двадцатые-девяностые годы).

Важнейший акт в истории Грузии совершился в 1744 году, когда шах Ирана Надир назначил царя Кахети Теймураза II царем Картли, а его сына, 24-летнего Ираклия – царем Кахети. Отец и сын действовали согласованно, по-христиански. Правильная политика царей Картли и Кахети увеличила авторитет страны.

Грузинам приходилось воевать с набегавшими из Северного Кавказа врагами, отношения с Ираном были сложными. Теймураз II едет в Россию за помощью – просить войско и денег в долг. В 1762 году он скончался в Петербурге, так и не дождавшись этой помощи.

С 1762 года Ираклий II является царем Картли-Кахети. Его признали восточные страны. В 1765 году Ираклий II подавил заговор под предводительством Пааты Батонишвили. Он уделял большое внимание крестьянскому вопросу.

Из-за осложнившейся обстановки в 60-70-х годах XVIII века (проблема нашествий Персии и леков) Ираклий II принял решение установить связь с Россией. Российская императрица Екатерина II установила активные дипломатические отношения с Картли-Кахетинским царством. Это вызвало раздражение Ирана и Османов.

24 июля 1783 года в крепости Георгиевск (Северный Кавказ) между Россией и Грузией был заключен «дружественный договор» (трактат). К сожалению, российская сторона не выполнила приведенные в «трактате» выгодные для Грузии пункты (покровительство, сохранение и защита царства, независимость в управлении и др.). Последствия были печальными. В сентябре 1795 года, в Крцаниской битве, грузинское войско (Ираклий II) потерпело поражение. Страна оказалась в тяжелом положении. Сам Ираклий II покинул столицу и перебрался в Телави, где скончался в 1798 году. Его сын Георгий стал последним царем Грузии, после смерти которого (1800 г) Россия упразднила царство и совершила аннексию Грузии (1801 г).

**Ключевые слова:** Грузия; Ираклий II; Картли; Кахети; Теймураз II; Россия; Ирана; Екатерина II;

## ნიმუშები

### კათოლიკური სიმარტო XIII ს. ქართველ მაცხა მოხატებზე\*

პირველი ჯვაროსნული ლაშქრობა დავით აღმაშენებლის მეფობის ხანას. დავით აღმაშენებლის საგარეო პოლიტიკა გულისხმობდა სხვა ქვეყნებთან დიპლომატიურ მოლაპარაკებებსაც, ეკონომიკურ-სავაჭრო კავშირების დამყარებასაც და, საჭიროებისამებრ, ომსაც. ოლონდაც, „საქართველო, როგორც ბუნებრივი ნაწილი, წევრი იყო იმ აღმოსავლეთის... სადაც იგი საკუთარ, თავისებურ სახლს აშენებდა“ [1, გვ. 43] და, გამომდინარე აქედან, სახელმწიფოებრივი პოლიტიკა ნიშნავდა არა ზოგადად მუსლიმთა წინააღმდეგ ბრძოლას, არამედ, მათი მოძალების შემთხვევაში, ქვეყნის მთლიანობისა და სახელმწიფოს თვითმყოფადობის დაცვას. „მესის მახვილად“ წოდებულ, ქრისტეანობის დამცველ დავით მეფეს ურთიერთობა ჰქონდა მუსლიმურ ქვეყნებთან და საშინაო თუ საგარეო ვითარების გათვალისწინებით შემწყნარებლობას ინარჩუნებდა თავად მუსლიმების მიმართ [6, 293]. ჩვენი აზრით, დავით აღმაშენებლის ასეთმა სახელმწიფოებრივმა აზროვნებამ და ჭვრეტამ „მუსლიმური საკითხისა“ განსაზღვრა კიდევაც მისი დამოკიდებულება ჯვაროსნებთან, რომელიც იყო ფრთხილი და მოზომილი. თუმცა ამგვარ პოლიტიკას, ვფიქრობთ, მხოლოდ მუსლიმური საკითხი არ განაპირობებდა. სამეფო კარს, თავისი კარგად აწყობილი მსტოვართა სამსახურისა და დიპლომატიური კავშირების მეშვეობით ჩინებულად უნდა სცოდნოდა, თუ რა პროცესები მიმდინარეობდა ბიზანტიაში. მართალია, ბიზანტიის იმპერატორთა და ქართველ მეფე-მთავართა ტერიტორიულ დაპირისპირებას საუკუნობრივი ისტორია ჰქონდა, მაგრამ ლათინთა იდეოლოგია – რომის პაპის საყდრისთვის დაექვემდებარებინათ ბერძენთა მართლმადიდებელი ეკლესია და პოლიტიკური გავლენის ქვეშ მოექციათ მახლობელი აღმოსავლეთის არა მხოლოდ მუსლიმური სამფლობელოები, არამედ საკუთრივ ბიზანტიაც – საქართველოს სამეფო კარისთვის მაუწყებელი უნდა ყოფილიყო, რა ძალა მკვიდრდებოდა ჯვაროსნული ლაშქრობების კვალდაკვალ წინა აზიაში, ქვეყნის სამხრეთ საზღვრებთან. ამიტომ, ჩვენი აზრით, დავით აღმაშენებლის მოზომილი კავშირები ჯვაროსანთა წინამძღვრებთან იყო შედეგი მისი შორსმჭვრეტელური და ეროვნული იდეოლოგიისა. ისტორიულ წყაროებში შემონახულია არაერთი ცნობა, საიდანაც ჩანს, რომ მეფე დავით IV-სა და ჯვაროსან მეთაურთა შო-

\* გაგრძელება. დასაწყისი იხ. მაცნე, ისტორიის... სერია, № 1, 2020

რის არსებობდა გარკვეული კავშირები (ქართველ მოლაშქრეთა მონაწილეობა იერუსალიმისთვის ბრძოლაში, ბოლდუინ II-ის თითქოსდა ფარულად ჩამოს-ვლა საქართველოში, მეცე ბოლდუინისადმი გაგზავნილი ინსიგნიები, მცი-რეოდენ „ფრანგთა“ დასწრება დიდგორის ბრძოლისას) [6, 292], თუმცა ამ მასალიდან, ვფიქრობთ, არ უნდა დავასკვნათ, რომ მათ შორის ჩამოყალიბდა ისეთი კავშირი, რომელიც ემყარებოდა საერთო მიზნებსა და ერთიან შეფასე-ბას მახლობელი აღმოსავლეთის პოლიტიკური პროცესებისა, ამიტომ არც ეს კავშირები უნდა გადაზრდილიყო მტიდრო პოლიტიკურ ურთიერთობებში. ჯვაროსნები სარწმუნოებრივ საფარქევეშ ერთნაირად მტრობდნენ მუსლიმებ-საც, იუდეველთაც და საკუთრივ ქრისტეან-მართლმადიდებლებსაც. ამის თაობაზე ზ. ავალიშვილი თავის გამოკვლევაში ქართველთა და ჯვაროსანთა შესახებ მართებულად შენიშნავს, რომ მათი „პოლიტიკის მიზანი, ფარგალი და საშუალებანი სრულიად“

განსხვავებული იყო“. თუმცა, გარდა ამ სხვადასხვა პოლიტიკური ხედ-ვისა, ქართველთა და ჯვაროსანთა

განსხვავებული მიზნები საერთაშორისო სავაჭრო-ეკონომიკურ სფერ-ოშიც ვლინდებოდა. ორივე მხარე ცდილობდა დამკვიდრებულიყო მახლო-ბელი აღმოსავლეთის საქარავნო გზებზე და თავიანთი გავლენის ქვეშ მოექ-ცია ამ გზების გასწვრივ განლაგებული ციხე-სიმაგრეები თუ ქალაქები, რაც სანინდარი გახლდათ საკუთარი საგარეო ვაჭრობის უსაფრთხოების უზრუნ-ველყოფისა. დავით აღმაშენებლის საგარეო პოლიტიკა მიმართული იყო იმ მიწა-წყლის დაუფლებისა ან დაბრუნებისკენ, ქვეყნის საზღვრებს აღმოსავ-ლეთიდან და სამხრეთიდან რომ ემიჯნებოდა და დიდი საქარავნო გზების მონაკვეთებს მოიცავდა. ამისკენ იგი ნაბიჯ-ნაბიჯ, განუხრელად მიიღო და, რადგანაც ამ მიზნის ხორცშესხმას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა სამე-ფოს ეკონომიკური სიძლიერის შენარჩუნებისთვის. ამიტომ, საგარეო ეკო-ნომიკური პოლიტიკის გატარების მხრივადაც საქართველოსა და ჯვაროსან-თა მიზნები არ ემთხვეოდა ერთმანეთს.

ადრე შუა საუკუნეებში საქართველოსა და საერთაშორისო სავაჭრო ცენტრებს შორის გაბმული იყო ინტენსიური ვაჭრობა. ამას შედეგად მოჰყვა მდ. მტკვრის გასწვრივ მდებარე საქართველოსა და აზერბაიჯანის ქალაქების დაწინაურება და აღმავლობა. ეს სავაჭრო-ეკონომიკური კავშირები შენარჩუ-ნებული იყო XI-XII სს-შიც და საქართველოს ურთიერთობები დამყარებული ჰქონდა ეგვიპტე-სირია-პალესტინასთან თვით შუა აზიამდე. საქართველოს დედაქალაქი თბილისი დიდ როლს ასრულებდა საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებში და დავითის მიერ მისი შემოერთებით დასრულდა არა მხოლოდ პოლიტიკური ერთიანობა სამეფოსი, არამედ უფრო გაფართოვდა საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკური ინტერესები მახლობელი და შუა აღ-მოსავლეთის ქვეყნებთან [გაბაშვილი 2016: გვ. 150]. თუმცა მანამდე მეცე დავით IV-მ დაიკავა (ან დაიბრუნა) ყველა ის ქალაქი თუ ტერიტორია, სადაც სატრანზიტო გზის ამიერკავკასიის მონაკვეთი გადიოდა (სამშვილდე (1110 წ.), გიში (1117 წ.), ლორე (1118 წ.), ყაბალა (1120 წ.), ბარდავი (1121 წ.),

შირვან-შემახადან თურქ-სელჯუკთა განდევნა (1120-1123 წ.წ.), რაც მიზნად ისახავდა ირან-ლევანტის სავაჭრო გზაზე გაბატონებას. და ბოლოს, მეფემ საქართველოს დედაქალაქის შემოერთებით თბილისის საამირო გამოსტაცა მუსლიმურ პოლიტიკურ-ეკონომიკურ სამყაროს და იგი ქართულ პოლიტიკურ-ეკონომიკურ სივრცეში დააბრუნა. ამიერიდან საქართველოს სამეფოს საგარეო სავაჭრო მიზნები, შეიძლება ითქვას, დაუბრკოლებრივ ხორციელდება ცენტრალური კავკასიის (და არა მხოლოდ) სატრანზიტო-საქართვო გზების მეშვეობით. თუკი მუსლიმურ სამფლობელოებს მახლობელი აღმოსავლეთის სამხრეთ სავაჭრო-საქართვო გზებზე მეტოქეობას ჯვაროსნები უწევენ, რეგიონის ჩრდილოეთ ნაწილში საქართველოს სამეფო ხდება ერთ-ერთი ის მხარე, რომელიც საერთაშორისო პაზარზე წარსდგა როგორც ქვეყანათ-შორისი სავაჭრო პროცესის მნიშვნელოვანი მონაწილე. ზემოთ ვთქვით, რომ XII ს-დან მახლობელი აღმოსავლეთის პოლიტიკურ-ეკონომიკურ ვითარებას განსაზღვრავდა სამი ძალის – მართლმადიდებელი ქვეყნების, მუსლიმური სამფლობელოებისა და ახლადშექმნილი კათოლიკური ქვეყნების ურთიერთ-მიმართება. მაგრამ ამ საუკუნეში ლევანტის კათოლიკური ქვეყნებისა და გენუა-ვენეცია-პიზის კოლონიების ეკონომიკურ-სავაჭრო ასპარეზი შემოიფარგლებოდა ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთი და სამხრეთი სანაპირო ტერიტორიების არეალით, მახლობელი აღმოსავლეთის საქართვო გზების ჩრდილოეთ მონაკვეთზე მათ ხელი არ მიუწვდებოდათ და მათი საფასეები აქ წარმოებული სავაჭრო ოპერაციების დროს სხვა ქვეყანათა მონეტების დარად და ტოლფასოვნად არ გამოიყენებოდა. ამდენად, ცენტრალური კავკასიისა და წინა აზიის ჩრდილოეთი მხარის (ბიზანტიის ტერიტორია) სატრანზიტო ვაჭრობა მიმდინარეობდა უწინდებურად, ტრადიციულად, სადაც სავაჭრო ოპერაციები ძირითადად ხორციელდებოდა ბიზანტიური, ქართული და მუსლიმური საფასეებით. ვიმეორებთ, ბიზანტიის იმპერატორთა სავაჭრო-სამონეტო სფეროზე გავლენა ვერ მოახდინა ვერც კათოლიკთა დამკვიდრებამ ლევანტში და ვერც იტალიელთა სავაჭრო კოლონიების შექმნამ ხმელთაშუა ზღვის სამხრეთი სანაპიროს გაყოლებით. ამიტომაცაა, რომ XII საუკუნეში მოჭრილ ბიზანტიურ მონეტებზე არ არის აღბეჭდილი ხსენებული კათოლიკური სიმბოლო. ასევე არ არსებობდა არანაირი საფუძველი, რომ „ხუთჯვრიანი“ ნიშანი გაჩენილიყო დავით აღმაშენებლისა და მისი მომდევნო მეფეების მონეტებზე. მართალია, ჯვაროსნებმა XII საუკუნის განმავლობაში სამგზის – 1096-1099, 1147-1149, 1189-1192 წ.წ.-ში იღაშქრეს მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებში, მაგრამ იმხანად ევროპელთა პოზიციები წინა აზიის არც პოლიტიკურ და არც საერთაშორისო სავაჭრო სარბიელზე არ იყო მყარი და სხვათათვის ანგარიშგასაწევი. აქ ქვეყანათშორის ვაჭრობაში უპირატესად მონაწილეობდნენ მუსლიმი გამგებლები და მართლმადიდებელი ბერძენი იმპერატორები და მათ მიერ სავაჭრო-საფინანსო ბერკეტების ფლობა განაპირობებდა იმ ფაქტს, რომ ქართველი მეფეების მონეტებზე მონიშნული იყო, ერთი მხრივ, ბიზანტიური სტილისთვის დამახასიათებელი გამოსახულებანი და, მეორე მხრივ, ლეგენდები მუსლიმურ-არაბულენოვანი ზედნერილობით.

დავით აღმაშენებელმა და XII ს-ის ქართველმა მეფეებმა (დემეტრე I, გიორგი III) სწორედ ამგვარად მოქრილი მონეტებით წარადგინეს საქართველო მახლობელი აღმოსავლეთის საგაჭრო-ეკონომიკური ურთიერთკავშირების დროს.

პირველი „ხუთჯვრიანი“ მონეტა საქართველოში ჩნდება თამარის მეფობისას, მისი ზეობის მეორე ნახევარში, 1200 წელს. საერთოდ, თამარის მონეტები იყოფა რამდენიმე ჯგუფად: 1) გიორგი III-სა და თამარის მონეტები (1178-1184 წ.წ.); 2) თამარ მეფის მონეტები მისი ხელრთვით (1187 წ.); 3) მონეტები წარწერით „თამარ დედოფალი“ და 4) თამარისა და დავითის მონეტები „ბაგრატიონთა საგვარეულო ნიშნით“ (1200 წ.). პირველი სამი ჯგუფის მონეტებზე „ხუთჯვრიანი“ ნიშანი არსად გვხვდება. მისი გაჩენა აღინუსხება XIII ს-ის დასაწყისში, ერთი წლით ადრე. ჩვენი აზრით, თამარის ბოლო მონეტაზე კათოლიკური სიმბოლოს გაჩენის მიზეზები უკავშირდებოდა წინა აზიაში განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებს და მათგან გამომდინარე სრულიად განსხვავებულ საგაჭრო-ეკონომიკურ სინამდვილეს.

IV ჯვაროსნული ლაშქრობის შედეგად ლათინებმა 1204 წელს დაიკავეს დედაქალაქი კონსტანტინოპოლი და ბიზანტიის იმპერიის მიწა-წყალზე დაარსეს ლათინთა იმპერია, რომლის სამოქალაქო და სასულიერო სფეროსაც კათოლიკე იმპერატორები და დასავლეთევროპელი პატრიარქები განაგებდნენ ვიდრე 1261 წლამდე. ამას გარდა, ყოფილი ბიზანტიის იმპერიის ტერიტორიაზე იქმნება რამდენიმე პოლიტიკური ერთეული, რომელთაგან ბალკანეთში სამ ერთეულს ლათინები ქმნიან: 1) თესალონიკის სამეფო (1204-1224); 2) ათენის საგრაფო (1204-1458); 3) აქაიას სათავადო (მორეას პრინციპატი) (1204-1432). ბალკანეთის ეპირის დესპოტატს (1204-1479 წ.წ.), წინა აზიის ნიკეის იმპერიასა (1204-1261 წ.წ.) და ტრაპიზონის საკეიისროს (1204-1462 წ.წ.) მართავენ ბერძნები. ლათინთა იმპერიის დაარსებით წინა აზიაში ახალი პოლიტიკურ-ეკონომიკური ვითარება დასადგურდა. კონსტანტინოპოლში შეიქმნა ვენეციელთა სამი სავაჭრო კვარტალი, რომელთაგან გალათას დასახლება პორტის ფუნქციასაც ითავსებდა – ვენეციელებმა მოიპოვეს უფლება, თავისუფლად გადასულიყვნენ ბოსფორზე. მალევე ისინი ეუფლებიან პროპონდიტის სანაპიროსა და ჰელესპონტს, რითიც უზრუნველყოფენ საკუთარ სავაჭრო ბატონობას მარმარილოს ზღვაში. ისინი ფლობენ კ. კრეტას (ხელახლა), სამხ. ჰელოპონეისის პორტებს, კორინს, მოდინს, იონიის ზღვის კუნძულებს, ხოლო ევრეას, სპორადებსა და კიკლადებს – ეგეოსის ზღვაში. რაც მთავარია, მათ ხელშია ლათინთა იმპერიის ყველა მსხვილი ქალაქი და ამ სავაჭრო ქალაქებთან დამაკავშირებელი სატრანზიტო გზები. ვენეციელებმა დაისაკუთრეს ბოსფორისა და ოქროს ყურის ყველა მნიშვნელოვანი პორტი. მეტიც, 1206 წელს ვენეციელებს მუდმივი ვაჭრობისთვის გზა ეხსნებათ შავი ზღვისკენ და მათი სავაჭრო კოლონიები და კანტორები დაარსდა ყირიმსა და აზოვისპირეთშიც (ხოლდაი, ბალაკლავა, ქერჩი, ტამანი), აგრეთვე განახლეს ვაჭრობა ტანაში. ლათინთა იმპერიის არსებობისას ვენეცია გახდა საზღვაო მიმოსვლისა და კავშირების სრულუფლებიანი მეპატრონე.

ერთი სიტყვით, ვენეციელთა სავაჭრო იმპერიაში მოქეცა დიდი საზღვაო გზა ხმელთაშუა ზღვიდან შავი და აზოვის ზღვების ჩათვლით. ვენეციელ დოჟებს ეკუთვნოდათ ხატოვანი გამოთქმა, რომ ისინი იყვნენ „Властиели четверти и получетверти Византийской Империи“. თუმცა მხოლოდ ამით არ შემოიფარგლებოდა დასავლეთევროპელთა მონაპოვარი წინა აზიაში. საუკუნის დასაწყისში ვენეციელები სავაჭრო ხელშეკრულებებით უკავშირდებიან მართლმადიდებლურ ქვეყნებსაც და მუსლიმ მმართველებსაც. 1205 წელს ვენეციელები ფუძნდებიან ქ. დრაშაში, ბიზანტიელთა მიერ დაარსებულ ეპირის სამფლობელოში, რაც უზრუნველყოფდა ბალკანეთის ნახ.კ.-ის დასავლეთ სანაპიროზე მათ სავაჭრო საქმიანობას. 1219 წელს ისინი დებენ ხელშეკრულებას ნიკეასთან – გადასახადების გარეშე ვაჭრობენ ნიკეის მთელ სანაპიროზე და პორტებს იყენებენ ტრანზიტისთვის; 1203-1237 წლებში სამგზის აფორმებენ ხელშეკრულებებს რუმის სულთნებთან, რის თანახმადაც თავისუფლად გადაადგილდებიან და ვაჭრობენ იკონის მთელ ტერიტორიაზე. 1207 წელს თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებას დებენ ალეპის სულთანთან, ხოლო 1217 წელს – ეგვიპტის სულთანთან. გარდა ამისა, 1221 წელს გაფორმდა ვენეცია-მონოლოლთა სახანოს ხელშეკრულებაც. ამრიგად, ვენეცია გადაიქცა კოლონიურ იმპერიად, სადაც ლათინი ვაჭრები საკუთარ საქმიანობას დაუბრკოლებლივ ახორციელებენ წინა აზიის მთელ ტერიტორიაზე და ხმელთაშუა, შავი, აზოვის, მარმარილოს, ეგეოსისა და ოონის ზღვებზე.

XIII ს-ში გენუა-ვენეცია-პიზის ქალაქების მონოპოლია წინააზიის საერთაშორისო ვაჭრობაში ეფუძნდებოდა აქ დაარსებული კათოლიკური პოლიტიკური ერთეულების ფაქტორს – ლათინთა ვერანაირი სავაჭრო კოლონიური იმპერია ვერ გაჩნდებოდა, ჯვაროსნებს ბიზანტიის მინაწყალზე საკუთარი კათოლიკური სამფლობელოები რომ არ დაეარსებინათ. მახლობელი აღმოსავლეთის კათოლიკურ პოლიტიკურ ერთეულებში თავისუფლად მოძრაობდა როგორც იტალიური მონეტები (გროსები, დუკატები, ცეხინები), ასევე საკუთრივ ჯვაროსან მეფე-იმპერატორთა მონეტებიც, რომელებზეც გამოსახული იყო „ხუთჯვრიანი“ ნიშანი. ამას გარდა, „ხუთჯვრიანი“ მონეტებით სავაჭრო-სააღებმიცემო ოპერაციები ხორციელდებოდა მახლობელი აღმოსავლეთის იმ მუსლიმური სამფლობელოების ტერიტორიებზეც, რომლებთანაც ვენეციელმა ვაჭრებმა ხელშეკრულებების თანახმად მიიღეს თავისუფალი ვაჭრობის უფლება. აქვე უნდა ითქვას, რომ ამიერიდან კათოლიკური ინტეგრაციის გამოშხატველი ეს სიმბოლო აღინუსხებოდა არა მხოლოდ ლევანტის, არამედ წინა აზიის კათოლიკ მეფე-მმართველთა მონეტებზე (საბრძოლო აღჭურვილობაზე, საბეჭდავებზე, გერბებსა და ა.შ.). დავასახელებთ ზოგიერთ მათგანს:

1. ლათინთა იმპერია – მეფე ბოლდუინ I (1204-1205) (სურ. 27),
2. თესალონიკი – მანუილ დესპოტი (1230-1237) (სურ. 28), ანრი I ვალუა (1318.1322) (სურ. 29),
3. აქაია (მორეას პრინციპატი) – უილიამ ვილარდუელი (1245-1278) (სურ. 30), მატილდა პაინაუტელი (1316-1321) (სურ. 31),



Տպր. 27



Տպր. 28




Տպր. 29



Տպր. 30



Տպր. 31



სურ. 32



სურ. 33

4. ეპირის საჰერცოგო – ფილიპ დე კურტენე (1243-1283) (სურ. 32), ლეონ-არდო III ტოვო (1448-1479) (სურ. 33).

ამრიგად, XII საუკუნის ბოლოს უკვე აშკარა ხდება, რომ ლათინების გაბატონება ბიზანტიაში გამოიწვევდა სრულიად ახალ პოლიტიკურ ვითარებას წინა აზიის ტერიტორიაზე, რაც შემდგომ აისახებოდა რეგიონის საერთაშორისო-ეკონომიკურ ურთიერთობებსა და, საკუთრივ სავაჭრო სფეროში.

ამ პროცესების წინაპირობები, ვფიქრობთ, იმთავითვე მოქმედეოდა თამარის სამეფო კარის თვალსაწირში და, ჩვენი აზრით, ახალი რეალობის გათვალისწინებით უნდა აიხსნას თამარის მიერ 1200 წელს მოქრილ მონეტაზე გაჩენილი ლათინთა სიმბოლოც – ფაქტია, რომ თამარ მეფის სახელით წინა წლებში გამოშვებულ მონეტებზე „ხუთჯვრიანი“ წიშანი არ გამოისახებოდა. ეს სიმბოლო თამარის მონეტაზე ჩნდება მაშინ, როდესაც ყველასთვის გაცხადდა ჯვაროსანთა სწრაფვა კონსტანტინოპოლის ასაღებად. მართლაც, განვითარებული მოვლენები მანიშნებელი იყო იმისა, რომ დასავლეთევროპელთა მომავალი (კარს მომდგარი) ლაშქრობის უპირველესი სამიზნე ბიზანტიის იმპერია გახდებოდა:

1198 წელს პაპი ინოკენტი III რამდენჯერმე აქვეყნებს ენციკლიკას, სადაც მოცემულია ახალი ჯვაროსნული ლაშქრობის გეგმა.

1200 წელს 35.000-იანი ლაშქარი მზადა გაემართოს წინა აზისკენ.

1201 წელს ვენეციის დოჟი ჯვაროსანთა მეთაურებთან ხელს აწერს შეთანხმებას, რათა მათი ჯარი გემებით გადასხას და თავადაც შეუერთდეს მათ.

1201 წელსვე ისააკ II-ს შვილი ალექსი ჩადის იტალიაში და დახმარებას ითხოვს ბიძამისის, ალექსი III-ის წინააღმდეგ.

1202 წლის ივნისში ჯვაროსნები მიემართებიან დალმაციისკენ და წოემბერში იღებენ კათოლიკურ ქალაქ ზადარს.

1203 წლის აპრილში კ. კორფუზე ისააკ II-ის ვაჟი ალექსი და ჯვაროსნები ერთმანეთს ხვდებიან.

1203 წლის ივლისში ჯვაროსნები შედიან ოქროს ყურეში, იწყება ქალაქის აღყანი.

1204 წლის აპრილში ბიზანტიის დედაქალაქი დაეცა.

თამარისდროინდელ სამეფოში, სადაც ყველა სახელმწიფო ინსტიტუტი იყო ძლიერი და გამართულად მოქმედებდა, საგარეო სფეროს შესაბამისი სამსახურიც, დავითისდომინდელი მსტოვართა უწყება ასევე გამოირჩეოდა თავისი საქმიანობით, რომელიც სამეფო კარს აწვდიდა ცნობებს იმ პროცესების შესახებ, სხვა სახელმწიფოთა პოლიტიკურ ცხოვრებაში რომ შეიმჩნეოდა. ამას გარდა, საქართველოში ცნობები მოდიოდა არა მხოლოდ ოფიციალური სტრუქტურების მეშვეობით, არამედ სხვა გზებითაც, იქნებოდა ეს ვაჭარ-მოგზაურთა წრეები თუ სასულიერო პირები, რომლებიც ბიზანტიის ეკლესია-მონასტრებში მოღვაწეობდნენ და რომელთაც მეფე თამარი მუდამ ეხმარებოდა მნიშვნელოვანი შემონირულობებით [5, 91]. თავად ის ფაქტი, რომ თამარის-დროინდელმა მემატიანემ, ბასილი ეზოსმოძღვარმა ზუსტად იცოდა, თუ რა შემადგენლობის იყო ჯვაროსანთა ლაშქარი („ფრანგნი“ და „ვენეტიკნი“), მეტყველებს, რომ სამეფო დარბაზი ყოველივეში, რაც წინ უძლოდა IV ჯვაროსნულ ლაშქრობას, მის მომზადებას, ჩინებულად იყო გათვითცნობიერებული. ამ ცვლილებებისთვის და მისი შედეგებისთვის თამარ მეფე, ჩანს, ემზადებოდა და ამას უკავშირდებოდა მისი ორი პოლიტიკური ნაბიჯი – ტრაპიზონის იმპერიის დაარსება, რაც წინ უსწორებდა ლათინთა მიერ კონსტანტინოპოლის აღე-

ბას\* და ასევე წინსწრებით მოჭრილი ქართული მონეტა კათოლიკური ნიშნით. საერთო ნიადაგზე აღმოცენებული ეს ორი ფაქტი თავისი არსით განსხვავებულ დამოკიდებულებას გამოხატავდა მოსალოდნელი (უფრო გარდაუვალი) მოვლენისადმი. „ხუთჯვრიანი“ ნიშნით აღძეჭდილი მონეტა, როგორც საერთაშორისო ასპარეზზე წარსადგენი საშუალება, მაუწყებელი უნდა ყოფილიყო საქართველოს სამეფოს მიერ ახალი პოლიტიკური რეალობის აღიარებისა და განახლებულ სააღებმიცემო კავშირებში მონარილეობისა, ხოლო სამეფოს სამხრეთ-დასავლეთ საზღვართან ტრაპიზონის იმპერიის შექმნა გახლდათ ქართული საგარეო კურსის შეუქცევადობის დამადასტურებელი პოლიტიკური აქტი. აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ტრაპიზონის იმპერია იყო წინა აზიის ერთადერთი პოლიტიკური ერთეული, სადაც XIII საუკუნის განმავლობაში ლათინებმა ვერ შეაღწიეს. ტრაპიზონის საკეისროს მსხვილი პორტების ციხე-სიმაგრეებში ჩაყენებული იყო ქართული გარნიზონები, რომელთა ნების გაუთვალისწინებლად (ე.ი. საქართველოს სამეფო კარის ნებადაურთველად) საკეისროს მმართველნი იტალიურ ქალაქ-რესპუბლიკებთან არ დებდნენ სააღებმიცემო ხელშეკრულებებს და რომლის მინაზე XIV ს-ის დამდეგამდე არ დაფუძნებულა არც ერთი იტალიური სავაჭრო კოლონია თუ ფაქტორია. ტრაპიზონის საკეისრო გახდა ის პოლიტიკური ერთეული, რომელიც, ერთი მხრივ, იცავდა საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ საზღვარს და, მეორე მხრივ, თავის საზღვრებში უზრუნველყოფდა ქართული საგარეო-სავაჭრო პოლიტიკის განხორციელებას. ოღონდაც ხაზგასასმელია, რომ მთელ წინა აზიაში პოლიტიკური გარემო შეიცვალა და ქვეყანათშორის ურთიერთობებს უკვე ლათინებიც წარმართავენ. რეგიონის საერთაშორისო-სავაჭრო სფერო ასევე მოექცა მათ მიერ ხელდასხმულ ვენეციელ-გენუელთა ხელში. ამ ძირეული ცვლილებების შესაბამისად „ხუთჯვრიანი“ ნიშანი აისახა თამარის მონეტასა (1200 წ.) და მისი თანამოსაყდრე ლაშა-გიორგის საფასეზე (1207 წ.).

ამრიგად, თამარ მეფის მონეტა (1200 წ.) გახლავთ პირველი ქართული ფულადი ერთეული, სადაც გამოსახულია ხსენებული სიმბოლო. ამ კათოლიკური ნიშნის გაჩენა შედეგია მახლობელი აღმოსავლეთის პოლიტიკურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში XIII ს-დან დაწყებული პროცესებისა. კერძოდ, ბიზანტიის მართლმადიდებლური იმპერიის ნაცვლად მის ადგილას გაჩნდა ლათინური კათოლიკური იმპერია, რომელსაც დაექვემდებარა ბალკანეთის ლათინური პოლიტიკური ერთეულებიც. ამ ახალმა რეალობამ გამოიწვია მთელი რიგი ცვლილებებისა რეგიონის პოლიტიკურ-ეკონომიკურ ურთიერთობებში. ამიერიდან ლევანტის ქვეყნების, მთელი წინა აზიის, ბალკანეთის ნახ.კუნძულის კათოლიკური ქვეყნების ტერიტორიებზე და, გარდა ამისა, მუსლიმურ გეოპოლიტიკურ არეალშიც საერთაშორისო ვაჭრობა უპირატესად ხორციელდება ვენეცია-გენუის კოლონიების მეშვეობით, რომლებმაც სავაჭრო მონოპოლია

\* ჩვენ ვიზიარებთ სამეცნიერო ლიტერატურაში მკვლევართა მიერ გამოთქმულ თვალსაზრისს, რომლის თანახმად ტრაპიზონის საკეისრო დაარსდა კონსტანტინოპოლის დაცემამდე და სამერმისოდ ამ საკითხს ცალკე სტატიაში განვიხილავთ.

მოიპოვეს საქართვის გზებზე, მსხვილ სახმელეთო თუ სანაბირო ქალაქებში და ხმელთაშუა ზღვის კუნძულებზე – თვით დასავლეთ ევროპამდე. ამ საერთაშორისო ფულად-საკრედიტო სისტემაში ადგილს იმკვიდრებენ ლათინ მმართველთა „ხუთჯვრიანი“ მონეტები. 1200 და 1207 წლებში მოჭრილი თამარისა და ლაშა-გიორგის მონეტები, რომლებზეც გამოსახულია, ერთი მხრივ, კათოლიკური ნიშანი, ხოლო მეორე მხრივ, არაბულენოვანი წარწერები, წარმოაჩენს მახლობელ აღმოსავლეთში დასადგურებულ ახალ პოლიტიკურ და სავაჭრო-ეკონომიკურ სინამდვილეს. ლევანტ-წინააზია-ბალკანეთის კათოლიკური სამეფო-სამთავროების მმართველნი პოლიტიკურად უზრუნველყოფ-დნენ ევროპელი ვაჭრების მონოპოლიურ სააღებმიცემო საქმიანობას და აზიასა და ევროპას შორის სავაჭრო კავშირები ძირითადად ხორციელდებოდა იტალიური ქალაქების (ვენეცია, გენუა, პიზა) მიერ დაარსებული კოლონიების მეშვეობით. სწორედ ეს ახალი, სრულად განსხვავებული რეალობა აისახა საქართველოს მეფეთა და ბიზანტიის იმპერატორთა სამონეტო სფეროში, როდესაც საქართველოში 1200 წლიდან გამოშვებულ მონეტებზე ჩნდება „ხუთჯვრიანი“ ნიშანი, ხოლო 1261 წ.-ს აღდგენილ ბიზანტიის იმპერიაში პალეოლოგები (მიხეილ VIII (1261-1282), (სურ. 34); ანდრონიკე II (1252-1328), (სურ. 35); იოანე V (1341-1347) (სურ. 36); მანუილ II (1391-1423) (სურ. 37) ასევე პირველად იწყებენ ამ სიმბოლოს გამოსახვას საკუთარ მონეტებზე.

რუსუდანის მონეტები „ხუთჯვრიანი“ ნიშნით მოჭრილია 1227 და 1230 წლებში. იმხანად საქართველოს სამეფო კარს მიმოწერა ჰქონდა ჯვაროსნებთან. ასეთი მიმოწერა დასტურდება ლაშა-გიორგის დროს, კერძოდ მასსა და პაპის ლეგატს, კარდინალ პელაგიუსს შორის. თუმცა, თუკი ლაშა-გიორგის დროს კავშირის დამყარების ინიციატორები თავად ლათინები ჩანან, რომელნიც დახმარებას საჭიროებენ „ახალი ალექსანდრე მაკედონელისგან“, რუსუდან დედოფლის ზეობისას წერილების შინაარსი, ხვარაზმელთა თუ მონღლოლთა მოძალებისა გამო, იცვლება და ახლა უკვე საქართველოს სამეფო კარი ითხოვს ევროპელთაგან, რომ თავიანთი ძალებით დაიცვან სამეფო. თანაც დედოფლალი პაპს სთხოვდა კურთხევას „თავისთვის და ყველა თავისი ქვეშევრდომი ქრისტეანთათვის“, რაც ნიშნავდა საქართველოსა და კათოლიკური ეკლესიების გაერთიანების თანხმობას. მართალია, საქართველოს ურთიერთობას რომის პაპებთან სასურველი შედეგი არ მოჰყოლია, მაგრამ ეს კავშირები მყისვე აისახა სულიერ-სარწმუნოებრივ სფეროში. ჯერ იყო და 1230 წლების დასაწყისში პაპი გრიგოლ IX საქართველოში გზავნის ფრანცისკელ ბერებს იაკობ დე რუსანოს მეთაურობით, რაც დღემდე ცნობილი წყაროებით, გახლავთ დასაწყისი კათოლიკ მისიონერთა მოღვანეობისა საქართველოში. შემდეგ პაპი 1233 წელს რუსუდანს სთხოვს მონორიტების მისიონერთა მფარველობას, რომელიც თბილისში იმყოფებოდნენ. 1240 წელს საქართველოში ჩამოდიან დომინიკელი ბერები და იმავე წელს თბილისში აარსებენ დომინიკელთა მონასტერს, ხოლო 1289 წელს ახალციხეში ჩნდება კათოლიკური ეკლესია (ამასთან დაკავშირებით საგულისხმოა, რომ საქართველოში, კერძოდ ქ. ცხუმში იტალიელი ვაჭარი, წყაროთა თანახმად, პირველად ნახსენებია 1280-იან წლებში).



სურ. 34



სურ. 35



სურ. 36



სურ. 37

თამარის მემკვიდრეთა (ლაშა-გიორგი, რუსუდანი) და რომის პაპების ეპისტოლარული კავშირებიდან ჩანს, რომ საქართველოს სამეფოს მიმართ დასავლეთევროპელთა ინტერესები შეესატყვისებოდა მათ იდეოლოგიურ-სარწმუნოებრივ მიზანს, რაც ერთ-ერთი შემადგენელი გახლდათ ზოგადად მათი აღმოსავლური პოლიტიკისა – კათოლიკობის ინტეგრაციის გზით ყველა ქრისტეანული ეკლესიის დაქვემდებარება რომის ტახტისთვის. ეს პროცესი ასახულია XIII ს-ის არაერთ ისტორიულ ქრონიკასა თუ ოფიციალურ დოკუ-მენტებში, საიდანაც ირკვევა, რომ რომის პაპები საქართველოს მსგავსად ემისრებს გზავნიდნენ ჩრდილოეთის, ცენტრალური აზიისა და შორეული აღ-მოსავლეთის ქვეყნებში. ეკლესიათა შეერთების მოწოდებით ჩადის რუსეთში 1207 წელს კარდინალი ვიტალისი, მისიები გრძელდება 1224 და 1231 წლებ-შიც. დომინიკელების მცდელობის შედეგად აშენებენ კათოლიკურ ეკლესიას კიევში (1228 წ.), ხოლო საუკუნის ბოლოსთვის მათ უკვე დაარსებული აქვთ ათი ეკლესია და მონასტერი. რუსეთში, ისევე, როგორც საქართველოს სამე-

ფოში, რომის პაპს შეჰეურებენ იმედის თვალით, რათა ევროპა მათ დახმარებოდა მონღოლთა წინააღმდეგ, სანაცვლოდ ისინი თანხმდებიან ეკლესიათა გაერთიანებას – არაერთი რუსი მთავარი გადადის კათოლიკურ რწმენაზე (მაგ. ალექსანდრე ნეველის მამა იაროსლავ ვსევოლოდის-ძე და სხვ.). იგივე ვითარება შეინიშნება ბიზანტიაშიც. იმპერატორი მიხეილ VIII, მას შემდეგ, რაც გენუელთა მხარდაჭერით აღადგინა ბიზანტიის იმპერია და 1261 წელს ტახტზე ავიდა, თანახმა ეკლესიათა გაერთიანებისა. იგივე სურთ მომდევნო პალეოლოგებსაც: იოანე კანტაკუზინს (1341-1355), იოანე V-ს (1355-1391), მანუილ II-ს (1391-1425), იოანე VIII-ს (1425-1448).

განსაკუთრებით თვალშისაცემია კათოლიკეთა მოღვაწეობა XIII ს-ის შუა წლებიდან. ამ დროს მათი მისიონები ფუძნდება მონღოლეთშიც, სადაც საუკუნის განმავლობაში რამდენიმეგზის იგზავნება რომის პაპთა მისიები (1243-1292 წ.წ.-ში ოთხჯერ). პაპი ნიკოლაი IV-ის დროს (1288-1292) ჩინეთში გააქრისტიანეს 30.000 ჩინელი და პეკინში ააგეს კათოლიკური ტაძარი და მონასტერი, სადაც პირველი არქიეპისკოპოსი მოღვაწეობდა 1320-იან წლებში. კათოლიკე მისიონები მკვიდრდებიან ირანშიც. პაპმა იოანე XXII-მ 1318 წლის ბულით თავრიზის ფრანცისკელთა ვიკარიატის ნაცვლად, რომელიც არსებობდა ჰულაგუიდთა აღმოსავლეთ სათათრეთში, ახლად დაარსებულ ქ. სულთანიეში, საკვანძო პუნქტი რომ გახდა ინდოეთ-ირანის სავაჭრო გზისა, დაარსა დომინიკელთა საარქიეპისკოპოსო. ეპარქია დაარსდა ნახჭევანშიც და სხვა პუნქტებში. თუმცა კათოლიკური ინტეგრაცია არ ნიშნავდა მხოლოდ ყველა ქრისტეანული ეკლესიის დაქვემდებარებას რომის ტახტისთვის და იგი არ შემოიფარგლებოდა ოდენ იდეოლოგიური სფეროთი. ამ ინტეგრაციის მთავარი სამიზნე იყო გაბატონება მაშინდელი მსოფლიოს საერთაშორისო ეკონომიკურ პოლიტიკაში და სატრანზიტო ვაჭრობის მონოპოლიზება. ამით აიხსნება, რომ, როგორც კი სხვადასხვა ქვეყნის მინა-წყალზე კათოლიკური მისიონები ფუძნდებოდა, მაშინვე ჩინდებოდა მათი სავაჭრო კოლონიებიც. ეს გარემოება განსაკუთრებით თვალშისაცემი ხდება XIII ს-დან, როდესაც კათოლიკური სასულიერო ცენტრებისა და გენუა-ვენეციელთა სავაჭრო კოლონიების ქსელმა დაფარა მთელი წინა აზია, მახლობელი აღმოსავლეთი და ცენტრალური თუ შორეული აღმოსავლეთის ქვეყნები. თუკი კათოლიკეთა სამისიონერო მოღვაწეობა ზოგჯერ აისახებოდა ცალკეული ქვეყნების მმართველთა და მოსახლეობის რწმენაზე, იტალიელ ვაჭართა სარბიელი მოიცავდა საერთაშორისო ვაჭრობის ვრცელ არეალს, დაწყებული ჩინეთ-ინდოეთიდან და დამთავრებული დასავლეთ ევროპამდე. ლათინი ვაჭრები მუსლიმ და იუდეველ ვაჭრებთან ერთად განაგებდნენ მახლობელი აღმოსავლეთის სავაჭრო-ეკონომიკურ სფეროს და ამ ურთიერთობებში, კვლავაც ვიმეორებთ, მუსლიმურ მონეტებთან ერთად ფართოდ გამოიყენებოდა წინა აზიის და ლევანტის კათოლიკ მმართველთა მონეტები „ხუთჯვრიანი“ ნიშნით. სწორედ ამ მოვლენის შედეგების მაგალითია XIII ს-ის II ნახევარში მოჭრილი ქართული მონეტები (ქართულ-ჰულაგუიდური, ვახტანგ III-ის), სადაც ასევე გამოსახულია ხსენებული სიმბოლო.

ამრიგად, XIII ს-ის ქართულ მონეტებზე „ხუთჯვრიანი“ ნიშნის გაჩენა უკავშირდებოდა იმხანად მახლობელ აღმოსავლეთში მიმდინარე პოლიტიკურ-ეკონომიკური სახის ცვლილებებს, როდესაც აქ დაარსდა კათოლიკური სამეფო-სამთავროები და მათი მსარდაჭერით დასავლეთევროპელი ვაჭრების ხელში მოექცა რეგიონის სავაჭრო-საფინანსო სფერო. კათოლიკური ევროპის წიაღში გაჩენილი და შემდგომ ჯვაროსნების მიერ აღმოსავლეთით გავრცელებული ეს სიმბოლო აისახა ბალკანეთის ნახ.კუნძულის, ლათინთა იმპერიის, ლევანტის ქვეყნების, კილიკიის სომხეთის, 1261 წ.-ს აღდგენილი ბიზანტიის იმპერიისა და საქართველოს სამეფოს საემისიო ერთეულებზე. ამიტომ ქართულ მონეტებზე გამოსახული „ხუთჯვრიანი“ ნიშანი არ შეიძლება განვიხილოთ, როგორც საკუთრივ ქართული სიმბოლო და ასეთი მონეტები არ წარმოადგენენ ისტორიულ წყაროს იმის დასამტკიცებლად, რომ ფეოდალური საქართველოს სეფე დროშაზე აღნუსხული იყო „ხუთჯვრიანი“ ნიშანი.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, არ არსებობს არააირი საფუძველი, რათა დავეთანხმოთ თვალსაზრისს, რომ „საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოს ხუთჯვრიანი ალამი ცხრასასი წლისაა“.

### **ბიბლიოგრაფია:**

1. ავალიშვილი ზ., ჯვაროსანთა დროიდან, თბილისი, 1989.
2. გაბაშვილი ვ., სოციალური მოძრაობანი მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქებში (IX-XIII სს), სტატიების კრებული, I, თბილისი, 2016.
3. გაბაშვილი ვ., აღმოსავლეთი XI-XII სს ქართული საისტორიო წყაროების ფურცლებზე, ქ სტატიების კრებული, III, თბილისი, 2018.
4. დუნდუა გ., დავით აღმაშენებლის სპილენძის იშვიათი მონეტა, „ისტორიანი“, თბილისი, 2009.
5. მამისთვალიშვილი ე., ბასილი აზოს მოძღვარი ტრაპიზონის იმპერიის დაარსების შესახებ, ქართული წყაროთმცოდნეობა, ტ. XV-XVI, თბილისი, 2013/2014.
6. მეტრეველი რ., დავით IV აღმაშენებელი, თბილისი,
7. ღვაძერიძე ც., ერთანი საქართველოს სამეფოს სახელმწიფო დროშის შესახებ, ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის მრომები, XIV-XV, თბილისი, 2018.
8. ჯაფარიძე გ., სილაგაძე ა., ავმართე დროშა მეფისა, აღმითა წითელ-შავითა, თბილისი, 1999.
9. ჯაფარიძე გ., სილაგაძე ა., ისევ ქართული სახელმწიფო სიმბოლიკის შესახებ, „ლიტერატურული საქართველო“, 2002, 29 XI-5 XII, გვ. 2-3.
10. ჯაველიძე ნ., კიდევ ერთი ცნობა შეა საუკუნეების საქართველოს დროშის შესახებ, „პერსპექტივა-XXI“, XI, თბილისი, 2009.
11. ჯაველიძე ნ., ქართველთა საერო დროშის გამო, აკად. რ. სირაძის დაბადებიდან 75-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბილისი, 2012.
12. ჯაველიძე ნ., ახალი უცხოენოვანი წყარო საქართველოს სამეფო დროშის შესახებ, „მაცნე“, ისტ. არქ., ეთნ. და ხელ. ისტ.-ის სერია, №1, თბილისი, 2013.
13. ჯაველიძე ნ., „აფხაზეთის სიმბოლიკისათვის“ პროექტისა გამო, „მაცნე“, ისტ. არქ., ეთნ. და ხელ. ისტ.-ის სერია, №2, თბილისი, 2018.

14. ჯაველიძე ნ., XI-XIII საუკუნეების ქართული დროშის იერ-სახის გარკვევისთვის, „მაცნე“, ისტ. არქ., ეთნ. და ხელ. ისტ.-ის სერია, №1, თბილისი, 2018.
15. ჯაველიძე ნ., ძიებანი, თბილისი, 2018.
16. ჯაველიძე ნ., აფრიანი ხომალდები კათოლიკური და მუსლიმური სიმბოლოებით სვეტიცხოვლის ფრესკაზე, საიუბილეო კრებული, მიძღვნილი აკად. თამაზ გა-მყრელიძის დაბადების 90 წლისთავისადმი, თბილისი, 2019.
17. ჯაველიძე ნ., „დიდი წითელი ჯვარი გორგასლიანი დროშის ალამზე“(?!), „ისტო-რიანი“, კრებული მიძღვნილი რ. მეტრეველის დაბადების 80 წლისთავისადმი, თბილისი, 2019.
18. Рябцевич В.Н., О чём рассказывают монеты, Минск, 1978.

### NINO JAVELIDZE

## CATHOLIC SYMBOL ON THE COINS OF GEORGIAN KINGS OF XIII CENTURY

### Abstract

In the Transactions (XIV-XV) 2018 year by the Institute of History and Ethnology there is an article “For the flag of the United Georgian Kingdom” written by investigator Tsiala Gvaberidze. According to the author the five crosses State flag of Georgian Republic is nine hundred years old (?!).

From the knowledge of the history about Georgian flags there is repeatedly information on many Georgian and foreign (in the East, Russian, Armenian, West European) historical sources. Besides of these we have descriptions made by investigators who seen of that flag, which unfortunately lost up to the present. At last, there are and exist flags of feudal Georgia, on which is the icon of St. George portrayal.

It is not confirmed from the knowledge of the history about Georgian flags, that there are exist any flag of feudal Georgia of which were portrayed the five cross symbol.

The investigator Ts.Gvaberidze considers this problem based on the numismatic materials, among which are only some coins with the five cross symbol. It is known, that every ruler of Georgia introduced into practice his own coin, analogous to foreign countries same pattern. That is why we have to find the signs of the five cross symbol on the Georgian coins of XIII century in the numismatic sphere other countries. Really, five cross symbol on European (Germany, Hungary, Czechia, England...) monetary unit existed (from X century) earlier, then it appeared on Georgian coins of XIII century. Besides of these, the issue of coins with five cross symbol occurred not only in Georgia, but in other countries of the Near East (Jerusalem Kingdom, Antiochia, Cyprus, Cilicia, Buzantium).

Thus, using the comparative method of inquiry these coins, it is proved, that five cross symbol was not the symbol of Georgian origin, it was the usual symbol of the coins XI-XV centuries of the Western Asia's Christian kingdoms.

**Keywords:** flag, five cross symbol, coins.

---

НИНО ДЖАВЕЛИДЗЕ

## КАТОЛИЧЕСКИЙ СИМВОЛ НА МОНЕТАХ ГРУЗИНСКИХ ЦАРЕЙ XIII ВЕКА

Резюме

В трудах (XIV-XV) 2018 года Института истории и этнографии напечатана статья исследователя Циалы Гваберидзе «О государственном флаге единого царства Грузии». По словам автора, пятикрестному государственному флагу Республики Грузии девятьсот лет (?!).

Разнообразная информация о грузинских флагах встречается во многих грузинских и иностранных (в восточных, русских, армянских, западноевропейских) исторических источниках. Кроме этого, у нас имеются описания исследователей тех флагов, которые авторы видели, но в настоящее время утеряны. И, наконец, имеются и существуют флаги, из которых яствует, что на стягах феодальной Грузии изображена была икона Святого Георгия.

Не подтверждается то, что на флагах феодальной Грузии какого-либо назначения или любого вида когда-нибудь был изображен «пятикрестный» символ.

Исследователь Ц.Гваберидзе проблему рассматривает, используя нумизматический материал, среди которого всего лишь на нескольких монетах изображен «пятикрестный» символ. Известно, что каждый правитель Грузии вводил собственную монету, подобно образцам иностранных государств. В таком случае следы, возникшего «пятикрестного» символа на грузинских монетах XIII века, следует искать в нумизматике других стран. Действительно, «пятикрестный» символ на европейских (Германия, Венгрия, Чехия, Англия...) ценностных единицах существовал намного раньше (с X века), прежде чем он появился на грузинских монетах XIII века. Кроме этого, эмиссия монет с «пятикрестным» символом происходила не только в Грузии, но и в других странах Ближнего Востока (Иерусалимское царство, Антиохия, Кипр, Киликия, Византия).

Таким образом, в результате сравнительного анализа этих монет, доказано, что «пятикрестный» символ не являлся символом грузинского происхождения, а был обычным символом монет XI-XV веков христианских царств Передней Азии.

**Ключевые слова:** грузинские флаги; католический символ; «пятикрестный» символ; грузинское царство; грузинские монеты; «пятикрестный» символ.

## შარაშან ფალავა

### გაღვამთა და ორგებობის იგივეობის შესახებ

#### შესავალი

ბაღვაშები და ორბელები IX-XIII საუკუნეებში საქართველოს თვალსაჩინო საგვარეულოებს წარმოადგენდნენ. მათთან დაკავშირებული მრავალი არტეფაქტი და ნარატიული წყაროა შემონახული, ისტორიოგრაფიაც საკმაოდ მდიდარია, მათ შორის მათი იგივეობის შესახებ<sup>1</sup>. მიუხედავად ამისა, დღემდე მკვლევარებს შორის არ არის ერთსულოვნება აღნიშული გვარების ურთიერთმიმართების შესახებ.

#### გენეტიკური ექსკურსი

კვლევის მიზნის ჩამოყალიბებამდე ბიოლოგიურ, გენეტიკურ ექსკურსს გავაკეთებდით. ცნობილია, რომ განაყოფიერება კვერცხუჯრედის და სპერმატოზოიდის შერწყმის შედეგია. კვერცხუჯრედი შეიცავს პროტოპლაზმას და ბირთვს, ქრომოსომების შემცველს (ადამიანის კვერცხუჯრედში მათი რიცხვი 23-ია), ხოლო სპერმატოზოიდი მხოლოდ ბირთვს ქრომოსომებითურთ (კვერცხუჯრედის მსგავსად 23-ით). ამ 23 ქრომოსომაში 22 სომატურია (შეიცავს ინფორმაციას ორგანიზმის სხვადასხვა სისტემისა და ორგანოს შესახებ), ხოლო ერთი სქესის განმსაზღვრელი. ქალს აქვს 46 ქრომოსომა, ამათგან 44 სომატური, 22 - დედისგან და 22 მამისგან მიღებული, ხოლო 2 სასქესო, მათი სახელია X ქრომოსომა, ესეც ასევე - ერთი დედისგან და მეორე მამისგან მიღებული. მამაკაცს ყველაფერი ანალოგიურად აქვს, მხოლოდ სასქესო ქრომოსომებშია განსხვავება: აქვს ერთი X ქრომოსომა, დედისგან მიღებული, ხოლო მეორე Y ქრომოსომა, მამისგან მიღებული. ეს ქრომოსომა განსაზღვრავს მამრობით სქესს. თაობათა მონაცვლეობის შედეგად ქრომოსომების გადანაცვლებას აქვს ადგილი, თუ შვილს ქრომოსომულ ნაკრებში თითოეული მშობლისგან ნახევარი აქვს მიღებული, შვილიშვილებსა და შემდგომ შთამომაცვლებში, შესაძლებელია, შორეული წინაპრების ერთი ქრომოსომაც არ იყოს. გამონაკლისია მხოლოდ Y ქრომოსომა. მამაკაცის ხაზით იგი პრაქტიკულად უცვლელად გადაეცემა. ეს ნიშნავს, რომ საუკუნეების და ათასწლეულების წინ მცხოვრებ წინაპარსა და მის შთამომაცვალს (იგულისხმება მხოლოდ მამაკაცები) თითქმის ერთი და იგივე Y ქრომოსომა

<sup>1</sup> მასალები ბაღვაშებსა და ორბელებზე ფართოდაა წარმოდგენილი ა. ბაღიშვილის სტატიების სერიასა [8] და ქ. ქუთათელაძის მონოგრაფიაში [33].

უნდა ჰქონდეს. შესაბამისად ნათესავები არიან ისინი, ვისაც ერთი და იგივე Y ქრომოსომა აქვს. თანამედროვე გენეალოგიაში წამყვანი მნიშვნელობა ენიჭება Y ქრომოსომაში გენეტიკური ინფორმაციის - ჰაპლოტიპების კვლევას. ქალებშიც არის სპეციფიური მემკვიდრეობითობა; განაუმოფირებული კვერცხუჯრედი შეიცავს დედის კვერცხუჯრედის პროტოპლაზმაში არსებულ ე.წ. მიტოქონდრიალურ დეზოქსირიბონუკლეინის მჟავას, რომელიც ასევე თითქმის შეუცვლელად გადადის დედიდან შვილებზე, მაგრამ განსხვავება ის არის, რომ ვაჟები მათ შემდგომ თაობებს ვერ გადასცემენ, ეს მხოლოდ ქალური ხაზით არის შესაძლებელი. ქალური მემკვიდრეობითობა ძირითადად გენეტიკური სამეცნიერო კვლევების ფარგლებში შეისწავლება [13].

### შრომის მიზანი.

შრომის მიზანად დავისახეთ შემდეგი: გვეპასუხნა კითხვაზე - არიან თუ არა ბალვაშები და ორბელები გენეტიკურად ნათესავები ამ სიტყვის ზემოთაღნიშნული გაგებით.

ხაზს გავუსვამდით, რომ გვარის ერთიდაიგივეობა ან განსხვავებულობა ნათესაობას არც გამორიცხავს და არც ადასტურებს. კლასიკური მაგალითები: პეტრე III-დან დაწყებული რუსეთის იმპერატორები გენეტიკურად რომანოვები კი არ იყვნენ, არამედ Holstein-Gottorp (Holstein-Gottorf)-ის დინასტიის წარმომადგენლები, XVIII-XIX საუკუნეებში სამეგრელოს მთავარი დადიანები სინამდვილეში ჩიქოვანები არიან, ასევე, მაგალითად, ბარათაშვილების განშტოებები - ყაფლანიშვილები, გერმანოზიშვილები და სხვანი, მიუხედავად იმისა რომ, სხვადასხვაგვარად იწოდებიან, გენეტიკურად ნათესავები არიან.

### ლიტერატურის ანალიზი

როგორც ზემოთ მივუთითეთ, ლიტერატურა ბალვაშებისა და ორბელების ნათესაობის შესახებ საკმარისად დიდია და იგი დეტალურად არის წარმოდგნილი საკითხისადმი მიძღვნილ სპეციალურ ნაშრომში [33].

არსებული ფაქტების ინტერპრეტაციის მიხედვით გამოვყოფით მკვლევართა ჯგუფებს: პირველი თაობის ქართველოლოგები (ს. ჯანაშიამდე), როგორც ჩანს, მიჰყებოდნენ ორბელთა (ლიტერატურაში მათ ორბელებადაც და ორბელიანებადაც აღნიშნავენ) შთამომავლის XIII-XIV საუკუნეების სომეხი სასულიერო მოღვაწის სტეფანოს განძაკეცის (იგივე ორბელიანის) წარმოების „ცხოვრება ორბელიანთა“-ს [24] და ბალვაშებს და ორბელებს აიგივებდნენ [6; 9:159-161; 19; 40:334-367; 47]. სომეხი ისტორიკოსები<sup>2</sup> უარყოფენ თანამედროვე ბალვაშებიდან წარმომავლობას და, ისევ სტეფანოს ორბელიანის თანახმად, მათ ჩინეთის იმპერატორის შთამომავლებად მიიჩნევენ, რომლებიც შემდგომ ქართლში მოხვდნენ, უძველეს დროიდან ორბელთის ციხეს ფლობდნენ და ამის გამოც დაერქვათ ორბელიანები. გაცილებით მეტი მხარდაჭერი ჰყავს ვერსიას, რომლის თანახმად ორბელების წინაპარი არა ჩინეთიდან, არ-

<sup>2</sup> სომეხი ისტორიკოსების შეხედულებების ანალიზი მოცემულია ქ. ქუთათელაძის ნაშრომში [33].

ამედ ჭანეთიდან იყო. არის ვარაუდიც, რომ ორბელების ჭანი წინაპრები ჯერ ბალვაშები გახდნენ, შემდეგ კი მათი ნაწილი გაორბელდა [44; 45]. ს. ჯანაშიამ [39] გამოთქვა მოსაზრება, რომ კლდეკარის ერისთავებს ორბელი-ანებს შეცდომით ეძახდნენ, სინამდვილეში ისინი ბალვაშები იყვნენ. ჩვენი აზრით, გაუგებრობას ჰქონდა ადგილი, ს. ჯანაშიამ ფაქტიურად არ გამორიცხა ორბელების ბალვაშობა (ანუ მათი ბალვაშებისგან წარმომავლობა), მან გამორიცხა კლდეკარის ერისთავების ორბელობა მხოლოდ. ასეა თუ ისე, ამის შემდეგ, ვ. კოპალიანიდან დაწყებული [12], ქართველ მკვლევართა უმრავლესობა (მცირეოდენი გამონაკლისის გარდა) მათ ცალკე გვარებად განიხილავს, თუმცა ზოგჯერ, ბალვაშებისა და ორბელების ერთიდაიგივეობას ან თუნდაც ორბელების განშტოებად მიჩნევას არაპირდაპირ მაინც ადასტურებენ [17:78]. ორბელების წარმოშობა თანამედროვე მკვლევარების სპეციალური კვლევის საგანიც იყო, აქაც აზრთა სხვადასხვაობას აქვს ადგილი: ზოგი [2:13-14; 8; 33] მათ ერთიანობაზე მიუთითებს, ზოგი კი [7:13-24] ამ დებულებას უარყოფა<sup>3</sup>.

**წარმოდგენილი ნაშრომის ძირითადი ნაწილის სტრუქტურა შემდეგნაირია**  
- მოგვყავს მხოლოდ ფაქტები (ზოგიერთი მათგანი ჩვენს მიერ არის შემოტანილი ამ საკითხისადმი მიძღვნილ სამეცნიერო მიმოქცევაში), ვიხილავთ მათ და ვაყალიბებთ ბალვაშთა და ორბელთა ერთიანობის pro et contra არგუმენტებს.

**ფაქტი პირველი.** ორბელთა წარმოშობის შესახებ ძირითადი და პრაქტიკულად ერთადერთი წყაროა სტეფანოზ განძაკეცის თხზულება „ცხოვრება ორბელიანთა“[24]. ავტორი მიუთითებს, რომ ა) ორბელების წინაპარი იყო ”მჭერ და უძლეველი“ ლიპარიტი („ლიპარიტ აფხაზი“), ბ) გვარი ორბის ციხის მფლობელობიდან წარმოიშვა, გ) ორბელების წინაპრები იყვნენ ჩინეთის იმპერატორების შთამომავლები და ისინი უხსოვარი დროიდან ჩამოვიდნენ ქართლში.

### კომენტარები.

ა) თავისთავად სტეფანოსის ეს ცნობა, რომ მისი წინაპარი იყო ლიპარიტ „აფხაზი“ სავსეპით საკმარისი უნდა იყოს იმის დასასაბუთებლად, რომ ორბელები ბალვაშების შთამომავლები არიან (ცნობილია, რომ ლიპარიტი ბალვაშების დინასტიური სახელია, უფრო მეტიც, მათ ლიპარიტისძეებს, ლიპარიტეთს ეძახდნენ [28:131; 29: 27-28]), თანაც ორბელების ხსენებამდე საქართველოში სხვა ლიპარიტები არც ყოფილან. მაგრამ ეს კიდევ ცოტაა: სტეფანოსი თავისი წინაპრის ატრიბუტიზაციასაც ახდენს, მიუთითებს, რომ ის იყო დასავლეთ საქართველოდან. გარდა ამისა, მოჰყავს ცნობები მის შესახებ, რომელიც ემთხვევა ლიპარიტ ლიპარიტის ძის (ლიპარიტ IV) ბალვაშის ცხოვრების ეპიზოდს. სტეფანოს ორბელიანი წერს, რომ ლიპარიტი ბიზან-

<sup>3</sup> ჩვენ 1991 წელს ამ საკითხს მივუძლვენით სტატია პრესაში, შემდეგ მოვამზადეთ ნაშრომი ფალავების გვარის ისტორიაზე, რომელშიც ფალავების წარმოშობაზე მსჯელობისას ბალვაშ-ორბელების იგივეობას დავუჭირეთ მხარი. სამწუხაროდ, გამოვაქვეყნეთ იგი საკმარისად გვიან, 2016 წელს [25,26].

ტიის იმპერატორის მონომახის, ქართლის მეფე დავითისა და სომეხთა მეფე გაგიკის<sup>4</sup> დროს 1049 წელს შემოჭრილ მტერს შეებრძოლა და თავისიანთა ღალატს შეეწირა. სინამდვილეში 1048 წელს ბერძნებმა სთხოვეს ლიპარიტს გამოსულიყო სულთან თოლრულბეგის ძმის იბრაჰიმის წინააღმდეგ საბრძოლველად. ლიპარიტი არ დაღუპულა, იგი დაატყვევეს და მხოლოდ სამი წლის შემდეგ გაანთავისუფლეს [3:11:72-78; 36]. რაც შეეხება ამ ბრძოლაში ლიპარიტის დაღუპვისა და მისი ბეთანიაში დაკრძალვის შესახებ ცნობას, იგი არასწორია, მაგრამ მასში საგულისხმოა ის, რომ ორბელთა აღზევება დავით აღმაშენებლის სახელთანაა დაკავშირებული [16: 12-24; 27: 331]. გავიმეორებდით, რომ მარტო ეს ცნობა, სხვა არგუმენტები რომც არ ყოფილიყო, საკმარისი იქნებოდა ბალვაშებისა და ორბელების იგივეობის დასადასტურებლად; სტეფანოსი გვამცნობს წინაპრის ვინაობას, სადაურობას (მისი აფხაზეთიდან, ანუ დასავლეთ საქართველოდან წარმომავლობას), რეალურ ფაქტს მისი ცხოვრებიდან. მართალია, აქ შეცდომასაც აქვს ადგილი, მაგრამ ეს, ალბათ, დროის იმ დიდი შუალედით აიხსნება, რაც ავტორს აშორებს აღწერილი ამბებს.

აზრი იმის შესახებ [12], რომ ლიპარიტის ხსენება აიხსნება ავტორის სურვილით განადიდოს თავისი გვარი, არცთუ ისე დამაჯერებლად მიგვაჩნია. პირველ რიგში იმიტომ, რომ ბალვაშების გვარი დავით აღმაშენებლის დროიდან საქართველოში არ ჩაითვლებოდა „პრესტიულად“. აი, როდესაც სტეფანოსი ორბელთა წინაპრებში ჩინეთის იმპერატორს ასახელებს, ამას ნამდვილად აქვს ფანტაზიის იერი.

ბ) სტეფანოსის მიხედვით გვარი ორბელი ორბეთის ციხის მფლობელობასთან არის დაკავშირებული - ქართლში ორბელთა გვარის აღზევებამდე იყო ორბეთის ციხე და ორბის (იგივე სამშვილდის) ციხე. ერთადერთი ქართული საგვარეულო, რომლის წარმომადგენლები სულ ცოტა ბოლო სამი-ოთხი საუკუნის განმავლობაში გარკვეული დროის განმავლობაში მაინც ფლობდნენ ამ ციხეებს და მის მიმდებარე ტერიტორიას, იყვნენ ბალვაშები [32,33,34]<sup>5</sup>. საგულისხმოა შემდგომი ცნობაც: "ხოლო შემდგომად მრავლისა უამის მეფობასა დავით ძლიერისასა, ძისა გიორგისა, დიდი იგი სპასალარი ორბელიანი ძლიერად აღდგომილ იყო, განახვნა საზღვარი ქართლისანი და ბრძოლა უყო თურქისტანსა და გამოუღო ტფილისი თურქთა და ტაუში, გაგი და სამეფო იგი ლორე და ანი რიცხვსა ხუთას სამეოცდა ათორმეტსა. და ამისთვისც უმეტესაც შეუყვარდა იგი მეფესა და პატივცემულ იქნა უფროს მამათა თვისთაგან. მიეცა მას მეფისაგან ლორე სოფლითა და აგარაკითა თვისითა და ადგილად დარბაზისა სამშვილდე რომელ - იგი იყო მამათა მისთა, კუალ-

4 ცნობილია, რომ ამ დროისთვის სომხეთის მეფე გაგიკს უკვე წართმეული ჰქონდა ტახტი, მაგრამ შესაძლებელია ტიტულს საპატიო ან ნომინალური მნიშვნელობა ჰქონდა მხოლოდ. მეფე დავითი უმინანყლო ტაშირ-ძორაკეთს განაგებდა, სტეფანოზი მას ქართლის მეფეს უწოდებდა.

5 საინტერესოა აღინიშნოს, რომ ლეჩხუმშიც, კახაბერიძე-ბალვაშთა სამფლობელოში, იყო მსგავსი სახელწოდების - ორბელის ციხე [31, ტ. 7: 555].

ადცა მიეცა სოფლითა თვისითურთ დიდით იედგარითა და სამუშაფოთა ბეჭდით დაუმტკიცა მათ მამულად" [24]. ქართლის ცხოვრებაში მითითებულია მხოლოდ სამშვილდის აღება გიორგი ჭყონდიდების დისტულის თევდორეს, კლდეკარის საერისთავოს იმდრონდები განმგებლის, პბულეთისა და ივანე ორბელის მიერ [30:314]. რაც შეეხება სტეფანოსის ცნობას ივანე ორბელის მიერ თბილისისა და სხვა ციხეების აღების შესახებ [ზუნანის ჩათვლით, ივანე ორბელისა და და მისი ძის სუმბატის მიერ დემეტრე I-ის დროს], ქართლის ცხოვრებაში ეს ასახული არ არის. ესეც სავსებით გასაგებია; განსხვავება იმაშია, რომ სამშვილდის აღება უფრო პირადი ინიციატივის შედეგი უნდა ყოფილიყო, ხოლო სხვა სიმაგრეებისა თუ ქალაქების აღებისას ივანე ორბელი მონაწილეობას მიიღებდა და ფრიად მნიშვნელოვანსაც, როგორც ქვეყნის მთავარი სამხედრო მოხელე, ამირსპასალარი.

გ) სტეფანოს ორბელიანის ცნობა ორბელების უძველეს დროს ჩინეთიდან ჩამოსვლისა და ქართლში დამკვიდრების შესახებ, ცხადია, ფანტაზია; შუა საუკუნეებში გვარის განდიდების მიზნით ამ ხერხს ხშირად მიმართავდნენ [41]. ჩინეთის იმპერატორისგან წარმოშობასთან მიმართებაში სავსებით ვეთანხმებით ვ. კოპალიანის [12:83] აზრს, რომ ეს სტეფანოსს საკუთარი გვარის განდიდებისთვის დასჭირდა. რასაკვირველია, ის, რომ ორბელების წინაპრები არა ჩინეთიდან, არამედ ჭანეთიდან იყვნენ, უფრო შესაძლებელია. პრინციპულად ამას არა აქვს მნიშვნელობა. ძნელად დასაჯერებელია, რომ ესენი იყვნენ ქართლში მრავალი საუკუნის განმავლობაში, არსად არ მოიხსენიებოდნენ და უცებ XII საუკუნის დასაწყისში როგორც Deus ex machina გამოვიდნენ ასპარეზზე. ვფიქრობთ, ეს არის ტიპიური Argumentum ad absurdum. ის აზრი რომ ორბელების წინაპრები ჭანეთიდან იყვნენ, იქ გაბალვაშდნენ და შემდეგ ქართლში გადავიდნენ, ჯერ კლდეკარის ერისთავები გახდნენ და შემდეგ ორბელები, შეიძლება უფრო ახლოს იყოს ჭეშმარიტებასთან, მაგრამ რეალური საბუთი მაინც გვაკლია. საერთოდ ბალვაშებს ლაზურ-ჭანურ სამყაროს მიაჟუთვნებენ [15; 39], სტრუქტურის მიხედვითაც ლაზური გვარია, მათი წინაპრები ტაოს მთავრებადაც არიან მოხსენებული [4:155]. ასეა თუ ისე, ორბელების ჭანეთიდან მოსვლის ვერსიაც გარკვეულწილად ადასტურებს ბალვაშებისა და ორბელების ერთიანობას.

### **ფაქტი მეორე.**

ამ გვართა ონომასტიკონის ურთიერთშედარებისას ორი საერთო სახელი - ლიპარიტი და ივანე იპყრობს ყურადღებას. კერძოდ ცნობილია ხუთი ლიპარიტ ბალვაში და ოთხი ლიპარიტ ორბელი, ასევე ორი ივანე ბალვაში და ათი ივანე ორბელი [44; 45].

### **კომენტარი.**

სახელი ივანეს განმეორებადობაზე არ გავჩერდებით, ეს შედარებით ხშირი სახელია, თუმცა ამ ფაქტის სრული უგულებელყოფაც არ იქნებოდა სწორი. რაც შეეხება ლიპარიტს, აქ უნიკალურ მოვლენასთან გვაქვს საქმე, საქართველოს სინამდვილეში, იმ პერიოდში მაინც, ამას ანალოგი არ ჰქონდა. ეს იშვიათი სახელი IX-XIV საუკუნეებში სხვა გვარებში საერთოდ არ

გვხვდება. არის მხოლოდ ერთი გამონაკლისი - ლიპარიტ თორელი [30:575]. ორბელებსა და ბალვაშებში კი ლიპარიტი აშკარად დინასტიური სახელია, განსაკუთრებით ბალვაშებში. ზოგჯერ ამ უკანასკნელებს ლიპარიტიძეებსაც, ლიპარიტეთს უწოდებდნენ [28:131;29:27-28], არის გეოგრაფიული სახელიც ამ სახელთან დაკავშირებული, ლიპარიტის უბანი, ბალვაშების სამფლობელოს ტერიტორიაზე [29:322]. ბალვაშებში იგი გვხვდება თითქმის ყოველ მეორე თაობაში (5-ჯერ დაახლოებით 250 წლის განმავლობაში, ორბელებშიც თითქმის იგივე კანონზომიერებით (4-ჯერ დაახლოებით 150 წლის განმავლობაში)<sup>6</sup>. იმის გათვალისწინებით, რომ ამ ფაქტის ახსნა თუ არა ბალვაშ-ორბელების ნათესაობით, ვერ ხერხდება, ვფიქრობთ, რომ ესეც მათი იგივეობის საბუთად შეიძლება ჩაითვალოს. აქვე დავსძენდით, რომ ბალვაშ-კახაბერიძეებშიც იყო განმეორებადი სახელი - კახაბერი (ხუთი კახაბერია ცნობილი), საბოლოოდ, კახაბერიძები გვარის სახელადაც იქცა. როგორც ჩანს, ბალვაშებისთვის პირადი სახელის დინასტიურად ქცევა დამახასიათებელი იყო. მსგავს ფაქტებს სხვა გვარებშიც ვხვდებით, კლასიკური მაგალითია საფრანგეთის სამეფო გვარში, ბურბონებში ლუის (ლუდოვიკოს) 18-ჯერ გამეორება.

### **ფაქტი მესამე.**

ამჟამინდელ გორის მუნიციპალიტეტში ატენის სიონის გვერდით დგას ლიპარიტ ბალვაშის ძის რატი ერისთავის მიერ აშენებული (ან შეკეთებული) ღვთისმშობლის ეკლესია, მას ორბელიანის ეკლესიას უწოდებენ. ატენის, იგივე საცივის ციხეს, ორბელიანების ციხეს უწოდებენ [21:46,60].

**კომენტარი.** ცნობილია რომ ატენის ხეობა IX-XIII საუკუნეების გარკვეულ პერიოდებში ბალვაშებსა და კახაბერიძე-ბალვაშებს ეკუთვნოდა [27:276;28:275]. ატენის ქვეყანა თრიალეთისა და რაჭა-ლეჩუმის მსგავსად მათი აღმშენებლობითი მოღვაწეობის არეალი იყო. თვით ატენის სიონშიც ბალვაშებზე უამრავი წარნერა გვაქვს და ქანდაკებებიც [1]. ამავე დროს, აქ დავით აღმაშენებლის თანამედროვეს ივანე ორბელიდან მოყოლებული ორბელების სააღმშენებლო მოღვაწეობის კვალი არ გვაქვს. თუ ბალვაშების სამოღვაწეო არეალში ციხესა და მათ მიერ აშენებულ (თუ განახლებულ) ეკლესიას ორბელიანის ციხესა და ეკლესიას უწოდებენ, უნდა ვიფიქროთ რომ ბალვაშებსა და ორბელებს ერთი და იგივე გვარად მიიჩნევდნენ. უცნაურია, რომ ბალვაშ-ორბელების ნათესაობის განხილვისას ზემოთ აღნიშნული გარემოება მხედველობაში მიღებული არ ყოფილა.

### **ფაქტი მეოთხე.**

მეთვრამეტე-მეცხრამეტე საუკუნეების მოღვაწე იოანე (ბატონიშვილი) ბაგრატიონი თავის ნაშრომში ქართული თავადაზნაურობის შესახებ მიუთითებს შედეგს:

ა) ქართლის აზნაურები ლიპარიტიშვილები ლიპარიტ ორბელიანის ნათესავები არიან;

6 სივნიერში გადასვლის შემდეგ ორბელებში ეს სახელი თანდათანობით მივიწყებას მიეცა [45].

ბ) "ფხეიძე [იგივე მხეიძე] არიან ძირით სალიპარტიანნი, ნათესავნი ორბელიანი ლიპარიტის".

გ) "ფალავა არის ორბელიანთ გვარი, რომელიც მეფემ 1271 წელს ჩამოასახლა ოდიშს" [5].

### კომენტარი.

იოანე ბატონიშვილის ნაშრომში უხვადაა მოცემული ცნობები ქართული თავადაზნაურობის წარმოშობის შესახებ, შესაბამისად, ავტორი შეიძლება აღიარებულ იქნას ქართული გენეალოგიის მესაძირკულება. ზოგიერთი ცნობა ფანტასტიკურ და არადამაჯერებელ შთაბეჭდილებას ტოვებს, მაგრამ სრულად მათი უგულებელყოფა არ მიგვაჩნია სწორად<sup>7</sup>. ისიცაა საფიქრებელი, რომ ის ემყარებოდა მის განკარგულებაში სამეფო აქივის დოკუმენტებს, რაც 1795 წლის კატასტროფის შედეგად განადგურდა. მიგვაჩნია, რომ იოანე ბაგრატიონის ნაშრომი მნიშვნელოვან წყაროდ შეიძლება მივიჩნიოთ ბალვაშობელების ერთიანობის გადაწყვეტილას.

ა) ორბელთა საქართველოში ყოფნის პერიოდში იყო ერთი ლიპარიტ ორბელი, ქართლის ერისთავი, ივანე ორბელის, მანდატურთუხუცესისა და ამირსპასალარის ძმა, გიორგის III ნინაალმდევ აჯანყების პერიოდში სამხედრო დახმარების საძიებლად ნასული [24], შემდეგი ლიპარიტ ორბელები უკვე ქართლში აღარ არიან, ლიპარიტ ბალვაში კი მრავალი იყო, როგორც ალვიშნეთ ბალვაშთა საგვარეულოს ხშირად ლიპარიტისძეებს, ლიპარიტეთს უწოდებდნენ (vide supra). შესაბამისად, ბევრად უფრო ღოგიერები იქნებოდა აზნაურ ლიპარიტიშვილების ამ საგვარეულოსთან, ბალვაშებთან დაკავშირება. ე.ი. იოანე ბატონიშვილი მათ ლიპარიტ ორბელიანის შთამომავლებად რომ მიიჩნევს, ეს იმის მაჩვენებელია, რომ იგი ბალვაშებსა და ორბელებს ერთ საგვარეულოდ თვლის.

ბ) ბალვაშების მსგავსად, ფხეიძეებიც (მხეიძეებიც) ლიპარიტ ორბელიანის ნათესავებად არიან მიჩნეული. ო.სოსელიამ სპეციალური ნაშრომი მიუძღვნა ამ საგვარეულოს [22]. იგი აღნიშნავს, რომ VIII საუკუნეში მურვან-ყრუსთან ბრძოლაში მონამეობრივად დაღუპული დავითი და კონსტანტინე, ქართული ეკლესიის მიერ წმინდანებად შერაცხული, არგვეთის მთავრები იყვნენ. მხეიძეებად მათ მხოლოდ ზეპირი ტრადიცია თვლის. მხეიძეებზე ისტორიული ცნობები მხოლოდ XI და XIV საუკუნისა გვაქვს, სამაგიეროდ ადრინდელ პერიოდში არგვეთში ბალვაშების ბატონობა დადასტურებულია. სავსებით მისაღებად მიგვაჩნია ო. სოსელიას აზრი იმის თაობაზე, რომ გვარი ფხეიძე-მხეიძე ბალვაშთა განშტოება უნდა იყოს. ცნობილია, რომ არგვეთში ორბელები არ ყოფილან. აქედან გამომდინარე, ის ფაქტი, რომ იოანე ბაგრატიონი ფხეიძე-მხეიძეებს ლიპარიტ ორბელიანის ნათესავებად თვლის, კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ იგი ბალვაშებსა და ორბელიანებს აიგივებდა.

<sup>7</sup> აღსანიშნავია, რომ ქართული ფეოდალური საგვარეულოების ცნობილი მკვლევარი ო. სოსელია სხვადასხვა თავადაზნაურული გვარის ისტორიის განხილვისას იმოწმებს იოანე ბატონიშვილის ცნობებს [23,24].

გ) საგულისხმოა, რომ ფალავასა და ორბელს შორის რაიმე ფონეტიკური მსგავსება არ არსებობს. ამავე დროს, ფალავას სამეგრელოში უპირატესად ხმარებულ ფორმებს ფალვა-ფალუას [23] და ლაზურ „ში“ ნაწილაკ მოცილებულ ბალვა-ში/ბალუა-ში-ს ერთმანეთს თუ შევადარებთ, აღმოჩნდება, რომ ეს არსებითად ერთი და იგივე გვარია. უნდა ვიფიქროთ, რომ დასავლეთში გადასვლისას საგვარეულო ციხისა და მამულის - ორბეთის დაკარგვის შემდეგ ორბელებმა ციხისა (თუ ქვეყნის) მფლობელობასთან დაკავშირებულ გვარზე უარი თქვეს, ძველი გვარი ბალვაში აღიდგინეს, ლაზური „ში“ ნაწილაკ მოცილებული ბალვა-ფალვა გაითავისეს და დღევანდლამდე მოიტანეს<sup>8</sup>.

### **ფაქტი მეხუთე.**

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი მიუთითებს, რომ რატის სიკვდილით „დასრულდა სახლი ბალვივაშთა“ [27:326].

### **კომენტარი.**

ცნობა არ მიგვაჩინია სწორად. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის, რომ იგივე ქართლის ცხოვრების კრებულში შემავალ უამთააღმწერლის თხზულებაში აღნიშნულია, რომ კახაბერიძები (რატი ბალვაშის შთამომავლები ამის შემდეგაც საუკუნე ნახევარზე მეტ ხანს რაჭასა და თაკვერს ფლობდნენ [28:275]). ამრიგად, ზემოდაღნიშნული ფაქტი ბალვაშთა და ორბელთა ერთიანობის კონტრარგუმენტად ვერ გამოდგება.

### **ფაქტი მეექვსე.**

ვახუშტი ბატონიშვილი ქართლის ცხოვრების კრებულში მიუთითებს „ხოლო გუარნი მთავართა ძუელთანი ესენი არიან: ... ბალუში, რომელი იყო ლიპარიტისძე, ... კახაბერიძე, ... ორბელიანი ...“ [29:27-28] იქვე ავტორი ანინდელ მთავრებში ასახელებს ბარათაშვილებს მათი განშტოებების, ორბელიანების ჩათვლით, „ხოლო იტყვიან ესენი ჩამომავლობასა ქაჩიბაძისასა“, „გარნა იყო ორბელიანი სხუა და ქაჩიბაძე სხვა გუარი“ [29:33].

### **კომენტარი.**

ვახუშტის თანახმად „გუარნი მთავართა ძუელთანი“ უწინდელი ორბელიანები და ანინდელი ორბელიანები რომ სხვადასხვანი არიან, ეს საყოველთაოდ მიღებულია [37,38]<sup>9</sup>. ის რომ ვახუშტი ორბელიანებსა და ბალვაშებს ცალკალვაკე ასახელებს, ესეც არ გამორიცხავს მათ ნათესაობას და ერთიანობას, პირველ რიგში, იმავე მიზეზით, რაც ზემოთ გვაქვს აღნიშნული - კახაბერიძები ხომ იგივე ბალვაშები არიან, მაგრამ ესენიც ცალკე განიხილებიან. ამრიგად, ეს ფაქტიც ბალვაშთა და ორბელთა ერთიანობის კონტრარგუმენტად ვერ გამოდგება.

### **დამატებითი კომენტარი (1) - მეფებთან ურთიერთობის თაობაზე**

**ბალვაშებიცა და ორბელებიც სხვადასხვა დროს მეფეების წინააღმდეგ**

<sup>8</sup> მ. სოსელიაც საცხებით შესაძლებლად მიჩნევს ფალვა-ბალვაშების ერთიანობას [23].

<sup>9</sup> თუმცაზოგიერთი ავტორი ქაჩიბას, ბარათაშვილების წინაპარს ძველების შორეულ შთამომავლად მიჩნევს [2,45].

გამოდიოდნენ, მაგრამ ჩვენ სავსებით ვეთანაშმებით აზრს იმის თაობაზე [7], რომ ოპოზიციაში ყოფნისა ან თუნდაც მეფის ერთგულების მემკვიდრეობით გადასვლა და ნათესაობის ნიშნად აღიარება ფრიად საეჭვოა. ამ ლოგიკიდან გამომდინარე, სამცხის მფლობელი ათაბაგები მათ ნათესავებად უნდა ვალიაროთ: ამ გვარის ოპოზიციურობა ჩვენი ქვეყნისთვის უპრეცედენტოა; სეპარატიზმის მაქსიმალური გამოხატულებაა - მათ ხომ საქართველოს მისი სახელმწიფოებრიობის აკვანი - სამცხე-ჯავახეთი ჩამოაცილეს, რომელიც შემდგომში თურქეთის შემადგენლობაში მოხვდა [31, ტ. 11:546; 35, 43]<sup>10</sup>.

საერთოდ კი, ფეოდალური ქვეყნისთვის ცალკეული დიდგვაროვნისა თუ დიდმოხელის და, საერთოდ, ამა თუ იმ გვარის წარმომადგენლის ცენტრალური ხელისუფლებისა თუ ერთი მეორეს წინააღმდეგ გამოსვლა ჩვეული ამბავია. არც ბალვაშები და ორბელები იყვნენ გამონაკლისები, მაგრამ სეპარატიზმს - ქვეყნის ნაწილის მოცილების მცდელობასა და მის განხორციელებას ვერ დავწამებთ, ამას არც ერთი წყარო არ ადასტურებს. არც ტახტის მოტაცების სურვილი გაუმჯდავნებიათ. ასე მაგალითად, ლიპარიტ IV-მ, მეფე ბაგრატ IV-ის ბიზანტიაში განდევნის შემდეგ მეფედ მისი შვილი გიორგი II აკურთხებინა, თვითონ კი მხოლოდ მეურვის როლით შემოიფარგლა. ისიცაა აღსანიშნავი, რომ ბალვაშებისა და ორბელების ბაგრატიონების შიდა ქიშპში ან მეფის წინააღმდეგადაც გამოსვლა ზოგჯერ ან სამეფო დრიასტიის ამა თუ იმ წარმომადგენელთან მატრიმონიალური კავშირით ან მეფის ულირსი საქციელით იყო განპირობებული. ასე მაგალითად, კახაბერ კახაბერისძე სიძეს - ულუ დავითს, გვანცა კახაბერიძის მეუღლეს უჭერდა მხარს, ივანე ორბელი სიძეს, დავით მეუთის ვაჟს დემეტრეს (დემნას), ფორმალურად მაინც ტახტის კანონიერ მემკვიდრეს, ლიპარიტ ლიპარიტის ძე გიორგი I-ის ვაჟს დემეტრეს, რომელიც, სავარაუდოდ (კ. თუმანოვის მიხედვით [45]), დაქორნინებული იყო ევფემია კახაბერიძე-ბალვაშზე.

#### **დამატებითი კომენტარი (2) - ერთი და იგივე ტერიტორიის ფლობის თაობაზე**

ბალვაშთა და ორბელთა ერთიანობის მომხრეებს [32, 33, 34] ერთ-ერთ საბუთად ამ ორი გვარის ერთი და იგივე ტერიტორიის ფლობა მიაჩნიათ, შეიძლება დავთანხმებულიყავით მათ ოპონენტს [7] იმაში, რომ ეს გარემოება ნაკლებად უნდა მიუთითებდეს ნათესაობაზე. თუმცა საპირისპირო აზრის სრული უგულვებელყოფა არ მიგვაჩნია სწორად. მართალია, თრიალეთს ორბელები არ ფლობდნენ, მაგრამ მაგრამ ქვემო ქარკვეულ ტერიტო-

<sup>10</sup> უფრო მეტიც, ასეთ სეპარატისტულ მიმართებას გარკვეული გაგრძელებაც ჰქონდა: ამ გვარის წარმომადგენელი სერვერ ბეგ ათაბაგი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პერიოდში სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის (ყარსის) რესპუბლიკის შექმნას ცდილობდა, მის შემადგენლობაში სამცხე-ჯავახეთიც უნდა შესულიყო, აჯანყებასაც უმეთაურა საქართველოს წინააღმდეგ, ჩვენი სამშობლოს მნიშვნელოვანი ტერიტორიის მოცილება ენადა. საბედნიეროდ, ეს მცდელობა მარცხით დამთავრდა. სერვერ ბეგმა თავისი აქტივობა თურქეთში გააგრძელა, ათაბურქის პერიოდში ეწეოდა პოლიტიკურ აქტივობას, იყო მეჯლისის წევრი [10, 42].

რიები, თბილისის საამიროსა და ლორუ-ტაშირის სამეფოსგან დაბრუნებული, რომელიც შემდგომში ორბელების სამფლობელო გახდა, პერიოდულად მაინც ბალვაშების ხელში იყო; კლდეკარის საერისთავოს საზღვრების გარეთ ქვემო ქართლის ზოგიერთი ციხე და მისი შემოგარენი ჯერ ბალვაშებს და მერე ორბელებს ნამდვილად ეკუთვნოდა [32,33,34]. და რაც მთავარია, ორბეთის და სამშვილდის (ორბის) ციხე, რომელთა მფლობელობის გამო, სტეფანოს სივნიელის მიხედვით, ორბელებს ეს გვარი ეწოდა, გარკვეული დროის განმავლობაში მაინც ბალვაშებს ეკუთვნოდა (როგორც ზემოთ აღვნიშნეთ დავით აღმაშენებელმა ივანე ორბელს ლორეც უბოძა და სამშვილდეც, მაგრამ სამშვილდე იმიტომ, რომ იგი წინათ ივანე ორბელის წინაპრებს ეკუთვნოდა [24]).

#### **დამატებითი კომენტარი (3) - ბალვაშებისა და ორბელების ერთი და იგივე თანამდებობების ფლობის თაობაზე**

ბალვაშები და ორბელები შუა საუკუნეების საქართველოს უძლიერეს საგვარეულოებს წარმოადგენდნენ. მათ ეკავათ უმაღლესი თანამდებობები - ერისთავისა და ერისთავთ-ერისთავის, მანდატურთუხუცესის, სპასალარისა და ამირსპასალარის, მეჯინიბეთუხუცესის. ქ. ქუთათელაძე ამასაც ბალვაშებისა და ორბელების ნათესაური კავშირის დამატებით მტკიცებულებად მიიჩნევს [33]. გარკვეულად ვეთანხმებით საწინააღმდეგო აზრს [7]იმაში, რომ ერთი და იგივე თანამდებობის დაკავება არ უნდა ჩაითვალოს ნათესაობის ნიშნად, თუ ამას დამატებითი არგუმენტების გაუთვალისწინებლად განვიხილავთ. ცხადია, სხვა ამბავია, რომ ზოგჯერ თანამდებობა მემკვიდრეობით გადადიოდა ოჯახის ერთი წევრიდან მეორეზე, მაგრამ ორ პიროვნებას თუ თანმიმდევრობით, ერთიმეორის მიყოლებით ერთი და იგივე თანამდებობა ჰქონდათ, ცალკე აღებული ასეთი ფაქტი ვერ ჩაითვლება მათი ნათესაობის ნიშნად. მით უფრო, რომ ბალვაშებსა და ორბელებში მეორდება მხოლოდ ქართლის ერისთავისა და სპასალარის<sup>11</sup> თანამდებობა, სხვები მხოლოდ ორ-

11 როგორც საარდლებს ორივე გვარის წარმომადგენლებს დიდი წვლილი აქვთ შეტანილი საქართველოს სამხედრო ისტორიაში. მოგვყავს ციტატა „ორბელიანთა ისტორიიდან“, რომლის თანახმადაც გიორგი III-მ „ამისთვის ამოილო სახლისაგან ქართლისა სახელნი მათნი და ბრძანა აღმოხვათ სახსენებელი ნათესავისა ორბელიანთა ცხოვრებისაგან მათისა და ეკლესიათაგან დასცა აღნერა წიგნისა განდგომილებისა, არ, ვითარცა იყო, უგრე ჭეშმარიტი მიზეზი, არამედ თვისისაებრ ნიშატისა დიდ-დიდთა ცილისნამებათა მათ ზედა და შეამზადნა, განაწესა შეჩვენება, რათა არა კუალად მოხსენებულ ყონ სახელნი მათნი და არა დაუტეონ მათგან ვინმე ქვეყნასა ქართლისასა, და დადო ან-დერძი ბოროტი საუნჯეთა თვისთა“. როგორც ჩანს, სწორედ ამით უნდა აიხსნას ის, რომ მიუხედავად ბალვაშ-ორბელიანთა უმაღლესი თანამდებობისა, მათ შორის სპასალარისა და ამირსპასალარის, ქართლის ცხოვრება მათი სამხედრო ასპარეზზე მოღვაწეობის შესახებ ან არავითარ, ან ძალზე მწირ და ისიც, როგორც წესი, უარყოფით ცნობებს იძლევა. საყოველთაოდ მიღებულია, რომ „ქართლის ცხოვრების“ კრებული ერთი მიმართულებისა და მიმდინარეობის, ერთი მიზანდასახულობის, სახელმწიფოს ცენტრალური ხელისუფლების, პირველ რიგში, სამეფო დინასტიის ინტერესების ამსახველ და გამომხატველ თხ-

ბელებშია. მაგრამ აქ ერთ საკითხზე გვსურს ყურადღების გამახვილება: მართალია, ორბელებს უფრო მაღალი სახელოები ჰქონდათ, მაგრამ ისინი მაინც უფრო მეფის ხელქვეითები, მეფეს დაქვემდებარებული მოხელეები იყვნენ. ბალვაშები უფრო დამოუკიდებელი იყვნენ, მათ მეფებსაც უწოდებენ [30:714], ტაოს მთავრებსაც [4:155], ხოლო ლიპარიტ IV-ს ყოვლისა აღმოსავლეთის (ანუ მთლიანად საქართველოს) წინამდღვარად [21], ალბათ გარკვეული პერიოდის განმავლობაში იაპონური სეგუნის თუ ფრანკების მა- ურდომის მსგავსი ძალაუფლების ქონების გამო.

### **დასკვნა**

ამრიგად, ბალვაშებისა და ორბელების გენეტიკურ ნათესაობაზე შემდეგი არგუმენტები მიუთითებს -

სტეფანოს ორბელიანის მიერ წინაპრად დასახელებული ლიპარიტ "აფ- ხაზის" ბიოგრაფიული ცნობები ემთხვევა XI საუკუნის მოღვაწის ლიპარიტ ლიპარიტის ძე ბალვაშის ცხოვრების ეპიზოდებს.

- სტეფანოს ორბელიანის მიხედვით, გვარი ორბეთის ციხის სახელწოდე- ბიდან მომდინარეობს. პირველი ორბელის, ამირსპასალარ ივანეს ხსენებამდე, სულ ცოტა 3-4 საუკუნის განმავლობაში ქართლში არსებული ორბეთის ციხე და სამშვილდის (იგივე ორბის) ციხე, ორივე გარკვეული დროის განმავლობა- ში მხოლოდ ბალვაშებს ეკუთვნოდა ან მათ ხელში არსებულ ტერიტორიაზე იყო და არა სხვა რომელიმე საგვარეულოს ხელში.

- ბალვაშებშიც და ორბელებში ლიპარიტი დინასტიური სახელი იყო - დაახლოებით 400 წლის განმავლობაში 9 ლიპარიტია ცნობილი (5 ბალვაშებსა და 4 ორბელებში). ბალვაშებს საერთოდ ლიპარიტეთს და ლიპარიტისძებსაც უწოდებდნენ.

- ატენის ხეობაში ბალვაშების (და არა ორბელების) სააღმშენებლო მოღ- ვაწეობის არეალში - ატენის, იგივე საცივის ციხეს ორბელიანის ციხეს, ხოლო რატი ბალვაშის მიერ აშენებულ თუ განახლებულ ღვთისმშობლის ეკლესიას ორბელიანის ეკლესიას უწოდებენ.

- იოანე ბაგრატიონი აღნიშნავს ზოგიერთი თავადაზნაურული გვარის ორბელიანებიდან წარმომავლობას, ეს გვარები ამავე დროს ბალვაშებთანა- ცაა დაკავშირებული: ა) მხეიძენი - სადაურობით - (არგვეთიდან), ბ) ფალავა /ფალვა/ფალუა - ფონეტიკური მსგავსებითა თუ იგივეობით, გ) ლიპარიტიშ- ვილი (სახელწოდებით).

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი არგუმენტი თავისთავადაც წინადია, მაგ- რამ ერთობლიობაში აღებული მათი მნიშვნელობა არსებითად მატულობს.

ცხადია, ბალვაშ-ორბელების ერთიანობის საბოლოო მტკიცებულება - ულტიმა რატიო ბალვაშებისა და ორბელების ბიოლოგიური ქსოვილის, ნეშ-

---

ზულებებს შეიცავს, რაც, ცხადია, მას გარკვეულ ცალმხრივობასა და ტენდენ- ციურობას ანიჭებს [37:28,41;14:92]. მიუხედავად გარკვეული ნაკლულობისა, ცნობილია მათი მონაწილეობა და ხშირად მეთავეობა ბრძოლებისა ბიზანტიულ- ების, ტაშირ-ძორაკეტის სამეფოს, თბილისის საამიროს, დვინის საამიროს, გან- დის საამიროს, მთლიანად სელჩუკების წინააღმდეგ [32,33,34].

ტის გენეტიკური კვლევა იქნებოდა, რაც თანამედროვე გენეალოგიის ძირითად მეთოდადაა მიჩნეული. ვიმედოვნებთ, ამის შესაძლებლობაც გაჩნდება.

### **პიბლიოგრაფია:**

1. აპრამიშვილი გ. მიქაელ, რატი, ლიპარიტ ბალვუაშთა ქტიტორული ქანდაკებები (იდენტიფიკაციის ცდა), ნარკვევები, VIII, აკადემიკოს შ. ამირანაშვილის საქართველოს ხელოვნების მუზეუმი, 2003.
2. ალასანია გ. ბარათაშვილების წარმომავლობისთვის, ანალები, 2 (2002).
3. არისტაკეს ლასტივერტელი, ვარდან ბარძრებერდელი, მათე ურჰაელი, სუმბატ სპარაპეტი / ცაგარეიშვილი ე. სომხური წყაროები საქართველო - ბიზანტიის ურთიერთობის შესახებ X-XI საუკუნეებში // მრავალთავი. თბ., 1973.
4. არისტაკეს დასტივერტეცი. ისტორია. ქართული თარგმანი გამოკვლევებით, კომენტარებით და საძიებლებით გამოსცა ე. ცაგარეიშვილმა. თბ., 1974
5. ბაგრატიონი იოანე (იოანე ბატონიშვილი). საქართველოს შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარების შემოკლებით აღწერა. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. შ. N3729, 116 V./ იოანე ბაგრატიონი, შემოკლებითი აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა, რედაქტორი და გამომცემელი. ზ. კაცელაშვილი, თბ. 1997.
6. ბაქრაძე დ. ბაგრატ მეოთხე. 1027-1072, ტფილისი, 1880.
7. ბახტაძე მ. ბალვაშთა და ორბელთა ნათესაობის შესახებ. საისტორიო კრებული 2. თბ., 2012.
8. ბალიშვილი ა. ბალვაშები. აია, 1998, №2; აია, 1999, №7; აია, 2000, №8; აია, 2001, №9-10; აია, 2002, №11; აია, 2007, №12.
9. ბროსე მ. საქართველოს ისტორია, ნაწ. პირველი, ტფილისი, 1895.
10. ვადაჭკეორია შ. საქართველოს პირველი რესპუბლიკა და ოსმალეთის ექსპანსიური პოლიტიკა (1919-1921 წლის მარტი), თბ., 2015.
11. კედრენე გიორგი. გეორგიკა. ბიზანტიელი მნერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტექსტები ქართული თარგმანებითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხხემიშვილმა, თბ., 1963.
12. კოპალიანი ვ. კლდეკარის საერისთავო. საკანდიდატო დისერტ. თბ., 1949.
13. ლეჟავა თ. ადამიანის გენეტიკა და სამედიცინო გენეტიკის საფუძვლები. თბ., 2016.
14. ლორთქიფანიძე მ. რა არის ქართლის ცხოვრება. თბ., 1989.
15. მელიქეთ-ბეგი ლ. ტოპონიმიკური შტუდიები, მარქსისტული ენათმეცნიერება, თბ. 1934.
16. მესხია შ. საშინაო პოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა XII საუკუნის საქართველოში, თბ., 1979.
17. მეტრეველი რ. დავით IV აღმაშენებელი, თბ., 1990.
18. მოვსეს ხორენაცი. სომხეთის ისტორია, თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ა. აბდალაძემ. თბ., 1984.
19. უორდანია თ. ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, შეკრებილი, ქრონილოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. უორდანიას მიერ, I, 1892.
20. საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, 5, თბ., 1990.
21. სილოგავა ვ. ბალვაშთა ფეოდალური სახლის მემორიალური წიგნები და მათი

- ანდერძ-მოსახსენებლები, კრებ.: ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი, ეძღვნება აკად. მარიამ ლორთქიფანიძის 75-ე წლისთავს, თბ., 2001.
22. სოსელია ო. ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალ-ურ-პოლიტიკური ისტორიიდან. I, თბ., 1978.
  23. სოსელია ო. ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალ-ურ-პოლიტიკური ისტორიიდან, II, თბ., 1981.
  24. სტეფანის ორბელიანის "ცხოვრება ორბელიანთა"-ს ძველი ქართული თარგ-მანები ქართულ-სომხური ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და საძიებელი დაურთო ე. ცაგარეიშვილმა, თბ., 1978.
  25. ფალავა ყ. ქართული საისტორიო ლიტერატურის მოყვარულის რამდენიმე მო-საზრება, გაზ. ერი, 1991, 7 თებერვალი.
  26. ფალავა ყ. ფალავები. თბილისი - ბათუმი, 2014.
  27. ქართლის ცხოვრება, I, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1955.
  28. ქართლის ცხოვრება, II, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1959.
  29. ქართლის ცხოვრება, IV, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973.
  30. ქართლის ცხოვრება, მთავარი რედაქტორი როინ მეტრეველი, თბ., 2008.
  31. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. I-XI, თბ., 1975-1987.
  32. ქუთათელაძე ქ. ბალვაშთა საგვარულოს როლი ქვემო ქართლის მიწების დაც-ვის საქმეში, კმ, № 2, თბ., 2000.
  33. ქუთათელაძე ქ. ქვემო ქართლი. პოლიტიკური ისტორიის საკითხები, თბ., 2001.
  34. ქუთათელაძე ქ. ქვემო ქართლის მიწებისთვის ბრძოლის ისტორიიდან, კრებ. „მესხეთი“, III, 2000.
  35. ჯავახიშვილი ი. ქართველი ერის ისტორია, წგნ.2, თბ., 1965.
  36. ჯავახიშვილი ი. ქართველი ერის ისტორია, თბ., 1983.
  37. ჯავახიშვილი ი. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა // თზხ., ტ. VIII, 1988.
  38. ჯამბურია გ. ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან (სომხეთ-საბარათიანოს სათავადოები). თბ., 1955.
  39. ჯანაშია ს. ბარათაშვილთა გენეალოგიისათვის, შრომები, ტ. II, თბ., 1952.
  40. Brosset M. Additions et clairissemens a l'Histoire de la Géorgie depuis l'antiquité jusqu'en 1469 de Y. - C, St - Petersburg, 1851.
  41. <https://aeon.co/ideas/for-centuries-european-aristocrats-proudly-claimed-foreign-ancestry>.
  42. [https://ka.wikipedia.org/wiki/Server-beg\\_aTabagi](https://ka.wikipedia.org/wiki/Server-beg_aTabagi).
  43. <https://ka.wikipedia.org/wiki/Jayelebi>.
  44. Toumanoff C. Studies in Christian Caucasian History, 1963.
  45. Toumanoff C. Manuel de Genealogie et de Chronologie por l'histoire de la Caucassie Chre-tienne (Armenie-Georgie-Albanie), Roma, 1976.
  46. Гумилев Л. Древняя Русь и Великая степь, Москва, 2012.
  47. Такаишвили Е. Археологические экскурсии, разыскания и заметки, Тифлис, 1913.

## KARAMAN PAGAVA

### ON RELATEDNESS OF MEDIEVAL GEORGIAN FAMILIES BAGHWASHI AND ORBELI

#### Abstract

Baghwashi and Orbeli (Orbeliani) were two prominent princely families of medieval Georgia in IX-XIII centuries. One branch of Orbeli in the second half of XIII century went to Siunik, situated in modern Armenia, where they became rulers of Syunic principality.

Analysis of data from sources and references allowed us to reveal arguments indicating the genetical relatedness of these two dynasties.

They are following –

- Stephanos Orbeliani, prominent religious figure and historian of XIII-XIV Armenia, author of the History of Orbelianis mentions that their ancestor was Liparit Abkhazi [from Kingdom of Abkhazeti, Egrisi situated in western part of modern Georgia]. There are given also data about his participation in the battle between Byzantium and Seljuk forces 1048/1049. At the same time, it is known that the prominent representative of Baghwashi House (originated from Argveti, western Georgia) – Liparit IV has participated in this battle.

- According to Stephanos, the name Orbeliani (Orbeli) was created because of ownership of the fortress Orbeti/Orbi situated in eastern Georgia, Kvemo Kartli region. It is known that in this region exist two fortresses Orbeti and Orbi (Samshvilde) which at least during 300-400 years before the appearance of first Orbeli – Ivane on the historical stage (1110), belonged at least periodically to only one family – Baghwashi.

- Both in Baghwashi and Orbeli and not in other families in this period there was the same dynastic name - Liparit. There are known 5 Liparits among Baghwashi during about 250 years (IX-XII centuries) and 4 ones among Orbeli (in next 150 years – XII-XIII centuries). Even more, the name– Lipariti, Lipariteti, Liparitisdze (son of Liparit – in Georgian) was another name of Baghwashi dynasty.

- Ateni gorge (in eastern Georgia), at least periodically was in the hands of Baghwashi or their branch (Kakhaberidze-Baghwashi) in Racha, western Georgia, but never in the hands of Orbeli/Orbeliani. It was the area of building activity of Baghwashi. For example, in the known church Ateni Sioni there are a lot of traces of Baghwashi's ktitorship, incl. inscriptions, epigraphic and sculptures. Next to this church there is the smaller one dedicated to Virgin, according to the epigraph on it built or renovated by Rati Baghwashi. Nevertheless, until now the church is called Orbelianis' church. Even more, the Ateni fortress built nearby in XI century also bears the name Orbelianis's fortress. All the above mentioned indicates that both families were considered as the same.

- Ioanne Bagrationi, the historian, scientist and writer of XVIII-XIX centuries has written the book about Georgian nobility. In this book he indicates that some fami-

lies – Mkheidze, Liparitishvili and Pagava/Paghava are descendants of Orbeliani. At the same time these families have ties with Bagvashi. Mkheidze are from Argveti, the province situated in western part of modern Georgia, historically in the Kingdom of Abkhazeti/Egrisi, which belonged to Baghwashi, but never to Orbeliani. Liparitishvili (in Georgian like Liparitsdze it means son of Liparit), Lipariti, Lipariteti, Liparitsdze is known as another name of Bagvashi. Pagava – if we compare its spelling, especially forms used in Mingrelia – Paghua, Paghwa with Baghwashi without suffix “shi”, which is typical for Genitive in Zani-Mingrelian-Lazi language, it will be clear that practically they are the same family names.

Stephanos' opinion that his ascendants came from China and were descendants of Chinese Imperator can be evaluated as an attempt to increase greatness of his family. There is another opinion too, namely that they came not from China but from Chan, western-south party of Lazica. This suggestion can be accepted to some extent having in mind that Baghwashi were from Lazica/Egrisi too. It can be considered as an additional proof of Orbelis and Bagvashis identity.

Thus, the above-mentioned points to the identity, relativity of these families – Baghwashi and Orbeli.

**Keywords:** Baghwashi; Orbeli; Pagava/Paghava; Lipariti; Lipariteti; Kvemo Kartli region.

#### КАРАМАН ПАГАВА

### К ВОПРОСУ О РОДСТВЕ СРЕДНЕВЕКОВЫХ ГРУЗИНСКИХ РОДОВ БАГВАШИ И ОРБЕЛИ

#### Резюме

Багвashi/Багуаши и Орбели - выдающиеся феодальные роды средневековой Грузии в IX-XIII веках. Со второй половины XII века ветвь Орбели/Орбелиани обосновалась в Сюнике (территория современной Армении) и они стали владетелями Сюникского княжества.

Анализ существующих источников и данных литературы позволил выявить следующие аргументы в пользу генетического родства этих фамилий –

- Стефанос Орбелян, церковный деятель XIII-XIV веков, представитель арменизированной ветви Орбелов, в своем произведении “История рода Орбелианов” указывает, что их предком был “Липарит Абхаз”. Он указывает также об его участии в битве против сельджуков в 1048 (1049) году. Из источников известен лишь один Липарит (Липарит сын Липарита, или иначе Липарит IV Багвashi) родом из Аргвети, в ту пору входившая в Абхазское/Эгрикское царство (современная западная Грузия), который участвовал в вышеуказанной битве.

- Стефанос указывает, что фамилия произошла от крепости Орбети в Грузии. В восточной Грузии находились две крепости с этим названием – Орбети

и Самшвилде (в некоторых источниках называемая крепостью Орби). Известно, что в течение по крайней мере 3-4 веков до появления первого Орбели – Иванэ на исторической арене (1110 г.), этими крепостями, по крайней мере некоторое время, владел только один феодальный род - Багвashi.

- И у Багвashi и у Орбели было одно и то же династическое имя Липарит, в течение примерно 400 лет были известны 5 Липаритов Багвashi и 4 Липарита Орбели, в этом периоде (IX-XIII веках) среди других фамилий это имя практически не встречалось. Более того, Багвashi вообще называли Липаритами, Липаритети, Липаритисдзе (сын Липарита по-грузински).

- Атенское ущелье, в восточной Грузии, в определенные периоды времени принадлежало роду Багвashi, включая их ответвлению – Кахаберидзе-Багвashi, владетелей Рачи и Таквери, и было ареалом их строительной деятельности. Роду Орбели/Орбелиани Атени никогда не принадлежало. Здесь находятся Атенская крепость примерно XI века, поныне называемая крепостью Орбелиани. Более того, находящаяся рядом с Атенским Сионом, известной церкви примерно VII века, также носящей следы ктиторской деятельности Багвashi, находится более поздняя церковь Богоматери, согласно надписи, построенная или обновленная Рати Багвashi, которая также называется церковью Орбелиани.

- Иоанне Багратиони, деятель XVIII-XIX веков, в своем произведении о происхождении ряда грузинских княжеских и дворянских родов, указывает что фамилии Мхеидзе, Липаритишвили и Пагава происходят от Орбелиани. В то же время отмечается их связь с Багвashi. В частности, Мхеидзе имели земли в провинции Аргвети (исторически Абхазско-Эгрисское/Мингрельское, западногрузинское царство), которым владели Багвashi, но не Орбели/Орбелиани. Липаритишвили по-грузински обозначает сын Липарита, как и Липаритисдзе, т.е. они носят династическую фамилию Багвashi. Слово Пагава никак не похоже на слово Орбелиани/Орбели, однако если мы сравним его, в особенности формы, часто употребляемые в Мингрелии Пагва/Пагуа с Багвashi/Багуashi без суффикса -ши, характерного для прилагательного падежа в занском/мингрельском/лазском языке, мы убедимся что это в сущности одна и та же фамилия.

Стефанос указывает также, что его предки пришли из страны Чин (Китая) и были потомками Китайского императора. Полагаем, что это утверждение следует расценивать, как попытку возвеличивания своего рода. С другой стороны, есть мнение, что под словом Чин подразумевается Чан, Чанети, юго-западная часть древней Лазики/Колхиды. Это предположение в определенной мере приемлемо, тем более, с учетом того, что Багвashi были из Эгриси/Лазики и это может служить дополнительным свидетельством единых корней Багвashi и Орбели.

Таким образом, вышеизложенное указывает на родство/идентичность фамилий Багвashi и Орбели.

**Ключевые слова:** Багвashi; Орбели; Липарит; Пагва; Аргвети; Грузия; Стефанос Орбелиани.

## ვახტანგ გურული

### არჩილ ჯორჯაძე

(ეროვნული თანხმობის იდეა და მისი განხორციელების გზები)\*

„საერთო მოქმედების ნიადაგის“ იდეას უკავშირდება არჩილ ჯორჯაძის წერილი „ვის უნდა დარჩეს ჩვენი მიწა?“ (1901 წ.).<sup>1</sup> იმ ქაოტურ ეპოქაში ვის, რომელ სოციალურ ფენას თუ კლასს უნდა დარჩენოდა ქართული მიწა, ძალზე რთული სათქმელი იყო. სწორედ ამ სირთულის აღნიშვნით იწყებს არჩილ ჯორჯაძე ნაშრომს: „ერთ ჩვენ წერილში შევხეთ ქართულ მიწა-წყლის ბედ-ილბალს და, სხვათა შორის, ის აზრი გამოვსთქვით, რომ უნდა ვეცადოთ, რომ ჩვენი მიწა ქართველებს შევარჩინოთ. ამის შესახებ ორნაირი საყვედლური მოგვივიდა. ერთის მხრივ, გვისაყვედურებენ, რომ ჩვენი დასკვნა მკაფიოდ გამოსახული არ არის, წერილიდან არა სჩანსო, საჭიროა თუ არა, რომ ჩვენი მიწა გლეხეაცობის ხელში გადავიდეს; მეორეს მხრით, გვისაყვედურებენ, რომ ჩვენ თავად-აზნაურობის ინტერესების წინააღმდეგი აზრები გამოვსთქვით და იმის ცდაში ვართ, რომ მას ეხლავე უსათუოდ მიწა ჩამოერთვასო“. სწორედ ამ ბუნდოვანების ცხადყოფისათვის არჩილ ჯორჯაძე უბრუნდება მტკიცნეულ თემას და აცხადებს: „რათა ამ ორ საყვედლურს საფუძველი ავაცალოთ, ჩვენ ვამბობთ – პრინციპიალურად იმ აზრისა ვართ, რომ მიწა, ეს საანარმოვო იარაღი, მწარმოებლის, ე. ი. გლეხის ხელში უნდა გადავიდეს, მხოლოდ, რადგან ეს პრაქტიკულად არ მოხერხდება ამ უამად, ამისათვის უნდა ვეცადოთ, რამდენადაც შეიძლება, გლეხეაცობას ვაყიდვინოთ გასაყიდი მიწა და, რასაც იგი ვერ შეისყიდის უფულობის თუ სხვა მიზეზების გამო, ყოველი ღონისძიება უნდა ვიხმაროთ, რომ იგი ჩვენს თავად-აზნაურობას შევუნარჩუნოთ. ასე რომ, ჩვენი მიწა გარემოების და დროის მოთხოვნილებით, ქართველობას უნდა დარჩეს, ე. ი. ყოველ იმ ქართველს, განურჩევლად წოდებისა, ვინც კი შეძლებს გასაყიდ მიწის შეძენას (...). ქართველი ხალხის ინტერესია – ჰქონდეს მას საცხოვრებელი მიწა-წყალი. მხოლოდ თუ ჩვენ მიწას უცხოელები დაეპატრონებიან, ქართველ გლეხის ხელში იგი ვეღარ ჩავარდება. ასე რომ, ჩვენ წინ ამგვარი დილემაა: ჩვენს აზნაურს მამული ეყიდება, გლეხს იმისი ყიდვა არსებულ პირობებში არ შეუძლია; დავეხმაროთ თუ არა აზნაურს, რომ მან დროებით მაინც არ დაპკარგოს მამული, თუ გულგრილად

\* გაგრძელება, დასაწყისი იხ. უკავშირ „მაცნე“, ისტორიის... სერია, №1, 2020.

1 თხზულებანი არჩილ ჯორჯაძისა. წიგნი მეოთხე. ტფილისი, 1911. გვ. 47-51.

უყუროთ ქართულ მინის სხვის ხელში გადასვლას? ჩვენ იმ აზრისა ვართ, რომ საზოგადო ინტერესის მიხედვით, საჭიროა ამ აზნაურს დავეხმაროთ. თავად-აზნაურობის მინის-მფლობელობის დაცვის საჭიროება გამომდინარეობს ჩვენი გლეხებაცობის ინტერესიდან, რადგან ჩვენი აზნაურობის მამულ-დედული გლეხ-კაცობის და ქართველ მრეწველების (განურჩევლად წოდებისა) მემკვიდრეობაა და რადგან სხვის ხელში გადასვლასთან ამათ ეს მემკვიდრეობა სამუდამოთ დაეკარგებათ.” მწერლის ამ მოსაზრებას ბევრი საერთო აქვს ილია ჭავჭავაძის პოზიციასთან, რომელიც ბატონყმობის გაუქმების დროს და შემდგომ ათწლეულებში როგორც თავადაზნაურობის, ისე გლეხობის ინტერესებს იცავდა.

არჩილ ჯორჯაძე მიმოიხილავს ქართველ გლეხთა ცალკეული კატეგორიის (მინის მფლობელი, დროებითვალდებული, სახელმწიფო და ხიზანი გლეხების) სავალალო სოციალურ და ეკონომიკურ მდგომარეობას და შექმნილი ვათარებიდან გამოსავალს ასე ხედავს: „თუ გვსურს ჩვენს ეროვნებას მკვიდრი საფუძველი დაუდოთ, მივაქციოთ უპირატესი ყურადღება იმ გარემოებას, რომ ჩვენი მნარმოებელი (გლეხი – ვ. გ.) არ არის დამკვიდრებული იმ მინაზედ, რომელსაც იგი ამუშავებს და რომელიც საქართველოს ტერიტორიას შეიძინავს. დავეხმაროთ გლეხებაცობას მინის შექნის საქმეში. რაც მან ვერ შეიძინოს, შეურჩინოთ მინა დანარჩენ ქართველობას. ამ განზრახვით საჭიროა ჩვენში სპეციალური ბანკის დაარსება”. სამწუხაროდ, არჩილ ჯორჯაძის პროგრამა ვერ განხორციელდა, ხოლო მომდევნო წლებში აგრარული საკითხის იმგვარად გადაჭრას, როგორადაც ის ხედავდა, მრავალმა ობიექტურმა ფაქტორმა შეუშალა ხელი.

ისევ და ისევ საერთო მოქმედების ნიადაგის იდეას ეხმაურება 1901 წელს არჩილ ჯორჯაძის მიერ გამოქვეყნებული წერილი „ეროვნული საკითხის განმარტების გამო”<sup>2</sup>. ნაშრომი ასე იწყება: „არსად, არც ერთს საზოგადოებაში არ შეხვდებით იმისთანა ბუნდოვან და გამოურკვეველ შეხედულებას ეროვნებაზე, როგორც ქართველ საზოგადოებაში. ამ საგანზე ჩვენში ლაპარაკობენ – სიტყვით და ბეჭდვით – მხოლოდ ამითი საქმეს არა ეშველა-რა – ეროვნება იყო და არის ჩვენთვის რაღაც გაუგებარი ამოცანა.” არჩილ ჯორჯაძე აღნიშნავს, რომ ქართველი ერი საუკუნების განმავლობაში ყალიბდებოდა, ყალიბდებოდა ერის სოციალური ფენებიც. ამ პროცესის განმსაზღვრელი, ავტორის აზრით, იყო ის, რომ „ამ ხნის განმავლობაში ქართველი ხალხი სცხოვრობდა იმ მიწა-წყალზე, რომელზედაც იგი ძეველადვე დამყარდა, და ამავე დროს, მას არ დავიწყებია ის ენა, რომელზედაც იგი იმთავითვე ლაპარაკობდა. მაშასადამე, თვალი რომ გადავავლოთ ჩვენს ცხოვრებას, დავინახავთ, რომ ქართველ ხალხს საუკუნების განმავლობაში, მიუხედავად მრავალ გვარ სოციალურ და პოლიტიკურ ცვლილებათა, შეურყევლად შეურჩენია ორი რამ: მინა და ენა.” ავტორის აზრით, მინისა და ენის შენარჩუნებისათვის ბრძოლა ძალზე ძნელი იყო: „რასაკვირველია, ჩვენს ტერიტორიას ამ ხნის განმავლობაში

<sup>2</sup> თხზულებანი არჩილ ჯორჯაძისა. წიგნი მეოთხე. ტფილისი, 1911. გვ. 51-55.

ხან აკლდებოდა ერთი ნაწილი, ხან ემატებოდა მეორე; ჩვენს ენაშიაც ხან ერთი უცხო სიტყვა შემოდიოდა, ხან მეორე. მხოლოდ დღემდე მაინც ქართველ ხალხს აქვს განსაზღვრული ტერიტორია და განკერძობებული ენა და ეს ორი საგანი ჩვენის ცხოვრების არსებით თვისებას შეადგენდა და ეხლაც შეადგენს: მიწა და ენა – ორი ძირითადი ფაქტორი ჩვენი ეროვნებისა – მიწა და მისი ნაწარმოები ცხოვრების ეკონომიური საფუძველია; ენა და ყოველივე ის, რაც ენის საშუალებით გამოისახება (ლიტერატურა, აზროვნება და სხვ.), ცხოვრების სულიერ ანუ ფსიხიურ საფუძვლად ჩაითვლება.” საინტერესოა არჩილ ჯორჯაძის მსჯელობა მთელ ამ პროცესებში ენის მნიშვნელობის შესახებ: „შეიგნო რა ქართველმა კაცმა ენის მნიშვნელობა, მან დაიწყო იმის საშუალებით თავისი აზრის და გრძნობის გამოხატვა, აქედან ნარმოსდგა კულტურა: კანონმდებლობა, ღვთისმეტყველება, ლიტერატურა და სხვ. (...). როდესაც ჩვენს ტერიტორიას გარეშე მტერი ემუქრებოდა ხოლმე, ქართველი ერი ამ მტერს ებრძოდა, რადგან იციდა, რომ მიწა იმის მარჩენალია, რომ ამ მიწაზედ სცხოვრობს ერთ ენაზე დ მოსაუბრე ერი, რომნელსაც ერთი ზნე, ერთი ჩვეულება, ერთი სარწმუნოება, ერთი ლხინი და ჭირი ჰქონდა. ყოველივე ეს სწორედ ის ძალა იყო, რომელიც აერთებდა ჩვენს ერს და მეორე ერისაგან არჩევდა მას”. არჩილ ჯორჯაძის მიერ შემოტანილი ცნებები და განსაზღვრებები სხვადასხვა ფორმით გადავიდა მიხეილ (მიხაკო) წერეთლის წიგნში „ერი და კაცობრიობა” (1910 წ.) და იოსებ ჯულაშვილის ნაშრომში „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი” (1913 წ.). აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ არჩილ ჯორჯაძის, მიხეილ წერეთლისა და იოსებ ჯულაშვილის ნაშრომებში ხშირ შემთხვევაში ასახვა პპოვა მათზე ადრე მოღვაწე სხვადასხვა ერის გამოჩენილი მეცნიერების მიერ ნამოყენებულმა დებულებებმა.

ნაშრომის დასასრულს არჩილ ჯორჯაძე სვამს იმ დროისათვის მეტად მწვავე, გადაუჭრელ კითხვებს: „ჩვენს დროში რაღა არის ეროვნული საკითხი? რა ნიადაგზე შეიძლება შეთანხმება ორგვარ მოვლენისა? – ერთის მხრით, ეროვნულ ერთობისა, – მეორეს მხრით, თანამედროვე ეკონომიურ წინააღმდეგობისა, განხეთქილებისა? რანაირად შეზავდება ერთმანეთში კლასთა ბრძოლის პრინციპი და ეროვნება?” ამ მეტად რთული კითხვების შესახებ ავტორი თავის მოსაზრებებს გვიზიარებს: „ამ კითხვის გამოკვლევისათვის ჩვენ დაბეჯითებით უნდა ვიცოდეთ ის, თუ რა არის ეროვნება. ეროვნება ანუ ნაციონალიზმი შეგნებაა იმ აზრისა, რომ მე, როგორც კერძო ადამიანს, მაქვს ნივთიერი და სულიერი კავშირი ჩემ ხალხთან. ხოლო საიდან ნარმოსდგება ამგვარი კავშირი? იმ შეგნებიდან, რომ ეს კავშირი თავმდებია სიცოცხლის, ბედნიერების და თავისუფლებისა.“ პრაქტიკულად, არჩილ ჯორჯაძემ მოგვცა ერის რაობის განმარტება, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, გამოყო რამდენიმე ნიშან-თვისება: „მიწა“ (ტერიტორია); „ენა“; „ცხოვრების სულიერი, ანუ ფსიხიური საფუძველი“; „ზნე-ჩვეულება“; „სარწმუნოება“; „ისტორიული ტრადიცია“; „ნივთიერი და სულიერი კავშირი თავის ხალხთან“, როგორც თავმდები სიცოცხლის, ბედნიერების და თავისუფლებისა“. ყოველივე ეს ქართული პოლიტიკური აზროვნების ისტორიაში სრულიად ახალი სიტყვა იყო.

### პოლემიკა „ივერიასა“ და „კვალთან“

გაზეთ „ცნობის ფურცელსა“ და ჟურნალ „მოამბეში“ გამოქვეყნებული არჩილ ჯორჯაძის წერილები კრიტიკულად შეაფასა „ივერიამ“ და „კვალმა“. მიუხედავად იმისა, რომ „ივერიასა“ და „კვალს“ შორის ცხარე პოლემიკა მიმდინარეობდა, ორივე გაზეთი დაპირისპირებული აღმოჩნდა არჩილ ჯორჯაძესთან. კრიტიკას არჩილ ჯორჯაძემ 1901 წელს უპასუხა წერილით „რა მოხდა?“<sup>3</sup> მასში ვკითხულობთ: „როდესაც ამ ნახევარი წლის წინად ჩვენ „საერთო მოღვაწეობის ნიადაგზე“ ჩამოვაგდეთ ლაპარაკი, ქართული პრესსა დიდი გულმოღვინებით დაუხვდა ამ ჩვენ ლაპარაკს. „კვალს“ არ მოეწონა ზოგიერთი მოსაზრებანი და გაილაშქრა ჩვენს წინააღმდეგ. „ივერია“ დამშვიდებულად სდუმდა, არც ჰოს ამბობდა, არც არას (...). მე თანდათან ვრწმუნდებოდი, რომ საერთო მოქმედების ნიადაგი ჩვენში გამოურკვეველი იყო, რომ გამოურკვეველი იყო განსაკუთრებით ის, თუ ვის, ჩვენი საზოგადოების რომელ ნაწილებს და ჯგუფებს შეეძლოთ ერთმანეთისათვის ხელი გამოწოდათ და პრაქტიკულ ნიადაგზე საერთოდ ემოლვანნათ (...). საუბედუროდ, ჩვენს მოქმედებას ერთნაირი აზრი არ ჰქონია და არა აქვს. არის ერთი დიდი ნაწილი ჩვენის საზოგადოებისა, რომლისთვისაც პირადი ანგარიშის გარედან არც ერთი აზრი, არც ერთი გრძნობა, არც ერთი ლტოლვილება არ არსებობს. არის ერთი ნაწილი ჩვენი „მოღვაწე-მწერლებისა“, რომელთ ფიქრი მხოლოდ ერთ მხარეზეა მიქცეული და ხალხის კეთილ-დღეობაზედ იმდენად ზრუნველი და ფიქრობენ ისინი, რამდენადაც ეს ზრუნვა ხელუხლებელს სტოვებს არსებულ ეკონომიურ წყობილებას, რამდენადაც ეს ზრუნვა ემსახურება ვითომდა შესაძლებელ (განურჩევლად წოდებისა) ეკონომიურ კეთილდღეობას. როდესაც ყველა ეს გამოაშეარავდა ჩვენთვის, ეჭვს გარეშე შეიქნა, რომ მთელი საზოგადოებისა, ანუ მთელი ინტელიგენციის საერთო მოქმედებას აქვს თავისი საზღვარი და აი, ამ საზღვრის გამორკვევა იყო საჭირო.“ როგორც ვხედავთ, არჩილ ჯორჯაძეს საკმაოდ რთული საკითხის გადაჭრა დაუსახავს მიზნად. პირველ რიგში, აუცილებელი იყო „ივერიისა“ და „კვალის“ პოზიციების შეფასება. ცხადია, რომ ეს ორი პოპულარული და გავლენიანი გაზეთი არჩილ ჯორჯაძეს იმთავითვე არ დაეთანხმებოდა, დაინტებოდა პოლემიკა. არჩილ ჯორჯაძე ყოველივე ამას არ შეუშინდა და საზოგადოების სამსჯავროზე ასეთი მოსაზრება გამოიტანა: „დღემდე ჩვენი საზოგადოება თითქმის ორ ბანაკად იყოფოდა. ერთის მხრით, „მესამე დასელები“ (გაზეთ „კვალის“ ბანაკი – ვ. გ.), მეორეს მხრით, – დანარჩენი ნაწილი ჩვენი საზოგადოებისა, რომელთაც „ნაციონალისტებს“, ანუ „პატრიოტებს“ უწოდებდნენ (გაზეთ „ივერიის“ ბანაკი – ვ. გ.). ასე თუ ისე, ამგვარი დაყოფა ჩვენი საზოგადოებისა სინამდვილეს არ იყო მოკლებული, რადგან მართლაც და დიდად განირჩევდნენ ერთ-ერთმანეთისაგან (...). ამის შემდეგ არჩილ ჯორჯაძე ცალ-ცალკე ახასიათებს ორივე ბანაკის შეხედულებებს. ნაშრომში ვკითხულობთ: „კვალს“ ხალხის სამსახურის განზრახვა ჰქონდა,

3 თხზულებანი არჩილ ჯორჯაძისა. წიგნი მეოთხე. ტფილისი, 1911. გვ. 156-164.

რომ იგი მაინც პროგრესიულ საქმეს ემსახურებოდა, რადგან ხალხს კითხვის და დაფიქრების ხალისი დაუბადა”. „ივერიის” ბანაკის შეფასება ასეთია: „რას იცავდნენ, რას ჰქადაგებდნენ ჩვენი, „ნაციონალისტები”? უნინარეს ყოვლისა, ისტორიის გმირთა პატივისცემას. ამ მხრით ჩვენს ახალს პოეზიას დიდი სამსახური მოუძღვის ამ პატრიოტულ გრძნობების გაღვიძების საქმეში ჩვენს საზოგადოებაში. „ნაციონალისტები” ხალხის კეთილ-დღეობაზედ ზრუნავდნენ, ხოლო, რამდენადაც მტკიცენი და შეურყეველი იყვნენ პატრიოტულ მოძღვრებაში, იმდენად სუსტი – ხალხის ინტერესების კითხვის დაცვაში. (...) ისინი ხალხს დაშორებული იყვნენ და არც სცდილობდნენ ხალხთან დაახლოებას. საუკეთესო „ნაციონალისტთაგანი” ილია ჭავჭავაძე უტოპიურ საერთო ეკონომიურ ზრუნვაში იყო და ეკონომიურ განმხეთქილების მიზეზს არ ხედავდა საქართველოში არსებულ წყობილებაში.” წერილიდან ირკვევა, რომ არჩილ ჯორჯაძე პრინციპულად არ იზიარებდა ილია ჭავჭავაძის მიერ გამოთქმულ შემდეგ მოსაზრებას: „დიდი შეცდომა იქნება წოდებათა შორის განხეთქილების მიზეზი თვითონ წოდებათა წყობას, მის შინაგანს არსებას, თვისებას, ზნეს და ჩვეულებას და აქედან ნარმომდგარ მიდრეკილებას მივაწეროთ. ამის მიზეზი იგივეა, რაც თვითულ კაცთა შორის: ავი გული, ხარბი თვალი, გრძელი ხელი და ნამუსის ქუდის ახდა.”

1901 წელს გაზეთ „ივერიის” რედაქცია განახლდა. არჩილ ჯორჯაძე მიიჩნევდა, რომ ახალ რედაქციას სიახლე არ შემოუტანია: „მან ვერც ერთი იმგვარი ნიშანი ვერ გვიჩვენა, რომ შეგვეძლოს თქმა: „ივერია” ახალ გზაზე გამოდის და იმ ნაკლის შევსებას შეუდგება, რომელიც ჩვენს ძველებურ „ნაციონალიზმს” ამჩნევიაო. პირიქით, ამ რედაქციამ იმისთანა წერილებს მისცა ადგილი თავის ფურცლებზე, რომ თვალსაჩინოდ დაგვანახა, მისი თვალთახედვის ისარი წარსულისაკენ არის მიმართული და არა მომავლისაკენ.”

„კვალისა” და „ივერიის” არჩილ ჯორჯაძისეული შეფასება ასეთი იყო: „კვალს ჰქონდა ცალმხრივი დემოკრატიზმის ხასიათი, „ივერია”-ს არანაკლები ცალმხრივი პატრიოტიზმის დალი ემჩნეოდა.” ასეთ ვითარებაში, ავტორის აზრით, აუცილებელი იყო ახლის ძიება: „და აი, თვითონ ჩვენმა ცხოვრებამ დააყენა გასარკვევად მესამე კითხვა: ხალხისა და ეროვნების, დემოკრატიზმისა და პატრიოტიზმის დაკავშირება იყო საჭირო. და აი, სწორედ ამ კითხვის გარკვევამ ნარმოშობა ახალი ჯგუფი, ახალი პარტია (იგულისხმება გაზეთ „ცნობის ფურცლის” გამოცემა 1896 წელს – ვ. გ.), რომელიც ამ უკანასკნელს 5-6 წლის განმავლობაში ნელ-ნელა და თანდათან ისახავდა თავის პიროვნებას.”

წერილს „რა მოხდა?” ავტორი ასეთი მოსაზრებით ასრულებს: „ჩვენ ნიადაგ ვიყავით და ვიქნებით იმისი მტერი, ვისაც ეროვნულ ვინაობის დაცვა არაფრად მიაჩნია. მხოლოდ არა ნაკლები მტერი ვართ ყველა იმათი, ვისაც კერძო ანუ წოდებრივი ინტერესების მოსარჩლეობა ეროვნების მოსარჩლეობად მიაჩნია. რაკი ერთხელ ამ ნიადაგზე დავდექით, ჩვენ არც მარცხნივ დახევა გვესაჭიროება, არც მარჯვნივ ამოხვევა. როცა „კვალი” ამბობდა (...), რომ მას ძრიელ მცირე იმედი აქვს, რომ ჩვენი ჯგუფი მარცხნივ დაინ-

ევს, კარგად ესმოდა, რასაც ამპობდა. „კვალი” დარწმუნებულია, რომ ჩვენ ეროვნული ნიადაგიდან არ დავინძრევით და თუ არ არის ამაში დარწმუნებული, მომავალი დაარწმუნებს. ხოლო როდესაც „ივერია” (...) არწმუნებდა თავის მკითხველებს, რომ ჩვენ „ჭუჭყიან დროშის ქვეშ ამოვდექით, ორში ერთია: ან მან კარგად ვერ ასწონა ამ სიტყვების შეურაცხყოფის სიმძიმე, ან კიდევ ბრაზისაგან ღონე მიხდილი თავის თავს ანგარიშს არ აძლევდა, ორივე შემთხვევაში ის პასუხის მგებელია საზოგადოების წინაშე, რომელიც მსაჯულია ჩვენი ყველასი, ვინც ვართ. მომავალი დაგვანახვებს, საითკენ დაიხრება სამართლის სასწორი”. ამ შეფასებაში მკითხველს შეიძლება ზოგიერთი რამ ზედმეტად მეტაცრად, გადაჭარბებულადაც მოეჩვენოს, ამიტომ აუცილებლად მიგვაჩნია შემდეგი განმარტების გაკეთება: 1901 წლისათვის „კვალი” მთლიანად სოციალ-დემოკრატების ხელში იყო. გაზიეთმა გიორგი წერეთლის გარდაცვალების შემდეგ (1900 წ.) ის ობიექტურობაც დაკარგა, რაც წინა წლებში ახასიათებდა და სოციალიზმის რუპორად იქცა. 1900 წლისათვის „ივერიის” მიმართულებას არც რედაქციის განახლებამდე და არც განახლების შემდეგ ილია ჭავჭავაძე აღარ განსაზღვრავდა, რის გამოც გაზიეთმა ნელ-ნელა დათმო თავისი ძველი მიმართულება.

1901 წელს გამოქვეყნებულ წერილში „განახლებულ „ივერიის“ გამო”<sup>4</sup> არჩილ ჯორჯაძე კვლავ დაუბრუნდა გაზიეთის მოქმედი რედაქციის პოზიციის შეფასებას. საერთო შეფასება მოკლე, მაგრამ პრინციპული იყო: „როდესაც ამ მოკლე ხანში „ივერია”-მ გამოაცხადა თავისი ახალი პროგრამა და პროგრამას დაუმატა სხვა წერილებიც, რომლითაც სცდილობდა ჩვენი ცხოვრების ანონ-დანონვასა, აშკარად დავინახეთ, რომ „ახალ” რედაქციას თანამედროვე ცხოვრების ალლო ვერ აუღია, იგი გადაბირებულ საზომით ჰიზომავს საზოგადოებრივ ცხოვრების მიმდინარეობას და დაძველებულ სამეცნიერო ჰიპოტეზებით ასაბუთებს თავის აზრს. რედაქცია ხმარობს განსაკუთრებულ საზომს, ხოლო ეს საზომი (კრიტერიუმი) დახავსებული და გადაბირებულია და არა ისეთი, როგორიც შეეფერება ჩვენს დროს. და ამით აიხსნება, რომ მიუხედავად თავისი სურვილისა პროგრესული პრინციპის დაცვისა, გაზიეთი ძველ არაეს მოგვითხრობს და ძველ წესს ესარჩილება.” შემდეგ არჩილ ჯორჯაძე ეხება XVIII საუკუნის ევროპაში ლიბერალიზმის (ბურუუაზიული ლიბერალიზმის) აღმოცენებას და აგრძელებს მსჯელობას ამ მოვლენის ღირსებებისა და ნაკლოვანი მხარეების შესახებ: “ამ მოძღვრების ძალით ყველას ერთნაირი უფლებები ეძღეოდათ, ყველანი თანასწორნი ხდებოდნენ კანონის წინაშე. და აი, მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში დასავლეთ ევროპა პრაქტიკულად ახორციელებდა და პოლიტიკურ დაწესებულებათა საშუალებით აფუძნებდა და ამკვიდრებდა მეთვრამეტე საუკუნის მოძღვრებას. მაგრამ დროთა მსვლელობაში, ცხოვრებამ აღმოაჩინა ბურუუაზიულ ლიბერალიზმის სუსტი მხარე და ნაკლულევანება. საქმე ის არის, რომ ეს მოძღვრება ხელ-უხლებელ სტოვებდა კაცთა შორის უთანასწორობის და უთანასწორობის ძირითად მიზეზს.

4 თხზულებანი არჩილ ჯორჯაძისა. წიგნი მეოთხე. ტფილისი, 1911. გვ. 175-181.

ცხოვრებამ ამ ძირითად მიზეზად ეკონომიური უთანასწორობა აღიარა. ეკონომიური უთანასწორობა არის უმთავრესი მიზეზი კაცის კაცისაგან დამონავებისა. ლიბერალიზმითავისუფლება, ძმობა და თანასწორობა აღიარა და იმას კი, რაც უშლიდა ამ მოძღვრების განხორციელებას (ეკონომიურ უთანასწორობას), არ უარ ჰყოფდა, არ აუქმებდა. გამოაქარავდა, რომ დიდ რევოლუციას (საფრანგეთის დიდ რევოლუციას – ვ. გ.) ცალმხრივი ხასიათი ჰქონდა – პოლიტიკური და აქედან წარმოსდგა უკმაყოფილება, ლიბერალიზმის კოტრობა და უძლურება. მართლაც, ლიბერალიზმის დროშაზე თავისუფლება ეწერა, ცხოვრებაში კი ამ თავისუფლების განხორციელება შეუძლებელი იყო, სანამ არ მოისპობოდა ეკონომიურ ცხოვრების წინააღმდეგობა და უთანასწორობა.” ლიბერალიზმის ასეთი შეფასება ქართულ სინამდვილეში იშვიათი მოვლენა იყო. კიდევ უფრო ფასეული იყო მომდევნო დასკვნა, რომელიც ნათლად გვარწმუნებს ავტორის ღრმად განათლებულობასა და ერუდიციაში: „ამრიგად, ლიბერალიზმი, როგორც პოლიტიკური ფორმულა, უძლური შეიქმნა მშვიდობის და თანხმობის დასაცველად. ლიბერალიზმი აღარ აკმაყოფილებდა დამწიფებულ თვითცნობიერებას. საჭირო იყო სოციალურ კითხვების წამოყენება და ამ სოციალურ კითხვის საშუალებით ლიბერალიზმის ცალმხრივი ხასიათის შევსება. ასე რომ, ამჟამად პროგრესულ მოძღვრებად ევროპაში ლიბერალიზმი კი არ ითვლება, არამედ ის მოძღვრება, რომელიც სცდილობს სოციალური თანხმობის დაფუძნებას.”

არჩილ ჯორჯაძეს გაზეთ „ივერიის“ განახლებული რედაქციის ნაკლადის მიაჩნდა, რომ სახელმძღვანელოდ XIX საუკუნის მოძღვრება – ლიბერალიზმი აღიარა: „ივერია“-მ თავის სარედაქციო მეთაურში და ბ. ბ. ურბნელისა (ნიკო ხიზანიშვილის – ვ. გ.) და პლებისის (ნიკო ხიზანიშვილის – ვ. გ.) წერილებში წარსულ საუკუნის მოძღვრება წამოაყენა სახელმძღვანელოდ და სრულიად უარ-ჰყო კლასებრივი ანუ დასებრივი ცხოვრების მიმართულება. ამ მხრივ ახალი „ივერია“ ძველი „ივერიის“ გაგრძელებაა და მისი პროგრესული მიმართულება ძველი ივერიის მიმართულებაა. ახალი რედაქცია, თანახმად გამტკიცებულ ტრადიციებისა, წოდებათა თანხმობას ჰქადაგებს და ამ თანხმობაზედ აშენებს ჩვენს ეროვნულ კეთილ-დღეობას. ამრიგად, გარეგნულად განახლებულმა და გაფართოვებულმა „ივერია“-მ ისევ ძველი არაკის მოთხოვნის მიჰყო ხელი და ჩვენ ვერ გავიგია მისი პრეტენზია – ახალ გზას დავადგებითო.” ასეთი იყო „ივერიის“ განახლებული რედაქციის პოზიციის არჩილ ჯორჯაძისეული შეფასება. როგორც ვხედავთ, არჩილ ჯორჯაძე „საერთო მოქმედების წიადაგს“ არ აიგივებს „წოდებათა თანხმობასთან“. განსხვავება ამ ორ იდეას შორის პრინციპული იყო: „საერთო მოქმედების წიადაგის“ იდეა ქართული საზოგადოების კლასებად (დასებად) დაყოფას აღიარებდა, ხოლო „წოდებათა თანხმობის“ იდეა ასეთ დაყოფას უარყოფდა. ეს ძალზე რთული საკითხი იყო და მის გარკვევას არჩილ ჯორჯაძე სხვა ნაშრომებშიც შეეცადა.

არჩილ ჯორჯაძის პოლემიკა „ივერიასა“ და „კვალთან“ 1902 წელსაც გაგრძელდა. 1902 წელს ავტორმა გამოაქვეყნა ვრცელი „ეკონომი-

**ური განკერძოება და ეროვნული ერთიანობა**<sup>5</sup>. წერილი პრაქტიკულად გაზიეთ „ივერიაში“ გამოთქმული სოციალური და ეკონომიკური შეხედულებების კრიტიკას ისახავს მიზნად. არჩილ ჯორჯაძემ წერილის დასაწყისშივე დასვა უმნიშვნელოვანესი საკითხი: „ჩვენ წინ ორი პრობლემაა: ერთი – ეროვნული, მეორე – ეკონომიკური განხეთქილება და წინააღმდეგობა. რანაირად შეიძლება ამ ორი მოვლენის შეთანხმება?“ იგივე კითხვა არჩილ ჯორჯაძემ ასეთი ფორმითაც წარმოადგინა: „რანაირათ შეიძლება შევათანხმოთ ერთმანეთში კლასთა ბრძოლის პრინციპი და ეროვნება?“ ამ საჭირობოროტო საკითხის გადაჭრის გზებზე ავტორი შემდეგი აზრისაა: „ეს კითხვა შეიძლება სამნაირად გადავსწყვიტოთ. პირველი გადაწყვეტილების მოსაზრებით, კლასთა ბრძოლა და ეკონომიკური განხეთქილება არ შეესაბამება ეროვნულ თანხმობას და მთლიანობას და ამისათვის უნდა იყოს უარ-ყოფილი. მეორე გადაწყვეტილების მოსაზრებით, ეროვნულ თანხმობის პრინციპი არ შეესაბამება ცხოვრებაში არსებულ კლასთა და წოდებათა შორის განხეთქილებას, და ამისათვის ეროვნულ თანხმობის პრინციპი უნდა იყოს უარყოფილი. მესამე გადაწყვეტილების მოსაზრებით, ეროვნული თანხმობა შესაძლებელია მათ შორის, ვინც ეკონომიკურად და პოლიტიკურად არიან დაკავშირებულნი, ე. ი. ხალხისა და სხვა წოდებათა და კლასთა იმ წარმომადგენლებისა, რომელთათვისაც ეროვნება ხალხის დაჩაგვრის იარაღი კი არის, არამედ იმის გაერთიანებისა.“ არჩილ ჯორჯაძე ზემოხსენებული სამი გზიდან პირველს „უნიადაგოს“ უწოდებს, მეორეს – „ეროვნების უარმყოფელს“. ავტორს ერთადერთ სწორ გზად მესამე გზა მიაჩნია: „მესამე მოსაზრების ძალით შეიძლება დაცული იყოს ეროვნული პრინციპის და ხალხის მატერიალური კეთილდღეობის საკითხიც.“

ეკონომიკური უთანასწორობა და ამის საფუძველზე კლასთა დაპირისპირება ყველასათვის საცნაური იყო და მას ვერავინ ვერ უარყოფდა. არჩილ ჯორჯაძე სვამს კითხვას: „თუ ეს ასეა, რანაირად გვსურს დავიცვათ ეროვნული მთლიანობა და ერთობა? თუ ეროვნება კავშირია, ეკონომიკური ბრძოლა ხომ განხეთქილებაა, კავშირის გაწყვეტაა, ერთობის დარღვევაა.“ ავტორმა თავს იდო ეპასუხა კითხვისათვის: „რა საფუძველზე შეთანხმდება და შეზავდება ეს წინააღმდეგობა?“

გასულ საუკუნეებში საქართველოში, ევროპასა და რუსეთში არსებულ სოციალურ დაპირისპირებათა (აჯანყებათა და გლეხთა ომების) შედარება და ამის საფუძველზე დასკვნების გაკეთება არჩილ ჯორჯაძეს სწორად არ მიაჩნდა: „ვისაც თავი მოაქვს იმით, რომ ჩვენმა ისტორიამ არ იცის „უაკერია“ და „გლეხთა ამბოხება“, უნდა იცოდეს, რომ ეს „ჯაჭვი“ სიმაგრისა და ისტორიულ გარემოებათა ნაყოფია და არა ხალხის კმაყოფილებისა.“ ავტორი ამტკიცებს, რომ თუ საფრანგეთისა და რუსეთისაგან განსხვავებით საქართველოში გლეხთა აჯანყებები და ომები არ იყო, ეს იმის დასტურად არ გამოდგება, რომ საქართველოში ეკონომიკური უთანასწორობის საფუძველზე დაპირისპირება არ არსებობდა და დაბალი სოციალური ფენები თა-

5 თხზულებანი არჩილ ჯორჯაძისა. წიგნი მეოთხე. ტფილისი, 1911. გვ. 194-208.

ვისი ეკონომიკური მდგომარეობით კმაყოფილი იყვნენ. არჩილ ჯორჯაძე საქართველოში არსებულ სოციალურ სტრუქტურას ეხება და ასეთ დასკვნას გვთავაზობს: „ეხლა „ფეოდალიზმი” მოისპონ და ამასთან დაიკარგა იურიდიული განსხვავება „დიდებულ” თავადშვილის და „ცალმოგვი” აზნაურს (ლარიბ აზნაურს – ვ. გ.) შუა „მოჯალაბეც” (გლეხის კატეგორიაა – ვ. გ.) არაფრით არ განსხვავდება „მებეგორეთაგან” (გლეხის კატეგორიაა – ვ. გ.). თუ მათ შორის არის რაიმე განსხვავება, – ეს განსხვავება ქონებრივია. ერთს მეტი მამული აქვს, მეორეს – ნაკლები, ერთს შეუძნია „ნადელი”, მეორეს – არა. და როცა თანამედროვე წოდებათა შორის განწყობილებაზე ჩამოვარდება ხოლმე ლაპარაკი, სწორედ ეს გარემოება – ქონებრივი უთანასწორობა – უნდა გვქონდეს მხედველობაში. და რაკი ამ საფუძველზე შევდგებით, დავინახავთ, რომ თანამედროვე პირობებში, წოდების ადგილს თან-და-თან „კლასი” იჭერს. გუშინდელი მებატონე დაქვეითდა. მის ადგილზე აქა-იქ გუშინდელი ყმა აცოცდა. ხოლო რადგანაც საერთოდ აღებულ თავად-აზნაურობას დღესაც მაინც მეტი ქონება აქვს, ვიდრე გლეხეაცობას, ამასთან სიტყვა „წოდება” ჯერ კიდევ არ დაქველებულა, რადგან ყოველი სხვა უპირატესობა (თუნდაც ის, რომ აზნაურობას მეტი უფლებანი აქვს მინიჭებული მოქალაქეობრივ ცხოვრებაში) ამ ქონებრივ უპირატესობაზეა აშენებული.“ როგორც ვხედავთ, არჩილ ჯორჯაძე არ უარყოფს, რომ „საერთო მოქმედების ნიადაგის” იდეის განხორციელებას სერიოზული წინააღმდეგობა ელობებოდა: „ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ ეროვნულ მთლიანობის და ერთობის დამრღვევი ელემენტი თანამედროვე ცხოვრებაში მეტია, ვიდრე ძველს წარსულში. მებატონეს იურიდიული ძალა დაეკარგა, ქონებითაც დაეცა. ხალხს თავისი ინტერესების შეგნება მოემატა და „ბატონის” უღელს გაურბის. შემბოჭველ ჯაჭვის რგოლები აქა-იქ ამოვარდნენ და თვით-მოქმედების მეტი გზა მიეცა.“ ვითარების რეალური სურათის წარმოდგენის შემდეგ არჩილ ჯორჯაძე სვამს კითხვას: „ამ გზით რომ ვიაროთ, დაირღვევა თუ არა ჩვენი ეროვნული სიმრთელე? თუ ძველ დროში ჩვენი „ერთობა”, ცოტა არ იყოს, ნაძალადევი იყო, მომავალში რა უნდა ედვას საფუძვლად ამ ერთობას?”

არჩილ ჯორჯაძე ისევ „ივერიის” შეხედულებას გულისხმობს, როცა წერს: „ვინც ამბობს, ჩვენში ეკონომიური განკერძოება და წინააღმდეგობა არ არისო, უნდა დაამტკიცოს, რომ ხალხს ცხოვრების სახსარი საკმაო აქვს და კმაყოფილია თავის ბედით. ვინც ამას ვერ დაამტკიცებს, იძულებული იქნება სინამდვილეს ასცილდეს და სამოთხის ნეტარებით სცნოს ჩვენი ხალხის მდგომარეობა. „ივერია” სწორედ ამას სჩადის (...). „ივერიას” კარგად უნდა მოეხსენებოდეს, რომ კაცი მაშინ არას ინდომებს სხვისას, როცა თავისით სჯერდება, თავისი საკმარისი აქვს. წინააღმდეგ შემთხვევაში ის სხვას შეჰერებს, სულ იმის ფიქრსა და ცდაშია, რომ „სხვისით” შეივსოს თავისი დანაკლისი. აშკარაა, „ივერია”-ს ჰავანია, რომ ჩვენი ხალხი მატერიალურის მხრივ სრულიად დაკმაყოფილებულია და სჯერდება იმით, რაც აქვს”. მიუხედავად საქართველოში სოციალურ ფენათა შორის არსებული ქონებრივი უთანასწორებისა, არჩილ ჯორჯაძე ოპტიმისტურ დასკვნას აკეთებს:

1. „ამბობენ ხოლმე, რად გინდათ, რომ ამ უთანსმოებას ხაზს უსვამთ. ეს ავნებს ეროვნულ საქმეს. ჩვენ ეროვნების გაერთიანების ზრუნვაში უნდა ვიყვნეთ”;

2. „ჩვენ გვგონია, რომ რაც უფრო მეტს დავმალავთ, რაც დასამალი არ არის, ეროვნულ საქმეს სწორედ მეტ ზიანს მოუტანთ. სინამდვილე კარგად უნდა გვქონდეს გათვალისწინებული – ეს არის ერთადერთი უტყუარი წარმატების გზა;”

3. „ჩვენ არ ვამბობთ, რომ ჩვენს წოდებათა და კლასთა შორის ყოველ-გვარი კავშირი გაწყვეტილია, რომ მათ არც ერთი საერთო ინტერესი არა აქვთ. ამაზე უწინაც გვქონდა ლაპარაკი და ახლაც ვამბობთ, რომ **წინდა** კლასთა ბრძოლის პრინციპი იმიტომ არ გამოდგება პრაქტიკულ მოქმედებისათვის, რომ ჩვენში ყველა წოდებანი და კლასები ერთნაირად არიან დაინტერესებ-ულნი თვით-მართველობის, ერობის, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტების შემოღებით; ერთიანად არიან აგრეთვე დაინტერესებულნი, რომ ქართველ ერის ტერიტორია მასვე დარჩეს და ქართული ენა არ გადაგვარდეს. ყველა ეს სწორედ ის ხიდია, რომელიც ჩვენს წოდებათა და კლასთა შორის არის გადებული, ხოლო ამ მოქალაქეობრივ და პოლიტიკურ კითხვების გარედ სწყდება წოდებათა და კლასთა შორის კავშირი;”

4. „რამდენადაც ჩვენი თავადაზნაურობა და ახლად წარმოშობილი ნორჩი ბურუუზია ამ საეროვნო ნიადაგზე იდგება, იმდენად იგი დაკავშირებული იქნება მთელ ხალხთან და ხელს შეუწყობს ეროვნულ მთლიანობას. ხოლო ყოველთვის, როდესაც კი თავად-აზნაურობა ან ბურუუზია ასცდება ამ ნიადაგს და თავის კერძო ინტერესების ზრუნვაში იქნება, მაშინ იგი ხელს შეუშლის ეროვნულ მთლიანობას”;

5. „თუ ევოლუციის ძალით დღეს წოდებათა გაუქმებამდე მივედით, იმავე ევოლუციის ძალით, მომავალში უნდა მივიდეთ ეკონომიკურ უთანხმოების მოსპობამდე.”

**არჩილ ჯორჯაძის მიერ წამოყენებული დებულებები ავსებდა და ავითარებდა 1901 წელს შემუშავებულ „საერთო მოქმედების ნიადაგის” იდეას, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, იდეის განხორციელების გზებს სახავდა.**

არჩილ ჯორჯაძე, ცხადია, აღიარებდა, რომ კლასთა და წოდებათა შორის ხიდი იყო ჩატეხილი, მაგრამ მისი აღდგენაც რეალური ეჩვენებოდა: „ქართველობის ნორმალურ გაერთიანებას გზაში ეღობება ორი მოვლენა: ფეოდალიზმის ნარჩენი, ერის ერთის ნაწილის წოდებრივი უპირატესობა და ბერუუზიის ფეხზე დადგომა, ერის მეორე ნაწილის ქონებრივი უპირატესობა. ფეოდალიზმს ბოლო მოუღო ისტორიულმა გარემოებამ. მემამულეთა უსაქმურობას გვერდში ამოუდგა თვით-მოქმედი გლეხობა (...). გლეხი თანდა-თან წვრილ მესაკუთრეთ ხდება და თავად-აზნაურიც იმის საფეხურამდე ჩამოდის. პირველ პროცესს აუცილებლად უნდა მოჰყვეს მეორე პროცესი (...). ცხოვრების გაკვეთილი და მოთხოვნილება ამას გვასწავლის. და როცა ყოველივე ეს დამთავრდება და დაიბადება ნიადაგი ახალ ეკონომიკურ ევოლუციისათვის, მაშინ ეროვნულ გაერთიანებისათვის ერთ დაბრკოლებას ავი-

ცილებთ თავიდან და დაგვრჩება მეორე, ამ ჟამად ჯერ კიდევ სუსტი, ხოლო მომავალში გაძლიერებული და გაღონიერებული ბურუუაზიული ქონებრივი უპირატესობა.” ბურუუაზიული ურთიერთობა, მისი პერსპექტივა საქართველოში არჩილ ჯორჯაძეს ასე წარმოუდგენია: „ბურუუაზიას ქმნის ვაჭრობა და მრეწველობა. ვაჭრობა და მრეწველობა საჭიროა როგორც ადგილობრივი ხალხის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის, ისე ერთა შორის კავშირის განმტკიცებისათვის (...). ჩვენი ბურუუაზია ჯერ კიდევ ნორჩია, მან გუშინ აიდგა ფეხი. ხოლო ეჭვ გარეშეა, რომ იგი გაიზრდება და ამ ზრდაში გამაგრდება.” გარკვევით უნდა აღინიშნოს, რომ ეროვნული ბურუუაზის როლის ამგვარი შეფასება ძირითადად ეწინააღმდეგებოდა „ივერიის” პოზიციას, რომლის აზრითაც, ბურუუაზია საერთოდ არ განიხილებოდა სერიოზულ სოციალურ ძალად, ეწინააღმდეგებოდა ქართველი სოციალ-დემოკრატების (გაზეთ „კვალის“) პოზიციასაც, რომელიც ბურუუაზიას მშრომელი ხალხისა და სოციალიზმის მტრად მიიჩნევდა.

1902 წელს გამოქვეყნებულ წერილში „ლიბერალიზმის გამო”<sup>6</sup> არჩილ ჯორჯაძე კვლავ დაუბრუნდა ამ მიმდინარეობის შეფასების საკითხს: „მიუბრუნდეთ საკამათო საგანს – ლიბერალიზმს. ჩვენი აზრი ამგვარია. მიუხედავად იმისა, რომ ლიბერალიზმის მოძღვრება – თავისუფლების გაფართოება, პიროვნების დაცვა და წარმატება, თვით ამ მოძღვრებაში იმნაირი ნაკლულევანება და არსებითი წინააღმდეგობა აღმოჩნდა, რომ იგი პროგრესულ მოძღვრებად არ ჩაითვლება, ამასთან, ჩვენ არ ვივინყებთ ლიბერალიზმის დიდ ლირსება-მნიშვნელობასაც და იმასაც ვამბობთ, რომ ბურუუაზიულ ლიბერალიზმს ჯერ კიდევ თვით ევროპაშიაც კი არ დაუკარგავს თავისი ძალა.” ავტორი არ ეთანხმება ლიბერალიზმის იმ განმარტებას, რომელსაც „ივერია“ სთავაზობდა მყითხველს, კერძოდ, ის, რომ ლიბერალიზმი „აღიარებს ძმობას და ერთობას, ხოლო ამასთან არ აუქმებს იმას, რაც უშლის ძმობას და ერთობას. რასაკვირველია, ეკონომიკური თანასწორობა ძმობა და ერთობაა. მაგარი მხოლოდ იმაშია, რომ ლიბერალიზმი კრინტსაც არ იღებს ამ აუცილებელ პირობაზე ერთობისა და ძმობისა – არას ამბობს ქონებრივ უთანასწორობაზე (...)” არჩილ ჯორჯაძე აპირებდა, ეს საკითხი კიდევ უფრო დაწვრილებით განეხილა, მაგრამ წერილის გაგრძელება ცენზურამ აკრძალა.

„ივერიაში” გამოქვეყნებული წერილების კრიტიკას მიეძლვნა არჩილ ჯორჯაძის „ძველი წესის” სულთ-ბრძოლა” (1902 წ.)<sup>7</sup>. წერილს ავტორი ძველი და ახალი აზროვნების ერთდროულად არსებობის პირობებში შექმნილი ვითარების დახასიათებით იწყებს: „ძლიერ საყურადღებო დრო დაგვიდგა. ჩვენი ცხოვრების ახალ მოთხოვნილებასთან და მიმართულებასთან ერთად, წარსული წესი ჰავიქრობს, ჰმოძრაობს და იღვნის. ეს მოვლენა ფრიად საგულისხმოა, რადგან ჩვენი ერის ცხოველ-მყოფელობის მაჩვენებელია. ცოცხალი ერის გული რთული აგებულებისაა. წარსული, აწმყო, მომავლის იმედე-

6 თხზულებანი არჩილ ჯორჯაძისა. წიგნი მეოთხე. ტფილისი, 1911. გვ. 208-210.

7 თხზულებანი არჩილ ჯორჯაძისა. წიგნი მეოთხე. ტფილისი, 1911. გვ. 210-216.

ბი – მასში ყველა ისახება. ცხოვრება ბრძოლის ველსა ჰგავს. ერთი რაზმი მეორეს ამცირებს, მეორეზე იმარჯვებს. დამარცხებული რაზმი იერიშის მიტანას ვეღარ ჰქედავს, იგი მხოლოდ თავის თავს იცავს. ცხოვრებაშიც ასევა. „ძველი წესის” ბატონობას (აზრთა სამეფოში მაინც) მაშინ ელება ბოლო, როდესაც იგი თავის გამართლებას სცდილობს, როდესაც იგი აღარ მალავს თავის შიშს, რომ ყოველი ახლად წარმოშობილი სამშობლოს დასალუპავად არის მოვლენილი.” როგორც ვხედავთ, „ძველი და ახალი წესის” ერთად არსებობა არჩილ ჯორჯაძეს „ერის ცხოველ-მყოფელობის” დამადასტურებლად მიაჩნდა. შემდეგ ავტორი ტონს ამკაცრებს და აცხადებს, რომ „ძველი წესი” „ახალი წესის” წინააღმდეგ ბრძოლით თავის აღსასრულს აახლოვებს. არჩილ ჯორჯაძე კიდევ უფრო უკომპრომისოა, როდესაც „ძველი წესის” მომხრეებს „რეაქციის” მიმდევრებად წარმოადგენს: „„რეაქციის” მომხრენი, რაც უფრო გულმოდგინედ, მხნედ და აჩქარებით სცდილობენ თავიანთ თავის, თავიანთ რწმენის და აზრების გამართლებას, იმდენად მეტი შიში და საფრთხე მოელით მათ, რადგან „ძველი წესის” გულმოდგინება და მხნეობა ძალდატანებითი ხასიათისაა, ხოლო აჩქარება ამ წესის სულთ-ბრძოლაა. ვინც მომავალში არასა ჰქედავს, ან კიდევ ამ მომავლის ძალ-მომრეობით ხასიათს „ძმობაზედ” ამყარებს, ვინც ყოველ ახალ მოვლენას სამარეს უთხრის, ვინც ცოდნას და გონებითს ძალას თავმოყვარეობის საგნად ხდის, მისი დღეგრძელობა საეჭვოა და მისი რახა-რუხი და ფაცა-ფუცი ცარიელი თვალთ-მაქცობაა”. როგორც წერილიდან ირკევეა, „ძველი წესის” დამცველებად, მათ შორის, ლიბერალიზმის („ძმობის”) მომხრებად, არჩილ ჯორჯაძე გაზეთ „ივერიის” რედაქციას მიიჩნევდა: „„ივერიის” რედაქციაში ყველა ჩვენი „კონსერვატორები” თან-და-თან თავს იყრიან. როგორც წინად, ამის შესახებ ჩვენს სიხარულს ახლაც ვაცხადებთ. ჩვენი „კონსერვატორების” ერთ რედაქციაში შეგროვებას დიდი მნიშვნელობა აქვს. ცხოვრებაში ყველაფერს თავისი ადგილი აქვს; თანამოაზრებმა (რა ხასიათისაც იყვნენ), ერთი-ერთმანეთს ხელი უნდა გაუწიოდონ. მათ დაყოფას და დროებით ერთმანეთთან გადამტერებას ადგილი არ უნდა ჰქონდეს იქ, სადაც საერთო საქმე ირკვევა. ხელოვნურად გამოწვეული წინააღმდეგობა ბუნებრივ კავშირს ადგილს უთმობს, ეს ერთი. მეორეს მხრივ, განცალკევებული კონსერვატორების შეერთება იმის მომასწავებელიცაა, რომ ცხოვრებაში ახალმა მოვლენამ იჩინა თავი და რომ არა-კონსერვატორულ ელემენტს ანგარიშის განევა უნდა.” ამ ზოგადი მსჯელობის შემდეგ არჩილ ჯორჯაძე კონკრეტულად ასახელებს „ივერიის” პუბლიცისტებს: „პლებსას” (ნიკო ხიზანიშვილი), „მ. ტფილისელს” (?), „ურბნელს” (ნიკო ხიზანიშვილი), „ახალ-მოსულს” (ილია ჭავჭავაძეს). დახასიათება საკმაოდ მკაცრია, შეიძლება ითქვას, არაკორექტულიც: „ჩვენებურ „რეაქციას” (თუ ბოლო გაიტანა) თან-და-თან პოლიტიკურ დასების ხასიათი ეძლევა. იგი მეცნიერებას (ბ. პლებსი თავის ორგანებრივი თეორიით), პუბლიცისტიკას (ბ. მ. ტფილისელი), ურბნელი (თავის ძალმომრეობითი ხასიათი „ძმობის” ქადაგებით), ოხუნჯობას (ბ. ახალმოსული) – ყველა ამას ხმარობს „ახლის” დამცირებისათვის და „ძველის” გაღმერთებისათვის...”

1901-1902 წლებში არჩილ ჯორჯაძის პოლემიკაში ნოე უორდანიასადა გაზით „კვალთან“ ცხადი გახადა, რომ ამ ორი გამოჩენელი მოღვაწის შეთანხმება შეუძლებელი იყო. ეს მოულოდნელობას სულაც არ წარმოადგენდა და არც ტრაგედიად შეიძლებოდა შეფასებულიყო. ტრაგედია იყო ის, რომ ვერ მოხერხდა ილია ჭავჭავაძესა და არჩილ ჯორჯაძეს შორის საერთო ენის გამონახვა მაშინ, როდესაც ამ ორ მოღვაწეს, ძველი და ახალი თაობის აღიარებულ წინამძლოლებს, ბევრი რამ საერთო ჰქონდათ. ამ შეუთანხმებლობის ახსნა შეიძლება, ზოგიერთი არჩილ ჯორჯაძეს გაამტყუნებს, ზოგიც – ილია ჭავჭავაძეს. მაგრამ ამ შეუთანხმებლობის გამართლება, ობიექტური და სუბიექტური მიზეზების ძიება არაფრის მომტანია. შედეგი სავალალო იყო: ორი გამოკვეთილი წინამძლოლის, ერის ინტელექტუალურ-გონიერი ნაწილის მედროშის შეუთანხმებლობამ, ეროვნული მოძრაობის ძველი და ახალი თაობების წარმომადგენლების დაპირისპირებამ შედეგად ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობაში სოციალ-დემოკრატების გავლენის გაძლიერება გამოიღო. ეს კი არც ილია ჭავჭავაძის სურვილი იყო და არც – არჩილ ჯორჯაძისა.

**VAKHTANG GURULI**

**ARCHIL JORJADZE**

**(Idea of national agreement and ways of its realization)**

### **Abstract**

At the beginning of 20<sup>th</sup> century social situation in Russian Empire including Georgia was extremely tensed. The government could not find ways to solve social crisis and rebellions of peasants and workers' strikes made representatives of social layers: nobles, peasants, bourgeoisie, proletarians into enemies. This made the idea of national unity which was necessary for restoration of national independence hopeless. Famous thinker Archil Jorjadze (1872-1913) saw reaching national unity possible and highlighted topics which were important for all social layers of Georgian nation and all political parties: reservation of Georgian language, creating Georgian saling and manufacturing, retaining Georgian manufacturing in hands of Georgians. Archil Jorjadze's idea found support in all social layers and political parties. The only ones who disagreed were Georgian social-democrats who accused Archil Jorjadze of nationalism and chauvinism.

**Keywords:** Archil Jorjadze; Georgia; Russian Empire; Georgian language; Georgian saling;

**ВАХТАНГ ГУРУЛИ****АРЧИЛ ДЖОРДЖАДЗЕ****(ИДЕЯ НАЦИОНАЛЬНОГО СОГЛАШЕНИЯ И ПУТИ ЕЕ  
ДОСТИЖЕНИЯ)****Резюме**

В начале XX века социальное положение в Российской империи, в том числе в Грузии, было предельно напряжено. Власть не смогла найти пути урегулирования кризиса. Всемерно углоблялись противостояния враждующих между собой дворянства, крестьянства, буржуазии и пролетариата. Это создало идею национального единства, которое было необходимо для восстановления национальной независимости, почти безперспективной. Знаменитый мыслитель, Арчил Джорджадзе (1872-1913) счел достижение национального единства возможным и выделил вопросы, решением которых были заинтересованы все социальные слои грузинской нации, все политические партии: защита грузинского языка, создание грузинской торговли и промышленности, удержание грузинской промышленности в руках грузин. Идея Арчила Джорджадзе нашла поддержку во всех социальных слоях и политических партиях, против выступили только грузинские социал-демократы, которые обвинили Арчила Джорджадзе в национализме и шовинизме.

**Ключевые слова:** Арчил Джорджадзе; Национальное единство; Российская империя.

## გიორგი სოსიაშვილი

### „ქრისტეს ლახვარი“ და „შავი ჭირის“ ეპიდემია საქართველოში

შუასაუკუნეებში მომაკვდინებელი ეპიდემიების გავრცელების დროს, ხალხისათვის ერთადერთი ხსნა ეკლესია, რელიგიური ცხოვრება და ქრისტიანული სიწმინდეები იყო. გვიანფენდალურ საქართველოში ღვთიურ სასჯელად მიჩნეული „შავი ჭირის“ შემკავებლად წმინდა ლახვარი ითვლებოდა, რომლითაც ჯვარზე გაკრულ მაცხოვარს ჭრილობა მიაყენეს. ამ ფაქტის შესახებ, ინფორმაციას მხოლოდ იესო ქრისტეს თორმეტ მოციქულთაგანი – იოანე მახარებელი გვანვდის. იოანეს სახარებაში ვკითხულობთ: „33. ხოლო მო-რამ-ვიდეს იესუისა და იხილეს იგი, რამეთუ მომკუდარ იყო, არა განუტეხნეს წკვნი მისნი. 34. არამედ ერთმან ერისაგანმან ლახურითა უგმირა გუერდსა მისსა, და მეყსეულად გარდამოკდა სისხლი და წყალი. 35. და რომელმან იხილა, წამა, და ჭეშმარიტ არს წამებად მისი, და მან უწყის, რამეთუ ჭეშმარიტსა იტყვს, რაითა თქუენცა გრწმუნეს“ (იოვანე 19; 33, 34, 35) [1: 201-202]. ქრისტეს წმინდა ლახვარზე ჩვ. წ. 570 წლამდე არაფერი იყო ცნობილი, ვიდრე აღნიშნული სიწმინდე იერუსალიმში ჩასულმა პილიგრიმმა წმ. ანტონინე პიაჩენცელმა არ ნახა. როგორც ირკვევა, წმინდა ლახვართან ერთად სიონის მთის ბაზილიკაში მას უნახავს მაცხოვრის ეკლის გვირგვინიც [7]. ფლორენციის ბიბლიოთეკაში აღმოჩენილი VI საუკუნის სირიული ხელნაწერის მინიატურის მიხედვით რომაელ ჯარისკაცს, რომელმაც ჯვარმულ მაცხოვარს ფერდში ჭრილობა მიაყენა, ლონგინოსი ერქვა [7].

ისევე როგორც სხვა სიწმინდეები, ქრისტიანულ სამყაროში რამდენიმე წმ. ლახვარი არსებობს. რელიქვიები ინახება: ვატიკანში, ვენაში, კრაკოვში. [8] ფრანგი თეოლოგის და რეფორმატორის, ჟან კალვინის ცნობით (1543 წ.) ქრისტეს სხვადასხვა ოთხი ლახვარი არსებობდა: რომში, სენტ შაპელში (პარიზი), ტენალის სააბატოში სენტონჟეში (საფრანგეთი) და სელვეში, ბორდოს მახლობლად (საფრანგეთი) [9]. აღნიშნულ სიწმინდესთან დაკავშირებით არსებობს კიდევ ერთი ვერსია, რომლის თანახმადაც „ქრისტეს ლახვარი“, 1098 წელს, პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის დროს ანტიოქიაში აღმოაჩინეს [10; 4: 241-245]. „ქრისტეს ლახვარი“ დაბრძანებულია ასევე სომხეთში, ეჩმიაძინის ტაძარში. ერთ-ერთი ვერსიით ეჩმიაძინიდან ქრისტიანული რელიქვიები, მათ შორის „ქრისტეს ლახვარი“ 1805 წელს რუსებმა გაიტანეს, თუმცა მოვიანებით სომხებმა სიწმინდეები კვლავ დაიბრუნეს [8]. ეჩმიაძინში დაბრძანებულ „ქრისტეს ლახვართან“ დაკავშირებით სომხეთში რამდენიმე გადმო-

ცემა არსებობს. სომეხი ისტორიკოსი ვარდან არეველცის (XIII ს.) ინფორმაციით, რომალი ცენტურიონი ლონგინოსი, რომელმაც ჯვარცმულ მაცხოვარს შუბი აძგერა, სიცოცხლის ბოლომდე კაპადოკიის დედაქალაქ კესარიაში, გერემის ხეობაში ცხოვრიბდა. სოცოცხლის ბოლოს მან წმინდა ლახვარი ერთ ახლად მოქცეულ ქრისტიანს გადასცა, ხოლო III საუკუნის ბოლოს სომხეთში ქრისტეს ლახვარი ქრისტიანული სარჩმუნოების მქადაგებელმა - გრიგოლმა ჩაიტანა. [6]

სომხური ეკლესიის მიერ აღიარებული ვერსიით ქრისტეს წმინდა ლახვარი პეტრე მოციქულმა ქრისტეს ერთ-ერთ მოწაფეს თადეოსს უბოძა, რომელმაც ახ. წ. 43 წელს სიწმინდე სომხეთში ჩააპრძანა. [6; 11] სომხეთში არსებობს კიდევ ერთი გადმოცემა, რომლის თანახმადაც „ქრისტეს ლახვარი“ ეჩმიაძინები XIII საუკუნეში გადაიტანეს, მანამდე იგი გეგარდავანქში ინახებოდა. [8] გვიანთეოდალურ საქართველოში არსებობდა რწმინა, რომ ქრისტეს წმინდა ლახვარი „შავი ჭირის“ ეპიდემიას შეაჩერებდა. როგორც ირკვევა, ერეკლე II-ის მეფობის დროს, აღნიშნული სიწმინდე რამდენჯერმე ჰქონიათ გადმობრძანებული ეჩმიაძინის ტაძრიდან. პლატონ იოსელიანის ცნობით, ქართლ-კახეთის უკანასკნელმა მეფემ სომეხთა კათალიკოსს - ლუკას (გუკასა) ეჩმიაძინები არსებული ქრისტეს ლახვრის თბილისში, სიონის ტაძარში გადმოტანა სთხოვა: „გამეფებულმან მეფემან გიორგი 1798 წელსა მოინება, რათა ძველთა ჩვეულებათა გამო მოსთხოვონ სომეხთა კათოლიკოსსა ლუკას მოსვენება ლახვრისა. წარგზანეს კაცი და მოსცეს იგი გარნა სიფრთხილითა დიდითა და შიშითა, რათა ქართველთა მეფემან არ მიითვისოს თვისად საუკუნე ესე ეჩმიაძინისა. ვართაპეტმან გრიგორი ოშაკანმან და ათთა სხვათა მოასვენეს და დაასვენეს იგი პირველ სიონისა საკათედროსა ეკელესიასა ნუგეშად ერისა. დღისით დაშთებოდა აქა და ლამით მიასვენებდენ ვანქისა სომეხთა ეკელესიაში. ინება ლმერთმან და განქარდა ჭირი.“<sup>1</sup> [2: 120-121]

სომხური ეკლესია გიორგი XII-ს არ ენდობოდა. მიაჩნდათ, რომ ქართლ-კახეთის მეფე ქრისტიანულ სიწმინდეს მიითვისებდა, ამიტომ ეჩმიაძინიდან ამ უდიდეს რელიგიას სომეხი სასულიერო პირებისაგან შემდგარი ჯგუფი გამოჰყვა. თბილისში ჩამობრძანებული „ქრისტეს ლახვარი“ დღე სიონის საკათედრო ტაძარში იყო დაბრძანებული, ლამით კი ვანქის სომხურ ეკლესიაში. თბილისში „შავი ჭირის“ ეპიდემია თანდათან მინელდა. სომხებმა კუთვნილი სიწმინდე მოითხოვეს და გიორგი XII-სთან ლახვრის დაბრუნებაზე შუამდგომლობა თბილისის მელიქს დარჩიას სთხოვეს. თუმცა, დარჩიამ მეფეს თხოვნა ვერ გაუბედა. გარკვეული ხნის შემდეგ ქართლ-კახეთის მეფეს სომეხი ეპისკოპოსი ოპანესი შეხვდა, რომელმაც მეფეს ქრისტეს წმინდა ლახვრის ეჩმიაძინები დაბრუნების თხოვნით მიმართა. გიორგი XII-მ სომეხი სასულიერო იერარქი დაარწმუნა, რომ მას ლახვრის მიტაცების განზრახვა არ ჰქონდა და მას შემდეგ რაც სამეფო ოჯახის წევრები სიწმინდეს ემთხვეოდნენ და

<sup>1</sup> გიორგი XII-ის მიერ თბილისში ქრისტეს ლახვრის ეჩმიაძინიდან გადმობრძანების შესახებ იხ. [3]

მოილოცებდნენ, ქრისტეს ლახვარს საჩუქრებთან ერთად სომეხ კათალიკოს დაუბრუნებდა, მაგრამ ეპიდემიის „განსაქარვებელი“ ლახვრის ეჩმიაძინში დაბრუნების საკითხი ასე მარტივად ვერ გადაწყდა. სომეხმა სასულიერო პირებმა დახმარების მიზნით კათალიკოს-პატრიარქ ანტონ II-ეს მიმართეს, მაგრამ ანტონი სომხებს ვერ დაეხმარა. იგი თავისი ძმის წყენინებას მოერიდა. რაკი პატრიარქმა დახმარება ვერ აღმოუჩინა, სომხებმა ჯერ არსენ თბილელს სთხოვეს მეფესთან შუამდგომლობა, ხოლო შემდეგ მეფის მოძღვარს – ევთიმეს. სომეხთა დაუინებული თხოვნის გამო მეფე განრისხდა და სიწმინდის ერთი კვირით თბილისში დატოვება გადაწყვიტა: „მეფე განრისხდა და უბრძანა ევთიმის: უბრძანოს მელიქსა შთაგონება ვართაპეტისა, რათა შეიცადონ ერთიცა კვირა.“ [2: 120-121] სომეხმა სასულიერო პირებმა ქრისტეს ლახვრის სიონიდან ფარულად წალება და ეჩმიაძინში გადაბრძანება განიზრახეს. მათ ექვსი სომეხი და ორი „ერევნელი თათარი“ გამოყვეს და თბილისში გამოგზავნეს, თუმცა: „მელიქმან დარჩიამ სცნო ესე, შესწუხდა ფრიად; მისცა საპყრობილესა შეთქმულნი მეამბოხენი და უჩინა მცველად ლახვრისა ქართველნი და სომეხნი აზნაურშვილნი, და მასვე დროსა აცნობა მეფესაცა გიორგის ამბავი ესე. ესე იწყინა მეფემან, მეორესა დღესა ქალაქისაცენ განმზადებულმან ტივითა, რომელიცა ელოდა მას მტკვრისაპირსა ავჭალას და უბრძანა თვით დასაჯოს მეამბოხენი ქალაქისა ლახვრისა გამო, ვითარცა სურს და ელოდდეს მას. 15 აგვისტოს დღესა მიცვალებისა ლეთის დედისა დღესასწაულსა, მობრძანდა თფილისს სახლობით, შევიდა პირდაპირ სიონისა ეკკლესიასა და მოისმინა საღმრთო ლიტურლია მუნ, სადაც ესვენა ლახვარიცა საშუალ ეკკლესიასა წინაშე ამპიონისა. შემდგომად წირვისა, მივიდა ლახვართან, თაყვანი სცა, ემთხვია დიდის ლმობიერითა, ილოცა მხურვალებითა და მასვე დროსა სთქვა ქადაგება დეკანოზმა სიონისა იოანე ოსეს ძემან, მცოდნემან სომხურისაცა ენისა მწიგნობრობათა.“ [2: 122]

გიორგი XII-ს გარკვეული დროის შემდეგ სიწმინდის ეჩმიაძინის ტაძარში დაბრუნება გადაუწყვეტია. მაგრამ თბილისში ისევ განმეორდა „შავი ჭირი“ და „ქრისტეს ლახვარი“ კვლავ სიონის ტაძარში დაუტოვიათ: „მეორესა დღესა უნებდა განემგზავრებინა, ლახვარი სომეხთა კათოლიკოსისადმი საჩუქრებითა, გარნა მოახსენეს ჭირისა გამოჩენა ახლო თფილისსა. მეფემან ბრძანა შეაყენონ ლახვრის წარვლენა.“ [2: 122] გიორგი XII-ეს 1800 წლის 29 იანვარს სომეხმა სასულიერო პირებმა ეჩმიაძინიდან წერილი გაუგზავნეს და ლახვრის დაბრუნება სთხოვეს. სწორედ აღნიშნული წერილიდან ირკვევა, რომ ქრისტეს ლახვარი „შავი ჭირის“ გავრცელების დროს ერეკლე II-ის დროსაც რამდენჯერმე ჩამოუბრძანებიათ სომეხთა წმინდა ტაძრიდან, თუმცა უკანვე დაუბრუნებიათ: „ბატონო მეფეე! თქვენმა უმაღლესობამ 1798 წელსა ითხოვა წმინდა ლახვარი განსაკურნებლად ჭირისა და უნმინდესმან პატრიარქმან ჩვენმან აღიღეს იგი საშინელისა მის ადგილისაგან ნოემბრის თთვისა დაწყებითსა რიცხვებში ხელითა საყვარელისა ძმისა ჩვენისა იოანე არქიეპისკოპოსისა და ოდეს მოაწია მან თქვენამდე, ქრისტეს მოწყალებითა განქარდაცა ჭირი. წარსრულთა დროთა უამსა სულგანათლებულისა მეფისა მამისა

თქვენისაცა რავდენჯერმე იყო წარმოვლენილი იგი და შემდეგომად ჭირისა განქარვებისაცა, უკუცეულიცა მსწრაფლ ჩვენკენ. ამისთვის თქვენისა უმაღლესობისადმი ჯერ იყო რათა ენება დაბრუნება მის ლახვრისა შემდგომად განქარვებისა მის ჭირისა. თუმც რავდენჯერმე მოინერა თქვენია უმაღლესობისადმი სულგანათლებულმან პატრიარქმან, და თქვენ აღუთქმიდით და არა გვიგზავნიდით ესრეთ, რომელ აღსრულდაცა თვით კათალიკოსი.“ [2: 122-123] როგორც ამ წერილიდან ჩანს, სომხები „ქრისტეს ლახვართან“ ერთად სინმინდის მცველის - იოანე ეპისკოპოსის უკან დაბრუნებასაც მოითხოვდნენ: „ჩვენ დაშოთომილნი ობლად, მწუხარედ და შემუსრილნი გულითა, - გვეჭირებიან, ვითარცა წმინდა ლახვარი, ეგრეთვე მცველი მისი ძმა ჩვენი იოანე არქიეპისკოპოსი, რომელმანცა ჩინებულად იცის უცხოთა ქვეყანათა ენები და სიტყვა ნიჭებული დიდ სახმარია წმინდისა ამის სადგურისათვის და ჩვენთვისაცა გაჭირვებულთა დროთა ამათ გამო. აგერ წელიწადი და სამი თთვეა, რაც მოდიან მლოცველი შორის ქვეყნებიდამ და ვერ მხედველი წმინდისა ლახვრისა ტირიან და უკუიქცევიან. დღითი დღედ განეფინების ხმა ყოველგან, რომელ წმინდა ლახვარი დატყვევდა თფილისა. ესრეთისა ამბავისა მიზეზად არ ხართ თქვენ, თქვენ უმაღლესობაგ: ამისთვის, რომელ არა ეთანხმება მეგობრობასა და მფარველობასა თქვენსა, რომელნიცა მამაპაპათაგან თქვეთა გაქვსთ მოცემულნი ერთდამი ჰაოსიანთა და წმინდისა ეჩმიანინისა. ამისთვის მე წმუხარე მოხუცი მინას ეპისკოპოსი და კრება სულიერი წმინდის მონასტრისა ეპისკოპოსნი, ბერნი, და სხვანი ძმანი ვედრებითა და ცრემლითა გთხოვთ თქვენ ჯვარ-გვირგვინოსანსა, სიყვარულისათვის ქრისტესისა, ნუ დაგვიტევებთ ნურცა ჩვენ, ნურცა სახლსა ჩვენსა უნუგეშოდ, სასიხარულოდ ჩვენდა გვიბრუნეთ წმინდა ლახვარი იოანე ეპისკოპოსითურთ, რომელნიცა ესოდენესა დროსა ტყვეობასა შინა არიან.“ [2: 123]

თხოვნის მიუხედავად: „ლახვარი ვერ წარუვლინეს; წარუვლინეს იმედისა წერილი დაუკარგველობისა საუჯისა ამის წმინდისა ეჩმიანინისათვის წმინდისა.“ [2: 123] როგორც ზემოთ მივუთითებდით, ქრისტიანულ სამყაროში ქრისტეს რამდენიმე ლახვარი არსებობდა და ამ სიწმინდეთაგან სომხები რომაელი ჯარისკაცის – ლონგინოსის ნაქონად ეჩმიაძინში დაბრძანებულ სიწმინდეს მიიჩნევდნენ. თუმცა, პლატონ იოსელიანი წერს, რომ აღნიშნული ლახვარი: „ესე იყო იგი, რომლითაცა განიგმირა დავით დვინელი 693 წელსა და არა ქრისტესი... შეიმეცნონ ესეცა მათ, რომელნიცა ზღაპრობით უწოდებენ მას ლახვრად ქრისტესა. ოდეს ჰპოვეს ჯვარი ქრისტესი და ლურსმანნი იერუსალიმსა. მნერალთა მედროვეთა და თვალით მხილველთა, აღირიცხესცა ნივთნი ნაპოვნი მინისა ქვეშე და რიცხვთა ამათ შორის არა არს მოხსენიებული ლახვარი, და, გარდა ამისა, არცა ერთი ძეელთა მნერალთაგანი არა მოიხსენებენ ლახვარსა ამას ლახვრად ქრისტესა. ხოლო მნერალნი სომეხთა და თვით ჩამჩიანი აღნერენ ლახვარსა ამას ვითარცა მას, რომლითაცა განიგმირა და მოიკლა წმინდა დავით დვინელი და არა თვით ქრისტე.“ [2: 123-124] როგორც ვხედავთ, პლატონ იოსელიანი ზემოთ ნახსენებ ქრისტიანულ სიწმინდეს „ქრისტეს ლახვრად“ არ მიიჩნევს. სომეხთა კათალიკოსის

ლუკას (გუკასის) გარდაცვალების შემდეგ ქართლ-კახეთის მეფემ სომხეთის კათალიკოსად რუსეთში მყოფი იოსებ არღუთაშვილი წარადგინა: „ამავე წე-რილითა უბრძანებდა მეფე სომეხთა ეჩმიანინისა კრეპასა (ძველთა მეფეთა ჩვეულებითა ქართველი დამტკიცებდენ მათსა კათალიკოსსა) ალირჩიონ იოსებ არღუთაშვილი რუსეთსა მყოფი.“ [2: 124] სომხეთის სასულიერო დასმა მეფის მიერ შეთავაზებული კათალიკოსის კანდიდატურაზე თანხმობა გა-ნაცხადა და გიორგი XII-ს „ქრისტეს ლახვრის“ და ოპანეს ვართაპეტის სომხ-ეთში დაბრუნების თხოვნის წერილი გაუგზავნა. „ქრისტეს ლახვარი“ ეჩმია-ნინში სწორედ იოსებ არღუთაშვილს უნდა წაელო, მაგრამ სომეხთა მომავალი კათალიკოსი გზაში გარდაიცვალა. „ვერცა ამან იოსებ, არ მნახავმან თვისის ტახტისა, ვერცა სხვათა ვერ წარიღეს ლახვარი იგი.“ [2: 126] საბოლოოდ „შავი ჭირისაგან“ მფარველი ქრისტეს წმინდა ლახვარი სომხებს გიორ-გი XII გარდაცვალების შემდეგ კოვალენსკის ბრძანებით დაუბრუნდათ. [2: 126] ცნობა „შავი ჭირის“ ეპიდემიის დროს ქრისტეს ლახვრის ეჩმიაძინიდან თბილისში გადმობრძანების შესახებ პლატონ იოსელიანის თხზულების გარდა სომხურ ტექსტებშიც მოიპოვება. სომხური ვერსიით, გიორგი XII-მ სომხეთის პატრიარქ გუკას I ქრისტიანული სინმინდის თბილისში გადმოტანა სთხოვა, რათა მას ხალხი „შავი ჭირისაგან“ დაეცვა. მას შემდეგ რაც „ქრისტეს ლახ-ვარი“ საქართველოში ჩამოიტანეს, ქართველმა მეფემ რელიქვიის დაბრუნე-ბაზე სომხებს უარი განუცხადა. სწორედ ამიტომ არქიეპისკოპოსმა ოვანეს ჰეკინეცმა და ყარაბახელმა თავადმა აბოვა ქრისტეს ლახვარი მოიპარეს და სომხეთში დააბრუნეს. [6]

ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის – გიორგი XII-ის მიერ ეჩმიაძინი-დან ქრისტეს წმინდა ლახვრის საქართველოში გადმობრძანებასთან დაკა-ვშირებით ვრცელი ინფორმაცია შემოგვინახა სომეხმა სასულიერო პირმა მანუელ ალთუნიანმა (გიუმიშხანელი). მისი 1801 წლით დათარიღებული ჩანანერის: „შავი ჭირი თბილისში 1797 წელს და საქართველოს მეფის გიორ-გი XII-ის მიერ ეჩმიაძინის ტახტის საკუთრებაში არსებული წმინდა ლახვრის დაუფლება“ - რუსული თარგმანი XIX საუკუნის II ნახევარში თბილისში გამო-მავალ ყოველთვიურ რუსულენოვან უურნალში: „Кавказская Старина“ გამო-ქვეყნდა. მანუელ ალთუნიანის ცნობით, „შავი ჭირის“ ეპიდემიის თბილისში გავრცელების დროს გიორგი XII-მ თავისი წარმომადგენელი გაგზავნა სომხ-ეთის პატრიარქთან – გუკასთან (პლატონ იოსელიანი მას ლუკას ხელით იხ-სენიებს) და ქრისტეს წმინდა ლახვრის საქართველოში გადაბრძანება სთხო-ვა, რათა სინმინდეს ქვეყანა მომაკვდინებელი სენისაგან ეხსნა. სომხეთის პატრიარქმა ქართლ-კახეთის მეფეს შეუთვალა, თითქოს ქრისტეს ლახვარი როდესაც აღა-მაჰმად-ხანის შემოსევის საფრთხე შეიქმნა, თურქეთში გადამა-ლეს. ლახვრის სანაცვლოდ გუკასმა გიორგი XII-ს ეპისკოპოს ალექსანის ხე-ლით წმ. იაკობ მდაბინელის ნაწილები გაუგზავნა. სომხეთიდან წარგზავნილი წმინდანის ნაწილები თბილისში რვა თვის განმავლობაში დარჩა, მაგრამ „შავი ჭირი“ კვლავ მძვინვარებდა და მოსახლეობა სასონარკვეთას მიეცა. დედაქა-ლაქის მაცხოვრებლები მთაში იხიზნებოდნენ. ეპიდემიისაგან შეშინებული

ხალხი სომები ავტორის ცნობით თავს აფარებდა ასევე ქ. გორს. წმ. იაკობის ნაწილები ეჩმიაძინში დააბრუნეს. მეფის ოჯახი კახეთში გადავიდა. გიორგი XII-მ სომხეთის პატრიარქს კვლავ მიმართა ქრისტეს წმინდა ლახვრის დროებით თბილისში დაბრძანების თხოვნით, თუმცა იგივე პასუხი მიიღო. პატრიარქი აცხადებდა, რომ სიწმინდე ეჩმიაძინში არ იყო. მალე შავმა ჭირმა თავი ეჩმიაძინშიც იჩინა და არაერთი სომები სასულიერო პირი იმსხვერპლა, მათ შორის: ეპისკოპოსი ნერსესი, ეპისკოპოსი ლუკიანე, ეპისკოპოსი გრიგოლი და სხვ. ეჩმიაძინის შემდეგ ეპიდემია ვაღარშაპატსა და მის შემოგარენში გავრცელდა. მოსახლეობა პატრიარქს ეჩმიაძინიდან ქრისტეს ლახვრის გამობრძანებას სთხოვდა. პატრიარქი მათაც იგივე პასუხით ისტუმრებდა, თითქოს ლახვარი ეჩმიაძინში არ იყო. ბოლოს ეპიდემიით და შიმშილით შეწუხებული ხალხი პატრიარქის სასახლეს მიადგა და აიძულა გუკასი ლახვარი გამოებრძანებინა. სიწმინდე დიდი ცერემონიალით ვაღარშაპატში გადაიტანეს. „ქრისტეს ლახვარმა“ სომხეთში ეპიდემია შეაჩერა. საბოლოოდ ერევის მმართველის მაჰმად-ხანის თხოვნით გუკასმა გიორგი XII-ის თხოვნა შეასრულა, სომხეთის ეკლესიის მწყემსთავარი ქართლ-კახეთის გვირგვინოსანთან ურთიერთობის გაფუჭებას მოერიდა და „ქრისტეს ლახვარი“ თბილისში გადააპრძანეს. მას თან გააყოლეს ეპისკოპოსი ოვანეს აკნელი, ასევე ერევის მმართველის წარმომადგენელი მელიქი აპრაამი. გიორგი XII სომხეთიდან მომავალ ჯგუფს (აღნიშნულ ჯგუფს ეჩმიაძინიდან გამოგზავნილი ეპისკოპოსი ოვანესი მოჰყვებოდა), რომელსაც „ქრისტეს ლახვარი“ მოჰქონდა, შულავერში დახვდა. მას შემდეგ რაც სიწმინდე თბილისის ეკლესიაში დააბრძანეს (ტექსტში არ ჩანს რომელ ტაძარში მიიტანეს „ქრისტეს ლახვარი“, თუმცა ეს უნდა ყოფილიყო სიონის საკათედრო ტაძარი - გ.ს.), ეპიდემიის გავრცელების შემთხვევებმა იკლო. სომხეთის პატრიარქმა გუკასმა გიორგი XII-ეს ლახვრის დაბრუნების თხოვნით მიმართა, თუმცა ქართლ-კახეთის მეფემ სიწმინდის ეჩმიაძინში გაგზავნა გააჭიანურა, ამასობაში გუკასი გარდაიცვალა. გავრცელდა ინფორმაცია, რომ გიორგი XII არ დააბრუნებდა ლახვარს, სანამ მისი შუამდგომლობით სომხეთის პატრიარქად არქიეპისკოპოს იოსებს არ აირჩივდნენ. არქიეპისკოპოსმა იოსებმა, გიორგი XII-ს ურჩია, რომ ლახვარი ეჩმიაძინში არ დაებრუნებინა. სომხებს პატრიარქის ტახტზე სურდათ არა იოსები (ზემოთ ნახსენები იოსებ არღუთაშვილი), არამედ დანიელი. ეპისკოპოსი ოვანესი ეჩმიაძინში მყოფ სომებს სასულიერო პირებს შეუთანხმდა და თბილისიდან „ქრისტეს ლახვრის“ ფარულად გატანა დაგეგმა. სომხეთიდან თბილისში 7 ადამიანი ჩამოვიდა, მათ შორის ერთ-ერთი გრიგოლი ეჩმიაძინის მონასტრის მსახური იყო. ისინი კრწანისში დაბინავდნენ. გრიგოლი თბილისში ვანქის სომხურ ეკლესიაში ეპისკოპოს ივანესს შეხვდა, რომელმაც ეჩმიაძინიდან ჩამოსულ თანამემამულეს „ქრისტეს ლახვარი“ გადასცა. კრწანისში მყოფმა სომხებმა სიწმინდე წაიღეს, ის ჯერ კირბულახში ჩაიტანეს, შემდეგ ერევანში, ბოლოს კი ეჩმიაძინში. ცარიელი ყუთი, სადაც „ქრისტეს ლახვარი“ იყო ჩაბრძანებული, სომებმა ეპისკოპოსმა ვანქის ეკლესიდან ისევ სიონში გადაიტანა. როდესაც მლოცველები თხოვდნენ, რომ სიწმინდე ეჩვენებინა,

ის სხვადასხვა მიზეზით მღლოცველებს თავიდან იცილებდა. ბოლოს ოვანესმა გაპარვა გადაწყვიტა და დახმარებისთვის თბილისში მყოფ ყარაბაღელ თავადს აბოვს მიმართა, რომელმაც ოვანესის ქალაქიდან უსაფრთხოდ გაყვანა ერთ აზერბაიჯანელს დაავალა. ოვანესმა ვანქის ეკლესიის საძმოსთან უკანასკნელი ვახშამი გამართა და თბილისიდან ფარულად წავიდა. ახალქალქის სიახლოვეს თურქებმა ოვანესს ცხენი წაართვეს. გზაში სომეხი ეპისკოპოსი შემთხვევით შეხვდა თბილისელ ქართველებს, რომლებიც მანუელ ალთუნიანის ცნობით, მისი გამოპარვის მიზეზს მიხვდნენ. ეჩმიაძინში ჩასული ოვანესი გამშვენებული მანტიით დაასაჩუქრეს. სომეხთა მთავარი საკათედრო ტაძრიდან გაგზავნილი წერილის საფუძველზე გიორგი XII-მ სომხებს დაუბრუნა ეპისკოპოს ოვანესის ნივთები და ის ყუთიც სადაც „ქრისტეს ლახვარი“ ესვენა [5: 60-64]. ქრისტეს ლახვრის საქართველოში გადაპრძანების ისტორია ამით არ დასრულებულა. აღნიშნული სიწმინდე თბილისელმა სომხებმა 1847 წელსაც ჩამოიტანეს ეჩმიაძინიდან, როდესაც ჩვენი ქვეყნის დედაქალაქში ქოლერა მძვინვარებდა [5: 60].

### ბიბლიოგრაფია:

1. ახალი აღთუქუმაი უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი, თბ., 2013.
2. იოსელიანი პ. ცხოვრება გიორგი მეცამეტისა. თბ., 1978.
3. რეხვიაშვილი ჯ., ქრისტეს ლახვარი ეპიდემიის ნინააღმდეგ, [https://www.radiotavisupleba.ge/a/qristes\\_laxvari-epidemiis](https://www.radiotavisupleba.ge/a/qristes_laxvari-epidemiis) ნინააღმდეგ/30512850.html
4. Runciman S., A History of the Crusades. Volume 1: The First Crusade and the Foundation of the Kingdom of Jerusalem. Cambridge University Press, 1987.
5. О чуме в Тифлисе 1797 году и о задержании царем Георгием XII в Грузии принадлежащего эчмиадзинскому престолу священного копья (записки Мануеля вардапета Алтунян, прозвываемаго Гюмушханцы), «Кавказская старина», ежемесячный журнал исторический, археологический, этнографический и библиографический, год I, январь, №3-и, под редакциею А. Д. Ерицова, 1873.
6. Реликвии Армянской Apostольской Церкви — Копье, пронзившее ребро Иисуса Христа, <https://vstrokax.net/avtorskaya-kolonka/relikvii-armyanskoy-apostolskoy-tserkvi-kope-pronzivshee-rebro-iisusa-hrista/>
7. New Advent Featuring The Catholic Encyclopedia <https://www.newadvent.org/cathen/08773a.htm>
8. [https://ru.wikipedia.org/wiki/Копьё\\_Лонгина](https://ru.wikipedia.org/wiki/Копьё_Лонгина)
9. <http://www.info-bible.org/histoire/reforme/traité-des-reliques-jean-calvin.htm#Reliques%20du%20Christ:%20de%20l'enfance%20%C3%A0%20sa%20mort>
10. <https://www.britannica.com/topic/Holy-Lance>
11. <https://armenianchurch.us/2019/12/02/holy-lance-armenian-tradition-legend/>

G. SOSIASHVILI

## ‘THE CHRIST`S LANCE’ AND ‘THE BLACK DEATH’ EPIDEMICS IN GEORGIA

### Abstract

During lethal epidemics in the Middle Ages the only salvation for the people were the church, religious life and Christian holiness. In late feudal Georgia, the Holy Lance, the one that pierced the side of Jesus as he hung on the cross, was considered to hold ‘the Black Death’, which was viewed as a divine punishment. The information on this fact is given only by John the Evangelist, one of the twelve Apostles. Like many other holy things, there are several Holy Lances in the Christian World. The mentioned relics are kept in Vatican, Vienna and Krakow. According to French theologian and reformer, John Calvin (1543) there were four different Lances of Christ in Rome, Sainte Chapelle (Paris), the Abbey of Tenaille in Saintonge (France) and at Selve, near Bourdeaux (France). Regarding the mentioned holiness there is another version, according to which, the Christ` s Lance was discovered in Antioch in 1098 during the First Crusade. The Christ` s Lance also rests in Etchmiadzin Cathedral, Armenia. According to Armenian Church version Peter the Apostle gave the Christ` s Lance to one of the Christ` s followers, Thadeuss, who in 43 A.D. brought the holy thing to Armenia. There was belief in Georgia that the Christ` s Lance would hold ‘the Black Death’ epidemics. As it turns out, during the reign of Erekle II, the mentioned holy thing was transferred from Etchmiadzin Cathedral several times. According to Platon Ioseliani the last King of Kartli-Kakheti asked the Armenian Catholicos, Luka (Guka) to transfer the Christ` s Lance from Etchmiadzin to Tbilisi Sioni Cathedral. The Armenian Church did not trust Giorgi XII. They thought that the King of Kartli-Kakheti would assign the Christian Holy thing to himself, that’s why a group of Armenian clergymen accompanied the great relic from Etchmiadzin. Transferred to Tbilisi the Christ` s Lance rested in Sioni Cathedral at daytime, at night it was moved to Vank Armenian Church. ‘The Black Death’ epidemics gradually subsided in Tbilisi. The Armenians demanded back their Holy thing, and they asked Tbilisi Melik – Darchia to act as a mediator and ask Giorgi XII to return the Lance. Though Darchia could not dare to ask the King. After a while, the King of Kartli-Kakheti met Armenian Bishop Ohanes, who asked the King to return the Holy Lance to Etchmiadzin. Giorgi XII assured the clergyman that he did not have any intention of taking it, and after the royal family prayed to it, he would return the Christ` s Lance together with other presents to the Armenian Catholicos, but the question of returning the Lance to Etchmiadzin, ‘the diverter’ of epidemics, was not so easily solved. The Armenian clergymen asked Catholicos Partiarch Anton II for help, but Anton II was not able to help Armenians. He avoided offending his brother. As the Patriarch could not help them, the Armenians first asked Arsen Tbileli act as an intermediary, and then they asked the King`s Priest - Ekvtime. The King got angry because of the insistent request of the Armenians and decided to leave the holy thing

in Tbilisi for a week. After a while, Giorgi XII decided to return the Lance to Etchmiadzin. But ‘the Black Death’ returned to Tbilisi and the Christ’s Lance was left in Sioni Cathedral. On January 29, 1800 the Armenian Clergymen sent a letter to Giorgi XII from Etchmiadzin and demanded to return the Lance. It turns out from the letter that during the spread of ‘the Black Death’, when the King was Erekle II, the Christ’s Lance was transferred from the Holy Cathedral of the Armenians several times, though it was returned back.

After the death of the Armenian Catholicos Luka (Gukas) the King of Kartli-Kakheti presented Ioseb Argutashvili, who was in Russia at that time, as the Catholicos of Armenia. The Armenian clergymen agreed to the offered candidature and sent a letter to Giorgi XII, where they asked to return the Christ’s Lance and Ohanes Vardapet to Armenia. Ioseb Argutashvili should have taken the Christ’s Lance to Etchmiadzin, but the future Catholicos of Armenia died on the way to Etchmiadzin. Finally, after the death of Giorgi XII the Christ’s Lance, that protected from ‘the Black Death’ was returned to the Armenians by order of Kovalenski. The information about the Christ’s Lance, that was transferred from Etchmiadzin to Tbilisi during ‘the Black Death’, is also found in the Armenian texts besides the works of Platon Ioseliani. According to the Armenian version, Giorgi XII asked the Armenian Patriarch Guka I to transfer the Christian Holy Thing to Tbilisi in order to defend people from ‘the Black Death’. Since the Holy Thing was brought to Georgia, the Georgian King refused to return the relic to Armenians. That’s why the Archbishop Ovanes Haknets and the Karabakh Noble Abova stole the Christ’s Lance and returned it to Armenia.

**Keywords:** ‘The Christ’s Lance’, ‘The Black Death’, Georgia, Tbilisi, Armenia, Giorgi XII, Etchmiadzin,

## ГИОРГИ СОСИАШВИЛИ

### «КОПЬЁ ХРИСТА» И ЭПИДЕМИЯ «ЧЁРНОЙ ЧУМЫ» В ГРУЗИИ

#### Резюме

В Средневековье, во время распространения смертоносных эпидемий единственным спасением для людей являлась Церковь. В феодальной Грузии противодействующим распространения «чёрной чумы» - этой «божьей кары» считалось святое копьё, которым была нанесена рана распятому на кресте Спасителю. Информацию по этому факту доносит до нашего сведения лишь один из двенадцати апостолов Христа – Иоанн Богослов.

Равно как и другие святыни, в христианском мире существует несколько копий. Эти реликвии хранятся (сохранины) в Ватикане, Вене, Кракове. Согласно сведениям французского теолога и реформатора Жана Кальвина существовало четыре разных копья Христа: в Риме, Сент-Шапеле (Париж), Сент-Онже

(Тиимальское аббатство, Франция) и в Сельве (неподалёку от Бордо, Франция). В связи с этой святыней существует ещё одна версия, согласно которой копьё Христа было обнаружено в 1098 году в Антиохии, во время первого Крестового похода. «Копьё Христа» покоятся в Армении, в Эчмиадзинском храме. Согласно версии, признанной Армянской церковью, святое копьё было даровано апостолом Петром одному из учеников Христа Фаддею, который в 43 году н.э. эту святыню доставил в Армению. В Грузии существовала вера в том, что святое «копьё Христа» может приостановить эпидемии «чёрной чумы». Как выясняется, во время царствования Ираклия II святыня эта была несколько раз перенесена из Эчмиадзинского храма. Согласно сведениям Платона Иоселиани последний царь Картли и Кахетии попросил армянского католикоса Лукаса (Гукаса) перенести (доставить) в Тбилиси в Сионский собор хранящееся (сохранённое, покоящееся) в Эчмиадзине копьё Христа. Армянская церковь не доверяла Георгию XII и считала, что царь Картли и Кахетии присвоит христианскую святыню, поэтому эту великую реликвию сопровождала группа (свита) из армянских духовных лиц (священнослужителей). Доставленное в Тбилиси «копьё Христа» днём покоилось в Сионском кафедральном соборе, а ночью – в армянской церкви Ванк(?). Эпидемия «чёрной чумы» в Тбилиси постепенно приутихла. Армяне потребовали принадлежащую им святыню и для возвращения копья с просьбой о посредничестве к Георгию XII обратились к Тбилисскому мелику Дарчию. Однако не осмелился обратиться к царю с просьбой. Спустя некоторое время с царём Картли и Кахетии встретился армянский епископ Ованес, который обратился к царю с просьбой о возвращении святого «копья Христа» в Эчмиадзин. Георгию XII удалось убедить армянского духовного иерарха в том, что он не намерен присвоить копьё и что после того, как члены царственного дома приложатся к святыне и совершат моления, «копьё Христа» вместе с подарками будет возвращено армянскому католикосу. Однако вопрос возвращения «нейтрализующего» эпидемию копья не был решён таким простым образом. Армянские духовные лица с просьбой о помощи обратились к католикосу-патриарху Антону II, но Антон не смог помочь армянам. Ему неудобно было обидеть своего брата. Так как патриарх не смог оказать помощи, армяне с просьбой о посредничестве к царю сначала обратились к Арсену Тбилиси, а потом к царскому духовнику – Евтимию. Из-за настойчивых просьб армян царь был разгневан и решил ещё на неделю оставить святыню в Тбилиси. Через некоторое время Георгию XII-ым было решено возвратить копьё в Эчмиадзин, однако в Тбилиси вновь повторилась «чёрная чума» и «копьё Христа» было оставлено в Сионском соборе. 29 января 1800 года армянские духовные лица отправили из Эчмиадзина письмо Георгию XII и попросили вернуть копьё. Именно из этого письма выясняется, что при Ираклии II во время распространения «чёрной чумы» «копьё Христа» было несколько раз доставлено из армянского святого храма, хотя бы возвращено назад.

После кончины армянского католикоса Лукаса (Гукаса), царь Картли и

Кахети на престол армянского католикоса представил находящегося в России Иосифа Аргуташвили. Армянские духовные лица дали согласие на предложенную царём кандидатуру и направили Георгию XII письмо с просьбой о возвращении в Армению «копья Христа» и Ованеса Вартапета. Именно Иосиф Аргуташвили должен был доставить в Эчмиадзин «копьё Христа», однако будущий армянский католикос по пути скончался.

В конце концов, противодействующий распространение «чёрной чумы» святое «копьё Христа» после кончины Георгия XII по приказу Коваленского было возвращено армянам. Сведения о переносе «копья Христа» из Эчмиадзина в Тбилиси вовремя эпидемной «чёрной чумы» кроме сочинения Платона Иоселиани находятся (дobyваются) и в армянских текстах. Согласно армянской версии, Георгий XII попросил армянского патриарха Гукаса I перенести (доставить) христианскую святыню в Тбилиси, дабы защитить народ (свой) от «чёрной чумы». После того, как святыню доставили в Грузию, царь грузинский отказал армянам вернуть реликвию. Именно поэтому архиепископ Ованес Хакнец и карабахский князь Абов(а) выкрали «копьё Христа» и вернули в Армению.

**Узловые слова:** «Копьё Христа»; Эпидемия; «Чёрная чума»; Грузия; Георгий XII; Эчмиадзин; Армения; Тбилиси.

# გავგასიის ისტორია

## მარიამ გურეაშიძე

### იმამ შამილისა და ქურთა ჰაჯის პრძოლის განსხვავებული გზები (XIX საუკუნე, ჩრდილო კავკასია)

ჩრდილო კავკასიაში გავრცელებულია ისლამში არსებული ერთ-ერთი მიმდინარეობა სუფიზმი. ა. ქნიში<sup>1</sup> აღნიშნავს, რომ სუფიზმი კავკასიაში საკმაოდ გვიან მეთორმეტე საუკუნეში გავრცელდა და პრაქტიკულად არ ახდენდა გავლენას ადგილობრივ მუსლიმ მოსახლეობაზე. ცნობილია, რომ მეცამეტე საუკუნის ბოლოს ზოგიერთმა კავკასიელმა მუსლიმმა, სუფიზმი შეისწავლა ირანსა და ცენტრალურ აზიაში, ხოლო შემდეგ იქადაგეს ჩრდილო კავკასიასა და ამიერკავკასიაში. კნიში არ აკონკრეტებს სუფიელ მქადაგებლებს. იყი აღნიშნავს, რომ რუსეთის ჯარების წინააღმდეგ ცნობილ აჯანყებაში (1817-1864 წ.), რომელსაც იმამ შამილი<sup>2</sup> მეთაურობდა სუფიზმის გავლენა საკმაოდ დიდი იყო. ვინაიდან აღნიშნულმა მოძრაობამ მოგვიანებით „მურიდიზმის“ სახელმძღვანელო მიიღო, რადგან მისი მებრძოლები ამავე დროს სუფიელი მორჩილები – „მურიდები“ (არაბ., مُرِيدٌ) იყვნენ. სუფიურ მიმდინარეობებად/საძმოებად ითვლებიან: კადირია (არაბ., الْقَادِرِيَّة) თარიქათუ შაზილია (არაბ., شَازِلِيَّة), შაპაბ ალ-დინ სუჭრავარდია (სპარსულად), شهاب الدين سهروردي (الطريقة الشاذلية), ნაყშბანდია/ნაკშბანდია (სპარს., نقشبندیة; არაბ., نَقْشِبَنْدِيَّة), ჩიშთია (სპარს., چشتی), სილსილათუნ ქუბრავია (არაბ., سِلْسِلَةَ كَبْرُوْيَة) <sup>3</sup> კალანდარია (არაბ., قلندرية), ხალვათია (თურქ., Halvetilik/) და სხვა. რასაც ა. კნიში დეტალურად განიხილავს თავის წიგნში „Мусульманский Мистицизм“<sup>4</sup>. რაც შეეხება ისლამისა და მისი თანამდევი სუფიზმის გავრცელების ისტორიას და არეალს სურათი ასეთია: ისლამი, როგორც სოციალურ-იდეოლოგიური მოვლენა ასევე იყო არაბეთის საზოგადოების განვითარების ისტორიული შედეგი და ერთ-ერთი წარმომქმნელი საერთო პროცესებისა, რომელიც დამახასიათებელი იყო მთელი ახლო აღმოსავლეთისათვის უძველესი ხანიდან შუა საუკუნეებში გადასვლის პერიოდამდე. რელიგიურ ასპექტში ისლამის გაჩენა დაკავშირებულია მანამდე არსებული რელიგიების გავლენასა და განვითარებაზე (ზოროასტრიზმი, იუდაიზმი, ქრისტიანობა). მეხუთე-მეექვსე საუკუნეებში დაიშალნენ უძვე-

1 А. Д. Кныш. Мусульманский мистицизм. Москва-Санкт-Петербург, стр. 332-333.

2 იმამ შამილი (1797-1871 წწ.) პოლიტიკური და რელიგიური მოღვანე. კავკასიის მთელ ხალხთა მეთაური, А. Д. Кныш, наз. книга, стр. 333.

3 სსლე – არაბ., ჯაჭვი. Арабско-Русский Словарь, стр. 461.

4 А. Д. Кныш, наз. книга, стр. 205, 237, 221, 312, 249, 268, 313.

ლესი კლასობრივი სახელმწიფო სახელმწიფოები, რომლებიც მდებარეობდნენ არაპეთის ჩრდილოეთ და სამხრეთ ნაწილებში (ნაბათეთია, ალმირა, საბა, ნაწილობრივ ჰიმიარი), შესუსტდა ამ სახელმწიფოებისათვის ეკონომიკური განვითარების საფუძველი-ტრანზიტული ვაჭრობა, ცენტრებმა ფუნქცია დაკარგეს, მომ-თაბარე-მეცხოველეობა გახშირდა და გაიზარდა მათი სამხედრო ძლიერებაც. არაპეთის ჩრდილოეთი, სამხრეთით და აღმოსავლეთით მდებარე ზოგიერთი მიწები თანდათანობით ექცეოდნენ მეზობელი სახელმწიფოების პირდაპირი მმართველობის ქვეშ (ირანის, ბიზანტიის და ეთიოპია). აღსან-იშნვია, რომ იმავე V-VI საუკუნეებში ხდებოდა ახალი სახელმწიფოებისგან ჩამოყალიბებული არაპეთის ახალი სამყაროს ჩასახვა, რომელიც აგებული იყო ადგილობრივი მაცხოვრებლებისა და მომთაბარეების დინამიურ თანა-ფარდობაზე. წარმოიქმნებოდა ქალაქის მცხოვრებთა და მომთაბარე ტომების ახალ-ახალი კავშირები. აღმართა ახალი სავაჭრო-პოლიტიკური ცენტრები მაგ.: მექა. შიდა არაპეთში, რომელიც დაყოფილი იყო ტომების კუთვნილ ტერიტორიებად განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინეს “საკრალურმა ტერიტორიებმა”, რომელთაც ასევე სავაჭრო ცენტრის და თავშესაფრის ფუნქცია ჰქონდათ. ჩამოიშალა მრავალი რელიგიური კულტი<sup>5</sup>. გამოჩნდნენ ადამიანები (ჰანიფები), რომლებიც უარყოფდნენ მრავალმერთიანობას და კერპთაყვანისმცემლობას, აღიარებდნენ ერთ ღმერთს, რომელიც ცნობილი იყო იუდეველებისა და ქრისტიანების რელიგიური სწავლებებისთვის, თუმცა არ მიეკუთვნებოდნენ არც იუდაიზმს და არც ქრისტიანობას. ამ ფონზე ხდებოდა არაპეთის ეთნიკური და კულტურული კონსოლიდაცია და ინტეგრაცია. არაბული ენის გავრცელებამ საყოველთაო ხასიათი მიიღო. მიმდინარეობდა გვაროვნულ-ტომობრივი წყობილებიდან ადრეულ კლასობრივ წყობილებაზე გადასვლის პროცესი<sup>6</sup>.

პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური გარდაქმნებისაკენ სწრაფვამ მოითხოვა იდეოლოგიური საფუძველი, რომელსაც მოჰყვა არაპეთის ყველა ნაწილში მოძრაობები, რომლებიც ისტრაფვოდნენ მომთაბარე ტომებისა და ქალაქების გაერთიანებისკენ, რათა გარეშე მტრებისთვის გაერიათ წინააღმდეგობა. ამ პოლიტიკურ მოძრაობებს სათავეში ედგა ხალხი, რომლებიც საკუთარი ღვთაებრივი შთაგონებით პრეტენზიას აცხადებდნენ საკუთარ ღვთაებრივ წარმოშობაზე. ეს ღვთაებრივი შთაგონება მათთვის

5 ჩვენ წელთაღრიცხვამდე მეორე ათასწლეულში სამხრეთ არაპეთში მთავარი ღმერთი იყო ასტარი, შემდგომში იგი ითვლებოდა საბაელთა უმაღლეს ღვთაებად. ნაბათეელთა უმაღლესი ღვთაება იყო დუშარა – სამყაროს შემქმნელი ღმერთი, ომის ღმერთი, სამეფო ხელისუფლების მფარველი და ა.შ. მექაში, როგორც დანარჩენ არაბულ მხარეში, განსაკუთრებულ პატივს მიაგებდნენ ქალის ასტრალურ ღვთაებებს, სახელწოდებით ლატი, უზბა და მანატი. [https://pgiu.ru/upload/iblock/bdf/uch\\_2010\\_v1\\_00042.pdf](https://pgiu.ru/upload/iblock/bdf/uch_2010_v1_00042.pdf). Encyclopedia Britannica-ის თანახმად, საბაში ხალხის ღვთაება იყო ალმაქაჲი (ან ილმუქაჲი) ხელოვნური ირიგაციის მფარველი. <https://www.britannica.com/topic/Arabian-religion/Pre-Islamic-deities>

6 Ислам – энциклопедический словарь. Москва, 1991, стр. 103.

განუყოფელი და ერთადერთი იყო და უწოდებდნენ რაპმანს ან ალ-ლაჰს. მათი ტრანსში ყოფნის დროს, ისინი უშუალოდ ან ანგელოზების მეშვეობით კავშირს ამყარებდნენ წინასწარმეტყველებთან. სხვათაშორის, იმ დროს, როცა მუჰამედმა დაიწყო ქადაგება მომრავლდნენ ცრუ წინასწარმეტყველნი, რომლებიც თითქოს ტრანსში ვარდებოდნენ და ამას ხსნიდნენ ღვთიური გამოცხადებით თუ ღმერთის ხილვით. ამგვარ ერთობ რთულ პირობებში მოუხდა მუჰამედს ქადაგების დაწყება<sup>7</sup>. თუმცალა მისი ქადაგება იყო საერთო პროცესების კერძო და კანონზომიერი გამოვლინება.

მოციქული მუჰამედი იდეური-პოლიტიკური თვალსაზრისით გამორჩეული პიროვნება იყო. ეს გახდა ერთ-ერთი მიზეზი რითიც იუდეურ-ქრისტიანულ სექტასთან ახლოს მდგომა ჰიჯაზის პროვინციულმა მოძრაობამ, შეიძინა გამოკვეთილი ნიშნები, სულიერი და პოლიტიკური სიძლიერე. რამაც ისლამი აქცია ერთ-ერთ მნიშვნელოვან ისტორიულ მოვლენად. საგანგებო აღნიშვნას მოითხოვს არაბეთში გავრცელებული იუდეურ-ქრისტიანულ სწავლებათა შორის დაპირისპირებული მსოფლხმედველობის სექტები და მათი განსხვავებულობა<sup>8</sup>.

რაც შეეხება სუფიზმს, იგი ისლამში არის მისტიკურ-ასკეტური მიმდინარეობა. თავდაპირველი ზოგიერთი სუფი ავტორი სუფიზმის ეტიმოლოგიურ წარმოშობას სვკ ძირს უკავშირებენ, რაც ნიშნავს “იყო სუფთა, შეურყვნელი”-ან გამოთქმა “აპლ ას-სუფთა, რაც გამოიყენებოდა უქონელ ადამიანთა მიმართ, რომლებიც ღვთის მოშიში და წინასწარმეტყველის ერთგულნი იყვნენ. დასავლეთ ევროპის სწავლულები XX საუკუნის დასაწყისამდე მიიჩნევდნენ, რომ სიტყვა “თასავუფ”-ი ბერძნული წარმომავლობის იყო. კერძოდ, სიტყვიდან “სიბრძნე” (ბერძ., სიფია). ამჟამად, საყოველთაოდ მიღებულია მოსაზრება, რომ შუა საუკუნეებში მოღვაწე მუსლიმი ავტორების თანახმად, უხეში მატყლის სამოსი უძველესი დროიდან ითვლებოდა განდეგილი ასკეტის, „ღვთიური ადამიანის“, მისტიკოსის შესამოსელად<sup>9</sup>. სავარაუდოდ, ისლამამდელ პერიოდში სირიასა და ჩრდილოეთ არაბეთში სუფიებს უწოდებდნენ მოგზაურ ქრისტიან ბერებს. ასკეტური განწყობები, რომელმაც სათავე დაუდო “თასავუფს”, აღმოცენდა თითქმის ისლამის წარმოქმნასთან ერთად. თუმცა ისლამში ასკეტურ-მისტიკური მიმდინარეობის ფორმირების პროცესები მიეკუთვნება დაახლოებით VIII საუკუნის შუა პერიოდს და IX საუკუნის დასაწყისს. როგორც წესი, მას უერთდებოდნენ ჰადისების<sup>10</sup> შემგროვე-

<sup>7</sup> Климонович О. И., Книга о Коране. Его Происхождении и Мифологии, М. 1988, стр. 18.

<sup>8</sup> Ислам, энциклопедический словарь. Москва, 1991, стр. 103-104; <https://www.cambridge.org/core/journals/nationalities-papers/article/sufism-and-politics-in-the-north-caucasus/C0FC15FBDB05D84FEEB2EE7A75D270FD>

<sup>9</sup> იქვე გვ. 225.

<sup>10</sup> ჰადისი- (არაბ., ﷺ) გადმოცემები მუჰამედის ქმედებებისა და თქმულებების შესახებ. Encyclopedia of Islam and Muslim world. MacmillanReferenceUSA. Editor in Chief Richard C. Martin. Volume 2 M-Z, v. 1, v. 2, p. 285.

ბელთა წრეებიდან, მოგზაური მთქმელები და მოძღვრები (კუსასი), ყურანის წამითხველები (კურრა'), ჯიპადის მონაწილეები (იგულისხმება ბიზანტიის საზღვარზე მდგომი მესაზღვრე ჯარები), ღვთისმოსავი ხელოსნები და ვაჭართა წრეებიდან, ასევე ქრისტიანული მოსახლეობის იმ ნაწილიდან, ვინც ისლამი მიიღო. ამ დროისთვის ტერმინები “ათასავუფი” და ას-სუფი არ იყო ფართოდ გავრცელებული. მათ მაგივრად გამოიყენებოდა სიტყვები ზურდი (ასკეტიზმი, თავშეევავება, სამყაროსგან განრიდება) და ზაჰიდი (ასკეტი) ან მასთან ახლოს მდგომი აბიდი (ღვთისმოსავი, მიმდევარი). ისლამში ასკეტურ-მისტიკური მიმდინარეობის წარმოქმნის მიზეზთა შორის უნდა გამოვყოთ ისლამური თემის არსებობის პირველი ორი საუკუნის განმავლობაში არსებული სოციალურ-პოლიტიკური უნცხრიგობა<sup>11</sup>.

მეცხრე საუკუნის განმავლობაში მიმდინარეობდა “ათასავუფის” თეორიისა და პრაქტიკის აქტიური დამუშავება. ამ პერიოდში ჩნდება რიგი სუფიური სკოლებისა, მათგან მეტ-ნაკლებად გავლენიანი ბასრის (ერაყი) სკოლასთან ერთად ასევე გახდნენ ბალდადისა და ხორასანის (ერაყი) სკოლები. მათი წარმომადგენლები კვლავინდებურად დიდ ყურადღებას უთმობდნენ მისტიკოსთა შინაგან სამყაროს. ადრეული “ათასავუფის” სოციალურ ბაზას შეადგენდნენ ძირითადად ქალაქში მცხოვრები წვრილი მოვაჭრეები, ხელოსნები და ა.შ. მათ შორის, როგორც წესი, “სუფიური მეცნიერების” თეორეტიკოსებად გვეპლინებოდნენ ღვთისმეტყველების მცოდნე მცირერიცხოვანი ადამიანები<sup>12</sup>.

უკვე ადრეულ ეტაპზე “ათასავუფის” მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენდა მისი თეორიისა და პრაქტიკის დაუფლება სულიერი მოძღვარის (შაიხი, მურშიდი) ხელმძღვანელობით, ამის გარეშე დამწყები სუფი (მურიდი) რისკავდა ჯანმრთელობისა და განსჯის დაკარგვას. მურიდების თვალში შაიხები ამაღლებული იყვნენ ჩვეულებრივ ადამიანებთან შედარებით. მათგან ღრმა ცოდნითა და კეთილშობილებით გამორჩეულებს “წმინდანებად” აღიარებდნენ<sup>13</sup>.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს მიერ დამუშავებულ მასალებთან ერთად, აკადემიკოს ელიზბარ ჯაველიძის წიგნი „თურქული ლიტერატურის სათავეებთან“<sup>14</sup>, რომელშიც მოცემულია სუფიების დახასიათება კიდევ უფრო ნათელს ხდის და აქსეპს სუფიური არსის მნიშვნელობას: “სუფიების აზრით, ადამიანი წარმოადგენს ღმერთის სახეს და თავის თავში მოიცავს მთელ კოსმოსს. ამიტომაც ეწოდება ადამიანს მიკროკოსმოსი. სუფიების გაგებით ადამიანის ძირითად მიზანს წარმოადგენს დაბრუნება თავდაპირველ საწყისთან. საკუთარ თავში ღმერთის დანახვა და შეცნობა. სუფიების გაგებით, არსებობს რა ადამიანი მას არ შეუძლია ანგარიში არ გაუწიოს საკუთარ ემპირიულ “მე”-ს და მის ძირითად მიზანს უნდა წარმოადგენდეს საკუთარი ემპირი-

11 Ислам – энциклопедический словарь, стр. 225.

12 იქვე, გვ. 228.

13 იქვე, გვ. 230.

14 Э. Д. Джавелидзе - У Истоков Турецкой Литературы I. ДЖЕЛАЛЬ-ЕД-ДИН РУМИ (вопросы мировоззрения), Тб., 1979, стр. 262-273.

ული „მე“-ს უარყოფის მეშვეობით ღმერთის მცნებამდე ამალება და მასთან გატოლება. სუფიების ძირითადი და საბოლოო მიზანი კი მდგომარეობდა იმაში, რომ მათ უნდა მოეხდინათ საკუთარი ემპირიული „მე“-ს განადგურება, რომელიც დაკავშირებული იყო ბიოლოგიურ მოთხოვნილებებთან. ამის შემდგომ საფეხურზე სუფის უნდა მიეღწია აბსოლუტურ ჭეშმარიტებასთან შერწყმისთვის და გამხდარიყო ღმერთის მცნებასთან იდენტური. ანუ ისინი უარს ამბობდნენ ყოველგვარ ამქეყნიურ მოთხოვნილებზე და ამ გზით უნდა შერწყმოდნენ სრულ ჭეშმარიტებას”. სუფიზმის არსის აკადემიკოს ელ. ჯაველიძისეული განმარტებიდან გამომდინარე, რასაც ჩვენ სავსებით ვიზიარებთ, მიგვაჩინა რომ სუფიების მიერ დასახული მიზნის მიღწის მიღწევისათვის უმჯობესია მშვიდობიან გარემოში თანაარსებობა, როდესაც მურიდები დაცული იქნებიან ფიზიკური განადგურებისაგან და მიეცემათ საშუალება მაქსიმალურად გადაერთონ სულიერ გადარჩენასა და სრულყოფაზე. ამაზე მეტყველებს ჩრდილოეთ კავკასიაში კადირიას სუფიური სწავლების მქადაგებლის ქუნტა ჰაჯის<sup>15</sup> მოძღვრება: „თუ სხვადასხვა ადგილებში მასწავლებელს უკვდება ორი ათასი მურიდი (მიმდევარი, მორჩილი) ერთდროულად, იგი ასწრებს დახმარებას თითოეულ მათგანზე, რომ მოხდეს მისი სულის სხეულიდან გასვლა და ჰასუებს აგებს მურიდების როგორც დატანჯული ანგელოზების ქმედებაზე. სანამ მომაკვდავს არ დატოვებს თავისი მასწავლებელი, მანამ სიკვდილის ანგელოზი არ მოახდენს მისი სულის სხეულიდან გასვლას. მასწავლებელი იცავს თავის მურიდს სიკვდილის შიშისგან და საფლავში წვალებისგან. თუ ადამიანი გულგრილია ყველაფრის მიმართ და კმაყოფილია იმით, რომ ჭამს და სვამს, იგი შორს არის ზნეობრივი სრულყოფისაგან. თუ მურიდს სურს გაიგოს, რამდენად არის ახლოს ღმერთთან, მოციქულთან და მასწავლებელთან, მაშინ უნდა ჩაიხედოს საკუთარ გულში: თუ იგი დაძლეულია ძალაუფლების წყურვილით, უნდა იცოდეს, რომ იგი ღმერთისგან, მოციქულისგან და მასწავლებლისგან შორს არის. თუ მურიდის გული მოწოდებულია და სავსეა ხალხზე ზრუნვით, მოკლებულია შურსა და ანგარიშსწორებას, იგი ღმერთთან, მოციქულთან და მანსავლებელთან ახლოს არის... საკუთარი გულიდან სიბრაზის განდევნით, მიტევებით, ალაპის ასჯერ მოხსენიებით, მტრებზე ლოცვით-უფლის მონაა“<sup>16</sup>.

კვლევის მიზანია გამოვყოთ ორი თარიკათი ნაყშბანდიმა და კადირია, რომელთა შედარების საფუძველზეც გავცეთ ჰასუხი კითხვას, რომელი მიმდინარეობა იყო ჩეჩენი ხალხისთვის ხელშემწყობი უმძიმესი სიტუაციიდან თავის დასაღწევად: იმამ შამილის ნაყშბანდიური ორდენის შეურიგებელი და

15 ქუნტა ჰაჯი ქიშიევი (1796-1867) [https://books.google.ge/books?id=2bhpr7RTLMA\\_C&pg=PA113&lpg=PA113&dq=kunta-haji+kishiev&source=bl&ots=iKMXLs7Hua&ig=ACfU3U2q6Q3ENxkjF1bicM9G94q\\_C1RZQw&hl=en&sa=X&ved=2ahUKEwi6yJuJtcfnAhVV5KYKHePVDzYQ6AEwEHoECA8QAQ#v=onepage&q=kunta-haji%20kishiev&f=false](https://books.google.ge/books?id=2bhpr7RTLMA_C&pg=PA113&lpg=PA113&dq=kunta-haji+kishiev&source=bl&ots=iKMXLs7Hua&ig=ACfU3U2q6Q3ENxkjF1bicM9G94q_C1RZQw&hl=en&sa=X&ved=2ahUKEwi6yJuJtcfnAhVV5KYKHePVDzYQ6AEwEHoECA8QAQ#v=onepage&q=kunta-haji%20kishiev&f=false) 05.04.2020 19:18

16 შეიქ კუნტა-ხაჯი და ის მიმდინარეობა <http://old.russ.ru/politics/20011227-mus.html>  
12.03.2020 20:26

რეაქციული იდეოლოგია, თუ ქუნტა პაჯის ქადაგებული კადირიას პაციფის-ტური და შემრიგებლური მოძღვრებები.

ამგვარად, VI საუკუნიდან მუსლიმურ სამყაროში მისტიკური ცხოვრება კონცენტრირებული იყო პირველ რიგში სუფიურ საზოგადოებებსა ან/და სუ-ფიურ საძმოებში ("თარიკა"), რომელთაგან ბევრი მათგანი დღესაც არსებობს. სუფიური საძმოები განლაგებული იყო განსაკუთრებულ შენობებში, სადაც საშუალება ჰქონდათ განრიდებოდნენ ყოველდღიურ ცხოვრებისეულ ამაოებას და ჩატარებინათ როგორც ინდივიდუალური ასევე კოლექტიური ყოველდღიური რელიგიური რიტუალები. ცალკეული შაიხების მიერ საძმოს დამოძღვრის პრაქტიკამ შეიძნა მისი სულიერი გზის/მიმართულების სახელწოდება "თარიკ"-ი ან/და "თურუკ"-ი (არაბ. مهـ. ر. ر. طریق/مـ. رـ. طـ. رـ.)<sup>17</sup>. სუფიების ეს "გზა" იყო წესების, რიტუალებისა და ლოცვების ერთობლიობა, რომელსაც შაიხი უზიარებდა თავის მოსწავლეებს, რათა ისინი განეწმინდა ცოდვებისგან და საერო ცხოვრებისთვის დამახასიათებელი ზრუნვებისაგან. ამგვარი სწავლების მთავარი ამოცანა იყო "მორჩილთა" გათავისუფლება მიწიერ სამყაროზე დამოკიდებულებისაგან, რათა შეეცნოთ ღვთიური სიბრძნე რაც დაახლოებდა ღმერთთან. მოგვიანებით დასავლურ ლიტერატურაში ასეთ ინსტიტუტებს უწოდებდნენ "სუფიურ ორდენებს". მეექვსე საუკუნის დასასრულიდან X საუკუნის დასაწყისამდე, ახლო აღმოსავლეთში მმართველი დინასტიები გულუხვად უწევდნენ მხარდაჭერას, როგორც სუფიურ საძმოებს, ისე ცალკეულ შაიხებს<sup>18</sup>.

ალ-კადირია შედის ძირითადი სუფიური საძმოების რიცხვში. მისი დაარსება დაკავშირებულია ცნობილი მოძღვრის აბდ ალ-კადირ ალ ჯილანის სახელთან (1077-1166). კადირია ორგანიზაციად ჩამოყალიბდა XIII საუკუნის ბოლოს. იგი ისლამურ სამყაროში ყველაზე გავრცელებულ საძმოს წარმოადგენს. თავად აბდ ალ-კადირი არ იყო სუფი, მაგრამ მისი, როგორც მფარველისა და სასწაულმოქმედის განსაკუთრებული პოპულარობა გამოყენებული იქნა ხალხის მასებში მისტიკური შემეცნების იდეისა და გამოცდილების ჩასანერგად და გასავრცელებლად.

ალ-კადირიას ისტორიაში მკაფიოდ შეინიშნება სულ ცოტა ორი დამოუკიდებლად განვითარებადი მიმდინარეობა. 1. აბდ ალ-კადირის ადებტები მასში არა მხოლოდ შეუდარებელ წმინდანს ხედავდნენ, არამედ აღმერთებდნენ კიდეც, თვლიდნენ, რომ იგი ღმერთის შემდეგ აბსოლუტური ყოვლის შემოქმედი იყო. ამ მიმდინარეობას მიეკუთვნება მრავალრიცხოვანი ჯგუფები და ალ-კადირიას განშტოებები სუდანში. ჯილალის შეხედულებები უპირისპირდებოდა ისლამის დოქტრინებს და ყოველთვის იქცეოდა ღვთისმეტყველთა გაკიცხვის ობიექტად. 2. მიმართულებას, რომელსაც ხშირად ალ-კადირიას სახელწოდებას მიაკუთვნებენ, განსხვავდება რიტუალების სპეციფიკით. თავისი შემადგენ-

17 ტრიქა – გზა, მიმართულება, მიმდინარეობა Арабско-Русский Словарь, стр. 601.

18 ამის შესახებ დაწვრილებით იხ. Abdülbaki Gölpınarlı 100 Soruda türkiy'de mezhepler ve tarikatler, 1969.

ლობით არაერთგვაროვანია და მოიცავს ცალკეულ განშტოებებს, რომელიც საკმაოდ გამოირჩევა თავისი მსოფლმხედველობით. მაგალითად, აღ-კადირიას ჯგუფების წესების ერთობლიობა დასავლეთ აფრიკაში მთლიანობაში ემთხვეოდა აღ-კადირიას განშტოებების შეხედულებებს. 1134 წელს აბდ აღ-კადირის საფლავზე აშენდა მეჩეთი, ხოლო 1300 წელს კი დაარსდა აღ-კადირიას სავანეები (ზავია, რიბატი) და დაიწყო აღ-კადირიას გავრცელება მთელ ისლამურ სამყაროში XIV საუკუნეში სირია და ერაყი, XV საუკუნეში ლიბანში, პალესტინაში, ეგვიპტეში და ჰიჯაზში, XVI საუკუნეში ტუნისში, ალჟირსა და მაროკოში. XVI საუკუნეში კადირიას წევრებმა შეაღწიეს სუდანში, სენეგალში, გვინეაში, ნიგერისა და მავრიტანიაში. ხოლო აღ-კადირიას თურქული განშტოების დაარსება დაკავშირებულია ისმაილ რუმის სახელთან (გარდ. 1631 ან 1643). XVI საუკუნეში კადირია დაფუძნდა ავლანეთსა და ინდოეთში. XVIII საუკუნეში იემენიდან შეაღწია ინდონეზიაში. ორანში კადირიას არ გააჩნდა ღრმა ფესვები. მთელ რიგ ქვეყნებში მოიპოვა მნიშვნელოვანი პოლიტიკური გავლენა. XIX საუკუნეში სუდანში საძმო იარაღით შეებრძოლა კოლონიზატორებს, ამავე საუკუნეში ალჟირში შაიხი აბდ აღ-კადირი სათავეში ჩაუდგა საფრანგეთის წინააღმდეგ მებრძოლებს. XX საუკუნეში დასავლეთ აფრიკაში იგი წარმოადგენს სერიოზულ რელიგიურ და პოლიტიკურ ძალას. ალჟირში აღ-კადირიას ჯგუფები ფუნქციონირებდნენ XX ს-ის 50-იანებამდე, ხოლო პალესტინაში 70-იანებამდე. საძმოს წევრები ატარებენ პატარა თექის ქუდებს-‘არავია აღ-კადირიას ემბლემით – „მწვანე ვარდი“, ფურცლების სამი რიგით (5-6-7, რომლებიც აღნიშნავენ: ისლამის ხუთ ჩამონათვალს, რწმენის ექვს საფუძველს და შვიდ სიტყვას კადირიას ზიქრის ფორმულირების შესაბამისად); უპირატესობას მწვანე ფერს ანიჭებენ, თუმცა ასევე ატარებენ სხვადასხვა ფერის ტანისამოსს – შავი ან თეთრი ფერისას. პრაქტიკულად აღ-კადირიას ყველა ჯგუფები და განშტოებები თავიანთ ზეიმზე ქალებსა და სხვა სარწმუნოების წარმომადგენლებს დასწრების უფლებას აძლევენ<sup>19</sup>. საგანგებოდ აღსანიშნავია და მრავლის მანიშნებელია, რომ ჩრდილო კავკასიის ამჟამინდელი პრეზიდენტი რამზან კადიროვი სუფიზმის კადირიას თარიკატის მიმდევარია<sup>20</sup>. რაც შეეხება ნაყშბანდიმის თარიკატს, როგორც ზემოთ ავლნიშნეთ იგი ჩრდ. კავკასიაში, გახდა იდეოლოგიური ბაზა მურიდიზმის, რომელსაც იმამ შამილი მეთაურობდა<sup>21</sup>. ნაკშბანდია (ნაყშბანდიმა) - სუფიური საძმო, რომელმაც ეს სახელნოდება XIV საუკუნეში მიიღო, მომდინარეობს ბაჰა ად-დინ ნაყშბანდის სახელისგან (1318-1389), რომელმაც ააღორძინა და შეავსო აჰმად აღ-იასასის სკოლისგან გადმოღებული თეორია და პრატიკა. მეთხუთმეტე საუკუნიდან მოყოლებული ნაყშბანდიმა აღ-კადირიას შემდეგ თანდათანობით გადაიქცა ყველაზე გავრცელებულ სასულიერო საძმოდ, რომელიც ფუნქციონირებდა უდიდეს ტერიტორიაზე კაი-

19 Ислам – энциклопедический словарь, стр. 126.

20 Kadyrov Tests Moscow's Strategy in the North Caucasus <https://jamestown.org/program/kadyrov-tests-moscow-s-strategy-in-the-north-caucasus-2/> 12.03.2020 21:09

21 იმამ შამილი იყო ხალიდის მიმდევარი (ნაყშბანდიმის საძმოს ერთ-ერთი განშტოება). А. Д.Кныш, наз. книга, стр. 339.

როდან და ბოსნიიდან მოყოლებული სუმატრამდე, ასევე ვოლგისპირეთიდან და ჩრდილოეთ კავკასიიდან ინდოეთისა და ჰიჯაზის სამხრეთამდე. ნაყშბანდიმამ წარმოქმნა რეგიონებში დამოუკიდებელი საძმოები, რომლებიც წარმოადგენდნენ ამ რელიგიის მძლავრ განმტოვებებს. შეუა აზიაში ბაჰა ად-დინის გარდაცვალების შემდეგ ხალიფამ და მისმა მემკვიდრემ ალა ად-დინ ატტარმა (გარდ. 1400 წ.) და განსაკუთრებით ჰიჯაზ მუჰამმად ჰარსმა (1345-1420) განსაკუთრებული როლი შეასრულეს ნაყშბანდიმის კონსოლიდაციის საქმეში. გააფართოეს მისი გავლენა და გააძლიერეს ორგანიზაციული სტრუქტურა. საძმო რომლის სოციალურ ბაზას ქალაქი წარმოადგენდა, მჭიდროდ იყო დაკავშირებული სავაჭრო და სანარმოო ორგანიზაციებთან (წაყშბანდიმის წარმომადგენლები გამოჩენენ მავერანნაპრის<sup>22</sup> თითემის ყველა მსხვილ ქალაქში). საძმომ განსაკუთრებული როლი შეასრულა მავერანნაპრის საბოლოო ისლამიზაციაში. შეუა აზიაში მოქმედმა ნაყშბანდიმა შეაღწია ვოლგისპირეთში (ქალაქი ყაზანი) XVIII საუკუნეში და XX საუკუნის 20-იან წლებამდე წარმოადგენდა აქტიურ რეაქციულ ძალას. ინდოეთი ნაყშბანდიმის პირველი თემი დაფუძნდა ქაშმირში შაიხ ბაბა ვალის მიერ XVI საუკუნის შეუასანებში. საძმოს აქტიური მოღვაწეობა უკავშირდება ხოჯა ბაკიბილლაპის (1563-1603) სახელს, რომელმაც დელიში დაარსა ნაყშბანდიმის ხანაკა, განსაკუთრებით შაიხ აჰმად სირპინდის სახელს (1564-1603), უნდა უმადლოდეს ნაყშბანდიმა ინდოეთში ფართო პოპულარობისთვის. აჰმად სირპინდმა დაარსა ნაყშბანდიმის დამოუკიდებელი განმტოება, სახელწოდებით ნაყშბანდია-მუჰადდიდია, რომელიც ორ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში წარმოადგენდა ერთ-ერთ წამყვან საძმოს და ღრმად შეაღწია ინდო-მუსლიმური საზოგადოების სასულიერო, სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ოსმალეთში პირველად შეაღწია ნაყშბანდიმის შეუაზიურმა შტომ მოლა აბდალლაპ სიმავის (გარდაიცვალა 1490 წ.) მიერ სტამბულის მედრესეს მშენებლობის დასრულების შემდეგ, რომელმაც მოღვაწეობა დაიწყო სიმავეში, ხოლო შემდგომ სტამბულში გადავიდა, სადაც დაარსა ნაყშბანდიმის თექქე<sup>23</sup> (თემი). მოლა აბდალლაპ სიმავი მოგვიანებით შეცვალა ბუჰარიდან ჩამოსულმა შაიხ აჰმადმა, რომელმაც გაავრცელა საძმო ანატოლიასა და რუმში, და ასევე დაარსა თავისი თექქე სტამბულში, რომელიც მოქმედებდა საძმოს აკრძალვამდე-1925 წ.<sup>24</sup>

მეცხრამეტე საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისში სუფიზმი თამაშობდა მნიშვნელოვან როლს მუსლიმური სახელმწიფოების პოლიტიკურ ცხოვრებაში. ისლამურ სამყაროში, სუფიზმი, რამდენად რეაქციული, ან შედარებით

22 მავერანნაპრი-(არაპ., موارىء النهر) უძველესი ისტორიულ-გეოგრაფიული რეგიონი, ცენტრალურ (შეუა) აზიაში. <https://www.britannica.com/place/Transoxania> 12.03.2020.

23 თექქე-თურქული ტერმინი, რომელიც ძირითადად აღნიშნავს შენობას, სადაც სუფიური რიტუალები ხორციელდება. <http://www.oxfordislamicstudies.com/article/opr/t125/e2365> 12.03.2020

24 Ислам – энциклопедический словарь, стр. 187.

პროგრესული იყო, გამომდინარეობდა კონკრეტული სიტუაციიდან თუ რა მნიშვნელოვან როლს ასრულებდა იგი ამა თუ იმ რეგიონში. სუფიზმის მყარ პოზიციებს საყოველთაო ძლიერი დარტყმა მიაყენა, ისეთმა მოვლენებმა, როგორიც იყო ახლო აღმოსავლეთში თემთა საერთო სეკულარიზაცია, ცვლილებები საზოგადოებათა სამეურნეო-კულტურულ ცხოვრებაში, ასევე მორალური და სულიერი ფასეულობის ახალი ორიენტაცია. მრავალ არაბულ ქვეყნაში, სუფიზმი რელიგიურ-პოლიტიკური წრების მხრიდან მძაფრ კრიტიკას განიცდიდა. აღნიშნულ წრებს სურდათ ისლამის „განახლება“ ეპოქის მოთხოვნილებათა შესაბამისად, ან დაბრუნება სუფიზმადელ ისლამის საწყისთან, ან ნაციონალურ „აღორძინებასთან“. სუფიზმისა და მისი იდეოლოგიური დოგმების წინააღმდეგ გამოვიდნენ „არაბული“ და „ისლამური“ სოციალიზმის მომხრებიც, პროგრესული ახალგაზრდობა, რომელიც სუფიზმში ხედავდა თავიანთი ქვეყნების პოლიტიკური და ეკონომიკური ჩამორჩენილობის ერთ-ერთ მიზეზს. ისინი სუფიელ შაიხებს ადანაშაულებდნენ პასიურობასა და კოლონიზატორებთან თანამშრომლობაში, კონსერვატიული და კონტრრევოლუციური წრების მხარდაჭერაში, კერძო მერკანტილური მიზნებისათვის საზოგადოებრივი ცნობიერების მანიპულაციაში. მიუხედავად ისლამის შესახებ საზოგადოდ დამკვიდრებული რეაქციული არსისა, მაინც ისინი რიგ შემთხვევებში მზად იყვნენ პრობლემის გადაჭრისათვის, კომპრომისისაც კი მონინააღმდეგე მხარესთან შეთანხმებისათვის. რასაც ადასტურებს სამეცნიერო ლიტერატურაში მოყვანილი მოცემული მაგალითი: თავის დროზე მექადან მედინაში განდევნილმა მუჰამედმა საბოლოო ჯამში მექელების თავისკენ მიმხრობა მოახერხა მექელ აბუ სოფიანის დარწმუნებით. მან ამისათვის გამოიყენა მექელების ეკონომიკური ინტერესები, რადგანაც ხმირ შემთხვევაში რელიგიური დაპირისპირების რეალურ საფუძველს ეკონომიკური ინტერესების შეუთანხმებლობა წარმოადგენდა<sup>25</sup>.

ჩემი აზრით, მსგავსი ტაქტიკა მოგვიანებით კავკასიაში (1860 წლიდან) შეინიშავა ქუნტა ჰაჯი ქიშიევმა. ქუნტა ჰაჯიმ პილიგრიმობიდან დაბრუნების შემდეგ გაავრცელა თავისი ქადაგება, რომელიც განსაკუთრებით შეეხებოდა ჩეჩენებს: „ჩვენი რაოდენობა სისტემატიური ომებით კატასტროფულად მცირდება, მე არ მჯერა, რომ თურქეთიდან ჩვენ მივიღებთ დახმარებას, რომ თურქ „ხონთქარს“ სურს ჩვენი თავისუფლება და გადარჩენა. ეს არ არის მართალი, რადგანაც თავად „ხონთქარი“ არის ისეთივე დესპოტი, როგორც რუსეთის მეფე. დამიჯერეთ, რომ მე ეს ყველაფერი ჩემი თვალით მაქვს ნანახი, ისევე როგორც ნანახი მაქვს შარიათს ამოფარებული დესპოტი არაბები. შემდგომი ომი არ სურს ღმერთს. თუ თქვენ გეტყვიან რომ ნახვიდეთ ეკლესიაში, ნადით, რადგანაც ეს მხოლოდ მდგომარეობის შეცვლაა. თუ გაიძულებენ ატაროთ ჯვრები, დაე, ატარეთ, რადგანაც ეს მხოლოდ რკინის ნაჭრებია ჩვენთ-

25 Ислам – энциклопедический словарь, стр. 109; ОЧЕРК ИСТОРИИ ИСЛАМА. Р. ДОЗИ. Перевод с французского В. И. Каменского. С предисловием и редакционными примечаниями профессора арабской словесности Лазаревского Института Восточных языков в Москве А. Е. Крымского. С приложением И. Голдциера: „Идеалы старо-арабские и идеалы Мухаммеда“ С-Петербургъ. 1904, стр. 60-89.

ვის, ხოლო თქვენ სულით და გულით მაინც მუსლიმები იქნებით. ხოლო თუ თქვენს ქალებს შეეხებიან, გაიძულებენ ენის, კულტურისა და წეს-ჩვეულებების დავიწყებას, შეენინააღმდეგეთ და იბრძოლეთ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე! იარალის მაგივრად ხელში აიღეთ კრიალოსანი და ყურანი<sup>26</sup>, – მოუწოდებდა ქუნტა ჰაჯი ჩეჩენებს შამილის იმამათის რუსეთთან ომის დროს. ბუნებრივია ქუნტას მოწოდებები მიუღებელი იყო იმამ შამილისთვის და თავად ჩეჩენებისათვისაც, რომლებიც გატანჯული იყვნენ ომისგან, მართალია უცნაური და გაუგებარი იყო შაიხის პაციფისტური იდეები, მაგრამ ზიქრის იდეოლოგია ახლოს იყო ჩეჩენების სულიერ მდგომარეობასთან, ემოციური თვალსაზრისით და არ ეწინააღმდეგებოდა მათ ადათებს, რამაც გამოიწვია ქუნტა ჰაჯის ავტორიტეტისა და პოპულარობის მნიშვნელოვანი ზრდა. ამას მოჰყვა იმამ შამილის პირადი უკმაყოფილება. შამილის საბრძოლო ლაზავათისგან განსხვავებით, ქუნტა ჰაჯის ზიქრიზმი, დამღუპველ ომთან შედარებით ჩეჩენებისთვის წარმოადგენდა ჩიხიდან გამოსავალს. იმ დროს, როდესაც ჩეჩენების უმეტესმა ნაწილმა მიიღო ავარიელი შამილის მილიტარისტული და ფუნდამენტალისტური იდეოლოგია, ქუნტა-ჰაჯი ასწავლიდა: „ომი არის ველურობა. გაეცალეთ ყველაფერს, რაც ომს გახსენებთ, მით უმეტეს თუ მტერი არ არის იმ მიზნით მოსული, რომ წაგართვათ რწმენა და ლირსება. თქვენი ძალა-ჭკუა, მოთმინება და სამართლიანობა. მტერი წინ ვერ აღუდგება ამ ძალას და ადრე თუ გვიან აღიარებს თავის მარცხს. არავის ძალუძს მოგერიოთ თქვენ და თქვენს სიმართლეს, თუ არ გადაუხვევთ რწმენის გზას“<sup>27</sup>. კავკასიის არმიის მთავარსარდალი, კავკასიის მეფისნაცვალი, დიდი თავადი მიხეილ რომანოვი სამხედრო მინისტრისადმი 1861 წლის 23 იანვარს გაგზავნილ წერილში აღნიშნავდა: „1861 წელს მექიდან დაბრუნებულმა ქუნტა ჰაჯიმ დაიწყო ქადაგება და ჩეჩენეთში მალევე მოიპოვა ხალხის განსაკუთრებული პატივისცემა და მიმდევრები“<sup>28</sup>. თუმცა ვფიქრობ, მაშინდელი მეფის რუსეთის ხელისუფლების ინტერესებში არ შედიოდა ქუნტა ჰაჯის მოძღვრების პროპაგანდა. მათ უკვე საკმაოდ კარგად ჰქონდათ დალაგებული და მოგვარებული სათავისოდ ჩრდილო კავკასიაში პოლიტიკური ვითარება და არ აწყობდათ, უპირველეს ყოვლისა, ისეთი ძლიერი საპირნონეს შექმნა იმამ შამილისთვის, როგორიც ქუნტა ჰაჯი იყო. რაც ნათლად ჩანს საარქივო მასალების შესწავლით. ამის დასტურია საარქივო დოკუმენტი, კავკასიის სამხედრო მინისტრის მოადგილის წერილობითი მიმართვა ზიქრის სწავლების ჩახშობის შესახებ: „18 იანვარს, მას შემდეგ რაც ქუნტა ჰაჯის მიმდევრებმა განიცადეს მარცხი და მეზობელი ოლქის მაცხოვრებლებისგან დახმარებაზე უარი მიიღეს, ქუნტა ჰაჯი და მისი მიმდევრები იძულებული გახდნენ უარი ეთქვათ ყოველგვარ საწინააღმდეგო ქმედებებზე და გამაგრებულიყვნენ სახლებში. ამ ვითარე-

26 Шейх Кунта-хаджи и его учение, <http://old.russ.ru/politics/20011227-mus.html> 12.03.2020 21:04.

27 იქვე, <http://old.russ.ru/politics/20011227-mus.html> 12.03.2020 21:06.

28 კავკასია არქეოგრაფიული კომისია ფ. 416 օپ-3.

ბით ისარგებლა თერგის რაიონის ჯარების მმართველმა, მან ყველა ნაიბს და ჩეჩენეთის პატივცემულ მოსახლეობას უბრძანა 26 იანვარს საერთო კრებაზე გამოცხადება, სადაც მათ დააკისრეს ყველა ზიქრისტის<sup>29</sup> (როგორც წესრიგის დამრღვევის) შეძყრობა და ჩაბარება. ამასთან ერთად გენერალ-ადიუტანტმა ლორის მელიქოვამა მთელს ჩეჩენეთში აკრძალა ზიქრის შესრულების რიტუალი. სასულიერო პირები და უხუცესები აიძულა დახმარებოდნენ მას, რათა შემდგომში ზიქრისტების მიერ სიმშვიდე აღარ დარღვეულიყო. ნაბრძანები იყო, რომ ეს მოთხოვნები შესრულებულიყო არაუგიანეს პირველი თებერვლისა. ამასთან ერთად უხუცესები გააფრთხილეს – იმ შემთხვევაში თუ დათქმულ დროს არ ჩაბარდებოდნენ გენერალ-ადიუტანტ ლორის მელიქოვის მიერ დასახელებული პირები, ან/და მათი ოჯახები ნათესავებითურთ, ჯარები შეესეოდა აულებს და დამაშავეებს ძალის გამოყენებით დააპატიმრებდნენ. ან მათ ნაცვლად ნათესავებს დაატყვევებდნენ.

გენერალ-ადიუტანტის ამ განკარგულებებმა ჩეჩენეთის მთელ მოსახლეობაზე უდიდესი ზეგავლენა მოახდინა. ნაიბები და უფროსები ამაოდ ცდილობდნენ მიემსროთ თერგის ოლქის ჯარების მთავარსარდალი დამნაშავეების შეწყალების მიზნით. საერთო კრებაზე გადაწყდა, რომ აიკრძალებოდა ჩეჩენეთში ზიქრის შესრულების რიტუალი და ერთ-ერთი აულიდან თავდაცვის მიზნით ხელისუფლებას გადასცეს ერთ-ერთი დამნაშავე და მისი ნათესავი. ყადებმა და მოლებმა შექმნეს განსაკუთრებული წესები, რომელიც განსაზღრავდა ისლამის ჭეშმარიტ წეს-ჩვეულებებს. ეს წესები განსაკუთრებული ბრძანებით დააგზავნეს ნაიბებთან და წაიკითხეს ყველა აულში და მეჩეთში. თერგის ოლქის ჯარების მთავარსარდალმა მოითხოვა, რომ ჩეჩენეთში მცხოვრები წარჩინებული გვარის ოჯახები შემდგომში არ გამხდარიყვნენ ამ სწავლების თანამონაწილეები და პასუხს აგებდნენ ყველა შემდგომ ქმედებაზე.

გროვნოდან თავის აულებში დაბრუნების შემდგომ ნაიბები და უფროსები შეუდგნენ გენერალ-ადიუტანტ ლორის მელიქოვის მიერ ნაბრძანები პირების დაჭრას. მთავარი ვექილების და ქუნტა ჰაჯის მიმდევრების რიცხვიდან, მხოლოდ სამმა მოახერხა დამალვა, მაგრამ მათი ოჯახის წევრები 15 ადამიანამდე დაატყვევეს. ამგვარად, ზიქრის აკრძალვამ ხელისუფლებას შემდეგი შედეგი მოუტანა: სწავლების გამავრცელებელი ქუნტა ჰაჯი, მისი თოთხმეტი მთავარი ვექილი და მიმდევრები შეიძყრეს; ზიქრის პარტიის ორგანიზაცია<sup>30</sup> დაიშალა და ხელისუფლების ჯარებთან შეტაკების დროს პარტიამ უდიდესი

29 ზიქრი - როგორი მნიშვნელობის სიტყვა, რომელიც სხვადასხვანაირად ითარგმნება, როგორც „ხსოვნა“ ან/და „მოგონება“. სიტყვა ზიქრი თავდაპირველად ყურანში აღინიშნა, რათა გამოხატული ყოფილიყო დვთის მიმართ განსაკუთრებული სახის თაყვანისცემა. Encyclopedia of Islam and Muslim world. (p. 179) საქართველოს ცენტრალურ არქივში დაცულ საბუთებში ქუნტა ჰაჯის მიმდევრები ამგვარი სახელწოდებით არიან წარმოდგენილი (მ. გურეშიძე)

30 ასე უწოდებდნენ არქივის დოკუმენტებში ქუნტა ჰაჯის მიმდევრების გაერთიანებას (მ. გურეშიძე).

დანაკლისი განიცადა.

მიღებული ზომების შედეგად ჩეჩენეთის მოსახლეობა სრულ სიმშვიდეში იმყოფება. თუმცა გატარებული ზომების მიუხედავად, შეუძლებელია მათი ბოლომდე ნდობა. არ არის სარწმუნო ჩეჩენეთის მოსახლეობის სრული მონანიება და სავსებით შესაძლებელია, რომ შემდგომში არ შესრულდეს მათ მიერ დადებული პირობები. ისინი მხოლოდ ცდილობენ დროის მოგებას, რომ გაზაფხულის დადგომის შემდეგ მოაწყონ ახალი არეულობები.

შემდგომი პრობლემების ასაცილებლად მე ვბრძანე, რომ ამ წუთასვე გადაიყვანონ ყუბანის ოლქიდან თერგის ოლქში მთელი რაზმი, ასევე მსროლელთა პოლკი. აფხაზეთის და საქართველოს პოლკი, რომლებიც პირველ ჯერზე განლაგდებიან ოჯახებში და კაზაკების სტანიცაში, ხოლო შემდგომ შეგროვდებიან სასწავლო ბანაკებში კნიაზი ვოუდვოუენსკის ხელმძღვანელობით”<sup>31</sup>.

ამდენად მუსლიმურ სამყაროში სუფიებისადმი გამოთქმული საყვედური კოლონიზაციონებთან თანამშრომლობის შესახებ ქუნტა ჰაჯის შემთხვევაში არ არის მართებული. თუმცა ქუნტა ჰაჯი ქიშიევი ქადაგებდა საკუთარი ქვეყნის სასარგებლოდ და საკუთარი ქვეყნის ინტერესების გათვალისწინების მიზნით, რიგ შემთხვევებში.

მიაჩნდათ რა, რომ ომის გახანგრძლივების გზით რუსეთის იმპერია მიაღწევდა ჩეჩენი ხალხის ერთი ნაწილის ფიზიკურ განადგურებას და შეეცდებოდა დარჩენილი ნაწილის მორალურ გატეხვას. ამდენად, ქუნტა ჰაჯის პაციფიკაციურ მოძღვრებას შეეძლო დაცვა და შეენარჩუნებინა ჩეჩენი ხალხის ფიზიკური და მორალური განადგურების პროცესი. რუსეთის ზემოთ ხსენებული განზრახვა ეყრდნობოდა ჩეჩენი ხალხის დაქსაქსულობას, დაპირისპირებულ ძალთა არსებობას და იდეოლოგიურ მერყეობას. ამიტომაც, ჩეჩენეთის გამაერთიანებელი იდეოლოგიის გაბატონება იმპერიის ინტერესებში არ შედიოდა. აქედან გამომდინარე რთული არ არის მივხვდეთ, თუ რატომ გახდა დღევანდელი რუსეთისათვის მნიშვნელოვანი ქუნტა ჰაჯის მოძღვრების წინ წამოწევა და მათი მიმდევრების შხარდაჭერა.

ყურადღებას იქცევს ის გარემოებაც, რომ სუფიურ მოძღვრებას XXI საუკუნის ჩეჩენეთში დღესაც არ დაუკარგავს აქტუალობა და ხელისუფლება და სასულიერო პირები აქტიურად ცდილობენ ქუნთას მოძღვრების წინ წამოწევას, რაც მაღალი ალბათობით რუსეთის ფედერაციის ინტერესებში შედის. ჩეჩენეთში მეოცე საუკუნის 90-იან წლებში წარმოებული ორი ომის შემდეგ რუსეთის ცენტრალური ხელისუფლებისთვის ქუნთა ჰაჯის მოძღვრებები ჩეჩენი ხალხის დამატებითი კონტროლის მეტ საშუალებას იძლევა, ამასთან რუსეთი სუფიზმს აქტიურად იყენებს ვაჟაბიზმთან საბრძოლველად საკუთარი ინტერესების გაფართოებისათვის<sup>32</sup>.

31 Кавказская археографическая комиссия ф. 416 оп-7. 924/краткий обзор состояния кавказской области.

32 <https://carnegie.ru/commentary/61985>; <https://www.eurasiareview.com/21092016-chechenyas-plan-to-use-sufism-to-unite-russias-muslims-seen-sparking-more-conflicts-oped/>; 14.03.2020 21:35.

---

MARIAM GURESHIDZE

**DIFFERENT FIGHTING PATHS OF IMAM SHAMIL AND  
KUNTA-HAJI KISHIEV  
(XIX century, North Caucasus)**

Abstract

The paper surveys Sufism, the chronology and area of its proliferation. The movements of Sufism include: Qadiriya (Arabic: القادرية), Shadhili Tariqa (Arabic: شاذلية), Shahāb al-Dīn Suhrawardī (Persian: شهاب الدین سهروردی), Naqshbandi (Persian: نقشبندی/Naqshbandiyah (Arabic: نقشبندیة), Chishtī Persian: چشتی, Kubrawiya (Arabic: سلسلة كبروية), Qalandariyyah (Arabic: قلندرية), Khalwatiyya (Turkish: Halvetilik), etc. In order to study the influence on the events taking place in the North Caucasus in the 19th century, the movements of Naqshbandiyah and Qadiriya were selected for analysis. Imam Shamil was a follower of the *Khalidiya* (one of the branches of Naqshbandiyah fraternity), while Kunta-haji preached the teachings of the Qadiriya Sufi Order in the North Caucasus. By comparing these two movements, it was possible to find an answer to the question on how they influenced on the outcome of war fought in the North Caucasus against Tsarist Russia. Which movement was more beneficial for Chechen people to overcome the hardship: the uncompromising and reactionary ideology of Imam Shamil's Naqshbandi Order, or the pacifist and conciliatory doctrine of Qadiriya, preached by Kunta-haji.

The paper gives a detailed analysis of the documents preserved and found in the National Archives of Georgia, according to which the Russian Empire, by prolonging the war (refers to the war waged by Imam Shamil against Tsarist Russia in 1834-1859), would have attained the physical destruction of a part of the Chechen people and would have tried to break the morale of the rest. It has been also studied whether the pacifist doctrine of Kunta-haji could have saved the Chechen people from physical and moral destruction.

**Keywords:** Imam Shamil; Kunta-haji Kishiev; Qadiriya; Shadhili Tariqa; Shahāb al-Dīn Suhrawardī; Naqshbandi; Chishtī Persian; Kubrawiya; Qalandariyyah; Khalwatiyya; Russia; Chechen people.

---

**МАРИАМ ГУРЕШИДЗЕ**

**РАЗЛИЧНЫЕ ПУТИ БОРЬБЫ ИМАМА ШАМИЛЯ И  
КУНТА – ХАДЖИ  
(XIX век Северный Кавказ)**

Резюме

В труде рассмотрен Суфизм, ареал его распространения и хронология. В Суфизме существуют течения: Кадирия (по-арабски القادرية), Шазилийский тарикат (по-арабски الطريقة الشاذلية), Яхья ас-Сухраварди (по-персидски شهاب الدين سهروردي), Накшбандия (فقشبندى), Чиштия (چشتى), Силсилат Кубравия (по-арабски سلسليه کبرويه), Каландария (по-арабски قلندرية), Халватия (по-турецки Halvetilik) и другие.

С целью изучения влияния существующих обстоятельств XIX в. на Северном Кавказе выделены Накшбандия и Кадирия. Имам Шамиль был последователем Халидии (одного из ответвлений братства Накшбандия), а Кадирию (учение Суфийского ордена) проповедовал Кунта –Хаджи Кишиев.

На основе изучении этих двух направлении получен ответ на вопрос: какое влияние оказала на Северном Кавказе развязанная война против Царской России? Какое направление способствовало чеченскому народу от избавления сложной ситуации: непримиримая и реакционная идеология ордена Накшбандия Имама Шамиля или проповедническое, пацифистское и примирительное учение Кадирии Кунта-Хаджи.

В труде детально рассмотрены исследовательские документы хранящиеся в архивах Грузинского национального фонда, откуда следует что путём продолжительной войны (подразумевается война ведущая Шамилем против Царской России 1834-1859гг.) Российская империя достигла бы физического уничтожения части чеченского народа и попыталась бы морально сломать её оставшуюся часть. А также обсуждено, могло бы пацифистское учение Кунта-Хаджи избавить чеченский народ от физического и морального уничтожения.

**Ключевые слова:** Имам Шамил; Кунта – Хаджи; Кадирия; Суфизм; Шазилийский тарикат; Яхья ас-Сухраварди; Силсилат Кубравия; Северный Кавказ; Царская Россия; Чеченский народ.

# არქეოლოგიური კვლევის საფეხურები

კონსტანტინე ფილიპიშვილი

## პახეთი

### (არქეოლოგიური კვლევის საფეხურები)

მეოცე საუკუნეში საქართველოს უძველესი წარსულის არქეოლოგიურ კვლევა-ძიებას საძირკელი ჩაუყარა ეროვნული კადრების რამდენიმე თაობამ, რომლებიც მცხეთის მაღალრეიტინგული არქეოლოგიური სკოლის ბაზაზე იყვნენ აღზრდილნი.

საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში მათ მიერ წარმოებულმა მეტად პროდუქტიულმა საქმიანობამ მყარი საფუძველი შეუქმნა ჩვენი წარსულის ყველა ეპოქის უმთავრესი პრობლემების ჩამოყალიბებასა და შესწავლას.

სამწუხაროდ, თავიდანვე ამ თვალსაზრისით თითქმის მთლიანად იყო მიტოვებული საქართველოს უმნიშვნელოვანესი მხარე კახეთი.

მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში კახეთის მხოლოდ შემთხვევითი აღმოჩენები იმსახურებდა ყურადღებას, რასაც არაერთი მცირე გამოხმაურება მიეძღვნა (გ. გოზალიშვილი, მ. ივაშჩენკო, ს. მენთეშავილი). შემთხვევით არქეოლოგიურ აღმოჩენებთან დაკავშირებით ჩატარდა მცირე მასშტაბის არქეოლოგიური სამუშაოებიც (იყალთო, გიორგინიშვილი), მაგრამ მათ შესახებ რამდენადმე სრული სამეცნიერო ანგარიშები არ გამოქვეყნებულა. სოფ. ბაკურციხეში მნიშვნელოვან არქეოლოგიურ აღმოჩენასთან დაკავშირებით მცირე გათხრითი სამუშაოები განხორციელდა, რომლის საფუძველზე 1940 წელს, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა ბატონი ანდრია აფაქიძის მიერ, პირველად კახეთის მასალებზე, დაცულ იქნა საკანდიდატო ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაცია . მაგრამ ამ ერთობ საჭირო ნაშრომის მიხედვით, მასში განხილული კახეთის სიძველეების ერთ-ერთ მონაკვეთზეც კი, რამდენადმე სრული წარმოდგენის შექმნა შეუძლებელი იყო, რადგან ამ პერიოდში მთელი მისი გარემომცველი სამყარო ჯერჯერობით შეუცნობელი რჩებოდა.

კახეთის უძველესი არქეოლოგიური ეპოქების შესასწავლად სამეცნიერო პროგრამა ჩამოყალიბდა მხოლოდ გასული საუკუნის შუა ხანებში. ამის საფუძვლად იქცა ჩვენი ქვეყნის წარსულის თვალსაჩინო მკვლევარის ბატონი ნიკო ბერძენი-შვილის დაინტერესება კახეთის სიძველეებით. მის მიერ ამ პერიოდში ყალიბდებოდა საქართველოს ისტორიის კვლევის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება - საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის დარგი. ამ სამუშაოების დროს, ბატონმა ნიკომ შექმნა ჩვენი ქვეყნის წარსულის სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების ფუძემდებლური ე.წ. „გორაების“

თეორია, როდესაც მან განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო კახეთის, ამ დროისათვის შეუსწავლელ, ბრინჯაოს ეპოქის არქეოლოგიურ ძეგლებს. მხოლოდ ამის შემდეგ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტმა კახეთის სიძველეები თავისი შეუნელებელი ყურადღების ქვეშ მოაქცია. ამ მიმართულებით დაიგეგმა და განხორციელდა კარგად ორგანიზებული არქეოლოგიური ექსპედიციები კახეთის სხვადასხვა პერიოდის ძეგლების შესასწავლად. ამ სამუშაოებში თავიდანვე ახალგაზრდა თაობა იყო ჩართული, რომელიც ამ დროს ბატონი ნიკოს ლექციებს ისმენდა საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის თემატიკაზე.

როგორც ჩანს, სწორედ ამ მაღალ მეცნიერულ დონეზე ჩატარებული ლექციების მოსმენის შედეგია, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე, საქართველოს ისტორიის სპეციალობით მოსწავლე ახალგაზრდობის გარკვეულმა ნაწილმა თავისი მომავალი საქმიანობა საქართველოს ისტორიულ გეოგრაფიას დაუკავშირა.

ვფიქრობ, მეც ამ ლექციების მოსმენამ მიბიძგა დამოუკიდებლად დამენყო კახეთში დაზვერვითი არქეოლოგიური სამუშაოები პრინჯაოს ხანის გორა-ნამოსახლარების საძიებლად, რასაც გარკვეული წარმატება მოჰყვა.

მაგრამ კახეთში გეგმიურ არქეოლოგიურ სამუშაოებს დასაბამი მიეცა მხოლოდ ისტორიის ინსტიტუტის ასპირანტურაში ჩემი ჩარიცხვის შემდეგ, როდესაც საკვალიფიკაციო ნაშრომად კახეთის ქრ. წ. II ათასწლეულის მეორე და I ათასწლეულის მეორე ნახევრის სიძველეები შეირჩა. საქმის ხელშეწყობის მიზნით, ჩემმა ხელმძღვანელმა, ქართული არქეოლოგიის ერთ-ერთმა ფუძე-მდებელმა, იმ დროს მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელმა და არაჩვეულებრივი ხიბლის ქართველმა ინტელიგენტმა პროფ. ალექსანდრე კალანდაძემ კახეთში არქეოლოგიური სამუშაოებისათვის ოფიციალური ხასიათის მისანიჭებლად დააარსა მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის კახეთის რაზმი. შემდეგ იგი ფორმდება როგორც კახეთის მუდმივ-მოქმედი არქეოლოგიური ექსპედიცია და მის ხელმძღვანელად მე ვინიშნები.

მე-20 საუკუნის მეორე ნახევარი საქართველოში, ქვეყნისათვის უაღრეს-ად მნიშვნელოვანი ახალმშენებლობების ეპოქაა, როდესაც განსაკუთრებით დიდი თანხებით ფინანსდება მშენებლობის ტერიტორიაზე არსებული არქეოლოგიური ძეგლების საძიებო და კვლევითი სამუშაოები. ამ ხანებში მასშტაბური სამელიორაციო სამუშაოები იგეგმება და ხორციელდება კახეთის მთელ ტერიტორიაზეც.

ბუნებრივია, ამ სამუშაოების ნორმალური წარმართვისთვის სასწრაფოდ იყო ჩამოსაყალიბებელი მეცნიერული კვლევის პროგრამა და მის სისრულეში მოსაყვანად საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა.

კახეთში ამ შრომატევად სამუშაოებს ათწლეულების განმავლობაში მოხმარდა ჩემი ენერგიისა და სიცოცხლის დროის უმეტესი ნაწილი.

თავიდან, ცხადია, განსაკუთრებულ სიძხელეებთან იყო დაკავშირებული კვლევის სამეცნიერო პროგრამის შედგენა მთელი მხარისათვის. კახეთი, როგორც შევნიშნე, არქეოლოგიურად პრაქტიკულად სრულიად შეუსწავლელი

იყო და პრობლემის მოსაგვარებლად მხოლოდ ერთიმეორისგან ყოველმხრივ მოწყვეტილ მცირე მასალებს ვფლობდით.

არქეოლოგიური კულტურები, ნებისმიერ მხარეში და ეპოქაში, ძირითადად, ადგილობრივი გეოგრაფიული გარემოს და წიაღისეული სიმდიდრის მონაცემთა ბაზის გონივრული გამოყენების საფუძველზე ყალიბდება. ამის გათვალისწინებით, რადგან ჩვენი სამუშაოების დასაწყისში კახეთის ტერიტორიაზე არც ერთი ეპოქისთვის არ გვქონდა მატერიალური კულტურების გამოსაყოფად საქმარისი მასალა, გადავწყვიტეთ, მისი წარსულის შესწავლის დაწყება დაგვეგხეგმა მხარის გეოგრაფიული თავისებურებების და წიაღისეული სიმდიდრის მონაცემთა ბაზის მიხედვით. ჩვენთვის თავიდანვე ცხადი იყო, რომ ეს ჩვენი არჩევანი შესაძლოა დაზღვეული არ ყოფილიყო გარკვეული ცდომილებებისგან, რადგან, მაგალითად, არ ვითვალისწინებდით ბუნებრივ და კლიმატურ ცვლილებებს, რომელიც შესაძლოა თან სდევდა ათეული საუკუნეების განმავლობაში ადამიანის ხშირად არასწორ საქმიანობას, რაც საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე არ შეიძლება არ ასახულიყო. მაგრამ ეს ჩვენი არჩევანი კვლევის საწყის ეტაპზე მაინც უალტერნატივოდ გვესახებოდა. ბუნებრივია, როდესაც კვლევის ამ სქემას ვგაგმავდით, ვითვალისწინებდით კახეთის ტერიტორიაზე განხორციელებული ახალმშენებლობების ფარგლებსაც, რადგან ჩვენი საქმიანობა იმ პერიოდში მხოლოდ მათი დაფინანსებით ხორციელდებოდა. შემდგომმა სამუშაოებმა დაგვანახა, რომ კვლევის ჩვენ მიერ შერჩეული ეს მიმართულება რეალობასთან ყველაზე ახლოს იყო. პარალელურად დავიწყეთ ზრუნვა იორ-ალაზნის ამ მხარებში არქეოლოგიური კვლევა-ძიებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაქმნელად.

ეს ჩვენი დანაყოფები შემდეგია:

- 1) დავით გარეჯის მრავალმა მტკვრის მარცხენა სანაპირომდე, ივრის ვაკისა და მისი მთაგორების ჩათვლით;
- 2) მთლიანად გომბორის ქედის მთიანეთი;
- 3) ალაზნის ველის გაღმამხარე დიდი კავკასიონის სამხრეთი ფერდებით და იორ-ალაზნის სათავეები;
- 4) ალაზნის ველის მარჯვენა სანაპირო და ივრის ზეგნის აღმოსავლეთი ნაწილი.

მას შემდეგ რაც ეროვნული მოძრაობის მესვეურების, მთელი ქართული საზოგადოების და საგარეჯოს რაიონული ხელმძღვანელის, ჩვენი ქვეყნის სასიქადულო შვილის, დიდი პატრიოტისა და სამაგალითო სახელმწიფო მოღვაწის ქალბატონ მედეა მეზვრიშვილის პირადი ძალისხმევით, დავით გარეჯის მრავალმთის ტერიტორიიდან გაყვანილ იქნა რუსეთის საჯარისო ნაწილები და მათი საარტილერიო პოლიგონი, მხოლოდ ამ დროიდან დაიწყო აქ დიდი სააღმშენებლი სამუშაოები, რომლებსაც კვლავ ქალბატონი მედეა მეზვრიშვილი ჩაუდგა სათავეში. გაყვანილ იქნა კეთილმოწყობილი საგზაო მაგისტრალები, დაარსდა ახალი ქართული სოფელი უდაბნო საცხოვრებლად მოსახერხებელი შენობებით. ათეული კილომეტრიდან სოფელი მომარაგდა სასმელი წყლით

და ელექტროენერგიით. ახალმოსახლეთა სამეურნეო ცხოვრების ხელშესაწყობად მთელი მხარე დაიფარა სარწყავი სისტემით. ყოველივე ამასთან ერთად, ქალბატონმა მედეამ მიგვიწვია ამ ახლად ათვისებულ ქართულ მხარეში მისი წარსულის შესასწავლად, რომელიც გარდა აქ არსებული ქართული სამონასტრო კომპლექსებისა, სრულიად გამოუკვლეველი იყო.

კახეთის არქეოლოგიური ექსპედიცია თითქმის ოცდაათი წელი მუშაობდა წარმატებით დავით გარეჯის მრავალმთის ტერიტორიაზე. პირველად საქართველოში მთელ მხარეში განხორციელდა დაზვერვითი არქეოლოგიური სამუშაოები აეროფოტოგადაღებების დეშიფრაციის გზით. ამ დროს აეროფოტოგადაღებები მკაცრად იყო გასაიდუმლოებული, მით უმეტეს სამხედრო ობიექტის ტერიტორიაზე და ფაქტიურად ხელმიუნვდომელი იყო. მხოლოდ ქალბატონი მედეა მეზვრიშვილის ავტორიტეტი დაგვეხმარა გადაგველასა ეს ბარიერი. ერთდროულად საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ინიციატივით და კვლავ რაიონული ხელმძღვანელობის ხელშეწყობით, დაიწყო ფართომასშტაბიანი სამუშაოები დავით გარეჯის მთიანეთში არქეოლოგიური სამუშაოებისთვის მყარი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაქმნელად. თავდაპირველად გათხრების მთავარ ობიექტთან, „ნაომარი გორის“ ნაქალაქართან აიგო არქეოლოგიური ბაზა მთელი ინფრასტრუქტურით - საცხოვრებელი ოთახებით, სამუშაო დარბაზებით, არქეოლოგიური მასალის დროებითი საცავებით, კვების ბლოკით და სხვ. ბაზა უზრუნველყოფილ იქნა სატრანსპორტო საშუალებებითაც. ელექტრო და წყალმომარაგება კი ათეული კილომეტრიდან იქნა მიყვანილი. ბაზის შენებლობის პარალელურად ახალდასახლებულ სოფელში საგანგებოდ აიგო ორსართულიანი შენობა - არქეოლოგიური საცავით, მასალის დასამუშავებელი ლაბორატორიებით და, რაც მთავარია, დავით გარეჯის მრავალმთაში მოპოვებული მდიდარი არქეოლოგიური მასალის ექსპოზიციისათვის, რომელიც საერთაშორისო სტანდარტების დონეზე იქნა ყოველმხრივ უზრუნველყოფილი.

დავით გარეჯის მრავალმთაში დაზვერვითმა სამუშაოებმა წარსულის მეტად საინტერესო სურათი გამოამჟღავნა, რასაც მეტი დამაჯერებლობა შესძინა აქ ჩატარებულმა სტაციონარულმა გათხრებმა, რომელიც წარმოებდა საქართველო-გერმანიის ერთობლივი ტროა-უდაბნოს პროექტით.

შედეგად დავით გარეჯის მრავალმთაში ალმოჩნდა ადრებრინჯაოს ხანის არაერთი ქვაყრილიანი კოლექტიური გორასამარხი, რომელიც მიწის სამუშაოების დროს იყო დაზიანებული. ამან იმაზე მიგვითითა, რომ აქ მომავალში, ამ დროის დასახლებებია საძიებელი.

სკვითურინვენტარიანი დაზიანებული გორასამარხების მთელი რიგის აღმოჩენებმა კი იმაზე მიგვანიშნა, რომ დავით გარეჯის მრავალმთა ამ დროის მომხდურთა შემოსევის ერთ-ერთი ძირითადი ასპარეზი იყო.

მხარის შემდგომი შესწავლის აუცილებლობაზე მიგვითითა შუაბრინჯაოს ხანის გორასამარხების დიდი სამაროვნის ალმოჩნდამ „თეთრი ქვების“ ველზე, სადაც ყველა სამარხში ხის ურემი აღმოჩნდა, რომელზედაც ესვენა მიცვალებული, როგორც წესი, ბრინჯაოს გრძელი რაპირით. სრულიად რე-

ალურია, რომ დაზვერვითმა სამუშაოებმა აქ მათი თანადროული დასახლების არსებობა დაგვიდასტუროს.

მაგრამ ამ მხარეში ჯერ დაზვერვითი და შემდგომ სტაციონარული გათხრითი სამუშაოების განსაკუთრებით მნიშვნელოვანი შედეგია დიდი ქალაქური დასახლებების აღმოჩენა მძლავრი საფორტიფიკაციო ნაგებობებით, რომლებიც ქრ. წ. II ათასწლეულის მეორე და I ათასწლეულის საწყისი პერიოდებით თარიღდება. ამან მთლიანად შეცვალა ჩვენში დამკვიდრებული შეხედულება აღმოსავლეთ საქართველოში სახელმწიფო ბრივი სტრუქტურის წარმოშობის შესახებ და იგი ათასი წლით საუკუნეების სიღრმეში გადასწია.

თავდაპირველად დაზვერვებისა და გათხრითი სამუშაოების შედეგად დამკვიდრდა ის შეხედულება, რომ დავით გარეჯის მრავალმთაში, ჯერ კიდევ დაუდგენელი მიზეზბით, ცხოვრება მოულოდნელად წყდება ქრ. წ. I ათასწლეულის დასაწყისში. ამ ვარაუდის არამართებულობა ცხადი გახდა ბოლო ხანს ქრ. წ. II ათასწლეულის დასასრულის და I ათასწლეულის განსაკუთრებით მძლავრი ნაქალაქარი „ნაომარი გორის“ სამხრეთ ძირობაზე, დიდი დასახლების აღმოჩენამ ქვის არქიტექტურით და ციტადელით, რომელიც ქრ. წ. I ათასწლეულის მეორე ნახევრით უნდა დათარიღდეს. ამან, ცხადია, ამ მხარეში დამატებითი არქეოლოგიური სამუშაოების აუცილებლობაზე მიგვითითა.

როგორც ჩანს, ქრ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარში და ქრ. წ. I ათასწლეულის დასაწყისში დავით გარეჯის მრავალმთის განუყოფელი ნაწილი უნდა იყოს ივრის ვაკე. ამაზე პირველ რიგში მიგვითითებს სატელიტური გადაღებებით აღმოჩენილი, ბრნყინვალედ დაგეგმარებული ნაქალაქარები, მძლავრი საფორტიფიკაციო ნაგებობებით, დასახლებებს გარეთ გამოტანილი სამლოცველო ცენტრები და, რაც მთავრია, სამეთურეო და ბრინჯაოს მასალის ერთგვაროვნება, რაც მთელი სამხრეთ კავკასიის ცენტრალური ნაწილისათვის ახალი ქრონოლოგიური სქემის შედგენის ერთ-ერთ საფუძვლადაც იქცა.

ამგვარად, დავით გარეჯის მრავალმთა კვლავ მრავალმხრივი არქეოლოგიური კვლევის ობიექტად რჩება, მაგრამ უკვე განსაზღვრული მიმართულებების მიხედვით.

კახეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ მეორე გამოსაკვლევ მხარედ გომბორის ქედი შეარჩია, რადგან იგი ამ თვალსაზრისით სრულიად შეუსწავლელი იყო. ეს სამუშაოები დაიწყო ქედის ცენტრალური ნაწილიდან, რადგან, ჩვენი დაზვერვების მიხედვით, მის მხოლოდ ამ მონაკვეთიდან იყო ცნობილი არქეოლოგიური ძეგლები.

აქ ჩატარებული სამუშაოებიდან ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი იყო სოფ. არაშენდის ჩრდილოეთით, ზიარის ნასოფლარის ტერიტორიაზე ქვედა და შუა ქვის ხანის სახელოსნოსა და სადგომის აღმოჩენა, რომელიც მსოფლიოში პრეისტორიულ ძეგლთაგან ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ობიექტად ითვლება.

დაზვერვითი და შემდგომ ინტენსიური გათხრითი სამუშაოების შედეგად სოფ. გადრეკილის და ჭერემის მიდამოებში სხვა განსაკუთრებით მნიშ-

ვნელოვანმა ძეგლებშიაც მიიქცია ყურადღება. ესენია ენეოლითური დასახლება ქვის არქიტექტურით, ადრებრინჯაოს ხანის დიდი სამოსახლო მძლავრი კულტურული ფენით და გვიანბრინჯაოს არაერთი ნამოსახლარი და სამაროვანი, რომლებიც კახეთის სხვა ძეგლებთან ერთად, ახალი ქრონოლოგიური სქემის ჩამოყალიბების საფუძვლად იქცა, მაგრამ, ვფიქრობ, მანც განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ამ მხარეში ანტიკური და შუა საუკუნეების პრენინვალე ძეგლების დადასტურება და შესწავლა. მათ შორის ალსანიშნავია ჭერემის ნაქალაქარი, სადაც გაითხარა ვახტანგ გორგასალის ეპოქაში აგებული სასახლეები, რაც ჩვენი ქვეყნის წარსულის კვლევისთვის განსაკუთრებით ღირებულია. ყოველივე ამის საფუძველზე, ვფიქრობთ, აუცილებელია გომბორის ქედის მთლიანი შესწავლა, რადგან, როგორც ჩანს, მისი მაღალმთიანი მონაკვეთი ყველა ეპოქაში მჭიდროდ უნდა ყოფილიყო დასახლებული.

ამ აღმოჩენებს გათვალისწინებოთ და მომავალი სამუშაოებისთვის შესაფერისი მატერიალურ-ტექნიკური საფუძვლის შესაქმნელად სოფ. ჭერემში დაარსდა ყოველმხირვ უზრუნველყოფილი არქეოლოგიური ბაზა საცხოვრებლით, მონაპოვარი მასალის საცავებით და სანიმუშო საექსპოზიციო დარბაზებით.

კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ შემდეგ შესასწავლ რეგიონ-ად შეირჩა დიდი კავკასიონის სამხრეთი ფერდები მთისძირებით, ივრისა და ალაზნის სათავეები ერწო-თიანეთის ქვაბულით და მთათუშეთი. ცხადია, ამ არჩევანს თავისი საფუძველი ჰქონდა. მთავარი მანც ის იყო, რომ ეს მხარეც ამ მხრივ სრულიად შეუსწავლელი იყო და აუცილებელი იყო მის წარსულზე გარკვეული წარმოდგენა მანც შეგვექმნა. ამას გარდა, კავკასიოლოგიურ მეცნიერებაში აქტიურად იხილებოდა და იხილება ჩრდილო და სამხრეთ კავკასიის კულტურებს შორის ურთიერთობის პრობლემა. კახეთში დიდი კავკასიონის ქედზე რამდენიმე გადასასვლელია, რომლებიც ამ თვალსაზრისით შეიძლება ყოფილიყო გამოყენებული და ამასთან დაკავშირებით გარკვეული წარმოდგენის შექმნაც კი მნიშვნელოვანი იქნებოდა შემდგომი სამუშაოების დასაგეგმად.

კახეთის ამ მონაკვეთშიც ამ მიმართულებით ჩატარებულმა ჩვენმა სამუშაოებმა მეტად საინტერესო შედეგები მოგვცა.

არქეოლოგიური მასალების ნაწილი კავკასიის ქედს გადაღმა და კახეთის ტერიტორიაზე კავკასიონის ქედის მთისძირეთში სრულიად იდენტურია როგორც ენეოლითურ და ადრებრინჯაოს ხანის ეპოქებში, ისე შუა და გვიანბრინჯაოს ხანაში და აქ არსებული გადასასვლელების ფუნქციონირებას მთელი ამ ათასწლეულების განმავლობაში სრულიად რეალურს ხდის, განსაკუთრებით დღევანდელი დაღესტნის მიმდებარე ტერიტორიაზე.

ამასვე უნდა გვიდასტურებდეს მთათუშეთში ანტიკური მასალების აღმოჩენა, რომლებსაც აშკარად სამხრეთკავკასიური იერი აქვთ.

ამ მხარის შერჩევას არქეოლოგიური შესწავლის მიზნით ისიც დაედო საფუძვლად, რომ კავკასიის მთავარი ქედის სამხრეთი ფერდები, კახეთის მონაკვეთში, განსაკუთრებით მდიდარია ბრინჯაოს მეტალურგიისათვის აუცილებელი ნედლეულით და გასარკვევი იყო მათი უძველეს დროში და-

მუშავების შესაძლებლობა. აქ ამ მიმართულებითაც კვლევამ მეტად საინ-ტერესო შედეგები მოგვცა. აღმოჩნდა გვიანბრინჯაოს ხანის ერთი ძველი სპილენძის მადნის გამონამუშევარი და შილდასთან ჩვენი გათხრების შედე-გად შესწავლილი დიდი სამლოცველო განსაკუთრებით მდიდარი შესაწირავი მასალით, რომელიც სრულიად უეჭველად მეტალურგთა სალოცავია. ეს კი აშკარად მიგვანიშნებს, რომ ამ მხარეში სპილენძის მადნის ძველი გამონამუ-შევრების საძიებლად ფართომასშტაბიანი სამუშაოებია ჩასატარებელი.

პანკისის ხეობაში და ერნო-თიანეთში ჩატარებულმა სამუშაოებმა კი სა-შუალება მოგვცა, რომ ამ მხარეში ქრ. წ. I ათასწლეულის დასაწყისის არქე-ოლოგიური კულტურა გამოგვეყო, დაგვედგინა მისი საზღვრები, რომელიც ჩვენი ისტორიკოსის ლეონტი მროველის მიერ გამოყოფილი ქართული ტომის - კახების განსახლების საზღვრებს დაემთხვა. ეს ერთი მხრივ არქეოლოგი-ური კულტურის ეთნიზაციის საფუძვლად იქცა, მეორე მხრივ კი დაგვითარი-ლა ლეონტი მროველის ცნობა.

ექსპედიციამ განსაკუთრებით ფართომასშტაბიანი დაზვერვითი სამუშ-აოები ჩაატარა პანკისის ყველა ხეობაში, შედეგი უაღრესად შთამბეჭდავი გამოდგა. აქ თითქმის მიჯრით აღმოჩნდა შუა საუკუნეების დიდი დასახლე-ბების ნაშთები და არაერთი დღემდე უცნობი ბრნყინვალე ქრისტიანული ტაძარი, რომელთა შესწავლა ჩვენი ხელოვნებათმცოდნების პირველი რიგის სამუშაო უნდა იყოს. ეს აღმოჩენა, ვფიქრობ, იმის საწინდარია, რომ კახეთის ტერიტორიის გასწვრივ დიდი კავკასიონის ქედის, დღეს ტყით დაფარულ ფერდებზე და ხეობებში მსგავსი სურათი შეიძლება დაგვხვდეს. ეს კი დაუყ-ოვნებლივ ფართომასშტაბიანი დაზვერვების აუცილებლობაზე მიგვითითებს.

ექსპედიციის ამ მიღწევებმა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელმძღვანელობის ყურადღება დაიმსახურა და ჩვენი სამუშაოების გასააქტი-ურებლად ქ. თელავში დაარსა აკადემიის საგანგებო უწყება, კახეთის სამეც-ნიერო ცენტრი, მისი ფუნქციონირებისთვის ქალაქის ცენტრში ყოველმხრივ აღჭურვილი დიდი შენობით. მაგრამ, ეს ძალისხმევა ფაქტიურად უშედეგო აღმოჩნდა, რადგან იმ დროს კახეთში საქართველოს მთავრობის რწმუნებ-ულმა მოითხოვა ეს ცენტრი მხოლოდ მის ნება-სურვილს დამორჩილებოდა. ამგვარად, ეს კარგი წამოწყება ველარ განხორციელდა. როგორც ქვემოთ და-ვინახავთ, ეს მისია იტვირთა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არ-ქეოლოგიურმა ბაზამ ქ. სიღნაღმი, წარმატებითაც გაართვა ამას თავი და კავკასიოლოგიური მეცნიერების კვლევაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა.

მე თავიდანვე შევნიშნე, რომ კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის საველე სამუშაოების დაგეგმვა და განხორციელება, მრავალწილ, ამ მხარეში წარმოებულ ახალმშენებლობებს უკავშირდება. სხვადასხვა, შედარებით ნა-კლები მოცულობის სამუშაოებთან ერთად, კახეთის ტერიტორიაზე ეს არის ზემო და ქვემო აღაზნის სარწყავი სისტემების გრანდიოზული სამშენებლო სამუშოები, რომელმაც მოიცვა აღაზნის მთელი ველი მიმდებარე მთაგორე-ბით და ივრის ზეგნის უმეტესი აღმოსავლეთი ნაწილი - შირაქის, ზილიჩის და ტარიბანის მაღლივი ველები და მათი მთელი მთაგორიანი ნაწილი.

ბუნებრივია, საქართველოსთვის ამ კოლოსალურ ტერიტორიაზე სიძველების ძიების და კვლევისათვის, პირველ რიგში, აუცილებელი იყო სათანადო მატერიალურ-ტექნიკური პაზის შექმნა. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას ამ მიზნით ქ. სიღნაღის რაიონის მაშინდელი ხელმძღვანელის, პატონი დიმიტრი გელაშვილის შემოთავაზებით ქ. სიღნაღში გამოეყო მეტად მოსახერხებელი დიდი ტერიტორია, სადაც თითქმის ორმოცი წლის განმავლობაში, არქეოლოგიურ პაზასთან დაკავშირებული სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობდა. არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ სიღნაღის არქეოლოგიური პაზის მშენებლობაში აქტიურად მონაწილეობდა ქვეყნის უმაღლესი ხელისუფლება, რომელშიც გამორჩეული ადგილი ეკავა ბატონ ჯუმბერ პატიაშვილს. მის თანადგომას გრძნობდა კახეთის არქეოლოგიური ექსპედიცია ფართო საველე სამუშაოების დროსაც, რის გარეშეც ძალიან გაგვიჭირდებოდა სათანადო დონეზე განგვეხორციელებინა სამეცნიერო საქმიანობა ყველა ეტაპზე. ამას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან, როგორც ქვემოთ დავინახავთ, სიღნაღის არქეოლოგიურ პაზაზე წარმოებულმა სამეცნიერო საქმიანობამ წარმატებით გაართვა თავი კახეთის უძველესი წარსულის კვლევას მთელი ამ მხარის მასშტაბით.

სიღნაღის პაზისთვის გამოყოფილ ტერიტორიაზე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ ააგო სამი ახალი შენობა და რესტავრაცია ჩაუტარა არსებულს. აქ განთავსდა და უმაღლეს დონეზე იქნა აღჭურვილი დარბაზები სამეცნიერო შეკრებებისათვის, ბიბლიოთეკა მდიდარი სამეცნიერო ლიტერატურით და საფიქსაციო ლაბორატორიები, საცხოვრებელი კორპუსები. ბაზა მაქსიმალურად იყო უზრუნველ-ყოფილი მუდმივი წყალმომარაგებით, გაზმომარაგებით და გათბობის სისტემით, რაც მთელი წლის განმავლობაში იძლეოდა აქ ცხოვრების და მუშაობის საშუალებას.

სიღნაღის პაზაზე, გარდა არქეოლოგთა დიდი ჯგუფებისა, თვეობით ცხოვრობდა და მუშაობდა კახეთის სიძველეების შემსწავლელი სხვა სპეციალობის მეცნიერი თუ მეცნიერთა ჯგუფი - ისტორიკოსები, გეოგრაფოსები, ეთნოგრაფები, პალეონტოლოგები, ხელოვნებათმცოდნები, მეტალურგები და სხვ. სიღნაღის პაზა იქცა ქართველი ინტელიგენციის - მუსიკოსების, მწერლების, სხვადასხვა ტექნიკური დარგების მეცნიერთა მუდმივი შეხვედრის ადგილად.

ტრადიციად იქცა სიღნაღის პაზაზე სხვადასხვა საერთაშორისო თუ საკავშირო თათბირების ჩატარება, რომლებიც კავკასიის ბრინჯაოს ეპოქის სიძველეების შესწავლას ეძღვნებოდა. სიღნაღის პაზამ უმასპინძლა საქართველო-ამერიკის მეცნიერთა ორ შეხვედრას მახლობელი აღმოსავლეთის პრობლემების კვლევასთან დაკავშირებით. ყველა ამ შეხვედრის დაწვრილებითი შედეგები გამოქვეყნდა როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ. ყოველივე ამის წყალობით კავკასიის სიძველეებით დავაინტერესეთ მსოფლიოს არაერთი სამეცნიერო ცენტრი. შედეგად კახეთში არქეოლოგიური კვლევა-ძიება დაიწყო ოთხმა საერთაშორისო ექსპედიციამ მსოფლიოში ცნობილი მეცნიერების და სტუდენტი ახალგაზრდობის მონაწილეო-

ბით. კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ახალგაზრდა თანამშრომლებიც სისტემატურად მონაწილეობდნენ საქვეყნოდ ცნობილი ტროას არქეოლოგიურ გათხრებში.

ამ სამუშაოების შედეგად კავკასიის სიძველეების მიმართ ისეთი დიდი ინტერესი გაჩნდა, რომ სამწლიანი პროგრამით დაფინანსდა ლექციების კურსი კავკასიის არქეოლოგიაზე ტიუბინგენის უნივერსიტეტში. შედეგად ხუთმა გერმანელმა სტუდენტმა სადოქტორო ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაცია დაიცვა კავკასიის უძველეს წარსულზე. ხუთივე ნაშრომი გამოქვეყნდა.

ამგვარად, სიღნაღმი დაარსებულმა სამეცნიერო-კულევითი სამუშაოების ძლიერმა მატერიალურ-ტექნიკურმა პაზამ შექმნა შესაძლებლობა ზემო და ქვემო ალაზნის სარწყავი სისტემების მთელ ტერიტორიაზე კარგად დაგეგმილი მასშტაბური სამუშაოები განვეხორციელებინა. ამის პირველ მიღწევად უნდა ჩაითვალოს ალაზნის ქვემო დინებაში განსაკუთრებით დიდი ზომის ათეულობით დასახლების აღმოჩენა მრავალი კულტურული ფენით ადრებრინჯაოს ხანიდან ქრ. წ. I ათასწლეულის შუა ხანებამდე, რამაც მატერიალური კულტურის უწყვეტ განვითარებაზე მიგვითითა მთელი ამ ხნის განმავლობაში. აქ მრავალწლიანი გეგმიური სამუშაოები წარმოებდა ორ დასახლებაზე ტიუბინგენის უნივერსიტეტის აქტიური მონაწილეობით. ამ კულევა-ძიების შედეგებიც, კახეთის სხვა აღმოჩენებთან ერთად, სამხრეთ კავკასიის ცენტრალური ნაწილის ქრ. წ. II ათასწლეულის კულტურათა ახალი ქრონოლოგიური სქემის შედგენის საფუძვლად იქცა.

ალაზნის ქვემო დინების მრავალფენიანი ნამოსახლარების კომპაქტურმა განლაგებამ ისიც შეუდავებლად დაგვიდასტურა, რომ აქ კულტურის ჩამოყალიბების და განვითარების ძირითადი საფუძველი მორწყვითი მიწათმოქმედების უნდა ყოფილიყო ქრ. წ. IV ათასწლეულიდან ქრ. წ. I ათასწლეულის შუახანებამდე, როდესაც იგი ისპონა მორწყვითი მიწათმოქმედების არასწორი რეჟიმის გამო და მოსახლეობა საცხოვრებლად მთისძირებისკენ გადადის. ამ ნამოსახლარების სულ ქვედა ფენების გათხრით შესწავლა გაძნელდა მიწისქვეშა წყლების ზედაპირთან სიახლოვის გამო. მაგრამ ექსპედიციამ დაადგინა, რომ ორი მათგანი - ძველი ანაგის გორა და ენამთის გორა ალაზნის ველის შედარებით მაღალ ნიშნულზეა განლაგებული და მომავალი მუშაობისთვის ამ მხრივ უკეთეს პირობებს შექმნის.

ალაზნის ქვემო დინების ამ ნამოსახლარების კულტურული ფენების არქეოლოგიურმა მასალებმა და ამ მხარეში მრავლად შესწავლილმა ადრებრინჯაოს ხანის გორასამარხებმა შესაძლებლობა მოგვცა ახლებურად გაგვეანალიზებინა მტკვარ-არაქსული კულტურის ფინალური ეტაპი და იგი კავკასიაში ახლად აღმოჩენილ ალაზან-ბედენურ კულტურასთან შერწყმის შედეგად მიგვეჩინია სახეცვლილად.

ალაზნის ქვემო დინებაში და იერის ზეგნის აღმოსავლეთ მონაკვეთში აღმოჩენილმა შუაბრინჯაოს ხანის მასალებმა კი სამუაღება მოგვცა მკვეთრად დაგვედგინა ბრწყინვალე თრიალეთური კულტურის გავრცელების აღმოსავლეთი საზღვარი.

სრულიად განსაკუთრებულია საქართველოს ისტორიის გასააზრებლად ქვემო ალაზნის სარწყავი სისტემის მშენებლობის ტერიტორიაზე, ქართულ-გერმანული არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ ქრ. წ. I ათასწლეულის შუასანების აქემენიდური სანის არაერთი ტაძრისა და მათი თანადროული დასახლებების აღმოჩენა და შესწავლა, რამაც მიგვითითა, რომ კახეთში ამ პერიოდის ძეგლების კვლევა საგანგებო პროგრამით უნდა წარიმართოს.

ვფიქრობ, ასევე განსაკუთრებულია ალაზნის ქვემო დინებში და ივრის ზეგნის აღმოსავლეთ ნაწილში ქრ. წ. I და ქრ. შ. I საუკუნეების ძეგლების გამოვლენა და კვლევა, რის საფუძველზეც დადგინდა ამ ხანებში საქართველოს კონკრეტული ისტორიული საზღვრები. ეს მით უფრო არსებითა, რომ ამ ბოლო ხანებში არის ამ პრობლემის გაყალბების არაერთი მიზანმიმართული ცდა.

ვფიქრობ, ჩვენს საკვლევ რეგიონში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ შუა საუკუნეების ძეგლების შესწავლას, კერძოდ ლეონტი მროველის ჰერეთის ქვეყნის წარსულთან დაკავშირებულ პრობლემებს და ივრის მარცხენა სანაპიროს გასწვრივ ადრეშუასაუკუნეების ხანის მრავალი ნაქალაქარის აღმოჩენას, როგორც ჩანს, უძველესი საგზაო მაგისტრალის გაყოლებით, რომლებიც ერთდროულად ჩანს მტრის მიერ განადგურებული. ბუნებრივია, განსაკუთრებული ძალისხმევა უნდა იქნეს გამოჩენილი ყველა ამ ძეგლის დასაცავად და შესასწავლად, მით უმეტეს, რომ არც ერთი მათგანი ჯერჯერობით არ არის გამოკვლეული.

ამ კარგად დაგეგმილი საკვლევ არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად მოპოვებული დიდძალი პირველხარისხოვანი მასალის შესწავლამ და ამ მიზნით ჩატარებულმა მთელმა რიგმა საორგანიზაციო სამუშაომ, რომელიც კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ განხორციელდა, ვფიქრობ, არსებითი წვლილი შეიტანა კავკასიოლოგიის არაერთი ფუნდამენტური პრობლემის კვლევაში.

სწორედ ამ მიზნით შემოიფარგლებოდა ჩვენი არაერთი შეთავაზება კავკასიაში არქეოლოგიური კვლევები თანამედროვე სტანდარტების დონეზე გადაგვეყვანა.

ჯერ კიდევ გასული საუკუნის 70-იან წლებში, როდესაც ალაზნის ველზე ქრ. წ. III ათასწლეულის ოქროს ლომის აღმოჩენასთან დაკავშირებით ვიყავი ჩვენი ქვეყნის ხელმძღვანელობის პირველ პირთან, მივმართე თხოვნით დაშმარებოდა სიღნალის არქეოლოგიურ ბაზაზე დამეარსებინა ლაბორატორია მულტიდისციპლინარული კვლევებისათვის. ამ თხოვნაზე დაუყოვნებელი დასტური მივიღე, მაგრამ შემდგომ ჩემმა კოლეგებმა დამატებით კიდევ ორი ლაბორატორიის დაარსება მოითხოვეს, რაც ქვეყნის შესაძლებლობებს სცილდებოდა. შემდეგ ამერიკელმა კოლეგებმა, სიღნალში სამეცნიერო თათბირის დროს, შემოგვთავაზეს ამ დანიშნულების ლაბორატორიის დაარსება სიღნალში, რასაც ისინი სრულად დააფინანსებდნენ, მაგრამ ამჯერად ქართულმა მხარემ დამატებით ისეთი მოთხოვნები წაუყენა მათ, რომ ეს შემოთავაზებაც ჩაიშალა. ამით ისარგებლეს ჩვენმა დალესტნებმა კოლეგებმა, რომლებიც

თათბირს ესწრებოდნენ და დღეს ეს ლაპირატორია მახაჩყალაში ფუნქციონირებს. ამერიკელებისგან იყო მეორე შეთავაზებაც, უკვე დამოუკიდებელი საქართველოს დროს, როდესაც ჩემ მიერ მოწვეულმა ამერიკის მეცნიერების და ინჟინერიის ოფისის ხელმძღვანელმა, რომელიც სამეცნიერო პროგრამებს აფინანსებს, ოფიციალურად დააყენა საკითხი თბილისში თავიანთი დაფინანსებით დაეკარსებინა ამ დანიშნულების ლაბორატორია, რომელიც მთელ კავკასიას მოემსახურებოდა არქეოლოგიური მასალების დამუშავებაში. სამწუხაროდ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ა. ჯეჯელავამ სრულიად დაუსაბუთებელი უარი განაცხადა ამ უაღრესად დიდი მნიშვნელობის შემოთავაზებაზე. ასე კიდევ ერთხელ, უაზროდ ჩაიშალა ჩვენი ქვეყნის და მთლიანად კავკასიის წარსულის თანამედროვე დონეზე კვლევის რეალური შესაძლებლობა.

სხვათა შორის, არქეოლოგიური სამუშაოების კვლევის თანამედროვე დონეზე, მაღალი ტექნოლოგიების გამოყენებით გადასვლის აუცილებლობაზე და პალეოგარემოს რეკონსტრუქციასთან დაკავშირებული კვლევების გააქტიურების აუცილებლობაზე კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ რამდენჯერმე მოხსენდა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემია-საც და ამასთან დაკავშირებით წარედგინა კარგად დასაბუთებული პროექტი, მაგრამ, როგორც ჩანს, თავისი შეჭირვების გამო, მას ამ მხრივ დიდი ინიციატივა არ გამოუჩენია.

კავკასია, ბრინჯაოს ხანაში, ორი დიდი სამყაროს სამხრეთული ცივილიზაციების და ჩრდილო სტეპური და ევროპული კულტურების შუალედური რგოლია და მათი ურთიერთობის მარშრუტების გზაჯვარედინი. ამდენად, კავკასიის წარსულის შესწავლა ყველა პერიოდში, ამ ორი სამყაროს კულტურათა გათვალისწინებით უნდა ხორციელდებოდეს. კავკასიაში არსებული ტრადიციით კი ეს პრობლემა, როგორც წესი, ცალმხრივ, ძირითადად სამხრეთულ ცივილიზაციებთან ურთიერთობით განიხილებოდა.

კავკასიოლოგიაში არსებული ამ მნიშვნელოვანი ნაკლის გამოსასწორებლად და ბრინჯაოს ხანის კავკასიური კულტურებისთვის სათანადო ადგილის განსაზღვრისათვის ჩეხ, სლოვაკ, უკრაინელ, გერმანელ და ბულგარელ კოლეგებთან ერთად, იუნესკოს პროფორისტორიის უნის ფარგლებში კახეთში დაარსდა საერთაშორისო სიმპოზიუმი - „კავკასია ევრაზიის ადრელითონების ხანის კულტურათა სისტემაში“, რომლის სამი წარმომადგენლობითი შეკრება ჩატარდა სიღნაღმში, თელავსა და საგარეჯოში. ამ სამუშაოების შედეგად, რომელიც სამ კრებულად გამოქვეყნდა ევროპულ და რუსულ ენებზე სრულიად წარლად განისაზღვრა, რომ კავკასიის კულტურები ქრ.წ. IV-II ათას-წლეულებში მჭიდროდ იყო დაკავშირებული არა მარტო სამხრეთულ, არამედ ჩრდილო სამყაროსთანაც. ეს მკვეთრად არის ასახული მათ მატერიალურ კულტურებში, რაც უძველესი წარსულის კვლევისას აუცილებლად გასათვალისწინებელია როგორც კავკასიელი, ისე ევროპელი კოლეგების სამეცნიერო სამუშაოების დროს. სამწუხაროდ, ეს შეხვედრები შეწყდა საქართველოში გასული საუკუნის 90-იან წლებში შექმნილი პოლიტიკური ვითარების გამო.

თუმცა კახეთის არქეოლოგიურ ექსპედიციაში ამ თემატიკაზე მუშაობა არ შეწყვეტილა. ტროას ექსპედიციის ხელმძღვანელის პროფ. მანფრედ კორფუ-მანის შეთავაზებით, ამ პრობლემის დასამუშავებლად გერმანიაში სამი წლით წარგზავნილმა კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის წევრმა ამ პრობლემას საგანგებო გამოკვლევა მიუძღვნა, რომელიც ცალკე მონოგრაფიის სახით გამოიცა გერმანულ ენაზე.

კავკასიოლოგიის უმთავრეს პრობლემებს მიეძღვნა კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის თანამშრომელთა არაერთი მონოგრაფია და მრავალი სტატია, რომლებიც გამოქვეყნდა როგორც საქართველოში, ისე ევროპის მრავალ ქვეყანაში. აგრეთვე, მათ მიერ ამ თემატიკაზე დაცულ იქნა საკანდიდაცო და სადოქტორო დისერტაციები.

ვფიქრობ, განსაზღვრული როლი ითამაშა კავკასიოლოგიური მეცნიერების განვითარებაში კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომების რვატომეულმა და კრებულებმა „გარეჯი“ და „ხორნაბუჯი“; ცალკეა ალსანიშნავი კახეთის ექსპედიციის მიერ დაარსებული რუსულენოვანი უურნალი – „კავკასიის არქეოლოგია“. მისი გამოცემა განაპირობა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ უურნალ „საბჭოთა არქეოლოგიის“ გაუქმებამ და მისთვის „რუსეთის არქეოლოგიის“ სახელწოდების მინიჭებამ. ცხადია, შინაარსობრივადაც მან სრულიად იცვალა სახე. ამგვარად კავკასიელი მკვლევარები თავისი მიღწევების ერთობლივი პუბლიკაციის ორგანოს გარეშე დარჩენ.

სამწუხაროდ, უსახსრობის გამო ამ მეტად საჭირო კრებულის მხოლოდ სამი ტომი გამოქვეყნდა.

კახეთში ინტენსიური საველე სამუშაოების შედეგად განსაკუთრებით დიდი რაოდენობით მოპოვებული არქეოლოგიური მასალის კვლევამ, რომელიც კარგად იქნა დოკუმენტირებული და არქეოლოგიურ ბაზებზე ლაბორატორიულად დამუშავებული, საშუალება მოგვცა გარკვეული წვლილი შეგვეტანა კავკასიოლოგიური მეცნიერების რიგი პრობლემების დამუშავებაში, რამაც ჩვენი წარსულის კვლევას ახალი პერსპექტივები შესძინა.

ამ სამუშაოების დროს ყურადღება მიიპყრო იმან, რომ ქ. წ. IV-III ათას-წლეულების კავკასიის ყველაზე მასშტაბური მტკვარ-არაქსის კულტურის (რომელიც კავკასიის გარდა, მახლობელი აღმოსავლეთის დიდ ნაწილსაც მოიცავდა და ევროპაშიც გადადიოდა) გენეზისის საკითხი გაურკვეველი იყო. ამას თან ერთვოდა ისიც, რომ იგი წინარე კულტურებისაგან არსებითად განსხვავებული იყო და ხასიათდებოდა ბრინჯაოს მეტალურგიული წარმოების „ფეთქებადი“ განვითარებით. ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ის, რომ მისი ჩამოყალიბების პერიოდში მთელ კავკასიას ფარავს აშკარად შემოსული, მაღალი განვითარების შუამდინარული ურუკული კულტურის მატარებელი საზოგადოების დიდი მასები. მათი კვალი იკითხება დიდი და მცირე კავკასიონის, ბრინჯაოს მეტალურგიისთვის საჭირო ნედლეულით მდიდარი მთანეთების თითქმის ყველა ხეობაში, რაც აშკარად ადასტურებს ვარაუდს, რომ ისინი კავკასიაში გამოჩნდნენ თავიანთ მეტალურგიულ ინტერესებთან დაკავშირებით. ისინი შემდგომ, როგორც ჩანს, აღარ ტოვებენ

კავკასიას და უდიდეს როლს თამაშობენ თანადროული ადგილობრივი კულტურების, მათ შორის ადრებრინჯაოს ხანის მტკვარ-არაქსული კულტურების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში, რაც კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის კვლევებში მკვეთრად არის ასახული.

ბუნებრივია, ეს მუდმივი კონტაქტები აისახა ადგილობრივი საზოგადოების ენობრივ ფონდშიც შუამდინარული ტერმინების დამკვიდრებით.

არქეოლოგიური მეცნიერების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემაა არქეოლოგიური კულტურების წარმოშობის დადგენა, მისი განვითარების საფეხურების თანამიმდევრული ჩამოყალიბება და მომდევნო კულტურებთან დაკავშირება.

დღემდე საკამაოდ საკამათოა მტკვარ-არაქსული კულტურის დასასრულის საკითხიც. მაგრამ ჩვენი კვლევების მიხედვით, თუ სათანადო ყურადღება მიექცევა იმას, რომ ამ დროს ჯერჯერობით გაურკვეველი წარმომავლობის უმაღლესი დონის სოციალ-ეკონომიკური განვითარების ე. წ. ალაზან-ბედენური კულტურა საბოლოოდ მკვიდრდება სამხრეთ კავკასიის ცენტრალურ ნაწილში და თუ მტკვარ-არაქსულის ფინალურ ნაწილს და ამ კულტურას შევადარებთ ერთმანეთს, სრულიად ცხადი გახდება, რომ იგი ამ ორი კულტურის შერწყმის ნათელ სურათს გვთავაზობს.

მიუხედავად ინტენსიური კვლევა-ძიებისა, ექსპედიციამ ვერ შეძლო ნათლად გაეაზრებინა მტკვარ-არაქსული კულტურის ფინალური ეტაპის და მისი შემდგომი, შუაბრინჯაოს ხანის თრიალეთური კულტურების ურთიერთმიმართების საკითხი. შესაბამისად, აქ ერთგვარი წყვეტილს მაინც ვხედავთ.

არქეოლოგიურ კულტურათა თანამიმდევრული განვითარების თვალსაზრისით, სრულიად სხვა სურათი გვაქვს დღევანდელი აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, ქრ. წ. II-ი ათასწლეულებში, როდესაც კულტურის განვითარების უწყვეტი ხაზი სრულიად ნათლად იყითხება.

თავდაპირველად, გასული საუკუნის 60-იან წლებში, კახეთში მოპოვებულმა არქეოლოგიურმა მასალებმა შესაძლებლობა მოგვცა ქრ.წ. II ათასწლეულის პირველი და მეორე მონაკვეთის კულტურები სამხრეთ კავკასიის ცენტრალურ ნაწილში გენეტიკურად დაგვეკავშირებინა ერთიმეორესთან. ეს მნიშვნელოვანი სიახლე იყო, რადგან ადრე ჩვენი ისტორიის ამ მონაკვეთში მკვეთრ წყვეტილს ხედავდნენ, რაც უცხოტომელთა მასიურ გამოჩენას უკავშირდებოდა და, შესაბამისად, მხოლოდ ამ დროიდან, ამ საფუძველზე იგულისხმებოდა ადგილობრივი, ე.ი. ქართული საზოგადოების ჩამოყალიბება, - ე.ი. ქრ.წ. II ათასწლეულის შუახანებიდან, რაც სრულიად მიუღებელი იყო.

ამ უმნიშვნელოვანეს დასკვნასთან ერთად, კახეთში მოპოვებული არქეოლოგიური მასალების მიხედვით მოხერხდა ქრ.წ. II ათასწლეულის პირველი და მეორე ნახევრის არქეოლოგიური კულტურების გამოყოფა მკაცრად შემოსაზღვრული გავრცელების საზღვრებით და მათი დაკავშირება ქართულ წერილობით წყაროებში მითითებულ ქართველი ტომების (ჰერები, კახები, კუხები) განსახლების კონკრეტულ საზღვრებთან, რაც არქეოლოგიის მონაცემების ეთნიზაციის საფუძვლად იქცა. ერთდროულად უაღრესად მნიშ-

ვნელოვანია, რომ ამ დასკვნებმა ქართული წერილობითი წყაროების ცნობების დათარიღების საშუალება მოგვცა ქრ. წ. II ათასწლეულით.

ყოველივე ამან სრულიად გამორიცხა აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ქრ.წ. II ათასწლეულის შუახანებში უცხო ტომელთა შემოჭრა და შესაბამისად ვარაუდი, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობის სუბსტრატზე მხოლოდ ამ დროიდან და ამ საფუძველზე შეიძლება საუბარი.

აღმოსავლეთ საქართველოში ქრ.წ. II ათასწლეულის პირველი და მეორე ნახევრის არქეოლოგიური კულტურების გენეტიკურმა დაკავშირებამ და ამ ორ ეპოქას შორის სამი გარდამავალი საფეხურის გამოყოფამ მოითხოვა ამ ეპოქების არსებული ქრონოლოგიური სქემების კორელირებაც და სამხრეთ კავკასიის ცენტრალური ნაწილის ქრ.წ. II ათასწლეულის არქეოლოგიური კულტურებისთვის ახალი ქრონოლოგიური სქემის შედგენა, რასაც რიგი გამოკვლევები მიეძღვნა. მათ განსასჯელად სიღნაღმი საკავშირო თათბირი მოეწყო, რომლის მუშაობაში მონაწილეობდა კავკასიის წარსულის პრობლემების კვლევის ყველა უწყება. შედეგად კავკასიის არქეოლოგიური კულტურების ეს ახალი ქრონოლოგიური განაწესი მისაღებად იქნა მიჩნეული. მიუხედავად ამისა, მისი სანდობის დასადასტურებლად აღმოსავლეთ საქართველოში, შემდგომ, კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის სახსრებით, საგანგებო მიზანმიმართული კვლევით სამუშაოები ჩატარდა შიდა ქართლის ტერიტორიაზე, რომელმაც საბოლოოდ დაადასტურა მისი სისწორე. დღემდე ეს ქრონოლოგიური სქემა მთელი სამხრეთ კავკასიის ცენტრალური ნაწილის გვიანბრინჯაოს ხანის კულტურებისთვის ერთ-ერთ მთავარ საყრდენად არის მიჩნეული მათი დათარიღებისათვის.

ამ მიღწევების დასასაბუთებელი დიდაღი არქეოლოგიური მასალის დასაცავად, ლაბორატორიულად დასამუშავებლად და ქვეყნის წარსულისთვის უაღრესად მნიშვნელოვანი მეცნიერული დასკვნების ვიზუალურად გაცნობისათვის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ გადაწყვიტა კახეთის ცენტრალური არქეოლოგიური მუზეუმის დაარსება; ამ მიზნით გადაეცა მას ქ. სიღნაღმის მახლობლად სოფ. ქედელში, საავადმყოფოს ყოფილი შენობა, ბოდბის მონასტრის ტერიტორიაზე. ეს განსაკუთრებით მასშტაბური და ქვეყნისათვის უმნიშვნელოვანესი სამუშაო დიდი ფინანსური სახსრების მოძიებას მოითხოვდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, მისი განხორციელება უმოკლეს დროში მოხერხდა. სამსართულიან შენობაში წინასწარ შემუშავებული პროექტით მოეწყო ყველა არქეოლოგიური პერიოდის მასალის ექსპოზიცია, დიდაღი მასალისათვის კარგად აღჭურვილი საცავები, სარესტავრაციო და საფიქსაციო ლაბორატორიები და საგანგებოდ აგებული სეიფი.

სამწუხაროდ, ზემოთ აღწერილი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მიერ ჩამოყალიბებული ჩვენი ქვეყნის უძველესი წარსულის შემსწავლელი ძლიერი ცენტრი კახეთში ერთი ხელის მოსმით მოისპო, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ყველა სტრუქტურასთან ერთად. ამან საქართველოს ეს კუთხე მომავალზე ზრუნვის ყოველგვარი პერსპექტივის გარეშე დატოვა. ამ დიდ ეროვნულ დანაშაულზე დღეს რატომდაც აღარავინ საუბრობს.

დასაწყისში კახეთის არქეოლოგიური ექსპედიცია თავისი მძღავრი სამეცნიერო კოლექტივით და წლების განმავლობაში შექმნილი ინფრასტრუქტურით ჩამოაშორეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას და გადასცეს საქართველოს ეროვნულ მუზეუმს. ამის შემდეგ კარგად შემუშავებული გეგმით, სრულიად შეგნებულად დაიწყო კახეთში არქეოლოგიური სამუშაოების წარმართვის ადამიანური რესურსების და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მთლიანი განადგურება.

ჯერ სრულიად გაუმართლებლად, მაგრამ მიზანდასახულად სამსახურიდან განთავისუფლდა ექსპედიციის ყველა თანამშრომელი, რასაც მყისიერად მოჰყვა კახეთის უძველესი წარსულის კლევისათვის მეცნიერებათა აკადემიის მიერ შექმნილი მთელი ინფრასტრუქტურის მოსპობა.

უპატრონოდ მიტოვებული უდაბნოს არქეოლოგიური მუზეუმი და საცავი მხედრიონმა დაწვა და დაანგრია, დავით გარეჯის მრავალმთის ქრ. წ. II ათასწლეულის დასასრულის ნაქალაქა „ნაომარ გორასთან“ აკადემიის მიერ აგებული არქეოლოგიური ბაზა კი, ასევე უპატრონობით მთლიანად გაიძარცვა საძირკვლამდე. იგივე მიზეზით მოისპონ ჭრემის საცხოვრებელი შენობა და არქეოლოგიური მუზეუმი. სილნალში, ბოდბის ცენტრალური არქეოლოგიური მუზეუმის შენობაც ჩამოერთვა აკადემიას.

კახეთში, ყველა სამეცნიერო სამუშაოს წარმმართველი სილნალის არქეოლოგიური ცენტრის მეცნიერებათა აკადემიის მიერ ორმოცი წლის განმავლობაში აშენებული ოთხი შენობა გაიყიდა. მის საცხოვრებელ შენობებში, სააქტო დარბაზებში და ლაბორატორიებში დაცული ინვენტარი კი მთლიანად განადგურდა. გაიყიდა ექსპედიციის კუთვნილი მდიდარი ავტოსატრანსპორტო საშუალებები. დღეს სილნალის ბაზის ამ შენობებში რესტორნებია.

ამგვარად, შეგნებულად და მიზანმიმართულად, პრაქტიკულად სრულიად განადგურდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მიერ ათეული წლების განმავლობაში დაარსებული კახეთის უძველესი წარსულის შემსწავლელი ცენტრის ყველა რგოლი, რომელსაც უდიდესი დამსახურება აქვს ჩვენი წარსულის შესწავლაში.

დასასრულ, არ შეიძლება არ შევჩერდეთ კახეთში დღეს წარმოებულ არქეოლოგიურ სამუშაოებზე, როდესაც მე უკვე „უარმიოდ“ და ყოველგვარი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გარეშე შევეცადე შეძლებისდაგვარად არ შემეწყვიტა კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ მხარის უძველესი წარსულის შესწავლის ასე კარგად დაწყებული საქმე.

ამ მიზნით ივრის ზეგნის აღმოსავლეთ ნაწილში დავიწყე მთელი ტერიტორიის დამუშავება სატელიტური გადაღებების დეშიფრაციის დახმარებით. ამ სამუშაოების დროს ჩემი ყურადღება მიიქცია მთებით შემოზღუდული შირაქის ველზე და მის ირგვლივ არქეოლოგიური ძეგლების განლაგებამ, რომლის შესასწავლდ საველე არქეოლოგიური დაზვერვების შედეგად კავკასიოლოგიაში რიგი აღიარებული დასკვნების კორექტირება გახდა საჭირო.

შირაქში ქრ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრის გეოგრაფიულად მჭიდროდ შემოსაზღვრული საფორტიფიკაციო მძღავრი ნაგებობებით დაცული

დასახლებები აღმოჩნდა ველის ირგვლივ, მთაგორებზე და მის ცენტრში, ვაკეზე დიდი ქალაქით, რომელიც 15 ჰექტარზეა განფენილი, მძლავრი ოთხკუთხა გალავნით და თავდაცვითი თხრილით დაცული. ნაქალაქარი საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დაფინანსებით ისწავლება.

ბუნებრივია, თავიდანვე დადგა შირაქის ამ ცივილიზაციის ჩამოყალიბების საფუძვლების ძიების პრობლემა.

დიდი და მცირე კავკასიონის მთიანეთებს ირგვლივ მცხოვრები საზოგადოება, განვითარების ნებისმიერ საფეხურზე, ეკონომიკური და კულტურული თვალსაზრისით, ათასწლეულების განმავლობაში ერთიანი ფენომენის სახით, ძირითადად გარე სამყაროში გამორჩეული მდიდარი, ადგილობრივი ბუნებრივი პირობების წარმატებული, გონივრული გამოყენების საფუძველზე უნდა ჩამოყალიბებულიყო. როგორც ჩანს, ასე უნდა ყოფილიყო ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაშიც. მაგრამ, ცხადია, ამის დასადასტურელად სანდო დოკუმენტური მასალის არსებობა იყო საჭირო. არქეოლოგიური დაზვერვებისა და გათხრების საშუალებით ამისთვის საკმარის ინფორმაცია მოვიპოვეთ. შირაქის პლატოს ტერიტორიაზე აღმოჩნდა ორი წყალუხვი მდინარის კვალი და ქრ. წ. XIV-XIII სს. ხელოვნური სარწყავი არხი, რაც სარწყავ მინათმოქმედებაზე აშკარა მითითება იყო. შირაქის პალეოგარემოს რეკონსტრუქციისათვის ჩვენ მიერ ჩამოყალიბებულმა მულტიდისციპლინარული სპეციალისტების დიდმა ჯგუფმა პროფ. მ. ელაშვილის ხელმძღვანელობით, რომელშიც ქართველ სპეციალისტებთან ერთად შედიოდნენ ამერიკელი და გერმანელი სპეციალისტებიც, ეს დასკვნა დოკუმენტურად დაადასტურად.

ამგვარად, პალეოგარემოს რეკონსტრუქციის საფუძველზე შესაძლებელი გახდა სრულიად უდაუდ სამხრეთ კავკასიის ცენტრალურ ნაწილში ივრის ზეგანზე შირაქში, დავით გარეჯის მრავალმთის თანადროული, ქრ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრის სახელმწიფოებრივი სტრუქტურის არსებობა დაგვედასტურებინა. ეს კი იმაზე მიგვანიშნებდა, რომ საქართველოს უძველესი პერიოდის წარსულის კვლევის სწორი გადაწყვეტილებების მისაღებად აუცილებელი იყო პირველ რიგში ამა თუ იმ ეპოქაში პალეოგარემოს სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარება და არქეოლოგიურ მონაცემთა მულტიდისციპლინარული კვლევა..

კვლევის ამ შემოთავაზებულმა ახალმა მიმართულებამ შესაძლოა აუცილებელი გახადოს ჩვენი წარსულის ყველა ეპოქის გააზრება ახალი თანამედროვე მეთოდოლოგიაზე დაფუძნებით და აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობა, რომელიც ქრ.წ. IV-II ათასწლეულებში დღემდე დამკვიდრებული მოსაზრებით მეჯოგე-მესაქონლებად იყვნენ აღიარებულნი, ამ კვლევის შედეგად მახლობელი აღმოსავლეთის ცივილიზაციების თანადროულ და თანატოლ საზოგადოებებად ნარმოგვიდგინოს, შესაბამისი სახელმწიფოებრივი სტრუქტურებით. დღეისათვის ამის დამადასტურებელი არაერთი ფაქტი უკვე არსებობს სხვადასხვა ეპოქის მულტიდისციპლინარული კვლევის შედეგების მიხედვით, რაც კავკასიის წარსულის გააზრებას სულ სხვა განზომილებებში გვთავაზობს.

ჩემ მიერ ჩამოყალიბებულმა ამ სამეცნიერო პროექტმა თავისი სიახლით, მასშტაბურობით და თანამედროვე ტექნოლოგიების კვლევის პრინციპებით განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია ჰარლინგტონის საერთაშორისო მეცნიერების და ინჟინერის ოფისში და მიმდინარე წლის ბოლოსათვის ამ თემასთან დაკავშირებით შეგვიკვეთა 50 თაბახიანი ნაშრომის გამოსაქვეყნებლად მომზადება, მათი სრული დაფინანსებით.

## KONSTANTINE PITSKHELAURI

### **КАХЕТИ Pages of Ancient Past Exploration (Archaeology)**

#### Abstract

A systematic archaeological study of the eastern part of Georgia - Kakheti has begun just in the 50s of the last century when a solid material and technical basis for carrying out these works have been created. On this foundation, a systematic study of the antiquities of this region has accumulated rich, well-documented archaeological material, the study of which with the help of modern high technologies formed the basis for a new understanding of a number of primary problems of Caucasian studies.

**Keywords:** Georgia; Kakheti; Archaeology; Caucasian.

## КОНСТАНТИН Э ПИЦХЕЛАУРИ

### **КАХЕТИ Страницы изучения древнего прошлого (Археология)**

#### Резюме

Систематическое археологическое изучение восточной части Грузии – Кахети начато лишь с 50-х годов прошлого столетия, когда была создана прочная материально-техническая основа для проведения этих работ. На этом фундаменте планомерным исследованием древностей этого края был накоплен богатый, хорошо документированный археологический материал, изучение которого с помощью современных высоких технологий стало основой для нового осмысливания ряда первостепенных проблем кавказоведения

**Ключевые слова:** Грузия; Кахети; Археология.

ወጪዎች

ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତ

ජ්‍යෙෂ්ඨ මධ්‍යම සංස්කීර්ණ ප්‍රතිපාදන

ნართების ეპოსის ვაინაზური ვარიანტი წარმოადგენს აღნიშნული ზოგადყავკასიური ეპოსის ნაწილს. მას გააჩნია უამრავი პარალელები კავკასიის სხვა ხალხების, განსაკუთრებით აღიღეს მითებთან და ლეგენდებთან. ზოგიერთმა ეპიკურმა გმირებმა შეინარჩუნეს ანტიკური შტრიხები, რომლებიც შესაძლებლობას გვაძლევენ მათში დავინახოთ ერთმანეთთან მოპაექრორ ფრატრიად დაყოფილი ნახევრად ღმერთები. ერთი მათგანი შედგება მეცხოველე-ნართებისაგან, კალიოლი მთიელებისაგან, რომელთაც სათავეში უდგას კალოი-კანთი ე.ი. „კალოის თემის გმირი“, მეორე ფრატრია შედგება მებრძოლი ნართებისაგან - ნართ-ორსტხოველებისაგან, რომელსაც ჰყავს მეთაური სოსქა-სოლსა. ისინი ცხოვრობენ მეკობრეობით. ეს პერსონაჟები წარმოადგენენ ანტიკური ღმერთების პერსონიფიკაციას, რომელთა აღრევა მოხდა ჯერ კიდევ უძველეს პერიოდში მეორეხარისხოვან რანგში, ხოლო შემდეგ კი ნახევრად ღმერთებად ჩამოყალიბდნენ.

მებრძოლი ნაკრ-ორსტესტხოელები გამუდმებით თავს ესხმიან თავიანთ მეზობელ მთიელებს: მიერეკებიან მათ ფარას, ცდილობენ მათი გოგონების გულის მოგებას. ისინი ბრძოლაში ეპმებიან ჭექა-ქუხილის ღმერთან - სელისთან, იმარჯვებენ მის წინააღმდეგ ბრძოლაში. მაგრამ მიუხედავად ამისა ქისტებმა მაღალი შეფასება მისცეს მათ საბრძოლო შემართებას, ვა-ჟავაცურ და ქედუხრელ შეუდრეკელობას, რომლებიც თვით მათვის ესოდენ მახლობელი თვისებები იყო.

ნართ-კალოელები, რომლებსაც ხელმძღვანელობდა ქისტი „ენკიდუ“ კალოი-კანთი, განდეგილი და ასკეტი, მცხოვრები მთებში, ადამიანები-საგან შორს თავის ცხვრის ფარასთან ერთად, რომელსაც შეუძლია დიდი ლოდების გადატყორცნა. ერთადერთი, რასაც შეუძლია შეაყოვნოს მისი ძლიერება, ეს არის ქალი და მასთან სიახლოვე. და, მართლაც, ბათავა შერტაკოს შეგონებით სოსკა-სოლსამ ისარგებლა და მიუგზავნა მას თავისი და. მან შეკრა დაუძლურებული მონინააღმდეგე და წაიყვანა იგი ბარანტისაკენ. მაგრამ ნართ-კალოს მებრძოლებმა მათ მიუსწრეს და შეძლეს უკუეგდოთ კალოი-კანთელები და თავიანთი ცხვრის ფარის ნახევარი უკან დაიბრუნეს. ვინაიდან მათი ძალები თანაბარი იყო, მათ შეეძლოთ ერთმანეთი დაეზარა-ლებინათ და დიდი ზიანი მიეყენებინათ. ამიტომაც დეელა ღმერთმა მათ შორის გაუშვა ბობოქარი თერგი და დატოვა ისინი სხვადასხვა სანაპიროზე.

ქისტების (ვაინახების) მითოლოგია მრავალფეროვანი და მრავალმხრივია. მასში კხედავთ უძველესი ეპოქის კვალს, რომელიც მიემართება ას-ნლეულებისა და თუნდაც ათასწლეულების სიღრმეში, მაგრამ თავისუფლად ცხოვრობს იმ მოტივებთან ერთად, რომლებიც ბევრად უფრო ადრეული ხანისაა. ვაინახებმა (ჩეჩენები, ინგუშები, ქისტები), ამ პატარა ეთნოსმა, რომელიც ცხოვრობს ცენტრალურ კავკასიასა და საქართველოში, პანკისის ხეობაში, შეძლეს ისტორის ქარტეხილებში გამოეტარებინათ და დღემდე მოეტანათ გამოძახილი უძველესი ცივილიზაციისა. რამდენადმე მჭიდრო და ხანგრძლივი ურთიერთობა ჰქონდათ ვაინახების წინაპრებთან დასავლეთ და აღმოსავლეთ ხურიტების სხვადასხვა ტომებს, რაც ასახულა მითებში, პანთეონში, ენის ლექსიკაში, ასევე, მორფოლოგიის ცალკეულ ელემენტებში. ამ ფაქტებს ვერ ავხსნით მხოლოდ ეკონომიკური კონტაქტებით ან სამხედრო კამპანიებით, როგორც ამას გვთავაზობს ზოგიერთი არქეოლოგი და ისტორიკოსი. აღნიშნული ელემენტები გულისხმობს ვაინახების ხანგრძლივ ან უწყვეტ ურთიერთობებს ხურიტებტან. ქისტების პანთეონის, მითოლოგიის და ლექსიკის მასალებზე დაყრდნობით, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს უძველესი კულტურები აღმოჩნდნენ რელიგიური კონცეფციების, მითოლოგიის და ენის სუბსტრატები ვაინახების ძველი წინაპრებისა.

ხურიტები, რომელთაც თანამედროვე პერიოდში მიიჩნევენ ერთ-ერთ ყველაზე განვითარებულ უძველეს ხალხებად, ახდენდნენ კულტურული და რელიგიურ გავლენას მთლიან ახლო აღმოსავლეთზე, ანატოლიასა და კავკასიაზე. ამასთანავე, ისინი არა მარტო გასცემდნენ, არამედ სხვებისგანაც ითვისებდნენ და შემდგომ ამ შეთვისებულს ავრცელებდნენ. ამით შეიძლება აიხსნას ქისტების მითოლოგიისა და რელიგიური რწმენების სიღრმისეულ სტრუქტურებში სხვადასხვა უძველესი ხალხების ელემენტების არსებობა.

კავკასიის მთიელთა მითები და ლეგენდები, მათ შორის ვაინახებისაც, მოიცავს აგრეთვე, შედარებით გვიანდელ მოტივებსაც - სკვითებისა და თურქ-მონლოლურ მოტივებს. სკვით-მომთაბარეთა გადასვლამ ჩეჩენებისა და ინგუშების რეგიონში (დასახლება გალაშეკი, მუშიჩი, მუშიჩი, დუბაი-იურთი) ვერ შეცვალა მთიელთა ცხოვრების წესი და რიგი. სკვითების ნაკვალევი თავს იჩენს მხოლოდ ელემენტების სახით დაკრძალვის წესში, ზოგიერთ ლეგენდარულ სიუჟეტსა და რკინის დამუშავების წესში. რკინის დდამუშავების მეთოდები ცნობილი იყო კავკასიაში ჩვ.წ. აღ-მდე | ათასწლეულის დასაწყისის პერიოდიდან, მათი სამხრეთელი მეზობლის ურარტუს გავლენით. ვაინახთა მეტყველებაში სკვითებმა ვერ დატოვეს რაიმე ხელშესახები კვალი, თუ არ ჩავთვლით სიტყვას „აშკა“ ე.ი. რკინა, რომელიც დაკავშირებულია ვაინახების მეზობლად მცხოვრები ერთ-ერთი სკვითური ტომის მეტყველებასთან. ისინი ანარმოებდნენ რკინას, რასაც „აშკენაზს“ ეძახდნენ. მათთან მეზობლობა არც თუ ხანგრძლივი იყო.

ქისტური (ვაინახური) მითები შემორჩენილია XIXს-ის ბოლომდე და XX ს-ის დასაწყისამდე. ეს იყო რწმენა ადამიანებისა იმ განუწყვეტელი კავშირის შესახებ, რომელიც არსებობდა მზის სამყაროსა და იმქვეყნიურ სამყაროს

შორის. მე-19 ს-ის ბოლოს მოსავლის ღმერთის დღესასწაულის ზარზეიმით აღნიშვნისას ქურუმი ირჩევდა გოგონებს შორის უკეთესს მზის ღმერთის „მალხა აზას“ საცოლეს როლის შესასრულებლად და გზავნიდა მას მთებში, მას აცილებდა საუკეთესო ბიჭი, რომელთან ერთადაც უნდა გაეტარებინა ღამე ტაძარში, რომელიც თხის ღმერთის სახელობაზე იყო აშენებული და ტაძიუ-ერდა ერქვა. იგი მფარველობდა, აგრეთვე, ცხვრის ფარას და მეცხვარეს. ტაძარში შესვლით ისინი კარგავდნენ კავშირს მზის სამყაროსთან. ტაძარს სამყაროში ისინი დროებით „კვდებოდნენ“, იმისათვის, რომ კონტაქტში შესულიყვნენ ამ მკვდომარე და შემდეგ მკვდრეთით აღმდგარ ღმერთების საუფლოსთან. „მკვდრეთით აღმდგარნი“ მზის პირველივე სხივზე მთებიდან დაბლა დაეშვებოდნენ მატ-სელის ხატთან, სადაც მათ ელოდებოდათ ხალხი და ქურუმი. მალხა-აზა ამცნობდა ქურუმს მის მიერ ნანახი წინასწარმეტყველური სიზმრის შესახებ, რომელსაც ხალხს უხსნიდა, განუმარტავდა ქურუმი. უძველეს ეპოქაში ეს ხალხის რჩეულები ასრულებდნენ, როგორც ჩანს, მისიას „ნმინდა შეუღლებულებისას“, როგორც ეს ხდებოდა შუმერებში, სადაც ისინი განასახიერებდნენ ბუნებაში ორი საწყისის შეკავშირებას.

ჩრდილო-კავკასიონიდან პანკისში დასახლებულ ქისტებს თავიანთი რწმენა-წარმოდგენებიდან ბევრი რამ თან გადმოჰყეათ ახალ დასახლებაში, სადაც ახალ ცხოვრებისეულ მომენტებთან ერთად იქმნებოდა და ვითარდებოდა ქისტური პანთეონი, რომელიც თავის სამყაროში აერთიანებდა ძველთან ერთად ახალ მითოლოგიასც. ამ თვალსაზრისითაც მნიშვნელოვან და საინტერესო მასალას გვაწვდის მათე ალბუთაშვილი. მას ქისტი ხალხის წინაპრის შესახებ მოჰყავს ასეთი თქმულება: <<,,თვით ქისტი ხალხი პირველად როგორ გავრცელდა კავკასიონის მთებში, ამაზედ არის ერთი საუცხოო მოკლე თქმულება, გავრცელებული ხალხში: ,,ყოფილა მექობრეთა ერთი ბელადი თერგალი, რომელიც ძალიან ანუხებდა იქაურ მცხოვრებლებს. შეწუხებულ ხალხს ერთხელ გადაუწყვეტია, როგორმე მოეშორებინა მტერი.

თერგალს სცოდნია ერთი თვით ძილი. ხალხმა მოიხელა თერგალი მძინარე, მოკვლა ვერ გაუბედა, მოსისხლეობის შიშით. მძინარე ჩააწვინეს საკაცები, წამოილეს დარუბანდისკენ და იქ, კავკასიონის ერთ შევარდნილ ხეობაში დააწვინეს. თან დაუტოვეს ცოტა საგზალი და თავისი იარაღი. გაანებეს იქ თავი.

თერგალის თავის დროზე გამოელვიდა, ვერ გაარკვია სად იყო. ჭამა პური, ავიდა მაღლა მთაზე, გაიხედ-გამოიხედა, მაგრამ ვერაფერი გაიგო თავისი ბედისა.

თერგალმა ერთ მოხერხებულ ადგილას დაიდო ბინა, ნადირობითა ცხოვრობდა, ცოლიც მალე გაიჩინა. ეყოლა ორი ვაჟიშვილი.

უფროსი ვაჟიშვილი რომ დაიბადა, მას ხელში ხის პატარა ტოტი მისცა და სახელი ამ ტოტისა უნიდა. ხის ტოტი ქისტურად არის „ღაღა-ღაღა“ - „ღაღლა“ - ინგუში.

მეორე ვაჟი რომ დაიბადა, ყველის ნაჭერი ეკავა, მთლად დათვასა ჰეგავდა. სახელად ზოგმა ყველის ნაჭერი უნიდა, ზოგმა - დათვის. ქისტურად ყველი არის „ნეხჩი“, აქედან „ნოხჩი“. დათვი ქისტურად „ჩა“, აქედან - „ჩაჩანი“.

ამ ორი ძმისგან წარმოიშვა კავკასიის მთის ხალხი: ჩაჩანი-ნოხჩი, ღალ-ღა-ინგუში.

თერგალი სიბერის დროს თერგის წყალში დაიხრჩო და წყალს სახელი უწოდეს „თერგი“.

გამრავლდა ხალხი, აქეთ-იქით გაიწ-გამოიწია, ზოგი დაბლა, ველად ჩამოვიდა, ზოგან ადგილმა მიიღო ხალხის სახელი, ზოგმა ხალხმა კი ადგილის სახელი”>.

ცხადია, ეს გადმონაცემი თქმულებაა და შესაძლებელია მას რეალობასთან საერთო არაფერი ჰქონდეს, რადგან ტერმინ „ღალდას“ და „ჩაჩანის“, ან „ნოხჩის“ მსგავსი განმარტება არასერიოზულა. რაც შეეხება თერგალს, პროფ. გ. ჩიქვანის აზრით: „,თერგალი წარმართულ სალოცავად ჩანს. მისი ფუნქციების დაწვრილებით შესწავლა მომავლის საქმეა. ჯერჯერობით იმას აღვნიშნავთ, რომ მისი სახელი საქმაო მსგავსებას ამჟღავნებს შორეულ წარსულში ფიქ-სირებულ ონომასტიკასა და ჰიდრონიმებთან“. აქ ჩვენ მხედველობაში გვაქვს ქართველთა ეთნარქის თარგამოსის და მდ. თერგის სახელები. თერგვაულ-თერგაულ-თერგ-თარგამოს. შესაძლებელია ეტიმოლოგიურმა ძიებამ ამ სამი სახელის საერთო ძირიდან მიმდინარეობა დაადასტუროს“. [5:301]

საინტერესოა მ. ალბუთაშვილის მიერ 1910 წ. პანკისის ხეობაში ჩაწერილი ლეგენდა ქრისტეს შესახებ, სადაც აღწერილია ამირანის თქმულებაში მოხსენიებული ტოპონიმი სპეროზა.

თქმულება ასეთია: „პანკისის ხეობის სათავეში, სადაც მისწყდება საურმე და დაიწყება საცალფეხო გზა, სადაც ორი მდინარე-წიფლოვანის ხევი და მახვალი ერთმანეთს შეაწყდება და გამოსწევს კახეთისაკენ მდინარე ალაზნად წოდებული, სწორედ იმ ადგილას, პირდაპირ ალმართულია ერთი უზარმაზარი, სხლარტი და მაღალი კი არა, უფრო განზე განეულ-გაბებლილი, ქანჩახქარაფებიანი მთა, რომელსაც ხალხი სპეროზას ეძახის. მდინარე ალაზნის მარჯვენა მხრით სპეროზას ქვემოდან შესცეკრის ერთი მთა, რომლის წვერზე მოსჩანს რაღაც ძველი ნანგრევები და ამ ნანგრევებს ხალხი „სპეროზას წმ. გიორგის“ სახელით იხსენიებს.

აქ სალოცავად დადიან 10 გიორგობისთვის უფრო კახეთიდან, თვით იქ, ადგილობრივ, ასვლა მონადირეს გარდა სხვა კაცთაგან ძნელია, გზა მდინარე ალაზნის მარცხნივ შეუდის და ამავე მხარეს სალოცავს პირდაპირ ტყიანს პატარა გორაზე სასანთლეა გაკეთებული და მლოცავი იქა დგება ღამის სა-თავედ.

ვიდრე მლოცავი ამ ადგილს მიაღწევს, ერთი კარგა მაღალი და ტყიანი მთა უნდა გადაიაროს. გზა მიდის იმისთანა ფერდობზე, ლილასავით ლურჯ სალ კლდე ტინზე, რომ რაც უნდა შეჩვეული თვალი შეხვდეს, მაინც შეეშინდება. ერთი უცბად რომ ცხენს ან კაცს ფეხი წაუფორთხილდეს, ოცი სა-ჟენის სიმაღლიდან ისე დაცემა ძირს მდინარე ალაზნის რიყეზე, რომ გზად ვერ მოხვდეს. აი, ამ გზაზე, ამ სალ-კლდე ტინზე ერთ ადგილას ამოჭრილია ვერშოკნახევარი სიგრძე და ვერშოკის სიგანე, რაშიც, მართლა, ჯორის ერთი ფეხი ჩაეტევა.

ამაზე არსებობს ხალხში შემდეგი ლეგენდა: იქსო ქრისტე რომ ქვეყნად დაიარებოდა, სხვათა შორის, იმოგზაურა იმ მთებშიც, რომელზეც ჩვენ გვაქვს ლაპარაკი. იქიდან რომ მოდიოდა, ჯორზე იჯდა და ჩონგურს უკრავდა. გზაში აუჩნდა ეშმაკი და ჩამოეკიდა. მაგ დასაკრავის სახელი უნდა მასწავლოო, ქრისტე ყურსაც არ უგდებდა ეშმაკს და ჩონგურის დაკვრას განაგრძობდა. ეშმაკმა რომ თხოვნით ვერაფერი გააწყო, ისევ თავის ხერხს მიმართა: ქრისტეს გზა მოუჭრა, წინ ჩაუსაფრდა და ჯორი დაუფრთხო. ქრისტემ თავის ჯორს შესძახა: „დაიცა წყეულო, ჩონგური არ გამატებიონო“.

ამნაირად, ეშმაკმა თავის მიზანს მიაღწია და ის ნაფეხურებიც მაშინ დააჩნდა იქ, კლდესა, რომელსაც ხალხი დღეს „ჯორის ნაფეხურს“ ეძახის.

მართლაც, ხალხი რაღაც სასოებით უყურებს ამ ამოჩვრეტილ კედლებს. საზოგადოდ ეგრე მგზავრი ფეხს არასოდეს არ ადგამს ამ ადგილას, ხოლო სალოცავად მიმავალი კახეთის ხალხი რომ გაივლის, თვითონული მათგანი აავსებს ამ ამოჭრილს ტინს ღვინით, დაილოცება, დაეწაფება და მოსწრუტავს. მერე ისევ აავსებს ზედ ერთ შოთ პურს დაადევს და ისე წავა“. [1:15].

ამირანის მიჯაჭვის ადგილას - სპეროზას შესახებ ნარკვევში კი ვკითხულობთ: „ხალხში დღესაც დარჩენილია თქმულება, მითომ ამ მთებში იყო დაბმული და დამწყვდეული გმირი ამირანი და ისა ქუძდეს ხანდახან, ალბათ, იმავე თქმულების მიზეზით - მთის წინიდან შუბლში ერთი გამოწეული რუივთ სერი ჩამოსდის და ამ სერს ხალხი ამირანის კუჭს ეძახის“ [1:16].

ამას გარდა, აშკარა გახდა პანკისის ხეობის ქისტებში ორი რელიგიის, ისლამისა და ქრისტიანობის დაპირისპირება. დუისში ისლამმა იძალა და მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა ამ რელიგიის მიმდევარი იყო, თუმცა, ქრისტიანულ დღესასწაულებშიც აქტიურ მონანილეობას იღებდნენ, ხოლო ჯოყოლოსა და ომალოს მაცხოვრებლები ქრისტიანული სარწმუნეობის მიმდევრები იყვნენ. ამასთანავე, აღსანიშნავია, ის ფაქტიც, რომ პანკისში დასახლებისას ჯოყოლოელები ქრისტიანები არ იყვნენ და არც ისლამს აღიარებენ. მათი გაქრისტიანების ამბავს დაწვრილებით გადმოგვცემს მათე ალბუთაშვილი, რომელიც 1863 წელს იანვარში დაიბადა, ხოლო 1866 წელს ჯოყოლოელები ქრისტიანულად მონათლეს. იგი ასე აღწერს ამ პროცესს: „რომელიმე მონათლულისათვის რომ გეკითხა დანათვლის ამბავი, გეტყოდა: „რა დაგვანათლეს - სტრაჟნიკებით ძალად დაგვაცეუჩეს, ჩაგვნერეს დავთარში. მდინარე ალაზანზე დააგუბეს წყალი, მიგვრეკეს, დაგვატიტვლეს კაცი, ქალი, ნიფხვების ამარად, ჩაგვყარეს წყალში, კარგა დაგვწუნეს დასიცული კამეჩებივით, ამოგვრეკეს თითოობით, შუბლზე რაღაც ზეთი წაგვისვეს და თან გვეუბნებოდნენ: - შენ პეტრე გქვიან, შენ - ივანე, პავლე, მიხა და სხვა. დანათლულები ხართ, წადით ახლა, იარეთ ეკლესიაში, პირველარი დაიწერეთ, მარხვა შეინახეთ, ილოცეთ, როგორც მღვდელმა დაგარიგათ, ეზიარენით და სცხონდებითო“.

სხვა გეტყოდათ: ხელებზე წყალი დაგვასხეს, დაგვაბანინეს და გვითხრეს - წადით მონათლულები ხართო. ქვას რომ წყალი გადავლო, ქვა დარჩება, განა აგური გახდებაო. ეს მართლაც ასე იყო - აგრძელებს მათე ალბუთაშვილი - არა სტყუოდნენ. მაშინ ტყეში გაქცეული, დამალული ბევრი დარჩა

ფორმალურად მოუნათლავი, ხოლო დავთარში ჩაწერილი იყო და მონათლულს ეძახდნენ.

არც ერთმა - დიდმა თუ პატარამ, პირჯვრის წერა, ზიარება რა იყო, არ იცოდა. ეკლესიაში რომ ქუდი შეგვედო, გამოსატანად იქ არ შევიდოდა, მღვდელს კი ეწერა დავთარში აღნიშვნით: თქვა აღსარება და ეზიარაო.

ეს გახლდათ პანკისში ახლად ნაქადაგები სარწმუნოება ქრისტესი ახლად ნათელლებული ქისტების მიმართ“.

პანკისის ხეობაში ამ ორი რელიგიის პაექრობაში იქმნებოდა რელიგიური თქმულებები და ლეგენდები, რომლებშიც ეს მომენტი ნათლად იკვეთება. ამ ფაქტის ილუსტრაციისათვის იგივე ავტორის მიერ ჩაწერილ ერთ ლეგენდას მოვიყვანთ: „რჯულის გულისთვის ქისტ კაცს ფიცი ცოდვად, დანაშაულად მიაჩნია - თითონ მახმადმა ეგრე სთქვაო - ამიტომ ამ ლეგენდარულს ეპიზოდებს ფიცით უმტკიცებენ და აჯერებენ მსმენელებს.“

ისინი ასე ამბობენ: ქრისტე და მაჰმადი მები იყვნენ მხოლოდ მამით, დედით თავთავადნი; ქრისტე აბრაამის ცოლის - სარას - მხრით, ხოლო მაჰმადი აბრაამის ხასის -აგარის - და მისი შვილის იზმაილის მხრით.

ქრისტე იყო ბოლოდამ მეორე წინასწარმეტყველი, მან ვერ დასდო წესიერი რჯული და მოკლეს, მაჰმადი იყო ბოლოდან პირველი და უკანასკნელი წინასწარმეტყველი (ფეისჭმარ), თავი და ბოლო ნამდვილი რჯულისა და ზეცად ამაღლდა ცოცხალი.

მაჰმადმა უთხრა ღმერთს: მთლად მოვსპოთ ქრისტიანი! ღმერთმა უპასუხა: ქრისტიანი რომ მოვსპო, ჯოჯოხეთი ცარიელი დარჩება და ეშმაკები აჯანყდებიან!

მაჰმადინების სამოთხეს შვიდი ბრწყინვალე მზე ანათებს, სამი შუაში და ოთხი კუთხეებში, ქრისტიანებისას - ერთი ბუნდი მთვარე. ქრისტიანებს მიტომ აქვთ სანთელი მოგონილი.

ქრისტიანი რომ ლოცულობს, სულ იმას ამბობს, ცოდვილი ვარო და ჯოჯოხეთი იმიტომ არის საკუთრივ იმათთვის გაჩენილი.

მაჰმადს უთქვამს - რასაც ერთი კარგა აკიდებული ვირი ნახევარი დღის მანძილს გაიკლის, იმდენი თუ ქრისტიანის სოფელზე გასავლელი გზა გაქვთ, მარხვას ნუ შეინახავთ, არა უშავს.

ვითომ ქრისტიანებმა არ იციან მარხულობა, რადგანაც ლობიოთი და ზეთით, კარტოფილით ძლებიან.

მაჰმადმა დილით გაიარა ქალაქის ბაზარზე. ხალხი ჩაის სვამს, მშვიდად მუსაიფობს, ზოგი ტყბილი საღმით, პირზე კოცნით ერთმანეთს ემშვიდობება. მაჰმადმა სთქვა - ჩაი ჩემი რჯულის კაცისთვის დამილოცნია, ალალი იქნასო.

სადილობისას გამოიარა და ნახა - ხალხი ჩხუბით, ლანძღვა-გინებით, მუშტით, ჯოხით და ხანჯლებითაც კი ერთმანეთს ეტანებიან, ზოგი თავ-გატეხილი სისხლში ბანაობს. მაშინ მაჰმადმა სთქვა - ღვინო ჩემი რჯულის კაცისთვის დამინყველია - არამი იქნასო.

მაჰმადის დედის სახლის დერეფანზე, უცბად, შემთხვევით, მელოგინე დედაკაცმა გაირბინა - ზოგის თქმით, შვიდი წლის გაუბანელმა.

მაჰმადის დედა წამოხტა მაშინვე, ხელი მოავლო ასტამს, ცოცხს და იმ დედაკაცის ნაფეხურიდამ მიწა აფხიკა, ცოცხით ასტამზე მოაქუჩა და გაიტანა გარეთ ეზოში გადასაყრელად.

ეზოში ხალხმა მიაძახა - არ ქნა, შენი ჭირიმე, მე ნუ დამაყრიო, შეეხვენა. იქიდამ წაიღო წყალში გადასაყრელად.

წყალმა შემოიძახა გაჯავრებულმა: შენი შვილის გულისთვის მე არ დამაყაროო. იქიდამ გააქცია და კლდეში გადაუძახა. იქა წოლილა ლორი, რომელსაც ზედ დაჟყრია ის მურდალი მიწა. იმის სიმძიმით ეხლა ლორი მუდამ ჭყმუტუნებს და ღრუცუნებს. იმ მიწის სიმურლლით ბალანი წელიდან მთლად გასცვივდა და თეთრი ბალანი მოუვიდა. რომ ვიცოდეთო, რომელ გვერდზე დაეყარა ის მურდალი მიწა, მეორე გვერდი გვეჭმებოდა და კიდეც ვჭამდითო“.

ძალზე საყურადღებოა ქისტური ლეგენდა ვაინახების წარმოშობის შესახებ, რომელიც მსგავსია თერგალის შესახებ არსებული ლეგენდისა, მაგრამ ამ ლეგენდამ საქართველოსთან ურთიერთობაში განიცადა განვითარება:

ცხოვრობდა კაცი, რომელსაც სახელად თურფალი (ქისტური) ერქვა. გადმოცემის თანახმად იგი არაბეთიდან იყო. ყურეიშიტების (მოციქულ მუჰამედის პირდაპირი შთამომავლები) გვარისა, იყო ამაყი და ხალხს ჩაგრავდა. ყურეიშიტების გვარის ხალხმა იგი მძინარე აიყვანეს გემზე, ჩვენს მხარეში ჩამოიყვანეს და აქ დატოვეს. თურფალი თანდათანობით ღრმად შევიდა მთებში და მიალნია ჩრდილო-კავკასიაში ქისტების ქვეყანას, სადაც იმ პერიოდისათვის არც მხეცი, არც ფრინველი არავინ ცხოვრობდა ამ ველურ მთებში. აქ იგი დასახლდა გამოქვაბულში, მოაშენა საქონელი, ცხვარი და დაინყო ცხოვრება. დილით, როცა გარეკავდა საქონელს, გამოქვაბულის შესასვლელს კეტავდა უზარმაზარი ლოდით.

ამ ადგილებში წადირობისას, სრულიად შემთხვევით ამ გამოქვაბულს მიადგა ქართველი თავადი თავისი ამაღლით. დაინახეს, რა გამოქვაბული და ვეებერთელა წინაღობა შესასვლელში, - ქართველებმა თქვეს: „ჩვენ ვერ შევძლებთ ვებრძოლოთ ადამიანს, რომელსაც ასეთი ლოდების აწევა შეუძლია“ და დაბრუნდნენ სახლში. აქ მათ შეარჩიეს ლამაზი მონა ქალი და გაგზავნეს დევგმირთან. მან მიიღო სტუმარი როგორც წესად იყო და ყოველ ღამე ცხვარს კლავდა მისთვის. ასე გავიდა სამი ღამე და დევგმირმა დაუწყო გამოკითხვა ქალს: „მითხარი ვინ ხარ და სადაური?“, „მე ბევრი გამიგონია შენს შესახებ, შემიყვარდი და მოვედი შენთან საცხოვრებლად“, უპასუხა ქალმა. „მე არ მიყვარხარ და შენთან ცხოვრებაც მიჭირს“, თქვა დევგმირმა და დააბრუნა უკან. მას შემდეგ დამკვიდრებულა ჩვეულებად და ტრადიციად: სამი დღის შემდეგ სტუმარი კარგავს სტუმრის უფლებას.

მაშინ ქართველებმა მიუგზავნეს დევგმირს სხვა ქალიშვილი, არა მონა, მაგრამ არც თავადური წარმოშობისა. დევგმირი მასაც ისევე მოექცა, როგორც პირველს. ბოლოს, ქართველმა თავადმა მასთან გაგზავნა თავისი ასული. თავადის ასული მაშინვე ითავსა დევგმირმა და სამი ღამის გასვლის შემდეგ დაინყო მასთან ცხოვრება, როგორც ცოლთან. მაშინ ქართველებმა მოილაპარაკეს ქალიშვილთან, რათა მას ქმრისათვის დაელევინებინა საძილე

სასმელი. იგი შეურეს და მთელი თავისი ჯოგით წაიყვანეს საქართველოში. აქ შეიკრიბნენ თავადები სათათბიროდ. ერთი სთავაზობდნენ დაეხვრიტათ თოფით, მეორენი - ჩაემწყვდიათ კასრში და ჩაეგდოთ წყალში, მაგრამ ქალ-იშვილმა მამას შეუთვალა: „ტანით ხარივით ხარ - ჭუუით კი ხბოზე სულელი. მე ორსულად ვარ, კარგია თუ გოგონა დამებადა, მაგრამ თუ ბიჭი დაიბადა, მე მას ვერ გავუმკლავდები. მამის სიკვდილს ის გულთან ახლოს მიიტანს და შურს იძიებს მამის სისხლისათვის“.

მამა და მთელი თავადობა იძულებული გახდნენ დათანხმებოდნენ ამ მო-საზრებას, ქალიშვილს გამოუყვეს ქონების ნაწილი, რომელიც წესით ეკუთ-ვნოდა და კვლავ დაასახლეს დევგმირი ცოლთან ერთად ძველ ადგილას. აქ გაუჩინა მას ბიჭი, რომელსაც ხელში ფოთოლი ეჭირა და უწოდეს მას ფოთო-ლი (ღა-ქისტურად), რომელსაც შემდგომში ღალდა ეწოდა და აქედან უწოდეს ინგუშებს ღალდაი. მეორე ბიჭი დაიბადა ყველით (ნეხჩ) ხელში. უწოდეს მას ნოხჩუო (ე.ი. ჩეჩჩინი). [6,200-219]

ცხადია, ვაინახების წარმოშობის საკითხის მხოლოდ თქმულებებზე და ლეგენდებზე ან ფოლკლორულ სხვა წყაროებზე დაყრდნობით გადაწყვეტა და დასკვნების გაკეთება მართებული არ იქნებოდა. მაგრამ ერთი რამ აშკარაა: „ჩეჩჩები და მათი ყველაზე ახლო მონათესავე ხალხი - ინგუშები კავკასიის უძველეს ავტოქტონურ მოსახლეობას მიეკუთვნებია“ [7,12].

საინტერესო ვაინახთა ისტორიის და კულტურული მემკვიდრეების ერთ-ერთი დიდი მკვლევარის ა.ს. ტანკიევის მოსაზრება, რომელიც ამბობს, რომ მთელი ეს მემკვიდრეობა „,სულიერი კოშკებია“. მკვევარი აღნიშნავს: „,თუ კი შესაძლებელი იქნებოდა სიტყვის სიტყვასთან, იდეის იდეასთან, ჩვეულების ჩვეულებასთან, ადათის ადათთან, ტრადიციის ტრადიციასთან შეერთება, შეკრება და მათგან სანახავი კოშკების აშენება, ქვეყანა ისევე იქნებოდა გაკ-ვირვებული, აღფრთოვანებული და მოხიბლული, როგორც გაკვირვებული, აღფრთოვანებული და მოხიბლულია ჩვენი წინაპრების მიერ შეემნილი ქვის კოშკებით“ [8,3].

ამ მკვლევარის აზრს აგრძელებს და ავითარებს მექა ხანგოშვილი, როცა ამბობს, რომ „გარეშე მტერთა თავდასხმებისაგან გარიდებული ვაინახთა წი-ნიაპრები გამაგრდნენ მიუვალ მთებში, მთების სწრაფ მდინარეთა ხეობებში, ულრანი ტყებითა და სალი კლდეებით გარშემორტყმულ ტაფობებში და შე-ქმნეს ორიგინალური მატერიალური და სულიერი კულტურა. ჩეჩჩეთ-ინგუ-შეთში მთიანეთში შემორჩენილ არქიტექტურულ ძეგლებს განცვიფრებაში მოჰყავს მხილველი და ამ გრადნიოზული კოშკების ბინადართა მიერ შეემ-ნილი ლეგენდების, მითებისა და სიმღერების მოსმენით მოხიბლული რჩება.

გადმოვინაცვლით კავკასიის სამხრეთ კალთებზე, ვაინახების მოსაზ-ღვრე საქართველოს მთიანეთში და ასევე განცვიფრებული შევყურებთ ყოვ-ელ გორაზე, მიუვალ სალ კლდეებზე აღმართული ტაძრებსა და ციხე-სი-მაგრეებს და თავისდაუნებურად ერთმანეთს ვადარებთ ამ ორი მოძმე ხალხის არქიტექტურულ ნამუშევრებს და უთუოდ ბევრ საერთოს ვპოულობთ, რაც ბუნებრივი და კანონზომიერია.

...არსებულ ლიტერატურულ წყაროებზე, საარქივო მასალებზე, ფოლკლორულ მონაცემებზე დაყრდნობით შეიძლება წარმოვიდგინოთ, თუ როგორ აშენებდნენ საპრძოლო კოშკებს ვაინახები. კოშკებს აშენებდნენ ქვის ოსტატები, რომლებიც ეკუთვნოდნენ მშენებელ-არქიტექტორთა გამოკვეთილ გვარს. შესაძლოა წარმოადგენდნენ თავისებურ კასტას.

დამკვეთი კოშკის მშენებლობისათვის იხდიდა გარკვეულ საზღაურს და ოსტატების კვებაც მას ეკისრებოდა, აგრეთვე, სამშენებლო მასალით უზრუნველყოფაც. მშენებლობა ერთ წელიწადში უნდა დასრულებულიყო, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი რჩებოდა იმ სახით, რა დონეზეც წელიწადი შესრულდებოდა. ფოლკლორი არ ხსნის ამ მკაცრი წესის მიზეზს.

საპრძოლო კოშკის მშენებლობის ადგილის შერჩევა ყველაზე საპატიო საქმე იყო (თავდაცვა, ადგილმდებარეობის მეთვალყურეობა, ლანდშაფტთან ჰარმონიულობა და სხვა) მოითხოვდა პროფესიულ გამოცდილებას და ოსტატებიც დიდ სამუშაოს ატარებდნენ საამისოდ: სამი დღის განმავლობაში საპრძოლო კოშკის ბუნებრივ საძირკველზე (კლდიან ქანზე) ყოველ დილით ასხამდნენ რძეს და თუ მეოთხე დღეს რძე შეწოვილი არ იყო ქანში, ადგილი ითვლებოდა საიმედოდ და იწყებდნენ მშენებლობას.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სამშენებლო ქვის შერჩევას: ყურადღება ექცეოდა არა მარტო სიმტკიცეს, სიმსუბუქეს, არამედ გარეგნობას, ფერს. ესთეტიკის თვალსაზრისით განსაკუთრებით ფადებოდა ლურჯი ფერის ქვა, რმელიც გარემოს ეხამებოდა და ამავე დროს, მას ენიჭებოდა მითოლოგიური თვისება ბაგშვის შობისა. ამ მხრივ საინტერესოა მითი იმის შესახებ, თუ როგორ დაიბადა ვაინახების მითოლოგიური გმირი სოლსა სესქას ძე. „ერთი ქალიშვილი ძროხას წველიდა; იმ ადგილთან ახლოს, იყო ლურჯი ქვა. ერთი ახალგაზრდა ვაჟი, რომელსაც უყვარდა ეს ქალიშვილი, დაჯდა ამ ქვაზე და უყურებდა რა მას, ალევ ზნო, რის გამოც მასში რაღაც მოხდა და ამისგან ქვაში განვითარდა ჩანასახი სოლსა სესქას ძისა. ამის შესახებ გაიგო წმინდა ქალმა სეთა სიელამ. ასული წავიდა, გატეხა ქვა და გამოიყვანა იქიდან სოლსა სესქას ძე.

ვაინახურ მითოლოგიაში სოლსა სესქას ძე ნართ-ერსთხოელი, ხალხის კეთილდღეობისათვის მეპრძოლი ეროვნული გმირი, როგორც ფიზიკური სიძლიერით, ისე რაინდული კოდექსით ძალზე ენათესავება ქართულ ხალხურ ამირანს. ორივე გმირის წარმოშობაში ღვთიური ელემენტი არსებობს (ამირანი ქალღმერთი დალისა და მონადირის შვილია, სოლსა სესქას ძეც არაბუნებრივად, ადამიანის ზემდგომი ძალით ჩაისახა და ღმერთის ასულმა გაზარდა), მათი დაბადებაც მსგავსია: ამირანი დედის მუცლიდან ქირურგიული ჩარევით გამოიყვანა მონადირე სულეალმახმა და სოლსა სესქას ძეც სიელთას ქალიშვილმა სეთამ გამოიყვანა ქვიდან, მისი გატეხვით. მათი მოღვაწეობის დასასრულშიც ღვთის ხელი ურევია. ამირანი კავკასიის ქედზე ქრისტე-ღმერთის ბრძანებით მიაჯაჭვეს და მის წინააღმდეგ ამხედრებისათვის სასტიკად იტანჯვება: არწივი გულმკერდს გადაუხსნის ბრჭყალებითა და გულღვიძლს უკორტნის. ასევე, ღმერთ დეელას რჩეული აულის დარბევისათვის დაისაჯა

სოლსა სესქას ძეც, რომელმაც პროტესტის ნიშნად გამდნარი სპილენძი და-ლია და წამებით მოკვდა.

თუმცა, უნდა შევნიშნოთ, რომ იდეურ ნათესავად ქართველ ამირანს უფრო ვაინახთა ფპარმართი<sup>1</sup> ერგება, რადგან ისიც ამირანივით კავკასიის ქედზე, ბაშლამის<sup>2</sup> წვერზე მიაჯაჭვა ღმერთმა სიელამ, ცეცხლის მოტაცებისა და ადამიანებისათვის გადაცემის გამო და ფრინველთა მეფე იდა ფოლადის ნისკარტს ქვაზე ილესავს და ლვიძლს უკორტნის ფპარმართს მუდამდღე [9,21].

ალსანიშნავია, რომ შეუ საუკუნეებში საქართველოდან და საბერძნეთიდან ვაინახებში ვრცელდებოდა ქრისტიანული სარწმუნოება, რომელიც, როგორც რელიგიური ხასიათის ძეგლებზე დაკვირვება გვიჩვენებს, საკმაოდ ნაყოფიერ ადგილს პოულობს ვაინახებში. ქართველი მისიონერები ჩრდილო კავკასიაში თავიანთ მოღვაწეობაში არ კმაყოფილდებოდნენ მხოლოდ ქრისტიანობის ზეპირი ქადაგებით, სახარებისა და სხვა საეკლესიო წიგნების გავრცელებით, რადგან ვაინახებს იმ პერიოდისათვის არ გააჩნდათ საკუთარი დამწერლობა (სავარაუდოდ, ამ დაბრკოლების დაძლევისათვის ქართველებმა საჭიროდ მიიჩნიეს მეზობელ მონათესავე ხალხში თავიანთი ანბანი გამოეყენებინათ. ასეთი მოსაზრება საკმაოდ აქტუალური ხდება თანამედროვე მეცნიერებაში), აგებდნენ ეკლესიებს, სალოცავებს, მოთმინებითა და დიდი ძალის ხმევით ხდებოდა ქრისტეს მოძღვრებაზე მთიელთა მოქცევა, თუმცა, ამ პროცესს აძნელებდა ის გარემოება, რომ კავკასიის ქედის გავლით სამხრეთიდან გზას იკვლევდა მუსულმანური სარწმუნოება.

ამ პროცესების პარალელურად ხდებოდა ვაინახური საგმირო ეპოსის განვითარება-გაძლიერება, რაც გამოიხატება იმაში, რომ ისტორიული მოვლენებისა და ისტორიული პირების მოქმედებათა ასახვა ხდება მხატვრულ ფორმაში და მისი განსაკუთრებულობა გამოიხატება ფაქტებისა და მოვლენების რეალობაში წარმოსახვით. <<,,იდოლი“ არ ტოვებს ეჭვის ნატამალსაც, რომ მათში ასახული მოქმედი გმირები და მოვლენები რეალურად არსებობდნენ წარსულში. „იდოლის“ შემოქმედი მთელ თავის ღსტატობას, ძალას და ენერგიას მიმართავს იქითკენ, რათა მსმენელი დაარწმუნოს, რომ მისი მონათხრობი სინამდვილეს შეფერება“>> [9:31].

ასეთი, ისტორიულ პირთა ცხოვრებასა და გმირობაზე დაფუძნებული ლეგენდების, თვალსაჩინო მაგალითია შამილის ერთ-ერთ უძლიერეს ნაიბზე, ბაისუნგურ ბენოელზე არსებული ლეგენდა, რომელიც შემდეგს მოგვითხრობს: „როგორდაც, შამილის დროს ორი საჯარისო შენაერთი შეხვდა ერთმანეთს: მეფის რუსეთისა და შამილის რუსთა რიგებიდან გამოემართა ერთი გაბედული კაზაკი, რომელიც ჩეჩინებში ცნობილი იყო, როგორც საუკეთესო მებრძოლი. მან ჩეჩინურად მიმართა მთიელებს, რათა მათ შორის ყველაზე ძლიერი გამოჩენილიყო მასთან საბრძოლველად. ეს ტრადიცია იმ პერიოდისათვის საკმაოდ პოპულარული იყო და ვაჟკაცობის საუკეთესო გამოვლინებად ითვ-

1 ფპარმართი - მითოლოგიური გმირი.

2 ბაშლამი - თოვლიანი მწვერვალი.

ლებოდა. ჩეჩენთა რიგებიდან ეს გამოწვევა მაშინვე პაისუნგურ ბენოელმა მიიღო (ბენოინ პაისხარ). იგი იყო ცალთვალა, ცალფეხა და ცალხელა. ცხენზე თოკით დამაგრებული ორივემ ხმალი იშიშვლა და ცხენებით ერთმანეთისაკენ გამოექანნენ. მიახლოვებისას ორივემ ერთდროულად მოიქნია ხმალი. კაზაკის ცხენი ადგილზე გაშეშდა და მისი მხედარიც ადგილზევე დარჩა, თითქოს არაფერი მომხდარიყო. პაისუნგური კი უკან დაბრუნდა. შამილმა ნაიბის მკერდზე შენიშნა საკმაოდ დიდი ჭრილობა, საიდანაც სისხლი მოჩერდა.

იმამმა წამოიძახა:

-პაისუნგურ! შენ ყველა გიცნობს, როგორც დაუმარცხებელ და სახელგანთქმულ მებრძოლს. როგორ შეგეძლო სირცხვილი გეჭმია შენთვისაც და ყველა ჩვენგანისთვისაც, აბა უყურე კაზაკი ცხენზე ზის, შენ კი ასეთი ჭრილობით დაგვიბრუნდი.

-მოიცადე ცოტა ხნით, იმამო, - უპასუხა პაისუნგურმა - კაზაკის ცხენი ჯერ ადგილიდან არ დაძრულა.

კაზაკთან დაბრუნებული ნაიბი მიუახლოვდა მის ცხენს, რომელიც ადგილიდან დაიძრა და რამდენიმე ნაბიჯით გაეცალა მას. მხედარს თავი მხრებიდან ჩამოუვარდა“

შესაძლოა დღევანდელი გადასახედიდან დაუჯერებლად ან გადაჭარბებულად მოგვეჩვენოს ხალხში დღემდე შემონახული ამბავი „რუსთა რისხვის“, ბაისუნგურის შესახებ, მაგრამ ამ პიროვნების ცხოვრების წესი, მისი ნარმოუდგენლად დიდი ავტორიტეტი მოსახლეობაში, მის მიერ განვლილი ცხოვრებისეული გზა, რომელიც ნაიარევებით, ჭრილობებითა და სხეულის ნაწილების დაკარგვით იყო აღსავსე, ალბათ, ქმნიდა იმის შესაძლებლობას, რომ მის ბევრ ქმედებაში ადამიანებს რაღაც დვთიური, ზებუნებრივი ძალა დაენახათ. ერთი რამ ცხადია, რომ ადამიანებისათვის იგი იყო თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის სიმბოლო, ცოცხალი მაგალითი იმისა, რომ ამ პიროვნებაში მტერმა ვერ ჩაკლა ბრძოლის ჟინი, რადგანაც მთელი მისი არსება ამ ჟინით იყო აღსავსე. სწორედ ამიტომაცაა, რომ მისი პიროვნებისათვის უცხო იყო შიშის გრძნობა. თავისი ბუნებით მას ვაჟას ლიტერატურულ გმირებს შევადარებდი, თუმცა, როგორც ისტორიული, რეალური პიროვნება, მიმაჩნია, რომ იგი მათზეც მაღლა დგას“ [10:42-44].

### ბიბლიოგრაფია:

1. მ. ალბუთაშვილი, პანკისის ხეობა, თბ., 2005.
2. ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა - ქართლის ცხოვრება, ტ IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხბიშვილის მიერ, თბ.1979
3. Пицхелаури К., Дедабришвили Ш., Работы кахетинской археологической экспедиции в зоне строительство верхне-алазанской оросительной системы (1965-1969), ТКАЭ, I, Тб. 1969.

- 
4. Ахриев Ч., Ингушские праздники, ССКГ, Вып.5, Тифлис, 1871
  5. ქართული ხალხური პოეზია, ტ. I, თბ. 1972, გვ. 301
  6. Яковлев Н., Ингуши (популярный очерк), Москва-Ленинград, 1925.
  7. ჩეჩნური ფოლკლორი, „კავკასიური სახლი“, თბ., 1996 წ.
  8. Танкиев А. Х., Духовные башни Ингушского народа, Саратов, 1997 г.
  9. მ. ხანგოშვილი, ვაინახური საგმირო ეპოსი, თბ., 2006 წ.
  10. ზ. გუმაშვილი, ბაისუნგურ ბენოელის ვინაობისთვის, თბ., 2009 წ.

## ZAUR GUMASHVILI

### MYTHOLOGY OF KISTS

#### Abstract

The goal of studies to represent mythological picture of Kist ethnicity that goes back to ancient times. Diversity of the Kist people mythology worth attention.

In the study there is shown that Kist Version of epos appears to be the part of General Caucasian Narts epos that have parallels with other Caucasus people too.

Some of epic heroes preserved their ancient characteristic that gives us opportunity to see half-gods in them. Beside this the epos helps us to make clear picture of Kist divers mythology as well as the traces of ancient civilization.

**Keywords:** Kist, mythology, Caucasus, epos

## ЗАУР ГУМАШВИЛИ

### КИСТИНСКАЯ МИФОЛОГИЯ

#### Резюме

В статье рассмотрены вопросы довольно многообразной мифологии Кистинцев. В статье показано, что Кистинский вариант нартского эпоса является частью общекавказского нартского эпоса, который имеет множество паралелей с другими народами Кавказа. Некоторые герои названного эпосса сохранили античные штрихи, которые дают возможность заметить в них полубожеств, так же помогает в понимании, что ясно увидеть в Кистинской мифологии многообразный и древний след названного эпосса.

**Ключевые слова:** кистинская мифология; народы Кавказа; Нартский эпос.

# ისტორიული დემოგრაფია

რევაზ გაჩაჩილაძე

## ებრაელები საქართველოში (ისტორიულ-დემოგრაფიული ნაკვეთი)

მოცემულია ებრაელების ქართლში მოსვლის „ფუნქციური ჰიპოთეზა“ და განხილულია XIX და XX საუკუნეების დემოგრაფიული სტატისტიკის მონაცემები საქართველოში მცხოვრები ებრაული მოსახლეობის შესახებ. ნაჩვენებია ამ ეთნო-რელიგიური ჯგუფის რაოდენობრივი დინამიკა, სტრუქტურა, ემიგრაციის ფაქტორები.

### ებრაელები საქართველოს ტერიტორიაზე XIX საუკუნემდე

ქართული მოსახლეობის რიცხობრივი დომინაციის პირობებში, საქართველოს ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ სხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლებიც. მათ შორის ისტორიულად ერთ-ერთი ყველაზე ხანგრძლივი ურთიერთობა ეთნიკურ ქართველებს ჰქონდათ ებრაელებთან.

ჯერ კიდევ ძვ. წ. VIII-VII საუკუნეებიდან ახლო აღმოსავლეთის ტერიტორიაზე ჩადება ბევრი ებრაული გალუთი (მრავლობითში – გალუიოთ), რაც ბერძნული დიასპორის (გაფანტულობის) შესატყვისია. დეპორტაციებთან ერთად, რომელთა შორის იგულისხმება ყველაზე ცნობილი აქტი – ბაბილონის მეფე ნაბუქოდონოსორის მიერ ძვ. წ. 586 წელს იერუსალიმის აღება და ტყვების წასხმა შუამდინარეთში[1, 96] – ბიბლიური ხანიდან მოყოლებული არც თუ ცოტა ებრაელი საკუთარი წებითაც მიდიოდა ემიგრაციაში.

ებრაულ ენაზე როგორც ებრაელი, ისე იუდეველი გამოიხატება ერთი და იმავე ტერმინით – „იუდი“ (Yehudi). ებრაელთა/იუდეველთა რელიგიურ და ეთნიკურ იდენტობას შორის განსხვავება არ არსებობს.

ქართულ ისტორიულ ქრონიკაში ებრაელების ქართლში მოსვლის შესახებ დაცული ერთადერთი ცნობა ძვ. წ. VI საუკუნეზე მიგვითითითებს [2]. ლეონტი მროველი ანტიკური ხანის მცხეთაში ებრაელთა დამკვიდრებას უკავშირებს ნაბუქოდონოსორის მიერ იერუსალიმის აღების შემდეგ „მუნით ოტებულ ურიათა“ ერთი ჯგუფის შორეულ ქართლში წამოსვლას.

რამდენად ახლოსაა ეს ცნობა რეალობასთან? იქნებ მართლაც ასე იყო. თუმცა ლოგიკა გვკარნახობს, რომ თუკი ლტოლვილების ამ ჯგუფს მხოლოდ თავის გადარჩენა ენადა, ის არ გაუდეგბოდა რამდენიმე თვის სავალ სახითო გზას იერუსალიმიდან მცხეთამდე.

უნდა არსებობდეს სხვა ვერსიებიც ქართლში ებრაული მოსახლეობის პირველი გამოჩენისათვის. ერთ-ერთ ასეთ ვერსიად გვეჩვენება „ფუნქციური ჰიპოთეზა“, რომელიც ებრაელების მცხეთაში გამოჩენას გარკვეულ ფუნქციურ დატვირთვას მისცემდა.

მას შემდეგ, რაც აქამანიანთა ირანის მეფე კიროს II-მ გაანადგურა ახალი ბაბილონის სამეფო, მან იერუსალიმში დაბრუნებისა და ტაძრის აღდგენის ნება დართო ებრაელებს. მაგრამ ებრაელთა საკმაო ნაწილი აქამანიანთა იმპერიაში დარჩა: ეს თანახის „ესთერის წიგნშიდანაც“ ჩანს. მათი უმრავლესობისათვის მშობლიურ ენად უკვე ქცეულიყო არამეული ენა.

ძველი ეგვიპტელებისა ან ძველი ბერძნებისაგან განსხვავებით ძველ ებრაელებს თავი არ გამოუჩენით არც სახვით ხელოვნებაში და არც არქიტექტურაში, მაგრამ დაწერილი ტექსტის მიმართ მათ განსაკუთრებული დამკიდებულება ჰქონდათ. ებრაელების საკმაო ნაწილი წიგნიერი იყო, ზოგი მათგანის პროფესიად კი გადამწერლობა ქცეულიყო. იქნებ ამ ადამიანების მიერ არამეულისა და სხვა ენების ცოდნა შეიძლება გამოდგეს ებრაელთა პირველი ნაკადის მცხეთაში მოსვლის ასახნელად?

საქმე ისაა, რომ აქამანიანთა ხანიდან მოყოლებული ირანში გავრცელებული იყო ოფიციალური ტექსტის წერისა და წაკითხვის თავისებური მეთოდი, რომელსაც ალოგლოტოგრაფიის სახელით იცნობენ [3, 198-201].

აკად. თ. გამყრელიძის მიხედვით, აქამანიანთა ირანში შაჰინშაჰის ბრძანების ან რეგიონის მმართველის მოხსენებითი ბარათის ან ანგარიშის ჩაწერა ხდებოდა ამჟამად მკვდარ ელამურ ენაზე, ლურსმული დამწერლობის გამოყენებით, მაგრამ ტექსტის წაკითხველი უმაღ თარგმნიდა და მსმენელისათვის გასაგებ ენაზე კითხულობდა მას. პართიისა (ძვ. წ. 240 - ახ. წ. 226 წწ.) და სასანიანთა ირანის (226-651 წწ.) დროს კომუნიკაციის იგივე მეთოდი გამოიყენებოდა. ოღონდ იმ პერიოდში ტექსტს წერდნენ არამეულ ენაზე, ამ უკანასკნელის კონსონანტური დამწერლობის (აბჯადის) გამოყენებით, რაც ბევრად უფრო მარტივი და სწრაფი პროცედურა იყო ელამური ენის ლურსმული დამწერლობის გამოყენებასთან შედარებით. მიწერილ არამეულ ტექსტს კი უმაღ თარგმნიდნენ მსმენელისათვის გასაგებ ფალაურ („საშუალო სპარსულ“) ენაზე. ყველა ასეთ შემთხვევაში დამწერიც და წამკითხველიც ერთდროულად ორი – არამეული და ფალაური – ენის სრულყოფილი მცოდნე უნდა ყოფილიყო.

უნდა ვიფიქროთ, რომ პართიისა და სასანიანი მეფეების სატახტო ქალაქებსა და ქართლის დედაქალაქს შორის კომუნიკაციისათვის საჭირო ენების მცოდნე ადამიანები ყოფილიყვნენ ირანში ნაცხოვრები ებრაელები. არქეოლოგების მიერ მცხეთაში აღმოჩენილი ქვაზე ნაკვეთი/ნაკანი არამეული ტექსტები ამ ენის მცოდნეების მიერ უნდა იყოს შესრულებული. იქვე ნაპოვნი დაახლოებით ორი ათასი წლის წინანდელი საწერი საშუალებებიც ადასტურებს, რომ მცხეთაში იყო ხალხი, ვინც ეტრატზე ან სხვა საწერ მასალაზე კალმითა და მელნით წერდა.

რატომ არ შეიძლება დავუშვათ, რომ არამეულისა და ფალაურის მცოდნე თარჯიმნები ოჯახებთან ერთად წავიდოდნენ მცხეთაში (ისევე, როგორც

პართიისა და სასანიანთა იმპერიის სხვა რეგიონულ ცენტრებსა ან მეზობელ ქვეყნებში) და იქ კარგა ხნით, იქნებ სამუდამოდაც კი, დარჩებოდნენ? ბუნებრივია, რაღაც ეტაპზე მათ ქართულის შესწავლაც დასჭირდებოდათ ადგილობრივ ხელისუფლებასთან და ხალხთან საურთიერთოდ. ამ თარჯიმანთა ოჯახის წევრები და მათივე რელიგიის თანამოძმები ეკონომიკური ტიპის საქმიანობაშიც (ვაჭრობა, ხელოსნობა) ჩაერთვებოდნენ. საუკუნეთა განმავლობაში ებრაელები გადავიდოდნენ მცხეთიდან საქართველოს სხვა რეგიონებშიც.

ჯამში ასეთ პროცესს შეიძლება ეწოდოს მიგრაცია ეკონომიკური მოტივით და არა პოლიტიკური მოტივით – დევნისაგან თავის გადასარჩენად.

იუდეველთა მცხეთაში დამკაიდრების ასეთი „ფუნქციური ჰიპოთეზა“, რასაკვირველია, **სავარაუდო დაშვებაა**. ასეთი დაშვების შემთხვევაში მათი მოსვლა შეიძლება დაწყებულიყო პართიის ხანაში, 20-22 საუკუნის წინ [4, 162-163]. ამასთან, შესაძლებელია იმის დაშვებაც, რომ ქართლში ებრაელთა სხვა მიგრაციული ნაკადები ადრეც შემოდიოდნენ, უფრო მოსალოდნელია, რომ ირანიდან, სადაც მათი დიასპორა ძველთაგანვე მრავალრიცხოვანი იყო.

ძველ საქართველოში ებრაელების საგრძნობი ნაწილი ვაჭრობა-ხელოსნობას მისდევდა, თუმცა უმეტესობა სოფლის მეურნეობაში უნდა ყოფილიყო ჩართული. ამის გარეშე პრაქტიკულად ნატურალური მეურნეობის პირობებში მათ არსებობა გაუჭირდებოდათ: მათი გლეხები ამზადებდნენ ისეთ საკვებს, რასაც ქაშრუთი იუდეველებისათვის დასაშვებად მიიჩნევს. საკმაოდ ბევრი ებრაელი იქცა ყმა გლეხად: ასეთი ფაქტები მრავლად არის მოყვანილი, მაგალითად, ლ. ბააზოვას წიგნში [5]. ზოგი მათგანი კი მიწათმფლობელიც შეიძლებოდა გამხდარიყო. მაგალითად, 1260 წლით დათარიღებულ ერთ ნასყიდობის საბუთში ვხედავთ, რომ ქართველი დიდებული ქართლის ერთი სოფლის ნახევარს ყიდულობს მუსლიმი მფლობელისაგან, მეორე ნახევარს კი სომეხი და ებრაელი თანამფლობელებისგან, რომელთაც ადრე ეს მამული საზიაროდ უყიდიათ [6, 147].

შუა საუკუნეების ევროპის ქრისტიანული ქვეყნების უმეტესობაში ებრაელებს არ ეძლეოდათ არც მიწის ფლობისა და არც მიწით სარგებლობის უფლება. ამიტომაც ისინი ურბანიზებულ მოსახლეობად იქცნენ და ისეთ პროფესიებში ჩაერთვნენ, რომელთაც სოფლის მეურნეობაზე ბევრად მეტი ეკონომიკური ეფექტი ჰქონდათ.

შუა საუკუნეების ისლამურ ქვეყნებში ებრაელობა უკეთ გრძნობდა თავს, ვიდრე დასავლეთ და ცენტრალური ევროპის ქრისტიანულ სამეფოებში. თეორიულად ისლამი რჯულშემწყნარებელია „წიგნის ხალხების“ – იუდეველებისა და ქრისტიანების – მიმართ, იმ პირობით, რომ ისინი მუსლიმ მმართველს დაემორჩილებიან და სულადობრივ გადასახადს გადაიხდიან. პრაქტიკულად კი ხალიფებს, შაჰებს, სულტნებს ესაჭიროებოდათ ფულთან დაკავშირებული არამუსლიმები. ყურანი მუსლიმს უკრძალავს მევახშეობას, მაგრამ საბანკო სისტემის არარსებობის პირობებში ასეთი ეკონომიკური ფუნქციის შესრულება მაინც აუცილებელი იყო. ებრაელი ვაჭრები მევახშის ფუნქციასაც

ასრულებდნენ და, ჩვეულებრივ, სარგებლობდნენ მუსლიმი მმართველის მფარველობით, რომელსაც, არც თუ იშვიათად, თავადაც ესაჭიროებოდა სესხის აღება.

როდესაც ოსმალეთის სულტანმა პაიაზითმა შეიფარა 1492 წელს ესპანეთიდან და 1497 წელს პორტუგალიდან განდევნილი ებრაელები, სავარაუდოდ, მას ჰუმანურობაზე მეტად ამოძრავებდა პრაგმატული ეკონომიკური ინტერესი.

ქრისტიანი ქართველების ტრადიციულად არაკონფრონტაციული თანაარსებობა ებრაელებთან შეიძლება აიხსნას ორი ძირითადი მიზეზით. ერთი, ასე ვთქვათ, ფსიქოლოგიურ-ემოციურია, მეორე კი – ეკონომიკური.

პირველი ისაა, რომ ქართული ტრადიცია ებრაელებს აკავშირებს ქართლში ქრისტიანობის შემოტანასთან. „მოქცევად ქართლისაა“ ახსენებს, ფაქტობრივად, პირველ იუდეო-ქრისტიანებს, როდესაც მათ მიერ მცხეთაში ქრისტეს კვართის ჩამოტანაზე გვიყვება. მიუხედავად იმისა, ასახავს თუ არა ეს ნარატივი რეალობას, ქრისტიან ქართველს ასეთი ვერსიისა სჯეროდა და განწყობილი იყო უცხოდ არ აღექვა ქართულენოვანი ურია: მე-20 საკუნძმდე ეთნიკური ქართველი ამ სახელით იცნობდა ქართველ ებრაელს, რასაც სულაც არ დაჰკრავდა დამამცირებელი ელფერი (ტერმინი „ქართველი ებრაელი“ შედარებით ახალია).

მართლმადიდებელი ეკლესია არ განაწყობდა მრევლს იუდეველების წინააღმდეგ. გარდა ამისა, საქართველოში არსებობდა ეთნო-რელიგიური თანაარსებობის ტრადიცია: ზემოხსენებული 1260 წლის ისტორიული დოკუმენტიც გვიჩვენებს, რომ ქრისტიანი-მართლმადიდებელი, ქრისტიანი-მონოფიზიტი, მუსლიმი და იუდეველი მშვიდობიანად თანაარსებობდნენ ქართულ სახელმწიფოში.

არაკონფრონტაციული თანაარსებობის მეორე მიზეზია, რომ შუა საუკუნეების და, ალბათ, უფრო ადრინდელ საქართველოშიც ებრაელების საგრძნობმა ნაწილმა დაიკავა ის ეკონომიკური ნიშა – საცალო ვაჭრობა (საბითუმო ვაჭრობა ძირითადად სომეხი სოვდაგრების მონოპოლია იყო) და მევახშეობა – რასაც ქართველი დიდებული არ კადრულობდა, ხოლო გლეხს ასეთი საქმის არც არაფერი გაეგებოდა და არც უფლებამოსილება ჰქონდა. შუა საუკუნეებში და XIX საუკუნეშიც კი გამდიდრებული ებრაელი საერთო ენას გამონახავდა ქართველ დიდებულთან. ღარიბი ებრაელი კი ქართველ გლეხზე შეძლებული შეიძლება არც ყოფილიყო. საშუალო ეთნიკური ქართველისათვის არ არსებობდა საშუალო ებრაელის მიმართ შურის ნარმოშობის წინაპირობა, ან საკუთარი არასრულფასოვნების კომპლექსის ჩამოყალიბება, რაც, ჩვეულებრივ, არის ხოლმე ანტისემიტიზმის ჩამოყალიბების საფუძველი.

როგორც ცნობილი ქართველი მწერალი, ნამოშობით ებრაელი, გურამ ბათიაშვილი წერდა: „ებრაელობა საქართველოში ისევე შრომობდა, ისევე აქცევდა ოფლს და სისხლს ამ მიწას, როგორც ქართველი... ებრაელს ჰქონდა თავისუფალი არსებობისა და შრომის უფლება. ებრაელის სისხლი არ დაღვრილა იმის გამო, რომ ის ებრაელია“ [7, 7].

## ებრაული მოსახლეობა საქართველოს ტერიტორიაზე XIX საუკუნეში

XX-XXI საუკუნეების არაერთი ავტორი შეეხო საქართველოში ებრაელთა ცხოვრების ისტორიას (მაგალითად, ზ. ჭიჭინაძე, ნ. ბაბალიკაშვილი, კ. ლე-რნერი, ე. მამისთვალიშვილი, გ. ბათიაშვილი, ჯ. აჯიაშვილი, ი. დავიდი, ლ. ბააზოვა და სხვ.). როინ მეტრეველმა სამენოვანი (ქართულ-ებრაულ-ინგლი-სური) წიგნი მიუძღვნა მათ ისტორიას [8].

ამასთან, მაინც რჩება საქართველოს ებრაელობასთან დაკავშირებული დემოგრაფიული სტატისტიკის კრიტიკულად განხილვის საჭიროება.

საქართველოს ებრაული მოსახლეობის შესახებ სტატისტიკური ინფორმაცია ჩნდება მხოლოდ რუსთის იმპერიის მიერ საქართველოს ანგელიკაშვილის შემდეგ.

„რეფორმისშემდგომ“ პერიოდში, ანუ ბატონყმობის გაუქმების შემდეგ (1861 წ. - რუსულ გუბერნიებში, 1864-1871 წლებში – საქართველოში) რუსეთის იმპერიის სახელმწიფო მმართველობის სისტემამ დაიწყო დაახლოება ევროპულ მოდელთან და სტატისტიკური სამსახურიც გაუმჯობესდა.

იმდროინდელი საქართველოს მოსახლეობის შესახებ ინფორმაციას გვანვდის „კავკასიის სტატისტიკური კომიტეტის“ მიერ 1870-იან წლებში შეკრებილი ინფორმაცია, რომელიც გამოქვეყნდა 1880 წელს „Сборник сведений о Кавказе“-ს მე-7 ტომში [9]. ვახტანგ ჯაომვილმა დაადგინა, რომ მონაცემები 1873 წელს განეკუთვნება [10, 9], რის გამოც მათში ვერ იქნებოდა შეტანილი ინფორმაცია ბათუმის ოლქის მოსახლეობის შესახებ, რომელიც რუსეთის იმპერიამ მხოლოდ 1878 წელს შეიერთა.

ზემოხსენებულ „კრებულში“ მოტანილია სტატისტიკური ცხრილები მთელი კავკასიის მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის შესახებ. მოსახლეობის რიცხოვნობა მითითებულია გუბერნიების, მაზრებისა და ზოგიერთი დასახლებული პუნქტის მიხედვითაც კი.

ებრაელების შემთხვევაში არაა მითითებული მათი სუბეტნიკური დაყოფა (აშკენაზი<sup>1</sup>, ქართველი, მთიელი, ბჟეხარელი და ა.შ.). მაგრამ შედარებით მნირი ინფორმაციაც გვაძლევს საშუალებას ნაწილობრივ დავადგინოთ ებრაელების განსახლების გეოგრაფია 1870-იანი წლების საქართველოში. „კრებულის“ მიხედვით ქუთაისის გუბერნიაში, რომელიც მოიცავდა დასავლეთ

1 აშკენაზი (გერმანულად Aschkenasi, ებრაულად אַשְׁקֵנָזִי) არის ცენტრალური და ცენტრალურ-აღმოსავლეთ ევროპის ებრაელების კრებითი სახელი. მათი სალაპარაკო ენა იყო X-XIV საუკუნეებში განვითარებული იდიში (Yiddisch), რომელიც 70 პროცენტით იყენებს გერმანულ ლექსიკას გამდიდრებულს ნასესხობებით ებრაული, არამეული, სლავური ენებიდან. იდიში იყენებს ებრაულ დამწერლობას, მაგრამ ეყრდნობა გერმანული ენის მორფოლოგიას და სინტაქსს. ამჟამად იდიშის გავრცელების არეალი ძალიან შეცირებულია. მისი მატარებლების საგრძნობი ნაწილი ჰოლოკოსტს შეეწირა, ხოლო ისრაელში მას, არსებითად, სდევნიდნენ, როგორც საკუთრივ ებრაული ენის კონკურენტს. საბჭოთა პერიოდის რუსულში იდიშს უწოდებდნენ ევрейსკий იზიდაში საკუთრივ ებრაულს – ივრი-ს. ებრაული ენის აღსანიშნავად ქართულში ხანაშან იყენებენ ტერმინს „ივრითული“.

საქართველოს (იმ დროს – სოხუმის ოკრუგისა და აჭარის გარეშე), სულ სახლობდა 3516 ებრაული, ხოლო თბილისის გუბერნიაში, რომელიც აღმოსავალეთ საქართველოს ფარავდა, – 5295, ანუ ჯამში სულ 8811 ადამიანი [11, 10-17] (იხ. ცხრილი 1).

1880 წელს გამოცემულ „კრებულში“ ნახსენები არაა ზოგიერთი პუნქტი, სადაც ებრაულები ნამდვილად სახლობდნენ, მაგალითად, გორის მაზრაში შემავალი ქ. ცხინვალი, დაბა სურამი და სხვ.

ცხრილ 1-ში „დაბას“ (შემოკლებით „დ.“) შეესატყვისება რუსული ტერმინი მესტეჩკი<sup>2</sup>, რაც ებრაულთა განსახლებას უკავშირდებოდა: რუსეთის იმპერიის ებრაულები ძირითადად ცხოვრობდნენ მესტეჩკი/შტეტლში. იმდროინდელი ქართველი ებრაულებიც ცხოვრობდნენ პატარა ქალაქებში, დაბებსა ან მოზრდილ სოფლებში, რომელთაც იმპერიისდროინდელი სტატისტიკა მესტეჩკი-დ მოიხსენიებდა. საქართველოს დიდ ქალაქებში მათი მიგრაცია XIX საუკუნის ბოლო ათწლეულებში იმატებს.

### ცხრილი 1

#### ებრაული მოსახლეობა თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში, ცალკეულ მაზრებსა და დასახლებულ პუნქტებში (1873 წ.)

ადმინ.-ტერ. ერთეული და დასახლებული პუნქტი	ებრაული მოსახლეობა
თბილისის გუბერნია მათ შორის	5295
ქ. თბილისი	1145
დანარჩენი თბილისის მაზრა	32
ქ. თელავი	19
დანარჩენი თელავის მაზრა	6
გორის მაზრა	2093
ქ. ახალციხე (ახალციხის მაზრა)	1972
ქ. ახალქალაქი (ახალქალაქის მაზრა)	27
ქუთაისის გუბერნია მათ შორის	3516
ქ. ქუთაისი	1579
დანარჩენი ქუთაისის მაზრა	134
დ. საჩხერე (შორაპნის მაზრა)	628
დ. ონი (რაჭის მაზრა)	484
დ. ლაილაში (ლეჩხუმის მაზრა)	400
დ. სუჯუნა (სენაკის მაზრა)	203
დ. ახალ-სენაკი (სენაკის მაზრა)	88

2 იდიშზე მესტეჩკი-ს შეესაბამება სიტყვა უსულ (შტეტლ), რომელიც ეტიმოლოგიურად უკავშირდება გერმანულ Städlein-ს, ანუ „პატარა ქალაქს“.

ცხრილ 1-ში ყურადღებას ისყრობს ეპრაელების საკმაოდ დიდი რაოდენობა (ორი ათასამდე) ქ. ახალციხეში. როგორც ჩანს, ახალციხელი ეპრაელებიც იყვნენ ის „გურჯები”<sup>3</sup>, რომლებიც XIX საუკუნეში ავიდნენ იერუსალიმში და იქ „გურჯების უბანი” დააკარსეს.

დემოგრაფიული ინფორმაციის მნიშვნელოვანი წყაროა 1897 წელს ჩატარებული რუსეთის იმპერიის მოსახლეობის პირველი საყოველთაო აღწერა (როგორც შემდგომში გაირკვა, ის იმპერიის ხანაში უკანასკნელიც აღმოჩნდა). კავკასიის შესახებ აღწერის მონაცემები გამოქვეყნდა პეტერბურგში 1905 წელს [12].

1897 წლის აღწერამ აჩვენა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე, ანუ თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში (ეს უკანასკნელი იმ დროს მოიცავდა ბათუმის ოლქსა და სოხუმის ოკრუგს), ცხოვრობდა 16716 იუდეველი, რაც შეადგენდა იმდროინდელი საქართველოს მთელი მოსახლეობის (1, 310 მლნ) 1,28 პროცენტს. მათი გეოგრაფიული განაწილება მოყვანილია ცხრილ 2-ში.

## ცხრილი 2

იუდაისტური აღმსარებლობის მოსახლეობა საქართველოს ტერიტორიაზე  
მსხვილი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულებისა და მათი  
ცენტრების მიხედვით (1897 წლის მოსახლეობის აღწერის მონაცემებით)

ადმინის. ერთეული	ეპრაელენოვანი	ქართულენოვანი	სულ
თბილისის გუბერნიაში, სულ	5079	4158	9237
მათ შორის ქ. თბილისში	2868	411	3279
ქუთაისის გუბერნიაში, სულ	5758	1721	7479
მათ შორის ქ. ქუთაისში	3410	38	3448
ბათუმის ოლქი	1053	51	1104
მათ შორის ქ. ბათუმში	1043	51	1094
სოხუმის ოკრუგში	135	14	149
მათ შორის ქ. სოხუმში	134	9	143

წყარო: [13, 107-124]

1897 წლის მოსახლეობის აღწერას სერიოზული ნაკლი ახლდა: სააღმერო ფურცელში არ იყო კითხვა ეროვნების შესახებ, კითხვები ეხებოდა მხოლოდ მშობლიურ ენასა და რელიგიას. ამ ხარვეზს ეპრაელების შემთხვევაში თითქოს ნაკლებად უნდა ემოქმედა, რადგან იუდაისტური აღმსარებლობის ყველა პირი ეპრაელია. მშობლიური ენის მიხედვით კი შეიძლებოდა

3 „გურჯი“ არის „ქართველის“ სახელი სპარსულ და თურქულ ენებზე. 1917 წლამდე ოსმალეთის იმპერიაში შემავალ პალესტინაში, 1922-1948 წლებში – ბრიტანეთის სამანდატო პალესტინაში და 1948 წლიდან ოციოდე წელი – ისრაელის სახელმწიფოში ქართველ ეპრაელებს იცნობდნენ სახელით „გურჯი“. 1970-იან წლებიდან, საქართველოს სსრ-დან დიდი ალიის შემდეგ, ისრაელში მათ სახელად რუსულის გავლენით გამოიყენებოდა ტერმინი „გრუზინი“, XXI საუკუნიდან კი – „გორგი“.

დადგენილიყო მათი კუთვნილება ებრაელთა სუპეთნოსისადმი<sup>4</sup>: ებრაელთა ერთ-ერთი ასეთი სუპეთნოსია „ქართველი ებრაელები“. ასე მაგალითად, ქ. ბაქოში 1897 აღრიცხულ 1008 ადამიანს შორის, ვინც მშობლიურ ენად ქართული მიუთითა, იუდაიზმის მიმდევარი 50 ადამიანი იყო: ისინი ქართველი ებრაელები იქნებოდნენ.

მაგრამ საქართველოში მცხოვრები ებრაელების შემთხვევაში 1897 წლის აღნერამ მშობლიური ენა არასწორად აღრიცხა და ამიტომაც მცდარი გამოვიდა ებრაელების განაწილება ენობრივ თემებად.

საქართველოში აღირიცხა 10837 იუდეველი მშობლიური „ებრაული ენით“ (იგულისხმებოდა იდიში). ქართველმა ებრაელებმა იდიში არ იცოდნენ, მაგრამ აღნერის ორგანიზატორებმა მათ ამ ენის ცოდნა მიაწერეს! ამიტომაც ქართული, როგორც მშობლიური ენა, მითითებული აღმოჩნდა საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები მხოლოდ 5879 იუდეველისათვის. ქუთასის გუბერნიაში აღრიცხულ 7479 იუდაისტური აღმსარებლობის მცხოვრებიდან ქართული მშობლიური ენად აქვს მითითებული მხოლოდ 23 პროცენტს (დანარჩენს – „ებრაული“), თუმცა ცნობილია, რომ ქუთასის გუბერნიის თითქმის ყველა ებრაელი ქართულენოვანი იყო.

მიუხედავად ხარვეზებისა, 1897 წლის აღნერის შედეგად მიღებული სტატისტიკური მონაცემები მაინც ღირებულა. მათი შედარება 1873 წლის მონაცემებთან გვიჩვენებს, რომ 24 წლის განმავლობაში იუდაიზმის მიმდევარი მოსახლეობის რიცხოვნობა საქართველოს ტერიტორიაზე გაორმაგდა: 1873 წლის 8,8 ათასიდან თითქმის 17 ათასამდე 1897 წელს.

რუსეთის იმპერიაში, სადაც ახალშობილთა და ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი მაღალი იყო, მოსახლეობის ასეთი ზრდა მხოლოდ ბუნებრივი ნამატის მეშვეობით ვერ მოხდებოდა. საქართველოს ტერიტორიაზე ებრაული მოსახლეობის ზრდის მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო აშკენაზი ებრაელების შემოსვლა იმპერიის ევროპული ნაწილიდან (მარჯვენა ნაპირის უკრაინა, ბელარუსი, პოლონეთი, ლიეტუვა), რომელიც მე-18 საუკუნეში რეჩ პოსპოლიტას შემადგენლობაში შედიოდესარაბიიდან და ევროპული ქვეყნებიდან.

იმპერიის შემადგენლობაში შემავალ სამხრეთ კავკასიაზე, მათ შორის საქართველოს ტერიტორიაზე, არ ვრცელდებოდა ებრაელების „ბინადრობის ზღვარის“<sup>5</sup> შეზღუდვა. ამიტომაც XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის

4 საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ადამიანების მცირე ნაწილმა 1897 წელს მშობლიურ ენად მიუთითა „ებრაული“ (როგორც ჩანს, იდიში), ხოლო სარწმუნოებად – მართლმადიდებლობა (ასეთი იყო 129 ადამიანი), სომხური გრიგორიანობა (11), ან კათოლიციზმი (7). თუ ეს არ იყო აღნერის შეცდომა, ასეთი ადამიანები შეიძლება ყოფილიყვნენ ქრისტიანად მონათლული ებრაელები (რუსულად – ვიკრესტ).

5 1791 წლიდან რუსეთის იმპერიაში ებრაელებს დაწესებული ჰქონდათ „ბინადრობის ზღვარი“ (რუსულად „черта оседлости“), რომელიც მოიცავდა იმპერიის მიერ ანექსირებული რეჩ პოსპოლიტის (პოლონეთის სამეფოს) ტერიტორიას, რაც პოლონური გუბერნიების გარდა მოიცავდა მარჯვენა ნაპირის უკრაინას,

დასაწყისში სწრაფად განვითარებად მრავალეთნიკურ ქალაქებში, თბილისა და ბათუმში, აშკენაზი ებრაელების ჩამოსახლება საქართველოს ებრაელთა რაოდენობრივი ზრდის ერთ-ერთ ძირითად ფაქტორად იქცა.

### **ებრაული მოსახლეობა საბჭოთა პერიოდის საქართველოში**

1926 წელს მთელ საბჭოთა კავშირში ჩატარდა მოსახლეობის პირველი საყოველთაო აღწერა, რომლის მასალები საქართველოს სსრ-ის შესახებ გამოქვეყნდა თბილისში 1929 წელს [14]. საქართველოს სსრ-ში ცხოვრობდა სულ 2 666 494 ადამიანი.

როგორც მოგვიანებით გაირკვა, ყველაზე კარგად მოსახლეობის აღწერა საბჭოთა კავშირში ჩატარებულა სწორედ 1926 წელს. ამ აღწერის გამოქვეყნებული მასალები შესაძლებლობას იძლევა დადგინდეს ეთნიკური ჯგუფების განსახლება სასოფლო თემების დონეზეც კი.

მოსკოვში შემუშავებული ერთიანი მეთოდიკით მთელ კავშირში აღირიცხებოდა 190 „ხალხი“ (რუსულად – народность). თანამედროვე ტერმინოლოგით, ეს „ხალხები“ იყვნენ „ეთნიკური და სუბეთნიკური ჯგუფები“, მათ შორის იყო ექვსი ებრაული სუბეთნოსი (რუსულად: евреи; евреи грузинские; евреи крымские; евреи среднеазиатские; караимы; евреи горские).

საბჭოთა პერიოდის არც ერთი აღწერის დროს არ დასმულა კითხვა ადამიანის რელიგიური კუთვნილების შესახებ. ამიტომაც ებრაელების რიცხოვნობის დადგენა როგორც 1926 წლის, ისე ყველა მომდევნო, აღწერის მასალებში შესაძლებელია მხოლოდ მითითებული ეროვნების მიხედვით.

საქართველოში 1926 წელს აღირიცხა ებრაელთა ექვსივე სუბეთნოსის წარმომადგენლები: 20897 ადამიანი იყო ქართველი ებრაელი, 9262 – ებრაელი (იგულისხმებიან აშკენაზი ებრაელები), 176 – ყირიმელი ებრაელი, 145 – შუაზიელი ებრაელი, 98 – ყარაიმი და 54 – მთიელი ებრაელი.

1926 წელს ექვსივე სუბეთნოსის ებრაელთა რიცხოვნობამ ჯამში შეადგინა 30 632 ადამიანი, ანუ საქართველოს მთელი მოსახლეობის 1,15 პროცენტი, ხოლო ცალკე ქართველმა ებრაელებმა – 0,78 პროცენტი.

ქართველი ებრაელები საქართველოს ყველა ებრაელის 68,2 პროცენტს შეადგენდნენ. ეს მონაცემი მიუთითებს 1897 წლის მოსახლეობის აღწერის უზუსტობაზე, როდესაც ქართველი ებრაელების რიცხოვნობა აშკენაზიზე ნაკლები აღმოჩნდა.

1897-1926 წლებში საქართველოს მთელი ებრაელობის საშუალო წლიური მატების ტემპმა 1,8 პროცენტი შეადგინა, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია. ებრაული მოსახლეობა მატულობდა როგორც ბუნებრივი, ისე მექა-

ბელარუსს, ლიეტუვას. საკუთრივ რუსეთსა (Великороссия) და დედაქალაქებში — პეტერბურგსა და მოსკოვში — ებრაელებს დასახლების უფლება არ ჰქონდათ: გამონაკლისი ვრცელდებოდა უმაღლესი განათლების მქონე პირებზე და პირველი გილდიის ვაჭრებზე. ამის გამო საკუთრივ რუსეთში მცხოვრები შედარებით მცირერიცხოვანი ებრაელები თითქმის უკლებლივ წარმოადგენდნენ ინტელიგენციას და მდიდარ ბურჟუაზიას.

ნიკური მოძრაობის ხარჯზე. ეს უკანასკნელი გულისხმობდა აშკენაზი ებრაელების შემოდინებას საბჭოთა კავშირის ევროპული ნაწილიდან. 1926 წელს საქართველოში აშკენაზი ებრაელების ყველაზე დიდი თავმოყრა აღინიშნა ქ. თბილისში, შემდეგ – ქ. ბათუმში.

**რაც შეეხება დედა ენას** 1926 წელს ქართველი ებრაელების 99,9 პროცენტია (28 ადამიანის გარდა) ასეთად დაასახელა ქართული.

აშკენაზი ებრაელებში ვითარება უფრო ჭრელი აღმოჩნდა: მათი 41,5 პროცენტი დედა-ენად მიიჩნევდა „თავისი ეროვნების ენას“ (იდიშს), 53,2 პროცენტი – რუსულს, 3 პროცენტი – ქართულს, ხოლო 2,3 პროცენტი – სხვა ენას, ან საერთოდ არ უთითებდა დედა-ენას.

**წერა-კითხვის ცოდნის დონე** 1926 წელს მაღალი ჰქონდათ აშკენაზი ებრაელებს: მათი 73,6 პროცენტი წიგნიერი იყო. ქართველ ებრაელებს შედარებით დაბალი მაჩვენებელი აღმოჩნდათ – 32,4 პროცენტია იცოდა წერა-კითხვა (მამაკაცებს შორის – 38 პროცენტია, ქალებში – 27 პროცენტია). წერა-კითხვის ცოდნის დონე ყველაზე დაბალი იყო შუაზიელ (ბუხარელ) ებრაელებში (21,1 პროცენტი).

**ებრაელების განსახლება** ნაჩვენებია ცხრილ 3-ში, სადაც მაზრები, ქალაქები, დაბები და თემები მოყვანილია 1920-იან წლებში საქართველოს სსრ-ში არსებული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის შესაბამისად. თემი მოიცავდა რამდენიმე ახლომდებარე სოფელს.

საქართველოს ათიოდე მაზრის მოსახლეობის ეთნიკურ სტრუქტურაში ებრაელები 1926 წელს არ აღრიცხულა.

### ცხრილი 3

**ებრაული მოსახლეობა 1926 წ. მოსახლეობის აღწერის მიხედვით საქართველოს სსრ ავტონომიურ ერთეულებში, მაზრებში, ქალაქებსა (ქ.), დაბებსა (დ.) და სასოფლო თემებში**

ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული	აშკენაზი ებრაელი	ქართველი ებრაელი	სხვა ებრაელი	სულ
ქ. თბილისი	5706	3160	139	9004
თბილისის მაზრა	142	25		167
დ. ყარაია <sup>6</sup>	55			
თრიალეთის თემი	13			
დ. ავჭალა		12		
დ. მანგლისი	9			
ქ. მცხეთა		9		
დ. ალბულაღი <sup>7</sup>	8			
დილმის თემი	5			
მარტყოფის თემი		4		

<sup>6</sup> ამჟამად ქ. გარდაბანი

<sup>7</sup> ამჟამად ქ. თეთრიწყარო

ასურეთის თემი	4		
ახალციხის მაზრა	105	839	944
ქ. ახალციხე	94	827	
დ. აბასთუმანი		8	
გორის მაზრა		2375	2375
დ. სურამი		1190	
ქარელის თემი			784
ქ. გორი		314	
ქ. ბორჯომი			21
მეჯვრისხევის თემი		21	
ძეგვის თემი		18	
დ. წითელქალაქი <sup>8</sup>		11	
კასპის თემი		5	
წალვერის თემი		3	
ბორჩალოს მაზრა	102		102
ქ. ლუქსემბურგი <sup>9</sup>	66		
დ. შაუმიანი	10		
გომარეთის თემი	9		
სადახლოს თემი	7		
ბაშკირეთის <sup>10</sup> თემი	3		
ბოლნის-ხაჩინის თემი	3		
სიღნაღის მაზრა		202	202
დ. ველისციხე		127	
გურჯაანის თემი		51	
კაკაბეთის თემი		24	
დუშეთის მაზრა		103	103
მუხრანის თემი			89
ფასანაურის თემი		8	
საგურამოს თემი		4	
თელავის მაზრა		327	327
ქ. თელავი			100
ძველი გავაზის თემი		79	
ყვარლის თემი			48
ახალი გავაზის თემი		26	

8 ამჟამად კასპის მუნიციპალიტეტის სოფელი ახალქალაქი

9 ამჟამად ქ. ბოლნისი

10 ამჟამად ქ. დმანისი

შაშიანის თემი			24	
ახმეტის თემი		15		
ნაფარეულის თემი		12		
ენისელის თემი		9		
აკურას თემი		7		
შილდის თემი		4		
მატანის თემი		3		
სენაკის მაზრა		1301		1301
ბანძის თემი		677		
სუჯუნის თემი		499		
ქ. სენაკი		118		
ძველი სენაკის თემი		6		
ქ. ფოთი		161		161
ლეჩეუმის მაზრა		559		559
ლაილაშის თემი		533		
დ. ცაგერი		23		
ქუთაისის მაზრა	248	7575		7823
ქ. ქუთაისი	244	4738		
კულაშის თემი		2407		
ვანის თემი		412		
შორაპნის მაზრა		1016		1016
დ. საჩხერე		983		
დ. ზესტაფონი		33		
რაჭის მაზრა		1177		1177
ქ. ონი		1176		
აფხაზეთის ხელშეკრ. სსრ <sup>11</sup>	702	215	206	1123
სოხუმის მაზრა	615	215	206	
ქ. სოხუმი	560	209	205	
გულრიფშის თემი	26			
დრანდის თემი	14			
მერხეულის თემი	6			

11 აფხაზეთის ხელშეკრულებითი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა (ახსარ, Договорная CCP Абхазия) არსებობდა 1921-1931 წლებში. 1924 წლის საბჭოთა კონსტიტუცია მას განიხილავდა საქართველოს სსრ-ის ავტონომიურ ერთეულად. „შეთანხმებითი რესპუბლიკის“ სტატუსი ანომალია იყო და 1931 წელს საბჭოთა კავშირში ჩატარებული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის რეფორმის პროცესში მას ოფიციალურად ეწოდა „აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა“ საქართველოს სსრ-ის შემადგენლობაში.

გალის მაზრა	5			
დ. გალი	5			
აჭარის ავტონომიური სსრ	1945	37	5	1988
ბათუმის მაზრა	1929	37	5	
ქ. ბათუმი	1919	37	5	
ორთა-ბათუმი <sup>12</sup>	10			
სამხრეთ ოსეთის ა.ო.	40	1739	2	1781
ქ. ცხინვალი	40	1739	2	

აღწერის გამოქვეყნებული მასალების მიხედვით აფხაზეთსა და აჭარაში მცხოვრები ებრაელების უმრავლესობა აშკენაზი იყო (თითქმის ყველა მათგანი ცხოვრობდა ქქ. სოხუმსა და ბათუმში). სამხრეთ ოსეთში აბსოლუტური უმრავლესობა ქართველი ებრაელი იყო; ყველა მათგანი ქ. ცხინვალში ცხოვრობდა.

1926 წელს საქართველოს ებრაელობის 72,9 პროცენტი **ურბანიზებული** იყო, რაც მკეთრად აღმატებოდა იმდროინდელი საქართველოს ურბანიზაციის დონეს (22 პროცენტი). ებრაული მოსახლეობის თითქმის ნახევარი (49,4 პროცენტი) კონცენტრირებული იყო დიდ ქალაქებში – თბილისში (ყველა ებრაელის 29,4 პროცენტი), ქუთაისსა (16,3 პროცენტი) და ბათუმში (3,7 პროცენტი). იმდროინდელ საშუალო და პატარა ქალაქებში (სოხუმი, ფოთი, გორი, ახალციხე, თელავი, ცხინვალი, ლუქსემბურგი, ონი, სენაკი, სურამი, ბორჯომი) ცხოვრობდა ებრაელობის 23,5 პროცენტი.

ზოგიერთ პატარა ქალაქში ებრაელები მოსახლეობის საგრძნობ ნაწილს შეადგენდნენ. მაგალითად, ქ. ონის 2932 მცხოვრებიდან 40,1 პროცენტი ებრაელი იყო. ქ. ცხინვალის 5818 მცხოვრებიდან 30,0 პროცენტი ქართველი ებრაელი იყო (იქვე ეთნიკური ქართველები შეადგენდნენ 33 პროცენტს, ქართულენოვანი სომხები – 17,3 პროცენტს, ხოლო ოსები – 19,8 პროცენტს).

ებრაელობის 27,1 პროცენტი **სასოფლო მოსახლეობას** წარმოადგენდა. მათი აბსოლუტური უმრავლესობა ქართულენოვანი იყო.

სოფლადაც ებრაელები საცხოვრებლად ამჯობინებდნენ შედარებით მსხვილ დასახლებულ პუნქტს (ჩვეულებრივ, სასოფლო თემის ცენტრს), რომელიც სასოფლო-სამეურნეო ფუნქციის გარდა სავაჭრო-მომსახურებით ფუნქციასაც ასრულებდა. მაგალითად, კულაშის დიდი სასოფლო თემის 9508 ადამიანიდან 25,3 პროცენტს ებრაელები შეადგენდნენ (სულ 2407 ადამიანი), რომლებიც თითქმის მთლიანად ცხოვრობდნენ ამ თემის ცენტრალურ სოფელში, საკუთრივ კულაშში. კულაშმა მოგვიანებით ოფიციალურად მიიღო დაბის (ქალაქის ტიპის დასახლების) სტატუსი.

ებრაელების საგრძნობი რაოდენობა 1926 წელს ცხოვრობდა შედარებით

12 ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფ. წინსვლა

მსხვილ სასოფლო ოქმებში – ბანძაში – 677, ქარელში – 784, ლაილაშში – 533, სუჯუნაში – 499, ვანში – 412.

\* \* \*

მოსახლეობის მომდევნო აღწერები საბჭოთა კავშირში 1926 წლისაზე ბევრად უარესად ტარდებოდა: მათ აკლდა დეტალიზაცია. 1937 წელს ჩატარებული მოსახლეობის აღწერის მასალები საერთოდ გაუქმდა [15, 50-70]<sup>13</sup>, 1939 წლის მოსახლეობის აღწერის მასალები მხოლოდ ნაწილობრივ გამოქვეყნდა. ომისშემდგომი აღწერების (1959, 1970, 1979, 1989 წწ.) მონაცემები, ზოგიერთ შემთხვევაში, ერთმანეთთან შედარების საშუალებასაც კი არ იძლევა. ებრაელების რიცხოვნობა გამოქვეყნებულ მასალებში უმეტესწილად მოცემულია სუბეთნიკური დაყოფის გარეშე (საქართველოს სსრ-ის გამოქვეყნებულ მასალებში ებრაელებს შორის ხანდახან გამოყოფდნენ ქართველ ებრაელებს).

დემოგრაფმა ვიაჩესლავ კონსტანტინოვმა 2007 წელს იერუსალიმში რუსულ ენაზე გამოაქვეყნა გამოკვლევა ყოფილი საბჭოთა კავშირის ებრაული მოსახლეობის შესახებ [16]<sup>14</sup>. მრავალი პირდაპირი და ირიბი წყაროს გამოყენებით მან შექმნა მეტნაკლებად სანდო სტატისტიკური ცხრილები. 1939-1989 წლების დროინდელი საბჭოთა და 1991 წლიდან დამოუკიდებელი საქართველოს ებრაელობის დემოგრაფიული მახასიათებლების ანალიზისას წინამდებარე სტატიის მსჯელობა დიდწილად ეყრდნობა (თუმცა მთლიანად არა) ამ წიგნში მოყვანილ სტატისტიკურ ინფორმაციას.

ზოგიერთ შემთხვევაში ვ. კონსტანტინოვის წყაროებს ერთგვარი უზუსტობა ახლდა და მონაცემები კორექტირებას მოითხოვდა. მაგალითად, 1939 წლის მოსახლეობის აღწერის მასალები არ იძლეოდა ებრაელების დაყოფას სუბეთნიკურ ჯგუფებად. მაგრამ იმ წლისათვის მითითებული ქართველი ებრაელების რიცხოვნობას კონსტანტინოვი განსაზღვრავდა, როგორც 32 ათასს და იქვე უთითებდა, რომ მისთვის წყარო იყო და. ჰარუვისა და მ. კუპრეცკის შეფასება, რომელიც მას თითქოს გადაუმოწმებია.

13 1937 წელს ჩატარებული მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერის მონაცემები ქვეყნის უმაღლესი ხელმძღვანელობის (ანუ სტალინის) ბრძანებით გაასაიდუმლოეს, ხოლო აღწერის ორგანიზატორები დახვრიტეს, როგორც „მავნებლები“. ასეთი განაჩენის მიზეზი იყო, რომ სტალინმა აღწერამდე გააკეთა განცხადება, რომ „სოციალისტურმა აღმშენებლობამ“ თითქოს გამოიწვია საბჭოთა კავშირის მოსახლეობის განუხრელი ზრდა. აღწერის შედეგებმა კი, პირიქით, აჩვენა მოსახლეობის საგრძნობი კლება იქ, სადაც 1929-1932 წწ. კოლექტივიზაცია (კოლექტიურ მეურნეობებში გაერთიანება) ძალადობრივი მეთოდებით ჩატარდა და შეინირა 7 მილიონზე მეტი ადამიანის სიცოცხლე. ეს ძირითადად მოხდა უკრაინაში, ყაზახეთსა და სამხრეთ რუსეთში. 1937 წლის აღწერის შედეგები შხვლოდ 1990 წელს გამოქვეყნდა.

14 ეს წიგნი მომანოდა პროფ. რეუვენ ენოქმა (რუბენ ენუქაშვილმა), რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებ.

ეს რიცხობრივი შეფასება აშენად მცდარია: 13 წლის განმავლობაში ქართველი ეპრაელების რიცხოვნობის 50 პროცენტით ზრდა (1926 წლის 21 ათასიდან 1939 წლის 32 ათასამდე) ფიზიკურად შეუძლებელი იქნებოდა. ქართველ ეპრაელთა შემოსვლა სხვა რესპუბლიკებიდან კი ვერ მოხდებოდა, რადგან იმ დროს თითქმის ყველა მათგანი საქართველოშივე ცხოვრობდა.

ჩვენი ვარაუდია, რომ ქართველი ეპრაელების რიცხოვნობა 1939 წელს 27 ათასს ვერ გადასცდებოდა. ასეთი რაოდენობრივი დაშვება მოგვცემდა 1926-1939 წლებში მათი რიცხოვნობის ზრდას დაახლოებით 28 პროცენტით (წლიურად საშუალოდ 1,9 პროცენტი). შედარებისათვის: იმავე პერიოდში ეთნიკური ქართველების რიცხოვნობამ საქართველოში სულ 21,5 პროცენტით მოიმატა.

საქართველოს ეპრაელობის რიცხობრივი ცვლილება საბჭოთა პერიოდში ჩატარებული მოსახლეობის აღწერების მონაცემებით მოცემულია ცხრილ 4-ში.

#### ცხრილი 4

#### საქართველოს ეპრაული მოსახლეობის დინამიკა 1926-1989 წლებში (ათასებში)

აღწერის წელი	საქართველოს ყველა ეპრაე- ლი	მათ შორის ქართველი ეპრაელი	თბილისში მცხოვრები ეპრაელები	თბილისელი ეპრაელების ხვედრითი წილი საქართველოს ეპრაელობაში (%)
1926	30,6	21	9,0	29,4
1939	42,3	27	13,9	32,9
1959	51,6	40	17,9	34,7
1970	55,4	45	19,6	35,4
1979	28,3	18	14,9	52,7
1989	24,8	19	13,5	54,4

წყარო: <sup>15</sup>[17, ცხრილები 1.2, 1.5, 1.6]

შენიშვნა: ცხრილის მესამე სვეტში ვ. კონსტანტინოვს ქართველი ეპრაელების რიცხოვნობა მოცემული აქვს მთელი საბჭოთა კავშირისათვის, რაც 1970 წლამდე ეხებოდა მხოლოდ საქართველოს სსრ-ს, რადგან მათი აბსოლუტური უმრავლესობა იქ ცხოვრობდა. მომდევნო წლებში საგრძნობი გახდა მათი გასვლა საქართველოდან საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებში და საზღვარგარეთ.

II მსოფლიო ომის პერიოდში ევროპელი ეპრაელების კატასტროფა (ჰოლოკოსტი) საქართველოში მცხოვრებ ეპრაელებს არ შეეხო, მაგრამ ირიბი გავლენა იქონია მათ რიცხოვნობაზე და სტრუქტურაზე. ნაცისტების მიერ დროებით ოკუპირებული ევროპული საბჭოთა კავშირის ტერიტორიებიდან ლტოლვილ და კავკასიაში ევაკუირებულ მოსახლეობაში მრავლად იყვნენ აშენები ეპრაელებიც. მათი უმეტესობა ომის შემდეგ დაბრუნდა ძველი განსახლების ადგილებზე, ნაწილი კი საქართველოში დარჩა.

15 ცხრილის ავტორს აქ მითითებული ჰქონდა 32 ათასი, რაც შესწორებულია და მითითებულია 27 ათასი.

ომისშემდგომ პერიოდში ებრაული მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდა საქართველოში ჯერ შენელდა და შემდგომში კლება დაიწყო. 1959 წელს ებრაელთა რიცხოვნობამ 51,6 ათასი შეადგინა, ხოლო მაქსიმუმს – 55,4 ათასს – მიაღწია 1970 წლის იანვრისათვის, როდესაც საბჭოთა კავშირში ჩატარდა მოსახლეობის მორიგი აღწერა.

1970 წელს ებრაელებმა შეადგინეს საქართველოს მთელი მოსახლეობის 1,2 პროცენტი. იმ დროისათვის უკვე დაწყებული იყო “დიდი ალია” (იხ. ქვე-მოთ) და მომდევნო აღწერების დროს საქართველოში სულ უფრო ნაკლები ებრაელი აღირიცხებოდა. საბჭოთა პერიოდის უკანასკნელი, 1989 წლის, მოსახლეობის აღწერის მასალების მიხედვით საქართველოს სსრ-ში 24,8 ათასი ებრაელი ცხოვრობდა, ანუ მთელი მოსახლეობის 0,5 პროცენტი.

მოსახლეობის დინამიკას განაპირობებდა, როგორც ემიგრაცია, ისე ასაკობრივი სტრუქტურის ცვლილება, რაც შობადობაზე ზემოქმედებდა (იხ. ცხრილი 5).

#### ცხრილი 5

**საქართველოს ებრაელობის ასაკობრივი სტრუქტურა 1939-1989 წლებში  
(პროცენტობით)**

#### ყველა ებრაელი

წლები/ასაკები	0-19	20-39	40-59	60+	მედიანური ასაკი
1939	47,8	28,5	16,7	7,0	21,6
1970	36,9	28,3	22,8	12,1	30,1
1979	28,2	26,7	28,3	16,7	35,8
1989	26,3	28,7	25,6	19,5	36,5

#### აშკენაზი ებრაელები

1989	22,2	25,4	25,8	26,6	42,1
------	------	------	------	------	------

#### ქართველი ებრაელები

1959	43,2	32,5	16,5	7,8	23,6
1989	29,2	31,1	25,4	14,2	33,4

წყარო: [18, 60]

ცხრილი 5-ის მონაცემებით 1989 წლისათვის ქართველი ებრაელების დაბერების პროცესი უფრო ნელა მიმდინარეობდა, ვიდრე საქართველოში მცხოვრები აშკენაზი ებრაელებისა.

იგივე ცხრილი ირიბად გვიჩვენებს, რომ 1939-1989 წლებში ებრაული მოსახლეობის შობადობა მცირდებოდა, ხოლო სიკვდილიანობა იზრდებოდა.

საბჭოთა კავშირში მცხოვრები მთელი ებრაელობის ბუნებრივი მატების ტემპი მცირდებოდა. ვ. კონსტანტინოვის გამოთვლით, რომელიც იყენებდა ე.წ. “ბრუტო ნამატს” (ებრაელი დედების მიერ გაჩენილი ყველა ბავშვს, მამის ეროვნების მიუხედავად), 1926 წელს ბუნებრივი ნამატი შეადგინდა 15,3

პრომილეს (ანუ ყოველ ათი ათას ადამიანს საშუალოდ 153 ემატებოდა), 1959 წელს კი 3,0 პრომილეს. 1970-იანი წლებიდან საბჭოეთის ებრაელობის მატების ტემპი უარყოფითი მაჩვენებლით შეიცვალა და 1989 წლის მოსახლეობის აღწერის მიხედვით -14,0 პრომილემდე დავიდა [19, 74-76], ანუ კვდებოდა მეტი, ვიდრე იბადებოდა.

რაც შეეხება საქართველოს ებრაელების ყველა სუბეთნიკურ ჯგუფს, 1959 წელს მათი ქალების „ბრუტო-შობადობა“ (მამის ეროვნების მიუხედავად) იყო 23,4 პრომილე, რაც ორჯერ აჭარებდა საკავშირო მაჩვენებელს ყველა ებრაელისათვის (12,3). 1959 წელს საქართველოში ებრაელობის ბუნებრივი ნამატი შეადგენდა 14,2 პრომილეს, საბჭოთა კავშირის მთელ ებრაელობაში კი მხოლოდ 3,0-ს. 1989 წელს ბუნებრივი ნამატის მაჩვენებელი საქართველო ებრაელობაშიც უარყოფითი გახდა (-3,6), მაგრამ ისიც განსხვავდებოდა ბევრად უარესი მაჩვენებლისგან საბჭოთა კავშირის მთელი ებრაელობისათვის (-14,0) [20, 76].

**1921-1991 წლების საქართველოს ებრაული მოსახლეობის სოციალური ცხოვრების ანალიზი უნდა გაკეთდეს მთელ საბჭოთა კავშირში არსებულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ კონტექსტში.**

ობიექტურად დადებით შეფასებას იმსახურებს ის, რომ რუსეთში მონარქიის გაუქმების შემდეგ 1917 წელსვე გაუქმდა ებრაელების „ბინადრობის ზღვარი“, მოიხსნა „პროცენტული შეზღუდვა“ უმაღლეს სასწავლებლებში ებრაელთა მიღებისათვის და ცარიზმის სხვა ანტიებრაული შეზღუდვები. ადრე დაბებში შეყუულ ებრაელებს ფართო ასპარეზი გაეხსნათ დასაქმებისა და სამსახურებრივი წინსვლისათვის. მათ შეექმნათ განსახლების არეალის გაფართოების საშუალება. აშკენაზი ებრაელები მრავლად დასახლდნენ მოსკოვში, ლენინგრადში, რუსეთის სხვა დიდ ქალაქებში, დაენაფნენ განათლებას და დაწინაურდნენ სახელმწიფო სამსახურსა და კომუნისტური პარტიის აპარატში.

1920-იანი წლების პირველ ნახევარში ებრაელები შეადგენდნენ საკავშირო კომპარტიის წევრების 5 პროცენტზე მეტს [21, 254] რაც სამჯერ აღემატებოდა მათ წილს საბჭოთა კავშირის მთელ მოსახლეობაში (1,8 პროცენტი). ეს ირიბად გვიჩვენებს მათ საგრძნობ როლს იმდროინდელი საბჭოთა კავშირის შიდაპოლიტიკურ ცხოვრებაში.

1920-იან წლებში საქართველოს კომპარტიის (რომელიც საკავშირო კომპარტიის რეგიონულ ორგანიზაციას წარმოადგენდა) შემადგენლობაში ებრაელები 0,8 პროცენტს შეადგენდნენ: ეს ნაკლები იყო მათ წილზე საქართველოს მთელ მოსახლეობაში (1,15 პროცენტი), მაგრამ უთანაბრდებოდა ქართველი ებრაელების წილს (0,78 პროცენტი 1926 წლის მოსახლეობის აღწერის მონაცემებით). მომდევნო ათწლეულებში საქართველოს კომპარტია ინარჩუნებდა ამ პროპორციას (0,8 პროცენტს) ებრაული წარმოშობის პარტიის წევრებისათვის [22, 249].

საბაზრო ურთიერთობებთან ტრადიციულად დაკავშირებული ებრაული მოსახლეობისათვის ხელსაყრელი აღმოჩნდა 1921-1928 წლებში საბჭოთა კავშირში მოქმედი „ახალი ეკონომიკური პოლიტიკა“ (Новая экономическая

პოლიტიკა, “ნებ“), რომელიც კერძო მეწარმეობისა და ვაჭრობის გარკვეულ უფლებას იძლეოდა.

1928 წელს “ნებ”-ის გაუქმების შემდეგ ებრაელებმა ისევე განიცადეს ტოტალიტარული ხელისუფლების წნევის გაძლიერება, როგორც სხვა ეთნიკურმა ჯგუფებმა. მოხდა მათი კერძო საკუთრების (საწარმოები, სახელოსნოები, დუქნები, სახლები) ნაციონალიზაცია. 1920-იანი წლების ბოლოს დაწყებული დაჩქარებული კოლექტივიზაცია – კოლმეურნეობებში ძალადობრივი გაერთიანება, მიწის, სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის, პირუტყვის იძულებითი ნაციონალიზაცია – საქართველოს ებრაელობის შედარებით მცირე ნაწილს შეეხო: როგორც ზემოთ აღინიშნა, მათი სამი მეოთხედი ქალაქებში ცხოვრობდა და არა სოფლებში.

1937-1938 წლების პოლიტიკური რეპრესიები განსაკუთრებით მძაფრად იგრძნეს ებრაელებმა მოსკოვში, ლენინგრადში, უკრანასა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში, სადაც მათ თვალსაჩინო სახელმწიფო, პარტიული და სამეურნეო თანამდებობები ეჭირათ. ქართველი ებრაელები პოლიტიკურად ნაკლებ აქტიური იყვნენ და ამ რეპრესიების შედეგად, სავარაუდოდ, აშკენაზი ებრაელებთან შედარებით პროპორციულად ნაკლები დანაკარგი უნდა განეცადათ, თუმცა, მაგალითად, ცნობილი მწერლისა და საზოგადო მოღვანის გერცელ ბააზოვის რეპრესირება ქართველ ებრაელთა თემისათვის მძიმე დარტყმას წარმოადგენდა.

საქართველოში 1937-1938 წლების რეპრესიების მსხვერპლთა ეთნიკური შემადგენლობის შესახებ გერმანელი მეცნიერების მიერ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ იმ წლებში საქართველოში დაპატიმრეს 207 აშკენაზი და 82 ქართველი ებრაელი. შედარებისათვის: იმავე წლებში დაპატიმრეს 13 ათასამდე ეთნიკური ქართველი, რომელთაგან 5,5 ათასზე მეტი დახვრიტეს [23].

კავკასიისა და შუა აზიის ებრაელები აშკენაზი ებრაელებზე ნაკლებ მიდრეკილებას ამჟღავნებდნენ სოციალური მობილობის მიმართ. ეთნიკური სოლიდარობა, მეკაცრი პატრიარქალური გარემო, რომელიც ობიექტურად უადვილებდა ებრაელებს თვითგადარჩენას შუა საუკუნეების ფეოდალური აშლილობის პერიოდში და რუსეთის იმპერიაში მათთვის არსებული შეზღუდვების პირობებში, დიდხანს შენარჩუნდა საბჭოთა პერიოდის პირველ ათწლეულებშიც. ეს განაპირობებდა იმდროინდელ საბჭოთა საზოგადოებაში ქართველი, მთიელი, შუა აზიელი (ბუხარელი) ებრაელების როლის ერთგვარ ჩამორჩენას აშკენაზი ებრაელებთან შედარებით. მეორე მხრივ, იგივე პატრიარქალური გარემო უნარჩუნებდა თვითმყოფადობას იმავე ქართველ, მთიელ და ბუხარელ ებრაელებს.

აშკენაზი ებრაელები ადვილად შედიოდნენ შერეულ ქორწინებაში არაებრაელებთან და მათ შვილებს შეეძლოთ განეცადათ ძალდაუტანებელი ასიმილაცია. პატრიარქალურ გარემოში კი ანალოგიური დემოგრაფიული ქცევა ნაკლებ მოსალოდნელი იყო.

1930-იანი წლებიდან საბჭოთა კავშირში მცხოვრები ებრაელობის კულტურულ-საგანმანათლებლო დონის ამაღლება უფრო მკაფიოდ ჩანს. ეს ქართ-

ვეღ ებრაელებსაც შეეხო, რომელთა ქალების მიერ უმაღლესი განათლების მიღება 1930-იანი წლების ბოლომდე იშვიათი მოვლენა იყო.

|| მსოფლიო ომისშემდგომ პერიოდში იზრდებოდა **ქართველი ებრაელების ინტეგრაცია საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში**. ზოგიერთია მათგანმა სერიოზული წლები შეიტანა ქართული ლიტერატურის, ხელოვნების, მეცნიერების განვითარებაში. მაგრამ ებრაელებმა ვერ შექმნეს ისეთივე ფართო ფენა საქართველოს ინტელიგენციაში, როგორიც, მაგალითად შექმნეს აშკენაზი ებრაელებმა მოსკოვში, ლენინგრადში, კიევში, საიდანაც იმპერიის დროინდელი რუსული ინტელიგენცია ან ემიგრაციაში წავიდა ან რევოლუციის პერიოდში განადგურდა და ცარიელი დატოვა “კულტურულ-სამეცნიერო ნიშა”.

### **საქართველოს ებრაელების ემიგრაცია**

1950-იანი წლების მეორე ნახევრიდან კრემლმა გადაწყვიტა ეთამაშა „არაბული სახელმწიფოების მფარველის“ როლი და დაინყო მუშაობა მათ შორის ყველაზე ანტი-ისრაელურად განწყობილი სახელმწიფოების, ეგვიპტისა და სირიის, სამხედრო პოტენციალის ასამაღლებლად.

1967 წელს, „ექსდღიან ომში“ მეზობელ არაბულ ქვეყნებზე ისრაელის სახელმწიფოს გამარჯვებამ იმოქმედა საბჭოთა კავშირის ებრაელების პოლიტიკურ განწყობაზე. იქამდე დაფარული სიონისტური მისწრაფებები ზედაპირზე ამოვიდა. საბჭოთის ებრაელებისათვის, მათ შორის საქართველოში მცხოვრებთათვისაც თვალნათელი გახდა ისრაელის სიცოცხლისუნარიანობა.

საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობისათვის დიდი მორალური დარტყმა იყო საბჭოთა იარაღით აღჭურვილი ეგვიპტისა და სირიის არმიების დამარცხება ისრაელთან ომში. იმავე 1967 წელს კრემლმა განწყვიტა დიპლომატიური ურთიერთობა ისრაელთან. კრემლის ანტი-ისრაელური კურსი ებრაული წარმოშობის მოქალაქეთა მდგომარეობაზეც აისახა. ოფიციალურად გამოუცხადებელი, მაგრამ რეალური შეზღუდვების გამო ებრაელთა როლმა საბჭოთის ცხოვრების ბევრ სფეროში შემცირება დაიწყო.

ამავე დროს, საბჭოთა ხელმძღვანელობა ეწინააღმდეგებოდა ქვეყნიდან მასობრივ ემიგრაციას, მითუმეტეს ეთნო-რელიგიური ნიშნით.

შეიძლება ვივარულოთ, რომ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობა ებრაული ემიგრაციის საწინააღმდეგოდ ძირითადად ასეთ მოსაზრებებს ეყრდნობოდა:

- ებრაული ემიგრაცია შექმნის პრეცედენტს სხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლების მოთხოვნებისათვის;
- ერთი ეთნიკური ჯგუფის მასობრივი ემიგრაცია დაარღვევს თეზისს (სინამდვილეში – მითს) „საბჭოთა ხალხების ურლვევი მეგობრობის შესახებ“;
- სტრატეგიულად სახიფათოა ებრაული (ძირითადად – აშკენაზი) წარმოშობის მეცნიერებისა და ტექნიკოსების საზღვარგარეთ გაშვება, რადგან ისინი ფლობენ საბჭოთა კავშირისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე სამხედრო-ტექნიკურ ინფორმაციას.

მიუხედავად ამისა, საერთაშორისო ზენოლის შედეგად, 1960-იანი წლების მიწურულიდან საბჭოთა კავშირიდან ებრაელთა მასობრივი ემიგრაცია შესაძლებელი გახდა. ერთ-ერთი პირველი მოკავშირე რესპუბლიკა, საიდანაც მოხდა მათი გასვლა, იყო საქართველოს სსრ.

მართალია, ქართველი ებრაელების პოლიტიკური მდგომარეობა არ გაუარესებულა, მაგრამ ემიგრაციული განწყობა მათ შორისაც გაჩნდა. 1968 წელს ქართველ ებრაელთა შორის პატივსაცემა 18-ას პირმა გაეროს გენ-ერალურ მდივანს მიაწვდინა კოლექტიური წერილი, სადაც ისინი უჩიოდნენ საბჭოთა მთავრობას, რომელიც ზღუდავდა მათ ბუნებრივ უფლებას აერჩიათ საცხოვრებელი ქვეყანა, ამ შემთხვევაში – ისრაელი. წერილი გახმაურდა და მისი მიჩუმათება შეუძლებელი გახდა.

ქართველი ებრაელების აბსოლუტურ უმრავლესობას სამხედრო საიდუმლოებასთან შეხება არ ჰქონდა და კრემლში, ალბათ, მიიჩნიეს, რომ შედარებით მცირერიცხოვანი ქართველი ებრაელების ემიგრაცია, რისი წებართვაც ფორმალურად უნდა გაეცა საქართველოს სსრ მთავრობას, არ დააზარალებდა საბჭოთა მეცნიერებასა და სამსედრო-სამრეწველო კომპლექსს. საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა იმდროინდელი მინისტრი ე. შევარდნაძე არ ეწინააღმდეგებოდა ებრაულ ემიგრაციას: ქართველ ებრაელთა საკმაო ნაწილი ამას დღემდე მადლიერებით იხსენებს.

საქართველოს ებრაელობის ეკონომიკური მდგომარეობა ცუდი არ იყო. ამას ისიც განაპირობებდა, რომ არც თუ ცოტა მათგანი ჩართული იყო იმდროინდელი საბჭოთა კავშირისათვის დამახასიათებელ “ჩრდილოვან ეკონომიკაში”, რაც საკმაო ქონების დაგროვების საშუალებას იძლეოდა.

საქართველოს ებრაულ მოსახლეობას არ ეზღუდებოდა რელიგიული რწმენის შენარჩუნებისა და რიტუალების აღსრულების უფლება. საკმარისია ითქვას, რომ საბჭოთა კავშირში იმ დროს მოქმედი სინაგოგების საგრძნობი ნაწილი საქართველოში მდებარეობდა (30-ზე მეტი იყო), მაშინ როცა იქ მთელი კავშირის ებრაელობის სულ ორიოდე პროცენტი ცხოვრობდა.

საქართველოდან ებრაულ ემიგრაციას ვერ დავუკავშირებთ შევიწროებას, თუ ასეთად არ მივიჩნევთ საბჭოთა სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა მართლაც აუტანელ გამომძალველობას, რომელიც მატულობდა საბჭოთა კავშირში, მათ შორის საქართველოშიც, „ჩრდილოვანი საქმოსნების“ (მათი ეროვნების მიუხედავად) სიმდიდრის მატების პარალელურად.

1960-1970-იანი წლების მიჯნაზე “დიდი ალია” („ალია“ ნიშნავს „ასვლას“ [იერუსალიმში]) საქართველოდან განაპირობა რამდენიმე ფაქტორმა, მათგან გადამწყვეტი აღმოჩნდა **სოციალურ-ფსიქოლოგიური** და **პოლიტიკური** ფაქტორები.

**სოციალურ-ფსიქოლოგიური** ფაქტორი გამოიხატებოდა იმაში, რომ ჯამაათის (ებრაული თემის) სულიერი ხელმძღვანელები (რაბები), რომლებიც დაბა-სოფლებში მცხოვრებ ებრაელთა შორის დიდ ავტორიტეტს ფლობდნენ, აქცენტს აკეთებდნენ რელიგიურ იმპერატივზე. ებრაელთა ბევრი ოჯახი და ცალკეული ადამიანი გადაწყვეტილებას ღებულობდა თემის ლიდერების გავ-

ლენით ან თემის სხვა წევრების მაგალითის გათვალისწინებით. მასობრივი ემიგრაციის გამო ჯამაათის წევრების რაოდენობა გარშემო სწრაფად კლებულობდა და მარტო დარჩენის შიშით მშობლიური კუთხიდან იყრებოდა ბევრი ისეთი ოჯახი, რომლის ზოგიერთი წევრი ემიგრაციის წინააღმდეგი იყო. ამ უკანასკნელთა ნაწილისათვის ემიგრაცია პირად ტრაგედიას წარმოადგენდა.

იმ პერიოდის ემიგრაციაზე ზემოქმედებდა თავისებური პოლიტიკური ფაქტორიც: საბჭოთა კავშირის კომუნისტური ხელმძღვანელობა იმდენად ძნელად პროგნოზირებადი იყო, რომ ბევრი ჩქარობდა ესარგებლა 1960-იანი წლების მიწურულში ემიგრაციის მოულოდნელად გახსნილი შესაძლებლობით, რომელიც მაღლე შეიძლებოდა დახურულიყო. 1970-იანი წლების შუაგულში მართლაც ასე მოხდა: ემიგრაციის შესაძლებლობა მკვეთრად შემცირდა.

რასაკვირველია, მოქმედებდა გარკვეული ეკონომიკური ფაქტორიც: ნათელი იყო, რომ კაპიტალისტურ ქვეყნებში, განსაკუთრებით, აშშ-სა და დასავლეთ ევროპაში, ცხოვრების დონე ბევრად უფრო მაღალი იყო, ვიდრე საბჭოთა კავშირში.

თავის მხრივ, ისრაელი დაინტერესებული იყო მოეზიდა, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში არსებული ებრაული დიასპორების მოსახლეობა საკუთარ ტერიტორიაზე.

ისრაელის სახელმწიფოს “დაბრუნების კანონის” თანახმად (რომელიც თანხვედრაშია ტრადიციულ ებრაულ კანონთან – ჰალახასთან) ებრაელი ნიშნავს პირს, რომელიც შობილი იქნა ებრაელი დედის მიერ ანდა მოიქცა იუდაიზმი და არ განეკუთვნება სხვა რელიგიას.

1979 წლის მოსახლეობის საკავშირო აღწერამ აჩვენა, რომ საქართველოს აშკენაზი ებრაელების მხოლოდ 41 პროცენტი, ხოლო ქართველი ებრაელების – 76 პროცენტი ცხოვრობდა მთლიანად ებრაულ ოჯახში [24, 73]. შესაბამისად, მრავლად იყო ეთნიკურად შერეული ოჯახი, სადაც შვილებს გაუჩნდათ “ეროვნების არჩევის” შესაძლებლობა.

ბევრმა “ჰალახისმიერმა ებრაელმა”, ხშირად ქართული გვარებით, გაამუშავნა თავისი ეროვნება, მაშინ როცა იქამდე ისინი სხვა ეროვნების პირებად იყვნენ მიჩნეული. ასეთ პირებს ისრაელი კანონიერი იმიგრაციის უფლებას აძლევდა.

ებრაული ოჯახების არა-ებრაელი წევრებიც იყენებდნენ ყველა საშუალებას, რომ გაელნიათ საბჭოთა კავშირიდან. ემიგრაციის უფლების მოსაპოვებლად ზოგიერთმა არა-ებრაელმა სასწრაფოდ გააფორმა, ხშირად, ფიქტიური, ქორწინება ებრაელ პირთან. აღინიშნებოდა ფაქტები, როდესაც საქართველოში ჩამოდიოდნენ და ადგილობრივ მცხოვრებლებად ეწერებოდნენ ებრაელები სხვა საბჭოთა რესპუბლიკებიდან, რადგან იქიდან ემიგრაციის საშუალება მათ არ ჰქონდათ.

სხვადასხვა წყაროებზე დაყრდობით ვ. კონსტანტინოვმა შეადგინა ცხრილი, სადაც მოცემულია ებრაული ემიგრაციის რიცხობრივი მაჩვენებლები საბჭოთა რესპუბლიკების მიხედვით.

ამ მონაცემებით საქართველოდან 1959-1978 წლებში ემიგრაციაში წავიდა 29,9 ათასი ებრაელი (მათ შორის 28 ათასი 1969-1972 წლებში), რაც იმ პერიოდში მთელი საბჭოთა კავშირიდან გასულ ებრაელთა 16,3 (!) პროცენტს შეადგენდა.

1970-იანი წლების დასაწყისში ებრაელებისაგან პრაქტიკულად დაიცალა ქალაქები და დაბები კულაში, სურამი, ონი, სენაკი, ცხინვალი, ვანი, სუჯუნა, ბანძა, სადაც ისინი მოსახლეობის საგრძნობ წანილს, ზოგან უმრავლესობასაც კი შეადგენდნენ [25, 406]. საერთო ჯამში ამან საქართველოს დემოგრაფიულ და ეკონომიკურ პოტენციალზე უარყოფითად იმოქმედა.

მომდევნო ათწლეულში (1979-1988 წწ.) ემიგრაციამ იკლო და საქართველოდან გავიდა სულ 4,8 ათასი ებრაელი (მათგან 3,3 ათასი ისრაელში წავიდა, ხოლო 1,5 ათასი – აშშ-ში).

1989-2006 წლებში ემიგრაციამ ისევ იმატა და საქართველოდან გავიდა 24,7 ათასი ებრაელი (მათგან 22,6 ათასი – ისრაელში წავიდა, 2,0 ათასი – აშშ-ში და 0,3 ათასი – გერმანიაში) [26, 272].

1960-1970-იანი წლების მიჯნაზე „დიდი ალის“ შემაფერხებელი ერთი ირიბი ფაქტორი იყო ის, რომ საბჭოთა მთავრობა არ უტოვებდა ემიგრანტებს სამშობლოში დაბრუნების უფლებას, თუკი მათ საზღვარგარეთ ცხოვრების წესთან შეგუება გაუჭირდებოდათ: წასვლისას მათ საბჭოთა მოქალაქეობაზე უნდა ეთქვათ უარი. ბევრი პოტენციური ემიგრანტი ამ პირობას სერიოზულ პრობლემად მიიჩნევდა, რის გამოც მაღალგანათლებული და ეკონომიკურად წარმატებული ქართველი ებრაელების საგრძნობმა წანილმა საქართველოში დარჩენა ამჯობინა. ეს უპირველესად ითქმის თბილისში მცხოვრებ ებრაელებზე. ამას ადასტურებს ზემოთ მოყვანილი ცხრილი 4, სადაც ჩანს, რომ 1979 და 1989 წლებში საქართველოს ებრაელების ნახევარზე მეტი დედაქალაქ თბილისში ცხოვრობდა, მაშინ როცა სხვა დაბა-ქალაქების როლი ებრაულ განსახლებაში წინა აღნერების მონაცემებთან შედარებით მკვეთრად შემცირებული იყო.

1980-იანი წლების მიწურულში და 1990-იანი წლების დასაწყისში ალია საქართველოდან განახლდა. ამჯერად ის შეეხო დიდ ქალაქებში, მათ შორის, თბილისში მცხოვრებ ებრაელებს.

საბჭოთა კავშირის დაშლის პროცესში წარმოქმნილმა ეკონომიკურმა პრობლემებმა, პოლიტიკურმა არასტაბილურობამ, დამნაშავეობის მკვეთრმა ზრდამ ემიგრაციისაკენ უბიძგა არა მარტო ებრაელებს, არამედ სხვა ეთნოსების მრავალ წარმომადგენელსაც.

მაგრამ სხვა ეთნოსების უმრავლესობისაგან განსხვავებით ებრაელებს ელოდნენ ისტორიულ სამშობლოში, ისრაელში. მათი შედარებით მცირე რაოდენობა წავიდა აშშ-ში, გერმანიასა და სხვა განვითარებულ ქვეყნებში [27].

2002 წლის საქართველოს მოსახლეობის საყოველთაო აღნერამ აჩვენა, რომ ქვეყანაში სულ 3772 ებრაელი იყო დარჩენილი [28].

2014 წლის საქართველოს მოსახლეობის საყოველთაო აღნერის მასალების ცხრილში ეთნიკური კუთვნილების შესახებ ებრაელები ცალკე ჯგუ-

ფად არც გამოუყვიათ და ისინი “სხვების” კატეგორიაში შეიტანეს. მაგრამ აღწერის მასალებში მითითებულია, რომ ქვეყანაში აღირიცხა იუდაისტური აღმსარებლობის 1,4 ათასი ადამიანი [29].

საქართველოდან ებრაული მოსახლეობის ემიგრაცია ქვეყნისათვის დიდი დანაკარგია.

მეორე მხრივ, ალიის უშუალო მონაწილეებისა და, განსაკუთრებით, მათი შთამომავლობის წვლილი ისრაელის სახელმწიფოს განვითარებაში, საბოლოო ჯამში, საკმაოდ თვალსაჩინო იქნება.

1960-1970-იანი წლების მიჯნაზე ისრაელში ასული ქართველი ებრაელები-სათვის ადგილზე ადაპტაცია ადვილი არ აღმოჩნდა. ეს ოლიმები (იმიგრანტები) უმეტესწილად ამოვიდნენ საქართველოს დაბებიდან და პატარა ქალაქებიდან, სადაც ისინი მხოლოდ ქართულად მეტყველებდნენ და მათი მცირე რაოდენობა თუ ფლობდა უცხო ენას, ისიც რუსულს. ოლიმების პირველი თაობისათვის ებრაული ენის შესწავლა და “კაპიტალისტური ცხოვრების წეს-თან” შეგუება მარტივი არ იყო. საბჭოთა კავშირში მათთვის ჩვეული „ეკონომიკური ქცევა“ ისრაელში მათ არ გამოადგათ: რასაც ზოგიერთი მათგანი დაუსჯელად ჩადიოდა „ჩრდილოვანი ეკონომიკის“ პირობებში, დასჯადი აღმოჩნდა ისრაელში, სადაც კანონს განუხელად იცავდნენ. მიუხედავად ამისა, ათიოდე წელიწადში საქართველოდან წასული ოლიმების აბსორბცია (შენოვა, შეწყმა) ისრაელის საზოგადოებაში მეტნაკლები წარმატებით განხორციელდა.

ისრაელში და სხვა ქვეყნებში წასული ქართველი ებრაელების დიდი ნაწილი ინარჩუნებს კეთილ გრძნობას საქართველოს მიმართ, ოჯახების ნაწილი სახლში ქართულ ენაზეც კი საუბრობს, არსებობს საქართველოში დაბრუნების მსურველთა მცირე ნაკადიც. მაგრამ ასეთი ადამიანების უმეტესობა საქართველოში მყარად არ რჩება, უმეტესწილად დაინტერესებულია ვაჭრობით, უძრავი ქონების ბიზნესით და ერიდება ინვესტიციას რეალურ ეკონომიკაში.

საქართველოდან წასულ ებრაელთა უკვე მეორე, და, უეჭველად, მესამე და მომდევნო თაობებში ქართული ენის ცოდნა მკვეთრად შემცირდება, ხოლო სამშობლოს გრძნობა გადაინაცვლებს ისრაელისა ან ახალი განსახლების სხვა სახელმწიფოს მიმართულებით.

### ბიბლიოგრაფია:

1. Johnson, Paul. A History of Jews, 1987 (რუსული თარგმანი Пол Джонсон, Популярная история евреев. Москва: Вече, 2001)
2. ქართლის ცხოვრება. მთ. რედ. როინ მეტრეველი, თბილისი: მერიდიანი – არტანუჯი. 2008
3. გამყრელიძე, თამაზ. წერის ანბანური სისტემა და ძველი ქართული დამწერლობა. ანბანური წერის ტიპოლოგია და წარმომავლობა. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1989
4. გაჩეჩილაძე, რევაზ. ახლო აღმოსავლეთი, ორ ტომად. ტ. 1. გეოგრაფიული და ისტორიული ნიშანსვეტები. თბილისი: სულაკაურის გამომცემლობა, 2018

5. Баазова, Лили. Евреи в Грузии. Москва: Галактика, 2016
6. ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. ტომი 1. შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა. თბილისი: მეცნიერება, 1984
7. მეტრეველი, როინ. ებრაელები საქართველოში. წინათქმა გურამ ბათიაშვილისა. თბილისი, 2002
8. იქვე
9. Сборник сведений о Кавказе. Том VII, изданный под редакцией главного редактора Кавказского статистического комитета Н. Зейдлица. Типография Главного управления Наместника Кавказа. Тифлис, 1880
10. Джaoшили, Вахтанг. Население Грузии. Экономико-географическое исследование. Тбилиси: Мецнериба, 1968,
11. Сборник сведений о Кавказе. Том VII, Тифлис, 1880
12. Первая всеобщая перепись населения Российской империи 1897 года. Под редакцией Н. А. Тройницкого. Том II, С.-Петербург, 1905
13. Распределение населения Кавказа по вероисповеданиям и родному языку по данным переписи 1897-го года. „Кавказский календарь”, Тифлис, 1908
14. მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერა 1926 წლის. საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა. განყოფილება I. ეროვნება - დედა ენა - წლოვანება - წერა-კითხვის ცოდნა. ა.კ.ს.ფ.ს.რ. სტატისტიკის ცენტრალური სამმართველოს გამომცემლობა. ტფილისი, 1929
15. Поляков Ю.А., В.Б. Жиромская, И.Н. Киселев. Полстолетия безмолвия (Всесоюзная Перепись населения 1937 г.). Социологические исследования, №7, 1990
16. Константинов, Вячеслав. Еврейское население бывшего СССР в XX веке (социально-демографический анализ). Иерусалим: ЛИРА, 2007.
17. Константинов, назв. соч.
18. Константинов, назв. соч.
19. Константинов, назв. соч.
20. Константинов, назв. соч.
21. Константинов, назв. соч.
22. Константинов, назв. соч.
23. Большевистский порядок в Грузии (Издание в 2-х томах. Том 1: Большой террор в маленькой кавказской республике). Составители Марк Юнге, Бернд Бонвех. Москва: АИРО-XXI, 2015
24. Константинов, назв. соч.
25. გაჩერილაძე, რევაზ. ახლო აღმოსავლეთი: სივრცე, ხალხი და პოლიტიკა. მე-3 გამოცემა, თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, თბილისი: 2011
26. Константинов, назв. соч.
27. გაჩერილაძე, რევაზ. ისრაელი. ენციკლოპედია „საქართველო“. თბილისი, ტ. 4, 2018, გვ. 365-366
28. საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის შედეგები. ტომი I. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი. თბილისი, 2003 (<http://census.ge/files/2002/geo/I%20tomi.pdf>)
29. მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის ძირითადი შედეგები. ზოგადი ინფორმაცია. სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი) 28.04.2016 ([http://census.ge/files/results/Census%20Release\\_GEO.pdf](http://census.ge/files/results/Census%20Release_GEO.pdf))

---

**REVAZ GACHECHILADZE****JEWS IN GEORGIA: A HISTORICAL-DEMOGRAPHICAL ESSAY****Abstract**

The essay deals with the history of the arrival of the first Jews in Georgia and with their quantitative dynamics in the 19th -21st centuries.

A medieval Georgian chronicler Leonti Mroveli attributes the arrival of the Jews in Mtskheta, the ancient capital of Kartli (Eastern Georgia), to the time of the sacking of Jerusalem by Nebuchadnezzar II of Babylon in the 6th century BCE.

An alternative “functional hypothesis” of Jewish migration to ancient Georgia is suggested in the essay. It is argued that the rulers of Karli, being vassals of Parthia and, later, of Sassanid Iran maintained written communication with the supreme leaders of these empires using the writing system of aloglotography. The latter meant writing the text in Aramaic whereas it was read in the language understandable to the addressee. Such practice implied having scribes mustering Aramaic and Parthian/Middle Persian in every administrative center of the empire or the capitals of the vassal states. A number of archeological discoveries of the Aramaic inscriptions found in Mtskheta lead to an assumption that there were persons with the knowledge of this Semitic language most probably being of Jewish origin: Aramaic had become the mother tongue of the majority of the Jews in the Middle East during several centuries preceding CE. These interpreters would have arrived from Parthia or Sassanid Iran to Mtskheta and got established there. Other people of their kin followed most probably from Iran where were large Jewish diasporas. In order to be understood by the local leaders and population, the Jews of Kartli had to learn Georgian, which gradually became the vernacular of these Jews whom the Georgians of those times addressed as “Uria”. Descendants of these Jewish migrants might have been the Judeo-Christians of Kartli mentioned in another medieval Georgian chronicle describing the conversion of Kartli to Christianity.

The Jews were a well-established religious minority in medieval Georgia mostly involved in economic activities similar to that of the Christian Georgians, i.e. agriculture, quite often being serfs of the secular lords or monasteries, or sometimes, being landowners themselves. At the same time, a part of the Jews was engaged in commerce which was alien to the ethnic Georgian nobility and peasants of medieval times. No antagonism between the two religious groups speaking the same language had been documented in historical sources. The Jews spread from Kartli to other provinces of Georgia for centuries. They traditionally shared Georgian folk culture (dances, songs).

The essay discusses the dynamics of the Jewish population of Georgia in the 19th and 20th centuries when statistics became available. It is argued that from the beginning of the Russian Imperial rule in Georgia from the early 19th century Ashkenazi Jews migrated from the western part of the Russian Empire. They predominantly settled in Tbilisi, the center not only of Georgia but of the entire Russian Caucasus, later – in the city of Batumi. Georgian Jews who composed the majority of the Judaic

population resided in smaller towns and rural areas of Georgia. The latter became more active in retail trade as wholesale trade was monopolized by Armenian merchants during the Russian imperial domination in the Caucasus.

The people of Judaic faith in Georgia were tallied as 8,811 in 1873 and 16,716 in 1897 when the First Population Census of the Russian Empire had been carried out.

The dynamics of the Jews in Soviet Georgia was upward till the 1970s: 30,632 in 1926, 42,300 in 1939, 51,600 in 1959, and 55,400 in 1970. Their share in the entire population of Georgia never exceeded 1,2 percent.

The desire of the Jews to emigrate to Israel which became apparent after Israel's victory in the "Six-day War" of 1967 met a very hostile reaction from the Kremlin which feared that permission to emigrate to one ethnoreligious group would have served as a "bad example" to many citizens of different ethnicities, and would have broken the official slogan (actually a myth) of "the unbreakable friendship of the Soviet peoples". Besides, many Soviet scholars, engineers and technicians of Jewish origin were familiar with military-technological information considered to be top secret.

The latter argument didn't concern Georgian Jews who were engaged mostly in service activities. Many of them received permission to leave for Israel. 28 thousand Jews, more than half of the Jewish population of those times Georgia, left for Israel and, partially, for the USA in 1969-1972: that figure constituted 16 percent of all the Jews that left the USSR in that period while Jews of Georgia were mere 2 percent of all the Soviet Jews. A number of settlements in Georgia lost the entire Jewish population. Emigration sometimes was a personal tragedy for the reluctant people who were obliged to obey the decision of the religious leaders of the communities.

During the last decades of the Soviet power the number of Jews in Georgia declined slowly (28,300 in 1979 and 24,800 – in 1989). But the dissolution of the USSR, chaotic transition to a market economy, political turmoil led to the mass emigration of people of many ethnic origins, the Jews among them, from the post-Soviet states. Independent Georgia lost a large number of its entire population because of emigration.

The 2014 Population Census of Georgia tallied just 1,400 people of Judaic faith in the country.

**Keywords:** Jews; Georgia; Aloglotography; Diasporas; Mtskheta; Ashkenazi;

**РЕВАЗ ГАЧЕЧИЛАДЗЕ****ЕВРЕИ В ГРУЗИИ: ИСТОРИКО-ДЕМОГРАФИЧЕСКИЙ ОЧЕРК****Резюме**

Представлена «функциональная гипотеза» появления первых евреев в Картли (Восточная Грузия) в эпоху Парфии или Сассанидского Ирана, когда для официальной переписки использовалась система алоглотографии – текст писался на арамейском языке, но читался на языке, понятном для принимающей стороны. Это подразумевало наличие лиц со знанием одновременно арамейского и парфянского/среднеперсидского, какими могли быть евреи из Парфии/Ирана с родным арамейским. Арамейские надписи, найденные в Мцхете, столице Картли, могут принадлежать именно таким лицам.

В средние века грузиноязычные евреи, нередко упоминаются в исторических документах. Но их количественную динамику можно проследить только со второй половины 19-го века, которая рассмотрена во второй части статьи.

**Ключевые слова:** Евреи; Грузия; Картли; Парфия; Сассанидский Иран; Алоглотография; Арамейский язык.

## ო ყ ა რ თ მ თ მ ც მ დ ე მ ბ ა

გონილი არახაშია

### „მოქცევად ქართლისას“ ისტორიული ქრონიკის პროტოგრაფის აღდგენისათვის

ცნობილია, რომ ძველი ქართული საერო და საეკლესიო მწერლობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ძეგლი „მოქცევად ქართლისად“ ორი ნაწილისაგან შედგება. ესენია ისტორიული ქრონიკა წმ. ნინოს ცხოვრების მოკლე რედაქტირებით და წმ. ნინოს ცხოვრების ვრცელი რედაქცია. მკვლევრები მიიჩნევენ, რომ თავის დროზე ეს თხზულებები ცალ-ცალკე შეიქმნა და მოგვიანებით გაერთიანდა ერთ ნაწარმოებად, რაც X ს-ის დასაწყისისთვის უკვე მომხდარი ფაქტია. [ჟორდანია, 1892, გვ. XXXVI-XXXVII; კაკაბაძე, 1912, გვ. 32-36; ი. ჯავახიშვილი, 1977, გვ. 103-112; კ. კეკელიძე, 1956, გვ. 63-64; ზ. ალექსიძე, 2007, გვ. 5; მ. ჩხარტიშვილი, 1987, გვ. 63; მ. სალუაშვილი და ს. სალუაშვილი, 2010(1), გვ. 47; ალექსიძე, 2007, გვ. 8-9; ალექსიძე, 2011(1), გვ. 132; ალექსიძე, 2011(2), გვ. 167].

ჩვენი ამოცანა ცალსახად ტექსტოლოგიური ხასიათისაა და მიზნად ისახავს: 1) „მოქცევად ქართლისას“ ისტორიული ქრონიკის დღეისათვის მოლწეული ხელნაწერების საერთო ამოსავალი ტექსტის ანუ პროტოგრაფის აღდგენას; 2) ამ უკანასკნელის საფუძველზე იმავე ქრონიკის არქეტიპული რედაქციის აღდგენას.

აღნიშნული ქრონიკის ტექსტი შემონახულია ოთხ ხელნაწერში. ესენია: შატბერდული (973-976 წწ.)<sup>1</sup>, ჭელიშური (XIV-XV სს.)<sup>2</sup> და ორი სინური ნუსხა - N/Sin-48 (X ს-ის დასაწყისი)<sup>3</sup> და სინური N/Sin-50 (X ს-ის დასაწყისი)<sup>4</sup>.

1 ტექსტი იხ. აბულაძე, 1963, გვ. 81-97; გიგინეიშვილი და გიუნაშვილი, 1979, გვ. 320-327; მ. სალუაშვილი და ს. სალუაშვილი, 2010(2), გვ. 10-33; კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი S-1141.

2 ტექსტი იხ. თაკაშვილი. 1910, ც. 48-96; თაკაშვილი, 1912, ც. 1-59; იგივე E. თაკაშვილი. 1906-1912, ც. 708-815; იხ. აბულაძე, 1963, გვ. 81-97; მ. სალუაშვილი და ს. სალუაშვილი, 2010(2), გვ. 10-33; კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, H-600.

3 ტექსტი იხ. ალექსიძე, 2007, გვ. 13-18; მ. სალუაშვილი და ს. სალუაშვილი, 2010(2), გვ. 10-33; N/Sin-48-ის თარიღის შესახებ იხ. ალექსიძე, 2011(1), გვ. 132; ალექსიძე, 2011(2), გვ. 167; ალექსიძე, შანიძე, ხევსურიანი და ქავთარია, 2005, გვ. 262-263.

4 ალექსიძე, 2007, გვ. 18-21. მ. სალუაშვილი და ს. სალუაშვილი, 2010(2) გვ. 10-33; ალექსიძე, შანიძე, ხევსურიანი და ქავთარია, 2005, გვ. 264-265. N/Sin-50-ის

ჩვენი ერთ-ერთი ძირითადი მიზანი, როგორც ითქვა, აღნიშნული ხელნაწერების საერთო დედნის ანუ პროტოგრაფის რეკონსტრუქციაა. ამისათვის კი აუცილებელია აღნიშნული ხელნაწერების ტექსტობრივი ურთიერთმიმართების ძირითადი ასპექტების გათვალისწინება, რათა მეტნაკლები სიზუსტით გავარკვიოთ, თუ რა უნდა ჩავთვალოთ საერთო დედნის კუთვნილებად და რა უნდა მივიჩნიოთ ამა თუ იმ ხელნაწერის სპეციფიკურ მახასიათებლად, ანუ გვიანდელ შენაძენად, რომელიც არ შეიძლება ჩაითვალოს პროტოგრაფიდან მომდინარედ.

პირველ ყოვლისა, ალანიშნავია, რომ „მოქცევად ქართლისაას“ დღეისათვის ცნობილ ნუსხებში წარმოდგენილი ტექსტები გადაწერილია სხვადასხვა დედნიდან. ზ. ალექსიძის დასკვნით, ხელნაწერთა შემორჩენილი ტექსტების შედარება უჩვენებს, რომ „ოთხივე რედაქცია ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდება და არც ერთი მათგანი ერთმანეთის უშუალო წყარო არ არის“ [ალექსიძე, 2011(1), გვ. 132].

ამასთანავე, ფაქტია ისიც, რომ დღეისათვის ცნობილ ხელნაწერებში წარმოდგენილი ტექსტები რედაქციულად სხვაობენ ერთმანეთისგან, მაგრამ მათი საერთო დედნიდან წარმომავლობა უეჭველია. ამის საილუსტრაციოდ მრავალთაგან რამდენიმე მაგალითს მოვიტან.

1) მირიან მეფის მიერ წარმოთქმული სამადლობელი სიტყვა ღმრთისადმი, რომლის ძირითადი ნაწილი სამმა ნუსხამ შემოგვინახა, ასე ჟლერს:

„... გინდა ჯსნაა ჩუენი ეშმაკისაგან და ადგილისა მისგან ბნელისა, ოდესიგი სამოსელი შენი ებრაელთა მათ წარმოეც წმიდით ქალაქით იერუსალმით უცხოთა ამათ ნათესავთა ქალაქად, რამეთუ ჯუარცუმასა შენსა ამას ქალაქსა მეფობდეს მამანი ჩუენნი“ [მ. სალუაშვილი და ს. სალუაშვილი, 2010(2), გვ. 17].

მოტანილი ტექსტი სამ - შატბერდულ, ერთ-ერთ სინურსა (N/Sin 48) და ჭელიშურ ნუსხაში (N/Sin 50-ს ეს ადგილი აკლია) უმნიშვნელო სხვაობით არის წარმოდგენილი (შატბერდული უმატებს „გინდა“, სიტყვის შემდეგ „ცხორებად ჩუენი“ და გამორჩენილია „ებრაელთა მათ“).

2) ნმ. ნინოს ლოცვა, რომლის დასაწყისი ნაწილი ასევე აღნიშნულმა სამმა ნუსხამ შემოგვინახა, წარმოდგენილია უმნიშვნელო რედაქციული სხვაობებით:

„კუთხეულ არს ღმერთი და მამად უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტისი, რომელმან მოავლინა სიტყუად წმიდად მისი ცათა მაღალთადთ თვთ ძლიერისაგან საყდრისა გარდამოსრული ქუეყანად მდაბლად უეჭუელად შობად

ჭორციელად, თესლისაგან დავითისა, დედაკაცისაგან მარტოდ შობილისა წმიდისაგან და უბინოსა, რომელი სათხო-ეყო მას“ [მ. სალუაშვილი და ს. სალუაშვილი, 2010(2), გვ. 18].

3) აგარეანთა გამორჩენისა და ამაზე ბერძენთა საპასუხო მოქმედების შესახებ შატბერდულ, ერთ-ერთ სინურსა (N/Sin 50) და ჭელიშურ ნუსხაში (N/Sin 48-ში აქ ხარვეზია) ვკითხულობთ: „ბერძენთა ქუეყანად ესე ჯორსა აჰკიდეს და წარიღეს საბერძნეთად“. ტექსტს, როგორც ქვემოთ დავინახავთ, სამსავე ნუსხაში „ქუეყანად ესე“-ს შემდეგ აკლია სიტყვა „აღწერეს“. აღნიშნული ხარვეზი ხელნაწერებს, ცხადია, საერთო დედნიდან გადმოჰყვათ.

ანალოგიური მაგალითების გამრავლება იოლია, მაგრამ მოტანილიც კარგად უჩვენებს მოლწეულ ხელნაწერებში დაცული რედაქციების საერთო დედნიდან წარმომავლობას, რაც სავსებით ამართლებს საკითხის დასმას დასახელებული რედაქციების საერთო დედნის (პროტოგრაფის) აღდგენის შესახებ და შესაძლებელსაც ხდის მის განხორციელებას.

აღნიშნული პროტოგრაფის რეკონსტრუქციისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ე.წ. ზედმეტ ადგილებს, რომლებიც ხელნაწერებს განასხვავებენ ერთმანეთისგან და არსებითად ქმნიან ერთი და იგივე თხზულების რედაქციებს. ე. წ. ზედმეტი ადგილები პირობითად შეიძლება ორ ჯგუფად დაიყოს. პირველში უნდა მოვაქციოთ ისეთი „ზედმეტი“ ადგილები, რომლებიც ერთადერთ ნუსხაშია დაცული და ამის გამო შეიძლება კონკრეტული ნუსხის ექსკლუზივი ვუწოდოთ; მეორეში კი ისინი, რომლებიც ორ ნუსხაში გვაქვს, მაგრამ დანარჩენში - არა. აქვე ვაზუსტებთ, რომ „ზედმეტთა“ კატეგორიას არ ვაკუთვნებთ ისეთ ადგილებს, რომლებიც, დიდი ალბათობით, მოცემული კონკრეტული ხელნაწერის გადამწერს ძალაუნებურად გამორჩა.

„მოქცევადს“ ისტორიული ქრონიკის პროტოგრაფის ტექსტის დასადგენად მივმართავთ ე. წ. დამხმარე წყაროებს. მასში ვგულისხმობთ იმ თხზულებებს, რომლებიც ამა თუ იმ ფორმით დაკავშირებულია აღნიშნულ ქრონიკასთან. მათ შორის, პირველ რიგში უნდა დავასახელოთ **სუმბატ დავითის-ძის თხზულება**, უფრო ზუსტად, მისი ერთი მონაკვეთი, სადაც გამოცემულია ამბები გუარამ ერისმთავრიდან აშოთ კურაპალატამდე, რომლის ძირითად წყაროს თუ არა, ერთერთს მაინც „მოქცევადს“ ისტორიული ქრონიკა წარმოადგენს.

მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, სუმბატის განკარგულებაში არ-სებული „მოქცევადს“ ისტორიული ქრონიკის ტექსტი (იგულისხმება ზემოთ აღნიშნული მონაკვეთის ფარგლებში) უფრო სრული ყოფილა, ვიდრე დღეისათვის ცნობილი ხელნაწერებია. ნათქვამის საილუსტრაციოდ მოვიტანთ შესაბამის მონაკვეთებს:

„მოქცევადს“ ისტორიული ქრონიკა	სუმბატ დავითის-ძის თხზულება
<p>&lt;&lt;მაშინ ჩამოვლო ჰერაკლე მეფემან ბერძენთამან. და უკმო ციხისთავმან კალამთ ტფილისისამთ მეფესა ჰერაკლეს ვაც-ბოტობით. ხოლო მან ფერწი დაიპყრა და დანიელი წიგნი მოიღო და მოიძია სიტყუად ესე: „მაშინ მოვიდეს ვაცი იგი მზისა დასავალისად და შემუსრნეს რქანი იგი ვერძისა მის მზისა აღმოსავალისანი“. და თქუა ჰერაკლე: „უკუეთუ ესე ესრეთ იყოს სიტყუად წინასწარმეტყუელისა ჩემთვს. მე მიგაგო მრჩობლი მისაგებელი შენ“. და დაუტევა ჯიბლუ ერისთავი კალას ბრძოლად. ხოლო ამან ჯიბლუ მცირეთა დღეთა შემდგომად კალა გამოიღო და ციხისთავი იგი შეიძყრა, და პირი დრაპენითა აღუვსო იმისთვის, რამეთუ თქუა სა-დიდებელი იგი მეფისა ჰერაკლესი, და მერმე მთელსა ტყავი გაჰკადა, და მეფესა უკუანა მისწია გარდაბანს ვარაზ-გრიგოლისა შინა&gt;&gt; [მ. სალუაშვილი და ს. სალუაშვილი, 2010(2), გვ. 29-30].</p>	<p>&lt;&lt;წარვლო ჰერაკლე მეფემან ბერძენთამან, და მივიდა ტფილისად, და დადგა დამართებით ციხესა კალისასა, და ციხისთავმან კმად უყო ციხით გამოღმართ და ჰერქუა ჰერაკლე მეფესა: „რომელსა გასხენ წუერნი ვაცისანი და ვაცბოტისა კისერი გათქს“. მაშინ ვითარცა ესმა ჰერაკლე მეფესა, განრისხნა მისთვს და აღმოკითხა წიგნისაგან დანიელ წინასწარმეტყუელისა სიტყუად იგი, ვითარმედ: „აღმოვიდეს ვაცი დასავალისად და შემუსრნეს რქანი ვერძისა აღმოსავლისა ვერძისანი“. და თქუა მეფემან: „უკუეთუ იყო ჩემდა სიტყუად ეგე, კადრებისათვს ჩემისა მისაგებელი ორკეცი დაგიტეო შენ“. და დაუტევა ტფილის ჯიბლუ ერისთავი ბრძოლად ციხესა ტფილისისასა და თვთ წარემართა ბალდადს. და მოვიდა გარდაბანს ვარაზ-გრიგოლისა და დაილაშერა ადგილსა მას, რომელსა ჰერან ხუზაშენი, და ნათელ-სცა ჰერაკლე ვარაზ-გრიგოლსა და ყოველსა ერსა მისსა. და იწყო შენებად ეკლესისად, რომელი-იგი უბრნყინვალეს არს ყოველთა ეკლესიათა. და მუნით წარვიდა ბერდუჯს და დადგა გულსა სოფლისასა. და აღმართა ჯუარი ქვისად და დადგა საფუძველი წმიდასა ღმრთისმშობელისა ეკლესისა, და აღასრულა გუმბათი მისი. ხოლო მან ჯიბლუ ციხე იგი ტფილისისა გამოიღო და ციხისთავი იგი შეიძყრა, და დრაპენითა პირი აღუვსო ამისთვს, რამეთუ თქუა სა-დიდებელი იგი მეფისა ჰერაკლესი. ხოლო კადრებისა მისთვს ტყავი გაჰკადა, და მეფესა მისწია იგი გარდაბანს ვარაზ-გრიგოლისა. და გარდაბანით მეფემან მიცვალა ლალს, და უწოდა მეწეკევნელთა მთავარსა და ნათელ-სცა და წარვიდა ბალდადს&gt;&gt; [არახამია, 1990, გვ. 42-43. ხაზგასმა ჩემია გ.ა.].</p>

როგორც ვხედავთ, „მოქცევად“ ისტორიული ქრონიკის დღეისათვის ცნობილი რედაქციების მიხედვით არ ჩანს ჯიბლუს უცნაური საქციელის მოტივი, კერძოდ, თუ მან რატომ გახადა ტყავი ტფილისის ციხისთავს მას შემდეგ, რაც „პირი დრაპენითა აღუვსო“. სუმბატის თხზულებაში მოცემულია აღნიშნული ფაქტის ახსნა: ციხისთავმა შეადარა რა ვაცოტს, ამით მეფის სადიდებელი კი თქვა, მაგრამ ამავე დროს შეურაცხყო იგი, რისთვისაც ის ჯიბლუმ ასე სასტიკად დასაჯა.

„მოქცევად“ ისტორიული ქრონიკის დღეისათვის მოღწეულ ტექსტში მოულოდნებლად ex abrupto ჩნდება გარდაბანი და ვარაზ-გრიგოლი, რომელთანაც იმყოფებოდა ერეკლე კეისარი, როდესაც ჯიბლუმ თბილისის ციხისთავს ტყავი გაპხადა. წინამავალი თხრობიდან არ ჩანს, თუ როგორ აღმოჩნდა ერეკლე კეისარი გარდაბანში ვარაზ-გრიგოლთან. ამაზე პასუხს ვპოულობთ სუმბატის თხზულების ზემოთ მოტანილი ნაწყვეტის ხაზგასმულ სიტყვებში.

იბადება კითხვა, ეს ე. ნ. ზედმეტი ცნობები სუმბატ დავითის-ძემ მის ხელთ არსებული „მოქცევად“ ტექსტიდან გადმოიღო თუ სხვა, ამ უკანასკნელისაგან დამოუკიდებელი წყაროდან. საკითხი ღიად დარჩებოდა, „მოქცევად“ ისტორიული ქრონიკის დღეისათვის ცნობილ ხელნაწერებში რომ არ გვქონდეს ცნობა თბილისის ციხისთავისათვის „ორკეცი მისაგებლის“, აგრეთვე, ერეკლეს თბილისიდან გამგზავრების, შემდეგ კი გარდაბანში, ვარაზ-გრიგოლთან ყოფნის შესახებ, რაც ლოგიკურად გამართულ მთლიანობას ქმნის სუმბატის ე. ნ. ზედმეტ ცნობებთან კავშირში. ეს კი საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ სუმბატს ეს ე. ნ. ზედმეტი ცნობებიც „მოქცევად“ ტექსტიდან აქვს აღებული.

ზემოთქმული მოწმობს იმას, რაც უკვე ითქვა: „მოქცევად“ ისტორიული ქრონიკის ტექსტი, რომლითაც სუმბატი სარგებლობდა, უფრო სრული იყო, ვიდრე დღეისათვის ცნობილი შატპერდული, ჭელიშური და ერთერთი სინური (N/Sin 50) ხელნაწერებია (N/Sin-48 ეს მონაკვეთი აკლია).

„მოქცევად“ აღნიშნულ ხელნაწერებში ერთგან აღნიშნულია: „და ჰამბავი მოკდა, ვითარმედ ბალდადი აგარეანთა დაიპყრესო. ამისთვის ბერძენთა ქუეყანად ესე ჯორსა აპეიდეს და წარიღეს საბერძნეთა“ [იხ. მ. სალუაშვილი და ს. სალუაშვილი, 2010(2), გვ. 31-32; აბულაძე, 1963, გვ. 97; ალექსიძე, 2007, გვ. 20].

ფრაზა „ქუეყანა ესე ჯორსა აპეიდეს და წარიღეს საბერძნეთა“, ცხადია, უაზრობაა, რაც უდაოდ ტექსტის დეფექტურობით უნდა აიხსნას. ამას ადასტურებს და უაზრო ფრაზასაც აზრიანს ხდის სუმბატის თხზულების შესაბამისი ადგილი: „და მის ზე (იგულისხმება ერისმთავარი ადარნასე სტეფანოზის ძე გ. ა.) ქუეყანა ქართლისა აღწერეს და წარიღეს საბერძნეთს“ [არახამია, 1990, გვ. 42]. აშკარაა, „მოქცევად“ ისტორიული ქრონიკის ტექსტს აკლია ერთი სიტყვა - „აღწერეს“, რომელიც ოდესლაც ამოვარდა ტექსტიდან სიტყვების „ქუეყანად ესე“-ს შემდეგ.

აღნიშნული გარემოება შესაძლებელს ხდის სუმბატის თხზულების სათანადო მონაკვეთის გამოყენებას „მოქცევად“ ისტორიული ქრონიკის პროტო-

## გრაფული ტექსტის დასადგენად.

ამასთანავე, არ გვავიწყდება ის ანგარიშგასაწევი გარემოება, რომ სუმბატ დავითის-ძე „მოქცევაას“ ტექსტის მომხმარებელია და არა გადამწერი, ამიტომ მისგან მოსალოდნელია არა წყაროს ფოტოგრაფიული სიზუსტით გადაღება, არამედ მისადმი თავისუფალი მიდგომა. ამაში, უწინარეს ყოვლისა, იგულისხმება გარკვეული ცვლილებები, რაც „მოქცევაას“ ისტორიული ქრონიკის ტექსტისა სუმბატის ხელში განიცადა [არახამია, 1988, გვ. 18-19].

აღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით შესაძლებელია სუმბატის თხზულების განსახილველი მონაკვეთის შიგნით ერთმანეთისგან გავმიჯნოთ საკუთრივ სუმბატისეული ინტერპრეტაციები და „მოქცევაას“ ისტორიული ქრონიკიდან აღებული ცნობები. ხაზი უნდა გაესვას იმასაც, რომ ჩვენი მიზნებისთვის სუმბატ დავითის-ძის თხზულებიდან შეიძლება მოვიხმოთ მხოლოდ ისეთი ე. წ. ზედმეტი ადგილები, რომელთა წარმომავლობას სუმბატის ხელთ არსებული „მოქცევაას“ ვერსიიდან გვაგულისხმებინებს „მოქცევაას“ დღეისათვის ცნობილ ხელნაწერებში დაცული ტექსტის მონაცემები. ასე მაგალითად, ისტორიული ქრონიკის პროტოგრაფში გაუმართლებელია სუმბატის თხზულების ისეთი ე. წ. ზედმეტი ცნობის შეტანა, როგორიცაა: „და გარდაბნით მეფემან მიცვალა ლალს, და უწოდა მეწეკევნელთა მთავარსა და ნათელ-სცა“, რომლის ნაკვალევი ანუ ქრონიკის ტექსტში მისი ოდესმე არსებობის რაიმე ნიშანი „მოქცევაას“ მოღწეულ ხელნაწერებში არ ჩანს. ეს მიუთითებს იმაზე, რომ სუმბატ დავითის-ძეს აღნიშნული ცნობა სხვა წყაროდან აქვს აღებული [ალექსიძე, 2011(6), გვ. 61]. ასეთი გაცხრილვის შემდეგ სავსებით მართებულია სუმბატის თხზულების სათანადო მონაკვეთის გამოყენება „მოქცევაას“ ისტორიული ქრონიკის პროტოგრაფის ტექსტის აღდგენის დროს.

პროტოგრაფის ტექსტის აღდგენის დროს სუმბატის თხზულების სწორედ ამ გზით გაცხრილულ მასალას ვიყენებთ იმ ტექსტობრივი ხარვეზების შესავსებად, რომლებიც „მოქცევაას“ დღეისათვის ცნობილ ხელნაწერებში გვაქვს, სახელდობრ, „მრჩობლი“ სასჯელიდან ერთერთის განმარტება, აგრეთვე, ჰერაკლეს თბილისიდან გამგზავრების შემდეგ გარდაბანში, ვარაზგრიგოლთან დაბანაკებისა და ქრისტიანული ეკლესიის განსამტკიცებლად მიღებული ზომების შესახებ. შორს ვართ იმ აზრისაგან, რომ აღნიშნული ხარვეზების სუმბატის თხზულებიდან შესავსებად მოხმობილი ცნობები, უკვე აღნიშნული მიზეზების გამო, სიტყვა-სიტყვით ემთხვევა „მოქცევაას“ იმ ხელნაწერს, რომელსაც სუმბატი იყენებს, უფრო მოსალოდნელი ისაა, რომ სუმბატი თავისი წყაროს პერიფრაზირებას ეწევა, მაგრამ ერთი რამ უდავოა: აღნიშნული ცნობების შინაარსი წყაროს იდენტურია. ამიტომ „მოქცევაას“ ისტორიული ქრონიკის ხარვეზების შესავსებად სუმბატის თხზულების გამოყენება მეთოდურად სავსებით გამართლებულია.

„მოქცევაას“ ისტორიული ქრონიკის პროტოგრაფული რედაქციის რეკონსტრუქციისათვის გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება არსენ ბერის მიერ შედგენილი „წმ. ნინოს ცხოვრების“ მეტაფრასული რედაქციის ბოლოში

დართულ ისტორიულ მიმოხილვას, რომელიც ისტორიოგრაფიაში „უწყებანის“ სახელწოდებითაა ცნობილი. ამჯერად ჩვენ გვაინტერესებს „უწყებანის“ თხრობის ის ნაწილი, რომელიც თემატურად და ქრონოლოგიურად თანხვდება „მოქცევას“ ისტორიული ქრონიკის თხრობას, სადაც გადმოცემულია ამბები ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობებიდან ჰერაკლე მეფის ლაშქრობის ჩათვლით.

სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა იმის თაობაზე, თუ „წმ. ნინოს ცხოვრების“ რომელი რედაქციის მეტაფრასირება განახორციელა არსენ ბერმა - „მოქცევად ქართლისააში“ დაცული ვერსიისა თუ „ქართლის ცხოვრებაში“ წარმოდგენილი ტექსტისა. ც. ქურციკიძისა და მ. ჩხარტიშვილის მოსაზრებით, არსენ ბერის მეტაფრასული რედაქცია ემყარება „მოქცევად ქართლისაას“ როგორც ისტორიულ ქრონიკას („წმ. ნინოს ცხოვრების“ მოკლე რედაქციითურთ), ისე „წმ. ნინოს ცხოვრების“ ვრცელ რედაქციას [ვრცლად იხ. ქურციკიძე, 1967, გვ. 270-274; ჩხარტიშვილი, 1978, გვ. 97-106; ჩხარტიშვილი, 1980, გვ. 114-121].

სხვაგვარად დგას საკითხი არსენ ბერის მიერ შედგენილი და „წმ. ნინოს ცხოვრების“ ბოლოში დართული „უწყებანის“ წყაროებთან დაკავშირებით. არსენ ბერის „უწყებანის“ აღნიშნული ნაწილის, კერძოდ, ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობების, არიან-ქართველთა მეფის ძის, აზოვეს ქართლში გამეფებისა და არიან-ქართლიდან მტკვრის ხეობაში ქართველთა გადმოსახლების შესახებ თხრობის წყაროს, პ. ინგოროვასა აზრით, წარმოადგენს ე. წ. აბიათარის მატიანე, რომელსაც ჩვენამდე არ მოულწევია, მაგრამ მისი არსებობის შესახებ ცნობა დაცულია „ქართლის ცხოვრების“ ანასეულ ნუსხაში. მკვლევრის მოსაზრებით, არსენ ბერს იმავე ამბების თხრობაში გამოუყენებია „მოქცევად ქართლისაას“ ისტორიული ქრონიკის დღისათვის დაკარგული რედაქცია, რომელიც ტიპოლოგიურად ახლოს იდგა შატბერდულ და ჭელიშურ ნუსხებში დაცულ ტექსტთან, მაგრამ გარკვეული მონაცემებით განსხვავდებოდა მისგან [ინგოროვა, 1978, გვ. 528, 531].

ს. ჯანაშია, რომელმაც საგანგებოდ განიხილა არსენ ბერის „უწყებანის“ ცნობები არიან-ქართლისა და არიან-ქართველთა შესახებ, ამ ცნობების წყაროდ „მოქცევას“ ისტორიულ ქრონიკას მიიჩნევდა [ჯანაშია, 1988(2), გვ. 100].

კ. კეკელიძის შეხედულებით აღნიშნული „უწყებანის“ ცნობები ვახტანგ გორგასლის შესახებ აღებულია „ქართლის ცხოვრებიდან“, კერძოდ, ვახტანგ გორგასლის ცხოვრებიდან, რომლის ავტორად მას ლეონტი მროველი (XI ს.) მიაჩნდა [კეკელიძე, 1941, გვ. 289].

მ. სანაძის აზრით, არსენ ბერი როგორც „წმ. ნინოს ცხოვრების“, ისე „უწყებანის“ შედგენისას სარგებლობდა მხოლოდ „ქართლის ცხოვრებით“ (მისი სახელდებით „ქართველთა ცხოვრება“), უფრო ზუსტად, მისი იმ რედაქციით, რომლის შემოკლებულ ვარიანტს წარმოადგენს „მოქცევას“ ისტორიული ქრონიკა [სანაძე, 2019, გვ. 132-136].

ჩვენი მიზნებიდან გამომდინარე, ყველა შემთხვევაში არსენ ბერის „უწ-

ყებანის“ გამოყენება „მოქცევადს“ ისტორიული ქრონიკის პროტოგრაფის ტექსტის დასადგენად მეთოდურად სავსებით გამართლებულია. ამასთანავე, აქაც გასათვალისწინებელია ყველა ის გარემოება, რაც აღნიშნული მიზნით სუმბატ დავითის-ძის თხზულებით სარგებლობის დროს უნდა ვიქონიოთ მხედველობაში (იხ. ზემოთ).

ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობების შესახებ ისტორიული ქრონიკის თხრობაში, რომელიც ერთადერთ, შატბერდულ ნუსხაშია შემონახული, ბუნდოვანია, თუ როგორ წარმოუდგენია ამ სტრიქონების ავტორს მიმართება, ერთი მხრით, „კედარ ქვეყანასა“, სადაც ალექსანდრემ „შეკადნა“ „ნათესავნი ლოთის შვილთანი“ და, მეორე მხრით, მტკვრის ხეობას შორის, სადაც მან „იხილნა ნათესავნი სასტიკი ბუნ-თურქი“ მსხდომი ოთხ ციხე-ქალაქში [აბულაძე, 1963, გვ. 81<sub>1-8</sub>]. მკაფიოდ არ ჩანს, „კედარი ქვეყანა“ და მტკვრის ხეობა ერთი და იგივე გეოგრაფიული სივრცეა თუ სხვადასხვა.

ვითარება ნათელია არსენ ბერთან. მისი თხრობის მიხედვით, ალექსანდრე მაკედონელმა „უცხოთესლნი“ (ისტორიული ქრონიკის „ნათესავნი ლოთის შვილთანი“) „დასხა“ (ისტორიულ ქრონიკაში შეესაბამება „შეკადნა“) „კერძსა“ (ზოგ ნუსხაში: „კედარსა“) ჩრდილოვასასა“ (ისტორიულ ქრონიკაში შეესატყვისება „კედარსა მას ქვეყანასა“), ამის შემდეგ, არსენ ბერის თანახმად, მაკედონელი „უკუ-მოიქცა მუნით და შემოვიდა“ მტკვრის ხეობაში, სადაც მან „იხილნა ნათესავნი იგი სასტიკი წარმართნი“ ძლიერ გამაგრებულ ციხე-ქალაქებში [აბულაძე, 1971, გვ. 46<sub>10-18</sub>].

აშკარაა, რომ არსენ ბერის ხელთ არსებულ წყაროში, განსხვავებით ისტორიული ქრონიკისაგან, გამიჯნული ყოფილა „კერძი“ თუ „კედარი ჩრდილოვასა“ (ისტორიული ქრონიკის „კედარი ქვეყანა“) და მტკვრის ხეობა. პირველი მათგანი ის გეოგრაფიული სივრცეა, სადაც ალექსანდრე მაკედონელმა „უცხოთესლნი“ (ისტორიული ქრონიკის „ნათესავნი ლოთის შვილთანი“) იძულებით „დასხა“ (ისტორიული ქრონიკით „შეკადნა“), აქედან მობრუნებული კი მოდის მტკვრის ხეობაში. ისტორიული ქრონიკის შესაბამის თხრობას, აშკარაა, რომ აკლია ცნობა ალექსანდრე მაკედონელის „ჩრდილოვა კერძიდან“, თუ „კედარიდან“ მობრუნებისა და მტკვრის ხეობაში მოსვლის შესახებ.

არსენ ბერის „უწყებანი“, ზემოთქმულის გათვალისწინებით, საშუალებას იძლევა შეივსოს ისტორიული ქრონიკის ნაკლული ადგილი, რომელიც აღდგენილი სახით ასე წარმოვიდგება (კვადრატულ ფრჩილებში ჩასმულია „უწყებანის“ მიხედვით აღდგენილი სიტყვები): „პირველ, ოდეს ალექსანდრე მეფემან ნათესავნი იგი ლოთის შვილთანი, წარიქცინა და შეკადნა იგინი კედარსა მას ქვეყანასა [და ვითარცა უკუ-მოიქცა მუნით], იხილნა ნათესავნი სასტიკი ბუნ-თურქი. . .“

არსენ ბერის „უწყებანის“ მონაცემებით შესაძლებელი ხდება ისტორიული ქრონიკის სხვა ადგილის აღდგენაც. მოვიტანთ შესაბამის მონაკვეთებს მრივე ტექსტიდან:

ისტორიული ქრონიკა	არსენ ბერის „უწყებანი“
„ხოლო ესე აზოდ წარვიდა არიან-ქართლად, მამისა თვისისა, და წარმოიყვანა რვად სახლი და ათი სახლნი მამამძუძეთანი“ [მ. სალუაშვილი, და ს. სალუაშვილი, 2010(2), გვ. 10].	„ხოლო ესე აზოვე წარვიდა არიან ქართლად მამისა თვისისა და წარმოიყვანა მუნით ათასი სახლი მდაბიოდ უფლისად <sup>5</sup> და კუალად ათი სახლი მთავართაგან პალატისათა. . .“ [იხ.აბულაძე, 1971, გვ. 47].

მოტანილი ფრაგმენტები ტექსტოლოგიური თვალსაზრისით საგანგებოდ განიხილა პ. ინგოროვამ. მან, პირველ ყოვლისა, შენიშნა, რომ ისტორიული ქრონიკის ცნობას არიან-ქართლიდან წამოიყვანილი რვა სახლის შესახებ აკლია განმარტება მათი სოციალური ვინაობის შესახებ, როგორც ეს გვაქვს იქვე დასახელებული ათი სახლის მიმართ, რომლებიც „მამამძუძეთა“ ანუ წარჩინებულთა წრეს ეკუთვნიან. ქრონიკის აღნიშნულ ნაკლულობას ავსებს არსენ ბერის „უწყებანის“ შესაბამისი ჩვენება, რომლის მიხედვით პირველად დასახელებული სახლები ეკუთვნოდნენ „მდაბიოებს“.

მკვლევრის აზრით, ქრონიკის განსახილველი ადგილი არა მარტო წაკლულია, არამედ დაზიანებულიცაა. ამის თაობაზე პ. ინგოროვა აღნიშნავს: არიან ქართლიდან «გადმოსახლების დროს თუ კი ჯერ მარტო წარჩინებულთა წრე („მთავარნი=„მამამძუძენი“ მეფის შვილისა) შეადგენდა „ათ სახლს“, მდაბალი წრე, ცხადია, გაცილებით მეტი უნდა ყოფილიყო და, ამრიგად, რიცხვი „რვა“ შეუსაბამობას წარმოადგენს. ბუნებრივი და გასაგებია რიცხვი „ათასი“ [ინგოროვა, 1978, გვ. 515].

პ. ინგოროვა უჩვენებს იმასაც, თუ როგორ იქცა „ათასი“ „რვად“. ამასთან დაკავშირებით მკვლევრი აღნიშნავს: „მოქცევად ქართლისად“ -ს პირველდედანში რიცხვი აღნიშნული ყოფილა ასომთავრული ჩ-ინით ჩ (- ე. ი. „ათასი“), რაც უფრო გვიანდელი ხანის გადმონაწერებში დაზიანებულა და წაუკითხავთ როგორც ჩ (-ე.ი. „რვა“)“ [ინგოროვა, 1978, გვ. 515]. კიდევ უფრო ადგილი იყო ასეთი შეცდომის დაშვება ნუსხახუცური დამწერლობის ნიადაგზე, სადაც ე-მერვეს (ჩ) ჩინისგან (ჩ) განასხვავებს მხოლოდ მარჯვენა ქვედა ჰორიზონტალური ხაზი (ე. ნ. კბილი).

ზემოთქმულის საფუძველზე, პ. ინგოროვამ ისტორიული ქრონიკის ნაკლული და დაზიანებული ადგილი ასე აღადგინა:

„ხოლო ესე აზოდ წარვიდა არიან ქართლად მამისა თვისისა, და წარმოიყვანა [ათასი] სახლი [მდაბიოდ უფლისად]“.

5 არსენ ბერის თხზულების მეტაფრასული რედაქციის შემცველ ხელნაწერში წერია: „მდაბიო“, მეტაფრასის პერიფრაზირებულ რედაქციაში (A 516) – „მდაბიოდ უფლისად“ [იხ.აბულაძე, 1971, გვ. 80].

\*\*\*

ისტორიული ქრონიკის პროტოგრაფის ტექსტის აღდგენის საქმეში გვერდს ვერ ავუვლით „ქართლის ცხოვრებას“. სამეცნიერო ლიტერატურაში დიდ ხანია ყურადღების ცენტრშია ტექსტობრივი მსგავსება ისტორიული ქრონიკასა და „ქართლის ცხოვრების“ იმ მონაკვეთს შორის, სადაც გადმოცემულია ამბები აღექსანდრე მაკედონელის ლაშქრობიდან მსოფლიო ასპარეზზე არაბთა გამოჩენამდე (ერისთავ სტეფანოს II-ის დროს). საკითხი, თუ რით აიხსნება აღნიშნული მსგავსება თუ თანხვედრა, მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. მკვლევართა ერთი ნაწილის მოსაზრებით, ისტორიული ქრონიკა წარმოადგენს „ქართლის ცხოვრების“ შესაბამისი ნაწილის წყაროს [ე. თაყაიშვილი, 1890, გვ. XIX; უორდანია, 1892, გვ. XXXVI-XXXVII; ჯავახიშვილი, 1977, გვ. 187; მელიქიშვილი, 1970, გვ. 57-60; ჯანაშია, 1988(1), გვ. 107; ჩხარტიშვილი, 1982, გვ. 28-33; ჩხარტიშვილი, 1987, გვ. 95-96; არახამია, 2002, გვ. 125]; სხვები ფიქრობენ, რომ ორივე თხზულება ემყარება დღეისათვის დაკარგულ საერთო წყაროს, რომელიც შედგენილი უნდა ყოფილიყო VII საუკუნეში [ინგოროვა, 1978, გვ. 522; აბაშიძე, 1993; ხოშტარია-ბროსე, 1996; ხოშტარია-ბროსე, 1999].

ამ ბოლო ხანებში სრულიად განსხვავებული თვალსაზრისი შემოგვთავაზა მ. სანაძემ. მისი აზრით, ისტორიული ქრონიკა შეიქმნა VII-VIII სს. მიჯნაზე და მის ძირითად წყაროს წარმოადგენდა „ქართველთა ცხოვრების“ (ასე უწოდებს ავტორი „ქართლის ცხოვრებას“) ადრეული, ჯუანშერისეული ვერსია (VI ს. ბოლო), რომელსაც ემატებოდა კახეთში მსხდომი „მეფეებისა“ და ქართლის ერისმთავრების (პატრიკიოზების) ჩამონათვალი. ამ ძეგლის მონაცემები ქრონიკის შემდგენელმა სხვა წყაროებიდან აღებული ინფორმაციებითაც გაამდიდრა. მკვლევრისავე აზრით, მოგვიანებით თვითონ ქრონიკა გახდა „ქართველთა ცხოვრების“ ერთეული წყარო, როდესაც ის „ქართველთა ცხოვრების“ შევსებისა და რედაქტირების დროს გამოიყენა ლეონტი მროველმა (XI ს.) [სანაძე, 2019, გვ. 66-67, 136-141; მ. სანაძე, 2016, გვ. 168-171].

რომელი თვალსაზრისიც არ უნდა გავიზიაროთ აღნიშნული ორი ძეგლის ურთიერთმიმართების შესახებ, „ქართლის ცხოვრების“ მონაცემების გამოყენება ისტორიული ქრონიკის პროტოგრაფის ტექსტის აღსადგენად, ყველა შემთხვევაში გამართლებულია.

\*\*\*

„მოქცევას“ ისტორიული ქრონიკის ძირითად ტექსტს ბოლოში ერთვის ერისთავებისა და კათოლიკოსების მშრალი სია.

შევეხებით კათოლიკოსთა სიას. უკანასკნელი კათოლიკოსი, რომელიც ქრონიკის ძირითად ტექსტში იხსენიება, არის ევნონი, სათვალავით მე-20.

კათოლიკოსთა დამატებითი სია, რომელიც ძირითად ტექსტს უშუალოდ მოს-დევს, იწყება ცოლოსანი კათოლიკოსების ჩამონათვალით, რომელთა რაოდე-ნობა შეადგენს ცხრას. მოვიტანთ ტექსტს ხელნაწერების მიხედვით:

სინური(N/sin-50)	ჭელიშური	შატბერდული
ხოლო კათალიკოზნი, რომელი ევნუსითგან მოლმართ იყვნეს: თავ-ფაჩაგ : კა; ევლალი : კბ; იოველ : კგ; სამოველ : კდ; გიორგი : კე; კვირიონ : კვ; იზიდ-ბოზიდ : კზ; თევდორე : კჲ; პეტრე : კთ; ესე თ-ნი ცოლოს-ანი იყვნეს“ [აბულაძე, 2007, გვ. 21].	ხოლო კათალიკოზნი თვობ-ბითგ[ა]ნე იყ[ვ]ნეს: თავფა-ჩაგ : კ; ავლალი : კბ; იოველ : კგ; სამოველ : კდ; გიორგი : კე; კვრიონ : კვ; იზიბოდა: კზ; თ(თევ-დორ)ე : კჲ; პეტრე : კთ; ესენი ცოლოსანი იყვ-ნეს“ [აბულაძე, 1963, გვ.97].	ხოლო კათალიკოზნი, რომელ ევნონისითგან მომართ იყვნეს: თავ-ფაჩაგ : ა; ევლალე : ბ; იოველ : გ; სამოველ : დ; გიორგი : ე; კვირიონ : ვ; იზიდ-ბოზიდ : ზ; თ(თევდორ)ე : ჲ; პეტრც : თ; ესე ცხრანი ცოლო-სანი იყვნენ“ [აბულაძე, 1963, გვ.97].

ჩვენს ყურადღებას იქცევს სინური და შატბერდული ნუსხების ჩვენება, რომ ცოლოსანი კათოლიკოსები მოღვაწეობდნენ „ევნონისითგან მომართ“/ „ევნუსითგან მოლმართ“<sup>6</sup>. იმის გათვალისწინებით, რომ ძველ ქართულ-ში „მოლმართ“/“მომართ“ აღნიშნავს მიმართულებას საწყისი წერტილიდან მთემელისაკენ, ტექსტი გვეუბნება, რომ ჩამოთვლილი ცხრა კათოლიკოსი მოღვაწეობდა ევნონის შემდგომ. მაგრამ რეალური ვითარება სხვაგვარია. ნუსხებში ჩამოთვლილი ცოლოსანი კათოლიკოსები ევნონის შემდგომი კი არა, მისი წინამორბედები არიან [კაკაბაძე, 1928, გვ. 30; სანაძე, 2019, გვ. 436]. ამას მოწმობს ქრონიკის ძირითადი ტექსტის მონაცემებისა და ცოლო-სან კათოლიკოსთა სიის შედარება, საიდანაც ჩანს, რომ ცხრა ცოლოსანი კათოლიკოსიდან ოთხი - თავფაჩაგ, ევლალე, სამოელ და პეტრე (ქრონიკით: სიმონ-პეტრე) დასახელებულია ქრონიკის ძირითად ტექსტში ევნონის წინ-ამორბედ კათოლიკოსთა შორის. ქრონიკის ძირითად ტექსტში არ გვხდება ცოლოსანთა სიის ხუთი კათოლიკოსი: იოველ, გიორგი, კვრიონ, იზიდ-ბოზიდ და თევდორე, რაც ძირითადი ტექსტის ნაკლულობით უნდა აიხსნას. პროტოგრაფში აღნიშნული ხუთი კათოლიკოსიც დასახელებული უნდა ყო-ფილიყვნენ. დღეს ძნელი სათემელია აღნიშნული სიის შემდგენელმა ამ ცხრა კათოლიკოსის ცოლოსნობის შესახებ ინფორმაციაც ისტორიული ქრონიკის

6 “თვობითგ[ა]ნ“ მცდარი წაკითხვაა სიტყვისა „ევნოსისითგან“. შდრ. იქვე: „ხოლო ჯუმლად ევნოსისითგან მოლმართ იყვნეს კათოლიკოზნი: მ“ე“ (აბულაძე, 1963, გვ. 97).

7 სინური ხელნაწერის „მოლმართ“ ფორმას შატბერდულში შეესაბამება „მომართ“, რაც პირველის შეკუმშული ვარიანტია. მართალია ჭელიშურს ეს სიტყვა აქ აკლია, მაგრამ ოდნავ ქვემოთ, კათოლიკოსთა რიცხოვნობის შემაჯამებელ ცნობაში ეს სიტყვა („მოლმართ“) დასტურდებაა.

ტექსტიდან მიიღო თუ სხვა წყაროდან. ფაქტია, რომ დღეისათვის ცნობილი ხელნაწერები, შესაბამისად, მათი დედნები ასეთ ცნობას არ შეიცავენ. ამიტომ ორივე შესაძლებლობა თანაბარი უფლებისაა.

ეს გარემოება გვკარნახობს, რომ ნუსხების ჩვენება “მოღმართ”/ „მომართ“ დამახინჯებული ფორმაა მისი საპირისპირ მნიშვნელობის მქონე სიტყვისა „მიღმართ“/„მიმართ“, რომელიც ცოლოსან კათოლიკოსთა მოღვაწეობას ევნონის წინარე ხანაში ათავსებს და ასე თუ ისე შესაბამისობაშია ქრონიკის ძირითადი ტექსტის მონაცემებთან.

აღნიშნული დამახინჯების გზა ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ: ისტორიული ქრონიკის რომელიაც ადრეული ხელნაწერის გადამწერმა თუ რედაქტორმა ძირითად ტექსტში დასახელებულ კათოლიკოსთაგან ცალკე გამოყო ცოლოსანი და მათი სია აღნიშნულ ტექსტს ბოლოში დაურთო. იქვე დააზუსტა მათი მოღვაწეობის ხანა ძირითადი ტექსტში მოხსენიებული უკანასკნელი კათოლიკოსის ევნონის ზეობაზე მითითებით - „ევნონისითგან მიღმართ“. მანვე აღნიშნულ სიაში ჩამოთვლილ კათოლიკოსებს მისცა ცალკე, ძირითადი ტექსტისგან დამოუკიდებელი რიგითი ნუმერაცია პირველიდან ცხრამდე, როგორც ეს შატბერდულმა ნუსხამ შემოგვინახა. შემდგომში პირვანდელი წაკითხვა „ევნონისითგან მიღმართ“ ერთ-ერთი გვიანდელი ნუსხის გადამწერმა შეცდომით წაკითხა როგორც „ევნონისითგან მოღმართ“, ხოლო რიგითი ნუმერაცია ცოლოსანი კათოლიკოსების სიისა უცვლელი დატოვა, სწორედ ეს ეტაპი შემოგვინახა შატბერდულმა ნუსხამ. შემდგომი ხანის გადამწერმა, რომლის ხელთ არსებულ დედანში უკვე ენერა „ევნონისითგან მოღმართ“, ცოლოსანი კათოლიკოსები მიიჩნია ძირითად ტექსტში უკანასკნელი, მეოცე ნომრით აღნუსხული ევნონის შემდგომი ხანის კათოლიკოსებად<sup>8</sup> და მათი რიგითი სათვალავი გააგრძელა ევნონიდან მზარდი ნუმერაციით 21-დან 29-ის ჩათვლით, რომელიც შემოინახეს სინურმა და ჭელიშურმა ნუსხებმა.

ამრიგად, ისტორიული ქრონიკის განსახილველი ფრაზა - „ევნონისითგან მოღმართ“ გვიანდელი გადამწერების მიერ ნებსით თუ უნებლიერ გადასხვაფერებული წაკითხვაა პირვანდელი ფორმისა „ევნონისითგან მიღმართ“. პროტოგრაფის რეკონსტრუირებულ ტექსტში განხილული ფრაზა ამ უკანასკნელი სახით უნდა აღსდგეს.

ცოლოსან კათოლიკოსთა ჩამონათვალის შემაჯამებელ სიტყვებს - „ესე თ:ნი/ცხრანი ცოლოსანნი იყვნეს“ - ჭელიშურსა და შატბერდულში მოსდევს სიტყვა „მერმე“ (არ ჩანს ვის ან რის „მერმე“) და კათოლიკოსების სია. მოვიტანთ ტექსტებს ნუსხების მიხედვით:

<sup>8</sup> ასეთად არის აღქმული ეს სია თანამედროვე მკვლევართა მიერაც, მაგრამ ეს საკითხი სცილდება ამ სტატიის საგანს.

სინური(N/sin-50)	ჭელიშური	შატბერდული
<p>„[...პეტრე :კ~თ. ესე :თ:-ნი ცოლოსანი იყვნეს]. კათალიკოზნი იყვნეს მერმე მამა :ლ; იოვანე :ლ~ა; გრიგოლ :ლ~ბ; კლლემენტოზ :ლ~გ; სარმეან :ლ~დ; თალელ :ლ~ე; სამოელ :ლ~ვ; პრილე :ლ~ზ; გრიგოლ :ლტ; სარმეან :ლ~თ; გიორგი :მ~მ; გაბრიელ :მ~ა; ილარიონ :მ~ბ; არსენ დიდი :მ~გ; ევსუქი რომელმან გაახლა მცხეთად :მ~დ; ბასილი. ხოლო ამის შემდგომად ვინცა შეიცვალებოდეს კათალიკოზთაგან, იწერებოდის [ალექსიძე, 2007, გვ. 21].</p>	<p>[...პეტრე :კ~თ; ესე ცოლოსანი იყვნეს] ხოლო ჯუმლად ევნო-სისითგან მოღმართ იყვნეს კათოლიკოზნი: მ~ე<sup>9</sup>. ხოლო ამის შემდგომად ვინცა შეიცვალებოდის კათალიკოზთაგანი, იწერებოდის“ [ალექსიძე, 2007, გვ. 21].</p>	<p>„[...პეტრე :თ; ესე ცხრანი ცხრანი ცოლოსანი იყვნეს]. მერმე მამა :ა; იოვანე :ბ; გრიგოლ :გ; კლემენტიოსი :დ; სარმან :ე; ტალელ :ვ; სამოველ :ზ; პრილე :ც; გრიგოლ :ი; გეორგი :ი~ა; გაბრიელ :ი~ბ; ილარიონ :ი~გ; არსენი :ი~დ; ევსუქი :ი~ე; ბასილი :ი~ვ; მიქაელ :ი~ზ; დავით :ი~ც; არსენი :ით“ [აბულაძე, 1963, გვ. 97-98].</p>

ყურადღებას იქცევს ნუსხებში წარმოდგენილი ნუმერაცია. შატბერდულში „მერმეს“ შემდეგ აღნუსხული კათოლიკოსების ნუმერაცია თავიდან იწყება: „მერმეს“ შემდეგ დასახელებული პირველი კათოლიკოსი მამა აღნუსხულია პირველი (：“ა”) ნომრით და ასე თანამიმდევრულად 29-ის (ი~თ) ჩათვლით. აქ ცოლოსანი კათოლიკოსების სიისგან გამიჯნულია ვიღაცის ან რაღაცის „მერმე“ მოსაყდრე კათოლიკოსები. ხოლო სინურ ნუსხაში, სადაც ცოლოსანი კათოლიკოსების ნუმერაცია შეთანხმებულია ძირითადი ტექსტის სათვალავთან და პირდაპირ აგრძელებს მას, დასახელებული კათოლიკოსი მამა აღნუსხულია 30-ე ნომრით და ასე თანამიმდევრულად ბოლომდე. იგივე იგულისხმება ჭელიშური ნუსხის დედაში [ალექსიძე, 2011(2), გვ. 165].

აშკარაა, რომ ჭელიშურის დედანაა და სინურში კათოლიკოსთა დამატებითი სიის ნუმერაცია არ შეესაბამება კათოლიკოსთა რეალურ რიცხვს,

9 როგორც ზ. ალექსიძე შენიშნავს, გადამწერის შეცდომაა ჭელიშური რედაქციის ფრაზა: „ხოლო ჯუმლად ევნოსისითგან მოღმართ იყვნეს კათოლიკოზნი: მ“ე (45)“. გადამწერმა, როგორც ჩანს, აღარ გადაწერა მთლიანი სია და ბოლო, ორმოცდამეხუთე კათოლიკოსზე მითითება ევნოსისგან ათვლილად მიიჩნია (ალექსიძე, 2011(7), გვ. 221), რაც ტექსტისადმი ზერელე დამოკიდებულების შედეგია ([ალექსიძე, 2011(2), გვ. 165-166] და არა მისი დედნის ნაკლულობის (იხ. ალექსიძე, 2011(2), გვ. 165).

რადგანაც ამ სიის პირველი ცხრა კათოლიკოსი ევნონის წინარე ხანაში მოღვაწეობდნენ. ევნონის შემდგომი კათოლიკოსების რეალური სია მამათი იწყება. ჩვენი მიზნებისთვის მთავარი მაინც სხვა საკითხია. ზემოთქმულის გათვალისწინებით, რა სახით იყო წარმოდგენილი აღნიშნული დამატებითი სია პროტოგრაფში? აღნიშნული სია და ნუმერაცია პირვანდელი სახით შემონახულია შატბერდულში, სადაც, ზემოთ შემოთავაზებული შესწორების („ევნონისითგან მიღმართ“) გათვალისწინებით, ერთმანეთისგან იმიჯნება ევნონის წინამორბედი ცოლოსანი კათოლიკოსები და მისი მომდევნო კათოლიკოსები მათი ცალ-ცალკე აღნუსხვით, რის შემდეგაც გასაგები ხდება თუ რა იგულისხმება უმაღლესი იერარქების ამ ორი ჯვეფის ჩამონათვალს შორის ჩასმული სიტყვაში „მერმე“: ცხადია, იგულისხმება ევნონის „მერმე“. პროტოგრაფშიც კათოლიკოსთა დამატებითი სია უნდა შეტანილ იქნეს შატბერდულის მიხედვით ზემოთ აღნიშნული კონიექტურით. ხოლო ამ პირვანდელი ნუმერაციის შემდგომი ტრანსფორმირების გზა უნდა აისახოს კითხვასხვაობებში.

### **ბიბლიოგრაფია:**

1. აბაშიძე, 1993: ე. აბაშიძე, „ქართლის ცხოვრების“ წარმოქმნისა და განვითარების საკითხები, თბ., 1993;
2. აბულაძე, 1963: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, (V-X სს.), დასაბეჭდად მოამზადეს ი. აბულაძემ, ნ. გოგუაძემ, ლ. ქაჯაიამ, ც. ქურციკიძემ, ც. ჭანკიევმა და ც. ჯლამაიამ ი. აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბ., 1963, გვ. 81-97;
3. აბულაძე 1971: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, III, დასაბეჭდად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ე. გაბიძაშვილმა, ნ. გოგუაძემ, მ. დოლაქიძემ, გ. კიკნაძემ და ც. ქურციკიძემ, თბ., 1971.
4. ალექსიძე, 2007: „მოქცევამ ქართლისა“, ახლადაღმოჩენილი სინური რედაქციები, გამოსცა და წინასიტყვაობა დაურთო ზ. ალექსიძემ, თბ., 2007.
5. ალექსიძე, 2011(1): ზ. ალექსიძე, კვლავ სპარსული ფრაზის შესახებ „მოქცევამ ქართლისადას“ „წმინდა ნინოს ცხოვრების“ ტექსტში.- ქრისტიანული კავკასია, 2, თბ., 2011, გვ. 132;
6. ალექსიძე, 2011(2): ზ. ალექსიძე, „მოქცევამ ქართლისადს მატიანის“ ახალი რედაქცია N/შინ-48 .- ქრისტიანული კავკასია, 2, 167.
7. ალექსიძე, 2011(3): ზ. ალექსიძე, სინას მთის წმიდა ეკატერინეს მონასტრის ახალი ქართული კოლექციის შინ-50-ის ანდერძ-მინანერები.- ქრისტიანული კავკასია, 2, გვ. 209;
8. ალექსიძე, 2011(4): ზ. ალექსიძე, „მოქცევამ ქართლისადს“ კათალიკოსთა სია.- ქრისტიანული კავკასია, 2, 2011.
9. ალექსიძე, 2011(5): ზ. ალექსიძე, გარეჯადან სინას მთამდე, ქრისტიანული კავკასია, 2, გვ. 61.
10. ალექსიძე, შანიძე, ხევსურიანი და ქავთარია, 2005: ახალი აღმოჩენები სინის მთაზე. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. შეადგინეს ზ. ალექსიძემ, მ. შანი-

- ძემ, ლ. ხევსურიანმა და მ. ქავთარიამ, ათენი, 2005.
11. არახამია, 1990: სუმბატ დავითის-ძე, ცხორებამ და უწყებამ ბაგრატონიანთა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გ. არახამიამ, თბ., 1990.
  12. არახამია, 1988: გ. არახამია, ძველი ქართული საგვარეულო მატიანები, თბ., 1988.
  13. არახამია, 2002: გ. არახამია, „ქართლის ცხოვრების პირველი მატიანე, თბ., 2002.
  14. გიგინეიშვილი და გოუნაშვილი 1979: შატბერდის კრებული X საუკუნისა, გამოსაცემად მოამზადეს ბ. გიგინეიშვილმა და ელ. გიგუნაშვილმა, თბ., 1979.
  15. თაყაიშვილი, 1890: ე. თაყაიშვილი, სამი ისტორიული ხრონიკა, ტფ., 1890.
  16. ინგოროვა, 1978: პ. ინგოროვა, ძველი ქართული მატიანე „მოქცევად ქართლისად“ და ანტიკური ხანის იძერის სია. - თხზულებანი, IV, თბ., 1978.
  17. კაკაბაძე, 1928: ს. კაკაბაძე, ძიებანი ქართველთა IV-VII სს. ისტორიის შესახებ, კრებ. საისტორიო კრებული, წ. 2, 1928.
  18. კეკელიძე, 1956: კ. კეკელიძე, „მოქცევად ქართლისადს“ შედგენილობა, წყაროები და ეროვნული ტენდენციები, ეტრუდები, I, თბ., 1956.
  19. კეკელიძე, 1941: კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1941.
  20. მელიქიშვილი, 1970: გ. მელიქიშვილი, საქართველოს უძველესი და ძველი ისტორიის წყაროები.- წიგნში: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, თბ., 1970.
  21. უორდანია, 1892: თ. უორდანია, ქრონიკები, ტფ., 1892, გვ. XXXVI-XXXVII;
  22. მ. სალუაშვილი და ს. სალუაშვილი, 1910(1): მ. სალუაშვილი, ს. სალუაშვილი, როდის და ვის მიერაა დაწერილი „მოქცევაი ქართლისაი“, თბ., 2010.
  23. მ. სალუაშვილი და ს. სალუაშვილი, 1910(2): მ. სალუაშვილი, ს. სალუაშვილი, „მოქცევაი ქართლისაის“ რედაქციების პარალელური ტექსტები, თბ., 2010.
  24. სანაძე, 2019: მ. სანაძე, ქართველთა ცხოვრება, წ. III, თბ., 2016.
  25. სანაძე, 2019: მ. სანაძე, „ქართველთა ცხოვრება“, წ. I, თბ., 2019.
  26. ქურციკიძე, 1967: ც. ქურციკიძე, „ნინოს ცხოვრების“ მეტაფრასული რედაქციის წყაროს საკითხისათვის – საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XLVI, №1, 1967.
  27. ჩუბინაშვილი, 1936: გ. ჩუბინაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, 1, თბ., 1936.
  28. ჩხარტიშვილი, 1978: მ. ჩხარტიშვილი, „ნმ. ნინოს ცხოვრების“ პროტოჭელიშური რედაქცია – მეტაფრასული რედაქციის წყარო. – მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, № 4, 1978.
  29. ჩხარტიშვილი, 1980: მ. ჩხარტიშვილი, მეტაფრასი „ქართლის ცხოვრებისეული“ რედაქციის შესახებ. – მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, № 4, 1980.
  30. ჩხარტიშვილი, 1987: მ. ჩხარტიშვილი, ქართული ჰაგიოგრაფიის წყაროთმცოდნეობითი შესანავლის საკითხები. „ცხოვრებად წმიდისა ნინომსი“, თბ., 1987.
  31. ჩხარტიშვილი, 1982: მ. ჩხარტიშვილი, აღმოსავლეთ საქართველოს ქრისტიანიზაციის წყაროთმცოდნეობითი პრობლემები (სადისერტაციო ნაშრომი), თბ., 1982.
  32. ხოშტარია-ბროსე, 1996: ე. ხოშტარია-ბროსე, ლეონტი მროველი და „ქართლის ცხოვრება“, თბ., 1996.
  33. ხოშტარია-ბროსე, 1999: ე. ხოშტარია-ბროსე, VII საუკუნის ქართული მატიანე და მისი კვალი „მოქცევად ქართლისადას“ და „ქართლის ცხოვრებაში“. - მესამე საერთაშორისო ქართველობის კულტურული სიმპოზიუმის მასალები, თბ., 1999.

- 
34. ჯავახიშვილი, 1977: ი. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თხზულებანი, VIII, თბ., 1977.
35. ჯანაშია, 1988(1): 6. ჯანაშია, „ცხოვრება ქართველთა მეფეთას“ წყაროებისათვის .- ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ნარკვევები, თბ., 1988.
36. ჯანაშია, 1988(2): ს. ჯანაშია, ფსევდო-არსენი. – შრომები, VI, თბ., 1988.
37. კაკაბაძე, 1912: С. Н. კაკაბაძე, О древнегрузинских летописцах XI века, Тб., 1912.
38. Такайшвили 1912: Е. Такайшвили. Описание рукописей «Общ. распроср. грамот среди груз. населения», СМОМПК, вып. 41, 1910, с. 48-96; вып. 42, 1912.
39. Такайшвили, 1909: Е. Такайшвили. Экскурсия 1202 г. – Материалы по археологии Кавказа, т. XII, М., 1909.
40. Такайшвили, 1906-1912: Е. Такайшвили. Описание рукописей «Общ. распроср. грамот среди груз. населения», т. II, вып. 1-4, Тифлис, 1906-1912.

### GONELI ARAKHAMIA

## “CONVERSION OF KARTLI” FOR THE RECONSTRUCTION OF THE PROTOGRAPH OF THE HISTORICAL CHRONICLE

### Abstract

The old Georgian historical work “Conversion of Kartli” tells us about the history of the declaration of Christianity as the state religion in Georgia in the IV century. It consists of two parts. The first part includes the historical chronicle which describes the stories beginning from IV century B.C to 40s of the VII century A.D. The narrative of the stories of the IV century involves a short edition of the life of spreader of Christianity of Georgia, St. Nino. The second part includes the extensive edition of St. Nino’s life.

To date, four manuscripts of this work have been found, the first and the second of which were copied at the beginning of the X century, the third one – in the 70s of the X century and the fourth one – in XIV – XV centuries. I am going to make a reconstruction of the common source text of the first part of “Conversion of Kartli”, the protograph of the historical chronicle, i.e. the versions presented in all four above – mentioned manuscripts. In this article I am discussing the circumstances that need to be considered for the reconstruction of the chronicle protograph. These circumstances are as follows: None of the manuscripts containing the chronicle have been copied from the other, i.e. each has been copied from a different original. In addition, among the versions preserved in the manuscripts we have a textual identity within the more or less extended sections, which reveals the origin of these versions from a single common text. And this assures us of the propriety of raising the issue of the reconstruction of the protograph of these versions and the possibility of its implementation. So called extra points that each version includes makes them different from the others. I believe that such extra points, or exclusives do not come from the protograph and are only

a specific addition to this one particular manuscript. Consequently, these exclusive points should not be included in the protograph. As for such extra points that are included in at least two manuscripts but not in the rest, I think should also be included in the protograph as if arising from it.

In the recovery of the chronicle protograph, certain importance is given to auxiliary sources or the works the compilers of which use the chronicle as a source as well as to the work which the compiler of the chronicle uses as his source. These works are the history of Bagrationi dynasty of Sumbat Davitis Dze (XI century), the beginning part of the collection of old Georgian chronicles “Life of Kartli”, metaphrastian edition of St. Nino’s life compiled by Arsen Beri (XII century). The data of the listed works help us to fill in numerous gaps in the manuscripts of the Chronicle and to correct the distorted points.

**Keywords:** “Conversion of Kartli”, historical chronicle, protograph, Sumbat Davitis Dze, Arsen Beri, “Life of Kartli”.

#### ГОНЕЛИ АРАХАМИА

### К РЕКОНСТРУКЦИИ ПРОТОГРАФА ИСТОРИЧЕСКОЙ ХРОНИКИ «ОБРАЩЕНИЯ КАРТЛИ»

#### Резюме

Древнегрузинское историческое сочинение «Обращение Картли» состоит из двух частей. Первая часть - Историческая хроника, повествующая о событиях с IV в. до н.э. по 40-е годы VII в. н.э., содержит также краткую редакцию жизнеописания просветительницы Грузии Св. Нино. Вторая часть - это пространная редакция «Жития Св. Нино».

Сохранились четыре редакции указанного сочинения. Из четырех рукописей, содержащихся текст Исторической хроники, первая и вторая переписаны в начале X века, третья - в 70-х годах X века, четвёртая – в XIV-XV веках. Намереваясь реконструировать протограф Исторической хроники, в данной статье автор рассматривает те обстоятельства, которые необходимо учесть для осуществления поставленной задачи. Прежде всего, следует отметить, что вышеуказанные рукописи непосредственно не зависят друг от друга - каждая из них списана с разных подлинников. Вместе с тем, наличие определенного сходства между этими редакциями, показывающее их происхождение от общего источника, подтверждает целесообразность постановки вопроса о реконструкции протографа этих редакций и достижимость ее осуществления. Привлекают внимание свойственные каждой редакции т. н. лишние места, которыми они отличаются от всех остальных. Такого рода «лишние места» или же эксклюзивы являются специфическими добавлениями лишь одной конкретной редакции.

Соответственно, эти эксклюзивы не должны быть занесены в протограф. Что касается тех «лишних мест», которые встречаются хотя бы в двух рукописях, но отсутствуют в остальных, они должны войти в протограф, как происходящие от него.

В деле восстановления протографа Исторической хроники определенное значение придается вспомогательным источникам, т.е. тем сочинениям, составители которых используют Историческую хронику в качестве источника: история династии Багратионов Сумбата Давитис-дзе (XI в.), начальная часть свода древнегрузинских летописей «Картлис ცხოვრება» («История Грузии»), метафрасная редакция «Жития Св. Нино», составленная монахом Арсением (XII в.). Данные перечисленных сочинений помогают в заполнении ряда пробелов и исправлении искаженных мест Исторической хроники.

**Ключевые слова:** «Обращение Грузии», Историческая хроника, протограф, Сумбат Давитис-дзе, монах Арсений, «История Грузии».

## პოლიტოლოგია

### ზურაბ აჩაშიძე

#### საქართველო-რუსეთი: არის კი გამოსავალი ჩიხიდან?

2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ ქართულ-რუსული ურთიერთობები ჩიხშია მოქცეული. რუსეთმა აღიარა აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა, რაც უხეშად არღვევს საერთაშორისო სამართლის, საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის პრინციპებს. მოსკოვი დღემდე არ ასრულებს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ 2008 წლის შეთანხმებას, საქართველოსათვის კი რუსეთის მიერ შექმნილი ე.წ. “ახალი რეალობა” ყოვლად მიუღებელია. სამართლებრივად შექმნილია ჩიხური სიტუაცია. ამ ვითარებაში დიპლომატიური, ანუ სახელმწიფოთა შორის კავშირების აღდგენა დღის წესრიგში ვერ დადგება.

აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ე.წ. დამოუკიდებლობას რეალური პერსპექტივა არა აქვს, რაც მათაც ჩიხურ ვითარებაში ამყოფებს. ამ რეგიონებში ფრიად მძიმე დემოგრაფიული ვითარებაც, რადგან ქართული მოსახლეობის უდიდესი ნაწილის განდევნის შემდეგ, ფაქტობრივად მოხდა ამ ტერიტორიების დეპოპულაცია. ასეთი დემოგრაფიული სურათი ფაქტობრივად გამორიცხავს ეკონომიკური განვითარების პერსპექტივას.

აგვისტოს ომის შედეგები უაღრესად მძიმე აღმოჩნდა. სამხედრო კონფლიქტს ემსხვერპლა ბევრი სამოქალაქო და სამხედრო პირი. ცხინვალის რეგიონიდან დევნილთა ახალი ტალღა, რომელიც აფხაზეთიდან დევნილთა დიდ რაოდენობას შეუერთდა, ქვეყნისათვის უდიდეს ჰუმანიტარულ, სოციალურ და ეკონომიკურ პრობლემად იქცა.

რუსეთმა სამხედრო და პოლიტიკური კონტროლი დაამყარა იმ ტერიტორიებზე, რომლებსაც აგვისტოს ომამდე ნაწილობრივ ან სრულად აკონტროლებდა საქართველოს ხელისუფლება. თვით ცხინვალის რეგიონში - 100-ზე მეტ სოფელზე, ასევე კოდორის ხეობაზე.

რუსეთის სამხედრო ბაზების საქართველოდან გაყვანა 1990-იანი წლების ბოლოდან დიდი ძალისხმევის შედეგად მოხდა. აგვისტოს ომის შემდეგ რუსული ბაზები კვლავ განთავსდა ქვეყნის ტერიტორიაზე, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში. ამან კარდინალურად შეცვალა ქვეყნის უსაფრთხოების გარემო, რასაც ყოველდღიურად ვაწყდებით. მომდევნო წლებში სწორედ რუსეთის სამხედრო ბაზები იქცა ოკუპაციის მთავარ ღერძად.

საქართველოს ნარმომადგენელთა უუნარობის თუ სხვა მიზეზთა გამო, ომის შემდეგ საერთაშორისო დონეზე მიღებულ დოკუმენტებში ჩვენი

ქვეყნისათვის დამაზიანებელი შეფასებებიც გაკეთდა. საქართველოში განხორციელებული სამხედრო ინტერვენციისათვის მოსკოვს დიდი საფასური არ გადაუხდია. დასავლეთის ქვეყნები და საერთაშორისო ორგანიზაციები, მათ შორის ევროკავშირი და ნატო, მალევე დაუბრუნდნენ რუსეთთან ურთიერთობის ჩვეულ რეჟიმს. მოსკოვის წინააღმდეგ რაიმე სანქციის დაწესება არც ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებას მოუთხოვია და არც დასავლეთს უცდია. ზოგადად, სანქციების საკითხი ნაციონალურ მოძრაობას მხოლოდ 2012 წლის, ანუ ოპოზიციაში გადასვლის შემდეგ მოაგონდა.

ომის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებამ წინა წლებში რუსულ კომპანიებზე გაასხვისა საქართველოს მრავალი სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტი, მათ შორის 15 (!) ელექტროსადგური. რუსულმა კომპანიებმა შეიძინეს მნიშვნელოვანი აქტივები ნავთობისა და გაზის მრეწველობის, მინერალური რესურსების, სამრეწველო და სამედიცინო სექტორებში. ანუ, ქვეყნის ეკონომიკის დიდი ნაწილი რეალურად რუსული კაპიტალის კონტროლის ქვეშ აღმოჩნდა.

თუ რატომ და რისთვის გაკეთდა ეს და ვის მიზნებს ემსახურებოდა, ამ კითხვებზე პასუხები დღემდე არ მოგვისმენია.

დღეის გადასახედიდან ომის უმძიმეს შედეგად მისი სამართლებრივი ასპექტები იქცა. რუსეთის გადაწყვეტილებამ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარების თაობაზე ფაქტობრივად მოშალა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა. ეს ვითარება თანამედროვე საქართველოს უმძიმეს გამოწვევად იქცა.

თუკი რეალური ფაქტებით ვიმსჯელებთ, 2004-2012 წლებში რუსეთმა საქართველოში მიაღწია იმაზე გაცილებით მეტს, ვიდრე მანამდე იოცნებებდა. ამიტომ, უაღრესად გასაკვირი და სამწუხაროა, რომ ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებას არათუ ბოდიშის მოხდა, ნუხილიც კი არ გამოუხატავს ქვეყნის უახლეს ისტორიაში ერთ-ერთი უდიდესი ტრაგედიისათვის და არც დღემდე უღიარებია თუნდაც მცირე შეცდომა თავისი პოლიტიკისა. საქართველოს ტერიტორიული ერთიანობა დე-ფაქტო მოიშალა. ისტორიულ ჭრილში ეს არის ნაცმოძრაობის 9-წლიანი მმართველობის მთავარი შედეგი, ეს პოლიტიკური ძალა კი ჯოუტად ყველაფრის „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაზე გადაბრალებას ცდილობს და ამტკიცებს, რომ მისი ქმედება სამაგალითოდ სწორი იყო და არის.

2012 წლის შემდეგ საქართველოს ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება შეემცირებინა რუსეთთან სამხედრო კონფლიქტის განახლების საფრთხე, რაც მთავარი გამოწვევა იყო ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის. რუსეთთან მეტად სახიფათო დაძაბულობის შემცირება აუცილებელი იყო ქვეყნის შიდა პოლიტიკური ვითარების დასაბალანსებლად, ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე რეალური შედეგების მისაღწევად, უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად და საერთაშორისო ეკონომიკური პროექტების განსახორციელებლად.

2011 წელს საქართველომ მხარი დაუჭირა რუსეთის განევრიანებას მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში. ეს ავალდებულებდა მოსკოვს მოეხსნა

საქართველოს მიმართ 2006 წელს შემოღებული სავაჭრო ემბარგო და კარი გაეხსნა რუსეთში ქართული ექსპორტისათვის.

ამ მიზნის მისაღწევად 2012 წლიდან ამოქმედდა ქართულ-რუსული არაფორმალური დიალოგის ე.წ. პრაღის ფორმატი, რომლის დღის წესრიგი ითვალისწინებს ორ ქვეყანას შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების აღდგენასა და პრაქტიკული პრობლემების მოგვარებას. 2013 წლიდან ეტაპობრივად განახლდა ქართული ექსპორტი რუსულ ბაზარზე, რაც მომდევნონლებში მზარდი დინამიკით განვითარდა.

რუსეთიდან ტურიზმის ზრდამ იმპულსი მისცა ამ სექტორის სწრაფ განვითარებას და, ზოგადად, ქვეყნის ეკონომიკურ პროგრესს. ამგვარად, ხელისუფლების პრაგმატულმა მიღომამ რეალური შედეგები გამოიღო. ამ კურსს მტკიცედ უჭერენ მხარს ჩვენი დასავლელი პარტნიორები.

დღეისათვის ცეკველის შეწყვეტის შესახებ 2008 წლის შეთანხმების რეალიზაციის მთავარ მექანიზმად კვლავ რჩება უენევის საერთაშორისო მოლაპარაკები, რომლებიც ინიცირებულ იქნა 2009 წელს. სწორედ ამ ფორმატის ფარგლებში ცდილობს ქართული მხარე, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დასავლელი პარტნიორების მხარდაჭერით, ოკუპირებულ რეგიონებთან დაკავშირებული უსაფრთხოებისა და ჰუმანიტარული პრობლემების მოგვარებას.

სამწუხარო რეალობაა, რომ ამ თვალსაზრისით ხელშესახები პროგრესის მიღწევა დღემდე ვერ ხერხდება. აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში მცხოვრები ქართული მოსახლეობის უფლებები სისტემურად და უხეშად ირდვევა, გრძელდება ე.წ. ბორდერიზაციის პროცესი, ადამიანების გატაცება, ოკუპირებული ტერიტორიების მილიტარიზაცია.

ამ ვითარებაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის (EUMM) საქმიანობას, რომელიც უსაფრთხოების ერთადერთი საერთაშორისო მექანიზმია კონფლიქტურ რეგიონებთან მიმართებაში.

ახლა მთავარი კითხვაა, არის თუ არა გამოსავალი ჩიხიდან ქართულ-რუსულ ურთიერთობებში და როგორია ზოგადად მათი პერსპექტივა.

ბევრია დამოკიდებული იმაზე, თუ როგორი იქნება მსოფლიო კორონავირუსის პანდემიის დასრულების შემდეგ, რამდენად ეფექტური იქნება ჩვენი დასავლელი პარტნიორების პოლიტიკა რუსეთის მიმართ, ასევე მათ მიერ საქართველოს მხარდაჭერა.

პანდემიამ სრულიად მოულოდნელი და დიდი გამოცდის წინაშე დააყენა საერთაშორისო ორგანიზაციები და ზოგადად საერთაშორისო ურთიერთობების სისტემა. ნაწილობრივ ეს იმით აიხსნება, რომ პანდემიის საწყის ეტაპზე მსოფლიოს წამყვანმა ქვეყნებმა მეზობლებთან და პარტნიორებთან შეუთანხმებლად დაიწყეს ზომების მიღება. წელს, სექტემბრის ბოლოს, პირველად ისტორიაში გაეროს ტრადიციული გენერალური ასამბლეა ონლაინ რეჟიმში ჩატარდა.

ლიბერალური გლობალიზაციის პირობებში შეიქმნა განცდა, რომ ცალკეული ქვეყნების მიერ საკუთარი სუვერენიტეტის ნაწილობრივი შეზ-

დუდვა საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტეგრაციული პროექტების სასარგებლოდ, თანამედროვეობის წამყვანი და ბუნებრივი პროცესი იყო. ეს განცდა განსაკუთრებით ევროკავშირისათვის იყო დამახასიათებელი. პან-დემიამ თითქოს ისტორიაში უკან, გადაგვისროლა და წინა პლანზე კვლავ სახელმწიფოთა სუვერენული ფუნქციები წამოსწინა.

მიუხედავად იმისა, რომ ბრიუსელში და ევროკავშირის ქვეყნების დედაქალაქებში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა პანდემიის ეკონომიკური და ფინანსური შედეგების დასაძლევად, ახლო მომავალში გაცილებით მეტი იქნება გასაკეთებელი ევროპული ერთიანობისა და საერთო სულისკვეთების აღსადგენად და გასაძლიერებლად.

ამ თვალსაზრისით წამყვანი როლი გერმანიას ენიჭება, რომელიც ივნისი-დან თავმჯდომარეობს გაეროს უშიშროების საბჭოს, ხოლო ივლისიდან - ევროკავშირის საბჭოს. გერმანიის მთავარი პარტნიორი ევროკავშირის გაჯან-საღების საქმეში საფრანგეთია. მაგრამ მათ მთელი ევროპა უნდა ამოუდგეს მხარში, რადგან ამ მასშტაბის გამოწვევის წინაშე ევროპა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ არ ყოფილა. საქართველო, როგორც ევროკავშირის “აღმოსავ-ლეთის პარტნიორობის” ინიციატივის აქტიური და სამაგალითო მონაწილე ქვეყანა უაღრესად დაინტერესებულია ევროკავშირის წარმატებაში, რამეთუ თავის მომავალსა და ადგილს სწორედ ამ კავშირში ხედავს.

Covid-19 მართლაც პირველი საერთაშორისო კრიზისია ათეული წლების განმავლობაში, რომლის წინააღმდეგ ბრძოლაში აშშ-ის, როგორც ლიდერის როლი ჯერ არ გამოიკვეთა. ეს, ალბათ, იმითაც აიხსნება, რომ პანდემიამ თვით აშშ-ში ფრიად მასშტაბური ხასიათი მიიღო და მისი გაკონტროლება ჯერ ვერ ხერხდება. ამას დაემატა მასობრივი საპროტესტო გამოსვლები, რომლებიც მოჰყვა პოლიციელის მიერ აფრო-ამერიკელი ჯორჯ ფლო-დის მკვლელობას. ეს ყველაფერი ხდება მეტად დაძაბული საპრეზიდენტო არჩევნების ფონზე. თვით ამერიკელების აღიარებით, ასეთი პოლარიზებული ამერიკული საზოგადოება დიდი ხანია არ ყოფილა.

საქართველოს სტრატეგიული პარტნიორის აშშ-ის შესაძლო დასუსტება დიდი გამოწვევა იქნებოდა მსოფლიოს მასშტაბით დემოკრატიისა და თავი-სუფლებისათვის. აშშ-ის ლიდერობის გარეშე ჩვენი სამყარო გახდება კიდევ უფრო ფრაგმენტირებული, სახიფათო და ეკონომიკურად მოწყვლადი. ასეთ მსოფლიოში პირველ პლანზე გამოვა სხვადასხვა ჯურის ავტოკრატიული რე-ჟიმები, ნაციონალისტური და იზოლაციონისტური იდეოლოგია, რევანშიზმი, ძალის სამართალი და კულტურა.

აშშ-ის, როგორც უძლიერესი დემოკრატიული ინსტიტუტების ქვეყანას, დიდი გამოცდილება აქვს შიდა პოლიტიკური და სოციალური პრობლემების მოგვარებისა. იგი ასეთი კრიზისიდან, როგორც წესი, უფრო გაძლიერებული გამოდის. საქართველოსთვის უაღრესად მნიშვნელოვანია, თუ რამდენად წარმატებით გადალახავს პანდემიას ჩვენი დიდი მეზობელი და სტრატეგიული პარტნიორი - თურქეთი. ამ ქვეყნის დემოკრატიული ინსტიტუტების

შენარჩუნება და გაძლიერება დიდ გავლენას ახდენს რეგიონის ქვეყნებზე, ხოლო თურქეთის კეთილდღეობა - საქართველოს მოსახლეობაზე.

ჩვენთვის ასევე მეტად აქტიულურია თურქეთ-რუსეთის ურთიერთობების დინამიკა, რომელიც ბოლო 10 წლის განმავლობაში ფრიად ფართო ამპლიტუდაში მერყეობდა - ლია კონფრონტაციიდან მჭიდრო თანამშრომლობამდე. ამ ურთიერთობათა ახლო მომავალი ბევრად იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ გამონახავენ საერთო ენას ანკარა და მოსკოვი სირიაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით.

მთიან ყარაბაღთან დაკავშირებით აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის დაძაბულობა, რომელიც განსაკუთრებით ბოლო ხანს გამნვავდა, დიდ საფრთხეს უქმნის რეგიონის სტაბილურობასა და მშვიდობას. კონფლიქტის ესკალაციას უაღრესად უარყოფითი შედეგები შეიძლება მოჰყვეს. საქართველო ღრმად არის დაინტერესებული, რათა ორმა მეგობარმა და მეზობელმა ქვეყანამ გამონახონ საერთო ენა და საერთაშორისო ჩართულობით მოხდეს მრავალწლიანი პრობლემის მშვიდობიანი გზით მოგვარება. ამ კონტექსტში გამოთქვამთ იმედს, რომ მიმდინარე წლის 10 ნოემბერს აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის მიღწეული შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე ხელს შეუწყობს კონფლიქტის სრულმასშტაბიანი მოგვარების პროცესს. ფაქტია, რომ აღნიშნული შეთანხმების რეალიზაცია სერიოზულ ახალ ფაქტორებს გააჩენს სამხრეთ კავკასიის რეგიონში, რაც განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს.

ქართული მხარე მრავალი წლის განმავლობაში ზედმინევნით ასრულებდა და ასრულებს თავის საერთაშორისო ვალდებულებებს მეზობელი ქვეყნების, მათ შორის აზერბაიჯანისა და სომხეთის მიმართ. კერძოდ, საქართველოს სატრანზიტო ფუნქცია მნიშვნელოვანი ფაქტორია ორივე ქვეყნის ეკონომიკის ფუნქციონირებისა და განვითარებისათვის. ბუნებრივია, საქართველოს ინტერესშიცაა, რათა ამ ფუნქციამ უფრო ფართო მასშტაბები შეიძინოს.

რაც შეეხება თვით რუსეთს, 2020 წლის პირველ ნახევარში ნავთობზე საერთაშორისო ფასების მკვეთრმა შემცირებამ და პანდემიით გამოწვეულმა სირთულეებმა ორმაგად დააზარალა ენერგორესურსების ექსპორტზე ორიენტირებული რუსეთის ეკონომიკა. მიმდინარე წელს, ექსპერტთა აზრით, იგი 5%-იდან 8%-მდე შემცირდება, რაც სერიოზული გამოწვევაა.

ამ ფონზე სოციალური ფონი რუსეთში მნიშვნელოვნად გართულდა, თუმცა ხელისუფლება არ კარგავს კონტროლს სიტუაციაზე და პოლიტიკური ვითარება ქვეყანაში საკმაოდ სტაბილურია.

რუსეთი, დიდი ალბათობით, შეეცდება მაქსიმალურად შეინარჩუნოს და განამტკიცოს თავისი საგარეო პოლიტიკური დივიდენდები, რაც ბოლო წლებში მოიპოვა. 2020 წლის ივნისში რუსეთში ჩატარებული საყოველთაო კენჭისყრის შედეგად მიღებული საკონსტიტუციო ცვლილებები, სამართლებრივი თვალსაზრისით, გზას უსწინის პრეზიდენტ ვ. პუტინს დიდხანს შეინარჩუნოს საპრეზიდენტო პოსტი. ეს მას აძლევს საშუალებას გააგრძელოს თავისი სტრატეგიული კურსი.

ამ კურსის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა კვლავ იქნება რუსეთის სამეზობლოში დასავლეთის გავლენის შემცირება და მოსკოვისათვის ხელ-საყრელი გარემოცვის შექმნა. რუსეთი მაქსიმალურად შეეცდება არ დაუშვას ამ რეგიონის ქვეყნების განევრიანება წატოში. ეს კრემლისთვის კვლავ “წითელი ხაზი” იქნება.

მოსკოვი ასევე შეეცდება ე.წ. ევრაზიული ინტეგრაციის პროცესში უკრაინის, მოლდოვის, სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების ჩართვას.

მოსკოვში მიიჩნევენ, რომ დასავლეთის სანქციები და მკაცრი პოლიტიკა რუსეთის მიმართ გრძელვადიანი პოლიტიკაა. ამიტომ, კრემლი უმთავრესად შეეცდება თავის სასარგებლოდ გამოიყენოს დასავლეთის შიდა პრობლემები. ამასთანავე, რუსეთი არ იტყვის უარს დასავლეთთან, კერძოდ ევროპის ცალკეულ ქვეყნებთან ურთიერთობათა მეტნაკლებად ნორმალიზებაზე, ეკონომიკური და ენერგეტიკული პროექტების განხორციელებაზე.

რუსეთისათვის დიდ პოლიტიკურ გამოწვევად იქცა ვითარება ბელარუსში. ამ მშვიდ და სტაბილურ ქვეყანაში საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ მოვლენათა განვითარებამ სერიოზული გამოწვევის წინაშე დააყენა მოსკოვი. რუსეთის უმაღლესმა ხელისუფალმა კატეგორიულად განაცხადა, რომ რევოლუციური გზით მოვლენათა განვითარება ბელარუსში მისთვის მიუღებელია. დასავლეთის ნეგატიური დამოკიდებულება ბელარუსში ჩატარებული არჩევნების მიმართ სერიოზულ კითხვებს აჩენს ამ ქვეყანაში უახლოეს მომავალში მოვლენათა განვითარების თაობაზე და თუ როგორი იქნება კრემლის პოლიტიკა ამ კონტექსტში.

მიუხედავად ყველა სირთულისა, საქართველომ უნდა გააგრძელოს პრაგმატული პოლიტიკა, რომელსაც ალტერნატივა არა აქვს. ჩვენ ვერ შევეგუებით ქვეყნის ტერიტორიების ოკუპაციას, ხოლო ევროატლანტიკური კურსი - სტრატეგიული არჩევანია. რუსეთთან რთული დიალოგის ალტერნატივა შეიძლება კვლავ ტრაგიკული ძალადობა იყოს, რამაც შეიძლება საპედისწერო შედეგები გამოიღოს ჩვენი ქვეყნისათვის.

დიალოგი რუსეთთან შესაძლებელია ნებისმიერ დონეზე, თუკი ამის შედეგად გადაიდგმება პოზიტიური ნაბიჯები ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებით.

ამასთანავე მუდმივად მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ რუსეთი გააგრძელებს მცდელობებს სხვადასხვა ბერკეტებითა და ფორმით მიგვაჩვიოს ე.წ. ახალ რეალობას, ანუ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის „დამოუკიდებლობას“. ამ რთულ ვითარებაში კრიტიკულად მნიშვნელოვანია ჩვენი პროაქტიული საგარეო პოლიტიკა და დასავლელი პარტნიორების მხარდაჭერა.

სამწუხაროდ, ქვეყანაში არსებული დესტრუქციული ძალები, რომლებიც ხელისუფლებაში ყოფნისას რუსეთს თან ლანძღვდნენ და თან საქმით ყველაფერს უთმობდნენ, ახლა გამუდმებით ცდილობები მოახვიონ ხელისუფლებას რუსეთთან მიმართებაში რადიკალური დღის წესრიგი. დამოუკიდე-

ბლობის 30 წლის მანძილზე რადიკალურა არაერთხელ გადაჩეხეს ქვეყანა. მორიგი შეცდომა ქვეყანას შესაძლოა დამოუკიდებლობის ფასად დაუჯდეს.

ეპიდემიოლოგიური სიტუაციის გაუმჯობესების შემდეგ აღბათ შესაძლებელი იქნება რუსეთთან საუბრის დაწყება საავიაციო მიმოსვლის აღდგენასა და ტურიზმის განახლებაზე. გარდა მნიშვნელოვანი ეკონომიკური ფაქტორისა, ტურიზმი საქართველოს “რბილი ძალაა”, იგი ემსახურება ჩვენი ქვეყნის მეგობრებისა და თაყვანისმცემლების მომრავლებას.

ბოლო წლებში საკმაოდ დინამიურად ხდებოდა ქვეყნის ექსპორტის დივერსიფიკაცია, იზრდებოდა ექსპორტი, ხოლო იმპორტი მცირდებოდა, რაც დადგებითად აისახებოდა სავაჭრო ბალანსზე. ექსპორტის დივერსიფიკირებას ხელს უწყობს თავისუფალი სავაჭრო რეჟიმის წარმატებით ამოქმედება ეპროკავშირთან, ჩვენს №1 სავაჭრო პარტნიორთან. ასეთივე სავაჭრო რეჟიმი მოქმედებს ჩინეთთან, რომელიც წამყვან პოზიციებს იკავებს ჩვენს საგარეო ვაჭრობაში. აქტიურად მიმდინარეობს მოლაპარაკებები აშშ-თან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების გაფორმებასთან დაკავშირებით.

ამასთანავე, ქართველი მეწარმეები დაინტერესებულნი არიან შეინარჩუნონ და გააფართოვონ თავისი საქმიანობა რუსულ ბაზარზე. რუსეთი ვალდებულია დაიცვას საერთაშორისო სტანდარტები სავაჭრო ურთიერთობების განხორციელებისას, თუმცა გამოცდილება გვიჩვენებს, თუ რაოდენ პოლიტიზირებულია ამ ქვეყნის ბაზარი. ქართული სახელმწიფოს ვალდებულებაა გვერდზე ამოუდგეს ქართულ ბიზნესს და მაქსიმალურად დაეხმაროს მას რუსეთთან ვაჭრობისას სხვადასხვა პრობლემების მოგვარებაში.

რუსეთი რიგი ჩვენი საექსპორტო პროდუქციის გასაღების ბუნებრივი და ტრადიციული ბაზარია. ასეთია, თუნდაც, ჩვენი ლვინონ და ალკოჰოლური სასმელები. ზოგადად, 2012 წლიდან საქართველოში ლვინის წარმოება თითქმის 5-ჯერ გაიზარდა, ამას რუსეთის ბაზარზე ჩვენი ლვინის ექსპორტის ზრდამაც შეუწყო ხელი.

2013 წლიდან რუსულ ბაზარზე დაახლოებით 2,3 მილიარდი დოლარის ლირებულების ქართული პროდუქცია გავიდა. ეს ჩვენთვის ძალიან დიდი შემოსავალია.

რუსეთიდან საქართველოში შემოდის საკმაოდ დიდი რაოდენობის ისეთი მნიშვნელოვანი პროდუქცია, როგორიცაა ნავთობი და ნავთობპროდუქტები, ხორბალი და სხვ. კონკურენტული ფასის გამო მათი სხვა ქვეყნების ანალოგიური პროდუქციით ჩანაცვლება ეტაპობრივად თუ მოხდება.

საქართველოს სატრანზიტო ფუნქციის გაძლიერების თვალსაზრისით ფრიად აქტიუალურია ე.ნ. სამხრეთ-ჩრდილოეთის კორიდორის მწყობრი ფუნქციონირება. ამ კორიდორით აქტიურად სარგებლობენ ჩვენი მეზობელი ქვეყნებიც. ახლო მომავალში ქვეშეთი-კობის მიმართულებით ახალი ტრასის ამოქმედება ხელს შეუწყობს მრავალი წლის განმავლობაში საქართველო-რუსეთის საზღვარზე (ყაზბეგი-ლარსი) არსებული სატრანზიტო პრობლემების მოგვარებას, მათ შორის დიდი საგზაო მოძრაობის განტვირთვას.

ქართულ-რუსული ურთიერთობების ჩიხიდან გამოყვანის რეალური რესურსი აქვს ისეთ უნიკალურ ინსტრუმენტს, როგორიცაა ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებები. პრიორიტეტული ამოცანაა ამ პროცესში პროგრესის მიღწევა. ამ თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი იქნებოდა ევროკავშირის სადამკვირვებლო მისის (EUMM) მანდატის სრული რეალიზაცია, მისი ფუნქციის ამოქმედება აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში.

საქართველო ცალმხრივად და პირნათლად ასრულებს საერთაშორისო ვალდებულებას ძალის გამოყენებლობის შესახებ, როგორც იურიდიული თვალსაზრისით, ასევე პრაქტიკული საქმეებით. საქართველო და საერთაშორისო თანამეგობრობა ელიან რუსეთის მხრიდან ანალოგიური ნაბიჯის გადადგმას. ეს მიზანიც ჟენევის მოლაპარაკების პროცესში უნდა იქნას მიღწეული.

ჟენევის დღის წერიგის უმნიშვნელოვანესი საკითხია აფხაზეთში დევნილთა დაბრუნების ხელშეწყობა. აუცილებლად უნდა მოინახოს გზები აფხაზებთან და ოსებთან პირდაპირი კონტაქტების გასაფართოვებლად. მათთან პირდაპირი დიალოგის ერთ-ერთი თემა შეიძლება იყოს საქართველოს ხელისუფლების ინიციატივა „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“. ამ ინიციატივის მიზანია საოცუპაციო ხაზის გასწვრივ ჰუმანიტარული სიტუაციის გაუმჯობესება, იქ მცხოვრებ ადამიანებს შორის საქმიანი კავშირების ხელშეწყობა.

თუკი სიტუაციას რეალისტურად გავაანალიზებთ, ახლო მომავალში ქართულ-რუსულ ურთიერთობებში დიდი სასიკეთო პროგრესის პერსპექტივას ვერ დავინახავთ. მიუხედავად ამისა, აუცილებელია თავიდან ავიცილოთ ამ ურთიერთობების შემდგომი დეგრადაცია და სახიფათო ესკალაცია. ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, უნდა ვეძიოთ რუსეთთან ერთობლივი იტერესები და შეხების წერტილები, რათა პერსპექტივაში შევძლოთ არსებული კრიზისული ვითარების დაძლევა და ჩიხიდან გამოსვლა.

---

**ZURAB ABASHIDZE****GEORGIA-RUSSIA: IS THERE A WAY OUT OF A DEADLOCK?****Abstract**

Since the August 2008 war Georgian-Russian relations have been in a deadlock. The Russian Federation recognized the independence of Abkhazia and the so-called South Ossetia, which is a gross violation of international law, sovereignty and territorial integrity of Georgia. In addition to the political and military losses, many strategic assets ended up in the hands of Russian companies due to the policy of the United National Movement. An important part of the country's economy has in fact fell under the control of Russian capital.

Based on actual facts, it is clear that in 2004-2012 Russia have considerably enhanced its positions in Georgia. From a historical perspective, the de facto violation of the territorial integrity of our country is the main outcome of the 9-year rule of the UNM.

After the new government took office in 2012, it was decided to minimize the threat of a new military conflict with the Russian Federation. This step was essential to stabilize the internal political situation, obtain tangible results on the path of Euro-Atlantic integration and attract foreign investment. Establishment of the Georgian-Russian informal dialogue (the so-called Prague format) was one of the main factors of the new policy. Its agenda includes issues of trade and economic relations, transport links and certain humanitarian topics concerning the two countries.

The unique tool of the Geneva International Negotiations may be instrumental in breaking the deadlock in Georgian-Russian relations. Main priority is to make progress in this particular format. From this perspective an important step could be the full implementation of the EU Monitoring Mission (EUMM) mandate in Georgia – it's engagement in Abkhazia and the Tskhinvali Region.

A lot depends on how the world will change after the pandemic, and what will be the policy of our Western partners regarding Russia. In current situation, it is very difficult to consider the prospects of favorable changes in relations between Russia and Georgia. Despite all the difficulties, our country needs to continue a pragmatic policy, which has no real alternative.

**Keywords:** Georgia, Russia, United National Movement, Abkhazia, Tskhinvali Region

---

ЗУРАБ АБАШИДЗЕ

## ГРУЗИЯ-РОССИЯ: ЕСТЬ ЛИ ВЫХОД ИЗ ТУПИКА?

### Резюме

С августовской войны 2008 года грузино-российские отношения находятся в тупике. Российская Федерация признала независимость Абхазии и т.н. Южной Осетии, что является грубым нарушением международного права, суверенитета и территориальной целостности Грузии. Вдобавок к политическим и военным потерям, благодаря правительству Единого национального движения в руках российских компаний оказалось множество объектов стратегического значения, в том числе 15 гидроэлектростанций. Огромная часть экономики страны фактически перешла под контроль российского капитала.

Основываясь на реальных фактах, очевидно, что в 2004-2012 годах Россия достигла в Грузии намного большего, чем могла желать. В исторической перспективе, главным показателем 9-летнего правления ЕНД является де-факто нарушение территориальной целостности нашей страны.

С приходом нового правительства в 2012 году было принято решение о минимизации угрозы военного конфликта с РФ. Этот шаг был необходим для стабилизации внутриполитической ситуации, получения осязаемых результатов на пути евроатлантической интеграции и привлечения иностранных инвестиций. Одним из важных факторов новой политики было создание грузино-российского неформального диалога (т.н. Пражский формат), повестка дня которого включает вопросы торгово-экономических отношений, транспортных связей и определенные гуманитарные темы, касающиеся двух стран.

Способствовать выходу грузино-российских отношений из тупика может уникальный инструмент Женевских международных дискуссий. Приоритетной задачей является достижение прогресса именно в данном формате. С этой точки зрения, важным шагом было бы полное осуществление мандата Миссии наблюдателей ЕС (МНЕС) в Грузии – задействование в Абхазии и Цхинвальском Регионе.

Очень многое зависит от того, насколько изменится мир после пандемии, и какой будет политика наших западных партнеров относительно России. Анализируя сегодняшнюю ситуацию, очень сложно рассмотреть перспективу благоприятных отношений между РФ и Грузией. Вопреки всем затруднениям, нашей стране необходимо продолжать прагматичную политику, у которой нет реальной альтернативы.

**Ключевые слова:** Грузия; Россия; Абхазия; Цхинвальский Регион; Пражский формат.

## თამარ ჩიკვილაძე

### ეროვნული თვითგამორკვევის შესახებ პატალონიელთა მაგალითზე

თვითგამორკვევის იდეის წარმოშობას ერში ხშირ შემთხვევაში იწვევს სეპარატისტული განწყობა, ნაციონალიზმი, თუმცა არის ისეთი მაგალითებიც, როცა ერთ თვითგამორკვევის უფლების განხორციელების მოთხოვნა პატრიოტული სულისკვეთების საფუძველზე უჩნდება და როცა აცნობიერებს, რომ ილახება მისთვის საერთაშორისო სამართლით მინიჭებული ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები (რასაც მოიაზრებს თავად თვითგამორკვევა). ხელისშემშლელი გარემოებები თვითგამორკვევის განხორციელებისთვის კი, შეიძლება გახდეს სახელმწიფოს მიერ თავის ტერიტორიაზე მცხოვრები, თვითგამორკვევის უფლების მქონე ხალხისთვის ძალადობრივი და მიზანმიმართული შეზღუდვების დაწესება.

აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო სამართალი მეტად ბუნდოვანია თვითგამორკვევის საკითხთან მიმართებით, ზოგჯერ რჩება შთაბეჭდილება, რომ 1948 წელს გაეროს წესდებით საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტურ პრინციპად აღიარებული თვითგამორკვევის უფლება, უბრალოდ ფორმალური ხასიათისაა და არა პრაქტიკული დანიშნულების, ამის მაგალითია სწორედ ის, რომ ვიცით, არსებობს უფლება (თვითგამორკვევის უფლება), მაგრამ საერთაშორისო სამართლის ოფიციალური დოკუმენტები წარმოდგენა-საც კი არ გვიქმნის ზუსტად ვინ შეიძლება მივიჩნიოთ ამ უფლების მატარებელ სუბიექტად. „ყველა ხალხი“ ამბობს წესდება, მაგრამ ვინ მოიაზრება ამ ტერმინში? მსოფლიოში არაერთი დაძაბული პროცესი და სისხლისმღვრელი დაპირისპირება მიმდინარეობს სწორედ თვითგამორკვევის უფლების ბუნდოვანი განმარტებიდან გამომდინარე.

თვითგამორკვევის სუბიექტის ცნების არაზუსტი განმარტება ერთ-ერთი მთავარი საფუძველია იმისა, რაც წარმოშობს მსოფლიოში იმ პრობლემებს, სადაც ძნელია ზღვარის დაცვა სეპარატისტულ მოძრაობასა და პატრიოტულ მისწრაფებას შორის. სამწუხაროდ, სეპარატისტების სიმრავლე უკვე ლოგიკურად „ხალხად“ მისაჩნევ ჯგუფებსაც საერთო სივრცეში მოაქცევს ხოლმე და პირიქით. ალბათ, ნებისმიერ მეამბოხეს, რომ ჰკითხოს ადამიანმა, ყველა ჩამოაყალიბებს აზრს, იმის თაობაზე, რომ „ხალხია“ და აქვს კიდეც შესაბამისი უფლებები.

ვიცით, რომ თვითგამორკვევა კოლექტიური უფლებაა და მისი გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ ადამიანთა ჯგუფებისთვის, მაგრამ ვინ არიან ეს

ჯგუფები? თუ დავეყრდნობით მსოფლიოში განვითარებულ ფაქტებს ერთად-ერთი მკაფიო პრეცედენტი თვითგამორკვევის ლეგიტიმური განხორციელებისა, გამოყოფის გზით, კოლონიალიზმის დასასრულია, რაც განხორციელდა გაეროს წესდებაში (1948 წ.) ერთი თვითგამორკვევის პრინციპის აღიარებით, შესაბამისად, ხომ არ შევვიძლია ვიფიქროთ, რომ მხოლოდ კოლონიური ხალხი მიიჩნეოდა თვითგამორკვევის უფლების სუბიექტად და მის მერე უბრალოდ მკვდარ ნორმად არის დატოვებული საერთაშორისო სამართალში? თუ ასეა, მაშინ, 1966 წლის ორი პატი: „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“, აგრეთვე „სოციალური, ეკონომიკური და კულტურული უფლებების შესახებ“ რატომ განსაზღვრავს, რომ არა მხოლოდ კოლონიურ ხალხს, არამედ „ყველა ხალხს აქვს თვითგამორკვევის უფლება...“.

სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთი განსაზღვრებაა ერთან (ხალხთან) დაკავშირებით, საინტერესო სტალინის მოსაზრება, ის ერად განსასაზღვრად აყალიბებდა კონკრეტულ მახასიათებლებს, აღსანიშნავია ვებერის შესაბამისი განმარტებაც და სხვ. იუნესკოს მიერ, საერთაშორისო სამართლაში ხალხის უფლებებისა და მათ შორის, თვითგამორკვევის უფლების განმარტებისათვის, „ხალხი“ განსაზღვრულია შემდეგი მახასიათებლებით: „ხალხი“ არის ცალკეული ადამიანებისაგან ჩამოყალიბებული ჯგუფი, რომლებსაც გააჩნიათ შემდეგი სახის საერთო ნიშნები: 1 - ისტორიული ტრადიცია; 2 - რასობრივი ან ეთნიკური იდენტურობა; 3 - კულტურული ერთგვაროვნება; 4 - ლინგვისტური ერთიანობა; 5 - რელიგიური ან იდეოლოგიური მსგავსება; 6 - ტერიტორიული კავშირი; 7 - ერთნაირი ეკონომიკური ცხოვრების დონე“ - იუნესკოს ეს უკანასკნელი განმარტება კომპრომისულია, ყველაზე ხშირად შემოთავაზებულ განმარტებათა შორის, თუმცა, სამწუხაროდ, საერთაშორისო სამართლის სავალდებულოდ შესასრულებელ დოკუმენტებში იგი ასახული არ არის.

გარდა თვითგამორკვევის უფლების სუბიექტის განუსაზღვრელობისა, საერთაშორისო სამართალი მოიცავს თვითგამორკვევის უფლებასთან დაკავშირებულ სხვა ხარვეზებსაც, მაგალითად, თუ ხალხთა თვითგამორკვევა პოლიტიკურ უფლებებსაც წარმოშობს, რა გასაკვირია, რომ ქვეყანაში არაერთი დაპირისპირება არსებობს გამოყოფისა და სახელმწიფოების დაშლის მოთხოვნით? თუ ეს პოლიტიკური დამოუკიდებლობა მხოლოდ ისეთ პოლიტიკურ უფლებებს გულისხმობს, რომელიც არ მოიცავს დამოუკიდებელი ტერიტორიის ქონას მაშინ, რატომ არ არის დაკონკრეტებული, რომ ხალხს მხოლოდ ავტონომიის ფარგლებში შეუძლია პოლიტიკური უფლებების განხორციელება? მართალია საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტებით ნათქვამია, რომ თვითგამორკვევა არანაირად არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა, მაგრამ ფაქტია, რომ სამყაროს დღესდღეობით გააჩნია კოსოვოს მაგალითი და მსოფლიოს არაერთმა ქვეყანამ სწორედაც მხარი დაუჭირა კოსოვოს დამოუკიდებლობას [1: 4].

კოსოვოს საკითხზე მსჯელობისას გაეროს მიერ გაკეთებული განმარტება - „კოსოვოს შემთხვევა, ადამიანის უფლებათა მასობრივი და სასტიკი ხელყოფის საფუძველზე არის უნიკალური და მას არ შეიძლება მიეცეს

პრეცედენტის „ხასიათი“, აუცილებლად გასათვალისწინებულია მსოფლიო თანამეგობრობის მიერ, რადგან თვითგამორკვევაზე დაყრდნობით ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის რაც უფრო მეტი პრეცედენტი იქნება დაშვებული მით უფრო გამძაფრდება შესაბამისი დაპირისპირებები, რამაც მსოფლიო შეიძლება სისხლისმღვრელ ომებამდე და ანარქიამდე მიიყვანოს.

საინტერესოა, განსხვავებით კოსოვოსაგან, კატალონიელთა ამბოხი რატომ არ იქნა შეწყნარებული მსოფლიო თანამეგობრობის მიერ? სტატიაში სწორედ ამ საკითხზეა მსჯელობა და ყურადღება გამახვილებულია იმ მთავრ გარემოებზე, რამაც კატალონიელთა მხურვალე სურვილი, მიეღწიათ დამოუკიდებლობისთვის უშედეგო გახადა.

კატალონია შეიქმნა საგვარეულო ქორწინების შედეგად, კერძოდ, არა-გონის მეფე ფერდინანდისა და კასტილის დედოფალი იზაბელას ქორწინების შედეგად, ქ. ბარსელონა კი, კატალონიელების დაარსებული არ გახლავთ, ის ჰანიბალის მამამ, კართაგენელმა ჰამილკარ ბარკამ ძევლი რომის დროს დაარსა, სწორედ ამის გამო სახლობდნენ იქ არაბები, ფრანგები, გოთები და სხვ.

თითქმის 1000 წლოვანი ისტორიით კატალონია ევროპის უძველესი მხარეა, ის ესპანეთის შემადგენლობაში მე-15 საუკუნიდანაა, ამჟამად, რეგიონის მოსახლეობა 7,5 მლნ-ია, რითაც კატალონია ფაქტობრივად, შვეიცარიას უტოლდება. კატალონიელებს საკუთარი ენა აქვთ და სკოლებში მოსწავლეები მშობლიურ ენაზე იღებენ განათლებას. კატალონიის დედაქალაქი ულამაზესი ბარსელონაა, ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ტურისტული მხარე ევროპაში, სადაც ესპანეთის მოსახლეობის 16 % ცხოვრობს.

როდესაც, ჯერ კიდევ ბარსელონას საგრაფოდ იწოდებოდა, ესპანეთის სამოქალაქო ომამდე კატალონია გაფართოებული ავტონომიით სარგებლობდა, რაც გენერალი ფრანკოს რეჟიმის დროს ჩამოართვეს. დიქტატორ ფრანკოს ბრძანებით, ყველაფერი კატალონიური იდევნებოდა, აკრძალული იყო კატალონიური დროშის გამოყენება, კატალონიურ ენაზე სკოლაში სწავლება და რელიგიური მსახურების ჩატარება. მიუხედავად ასეთი რეპრესიებისა, კატალონიელმა ხალხმა მოახერხა თვითმყოფადი კულტურის, ტრადიციებისა და ენის შენარჩუნება. ფრანკოს სიკედილის შემდეგ კი, კატალონიაში სეპარატიზმის ახალი ტალღა დაიწყო და 1978 წლის კონსტიტუციის მიხედვით, რეგიონმა კვლავ მოიპოვა ავტონომია [2: 114].

კატალონიელების სეპარატისტული განწყობა, რომელიც მე-20 საუკუნის დასაწყისიდან ნელ-ნელა მწიფდებოდა, განსაკუთრებით 2008 წლის ეკონომიკურმა კრიზისმა გაამწვავა, როცა ოფიციალურმა ესპანეთმა, ფინანსური პრობლემების გამო, კატალონიას ბიუჯეტის ძალიან დიდი ნაწილი შეუკვეცა. ამის შემდეგ, 2010 წელს, კატალონიამ, ესპანეთის კიდევ ერთი რეგიონის ბასკეთის მსგავსად, ცენტრალური ხელისუფლებისგან მოითხოვა დამტკიცებულიყო დებულება, რომელიც მას თავისი ავტონომიური გადასახადების სისტემის შექმნის საშუალებას მისცემდა, რაზეც ესპანეთმა უარი განაცხადა [3: 26].

კიდევ ერთი უთანხმოება კატალონიასა და ესპანეთის ცენტრალურ ხელისუფლებას შორის, 2010 წელს ბარსელონას მიერ კორიდას აკრძალვას მოჰყვა. კატალონიის პარლამენტმა აღნიშნულ საკითხს მხარი დაუჭირა, ინიცირება კი ცხოველების უფლებების დამცველებმა მოახდინეს, რომლებმაც კორიდას აკრძალვის მოთხოვნით 180 000 ხელმოწერა შეაგროვეს. ესპანეთის ხელისუფლება ამ ფაქტმა ძალიან გააღიზიანა, კონგრესმა განაცხადა, რომ ხარების ბრძოლა მათი „კულტურული მემკვიდრეობის“ ნაწილია, ამიტომ საქმე საკონსტიტუციო სასამართლომდე მივიდა, რომელმაც 2016 წელს კატალონიის გადაწყვეტილება კორიდას აკრძალვის თაობაზე გააუქმა.

2017 წლის ოქტომბერი საკმაოდ რთული აღმოჩნდა ესპანეთისთვის, თუმცა კატალონიელების სწრაფვა დამოუკიდებლობისკენ ბევრად ადრე დაიწყო და შეიძლება ითქვას, გადამწყვეტ ფაზაში მხოლოდ მომავალში შევიდა. პირველ ოქტომბერს კატალონიაში დამოუკიდებლობის რეფერენდუმი ჩატარდა, რასაც წინ უძღვოდა ხალხის მასობრივი დემონსტრაციები. სეპარატისტული ქმედება სრულიად არაკანონიერად ცნო ესპანეთის ცენტრალურმა ხელისუფლებამ და ამიტომაც, ხმის მიცემის პროცესი პოლიციასთან შეჯახებების ფონზე მიმდინარეობდა.

კატალონიის ხელისუფლების ინფორმაციით, რეგიონის დამოუკიდებლობას ხმა არჩევნებზე მისული მოსახლეობის 90 %-მა მისცა. 27 ოქტომბერს კატალონიამ გამოაცხადა დამოუკიდებლობა, რასაც პასუხად მოჰყვა ესპანეთის მთავრობის გადაწყვეტილება, რომლის შედეგად დაითხოვეს კატალონიის პარლამენტი, მთავრობა, ხოლო აღტერნატიული არჩევნები 21 დეკემბერს დანიშნეს. პარალელურად ესპანეთის სასამართლომ კატალონიის ლიდერის, კარლეს პუჩდემონის და მთავრობის, რამდენიმე წევრის დაპატიმრების ორდერი გასცა ევროკავშირის მასშტაბით, მაგრამ, პუჩდემონი თავად ჩაბარდა ბელგიელ სამართლდამცავებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რომ კატალონია სარებლობს ავტონომიით, ისინი „ხალხად“ ცნობილი არიან (2010 წლამდე ესპანეთი აღიარებდა), კატალონიელებს აქვთ თავიანთი ენა, კულტურა, ჩვეულებები და კანონმდებლობა [4].

კატალონია ესპანეთის რეგიონებს შორის ერთ-ერთი უმდიდრესია, ის ქვეყნის მშპ-ს 19% და ექსპორტის 25%-ს ქმნის. ერთ სულ მოსახლეზე მშპ 27 000 ევროს შეადგენს, კატალონიაში ცხოვრების ხარისხი 18%-ით მაღალია, ვიდრე ესპანეთის დანარჩენ რეგიონებში. კატალონიაზე მოდის ქვეყნის გადასახადების 20% და სწორედ ამიტომ, მის მაცხოვრებლებს მუდმივად აქვთ უკმაყოფილება, იმის თაობაზე, რომ ესპანეთი მათ დოვლათს „იპარავს“, სანაცვლოდ კი, რეგიონს ძალიან მცირდეს ახარჯავს.

აღსანიშნავია, რომ კატალონიელ ხალხთა უფლებების მასობრივი დარღვევები (როგორც იყო მაგ. კოსოვოში) არ ფიქსირდება, მართალია ესპანეთის ხელისუფლებამ 2017 წელს ხელი შეუშალა რეფერენდუმის ჩატარებას, რითაც, ათასობით ადამიანის პოლიტიკური თვითგამორკვევისა და ხმის მიცემის უფლება შეზღუდა, თუმცა, როგორც ზემოთ განვიხილეთ ეს შეიძლე-

ბა იმითაც ყოფილიყო განპირობებული, რომ ესპანეთი საკანონმდებლო მასალაზე დაყრდნობით მიიჩნევდა, რომ კატალონიელთა მიერ რეფერენდუმის იდეა, უკვე იყო შეცდომა და სახელმწიფოებრიობისკენ მიმართული უკანონო ქმედება [5: 48].

საერთაშორისო ურთიერთობებში ხალხს, იმისათვის, რომ გაუჩნდეს პრეტენზია გამოყოფაზე უნდა ჰქონდეს მნიშვნელოვანი არგუმენტები, იმის შესახებ, რომ მუდმივად მიმდინარეობს მათი დისკრიმინაცია და ისინი არიან მსხვერპლი სასტიკი ძალადობისა, მათ არ უნდა ჰქონდეთ უფლება სახელმწიფოს მართვაში მონაწილეობისა, ასევე უნდა იღახებოდეს მათი სხვა უფლებები, მათ შორის ძირითადი უფლებები და ბოლოს, ავტონომიაზეც უნდა ეთქვათ უარი [6: 24].

ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით ცხადი ხდება, რომ იურიდიული კუთხით კატალონიელთა მისწრაფების თვითგამორკვევად შეფასება დაუშვებელია, თუმცა, ამ საკითხის სწორხაზოვანი სამართლებრივი შეფასება, თვითგამორკვევის უფლების ბუნდოვანი შინაარსიდან გამომდინარე ძნელია და უფრო მეტად დამოკიდებულია პოლიტიკურ ნებასა თუ სოციალურ მოვლენებზე [7].

ცხადია, ესპანეთის ბიუჯეტისთვის, ფაქტობრივად, ყველაზე მდიდარი რეგიონიდან მიღებული კოლოსალური გადასახადების დაკარგვა საკმაოდ დიდი პრობლემა იქნება, ასევე, ძალიან დააკლდება ტურისტული ნაკადის დიდი ნაწილი - ყოველწლიურად ქ. ბარსელონას დასათვალიერებლად 16 მილიონ ვიზიტორზე მეტი ჩადის (მხოლოდ „საგრადა ფამილიას“ - მსოფლიოში ცნობილ, დაუმთავრებელ კათოლიკურ ბაზილიკას ყოველწლიურად 2.5 მილიონი ადამიანი სტუმრობს, ხოლო კოსტა ბრავას ულამაზეს სანაპიროებს 6 მილიონამდე ვიზიტორი ჰყავს).

თუ, კატალონია დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდება ესპანეთი დაკარგავს მის ყველაზე მდიდარ რეგიონს, სადაც 7 მილიონ ნახევრამდე ადამიანი ცხოვრობს და ამასთან, 200 მილიარდ ევროს, რაც ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის 20 %-ს უდრის.

ესპანეთის კონსტიტუციით რეფერენდუმი უნდა ჩატარდეს მთელი ესპანეთის ფარგლებში და მხოლოდ კატალონიელთა გამოხატული შესაბამისი ნება არ არის საკმარისი კატალონიელთა დამოუკიდებლობისათვის, ესპანეთი კი არასდროს დაუშვებს თავისი სახელმწიფოს ყველაზე მდიდარი რეგიონის და უმთავრესი ტურისტული ცენტრის ხელიდან გაშვებას, აღსანიშნავია ისიც, რომ კატალონიამ, თუნდაც მოახერხოს გამოყოფა შემდგომში ის ველარ იქნება ისეთი მდიდარი და უზრუნველყოფილი მხარე, როგორც დღეს, რადგან კატალონია, როგორც ესპანეთის ავტონომია სარგებლობს ევროკავშირით, მომავალში კი, თუნდაც მოიპოვოს დამოუკიდებლობა დიდი ალბათობით ვერ გახდება ევროკავშირის წევრი, რადგან ევროკავშირში გასაწევრიანებლად ყველა წევრმა უნდა დაუჭიროს მხარი ამ ინიციატივას, კატალონიას კი, სხვა ქვეყნებზე, რომ აღარაფერი ვთქვათ ესპანეთი აუცილებლად აღუდგება წინ [7].

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ კატალონიის დამოუკიდებლობის მცდელობა განიხილება არა, როგორც თვითგამორკვევა, არამედ, როგორც სეპარატიზმი, რადგან მართალია, კატალონიელი ხალხი 2010 წლამდე ესპანეთის მიერაც აღიარებული იყო „ხალხად“, თუმცა ისინი ფლობენ ავტონომიას, მათ მიმართ არ ხორციელდება მასიური და სასტიკი ძალადობა, მათ ძირითად უფლებებს (სიცოცხლის უფლება და სხვ.) არავინ ზღუდავს, აქვთ განსაზღვრული ტერიტორია, ენა, კულტურა, ისტორია, ეკონომიკა, ესპანეთის პოლიტიკაში მონაწილეობის უფლება და ა.შ. მართალია ისინი აპროტესტებენ და ამბობენ, რომ მათ ესპანეთი ჩაგრავს და უზღუდავს ეკონომიკურ თვითგამორკვევას, ისიც მართალია რომ მცდელობა იყო ავტონომიის გაუქმებისა და სხვ. თუმცა, ფაქტია, რომ დღესდღეობით კატალონია ფლობს ავტონომიურ ტერიტორიას და სარგებლობს კიდეც მთელი რიგი უფლებებით, რაც განაპირობებს იმას, რომ კატალონიური ამბოხი სწორედ სეპარატიზმად იწოდება, სამეცნიერო წრეები არსებობს აზრი, იმის შესახებ, რომ კატალონიელთა მსგავსი სწრაფვის საფუძველი გარდა ზემოთ ჩამოთვლილი მაგალითებისა, ნაციონალისტური ბუნებიდანაც გამომდინარეობს.

ზემოთ განხილული საკითხები საქართველოსთვის მეტად მნიშვნელოვანია, როგორც თვითგამორკვევის ცნების სწორი განმარტების მხრივ, ისე კატალონიაში განვითარებული მწვავე პოლიტიკური პროცესებიდან გამომდინარე, რადგან მსგავსად კატალონიისა საქართველოში არსებულ ტერიტორიულ ერთეულებზე მცხოვრები აფხაზები და ოსები, საქართველოს ფარგლებში სრულიად თვითგამორკვეულნი იყვნენ; აფხაზეთს ჰქონდა ავტონომია, აფხაზური სკოლები, უნივერსიტეტი, ტელევიზია, პრესა, საკანონმდებლო ორგანოში უმრავლესობით იყვნენ წარმოდგენილნი და სხვა. ასეთივე სურათი იყო ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქშიც; შესაბამისად, ესპანეთის დაძულობა საქართველოსთვის იდეალური პრეცედენტია, იმ კუთხით, რომ მსგავსად კატალონიისა, საქართველოშიც არ შეიძლებოდა დარღვეულიყო ტერიტორიული მთლიანობის პრინციპი, რაც კიდევ ერთხელ მიანიშნებს მსოფლიოს იმაზე, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების არსებობა მკვეთრად ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლის აღიარებულ წორმებსა და პრინციპებს.

### **ბიბლიოგრაფია:**

1. Carment, D., The International Dimensions of Ethnic Conflict: Concepts, Indicators and Theory, in: Journal of Peace Research, vol. 30, no. 2, 1997.
2. Conversi, D. Basques, Catalans and Spain. London, United Kingdom: C. Hurst & Co. 1997.
3. შაფაქიძე, შ., კატალონიური ნაციონალიზმის გამოწვევები: საერთაშორისო და საშინაო ფაქტორების როლი კატალონიის დამოუკიდებლობის გზაზე, თსუ, თბილისი, 2018.

4. <https://www.eyes-on-europe.eu/catalonia-the-right-to-self-determination-and-the-rule-of-law/> (გადამოწმებულია 25.10.2020)
5. McVay K., Self-determination in New Contexts: The Self-determination of Refugees and Forced Migrants in International Law. Merkourios, 2012.
6. Tomuschat C., Secession and Self-Determination. From Kohen, M. G., Secession International Law perspectives, New York, Cambridge University Press, 2006.
7. ხალხთა თვითგამორკვევის უფლება და მისი ტრანსფორმაცია თანამედროვე საერთაშორისო სამართალში <http://yata.ge/ge/?p=1574> (გადამოწმებულია 25.10.2020)

TAMAR CHIKVILADZE

## CATALANS' NATIONAL SELF-DETERMINATION AND ITS CONSEQUENCES

### Abstract

The emergence of the idea of self-determination in a nation is often caused by separatist sentiments (nationalism), although there are also examples when the need to exercise the right to self-determination arises in a nation on the basis of a patriotic spirit, since it realizes that the rights granted to it under international law, such as economic, social and cultural rights of people living in a certain territory (which the self-determination itself implies) are violated.

The modern world is an eyewitness to a number of acute political confrontations, since it is difficult to draw a line between the separatist movement and patriotic aspirations based on the vague nature of the notion of self-determination.

The Catalans' revolt was not recognized by the world community. The article focuses on these last political confrontations and highlights the main circumstances having led to the fact that the desire of the Catalans for independence began to be considered as separatism, and not as an attempt at self-determination.

**Keywords:** Self-Determination, Separatism, Confrontation, Separation, Independence, History, Culture, International Relations, Catalonia.

---

ТАМАР ЧИКВИЛАДЗЕ

## НАЦИОНАЛЬНОЕ САМООПРЕДЕЛЕНИЕ КАТАЛОНЦЕВ И ЕГО ПОСЛЕДСТВИЯ

Резюме

Зарождение в нации идеи самоопределения часто вызвано сепаратистскими настроениями (национализмом), хотя есть также примеры, когда потребность осуществления права на самоопределение возникает в нации на основе патриотического духа, поскольку она осознает, что нарушаются предоставленные ей по международному праву такие права, как экономические, социальные и культурные права людей, живущих на определенной территории (что и подразумевает самоопределение).

Современный мир является очевидцем ряда острых политических противоречий, поскольку трудно провести грань между сепаратистским движением и патриотическими устремлениями, исходя из неясного характера понятия самоопределения.

Восстание каталонцев не было признано мировым сообществом. В статье делается акцент именно на этом последнем политическом противоречии и подчеркиваются основные обстоятельства, которые привели к тому, что стремление каталонцев к независимости стало рассматриваться как сепаратизм, а не как попытка самоопределения.

**Ключевые слова:** самоопределение, сепаратизм, противоречие, отделение, независимость, история, культура, международные отношения, Каталония.

# პულტუროლოგია

ეთევან ჯერვალიძე

**კიდევ ერთხელ: რიტორიკული ფიგურები ცოდვის ორ პარადიგმაზე  
გიორგი მარჩულის „გრიგოლ საძთელის ცხოვრაგიძან“\***

## 2 აშოტის დატირება გრიგოლის მიერ<sup>1</sup>

ცოდვის თვალსაზისით, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ ასევე მრავალმნიშვნელოვანი ეპიზოდია აშოტ I-ის დატირება გრიგოლის მიერ. ქართული სამეფო ტრადიცია ფარნავაზის ეპოქიდან მიჰყვება გვარის, სისხლის, წარმოშობის პატივს. ქართველი ბაგრატიონებიც ამ ტრადიციას აგრძელებენ. ქართული ისტორიული წყაროების თანახმად, ისინი გორგასლის მემკვიდრენიც არიან ქალის ხაზით, ბიზანტიის იმპერატორისაც, ირანის მეფეთმეფისაც და ბიბლიური დავითისაც. ამ გვარში ერთდება აღმოსავლეთი, სამხრეთი, დასავლეთი და მათი გადაკვეთა - კავკასია. მათი გვარიდან გამოსული სამეფო პერსონა სწორედ დავითით ანუ „სისხლით“ არის კავშირში ტრანსცედენტურთან, ანუ გვაქვს „წარმოშობისა“ და „ზენარმოშობის“ პატივთა სინთეზი. დავითიანობა ხდება ახალი მძლავრი საფუძველი დინასტიური პათოსისა, რაც ძალიან კარგად გამოჩნდა აშოტის დატირებაშიც.

1. ჰომ, მეფეო ჩემო,  
ძლიერო და დიდებულო,  
სიმტკიცეო ეკლესიათაო  
და ზღუდეო ქრისტიანეთაო,
2. სადამთ-მე მოგელოდი?  
აღმოსავლით მე, ანუ დასავლით,  
ჩრდილომთ-მე, ანუ სამხრით?
3. რამეთუ ყოველთა ზედა ნათესავთა მფლობელი იყავ,  
რომელიცა წყობით კელმნიფეთა დაიმორჩილებდ.  
საკრველი ეგე დიდებული, ღმრთის-მსახური კელმნიფ!

\* დასაწყისი იხ. მაცნე, ისტორიის ... სერია, №1, 2020.

1 ეს ეპიზოდი უფრო მოკლედ იხ. ქ., ჯერვალიძე, მეფე როგორც პიროვნება, მეფე როგორც სიმბოლო გიორგი მერჩულის „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ მიხედვით/უურნ. „ქართველობია“ №5-6, თბ., 2016.

4.ან ვითარ-მე მიეცი კელსა შეურაცხთა  
უსჯულოთა და უნდოთა კაცთასა?

5. რომელი-იგი იუდას მსგავსად  
შენ უფლისა თვისისა მკვლელ იქმნეს  
მოსაკუდინებლად ჩუენ, გლახაკთა,  
მლოცველთა შენთა” უკუნისამდე!” [ 1 264, 26-265, 1-4]

ტექსტი წამოადგენს აშოტის ქებას (πανηγυρικος) დატირების მოტივით და რიტორიკული ხერხების გამოყენებით, არნაკლებ მშვენიერს, წარმართი რევ მეფის დატირებისა. პანეგირიკი იმპერატორებისადმი გვიანანტიკური პე-რიოდის ლიტერატურაში სტანდარტული უანრი იყო. ცნობილია კონსტანტინე დიდის დატირება, თეოდოსი დიდის ქება პაკატუსისა ლათინურ ენაზე. ცნო-ბილია აგრეთვე იუსტინიანე დიდის ქება სილენციარიოსისა, ჩართული „აია სოფიას ეკვრასისში“; აგათია მირინელის პანეგირიკი (VIIს.); ასევე პერაკლე იმპერატორის ქება გიორგი პისიდიელისა...

გრიგოლის მიერ აშოტის დატირება პირობითად ჩვენ დავყავით ხუთ ნაწილად. პირველი ნაწილი არის მიმართვა, რომელიც შედგება რამდენიმე წევრისაგან. ერთი შეხედვით ეს ფორმულები ეპითეტებია და გვაქვს მიმართვის პირველი სტრიქონის “მეფეო ჩემო-ს” (რამხელა ტრაგიზმია ამ ორ სიტყვაში) გაშლა და თანმიმდევრული დაქვემდებარება. მაგრამ არ გამოვრიცხავთ, იყოს ტიტულატურის ნაწილიც, განსაკუთრებით “ძლიერო და დიდებულო”. ტიტუ-ლატურა კი იყო ხოლმე ორგვარი: ერთი, რომელიც ოფიციალურად გამოი-ყენებოდა, მეორე, რომელსაც არაოფიციალურად იყენებდნენ. მას შემდეგ, რაც ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა, რომის იმპერატორი კონსტანტინე დიდი და შემდეგ ახალი რომის იმპერატორები ითვლებოდნენ ქრისტიანობის დამცველებად. ამ ქებაში, ბუნებრივია, აშოტი წარმოგვიდგება არც თუ მთლად რეალურ პიროვნებად. როგორც მეფე: ძლიერი, დიდებული, ეკლესიათა სიმტკიცე და ქრისტიანობის ზღუდეა. „ეკლესიათა სიმტკიცე“ ეს სარწმუნოების სწორი მიმართულებაა, „ზღუდეობა“ კი სივრცული საზ-ლვრების დაცვა და გაფართოებაც. აშოტი წარმოდგენილია ოთხივ კუთხის მბრძანებლად. ეს კი, უძველესი შუმერული ტრადიციაა მეფესთან დაკავში-რებით და ბიბლიაში ღვთის მისამართითაა გამოყენებული: ეს თან თესამრავ ანერთ არ მოგვიანება მეფეს და ქრისტიანობის მიმართ გამოყენებული:

ძველი მსოფლიოს ხალხთა მსგავსად, ზეცა და ქვეყნიერება ჩვენი წი-ნაპრებისთვისაც ოთხეუთხოვნად იყო წარმოდგენილი<sup>2</sup>; მზე აღმოსავლეთი-დან სამხრეთის გავლით მიემართებოდა დასავლეთისკენ, ჩრდილოეთი კი იყო უმზეო მხარე. ამავე დროს ოთხი ორიენტირთა სისტემაცაა, რომელიც განსაზ-ლვრავს ჯვრის ბოლოების მიმართულებას. აპოკალიფსში ვკითხულობთ: „და შემდგომად ამისა ვიხილენ ოთხი ანგელოზნი, მდგომარენი ოთხთა კიდე-

2 სურგულაძე ი., ქართული ხალხური ორნამენტის სიმბოლიკა, თბ., 1993, 73.

თა ქუეყანისათა და ეპირნეს ოთხი იგი ქარნი ქუეყანისანი (7,1); ზეციური იერუსალიმიც ოთხკუთხოვანია (ოთხი ჯერ კიდევ პითაგორელთა დროიდან განიმარტებოდა, ვითარცა სამყაროს მთლიანობის სიმბოლო; ამიტომაც იყო ესოდენ პოპულარული ოთხი ელემნტის (მიწა, ცეცხლი, ჰაერი, წყალი) თეორია. ქვეყნიერების ოთხკუთხედად წარმოდგენაზე ქრისტიანობის პერიოდში დიდ გავლენას ახდენდა ბიზანტიელი ავტორის, კოზმა ინდიკოპლევტესის (VI ს.). ბიბლიაზე დაყრდნობილი შრომაც „ქრისტიანული ტოპოგრაფია -Христιανική Τοπογραφία“, რომელიც უპირისიპირდებოდა პტოლემაიოსის ანტიკურ კოსმოგონიას. პტოლემაიოსის მიხედვით, დედამიწა სფეროსებრია<sup>3</sup> ... VII ს-ის ბიზანტიელი პოეტი-მემატიანე გიორგი პისიდიელი ხოტბას ასხამს პერაკლე იმპერატორს: „მთელმა ქვეყანამ ოთხივე მხრიდან ხოტბა მიუძღვანა შენი ცხოვრების სანახაობას კაὶ πᾶς ὁ τῆς δῆμος ἐκ τῶν τετταρῶν ὕμινθης πλευρῶν ἐν θεάτρῳ τῷ βίᾳ κοσμοῦσται<sup>4</sup>; აგათია მირინელიც საუბრობს იუსტინიანე დიდის სამფლობელოს საზღვრებზე ინდოეთიდან (აღმოსავლეთიდან) პერაკლეს სვეტებამდე (დასავლეთამდე)<sup>5</sup>.

ასე რომ, აშოთის, ვითარცა ლვთის ნიშნისა და სიმბოლოს, ლვთის ხალხ-თან და ხალხის ლმერთთან დამაკავშირებელი პირის წარმოჩენა ოთხივე მხარის მმართველად მხოლოდ გაზვიადება კი არ არის, ავტორი ცდილობს ამით რე-ალურის მიღმა მხარე გარდასულისა და მომავლის კონტექსტში განჯვრითოს, და მან, როგორც „სემიოტიკოსმა“, ხაზი გაუსვას აშოთისა და მის მემკვი-დრეთა კანონიერ უფლებას, ვითარცა დავით წინასწარმეტყველის შთამომა-ვლებისას ახალი აღთქმის სივრცეში, ოთხივე კუთხით გაფართოვდნენ. ამავე სიმბოლურ აზრს შეიცავს მაცხოვრის, დავით წინასწარმეტყველისა და აშო-ტის კომპოზიცია ობიზის ტაძრის კედელზე. ვ. ჯობაძის აზრით, ეს არ უნდა იყოს აშოტის გამოსახულება, მაგრამ ის ნამდვილად უკავშირდება სამეფო კონცეფციას, ქრისტეზე ორიენტირებულს. სამეფო კონცეფცია ასახულია დოლისყანის ეკლესიაშიც, რომელიც გიორგი მერჩულის ძეგლზე სამი ათ-ეული წლით ადრეული მაინც ჩანს, ასევე, ოქვის ტაძარში ბაგრატ ერისთავთ-ერისთავის გვირგვინს (მოხსენიებულია ჩვენს თხზულებაში) შერჩენილი პქონია პენდილია (ბრტყელი ოქროს ფირფიტა), რისი ტარებაც ბიზანტიის იმპერატორთა პრეროგატივა ყოფილა, ხოლო ოთხთა ეკლესიაში ყოფილა სიონის პერსონიფიკაცია, ასევე გამოსახულება სალემის მეფის მელქისე-დეკისა<sup>6</sup>. ამასთანავე, აშოტი „მოძრავი“ მეფეა, ბიზანტიის იმპერატორთაგან

<sup>3</sup> Удальцова З. В., Страница из истории византийской культуры, Косьма Индикоплевест и его Христианская топография, ბიზანტინოლოგიური ეტიუდები, ს. კაუბიშიმელი 80. თბილისი, 1978, 82-90.

4 Georgius Pisides , PG. 92(1), col. 1316, 210; ორაკლიადა, ანუ სპარსელთა მეფის ხოსროს საბოლოო დაცემა, თარგმანი 6. მირაშვილისა // ბიზანტიური მწერ-ლობის ქრისტომათია ტ. I, თბ., 1994, 85(210).

5 ბერიძე ო., კიდევ ერთი ბერძნული წყარო „გეორგიკების“ შესავსებად // ბიზან-ტინოლოგია საქართველოში 3, თბ., 2009., 134-137.

6 ჯობაძე ვ., ადრეული შეკვეთების ქართული მონასტრები ისტორიულ

განსხვავებით, რომელთაც კანონმდებლობით ეკრძალებოდათ დედაქალაქის დატოვება. თუმცა ჩვენი თხზულებიდან ვერ ვიგებთ როგორი იყო მეფის კურთხევისა და დაკრძალვის წესი იმ დროის ზემო ქართლში.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ავტორი შესაქები ობიექტის დახასიათებისას ანგარიშს უწევდა ჟანრის მოთხოვნებსაც. ყოველ შემთხვევაში ისიც კი სიმბოლურია, რომ აშოტი პირველი ისტორიული პირია, რომელთანაც დაკავშირდა „ოთხის“ ბიბლიური საზრისი და თამარი ბოლო, ვისშიც ის სრულყოფილი სისავსით განხორციელდა რეალობაში და აისახა ისტორიაში. ასევე, აშოტს დამკვიდრებული აქვს ეპითეტი „დიდი“, თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ ეს ეპითეტი ბიზანტიის იმპერატორთაგან მოლოდ ოთხს მიემართება: კონსტანტინე I-ს, თეოდოს I-ს, ლეონ I-ს და იუსტინიანე I-ს. აშოტი კი დაშლილი და ოკუპირებული ქვეყნის ერთ-ერთი კუთხის, პროვინციის უმაღლესი საერო პირი იყო. თუ ამოვალთ იმ ფაქტიდან, რომ ვახტანგ გორგასლის შემდეგ ქვეყანა დაიმალა და მეფობა გაუქმდა, აშოტის დროს კი ხელახლა ჩაეყარა საფუძველი ამ ინსტიტუტს, ცხადი გახდება ამ ფაქტის მნიშვნელობა. მეფობის ინსტიტუტის განახლება იწყება იქიდან (**კლარჯეთი გორგასალმა დაიბრუნა**) და იმ პიროვნებიდან (**გორგასალი**), ვის შემდეგაც გაუქმდა ის ფაქტობრივად; აშოტი ამ აქტით სწორედ გორგასლის მემკვიდრედ აცხადებს თავს, (ცხადია, **არჩილისა და მირისაც**), მაგრამ მემკვიდრედ არათუ ერთიანი საქართველოს (**ყოველი ქართლის**) მეფისა, ერთიანი კავკასიის მეფისაც; აფხაზეთის სამეფოს და კახეთის საქორეპისკოპოსოს, რომლებმაც ასევე დაიწყეს X ს-ში საქართველოს გაერთიანება, ამგვარი კონცეფცია არ ჰქონიათ, ვინაიდან არ ჰყავდათ გრიგოლ ხანძთელი და გიორგი მერჩულე, არ ჰქონიათ ისეთი მძლავრი ეროვნულ-პოლიტიკურ-სარწმუნობრივ-კულტურული კერა, როგორც იყო „ხანძთა“. თუმცა, აფხაზეთის სამეფოს ჰყავდა ითანე მინჩხი და ჰქონდა „თევდოსი მეფის ქება“, ხოლო კახეთს ჰყავდა ილარიონ ქართველი, მსოფლიო მნიშვნელობის წმინდანი; როგორც ჩანს, არც თვით ხორონიმ აფხაზეთსა და კახეთში იდო ისეთი სუგესტიური ძალა (ან აბსოლუტურად წაშლილი იყო), როგორიც ხორონიმ ქართლში - [ლმერთა] **კარიბჭე, ცენტრი, ციხესიმაგრე**. გავიხსენოთ მესხური ხალხური ლექსის მიხედვით შექმნილი სტრიქონები გრიგოლ ორბელიანისა: „მკლავით ძლიერი ქართლელი ვით ციხებურვეი მაგარი“, პოემიდან „სადღეგრძელო“.

ვიგებთ აშოტ კურაპალატის ოთხი ღირსების შესახებ, რომლებიც მიმართვის ფორმულებია. აშოტი საუკეთესო ხელისუფალია, ყოველ ნათესავზე ბატონობს, რაც მის მეომრულ ღირსებებსა, ფიზიკურ ძალას და ალბათ მის ქონებასაც ეყრდნობა. „რომელიცა წყობით კელმნიფეთა დაიმორჩილებდ“-დასტირის გრიგოლი აშოტს, ხოლო პავლე სილენციარიოსი კი მიმართავს იუსტინიანე დიდს: „ყველას იმორჩილებ შენი სახელოვანი გამარჯვებებით“-უმცირეს ტრიათოფირის მიმარჯვების მიზანით. სულაც არ გვეჩენება დაუჯერებლად,

<sup>7</sup> ტაოში, კლარჯეთსა და შავშეთში. თბ., 2007, 73. 81, 84, 140, 191.  
7 Pauli Silentarii 227. PG 86 (b) col. 2130; პავლე სილენციარიოსი, ეკფრასისი აია

გიორგი მერჩულეს სცოდნოდა, თანაც ზედმინევნით, „**ეკფრასისი წმინდა სოფიას ტაძრისა**“.

გიორგი მერჩულის თხზულებაში ეპითეტები: “დიდი”, “დიდებული” წყვილდება ხელმწიფებთანაც, მაგრამ “**ღვთისმსახური**” - მხოლოდ მეფედ დადგინებულ პერსონებს, ან სამეფო ოჯახის წევრებს მიემართებათ: ღმრთის-მსახურსა მეფესა აშოტ კურაპალატსა [ 261, 28; 164,41]; სამივე ძმა ერთად: ღმრთის-მსახურნო მეფენო [ 275,43]; დემეტრე აფხაზთა მეფე: ღმრთის-მსახურო მეფეო [ 269, 2]; ბაგრატი: ღმრთის-მსახურსა კურაპალატსა [ 1 273,40]; გუარამ დიდსაც ორჯერ: “**ღმრთის-მსახურო გუარამ**“ [ 1 289 12]. „**პრძენ და ღმრთის-მსახურ**“ [ 1 288, 28]; ადარნასესაც ორჯერ. ეს გასაგებიცაა. როგორც ალაპიტე კონსტანტინეპოლელი (VI ს.) ამპობს, სამეფო ღირსებას თუ რამ ამკობს ყველაზე მეტად, ეს ღვთისმსახურებააო: ‘Υπέρ πάντα τῆς βασιλείας τὰ ἔνδοξα τῆς εὐσεβείας’. ალაპიტე კონსტანტინეპოლელის ტრაქტატი: τῷ θειοτάτῳ καὶ εὐσεβεστάτῳ βασιλεῖ ἡμῶν Ἰουστινιανῷ Ἀγαπητὸς ὁ ἐλάχιστος διάκονος - „**მეფეთა ტომარი**“, ჩვენი აზრით, მერჩულის ძეგლის ერთ-ერთი ლიტერატურული წყაროა<sup>9</sup>.

მეფეებთან მიმართებაში გვხვდება ასევე **კეთლმსახურიც**: კეთილ-მსახურმან კურაპალატმან აშოტ [ 1 261, 38] ბაგრატი: ქებავ სთნდა კეთილ-მსახურსა კურაპალატსა [ 1 272, 32]; აღზრდილ იყო წელითა კეთლ-მსახურისა დედოფლისა [ 1 249, 30]; კეთილ-მსახურისა მამისა შენისა ფრთეთაგან საუფლოისა ჯუარისათა შეცვულო [ 1 272, 42]]; დემეტრე აფხაზთა მეფეს: წელმნიფენი კეთილ-მსახურნი შრომასა მათსა თანამონანილე იქმნებიან [ 1 270, 7]<sup>10</sup>.

კეთილ-მსახურის ზუსტი ბერძნული შესატყვისია ეუ-სეβήს, თუმცა პარალელურად ის ბიზანტიურ სივრცეში გადმოსცემს ღვთის-მსახურსაც θεიσეβήს -ს და ნეტარსაც. თუმცა, სიტყვა ნეტარი - მაკარის მხოლოდ წმინდანებთან დაკავშირებით გამოიყენება და არა მეფე-პერსონების მისამართით..

ეს ეპითეტები - ეუ-სებήს და θεისებήს -ღვთისმსახური უკვე კონსტანტინე დიდის ეპიკიდან არის გამოყენებული უცვლელად ბიზანტიელ იმპერატორთა ტიტულატურაში; ათანასე ალექსანდრიილი მის ძეს კონსტანტიუსს უწოდებს: ფილიტეის, ფილიტრის, ეუ-სებήს, θεისებήს ძიκαιის, მაკარიოს, ფილატროპიოს<sup>11</sup>. ეუ-სებήს - ამ სიტყვით გადმოსცემს ეპითეტ ნეტარსაც ტრისტასე - სამგზის

სოფიის ტაძრისა , თარგმანი ო. ბერიძისა // ბიზანტიური მწერლობის ქრესტომათია , ტ. I., IV-VIIIს. თბ., 1994, 103, 227.

8 Agapeti Diaconi, τῷ θειοτάτῳ καὶ εὐσεβεστάτῳ βασιλεῖ ἡμῶν Ἰουστινιανῷ Ἀγαπητὸς ὁ ἐλάχιστος διάκονος PG. 86 (b). cap. 15, col.1169.

9 ჯერვალიძე ქ., პეტრიაშვილი ნ., გაიოზ რექტორის მიერ ალაპიტე კონსტანტინეპოლელის „მეფეთა ტომარის ტყმეთატატი ბიზანტიური კურაპალატის კურაპალატში // უკრნალი “ქართველოლოგია” №4, 2017.

10 ძეგლი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლების სიმფონია-ლექსიკონი I ა-ლ, 6. გოგუაძის, ზ. სარჯველაძის და მ. შანიძის რედაქციით, თბ., 2005.

11 Athanas. Alex. Apol. ad Const. PG. 25. Col. 596, 597, 600, 608, 629, 641.

ნეტარო, (სამგზის უღვთისმსახურესო) - იუსტინიანე დიდთან **დაკავშირებით პავლე სილენციარიოსი „აია სოფიას ეკფრასისში“<sup>12</sup>.**

აშოტის დატირების მე-4 ნაწილში შემოდის **არაერთგულების, აპოსტასისა და უზურპაციის** თემა, რომელიც გვაქვს იოანეს სახარებაში ვრცლად მოცე-მული (თვისთა მოვიდა და თვისთა იგი არა შეიწყნარეს, 1, 11). როგორც იუდას ქმედება გახდა მთელი საქრისტიანოს საგლოვი, ასევეა აშოტის, ქრისტეს ამქვეყნიური ხატის მკვლელობაც მისი მომხრებისთვის. ამავე დროს დაირ-დვა იმ ეპოქის, ფეოდალური ეთიკის, ერთგულების ეთიკის ნორმა. ყოველი ნორმის დარღვევა ადამიანურ დონეზე კი კოსმიურ უწესრიგობას იწვევს. აშოტის მკვლელობა ძლივს მეფობა აღდგენილ ზემო ქართლში უდიდეს ტრა-გედიად აღიმება გრიგოლის პიროვნებაში, პოლიტიკური თეოლოგიის შემო-ქმედში ის წარუვალი სულიერი მდგომარეობის სახეს იძენს. გრიგოლის მიერ აშოტის დატირება ეს არ არის მხოლოდ გარეგნული ქმედება, პროტოკოლით გათვალისწინებული, მასში ჩაქსოვილია მთელი მხურვალება გრიგოლის გუ-ლისა, რაც ბოლომდე მხოლოდ ღვთისთვისაა ნათელი და კიდევ მწერლისთ-ვის.

აშოტ კურაპალატის მკვლელობას კიდევ უფრო ამძიმებს ის ფაქტი, რომ მოკლეს მეფე და მოკლეს ეკლესიაში. ეს ეპიზოდი ჩვენს ძეგლში არ გვხვდება. მას ავსებს სუმბატ დავითის ძის „ქრონიკა“. თუმცა რომელ ეკლესიაში მოკლეს აშოტი, „ქრონიკის“ ავტორი არ გვეუბნება. იმის ვარაუდი კი შეიძლება, რომ ეს უნდა მომხდარიყო აშოტის რომელიღაც რეზიდენციის კარის ეკლესიაში, ვინაიდან მკვლელები მისულან „კარად მისსა“: „ამისთვის შეივლტოდა აშოტ კურაპალატი ეკლესიად და მოკლეს იგი მახვლითა საკურთხეველსა ზედა და საკურთხეველი იგი შეისუარა სისხლითა მისითა, რამეთუ დაკლეს იგი მუნ, ვითარცა ცხოვარი, აღსავალსა საკურთხევლისასა. და სისხლი მისი დათხეუ-ლი დღესაცა საჩინოდ სახილველ არს<sup>13</sup>. სუმბატ დავითის ძე ორი ზმნით გად-მოგვცემს ამ ფაქტს: „მოკლეს“ და „დაკლეს“. ბოლო ზმნა გულისხმობს მსხ-ვერპლშენირვის რიტუალს, ყელის გამოჭრას, მით უფრო, რომ ფიგურირებს სარიტუალო კომპონენტი - საკურთხეველი. ანტიკურ საპერძეოთში ტაძარში თავშეფარებულთა დახოცვა, თუნდაც დამნაშავეთა, დიდი ცოდვად ითვლე-ბოდა; ეპრაელებს კი ექვსი ქალაქი ჰერონდათ ცოდვილთა თავშესაფრად; ეს ინფორმაცია ჩვენს ძეგლშიცა [I 282, 40-43]<sup>14</sup>.

თვითონ ჩვენი ძეგლის პასაჟი ძალიან ჰგავს იოანე ღვთისმეტყველის მა-მის ზაქარიას მკვლელობას, რომელიც მათეს სახარებაშიც კი აისახა: „რამთა მოიწიოს თქუენ ზედა ყოველი სისხლი მართალი, დათხეული ქუეყანასა ზედა,

12 Pauli Silentarii 952. PG 86 (b) col. 2155; პავლე სილენციარიოსი, ეკფრასისი აია სოფიის ტაძრისა, თარგმანი იხ. ო. ბერიძისა, ბიზანტიური მწერლობის ქრეს-ტომათია, ტ. I., IV-VII სს. თბ., 1994, 125(952).

13 სუმბატ დავითის ძე, ცხოვებაი და უნწყებაი ბაგრატიონთა/ქართლის ცხოვრება, რ. მეტრეველის რედაქციით, თბ., 2008, 364, 16-20.

14 მკვლელობა ეკლესიაში - აგატა კრისტის დეტექტივს რომ თავი დავანებოთ „მკვლელობა ტაძარში“- ასეთი ინფორმაციები დღეს ცოტა როდია.

სისხლითგან აბელ მართლისამთ, ვიდრე სისხლადმდე ზაქარიამსა, ძისა ბარუებისა, რომელი მოჰკალთ შორის ტაძრისა და საკურთხეველისა“ (23, 35). ეპიზოდს - ტაძარში მოკვლისა და მოკლულის სისხლის შეხმობის (გაქვავების) შესახებ ჩვენ ვხვდებით აპოკრიფში „ზაქარიას ცხოვრება“: Тогда убийцы бросились на Захарию и между церковью и алтарем убили его, как повелел им царь; пролившаяся же кровь святого сгустилась на мраморе и отвердела как камень во свидетельство и вечное осуждение Ироду<sup>15</sup>. ორივე ეპიზოდის მიზანი ერთია. „ზაქარიას ცხოვრებაში“ ეს ლიად არის ნათქვამი, სუმბატ დავითის ძის ქრონიკაში კი ამ პასაუის ალუზიასთან უნდა გვქონდეს საქმე. ქართულად გვაქვს „ზაქარია წინასწარმეტყველის ხსენება“ აპოკრიფულ კრებულში „მარგალიტი“<sup>16</sup>.

მესამე ნაწილში აშოტის სამ განმადიდებელ, შეფასებით ეპითეტს – „საკრველი (მასმასტბა)“ ეგე, დიდებული (ბებიჯამენიც ქ. ჯ.), „ღმრთის-მსახური“ - ზეისებურ-ს მოსდევს ზუსტად სამი უარყოფითი შეფასებითი ეპითეტი მკვლელებისა: „შეურაცხთა, უსჯულოთა და უნდოთა კაცთასა“ და გვიჩვენებენ გზას სამოთხისა და ჯოჯოხეთისკენ. ნაწყვეტი წარმოადგენს “დატირებას” და ის თავსდება ამ უანრის საზღვრებში. უანრს ეძლევა უფლება ჰქონდეს საკუთარი ნება, ხან ავტორის ნებაზე უფრო ძლიერი.

როგორც დავინახეთ, აშოტის მახასიათებლები არ არის ქაოტური და შემთხვევითი. მეფის ატრიბუტიკა თავისი ლოგიკით წარმოქმნის გარკვეულ წესრიგს. გიორგი მერჩულისთვის, დასავლურ-აღმოსავლურ ტრადიციებზე დაყრდნობით, მეფობა, როგორც ფენომენი გააზრებულია უწყვეტ ისტორიულ მთლიანობაში და სანამ ეს უწყვეტი მთლიანობა არსებობს, საფრთხე არ ემუქრება სამყაროულ წესრიგს. სახისმეტყველებითი თვალსაზრისით, მოცემული ნაწყვეტი არის შიდა და გარე ოპოზიციურ წყვილთა ერთობა: ქრისტე-აშოტი; ქრისტე-ბერები – ზედროული-დროითი; ზემატერიალური-მატერიალური; უსაზღვრო-საზღვრული; ზეგრძნობითი-გრძნობითი, უკვდავი-მოკვდავი. მათ ამთლიანებს სიკეთე; ქრისტე-იუდა; აშოტი-მკვლელები; ბერები-მკვლელები – ამ დაპირისპირებულ წყვილებს, გარდა ზემოხსენებულთა, ყოფს ბოროტება, რაც მათ მტრულ ოპოზიციად აქცევს. ერთი რამ კი ფაქტია, როგორც ქრისტე აშოტთან და ბერებთან ერთად ქმნის სიკეთის სამკუთხედს,

ქრისტე (სიკეთე)  
/ \\\\  
აშოტი ბერები

15 Захарии пророка житие./ [http://www.vidania.ru/p\\_zahariya.html](http://www.vidania.ru/p_zahariya.html); С. С. Аверинцев, Захария и Елисавета //Мифологический словарь М 1991, 219; Захария //ЭСБЕ.

16 გაბიძაშვილი ე., ზაქარია წინასწარმეტყველის ხსენება// ქართული ნათარგმნი ბიბლიოლოგია, ეგზეგეტიკა და აპოკრიფები, თბ., 2009, 407; გვაქვს ან-თიპატროს ბოსტრელისა და კირილე იერუსალიმელის „საკითხავი ზაქარიას დადუმებისათვე“//კლარჯული მრავალთავი, თბ., 1991 433-438;438-439.

ასევე მკვლელები იუდას მსგავსად არღვევნ მას.

მკვლელები - იუდა (ბოროტება)  
/ \\\n  
აშოტი ბერები

გლოვა დატირების დასაწყისში კონკრეტული პიროვნების, აშოტისა - “ჰო მეფეო” გლოვის დასასრულს სამმაგდება: აშოტის მკვლელებმა იუდას-ებრ მოკლეს საკუთარი უფალი. ავტორს თავისუფლად შეეძლო ბოლოსაც სიტყვა “მეფე” გამოეყენებინა “უფლის” მაგივრად, იმავე სიტყვით დაესრულებინა, რითაც დაიწყო, ალუზია, მაცხოვრის გაცემისა და დასჯისა, მაინც სახეზე იქნებოდა, მაგრამ ჩვენი აზრით, ნაკლებ გამოიკვეთებოდა მეფე-უფლის მთლიანობისა და სხვაობის იდეა. ამასთანავე, ამ ჰასაუით აშოტის ცხოვრება, ვითარცა მეფისა გიორგი მერჩულებ ზეციურ განზომილებაში გადაიყვანა და ეს გაგება ქართულ კლასიკას თითქმის დღემდე გადმოჰყვა; მეფე-უფალი უკვე რიტორიკული ფიგურა პარანომასიაცაა. ქრისტე – აშოტი, მკვლელები (იუდა) – აშოტი – ამ დიქოტომიისგან ცალკე გამოყოფილნი არიან გლახაკი, ანუ ბერები<sup>17</sup>.

ამავე დროს აშოტ I-ის სამეფო ხელისუფლება ეს არა ზოგადად ღმერთზე, არამედ კონკრეტულად ქრისტეზე ორიენტირებული სამეფო ხელისუფლებაა, რასაც ადასტურებს კიდევ ერთი ეპიზოდი თხზულებიდან, ბაგრატ კურაპალატისადმი საპა იშხნელის მიმართვა. ქრისტეზე ორიენტირებული სამეფო ხელისუფლების იდეა ჩვენი ჰაგიოგრაფიის ძეგლთა შორის პირველად გიორგი მერჩულის „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ აისახა, ხოლო ისტორიულ ძეგლთაგან – ჯუანმერის „ვახტანგ გორგასლის ცხოვრებაში“; ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ სახელმწიფოს განვითარების სტადიები დასვლეთ ევროპის სახელმწიფოთა მაგალითებზე შეისწავლა ერნსტ კანტოროვიჩმა. სწორედ მას ეკუთვნის დეფინიცია – „ქრისტეზე ორიენტირებული სამეფო ხელისუფლება“<sup>18</sup>. ე. კანტოროვიჩის ნაშრომი მიმოიხილა და ქართულ საზოგადოებას გააცნო მ. კარბელაშვილმა<sup>19</sup>.

ეს გახდავთ, როგორც გიორგი მერჩულებ იტყვოდა, “მრავლისაგან მცირედი – აპო პილაშ ბლიგა“ – ესეც რიტორიკული ხერხია....

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, – გამომდინარე იქედან, რომ ჰაგიოგრაფიის საზღვრები არ იყო მკაცრად შემოწერილი, რომ თვით ტერმი-

<sup>17</sup> ჯერვალიძე ქ., მეფე, როგორც პიროვნება და მეფე, როგორც სიმბოლო „ქართველობოგია“ №5-6. 2016.89-92.

<sup>18</sup> Ernst H. Kantorowicz. The King's Two Bodies: A Study in Mediaeval Political Theology. Princeton, 1957.

<sup>19</sup> კარბელაშვილი მ.„ ერნსტ კანტოროვიჩის ნაშრომი შუა საუკუნეთა პოლიტიკური თეოლოგიის შესახებ“, იხ. ნ. ვაჩანაძისადმი მიძღვნილი საბილეო კრებული „სამეცნიერო პარადიგმები“, თბ., 2009, 577–601; კანტოროვიჩის ამ ნაშრომის ორი თარგმანი უკვე არსებობს რუსულად: ერნსტ Х. Канторович. Два тела короля. Исследование по средневековой политической теологиии М., 2013.

ნის გაგებაშიც კი არ არსებობდა ერთიანი აზრი ბიზანტიურ სივრცეში<sup>20</sup>; რომ ის ჰაგიოგრაფიული ძეგლები, რომელნიც IX ს-ის ორ მესამედში თავსდებიან, ე. ი. გრიგოლ ხანძთელის სიცოცხლის პერიოდში, განსხვავებული ჟანრობრივი კონგლომერატით გამოიჩინია; რომ IX ს-მდე ბიზანტიაში მწერალი რამდენიმე ჟანრში მოღვაწეობდა, ისევე როგორც იოანე საბანისძე და გიორგი მერჩულე; რომ გრიგოლ ხანძთელის თანამედროვე ჰაგიოგრაფ-რიტორს, ნიკიტა-დავით პაფლაგონიელს “ევდოკიმეს ცხოვრება” რიტორის ხარისხის მოსაპოვებლად დაუწერია<sup>21</sup>; რომ რიტორიკა პოეზიამდე მიუყვანია ჯერ კიდევ IV ს-ში მოღვაწე რიტორს, ჰიმერიოსს<sup>22</sup>; ბასილი დიდის ცხოვრებიდან კი ვიგებთ, რომ მისი ეპოქის რიტორიკულ სკოლებში ახალგაზრდებს პოეტურ თხზულებათა ორატორულ სიტყვად გარდათქმაში ავარჯიშებდნენ<sup>23</sup>; ს. ს. ავერინცევი კი ბრძანებდა: “როტორიკა, ამ სიტყვის უზუსტესი აზრით, თითქმის ემთხვევა ანტიკური და ბიზანტიური პოეზიის არს და არ გამორიცხავს მისი [რიტორიკის] უმაღლეს მწვერვალებს”, რომ ასეთივე მდგომარეობა ყოფილა დანტეს ეპოქის იტალიაშიც: Вс времена Данте не существовало разницы между риторикой и поэтикой. Поэт, как и оратор, учился словесному мастерству и художественным приемам выражения (фигурам) в школе великих писателей и риторов античности, особенно у Цицерона и Квинтилиана. Мы не ошибемся, если скажем, что Данте, как многие поэты конца античности, сам был великим ритором, – Ерს დანტეს თხზულებათა კომენტატორი ი. ბ. გოლენიშვ-კუტუზოვი<sup>24</sup>...

– ჩვენ ვასკვნით, რომ

1. გიორგი მერჩულე, რომლის სამოხელეო წოდება ქართული ჰიმნოგრაფიის ტერმინად იქცა, „მერჩულიულნი უცხონი“ „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ თავის (ცოტა წინა თაობის) ბიზანტიელ კოლეგათა მსგავსად, ჟანრობრივ კონგლომერატის გვთავაზობს. ის ფეხდაფებ მისდევს მეტროპოლიაში მიმდინარე სამწერლობო პროცესების განვითარებას. თვით ეს ფაქტი კი არ არის საკვირველი, ტაო-კლარჯეთის ბიზანტიასთან დამოკიდებულებიდან გამოდინარე, არამედ ის, რომ ქართველმა ჰაგიოგრაფმა ეს უაღრესად მაღალ დონეზე, მშობლიურ ენაზე ყოველგვარი ძალადობის გარეშე შეასრულა, და ამავე დროს ის უაღრესად ეროვნულ მწერლად დარჩა, მეტიც, მან გრიგოლ ხანძთელის პიროვნებასა და მოღვაწეობაზე დაყრდნობით საფუძველი ჩაუყარა ქართულ პოლიტიკურ თეოლოგიას, ანუ დაშლილი ყოველი ქართლის ერთიანობისა და დამოუკიდებლობის იდეას; ქრისტეზე ორიენ-

20 Каждан А. П., История Византийской литературы (650-850), 189.

21 Полякова С. В., Византийские легенды как литературное явление// Византийские легенды, Л., 1972, 260.

22 Курбатов Г. Л., Риторика // Культура Византии IV-VII в под. ред. З. В. Удальцовой М., 1984, 350.

23 Избранные жития Святых, М., 1992, 137.

24 Голенищев-Кутузов И. Н.. Жизнь Данте и его малые произведения, Пир, трактат III: X, 3, // Малые произведения М., 1968.

**ტირებული სამეფო ხელისუფლების იდეას, რომელიც პირველად სწორედ ამ ლიტერატურულ ძეგლში ჩანს, ისტორიული წყაროებიდან კი – ჯუანშერის „ვახტანგ გორგასლის ცხოვრებაში“.**

2. თბზულებიდან მოყვანილ, ერთი შეხედვით, განსხვავებულ პარადიგმებს ამთლიანებს ა. ცოდვა – სულიერი და ფიზიკური მკვლელობა; ეს ორი ფაქტი დროსა და სივრცეში შეზღუდულია, მაგრამ მიუხედავად ამისა, მასში მთელი ეპოქის სული ვლინდება. საზოგადოების ისტორიის შემეცნების თვალსაზრისით, მათ დიდი მნიშვნელობა აქვთ.

ბ. ორივე პარადიგმა ეხება სამეფო ოჯახის წევრებს: მეფესა და მის ძეს. ორივე პერსონაჟს მიესადაგება ბიზანტიურ სივრცეში მეფეთათვის განკუთვნილი უპირველესი ეპითეტი ღვთისმსახური: ეს-სებზე და მთელი თბზულებაში წარმოდგენილია ორი კულტურული წრე: მონასტერი, სამეფო კარი, მესამე ეკლესია ძალიან მცირედ ჩანს..

3. წერილი „შესვენებული დებისადმი“ განეკუთვნება ეპისტოლეს და ის აგებულია სწორედ ისე, როგორც ეს შეიმუშავა მეორე სოფისტიკამ და იმემკვიდრევა ბიზანტიურმა ეპისტოლოგრაფიამ, მაგრამ რიტორიკული ფიგურების გამოყენების თვალსაზრისით, ის ენკომიონში გადადის; აშოტის დატირება თავისთავად ენკომიონია; ორივე ეპიზოდში გამოვლენილია რიტორიკული ფიგურები, „კოლონ-შენადგამები“, ანაფორა, ეპანაფორა, პოლიპტოტონი, ანტითეტონი, გატოლება, ოქსიომორონი, პომიონტელევტონი, ალუზია, ქვეტექსტური ალუზია, პოლილოგია, ალიტერაცია, პარანომასია.

4. მერჩულის თბზულებაში უცოდველებთან ცოდვილთა დამარხვის შესახებ თხრობისას გამოვლინდა სიახლოვე იოანე მოსხის 30-ე ნოველასთან, ანუ ავტორის ერთ-ერთ ლიტერატურულ წყაროდ შეძლება მივიჩნიოთ იოანე მოსხი; გამოითქვა სურვილი ამ ეპიზოდის უფრო ღრმად შესწავლისა ბიზანტიელი ავტორების – ეფრემ ასურის, რომანზ მელოდოსის, იოანე დამასკელისა და კასიას შესაბამისი ნაწარმოებების გათვალისწინებით. ხაზი გაესვა მესამე საუკუნიდან ცოდვილთა გამართლების საკითხზე დავას ქრისტიანულ სამყაროში და ამავე დროს მარიამ მაგდალელის კულტის გაძლიერებას IX-X სს -ის ბიზანტიაში;

აშოტის დატირების სცენა შეიცავს სუმბატ დავითის ძის „ქრონიკიდან“ მოყვანილი ეპიზოდით – აშოტის დაკვლა ეკლესიის საკურთხეველზე და შემხმარი სისხლის ხანგრძლივი კვალი. „ქრონიკის“ ეპიზოდი გააზრებულ იქნა, როგორც ზაქარია წინასწარმეტყველის ცხოვრების ერთი პასაჟის ალუზია.

5. ყურადღება მიექცა თბზულების პირველ ეპიზოდში გამოყენებულ იურიდიულ ტერმინოლოგიასაც: სიძვა – ή πορνεία; მრუშება – ή μιχείა; შემასმენელი – ბრალი (τὸ ἔγκλημα); სხვისი უფლებების დარღვევა: „სახელი განთქუა“ (ή შერი), მხილება – ή ოπίπλεξი.

6. აშოტის დატირების ეპიზოდში გამოვლინდა 1. პავლე სილენციარიოსის „ეკფრასისიდან“ ნაწყვეტი: „რომელიცა წყობით წელმწიფეთა დაიმორჩილებდ“ - დასტირის გრიგოლი აშოტს, ხოლო პავლე სილენციარიოსი მიმართავს იუსტინიანე დიდს: „ყველას იმორჩილებ შენი სახელოვანი გამარ-

ჯვებებით“ – უპეტიკა თროპაიოფირის მომატიკის (სილენციარიოსი 227. PG (პ) ცოლ. 2130; ბერიძე 1994: 103, 227); შესაძლოა, ლიტერატურული კალკიც იყოს. წარმოჩნდა რიცხვ ოთხის ბიბლიური საზრისი და მისი მნიშვნელობა „დატირების“ კომპოზიციაში;

7. გამოითქვა მოსაზრება, რომ გიორგი მერჩულის თხზულებაში სამეფო კონცეფციის ერთ-ერთი უმთავრესი ლიტერატურული წყაროა აღაპიტე კონსტანტინეპოლელის თხზულება: თუ მთავრები და ესებესტატე მასილე ჰმან თουსტიანე აგაπηთბის ტომარის; – „მეფეთა ტომარი“.

8. ჩვენ მიერ განხილულ ორივე ნაწყვეტს ახასიათებს სქემატიზება, რაც ანტიკურობიდან ნამეტევიდრალი სინამდვილის ინტელექტუალური ათვისების ქრისტიანული გზაცაა. მიუხედავად იმისა, რომ მერჩულის თხზულების ორი ეპიზოდი, ერთი სამეცნიერო სტატიის კვალობაზე, მრავალმხრივ იქნა შესწავლილი, ჩვენ ვთვლით, რომ საკითხი ამონურული მაინც არ არის, განსაკუთრებით სამართლებრივი თვალსაზრისით.

9. „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ გარდა, სულ რომ არაფერი გადარჩენილიყო ბიზანტიური წერილობითი საზროვნო სივრციდან, ჩვენი ძეგლით შესაძლებელი იქნებოდა მთელი ბიზანტიური მწერლობის პოეტიკის კონსტრუირება. გიორგი მერჩულე და მისი თხზულება არასოდეს „დაილლებიან ჩვენი გაოცებით.

#### KETEVAN JERVALIDZE

### RHETORICAL FIGURES IN THE TWO PARADIGMS OF SIN IN THE “LIFE OF GREGORY OF KHANDZTA” BY GIORGI MERCULE

#### Abstract

“The Life of Gregory of Khandzta” by Giorgi Merchule is an old Georgian hagiographic literary work written in 951, which is considered to be the most significant historical source and a wonderful piece of creative work. The name of the author Merchule means – scientist of religion, faith.

1. The author of the article discusses the rhetorical figures through the examples of the two paradigms of sin: (a) The sin of the spirit – the letter of Gregory of Khandzta to the deceased sisters, and (b) the sin of the flesh - the mourning of the king of Upper Kartli (Tao-Klarjeti) Ashot Curapalate by Gregory of Khandzta. Both paradigms concern the members of the royal family: the king and his son. Both characters wore epithets εὐ-σεβής and θεοσεβής meaning devout, pious that are the highest titles designated for kings in the Byzantine Empire. In both examples central character is Gregory of Khandzta.

2. The letter to the “deceased sisters“ is a private epistle and it is assembled according to the standards created by the Second Sophistic (which was later copied by

the Greek Sophistic), only by using the rhetorical figures it transforms the letter into encomium; the mourning of Ashot is an encomium itself; in both episodes there are highlighted rhetorical figures: columns, anaphora, epanaphora, polyptoton, antitheton, comparison, oxymoron, homeoteleuton, subtext allusion, polylogia, alliteration...

3. In this literary work the scene of burying the sinners with the non sinners reveals its closeness to the thirtieth novel of John Moschus. The author of the article assumes that one of the sources for Merchule is John Moschus.

4. The author of the article is paying her attention to the juridical terminology which is used in the first episode of the composition: fornication - ἡ πορνεία; adultery - ἡ μοχεία; fault - ὁ κατηγορῶν.

5. In the episode of “the mourning of Ashot” it was revealed that Merchule is using the fragment from “the Ekphrasis of S. Sophia” by Paul the Silentary. The author of the article represents both fragments: a. “የመደላኝ ኃይልዎት የገዢምናጣቸው ፍዴስምርኩለይልፍ” - you who conquer kings through battles (the Life of Gregory of Khandzta), and b. ቤታዊ ተሟልተው የሚያብርዱ ብቻ ስምምነት ይፈጸማል - “you conquer all through your honorable victories” - (Paul the Silentary 227. PG (b) col. 2130);

6. The author of the article represents an assumption that 1. in this work one of the main sources of the royal conception is the composition of Agapitus Diaconus (VI) “ቴክ ትዕዛዝ መካከል የአጠቃላይ ኃይል ንግድ ገዢ እና የሚያብርዱ ብቻ ስምምነት ይፈጸማል” (Agapetus the most humble deacon to our most sacred and most devout Emperor Justinian”); 2. That the “Life of Gregory of Khandzta” is the first Georgian hagiographical composition in which at such high level is highlighted the idea of royal sovereignty that is oriented on Christ (Kantorowicz), and to our attention was brought the biblical meaning of the number four and its importance in the construction of the episode of mourning of Ashot.

If none of the literary works have survived from the byzantine literature that was written in the Greek language we would still be able to reconstruct the poetics of the whole Byzantine literature only by considering the composition “the life of Gregory of Khandzta”. Giorgi Merchule and his composition will never stop surprising us.

**Keywords:** hagiography, religion, sin, rhetorical figures

**КЕТЕВАН ДЖЕРВАЛИДЗЕ**

**ЕЩЕ РАЗ: РИТОРИЧЕСКИЕ ФИГУРЫ В ДВУХ ПАРАДИГМАХ  
ГРЕХА ИЗ „ЖИТИЯ ГРИГОРИЯ ХАНДЗТЕЛИ“ ГЕОРГИЯ  
МЕРЧУЛЕ**

Резюме

„Житие Григория Хандзтели“ Георгия Мерчуле является блестящим памятником грузинской агиографии. «Мерчуле», т.е. знаток вопросов веры и вероисповедания в целом. Данное сочинение – бесценный исторический источник и классический образец литературного наследия, созданный в 951 году...

1 В представленной работе рассмотрены фигуры на примере двух парадигм:

а) душевный грех – письмо Хандзтеля покойным сестрам и (б). Плотский грех- наставления Григория Ханзтели Земо-кардийскому (Тао-кларджетскому) царю, убитому Ашоту Курапалату. Обе парадигмы относятся к членам царской семьи - царю и его преемнику. Обоим персонажам соответствует эпитеты: «богослужитель» („ღმრთისმსახური“) – θεοσεβής и εὐ-σεβής – в византийском пространстве принадлежащий царским особам. В обоих примерах центральной фигурой является отец Григорий.

2. Письмо покойным сестрам – это личное послание, «построенное» точно так, как разработано второй софистикой, однако, исходя из точки зрения использования риторических фигур, оно переходит в энкомию, а „плач по Ашоту“, это само собой энкомия. В обоих эпизодах выступают риторические фигуры: Анафора, Эпананфора, Сравнение, Полиптотон, Антитетон, Оксюморон, Гомеотелевтон, Аллюзия, Полилогия, Аллитерация...

3. При рассказе о погребении безгрешных с грешниками в работе Мерчуле выявляется близкая связь с 30-ой новеллой Мосха, так что одним из литературных источников автора можно отнести Иоанна Мосха.

4. Автор работы обращает внимание также и на употребление юридической терминологии в первом эпизоде сочинения: блуд, прелюбодеяние სიძვა - ἡ πορνεία; მრუშება - ἡ μοιχεία; შემასმენებელი - ὁ κατηγορῶν - обвинитель; ბრალი (тò ἔγκλημα) – вина; „სახელი განთქუა“ (ἡ ὑβρις) - нарушение чужих прав, опозорить имя... (обесчестить имя)

5. В эпизоде оплакивания Ашота обнаружился отрывок из „Экфрасиса“ Павла Силентиария (Pauli Silentarii): “რომელიცა წყობით ჰელმწიფეთა დაიმორჩილებდ”/“ყველას იმორჩილებ შენი სახელოვანი გამარჯვებებით“ - ოპეთხა თროთაიფόრისι თრიამბის - всех подчиняешь своей славной победой (Pauli Silentarii 227. PG (b) col. 2130);

6. Высказано предположение, что в сочинении Георгия Мерчуле важнейшим литературным источником концепции царской власти является сочинение Агапита(VI): „Божественнейшему и благочестивейшему царю нашему

Юстиниану - Агапит, малейший диакон-

τῷ θειοτάτῳ καὶ εὐσεβεστάτῳ βασιλεῖ ἡμῶν Τουστινιανῷ Ἀγαπητὸς ὁ ἐλάχιστος διάκονος“; - что „Житие Григория Хандзтели“ это первый памятник грузинской агиографии в котором так ярко подчеркивается „идея царской власти, ориентированной на Христа“ (Канторович); кроме того, в композиции «плача» выявилось библейское толкование числа «четыре».

Можно с уверенностью сказать, что если бы в пространстве византийского письменного мышления ничего не сохранилось, кроме „Жития Григория Хандзтели“, с помощью этого бесценного памятника возможно было бы сконструировать поэтику всей византийской письменности. Георгий Мерчule и его сочинение не устанут нас изумлять и поражать.

**Ключевые слова:** риторические фигуры; Григори Хандзтели; агиография; Георгий Мерчул; Тао-кларджети.

## ქათევან ახობაში

### კულტურა და კულტურული ფასეულობები როგორც საზოგადოების მორალური სახის ანარეპლი

ადამიანი როგორიცაა, ისეთია მისი მეტყველებაც.  
სოკრატე

გლობალიზაციის პროცესში, რომელმაც მთელი მსოფლიო მოიცვა, ინტეგრაციური მსოფლიო საზოგადოებრივი სისტემის ჩამოყალიბების საკითხი დააყენა, „ძველის“ შეცვლა-განადგურება მოინდომა, მაშინ როდესაც ჯერ ვერ შექმნა მისი ჩამნაცვლებელი „ახალი“ ზნეობრივი ღირებულებები „ერთიანი კაცობრიობისათვის“. ყველა საზოგადოებაში ღირებულებითი სტრუქტურა რთულია და მისი ელემენტები საზოგადოების განვითარების დინამიკაზე გავლენას, სხვადასხვნაირად ახდენს. სამაგიეროდ, ეს ერთ-ერთი გზაა ადამიანის სოციალიზაციის პროცესში.

მოგეხსენებათ, მორალი - საზოგადოებრივი ცნობიერების ის ფორმაა, რომელიც რეალურ ცხოვრებაში ადამიანის ქცევაზე ზემოქმედებს. ეს ის სოციალური ინსტიტუტი, ნორმების, სანქციების, ქცევის ნიმუშთა და ა.შ. სისტემაა, რომელიც ამა თუ იმ სოციალურ ჯგუფში, მთლიანად საზოგადოებაში, სოციალური კონტროლის (როგორც პიროვნების მახასიათებელი, მისი მორალური თვისებების ერთობლიობა: სიმართლე, პატიოსნება, მთლიანობა და ა.შ.) და ურთიერთობების რეგულირების (როგორც ხალხს შორის ურთიერთობის დამახასიათებელი ნიშანი, მორალური ნორმების ერთობლიობა: მოთხოვნები, წესები, მცნებები) ფუნქციებს ასრულებს – საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში და, გარკვეულწილად, საზოგადოების ტიპის მიხედვით განისაზღვრება.

ვინაიდან ადამიანი საზოგადოებაში ცხოვრობს, მასზეა დამოკიდებული, პროცესები, რომლებიც მის კონკრეტულ ქვეყანასა და მსოფლიოში ხდება და აიძულებს, თავიანთ ღირებულებათა სისტემას დაგახედოს. მეცნიერები მიიჩნევენ, რომ ფულის გავლენის ქვეშ მყოფი პრაგმატული საზოგადოება „საკუთარი თავის და სხვებისადმი დამოკიდებულებას გამოხატავს – როგორც საქონელი, რომლის გაყიდვა და შექმნა უფრო მომგებიანია. საბოლოო ჯამში, ადამიანი თავად ხდება საქონელი“... ამიტომ ჰყოფს ადამიანებს მეოცე საუკუნის ერთ-ერთი გამორჩეული მოაზროვნე, ფსიქოანალიტიკოსი, სოციოლოგი, ჰუმანისტი ფილოსოფოსი ერის ფრომი (1900-1980) ორ კატეგორი-

ად, რომელთა ცხოვრებისეული მთავარი მიზანია – „პიროვნების არსებობა“ პირველთათვის, მეორისათვის კი „ჰქონდეს“...

2020 წლის კატაკლიზმებმა, კრიზისებმა და გამოწვევებმა ღირებულებების შეცვლასთან მიიყვანა ადამიანები, როცა „პრივატ-ფასეულობები“ პრიორიტეტად იქცა, იმ ფასეულობებზე გახდნენ ორიენტირებულები, რომლებიც მნიშვნელოვანია „მხოლოდ საკუთარი ცხოვრების მოწყობისთვის“... როცა ადამიანის გაუცხოება საზოგადოებისგან, სხვა ადამიანებისგან ნორმად ყალიბდება, რასაც ხელი შეუწყო ტექნიკურმა პროგრესმაც, ინტერნეტ-სივრცით რეალური, ცხოვრებისეული ურთიერთობების „გადაფარვა“ მოხდა... ექსპერტების თვალსაზრისით, ფულის შოვნაზე ორიენტირებულ ადამიანებს „წარმატებამ დაუკინინა მორალური მოტივაცია... წარმატებამ შეამცირა ზღვარი ადამიანის „საკუთარ ინტერესებსა და უზნეობას“ შორის. არავინ უარს არ ამბობს „კარგ ცხოვრებაზე“, უბრალოდ, უდიდესი პიროვნება, ალექსანდრე მაკედონელის სიტყვები გავიხსენოთ, რომ იმ ქვეყნად არავის არაფერი მიაქვს, ხელცარიელი მივდივართ, აქ კი მხოლოდ მოგონება რჩება და ჩვენს მიერ გაკეთებული საქმეები...

ცნობილია, რომ საზოგადოებაში ზნეობრივი ურთიერთობები ფასეულობებს ემყარება, რომელსაც ადამიანი ცხოვრებაში ყველაზე მეტად აფასებს და უფრთხილდება. რა თქმა უნდა, როდესაც ჩვენ განვიხილავთ კაცობრიობის მიერ დაგროვილ კულტურულ მემკვიდრეობას, ფასეულობებს (რომელიც არის როგორც პირადი, ისე კოლექტური), ვერდეთ, თუ როგორ მოქმედებენ ისინი ადამიანების ქცევებსა და ურთიერთობებზე.

ღირებულებების შექმნასთან ერთად, ნორმების ფორმირებაც იწყება, რომლებიც როგორც ღირებულებებს, ისე ადამიანებს შორის ურთიერთობას არეგულირებს, მიუხედავად იმისა, რომ მათ იურიდიული ძალა არ აქვთ, მაგრამ ადამიანების უმეტესობა ხელმძღვანელობს ამით (როდესაც საუბარია მორალურ ნორმებზე, იგულისხმება კონკრეტულ საზოგადოებაში მიღებული ადათ-წესის ან ქცევის სტანდარტები) და ქმნიან ზნეობრივ კულტურას, რომელიც ადამიანების ყოველდღიურ ცნობიერებაში ილექტა და თვითგამოხატვაში ეხმარება. მეცნიერების თვალსაზრისით, ნორმა ზნეობრივი მაშინ ხდება, როცა ის ჩვენთვის გაცნობიერების შედეგად, სუბიექტურ აუცილებლობად იქცევა. ზნეობრიობა სოციალური საწყისია პიროვნებაში, რომლის ღირებულებათა სისტემაში განსაკუთრებული ადგილი სინდისა უჭირავს, რომელიც ზნეობრივ მახასიათებლებზე და ადამიანის ქცევაზეა პასუხისმგებელი. და თუ ის არ დომინირებს ჩვენს საზოგადოებაში, ღირებულებების მთელი სისტემის განადგურებას და სულიერ კრიზისს იწვევს.

იქნებ ცოტათი მაინც დავფიქრდეთ ხვალინდელ დღეზე?! განსაკუთრებით მაშინ, როცა დღევანდელი პანდემიის პირობებში, ყოველდღე, მასმედიის, ინტერნეტ-პორტალების საშუალებით ხდება „დამოძვრა“ – ერთიანი მორალური სისტემის შექმნა მსოფლიო თანაარსებობისათვის, რაც ერთიანი მსოფლიო წესრიგის ჩამოყალიბებას ქადაგებს და აბსურდამდეც კი მიდის...

(Казьмин А. К. Философские проблемы концепции эволюции человека // Вестник РФО. – 2004. – № 3. – С. 104-105).

მხოლოდ თავად ადამიანია პასუხისმგებელი იმაზე, რაც აირჩია. ყველა თვისება, მახასიათებელი, რომელიც აღზრდის შედეგად მიიღება, მხოლოდ მაშინ იძლევა შედეგს, როდესაც ისინი პიროვნებაში „გაივლის“ და მის მიერ გამომუშავდება ინდივიდუალური და სოციალური განვითარების პროცესში (Поликанова Е. П. Журнал: Философия и общество. Выпуск №3(75)/2014).

ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს, რომ სხვადასხვა ადამიანი (სხვადასხვა კულტურა) თავიანთი ღირებულების სამყაროს განსაზღვრავს თავისებურად. ამრიგად, ფასეულობა რაიმე საგანი ან მოვლენა კი არ არის, არამედ ამ სა-განთან, მოვლენასთან დამოკიდებულებაა, რომლის გარეშეც ჩვენი არსებობა კარგავს მნიშვნელობას (<https://www.biblio.fond.ru/view.aspx?id=585353>).

ღირებულებები გაერთიანებულია სისტემაში, რომელიც ცხოვრებისულ გარემოებებთან და ასაკთან ერთად იცვლება. მისი ფუნქციები მრავალ-ფეროვანია და ადამიანის ცხოვრებაში ორიენტირის როლს ასრულებს, იცავს სოციალურ წესრიგს, რადგან მოქმედებს – როგორც სოციალური კონტრო-ლის მექანიზმი.

სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს ღირებულების მრავალი გან-სხვავებული განმარტება, გამომდინარე სხვადასხვა მეცნიერების, თავად დარგის მახასიათებლებიდან, რომელსაც წარმოადგენს (ფილოსოფიური, კუ-ლტურული, ფიქტურული, ეკონომიკური, ისტორიული და ა.შ), ამიტომ მათი თვალსაზრისებიც ინდივიდუალურ, „მკვლევართა ინტერპრეტაციებზეა დამოკიდებული“ (<https://www.biblio.fond.ru/view.aspx?id=585353>).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ღირებულება, საგნის ან მოვლენის სასარგებ-ლო და მნიშვნელოვანი მახასიათებელია, რომელიც ჩართულია ადამიანის სო-ციალური არსებობის სფეროში და როცა ჩვენ, ადამიანები მას კონკრეტულ სუბიექტურ შეფასებებს ვანიჭებთ და გვჭირდება, ღირებულებითი სისტემა სოციალურ რეალობაში ყოველდღიური ორიენტირების როლს ასრულებს და, თვისებებიდან გამომდინარე, ესთეტიკურ ან სხვა სახის შინაარსს ატარებს.

მეცნიერები და დარგის მკვლევრები კულტურულ ფასეულობებში მოიაზ-რებენ: მორალურ-ესთეტიკურ იდეალებს, ქცევის ნორმებს, ენა-დიალექტებს, ტრადიციებსა და ადათ-წესებს, ხელოვნებისა და კულტურის ნაწარმოებებს, კულტურულ-ისტორიული საქმიანობის და მეცნიერული კვლევის მეთოდებსა და შედეგებს, რომლებიც უნიკალურია კულტურულ-ისტორიული თვალსაზრისით, ის რაც კონკრეტული ადამიანისთვის წმინდაა. ზოგიერთი მკვლევარი მათ ადა-მიანის „სულიერ საყრდენსაც“ კი უწოდებს, რომელიც ადამიანის ცხოვრებას მნიშვნელობას, აზრს ანიჭებს... თითოეული კულტურა ავლენს თავის ღირებუ-ლებრივ ბუნებას, მდგრადი ღირებულებითი ორიენტაციებით აღსავსეს.

ასევე მიიჩნევა, რომ ფასეულობები გამოხატავს „კულტურის ადამიან-ისეულ განზომილებას“ და ახასიათებს „საზოგადოებრივი ცნობიერების ადა-მიანური განზომილება“, რომელიც არა მხოლოდ „აცნობიერებს“, არამედ შეიგრძნობს ყოფიერებას, პიროვნების შინაგანი სამყაროს მეშვეობით.

ადამიანს არ შეუძლია ერთნაირად განეწყოს იმ წინააღმდეგობების მიმართ, რომლებიც სამყაროში ერთდროულად არსებობენ (სიკეთე-ბოროტება, სინათლე-სიბნელე და ა.შ.). **მან უნდა არჩევანი გააკეთოს!**

ნორმების ცნება ასოცირდება ღირებულებების კონცეფციასთან. ადამიანმა უნდა დაიცვას ურთიერთობის ზოგადი წესები, ჰქონდეს ზოგადი იდეები, რომლებიც მათ ქცევას არეცულირებენ სხვა ადამიანებთან ურთიერთობისთვის და რომელიც, კონკრეტულ კულტურაშია განვითარებული. ამიტომ უწოდებენ მათ კულტურულ ნორმებს.

ამრიგად, კულტურული ნორმები ქცევის გარკვეული წესებია, რომლებიც ადამიანის მოქმედებებს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვან ასპექტებში – **არეცულირებს**, რაც საზოგადოების მთლიანობისა და სტაბილურობის გარანტიებს უზრუნველყოფს. მაშასადამე, მათში, უფრო მეტი მნიშვნელობით, ვიდრე ფასეულობებში, არსებობს მოწესრიგების მომენტი, გარკვეული წესით მოქმედების მოთხოვნა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ემილ დურკჰეიმის სიტყვებით რომ გამოვხატოთ – „ანომია“ გარდაუვალია, რომელიც კულტურის ერთიანობის დარღვევას გულისხმობს, ნორმების არარსებობის გამო. ძველ ფასეულობათა ცვეთა და ახლის ვერ განვითარება, კულტურის ერთიანობას არღვევს.

**სამწუხაროდ, ეს დაემართა დღევანდელ მსოფლიოსაც!**

ცნობილია, რომ ნებისმიერი კულტურა უნიკალურია და გადის საკუთარი, უნიკალური განვითარების გზას, რადგან ის ამ კონკრეტული ერის თვითგამოხატვის ფორმაა, ხასიათით, მსოფლმხედველობით და ღირებულებათა სისტემით.

თანამედროვე მსოფლიოში ნეგატიური მოვლენები თანდათან იზრდება, რაც ანთროპოლოგიური კრიზისის საშიშროებას იწვევს. სულიერების გარეშე ნებისმიერი საზოგადოება – საფრთხის ქვეშაა. სამწუხაროდ საქართველოც არ არის გამონაკლისი!

თითქოს ყველამ იცის, რომ კულტურა ადამიანის ცხოვრებაში არაერთგვაროვან როლს ასრულებს და მთლიანობაში კი საზოგადოების განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორია. კულტურა, ისევე როგორც საზოგადოება, ემყარება ღირებულების სისტემას. და ამ ღირებულება-ფასეულობებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ნებისმიერ კულტურაში, რადგან ისინი განსაზღვრავენ პიროვნების ურთიერთობას ბუნებასთან, სოციუმში არსებულ გარემოსთან. მაგრამ ეს ცოდნა თეორიულ დონეზე რჩება და დღევანდელი გადასახედიდან, რეალურად, კულტურისათვის არავის „დრო არ აქვს“?! ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ კულტურის სფეროში არაფერი ხდება. თუნდაც UNESCO-ს მანდატით უამრავი პროექტი ხორციელდება, რომლისთვისაც კულტურა ყველაზე პოპულარული სფეროა და ორგანიზაციისათვის – პრიორიტეტულ პროგრამადაა აღიარეული. ისინი მიიჩნევენ, რომ UNESCO-ს საქმიანობა კულტურის სფეროში – „ეყრდნობა იმ რწმენას, რომ ძლიერი კულტურული კომპონენტის გარეშე, განვითარება ვერ იქნება მდგრადი.

UNESCO-ს ძირითადი კულტურის სფეროს კონვენციები საერთაშორისო თანამშრომლობისთვის უნიკალურ გლობალურ პლატფორმას წარმოადგენს და ყოვლისმომცველ კულტურულ მმართველობის სისტემას ქმნიან, რომელიც ადამიანის უფლებებს და უნივერსალურ ფასეულობებს ეყრდნობა... UNESCO-ს კონვენციების მიზანია – არამატერიალური მემკვიდრეობის და სხვა ფორმების მემკვიდრეობის სახით წარმოდგენილი მსოფლიოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, ასევე, კულტურის სხვადასხვა დარგებში ინოვაციისა და შემოქმედების მხარდაჭერა“ ([https://unesco.ge/?page\\_id=645](https://unesco.ge/?page_id=645)).

ცოტა ხნის წინ, 2020 წლის 6-7 ივლისს, პროექტ BE MUSEUMER-ის ფარგლებში, საქართველოს მუზეუმების ასოციაცია ICOM საქართველოს, NEMO-ს (ევროპის სამუზეუმო ორგანიზაციების ქსელი), ნიდერლანდების კულტურის მენეჯმენტის აკადემიისა და თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ურთიერთთანამშრომლობით, ონლაინ საერთაშორისო კონფერენცია – "მუზეუმები და კოვიდ19: გამოწვევები, გადაფასებები, პერსპექტივები" – ჩატარდა. კონფერენციის მიზანი იყო: „მუზეუმებში პანდემიის სიტუაციით გამოწვეული პრობლემებისა და გამოწვევების გაანალიზება, პანდემიამდე არსებული რიგი მიდგომებისა და ღირებულებების გადაფასება, სამუზეუმო ციფრული აქტივობების საუკეთესო პრატიკის მაგალითების გაზიარება, დისკუსია პოსტ-პანდემიურ პერიოდში სამუზეუმო საქმიანობის სამომავლო განვითარების საკითხებზე“... კონფერენციაში სხვადასხვა ქვეყნის არა ერთი წამყვანი სპეციალისტი და ექსპერტი მონაწილეობდა. განსაკუთრებით დამამახსოვრდა დიდი ბრიტანეთის მუზეუმების ასოციაციის დირექტორის **შერონ ჰილის** და ICOM ICTOP-ის პრეზიდენტის, ზაგრების უნივერსიტეტის პროფესორის **დარკო ბაბიჩის** (ხორვატია) გამოსვლა. თუმცა, მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ყველა გამომსვლელის მიერ მოწოდებული ინფორმაცია ფასეულია. მათი გზავნილი იყო, რომ პანდემია და მსოფლიო კრიზისი, რომელიც მთელი სამყაროსთვის, ყველა სფეროსათვის გამოწვევად იქცა, გავლენას ახდენს და სავარაუდოდ, მომავალშიც მოახდენს მთელი მსოფლიოს მუზეუმებზე (კონფერენცია ძირითადად სამუზეუმო საკითხებს იხილავდა) და სახელოვნებო დარგებზე.

მოგეხსენებათ, ათასობით მუზეუმი, გალერეა, თეატრი დაიკეტა და მათი ხელახლა გახსნის პროცესი, დღეს ეტაპობრივად მიმდინარეობს – ჯერ მარტო მუზეუმებისათვის. კონფერენციის მსვლელობისას, არა ერთხელ აღინიშნა ისიც, რომ, იმ პერიოდში, როცა მუზეუმები დაკეტილი იყო, ასე ხელმისაწვდომი – არასდროს ყოფილა. ონლაინ-სივრცეში სხვადასხვა ვირტუალური აქტივობის რაოდენობა და მასშტაბი განუზომლად (რაც არ უნდა პარადოქსულად მოგეწვენოთ), ყოველდღიურად იზრდებოდა. კრიზისმა გვიკარნახა ახალი მიდგომების და კონცეფციების ძებნის აუცილებლობა და შეგვახსენა, რომ მუზეუმები, სახელოვნებო დარგის ინსტიტუციები – ეკონომიკის ნაწილია... “დროა დღეს ადამიანები კი არ მოერგონ სამუზეუმო სივრცეს, არამედ სამუზეუმო სივრცე მოერგოს ადამიანებს, საზოგადოებასო“ – განაცხადა დარკო ბაბიჩმა. ეს გარკვეული დილემაა კულტურის ამ ორგანიზმებისათ-

ვის. სხვაგვარად ასე უღერს: ანარმოო ის პროდუქტი, რომელიც გარკვეულ სარგებელს მოუტანს ადამიანს საზოგადოებას, სახელმწიფოს... <http://network.icom.museum/icom-georgia>.

ყველამ კარგად ვიცით, რომ ძირითადად, ხელოვანთა XXI საუკუნის თაობის კულტურული ფასეულობების უდუდესი ნაწილი, (თუ მთლიანად არა) ინტერნეტშია განთავსებული. ძნელი ნარმოსადგენია, თუ რა მოხდება ხვალ? როგორ მოხდება მომავალში ამ ტიპის შემოქმედების შეგროვება, სისტემატიზაცია, შენარჩუნება?! ერთმნიშვნელოვნად ვრწმუნდებით, რომ პროგრამისტები მიერ ცალკეული სერვერები უკვე შექმნილია, სადაც მხატვრების ნახატები, ფილმები და სხვადასხვა სახელოვნებო დარგის ნაწარმოებები ინახება და ეს სერვერები თანამედროვე მუზეუმების, გალერეების, ბიბლეოთეკების და ა.შ. – უკვე, ახალი, გარდასახული სახეა...

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ნებისმიერი სახელმწიფოს ერთ-ერთი მთავარი ამოცანა – კულტურული მემკვიდრეობის, ნიჭიერი მეცნიერების (ახალი აღმოჩენებისათვის) და ხელოვანი ადამიანების შემოქმედების, ეროვნული კულტურული ფასეულობების დაცვა და მდგრადი განვითარება. რადგან, საზოგადოების ფასეულობები თავის თავში თითოეული ინდივიდის კულტურულ ნორმებს მოიაზრებს, ამიტომ ფასეულობათა ცვლილებები სწრაფად და ხშირად - არ ხდება!

**მაგრამ, სამყარო ერთ ადგილზე სულაც არ დგას.** კულტურა და კულტურული ფასეულობები იცვლება და გარდაიქმნება. ეს ბუნებრივი განვითარების სტადია. აღმოჩნდა, რომ კულტურული ნორმების დაცვით (როგორც წესი, ამაში იგულისხმება ქცევის სტანდარტები, რომლებიც კულტურული ფასეულობების მსგავსად, სხვადასხვა დროში, ყველა ქვეყანაში – განსხვავებულია), ასეთი მოულოდნელი და ექსტრემალური სიტუაცია, სამუზეუმო სფერომ, განსხვავებით სახელოვნებო დარგის დაწესებულებებიდან, უფრო სწრაფად გააცნობიერა, მიიღო გამოწვევა და იმოქმედა დაჩქარებული ტემპით, რათა არ დაეკარგათ აუდიტორია... ასევე არ უნდა დაგვავიზუდეს „ქუჩის მხატვრობაც“, რომელიც თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე შედარებით სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა და ფეისბუქზე შექმნილი „მუზეუმი სახლიდან – **Museum from Home**“, ცეკვის, ხატვის, სიმღერის „მასტერ-კლასები“ და ა.შ., რომელიც დღემდე გრძელდება.

გლობალური გამოწვევების ფონზე, თანამედროვე საზოგადოების განვითარებაში, კულტურის, კულტურული ფასეულობების ადგილის უკეთ გააზრებისათვის, საკითხის უკეთერსად ნარმოჩინებისათვის მინდა შეგახსენოთ დარგის ექსპერტების რამდენიმე თვალსაზრისი (ეს თემა ჩემს მონოგრაფიაში – „სახელმწიფო და კულტურის პოლიტიკა“, 2018, არის წამოჭრილი):

„ICCROM-UNESCO-ს ბოლო წლების დოკუმენტებს მკვლევარი იუკა ომკილეტო ანალიზს უკეთებს და დეფინიციასთან ერთად არსებული მემკვიდრეობის დაცვის თემას განსაკუთრებულად გამოყოფს. მკვლევარს მიაჩნია, რომ ამ ტერმინების დეფინიცია ვერ მოხერხდება თუ განხილვას და ანალიზს არ დავიწყებთ უფრო ადრეული პერიოდიდან, როცა ანთროპოლოგებმა დაიწყეს

შესწავლა „კულტურის“ კონცეფციის. ი. ოკილეტოს აზრით, კვლევა XIX საუკუნის ინგლისელი კულტურის ისტორიის მკვლევრის, ედუარდ ბერნეტ ტაილორის განსაზღვრებიდან (1891) – „პირველყოფილი კულტურა“ უნდა დავიწყოთ. ტეილორის დამსახურება იმაში მდგომარეობს, რომ კულტურას მისცა ფართო გაგება, რომელიც მრავალ ცხოვრებისეულ-საზოგადოებრივ გამოვლინებას მოიცავს“ (ტერმინი „კულტურა“ იმდენად მრავალფეროვანი კონკრეტული შენარსით გამოიყენება და ადამიანების ყოფის ისეთი ფუნდამენტალური მნიშვნელობის, გამოვლინებების მქონე მრავალ ასპექტს აღნიშნავს, რომ შეუძლებელი გახდა მისი ყოველთვის ერთნაირად განმარტება.ქ.ა.) ( ბრიტანეთის ენციკლოპედია. 8. 1984:115; ახობაძე ქ.2018:20).

„....იუკა იოკილეტო აღნიშნავს, რომ პრობლემა ორ გაგებას შორის – „კულტურული ფასეულობა“ და „კულტურული მემკვიდრეობა“ – არსებობს და თუ როგორ უნდა გაიაზრო თითოეულის, კონკრეტულ შემთხვევაში კულტურული ფასეულობების განსაზღვრების არსის დადგენისათვის მკვლევარი მაურო ბუსსანი უამრავ კითხვას სვამს, რადგან მიიჩნევს, რომ თვითონ განსაზღვრება – „კულტურული ფასეულობა“, თავისთავად ჯერ ჩამოუყალიბებელი და დაუდგენელია (The (Legal) Culture of Cultural property, by Mauro Bussani. P.401-402).

გლაზგოს უნივერსიტეტის პროფესორი **ჯ. ბლეიკი** გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ურთიერთობა ორ ცნებას შორის, „კულტურული ფასეულობა“ და „კულტურული მემკვიდრეობა“ – გაურკვეველია, ზოგჯერ შეიძლება ის გახდეს ჩანაცვლებადი, მაგრამ კულტურული ფასეულობების (საკუთრების) შესახებ იყენებს რა 1954 წლის ჰააგის კონვენციის ფორმულირებებს, მიღის დასკვნამდე, რომ კულტურის ფასეულობა – კულტურული მემკვიდრეობის ნაწილი, ელემენტია (Blake J. The International and Comparative Law Quarterly? Vol.49. #1. 2000: 67).

სრულიად განსხვავებული აზრი აქვს რუს მკვლევარს **ს. მოლჩანოვს**, რომლის თვალსაზრისით ტერმინი „კულტურული ფასეულობა“ უფრო უნივერსალურია, რადგან შეიცავს ხალხთა კულტურულ მემკვიდრეობას და წარმოადგენს კულტურული ფასეულობის განსაკუთრებულ შემთხვევას. მაგრამ, იქვე აღნიშნავს, რომ ამით პრაქტიკულად, ტერმინების ურთიერთჩანაცვლებას გაესმება ხაზი (Молчанов <http://www.patrimoni.ru/page4-113>).

რუსი მკვლევარი **კ. რიბაკი** ამ ტერმინის გაჩენას გლობალიზაციის პროცესში უკავშირებს. ფიქრობს, რომ „კულტურული ფასეულობის“ ორიენტაციის შეცვლა უფრო ფართოზე – „კულტურული მემკვიდრეობაზე“, იმ მისნრაფებებთანაა დაკავშირებული, რომ კულტურული ფასეულობები გაერთიანდეს ერთიან კულტურულ სივრცეში. მიიჩნევს, რომ ეს უარყოფითი პროცესია, რადგან „ვიღაც ლიდერების, ან გარკვეული ჯგუფის მიერ არის თავს მოხვეული და თვითმყოფადი კულტურული გამოვლინებების გაუფერულებას, აღნევას, დაცემას იწვევს“ [Рыбак К.Е. 2006: 29-35].

მისგან განსხვავებული თვალსაზრისი აქვს **მ. ბოგუსლავსკის**, რომელსაც ცნებები – „კულტურული ფასეულობა“ და „კულტურული მემკვიდრეობა“ –

იდენტურად მიაჩნია, ხოლო ს. მალჩანოვის თვალსაზრისით, ტერმინი „კულტურული ფასეულობა“ – უფრო უნივერსალურია.

**ეტყობა, მსოფლიოს მკვლევრები ჯერაც ვერ თანხმდებიან საერთო ფორმულირებაზე, რომელიც დღესაც ასე აქტუალურია** [ნამედ მ. 1987: 160; ახობაძე ქ. 2018:22;24].

ახლა, სამეცნიერო სივრცეში „კულტურული ფასეულობების“ მეტ-ნაკლებად მიღებულ და გამოყენებად განმარტებებსაც გადავხედოთ:

**„კულტურული ფასეულობებია – უცვლელი მატერიალური და არამატერიალური საგნები და კულტურის ნაწარმოებები, რომლებსაც მხატვრული და სასაქონლო ღირებულება, უნივერსალური მნიშვნელობა გააჩნია და, აგრეთვე, პიროვნებაზე ესთეტიკურ-სამეცნიერო-ისტორიულ ზეგავლენას ახდენს“** (საქართველოს ეროვნული პარლამენტის ბიბლეოთეკა, [www.nplg.gov.ge](http://www.nplg.gov.ge)).

ამ ცნების პირველი განსაზღვრება კი, როგორც უკვე აღვნიშნე, 1954 წლის ჰავაგის კონვენციაში „შეიარაღებული კონფლიქტის შემთხვევაში კულტურული ფასეულობების დაცვის შესახებ“ მოხდა და საერთაშორისო იურიდიულ ტერმინოლოგიაში დაამკვიდრა. ხოლო ტერმინი „უნივერსალური კულტურული ფასეულობები“ და „საყოველთაო მნიშვნელობის კულტურული ფასეულობები“, განმარტებების გარეშე, „მსოფლიო კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვის შესახებ კონვენციით“ (მიღებულია პარიზში 1972 წლის 16 ნოემბერს, იუნესკოს გენერალური კონფერენციის მე-17 სესიაზე) დაინერგა... (იუნესკოს საერთაშორისო ნორმატიული აქტები., 1993). <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=4&t=2110>.

ამის შემდეგ, თითოეულ სახელმწიფოს ნება დაერთო, ამ კონცეფციის საკუთარი, ეროვნული განსხვავებული განმარტებები შეემუშავებინა – სამართლის სხვადასხვა სფეროში გამოყენების მიზნით. ცნობილია, რომ თითოეულ ქვეყანას საკუთარი ისტორია, კანონების ნაკრები და უნიკალური კულტურა აქვს. შესაბამისად, ფასეულობები ყველგან განსხვავდება, რადგან ქვეყნებს, განსხვავებული რელიგიები და განვითარების სხვადასხვა პირობა ჰქონდა. ამ პროცესში შეიცვალა ხალხი, მათი ცნობიერება... თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ თითოეულ ქვეყანას კულტურის საკუთარი კონცეფცია გააჩნია, ფასეულობების უმეტესი ნაწილი მაინც – მსგავსია.

საქართველოშიც მიღებული გვაქვს – საქართველოს კანონი „კულტურულ ფასეულობათა საქართველოდან გატანისა და საქართველოში შემოტანის შესახებ“, 2001 წლის 22 ივნისი, მუხლი 3 და საქართველოს კანონი „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“, 2007 წლის 8 მაისი, მუხლი 3, სადაც მოცემულია „კულტურული ფასეულობის“ შემდეგი განმარტება:

- შემოქმედებითი პროცესის შედეგად, ნებისმიერი მასალითა და საშუალებით, ნებისმიერ ისტორიულ ეპოქაში შექმნილი უძრავი ან მოძრავი ნივთი, რომელსაც აქვს მხატვრული, ესთეტიკური, ეთნოლოგიური, არქეოლოგიური, ისტორიული, რელიგიური, მემორიალური, მეცნიერული, ტექნიკური, ტექნოლოგიური ღირებულება;

- არქეოლოგიის, ნინაისტორიული პერიოდის, ისტორიის, ლიტერატურის, ხელოვნების, მეცნიერებისა და სხვა მნიშვნელოვანი სასულიერო თუ საერო ხასიათის ფასეულობა, რომელიც: а) შექმნილია საქართველოს ტერიტორიაზე ქართველი ერის ან სხვა ერების მიერ, რომლებიც ცხოვრობდნენ ან ცხოვრობენ საქართველოს ტერიტორიაზე; ბ) შექმნილია საქართველოს ტერიტორიაზე საქართველოს მოქალაქეობის არმქონე და უცხოელი მოქალაქეების მიერ, რომლებიც ცხოვრობდნენ ან ცხოვრობენ საქართველოს ტერიტორიაზე; გ) აღმოჩენილია საქართველოს ტერიტორიაზე; დ) წარმოადგენს საჩუქარს, ან შეძენილია იმ უცხო სახელმწიფოს შესაბამისი ორგანოების თანხმობით, სადაც შექმნილია ეს კულტურული ფასეულობა; ე) შეძენილია საქართველოს არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული და საბუნებისმეტყველო ექსპედიციების მიერ იმ უცხო სახელმწიფოს შესაბამისი ორგანოების თანხმობით, სადაც შექმნილია ეს კულტურული ფასეულობა ([matsne.gov.ge / document > download > pdf.](http://matsne.gov.ge / document > download > pdf.)).

თუ კიდევ უფრო დავაკონკრეტებთ საგანთა კატეგორიებს, მივიღებთ, რომ კულტურული ფასეულობებია:

- მორალურ-ესთეტიკური იდეალები, ნორმები და ქცევის სახეები;
- კულტურისა და ხელოვნების ნაწარმოებები, ენები, ეროვნული ტრადიციები და ადათ-რწმენები;
- კულტურული საქმიანობის სამეცნიერო კვლევის შედეგები და მეთოდები, რომლებსაც ისტორიულ-კულტურული მნიშვნელობა გააჩნიათ. ცოდნა, მეცნიერება...;
- შენობა-ნაგებობები, რელიგიური ობიექტები და ნივთები, ტექნოლოგიები, რომლებსაც უნიკალური ისტორიულ-კულტურული მნიშვნელობა აქვთ.
- კულტურული ფასეულობა არის ის განსაკუთრებული სფერო, რომელიც უნივერსალურ ფასეულობას წარმოადგენს.

**ეს სამართლებრივი კუთხიდან!** მაგრამ საინტერესოა, რას ფიქრობენ კულტურული ფასეულობის შესახენ თავად ფილოსოფისები, ანთროპოლოგები, სოციოლოგები, ეკონომისტები და ა.შ.

არავინ არ დაობს, რომ კულტურული ფასეულობა არის ის განსაკუთრებული სფერო, რომელიც უნივერსალურ ფასეულობას წარმოადგენს, როცა უნივერსალური ფასეულობა მატერიალური საგანია, რომელშიც სულიერი ფასეულობათა შინაარსი ვლინდება და მნიშვნელოვანია ფართო სპექტრისათვის – ინდივიდუალური სტატუსისათვის, სხვადასხვა სოციალური ჯგუფისათვის, ფართო საზოგადოებისათვის, კაცობრიობისათვის...

როგორც აღინიშნა, დარგის სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ „მატერიალური – სულიერი“ კულტურული ფასეულობების გამოვლენა (რეალურ სამყაროში მათი მატერიალურ სტატიკურ ფორმის მიუხედავად), კულტურული ფასეულობების ფენომენის დინამიურ ბუნებაზე მიუთითებს. ადამიანისათვის კულტურული ფასეულობები შემდეგნაირად წარმოდგება – **სულიერი** (რომელიც თავისთავად სამ ჯგუფად ხარისხდება – პიროვნული, გარკვეული

ჯგუფის, საკაცობრივი), **სოციალური** (რომელიც მნიშვნელოვანია ადამიანის განსაზღვრული წრისთვის, მაგრამ იქვე არსებობენ ინდივიდები, ვისთვისაც ეს აპსოლუტურად უმნიშვნელოა), **მატერიალური** (მატერიალური ფასეულობების საფუძველია არა მარტი კერძო საკუთრება, არამედ გარემომცველ სამყაროში არსებული ობიექტებიც).

კულტურის სფეროს მკვლევრების თვალსაზრისით, ყველა ტიპის ფასეულობას თავისი მამოძრავებელი ძალა გააჩნია ინდივიდის, საზოგადოების ან მთლიანად კაცობრიობის განვითარებისათვის, რაც წარმატებისა და წინსვლის მაჩვენებელია! (Ирина Билюк. 2013. Яндекс. <https://yandex.ru/search>).

კულტურის და კულტურული ფასეულობების შესახებ, უახლოეს წარსულში შექმნილი და არსებული კონცეფციების შედარებისას, როგორიცაა ეთნოცენტრიზმი (ethnocentrism) და კულტურული რელატივიზმი (cultural relativism), კარგად ჩანს მათ შორის არსებული წინააღმდეგობები და თვალსაზრისების ურთიერთდაპირისპირება.

**ეთნოცენტრიზმია** – (ethnocentrism, სამნერი, ბრუერი, კემპბელი და ა.შ.), საკუთარი კულტურის ფასეულობათა გაზვიადება სხვა კულტურებთან შედარებით; ამასთან, ტენდენციური მსჯელობანი იმის შესახებ, თუ რა არის კარგი, სწორი, ლამაზი, მორალური, ნორმალური, ჯანმრთელი და გონიერი – ეფუძნება საკუთარ კულტურას, როგორც ეტალონს; კულტურული და ეთნოკური წინასწარ შექმნილი ნეგატიური აზრი.

ხოლო კულტურული რელატივიზმია – (cultural relativism, ფრანც ბოასი 1858-1942 და მისი ჯგუფი: ალფრედ ლუის კრობერი, რუთ ბენედიქტი, მარგარეტ მიდი, მელვილ ჰერსკოვიცი და ედვარდ საპირი და.სხვ.) შეხედულება, რომლის მიხედვით სხვა კულტურები და მათი გამოვლინებების ნაირგვარობა ერთნაირად მოქმედებს ქცევის ფორმირებაზე (<http://www.nplg.gov.ge/wikidict/index.php/>; <https://www.britannica.com/>).

უფრო რომ დავაკონკრეტოთ, ეთნოცენტრიზმი რადიკალურად ითვლება, რადგან ერთი ხალხის ან ერის სავარაუდო უპირატესობას და გამორჩეულობას ამტკიცებს, რელატივიზმი მოქმედებს როგორც შეხედულებების და ქმედების სისტემა, რომელიც სხვა კულტურის, სხვა ხალხთა მიღწევების, გამოცდილების გაცნობის, შეფასების და ურთიერთგაცვლის საშუალებას იძლევა. რელატივიზმის მიხედვით, თითოეული კულტურა უნდა აღიქმებოდეს მხოლოდ მისი ნორმებისა და ფასეულობების საფუძველზე. უცხო კულტურის გასაგებად, უბრალოდ, უნდა დააკავშიროთ მისი მახასიათებლები მისივე ისტორიული განვითარების თავისებურებების კონტექსტთან, არსებული კულტურული ფასეულობების შესწავლით. მეცნიერების თვალსაზრისები, როცა ისინი საზოგადოებაში მიმდინარე პროცესებზე მსჯელობენ, მეტნაკლებად - მარტივია. გაცილებით რთულია, როდესაც ისინი მხოლოდ კულტურას და კულტურის ფასეულობებს განიხილავენ, თვითონ დარგის სირთულიდან და სფერიფიკურობიდან გამომდინარე. რადგან მრავალი მკვლევარი წინააღმდეგია და ვერ თანხმდებიან თუნდაც იმ თვალსაზრისში, რომ „შეუძლებელია პროგრესის კონცეფცია კულტურის მრავალ დარგში, თუნდაც მხატვრული

შემოქმედებაში გამოიყენონ“, როცა პირველ რიგში, იმ საზოგადოების ფასეულობათა სისტემა და ნორმებია გასათვალისწინებელი. ახალმა დრომ ახალი აზროვნება შემატა იმ მეცნიერთა თვალსაზრისებს, რომელთა მიდგომებიც ძალიან სუბიექტური აღმოჩნდა...

**მაგრამ, უნდა ვალიაროთ, რომ – რაც არ უნდა კულტურა დამოუკიდებელი იყოს (თანაც, როდესაც მის ამ დამოუკიდებლობას, იმ საზოგადოების თავისებურებები, განსაკუთრებულობა განსაზღვრავს), მისი განვითარება ხომ ევოლუციის ნაწილიცაა?!**

თითქოს ცველასთვის ცნობილია, რომ კულტურა – თვითგამოხატვის უნარების, შესაძლებლობების და ქმედების შედეგად მიღებული რეზულტატების მთლიანობაა. ხოლო, კულტურული ფასეულობები – საზოგადოების ზნეობრივ-ეთიკური საფუძველი, პოპულარული და განუყოფელი ნაწილია. მიუხედავად ამ ცოდნისა, დღევანდელ მსოფლიოში ვანდალიზმის ფაქტები გაიზრდა.

#### **უახლესი ისტორიის ფაქტებია:**

განადგურებული და დანგრეული ჯერაბლუსი (ქარხემიში), ალეპო, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე პატრონის გარეშე დარჩენილი უნიკალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, წყალში გადაყრილი და დაზიანებული ქანდაკებები აშშ-სა და ღიდი ბრიტანეთის ქალაქებში (აშშ-ს 2020 წლის მაისის მოვლენების ფონზე), მარტო იმისათვის რომ ისინი „თეთრკანიანები“ იყვნენ. მრავალი სახელმწიფო შექვემდებულია ამ აგრესიული ქმედებებით, რადგან ეს ძეგლები, ნებისმიერი ქვეყნისათვის მემკვიდრეობის ღიდი ნაწილია, წარსულია, რომელიც საკაცობრიო კულტურულ ფასეულობებს წარმოადგენს. გასული საუკუნეების კულტურული ძეგლები საკუთარი ხელით არ უნდა ვანადგუროთ!

საბოლოოდ რომ შევაჯამოთ, კულტურას, საზოგადოებაში, სხვადასხვა ფუნქცია და გამოვლინება გააჩნია, ის სიმბოლოებს და ფასეულობებს ქმნის, ანუ მისი კომპონენტებია. როგორც მიიჩნევენ, კულტურა არ არსებობს ფასეულობათა სისტემის გარეშე და პირიქით. ეს ყოველივე, ადამიანთა საზოგადოებრივ ურთიერთობებს ანვითარებს, აძლიერებს, ეკონომიკის განვითარებას ხელს უწყობს და ახალ მოთხოვნებს ქმნის... ინდივიდს თუ საზოგადოებას არაერთი ფასეულობა გააჩნია, რომლებიც სტრუქტურულ კავშირში არიან ერთმანეთთან და ერთ მთლიან, მეტ-ნაკლებად სტაბილურ სისტემას ქმნიან. ფასეულობს ტიპოლოგიურად განიხილავენ დარგის არაერთი მკვლევარი – ლოტცე, კოჰენი, შპრანგერი, მაქს და ალფრედ ვებერები, ვინდელბანდი, რიკერტი, აბრამ მასლოუ, ინგლეპარტი, შ.შვარცი. მათ ეს ტიპები, ინტერესების მიხედვით დააჯგუფა და ინდივიდუალურ ინტერესებზე ორიენტირებულ ფასეულობათა ჯგუფი გამოყო (პარსონი, ბეკერი, კოლბი და სხვ.) ფასეულობებია ყოველივე ის, რასაც მნიშვნელობა აქვს ადამიანთა მოღვაწეობისათვის, რომელიც გარდა სულიერი იდეალებისა, პოლიტიკურ-ეკონომიკურ-სამართლებრივ ურთიერთობებს, ზნეობრიობის ნორმებსა და პრინციპებს მოიცავს.

დღეს, მსოფლიო კრიზისის პირობებში, საქართველოშიც, ისე როგორც სხვა გაჭირვებულ ქვეყნებში, მატერიალური ობიექტები (ყველაფერი, რაც

ადამიანის ცხოვრებას მაქსიმალურად კომფორტულს ხდის) აღქმულია ფასეულობებად. ეს საკითხი გარკვეული პიროვნებისათვის, გარკვეული ჯგუფისათვის – უმნიშვნელოვანესია, რადგან მათ, სულიერი გზა და მაღალი ფასეულობები აირჩიეს, მაგრან ადამიანების ნაწილისათვის, ეს ყოველივე, არანაირ ინტერესს არ წარმოადგენს. მაშინ გამოსავალი რაშია?! ვფიქრობ და იმ მკვლევრების თვალსაზრისს ვემხრობი, რომელთა აზრითაც **თანამოაზრე ადამიანებს, ერებს** და მთლიანად, კაცობრიობას შეუძლია – **გადაინაწილონ პასუხისმგებლობა და ფასეულობების იმ სფეროს მოუარონ რომელიც ხელენიფებად.** განსაკუთრებით რთული იქნება სულიერ დონეზე ამაღლება, რადგან დღევანდელ, სამწუხაროდ – „**ზნეობრივად გაუარესებულ**“ საზოგადოებას პირველ რიგში ეს ჭირდება.

### **ბიბლიოგრაფია:**

1. <http://worlds-culture.ru/index.php?action=full&id=81>
2. <https://www.socionauki.ru/journal/articles/249059/>
3. <https://www.bibliofond.ru/view.aspx?id=585353>
4. [https://w.histrf.ru/articles/article/show/kulturnye\\_tsiennosti](https://w.histrf.ru/articles/article/show/kulturnye_tsiennosti)
5. <https://determiner.ru/termin/kulturnye-cennosti.html>
6. [https://unesco.ge/?page\\_id=645](https://unesco.ge/?page_id=645)
7. <http://www.culturepartnership.eu/page/culture-matters>
8. <https://www.qwelly.com/group/sociology/forum/topics/girebuleba>
9. <http://socium.ge/downloads/socshesavali/kultura>
10. <https://www.britannica.com/biography/Herbert-Spencer>
11. <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=12457>
12. <http://network.icom.museum/icom-georgia>
13. <http://www.matsne.gov.ge>
14. [https://yandex.ru/search\).Ирина Билюк.2013.Яндекс.pdf.](https://yandex.ru/search).Ирина Билюк.2013.Яндекс.pdf.)
15. Казьмин А. К. Философские проблемы концепции эволюции человека // Вестник РFO. – 2004. – № 3. – С. 104–105.
16. Поликанова Е. П. Журнал: Философия и общество. Выпуск №3(75)/2014
17. სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი-ცნობარი/თბ.:ლოგოს პრესი, 2004./სოციალურ მეცნ. სერია/რედ.: მარინე ჩიტაშვილი).
18. ნეიოლ სმელზერი. კულტურა და საზოგადოება.<http://socium.ge/downloads>.
19. კოდუა ედ. კულტურის სოციოლოგია. 2001.პდფ.

KETEVAN AKHOBADZE

## CULTURE AND CULTURAL VALUES AS REFLECTION OF MORAL IMAGE OF SOCIETY

### Abstract

Globalization process which embraced the world, made up the issue of worldwide integral societal system, evinced the desire to change and destroy of the ‘old’ whereas failed to create the substitute ‘new’ moral values for the ‘unique mankind.’

Value-structure is complex in all societies and its elements vary to affect the dynamics of the development of the society. In return, this is the only way in the process of person’s socialization.

As long as Person lives in the society, most on-going processes depend on him/her in the specific country and consequently Person is bound to review his/her value-system.

Cataclysms, crises and challenges made people to change their values and attitudes; While ‘private-values’ have become priorities, they got oriented on the values which are acute and vital ‘just for arranging private lives.’ Estrangement of Person from the society or other people has become just a regular way of life backed by technical progress and the internet space ‘overlapped’ real life relations. From the experts’ view-point, people oriented to make money are no more morally motivated by success and the latter reduced the limit-line bordering ‘private interests and immorality’.

This article reflects the complex problems within the society regarding problematics of culture and cultural values.

**Keywords:** Culture, Cultural Values, globalization process, society, value-system, culture.

КЕТАВАН АХОБАДЗЕ

## КУЛЬТУРА И КУЛЬТУРНЫЕ ЦЕННОСТИ КАК ОТРАЖЕНИЕ МОРАЛЬНОГО ОБЛИКА ОБЩЕСТВА

### Резюме

Процесс глобализации, охвативший весь мир, поднял вопрос о создании интегрированной мировой общественной системы, стремящейся изменить и разрушить «старое», но не сумел создать «новые» моральные ценности для «единого человечества». Структура ценностей в каждом обществе сложна, и ее элементы по-разному влияют на динамику развития общества. Это один из способов социализации человека.

Поскольку человек живет в обществе, процессы, происходящие в его конкретной стране и в мире, зависят от него и заставляют его пересмотреть свою систему ценностей.

Катализмы, кризисы и вызовы 21 века привели людей к изменениям ценностей, поскольку «личные ценности» стали приоритетом, сосредоточив внимание на ценностях, которые важны только для «обустройства своей жизни»... Когда отчужденность человека от общества, от других людей становится нормой, чему также способствует технический прогресс, а интернет-пространство „перекрыл“ реальные жизненные отношения...

По мнению экспертов, у людей, сосредоточенных на зарабатывании денег, «успех уменьшил моральную мотивацию... Успех снизил грань между «личным интересом» и «аморальностью». В данной статье рассматриваются сложные процессы, происходящие в современном обществе, и рассматриваются вопросы культуры и культурных ценностей.

**Ключевые слова:** Культура, культурные ценности, глобализация, система ценностей.

# რედაქციას ქართველი მხატვარ-პროფესიონალი ეფუძნება

რეზო ადამია

## ცოტლდამი დღეს


ერთ დროს ქვის კარიერებზე მიყრილ-მოყრილი ლოდები ულამაზესი ხელოვნების ნიმუშად ქცეულა აქ და ფილიგრანული სინატიფით შერწყმია ღვთისა და სამყაროს სივრცეს.

უფლისადმი სიყვარული იმდენად ამაღლებული და ხორციელებულია, რომ ჩვეულებრივი გონებისათვის მასში ჩანვდომა შეუძლებელი ხდება. ნოტრდამის შემოქმედნი უსასრულოდ მაღლა, მაღლა მიისწრაფვიან ნაქარგი და სულჩადგმული ქვის ფორმებით.

სპილოსძვლისფერი აბრეშუმის ქსოვილზე ოქროს ძაფით მოქარგულ ნიმუშად იხატება ნოტრდამი პარიზის ზღვა შედევრთა სივრცეში.

ქართული ჯვრის მონასტერი თუ მიწიდან აღმოცენებულ წმიდა ქანდაკებად იკითხება (ეგვიპტის პირამიდების შემდეგ ჯვრის მონასტერია არქიტექტურა-ქანდაკება), პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი ციდან ჩამობრძანებული უცხო, ჩვენთვის შორეულ ღვთიურ სულადაა დამკვიდრებული პარიზის ღვთით კურთხეულ მინაზე. გოთური არქიტექტურა მიწიდან უკუ ცისკენ სწრაფვაა ქვის ფორმებად ქცეული სულისა...

ლმერთის და ადამიანის ნიჭთა გაერთიანების გასაიდუმლოებაა აქ. ექსტერიერი იმდენად ციურია და მაღლა მფრენი, ინტერიერში რომ შედიხართ, პირველად თითქოსდა სულის გარკვეული ფორმით შეზღუდულ სივრცეში მომწყვდევასა გრძნობთ, რადგან ათასობით არამლოცველთა და ტურისტთა გარემოში ხართ მოქცეული, ამდაგვარი გარემოება სადღაც ზედაპირულ სახეს იღებს, მაგრამ დროთა განმავლობაში ინტერიერის არნახული სივრცე და მისი უზარმაზარი მოცულობა, მშვენება-ვიტრაჟები, საკურთხეველთა სიდიადე, ჭერის თითქოსდა უსასრულობი გამდინარე ციური მოცულობა და მასზე მოცურავე დეკორატიულ-ორნამენტურლი ხაზები, რომლებიც ძვირფასი ქვებით აუწყვიათ, შეუდარებელი სილამაზის გეომეტრიული მოხაზულობის კედლები და სხვადასხვა განუმეორებელი აღნაგი (ფორმისაგან გაწყობილი უმშვენიერესი) სვეტები. ასეთ გარემოში მყოფს უმაღ გეცვლება განწყობილება და სული მაღლა-მაღლა ფრენას იწყებს, თითქოს შორდები შენს სხეულს და ამავე დროს თავისუფლდები ინტერიერისათვის დამახასიათებელი ზოგადად შემოფარგლულობის გრძნობისაგან, რის შედეგად მთლიანი არქიტექტურის ციურ სივრცეში გასვლის მონაწილე ხდები. თითქოსდა ადამიანი ფიზიკურ წონადობას ჰქარგავ და მარტოსული დადიხარ, ამაღლებული,



ნოტრდამი. მხატვარი რ. ადამია

განწენდილი და ღმერთთან მიმღებოლებული; ბედნიერი ხდები უსაზღვროდ, სიცოცხლის წყურვილით და ჯანსაღი ოპტიმიზმით ივსები. ინტერიერში ხარ. გადის დრო და გარეთ გასვლა გინდა, რათა ისევ ექსტერიერით დატკბე. გარეთ გასულს და ექსტერიერით მოხიბლულს, ისევ შიგნით, ინტერიერში გინდა შესვლა და შენეული სულის გასაიდუმლობის ხილვა: იმდენად დიდია მთლიანობა ნოტრდამისა, რომ ასეთი დაუსრულებელი პროცესის დინებაში ხვდები. ამდაგვარად, ისედაც ადამიანის ალუვსებელი სული ღვთიური სილამაზის, მარად ხილვის ტყვეობაში ვარდება და მასთან უსასრულოდ ყოფნის ოცნებაში იძირები. შემდგომ მისეული სილამაზისაგან ტყვეობის ვარდის-ფერი შიშიც გეუფლება.

ყოველი ჩვენგანის მოუსვენარ სულს, ალბათ, მარადიულ სივრცეში გადასვლა თუ დაამშვიდებს ან ატმოსფეროში არარაობად ჩაქრობა. ადამიანი იმდენად სამყაროს შორეულის უკიდეგანობაში მაძიებელი და მცოცავია, რომ თვით ღმერთის ხილვაც არ დაამშვიდებდა და ვერ მოასვენებდა, როგორც ნოტრდამის ექსტერიერიდან ინტერიერში გადასვლა, ინტერიერიდან კი – ექსტერიერში და უსასრულო ჟინი და საოცრებათა ხილვის დაუსრულებელი გახელება... დედამიწის ოთხივ კუთხიდან ადამიანთა დაუოკებელი ლტოლვაა ნოტრდამისაკენ, მიუხედავად სხვადასხვა სარწმუნოებისა და მხატვრულ ფორმებზე თავისებური შეხედულებებისა, ყველას ამაღლებული და თანაბარი სიყვარული აქვს მისდამი.

ნოტრდამის (ყოველი მზის გამოსახულებანი) ხომ თვალით უხილავი დეკორატიული ქარგვით არის დამშვენებული. ნოტრდამის (ბუმბერაზი მზე) ნარმართობის და ქრისტიანული სამყაროს ხიდია (მისი ყოველი მზე, ჩვენი) მზის სისტემის თუ სამყაროს უთვალავ სხივთა სიყვარულის სიმბოლოა.

ნოტრდამში მაღალი ფანტაზიის, ცისფერი ბიბლიური ფრინველის უსასრულო ნავარდია

ამდაგვარად აღვიქვი და შევიყვარე პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი 2001 წელს, მაშინ მსოფლიო ხელოვნების ცენტრში, კონკურსზე გამარჯვებული, ექვსი თვით მიწვეული შემოქმედებითად ვმუშაობდი, დღეში ორჯერ თუ სამჯერ ღვთისმშობლის ტაძარს სულიერად მაღლა ფრენით ჩავუვლიდი და ბედნიერი ვიყავი, დღეს კი, ორი ათას ცხრამეტ წელს, თითქოსდა პლანეტა გაიხლიჩა შუაზე; უდიდესი ტრაგედიით, მხოლოდ რელიგიური კი არა, ადამის მოდგმის ნიჭს და გენიას საუბედუროდ ცეცხლი წაეკიდა და ქარი ლაღად დაქრის მის ირგვლივ: მეგობრებო, ეს საშინელება თბილისელებმა და მთელმა საქართველომ მძიმედ განიცადა რისგან? მოულოდნელი მსოფლიო ტრაგედია! მეორე დღეს ჩემს საყვარელ ხალხთან საქართველოს ეროვნული აკადემიის პრეზიდენტის, ბატონ ოთარ კვესიტაძის, ვიცე-პრეზიდენტის, აკადემიკოს როინ მეტრეველის და მრავალი აკადემიკოსისგან, ამ შემთხვევის შემდეგ მათგან უფრო ვიგრძენი დიდი საერთაშორისო სულიერი ტკივილი: აკადემიიდან გამოსულს პირველად ლიმილიც არ გამომყოლია: ამ ღვთიური მშვენიერების და უდიდესი ხელოვნების ტრავმას დრო და რწმენით სავსე ადამიანები საფრანგეთ-პარიზიდან დაწყებული განკურნავენ: ტაძარი აღდგება უთუოდ და ამინ...

ღვთისმშობლის ტაძარი მაღლე აღდგება და კვლავ ამაღლდება. მზე-ტაძრის ბედი უთუოდ დაემთხვა იესო ქრისტეს დიდმონამე უმძიმესი ცხოვრების ისტორიას.

სამარცხვინო დროს ვერ იგუეს ღვთის გზას აცდენილმა ადამიანებმა სიკეთის, სიყვარულის და ჭეშმარიტების მოვლენა ღმერთის განკაცება და განირეს და უღალატეს დედაღვთისშობლის მიერ ნეტარ სისპეტაკეს, უფლისმიერ წმიდათაწმიდა სულიერ საგანძურს...

გარემო, დრო და სტიქია გამუდმებით ეპრძვის ნიჭს, მშვენიერებას, ლოცვადეცეულ სიყვარულს, კეთილშობილებას და ვარსკვლავეთურ თუ მიწიერ სიწმინდეებს.

ნოტრდამს ვერაგულად გაცოფებული და უკონტროლო სტიქიური ცეცხლი შეუვარდა და დედამინას გაუჩნდა მარად მოუშუშებელი წყლულები.

ამ უბედურების უამს მრავალმა მოკავშირე ვარსკვლავმა გაოცება გამოხატეს, დედამინის უმძიმესი კვნესა რომ მოისმინეს მაგდაგვარ ბინდშეყრილ დაზაფრულ სივრცემი. ყოველი მათგანი უგზავნიდა უფლისმიერ და კოსმოსურ თანაგრძნობას, მიუწვდომელ სხივებს და ამ გზით კურნავდნენ სასტიკად დაჭრილ მწვანე-ცისფერებში მოქცეულ ვარსკვლავეთურ დინჯ-კოსმიურ ცოცხალ სხეულს, ხოლო ნოტრდამის უღრმესი და მძიმედ დაცეცხლური ტკივილიანი ვაი, ნანას ძახილ-წუხილი უსასრულობაში გაისმოდა. ამ დროს წუხდნენ შორეული უძველესი კოლხეთის და კაცობრიობის ცივილიზაციის სათავეები, რომლებიც ათასწლეულთა განძსაცავებშია დალექილი...

პარიზის მსოფლიოს ხელოვნების ცენტრი, საფრანგეთის კულტურის და საგარეო საქმეთა სამინისტრო, სადაც თვეობით შემოქმედებითი მივლინებით მიწვევდა ათი წლის განმავლობაში, ეს კურთხეული ადგილი გახლდათ

ნოტრდამთან ახლოს. ამ ხნის განმავლობაში რამდენიმე სამხატვრო ატელიე გამოვიცვალე. 2003 და 2009 წლების ჩემეული სახელოსნოს ფანჯრიდან მკაფიოდ ჩანდა ნოტრდამში, სივრცეში ხატივით რომ ესვენა და ზეციური ამაღლებით ცოცხლობდა. 2009 შემოქმედებით წელს თითქმის ლამეები არ მიძინია, ამ შთამბეჭდავ გარემოს მოხერხებული გადასახედიდან სისტემატიურად ვხატავდი ელექტრონათურებით განათებულ კაშკაშა ვარსკვლავად ანთებულ პარიზის ღვთასმშობლის ტაძარს. მათგან რამდენიმე კოლექციონერებმა სხვადასხვა ქვეყანაში წაიღეს. რვა სურათი პარიზში დარჩა ადგილობრივ ხელოვნების მოყვარულებთან, ხუთი ნახატი, „ლამე ნოტრდამთან“ ჩემს პირად კოლექციაში ინახება. სამოცჯერ თუ სამოცდაათჯერ მაინც მექნება ტილოზე გადატანილი საოცრება ტაძრის ენით უთქმელი მშვენიერება და დიდება ღვთის ნებით ცის უსასრულობას შერწყმული. ჩემს კოლექციაში ბევრია მოტივი მზის ჩასვლის, მზის ამოსვლის და დღე-ღამის სხვადასხვა განწყობილებებისა.

დღეს კი უბედურება თავს დაგვატყდა კაცობრიობას და ჩაიფერფლა, დანახშირდა ჩემი და თქვენი სულიერი და მშვენიერების განსახიერების უკეთილებილესი ტაძარი. წუთით წარმოვიდგინოთ, ადამიანებო, მუდამუამს ხომ ყოველი მხრიდან ბოროტებაა ჩასაფრებული ან დაუნდობლად გვიტევს და გვანადგურებს. ბუნების და სამყაროს უცვლელი და ურთულესი კანონით, ყოველთა შექმნა-წაშლის მსხვერპლი ვართ სულიერ-უსულონი უსასრულოდ. წამიერად პირადი ფიქრი მინდა გადაგიშალოთ. ჩვენი ჯვრის მონასტრის, ოშკის, ხახულის, ზარზმის, საფარას, გელათის, მარტვილისა და ბედის მონასტრის დონეზე განვიცდი ჩემი ნოტრდამის ბედს და ამ უკვდავების დღევანდელ მდგომარეობას, ეკლესიურ უფლისმიერ უმძიმეს კვნესას. თუ ყოველ ჩვენგანშია ღმერთი, მაშინ ნურავის ნუ გაუკვირდება თქვენი და ჩემი უმწვავესი განცდა-გოდება. ნოტრდამის ცრემლიანი ბედი, ამჟამად ჩემი საქართველოს დონეზეა. რამდენიმე წელი ნოტრდამის სიყვარულის და მასთან გასულიერების გამო პარიზს ვერ ვტოვებდი, რადგან ამ წლების განმავლობაში მრავალ ქვეყანაშიც მქონდა მიწვევები, მათგან ორი – ოფიციალურად.

გაძლიერებულმა სატანამ ღმერთთან ჭიდილ-ქიშპობა არ იკმარა და მრისხანებით გაილაშქრა მშვენიერებაზე, უფლისმიერ ნიჭზე, მაღალმხატვრულ სახეებზე, ქმნილებათა მიუწვდომელ გემოვნებაზე, შემოქმედ გენიებზე და ამდაგვარად შეუტია მაღალ აზროვნებას, ჭეშმარიტებას და ღვთიურ სიმშვიდეს. მეგობრებო, ძლიერნო, დიდი სიფრთხილეა საჭირო – ჩვენს საზოგადოებაშიც ცდილობენ შეყარონ საშინელი გაუკულმართებები. ამრიგად მოსალოდნელია ქართველ ერსაც საფრთხე შეუქმნას და გადაშენების გზას გაუყენოს. დროულად გონს უნდა მოვიდეთ, რათა ძალიან სერიოზული ღია შემოტევებია და ნადგურდება ერის სულისმიერი მაცოცხლებელი დარგებისფეროები. ხელოვნებისა და მის შემქმნელთა იგნორირებას ჯობია თვითონვე დატოვონ ის ქვეყნის ორგანიზაციული სათავეები, საიდანაც აქვეითებენ ერის უმთავრეს მაცოცხლებელ სულიერ ფორმათა არსებობებს. ამდაგვარი მტრის გასახარი შავი გზით ქვეყანა გადაგვიგვარდება, მერმე შეგვიტანენ, ვითომ სინაულით, მკვდარი ენების და გარდაცვლილ ერთა სიაში. ღმერთმა

დაგვიფაროს, კეთილნო, მაგდაგვარი ზნეობის მტრები წარსულში თვითონვე ჩაიძირნენ ბოროტების ჭაობებში და მოსალოდნელია მომავალშიც მაგრე მოხდეს, მხოლოდ ყოველი ჩვენგანის გონებრივ-ზნეობრივი სიფხიზლიდან გამომდინარე. თუ მოხდა უპნელეს-სიკვდილიანი სასწაული, ბოლოს თვითონვე სატანაც ჩაიგუდება თავისივე ბოროტდალოვან საწამლავში.

2019 წლის 16 აპრილი, უცხოეთის ამბები ტელევიზორის ეკრანიდან რომ ვიხილე, საოცრება წარტოვა ამბების წამება, წვა, განადგურება ცეცხლით, ფერფლით და უსახო ნახშირით, ისეთ საგონებელში ჩავგარდი, თითქოსდა შორეულ ისტორიაშიც არგამულავნებულმა, ყველაფრის წამლეკავმა ვულკანმა ამოხეთქა მსოფლიოს ხელოვნების კულტურის და ცივილიზაციის ცენტრში, სადაც ნებისმიერი სიწმინდე, დიდი ხელოვნება, ფილოსოფიური აზროვნება, კაცთა სათნოება, ღვთიურობა, ანგელოზთა სამყარო, სიკეთე, სიყვარული, იმედი, კოსმიური მიუწვდომელი დიდება გავარვარებულ ლავად გარდაქმნილიყო და მეტად შემზარავი ხმა გაისმოდა, ვაი, ნანა! სადა ხართ? გვიშველეთ! მაგრამ...

ცეცხლის გაბოროტებულ ალში გაეხვია თეთრი გედივით დინჯი და კეთილი წარტოვა ნოტრდამი. შეუბრალებლად იწვოდა უფლის და ადამიანის ნიჭით შობილი საყდარ-შედევრი. ნაცრად ილექტობოდა სიტეს (კუნძულის) წმიდა მოწამე მსოფლიოს სულიერი მშვენება, ქრისტესმიერი აზროვნების სიხარული, წმინდა და სიყვარული და პლანეტის კეთილი იმედი...

უსაშინლესი უბედურების მომტანი ხანძარი წვავდა წმიდათაწმიდა კეთილშობილ სულს და დედამიწაზე განუმეორებელ სილამაზეს. კაცობრიობის მარად დაუვიწყარი ტროას ისტორია განმეორდა პარიზის სიტეს უწმინდეს მიწაზე 16 აპრილს. მთლიან ევროპას, აზიას, აფრიკას, ამერიკას, ავსტრალიას, ოკეანებს, ზღვებს, ტბებს, მდინარეებს და მთის უწყინარ წყაროებს უტევდა აალებული მარტორქასავით გამდვინვარებული პარიზული დაუნდობელი სტიქია და ნახშირდებოდა ქვეყნიერების „მზე ტაძარი“. გაცოფებული მამრი აწყვეტილეშვებიანი სპილოსავით გვებრძოდა და მიწას გვისწორებდა ცეცხლბორბალა უბედურება, ფსიქიურად და სულიერ-რელიგიურად დაჭრილ-დასახიჩრებული პარიზი გმინავდა, კვნესოდა და საკუთარ წმიდა მარად კუთვნილ მიწაზე ვერ ეტეოდა ამდაგვარ წარმოუდგენელ მოულოდნელობის-გან. ეს უკვე არა მიწიერი, არც კოსმოსური, არამედ სატანური ომი იყო არგაგონილ-არნახული. ღმერთმა ნუ ქნას რელიგიური მოქმედების ხელი ერიოს აქ. ჩემთვის ყოველივე დაუჯერებელია, რადგან მსოფლიოს ნებისმიერი კონტინენტის, ეროვნების და სარწმუნოების ხალხი მოისწრაფის მისკენ და მათი ნატვრა მშვენიერებაა ხომ ნოტრდამი, რომელიც რეალურ მხატვრულ სახედაა აღბეჭდილ-აღმოცენებული, ხოლო სამყაროს სივრცის სიღრმეების მეხსიერებიდან ვერასოდეს ვერ ამოშლის ვერავითარი გალაქტიკური მოვლენაც, მაგრამ ჩვენი თაობა ახალგზრდებთან ერთად ამ შემთხვევაში ფსიქიურად უძინესი გლოვისგან სულიერად დანგრულია.

ადამიანებო, მეგობრებო, დროს და განსაკუთრებით მოთარეშე სტიქიას ყოველმხრივ უნდა გავუფრთხილდეთ აგრეთვე ზოგიერთი ავი ვარსკვლავის-

გან გადაწამლულ ადამიანების დიდმა უსუსურობამ, მცირედმორნმუნეობამ თუ ურწმუნოებამ შექმნა მსოფლიოს თავს დატეხილი წარმოუდგენელი და ფერ-ფუნჯით დაუხატავი ტრაგედია...

უკიდურესად მეცოდება ის ადამიანები, ვინც იმჟამად უცოდველად ტაძარში იმყოფებოდნენ ან მათი უყურადღებობით თუ გაჩნდა დედამიწის სულიერად ამწინოკებელი ხანძარი. ნოტრდამი პარიზისა უთუოდ აღსდგება, მაგრამ იმ სულიერ საგანძურს, რომელიც დიდ სალოცავში იყო უნილავ ფორმაში დაგროვილი, ისინი ხომ დაიფერფლ-დანახშირდა, უნატიფესი მრავალ-საუკუნოვანი გულმხურვალე მორწმუნეთა ალალი ლოცვები ვერაგ ცეცხლის ალში მოექცა. ამ შემთხვევაშიც მაცხოვარი ადამიანებმა დაუზოგავად მერამ-დენედ აცვეს ჯვარს...

სატანა გამეხებული იბრძვის ქვეყნის ყოველ კუთხე-კუნჭულში. უეჭველია, ვიქტორ ჰიუგოს გენიალური სული მთელი დღე-ღამე თავს დასტრიალებდა ჩაფერფლილ ღვთისმშობლის ტაძარს და რომ შესძლებოდა უპირველეს რომან „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარს“ და ერთ დროს ნოტრდამის აღდგენა-რესტავრაცია-კონსერვაციის ორგანიზატორ-ავტორი დაუზოგავად ციდან დაეჭვებოდა და მთლიანად გადაეფარებოდა პარიზულ საშინელებას, მაგრამ ვარსკვლავეთს თავისი უმეაცრესი მიუკარება კანონები ახლავს. ჩვენდა იმედად ნოტრდამის მარადიული ღვთისმშობლისეული სავანე კვლავ დიდებით დაუკავშირდება სამყაროს, რადგან ინდივიდუალურ-მხატვრულ-არქიტექტურული უფლისმიერი სახე, როგორც მოგახსენეთ, მრავალმხრივი მეხსიერებიდან წარუშლელია. ამ განგაშაყრილ მეორე დილას „კვირის პალიტრის“ კორესპონდენტი მანანა გაბრიჩიძე მირეკავს და გულით მისამძიმრებს, ტელე-ინტერვიუც აიღო.

– ბატონო რეზო, – მეკითხება, – პარიზში რომ ჩახვალთ, როგორ დახედავთ ასეთ მდგომარეობაში ჩავარდნილ ღვთისმშობლის ტაძარს, ალბათ, გაგიჭირდებათ და ვერ მიუახლოვდებით ახლოსო. – მრავალაზრიანი შეკითხვა მივიღე და უმაღ მივუგე: – ამ ქვეყნად ყველაზე უძვირფასესი დედა რომ გარდამეცვალა, მშობლიური მინის წინაპართა საძვალეს მიბარებამდე, თავს ვადექი პატრონ ჭირისუფლად და ვეფოფინებოდ-დავფუსტუსებდი. სრულიად მაგდაგვარად ვეახლები ჩემს და ქვეყნის სალოცავ ნოტრდამს, რომელსაც რამდენიმე წლის განმავლობაში ყოველ დილით და საღამოთი ჩავუვლიდი ამ ღვთის ხომალდს და ვესიყვარულებოდი, ყოველ კვირას კი, სადღესასწაულო წირვას ვესწრებოდი და ბედნიერი ვიყავი, თუმცა ყოველგვარი ცხოვრებისეული სირთულეების მიუხედავად, აქ თავს ამაღლებულად აღვიქვამდი, უნმინდესი სალოცავის იმედ-პატრონობია, მსოფლიოს ქრისტიანული სამყაროს მშენება და ღვთისმშობლის უკეთილშობილების სახიერებით...

ტაძრის წინ ოცი-ოცდაათი მეტრით მოშორებული ბრინჯაოს უძველესი მრგვალი დისკია ჩაკირული. მე ჩემეულად აღვიქვი და ყოველგვარი მომავლის სალოცავ წყაროდ მივიჩნიე. ყოველ დილას ამ ქრისტიანულ საიდუმლოს ვეახლებოდი, მორჩილად დავდგებოდი, გულღია ლოცვით ვევედრებოდი უფალს, ღვთისმშობელს და ნოტრდამს, მერმე თამამად მივდიოდი, იმედით

სავსე წინასწარ მონიშნულ მოტივზე სახატავად, თან ფიქრებში, მატისის, კლოდ მონეს, დიუფის და უტრილოს ფერწერულ სურათებს ვიხსენებდი და თვალწინ მედგა.

2019 წლის 20 აპრილს ხუთ საათზე გაიხსნა მსოფლიო ტრაგედიასთან დაკავშირებული პერსონალური გამოფენა, სადაც წარვადგინე ოთხმოცდათორმეტი ფერწერული სურათი, მხოლოდ პარიზზე, სხვადასხვა წლებში ადგილზე შესრულებული. მათგან ოცამდე ნოტრდამის მრავალმხრივი კომპოზიცია და მიდგომაა განწყობილება-ხასიათით. გამოფენაზე აგრეთვე დომინირებს „პარიზული მზეები“, რომლებმაც თავის დროს მოწონება-შეფასება დაიმსახურეს, უპირველესად პარიზელებში და სხვა ქვეყნების წარმომადგენლებში, ინგლისელებში, ამერიკელებში, იაპონელებში და სხვ. მერმე თბილისში მათგან რაც ჩამომქონდა არ მაკლდა ქართველი ინტელექტუალური საზოგადოების აღიარებაც. ამჟამად ლვოსმშობლის ტაძრის ერთ-ერთ სურათთან შავი ლენტი იყო დამჭებული. გულდალონებით გვითანაგრძნეს როგორც გამოფენის ავტორს, ასევე გამოფენის მომწყობ-მასპინძლებს – გიორგი ლეონიძის სახელობის სახელმწიფო მუზეუმის დირექტიას და ყველა მუშაქს. გამოფენა დაათვალიერეს სტუმრებმა თბილისის და საქართველოს შემოქმედებით ინტელიგენციასთან ერთად, ჭეშმარიტმა გულშემატყივრებმა, მათ შორის მხატვართა კავშირის თავმჯდომარე გურამ ცერცვაძემ, რომელმაც გამოფენა ღირსეულად გახსნა და ვერნისაჟის იდეურ-მხატვრულ მხარე-შინაარსზე ვრცლად ილაპარაკა. შემდგომ ტრაგედიას სულის ჩამოვლით შეეხო მსოფლიოში განთქმული დიდი კომპოზიტორი ვაჟა აზარაშვილი. ისაუბრეს თემის ირგვლივ რუსთაველის საზოგადოების პრეზიდენტმა, პოეტმა-პროზაიკოსმა დავით შემოქმედელმა, ქართული ცეკვის ვირტუოზებმა თენგიზ უთმელიძემ, ომარ ჩხეიძემ და მევლუდ ფოცხიშვილმა. დღევანდელი ტრაგიული მოტივის გამოფენას გვერდით დაუდგა და თავისი სინაული გამოხატა მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონმა კლასიკურ ჭიდაობაში რომან რურუამ. სიტყვები წარმოთქვეს: მომღერალმა ენრიკო ჯანელიძემ, პოეტებმა მიმოზა ცანავამ, იყა ქადაგიძემ, ეკა ქაჯაიამ... დარბაზში ტრიალებდნენ მთავარი მასპინძელი ლაშა ბაქრაძე და კეთილშობილი თეა თვალავაძე. აქვე დაგვამშვენეს და გაგვაძლიერეს ჩემმა სენაკელმა მეგობრებმა, ბატონებმა: ტარიელ, გოჩა და სოსო დგებუაძებმა და ავთანდილ ბესელიამ. გამოფენის მოწყობაში მეხმარებოდა მოქანდაკე უშანგი ქუმელაშვილი. გვერდით მედგნენ ოჯახის ნევრები: მეუღლე ნანი და შვილები – მედეა და მაია. ბოდიშს ვუხდი ყველას, რადგან მათი ჩამოთვლა ამ პირობებში შეუძლებელია. გამოფენას და გახსნას აშუქებდა სამი ტელეარხი – საპატრიარქოს „ერთსულოვნება“, „პირველი არხი“ და „რუსთავი-2“. დღის მოვლენის ყოველ დეტალს აფიქსირებდნენ საქვეყნოდ აღიარებული ფოტოხელოვანი ბადრი ვადაჭვკორია, ლევან გორდიანიძე და ვეფხია სამსონაძე. ბოლოს უურნალისტმა დარეჯან კვარაცხელიამ გამოფენის მთავარი სურათები დააფიქსირა, შემდეგ ჩემგან ინტერვიუ აიღო და ქალბატონმა გამოფენის, კერძოდ პარიზული კოლექციის მომავალ გეგმებზეც ისაუბრა. ამდაგვარად დამთავრდა 20 აპრილის დიდი მღელვარებისა და ფრანგი ხალხის მიმართ სულიერი თანადგომის საღამო.

REZO ADAMIA

**NOTRE DAME TODAY****Abstract**

In the world – there are plenty of psycho – cosmic events around us which have different forms and sizes but a hard question arises: why do evil, satan and the black forces fight against love, belief, goodness, beauty, talent, virtue and great art?! How did it happen that the beauty and wonder of the planet – Mother Church, church of religion was wrapped in a devastating fire. In that unfortunate time, great suffering and spiritual mourning covered the whole world. By whom and by what forces was Notre Dame de Paris burnt down and why?! This essay is based on this terrible tragedy. This tragedy was severely suffered by entire Georgia, the Georgian National Academy of Sciences and of course, by the author of this essay, who spent ten years with Notre Dame and created many oil – paintings of the cathedral itself. And today he suffers from this harsh tragedy like a blood relative and repeatedly asks the main forces of the universe, why?!

**Keywords:** Notre Dame; Paris; devastating fire; Georgia.

**РЭЗО АДАМИА****НОТР-ДАМ СЕГОДНЯ****Резюме**

В мире вокруг нас существует бесчисленное множество психокосмических явлений, которые имеют назначение разных форм и размеров. Но возникает непростой вопрос: почему зло, сатана и черные силы борются против любви, веры, добра, красоты, таланта, добродетели и великого искусства?! Как объял разрушительный огонь красу планеты, чудо – Церковь-мать, храм веры? В ту злополучную пору весь мир охватила великая печаль и горе. От кого, от чего и какими силами сгорел Нотр-Дам, Собор

Парижской Богоматери, и почему?! Предложенное читателю эссе основано на этой страшной трагедии, которую тяжело пережила вся Грузия, естественно, Национальная академия наук Грузии и, конечно же, сам автор эссе, десять лет проработавший рядом с Нотр-Дамом, создавший множество картин самого храма. Сегодня он переживает эту жестокую трагедию, как кровный родственник и неоднократно спрашивает главные силы Вселенной - почему?!

**Ключевые слова:** Церковь-мать; Собор Парижской Богоматери; Нотр-Дам; Грузия.

# ისტორიული მეცნიერების გამოჩვენები მოღვაწეები

## აკადემიკოსი ოთარ ლორთქიფანძე - 90

გამოჩენილ ქართველ მეცნიერს, არქეოლოგს და ისტორიკოსს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსს, საქართველოს სახელმწიფო და ჰუმბოლდტის პრემიების ლაურეატს, მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს ოთარ ლორთქიფანძეს დაბადებიდან 90 წელი შეუსრულდა.

ოთარ ლორთქიფანძე დაიბადა 1930 წლის 30 ოქტომბერს თბილისში, ცნობილი მკურნალის დავით ლორთქიფანძიძისა და ქალბატონ პარასკევა ამაშუკელის ოჯახში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, 1948 წელს, მან ჩააბარა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე. უნივერსიტეტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, ასპირანტურაში მეცნიერული მომზადება საქართველოს ძველ ისტორიასა და არქეოლოგიაში ცნობილი ბიზანტინისტის, აკადემიკოს სიმონ ყაუხჩიშვილის ხელმძღვანელობით გაიარა. ერთხანს ის სანკტ-პეტერბურგში იყო მივლინებული, სადაც მომზადება გააგრძელა ისეთი თვალსაჩინო სპეციალისტების ხელმძღვანელობით, როგორებიც იყვნენ პროფესორები ქსენია კოლობოვა და ვიქტორ გაიდუკევიჩი.

1957 წ. ოთარ ლორთქიფანძემ დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „ხელოსნური წარმოქა და ვაჭრობა მცხეთაში ა.ხ.ნ. I-III საუკუნეებში“; 1960 წელს ის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის თანამშრომლად ჩაირიცხა; აქვე, 1966 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია – „ანტიკური სამყარო და ძველი საქართველო“, ხოლო 1972 წელს ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ დაინიშნა; 1967 წლიდან იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორია. მისი სამეცნიერო გზის სრულიად ახალი ეტაპი დაიწყო 1977 წლიდან, როდესაც იგი დაინიშნა არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ხელმძღვანელად, და სადაც სიცოცხლის ბოლომდე იმოღვაწა.

უალრესად ნაყოფიერი და მრავალმხრივი იყო ოთარ ლორთქიფანძიძის სამეცნიერო მოღვაწეობა. მას გამოქვეყნებული აქვს 300-მდე სამეცნიერო ნაშრომი, დაბეჭდილი როგორც ჩვენში, ასევე საზღვარგარეთ (აშშ, დიდი ბრიტანეთი, ესპანეთი, საფრანგეთი, გერმანია, იტალია, საბერძნეთი, შვეიცარია, უნგრეთი, ბულგარეთი, რუმინეთი, პოლონეთი, რუსეთი, სირია): 20-ზე მეტი მონოგრაფია, 160-ზე მეტი სტატია, გათხრების ყოველწლიური ანგარიშები, მრავალი თეზისი, საენციკლოპედიო სტატიები, სახელმძღვანელოები, რეცენზიები, წინასიტყვაობები. არ დარჩენილა ძველი საქართველოს და ანტიკური სამყაროს ისტორიისა და არქეოლოგიის არცერთი კარდინალური საკითხი, რომელსაც მისი კალამი არ შეეხო, იქნება ეს ისეთი პრობლემები, როგორი-

ცაა ქართული სახელმწიფო ბრიობის და ცივილიზაციის გენეზისი, ძვ.წ. VIII-VII საუკუნეების ბერძნული კოლონიზაცია, კოლხეთისა და იბერიის ურთიერთობა ანტიკურ სამყაროსთან, „ელინიზმისა“ და „ელინისტური კულტურის“ დეფინიციის პრობლემები, „აბრეშუმის გზის“ ისტორიული ნანამძღვარი, ძველი კოლხეთის ქრისტიანობამდელი რელიგია, თუ მრავალი სხვა. ყველა ეს პრობლემა, როგორც წესი, ფართო ისტორიულ ფონზეა განხილული და დაფუძნებულია როგორც მრავალფეროვანი არქეოლოგიური მასალის, ისე წერილობითი წყაროების და ეპიგრაფიკული ძეგლების ანალიზზე. უაღრესად დიდი მნიშვნელობისაა აკადემიკოს ოთარ ლორთქიფანიძის ის ნაშრომები, რომლებიც ეძღვნება ნივთიერი კულტურის ცალკეულ ძეგლებს (სოხუმის სტელა, ვანის ბრინჯაოს ტორსი, გონიოსა და ახალგორის განძები, რომაული ტორევტიკის ნიმუშები ნიჩბისიდან, ბიჭვინთის წითელ ლაკიანი კერამიკა, ვერცხლისა და ბრინჯაოს ჭურჭელი ვანიდან, კოლხური თეთრი, ელინისტური ხანის თავდაცვითი სისტემა, ძვ.წ. VI-IV საუკუნეების კოლხური კერამიკა და ოქრომჭედლობა და მრავალი სხვა). თითოეული მათგანი დახვეწილი შედარებით-ტიპოლოგიური და მხატვრულ-სტილისტური ანალიზის ნიმუშია.

ბატონი ოთარის მეცნიერულ მემკვიდრეობაში რელიეფურად იკვეთება ღრმა განსწავლულობა, უდიდესი ერუდიცია და მაღალი პროფესიონალიზმი, წერილობითი წყაროებისა თუ ნივთიერი ძეგლების სისტემური ანალიზის უზადო ტექნიკა, ფართო ისტორიული განზოგადების იშვიათი უნარი. ფრიად ნაყოფიერი იყო ბატონი ოთარის საგამომცემლო საქმიანობაც. მისი რედაქტორობით გამოვიდა კრებულები – „ვანი, არქეოლოგიური გათხრები“ (9 ტომი), „საქართველოს არქეოლოგის საკითხები“ (3 კრებული), შავიზლვისპირეთისა და იბერიის ძველი ისტორიისა და არქეოლოგიისადმი მიძღვნილი სიმპოზიუმების მასალები (11 კრებული), საქართველოს არქეოლოგიის მრავალტომეული (2 ტომი), არქეოლოგიური კვლევა-ძიება საქართველოში (17 კრებული), უურნალი „ძიებანი“ (10 ნომერი).

ოთარ ლორთქიფანიძის სამეცნიერო მოღვაწეობაში უმნიშვნელოვანესი ადგილი ეკავა საველე-არქეოლოგიურ კვლევა-ძიებას. არქეოლოგიური ნათლობა მან მცხეთაში მიიღო, შემდეგ კი მონანილეობდა ხოვლეს, ვანის, ბიჭვინთის, სოხუმის, ფოთის, ბათუმის, ქუთაისის, აგრეთვე მირმეკიონისა და ილურატის (ყირიმი) გათხრებში. 1966 წლიდან კი მისი საველე-არქეოლოგიური საქმიანობა მკვიდრად დაუკავშირდა ვანსა და მის სიძველეებს. აქ მოპოვებულმა არქეოლოგიურმა მასალაშ საქვეყნოდ გაუთქვა სახელი ქართულ არქეოლოგიას.

ბატონ ოთარს უტყუარი ალლო ჰექონდა ახალი მეცნიერული ტენდენციების წინასწარ განსაზღვრის, სიახლეზე სწრაფი რეაგირებისა და, რაც მთავარია, მას ჰექონდა მათი დანერგვის და ხორცესების იშვიათი უნარი. იგი იყო ინიციატორი ჩვენს არქეოლოგიაში კვლევის თანამედროვე მეთოდების დამკვიდრებისა (ჰიდრო- და აერო-არქეოლოგიური, გეომორფოლოგიური, ინტერდისციის ტიპის ნარცისი). მანვე შემოიღო არქეოლოგიაში სტრუქტურულ-შედარებითი ანალიზის მეთოდები.

გასული საუკუნის 90-იან წლებში, იმ ურთულეს ხანაში, როდესაც ეკონომიკური, კულტურული თუ სულიერი ცხოვრება ჩვენში თითქმის პარალიზებული იყო, ოთარ ლორთქიფანიძემ შეიმუშავა ახალი სტრატეგია ცენტრის სამეცნიერო საქმიანობისა. ამ ახალი ტენდენციის წყალობით არა მხოლოდ თვითონ ბატონ ოთარს, არამედ მთელ დაწესებულებას ერთი დღითაც კი არ შეუნელებია მუშაობის ჩვეული ტემპი. მის მიერ შემუშავებული პროგრამის თანახმად, ცენტრში გამოსაცემად მზადდებოდა საქართველოს არქეოლოგიური ატლასი, „ქართლის ცხოვრების“ ტოპოგრაფიულ-არქეოლოგიური ცნობარი, არქეოლოგიური ტერმინოლოგიის ქართული განმარტებითი ლექსიკონი, კლასიკური არქეოლოგიის მრავალენოვანი ლექსიკონი, ანტიკური ხანის შავიზღვისპირეთის ტოპოგრაფიული ცნობარი, კლასიკური არქეოლოგიის იკონოგრაფიული ლექსიკონი. ბატონი ოთარის სახელთანაა დაკავშირებული მაღალ სამეცნიერო დონეზე ორგანიზებული ვანის არქეოლოგიური მუზეუმის დაარსება, რომელიც დღეს მის სახელს ატარებს. დიდია მისი წვლილი ფოთის არქეოლოგიურ-ეთნოგრაფიული მუზეუმის არქეოლოგიური გამოფენის მოწყობაშიც. იგი იყო სულის ჩამდგმელი და ორგანიზაციონი საზღვარგარეთ მოწყობილი არაერთი არქეოლოგიური გამოფენისა (მოსკოვში, საარბრიუკენში, შტუტგარტში, კოშტანცში, ბრაუნშვაიგში, ბოხუმში, ბონში და სხვ.). ოთარ ლორთქიფანიძემვე ჩაუყარა საფუძველი შავიზღვისპირეთის ძველი ისტორიისა და არქეოლოგიისადმი მიძღვნილ ვანის საერთაშორისო სიმპოზიუმს. მისი თაოსნობით მოეწყო აგრეთვე საერთაშორისო კოლოკვიუმები კავკასიის იბერიისა და მისი მომიჯნავე ქვეყნების ძველი ისტორიისა და არქეოლოგიის შესახებ.

განუზომლად დიდია ოთარ ლორთქიფანიძის როლი ქართული არქეოლოგიური სკოლის განვითარებაში. ასპირანტურის დამთავრებისთანავე, 1957 წლიდან მან დაიწყო პედაგოგიური მოღვაწეობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე ხელმძღვანელობდა მაგისტრანტებს და კითხულობდა ანტიკური ხელოვნებისა და არქეოლოგიის კურსს. ლექციების ეს კურსი დაედო საფუძვლად სახელმძღვანელოს „ანტიკური არქეოლოგია“. მისი ხელმძღვანელობით 20-მდე საკანდიდაცო დისერტაციაა დაცული. ბატონი ოთარის მოწაფეთა შორის შვიდი მეცნიერებათა დოქტორია.

საქართველოს ისტორიისა და არქეოლოგიის განვითარებაში შეტანილმა უდიდესმა წლილმა აკადემიკოს ოთარ ლორთქიფანიძეს საყოველთაო აღიარება მოუტანა არა მარტო ჩვენში, არამედ საზღვარგარეთაც. ამის დასტურია მისი არჩევა სხვადასხვა ქვეყნების (ესპანეთი, გერმანია, იტალია, შვეიცარია, პოლონეთი, ბულგარეთი და სხვ.) აკადემიების, ასოციაციებისა და პერიოდული თუ სერიული გამოცემების სარედაქციო საბჭოების წევრად. იგი იყო კლასიკური მითოლოგიის იკონოგრაფიული ლექსიკონის საერთაშორისო კომიტეტის წევრი. 1972 წელს ოთარ ლორთქიფანიძე აირჩიეს პოლონეთის არქეოლოგიის საზოგადოების, 1978 წელს – კლასიკური არქეოლოგიის ასოციაციის წევრად. 1980 წლიდან იგი გერმანიის არქეოლოგიის ინსტიტუტის

წევრ-კორესპონდენტი, ხოლო 2001 წლიდან ესპანეთის სამეცნ საისტორიო აკადემიის წევრია. გარდა ამისა, ბატონი ოთარი იყო ინდოევროპული და თრაკოლოგიური კვლევის საერთაშორისო კონსულატის, ქალაქ მაინცის (გერმანია) არქეოლოგიური საზოგადოების საპატიო წევრი.

ბატონი ოთარის მიერ მრავალრიცხვოვან საერთაშორისო კონგრესებზე, კონფერენციებსა და კოლოკვიუმებზე წაკითხული მოხსენებები, საჯარო ლექციები, სამეცნიერო-პოპულარული ხასიათის ნაშრომები ფართო აუდიტორიისათვის ხელმისაწვდომს ხდიდა ქართული არქეოლოგის მონაპოვარს. მამულიშვილობა, მაღალზნეობრივობა, პასუხისმგებლობის გამახვილებული გრძნობა, არაჩვეულებრივი გულისხმიერება და სიკეთე, სხარტი იუმორი ბატონ ოთარს განუმეორებელ ადამიანურ ხიბლს ანიჭებდა. იგი უდიდესი პატივისცემითა და სიყვარულით სარგებლობდა არა მხოლოდ მეგობრების, მოწაფეებისა და კოლეგების წრეში, არამედ მთელ ჩვენს საზოგადოებაში.

**საქართველოს მთავრობასთა ეროვნული აკადემია**

**საზოგადოებრივ მთავრობასთა განყოფილება**

КЕТЕВАН АХОБАДЗЕ

**ПРОБЛЕМАТИКА ПРОТИВОРЕЧИЙ МЕЖДУ  
ЦИВИЛИЗАЦИЯМИ**

**Рецензия на книгу «Где кавказская цивилизация?»  
Академика Р.Метревели**

*Мы должны с большой уверенностью утверждать, что Кавказ — это место  
рождения человечества.*  
**Иоганн Фридрих Блюменбах**

Книга Академика Р.Метревели «Где кавказская цивилизация?» (Тбилиси, 2020, 50 стр., редакторы: Луиза Метревели, Нана Кикнадзе. Национальная Академия Наук Грузии) как видно из названия, посвящается «судьбе кавказской цивилизации», т.е. проблеме, касающейся места кавказской цивилизации в общепринятом списке мировых цивилизаций. Исследование затрагивает актуальные темы, по важным вопросам современности. Но, особую значимость данной работе придает тот факт, что в книге на первое место выдвигается вопрос о роли «кавказской цивилизации».

Представленная на рецензию книга «Где кавказская цивилизация?» носит научный характер и, как уже было сказано, в ходе исследования основной акцент делается – на рассмотрении проблем противоречий между цивилизациями, заостряя внимание специально на кавказской цивилизации, её роли - для того, чтобы в будущем занять надлежащее место в списке мировых цивилизаций...

Для информации хочу вам сказать, что начиная с 90-х гг. этот вопрос всегда входил в повестку дня международных исторических конгрессов. Грузинские учёные старались доказать значимость этого вопроса, не только для народов Кавказа и не только для каждого Грузина, но и важность всей кавказской цивилизации для мировой истории...

Материал имеет ярко выраженную авторскую линию, так как Р.Метревели не просто анализирует научные положения разных авторов, но и высказывает свою точку зрения и делает заключения.

У книги простая структура. Исследование состоит из двух частей, написана чётким и понятным языком, аргументация и выводы логичны, литература соответствует заявленной тематике....

Центральная тема передана в первой части книги „Судьба кавказской цивилизации“, где академик Р. Метревели излагает факты по разным сложным и комплексным проблемам, которые и сегодня весьма актуальны, особенно - для грузин ...

Как известно, в современном мире проблема противостояния Востока и Запада на протяжении многих лет является предметом исследования многих ученых и остается актуальной до сих пор. Она интересна не только для специалистов в данной области, но и для всех жителей земли....

Чтобы быть конкретным, я хотела бы указать, что эта статья, несмотря на ее небольшой формат, затрагивает несколько важных тем, которые сами по себе взаимосвязаны. Эта небольшая книга содержит вполне компетентные оценки, анализ и выводы, и его конечная цель - поставить эту задачу в центре внимания ученых всего мира.

Когда в 2020 году мир столкнулся с величайшей проблемой, и этот коллапс оказал наибольшее влияние на мир, появление COVID-19 вернуло людей к проблемам универсального, ценностного значения; заставило их задуматься, проанализировать, и дало им возможность ценности.

В начале книги автор чётко, логично оценивает ситуацию, как государство Грузия, наша страна, дошла и встретила XXI век ослабленный, истощённый; «что принёс XX век Грузии, грузинскому народу...» государственность была утрачена уже на протяжении ста лет, у Грузинской апостольской православной церкви была отнята автокефалия, подвергался гонением грузинский язык. «Язык, Отечество, Вера»- все эти три феномена были прокляты и игнорированы. Грузинский народ боролся за свободу и независимость». Эта борьба «...длившая на протяжении столетия, состояла из разных этапов, имела различный характер» и продолжается сегодня в разных направлениях (реценз. книга, ст.3).

Особо следует отметить одну из форм борьбы, когда через «лоббистов» разных государств, элементы, враждебные нашему государству, пытаются фальсифицировать историю Грузии с помощью различных писем, речей или оценок. Вот почему была написана эта книга ...

### **Мы боремся за правду!**

Академик Р.Метревели (соответственно формату) излагает культурно-исторические факты двадцатого века, насколько глубоко национальными были эти разные виды борьбы, когда мы восстановили нашу независимость в 1990-х и продолжили жить: «Глубоко национальный характер имели грузинская литература, спектакли и кинофильмы, поставленные и снятые в этот период. Что касается 90-х годов, то в это время национальные силы оказались стойкими и добились успеха – Грузия вернула себе государственность и встала на путь демократии и независимой жизни» (реценз. книга, ст.4).

Ученый не уклоняется от обсуждения отрицательных качеств, свойственных нации, но и не забывает характерных для нее положительных качеств, что особенно проявляется в героизме и самопожертвовании: «...у нас сохранились многочисленные примеры геройства и самопожертвования грузин, их любви к

ближнему и борьбы за лучшее будущее. Именно этот феномен спас и донес до наших дней Грузию» (реценз. книга, ст.4).

Академик Р.Метревели обсуждает, что принесла миру заря ХХ-XXI веков, какие процессы развивались, когда были обозначены проблемы сразу нескольких сфер - глобализации, идентичности, самоопределения и т. д. Эти вопросы он рассматривает в разных контекстах.

Прежде чем перейти к основному вопросу, ученый рассматривает термин «цивилизация» в историческом плане. Часть учёных считает, что слово «цивилизация» - первым употребил маркиз де Мирабо в своём трактате «Друг людей» (1757), где термин «упоминается в связи с религией, хотя в весьма важном контексте – она признается пружиной цивилизации» (реценз. книга, ст.7-8).

Академик Р.Метревели в своей книге перечислил факты, как это слово – «цивилизация», было внесено во «Всеобщий словарь» А.Фюрельера, как последствие началось широкое употребление этого термина у П.А.Гольбаха, у Ж.А.Кондорсе и т.д. и в конце XVIII века укоренилось во французском «Словаре Академии» (1798). Вопрос о противостоянии цивилизаций возникает как в художественной литературе, так и в научной. Но, значительные исследования начались в XIX веке. Тогда, когда «было издано несколько значительных исследований, в которых описываются цивилизации разных стран в различные периоды» и «...происходит разделение мира на «цивилизованную Европу» и «остальной мир» (реценз. статья, ст.8; Б.С.Ерасов. Цивилизации, универсалии и самобытность. М., 2002:13).

«Историографии не чуждо сравнение и сопоставление цивилизации» – пишет Р.Метревели и выделяет для рассмотрения исследования тех учёных, которые занимают важное место в изучении этой проблемы (Арн. Тойнби, О.Шпенглер, Д.Юм, Э. Гибсон, Дж.Фрэзер и др.).

Как известно, выдающийся британский историк, философ, культуролог и социолог **Арнольд Джозеф Тойнби** (Arnold Joseph Toynbee, 1889-1975), один из разработчиков цивилизационной теории, выделяет **21 цивилизацию**, а немецкий историософ, представитель философии жизни, публицист, автор книги «Закат Европы» Освальд Арнольд Готтфрид Шпенглер (Oswald Arnold Gottfried Spengler, 1880-1936) - 13.

И здесь автор ставит вопрос: **Где кавказская цивилизация? Почему её нет в списке?**

Как считает Р.Метревели: «Сложившееся в сегодняшнем мире положение, ускоренно протекающие процессы глобализации реально поставили вопрос цивилизаций. Влияние Запада на мир и противопоставление его остальным цивилизациям обусловливают «столкновения» цивилизаций...» (Сэмюэль Филлипс Хантингтон, Столкновение цивилизаций, 1993; Samuel Phillips Huntington 1927–2008, американский исследователь-аналитик, социальный философ и политолог. Основатель ведущего в США политологического журнала «Международные отношения» - Foreign Affairs).



Арнольд Джозеф Тойнби



Арнольд Готтфрид Шпенглер

Объясняя сущность цивилизаций, автор подтверждает, что кавказская цивилизация характеризуется всеми чертами, как и остальные названные - 21 или 13, «она - часть системы общеевразийской цивилизации и вписывается в ее контекст» (реценз. книга, ст.11).

И продолжает обсуждения - к чему нас готовит глобализация в 21 веке ...

В конце прошлого века глобализация стала актуальной темой для размышлений не только среди учёных, и до сих пор споры не прекращаются, а наоборот усилились. Общеизвестно, что термин «глобализация» родивший в трудах К. Маркса, в настоящее время перешел в несколько иную фазу: мир уже стал объединяться на технологических и экономических основах. Всем известно, что сегодня мировая торговля основана на транс-национализации, которая по сути своей представляет обмен между странами теми благами, которые в одном государстве есть в изобилии, а в другом отсутствуют.

Невозможно не замечать, как люди постепенно отказываются от национальных традиций, переходя к общемировым стереотипам и культурным ценностям. Например, глобализация культуры затронула все сферы...

Как считают ученые и эксперты мира, процессы глобализации не могут распределяться равномерно по всему миру, проблемы возрастают и в итоге - владельцы теряют деньги, а люди – работу. Такие перемены сильно задеваю национальную экономику каждой отдельной страны, вносят изменение в хозяйственные структуры, увеличивается уровень безработицы – т.е. как говорят - выживают сильнейшие...

Как показало время, Особенно 2020 году во время пандемии, глобализация – очень серьезный процесс, который **влияет и на мировую экономику и жизнь всех стран без исключения. Она объединяет весь мир - со всеми вытекающими из этого преимуществами и недостатками.**

Как считают эксперты, глобализация экономики – это ее постоянное развитие. Но здесь уже на первый план выходит проблема – появляется риск ликвидации национальных особенностей в культурной сфере и **вопрос «идентичности», который становится основным дискурсом, как науки, так и повседневной жизни.**

То, что учёные и исследователи считали негативными чертами глобализации, а это:


- Упадок промышленности;
- Увеличение безработицы;
- Монополизация экономики;
- Повышение спекулятивной экономики - которые увеличивают пропасть между ведущими западными и развивающимися странами.

Однако, несмотря на то, что все это общеизвестно, все равно стоит отметить, что **каждый человек является носителем той культуры, в которой он вырос. Специфические особенности своей культуры он воспринимает как данность. И при встрече с представителями других культур, люди начинают осознавать, что существуют также и другие формы поведения, мышления и т.д. которые существенно отличаются от привычных и известных для них. Эти впечатления трансформируются в сознании человека и уже потом (через сопоставление и противопоставление) происходит становление личной идентичности человека.**

Жизненный опыт показал, что глобализация обязательно касается распространению универсальных ценностей и тем не менее оставляя локальным культурам право на самоопределение. Но вопрос о путях совмещения глобального и локального как в целом, так и в рамках отдельных культур – остается все равно открытым. Попытки распространения регулирования на сферу локальных культур, расцениваются как угроза потери национальной, этнической, других видов идентичности... Начинается поиск стабильных, проверенных ориентиров. Таковыми ориентирами чаще всего выступают элементы традиционной этнической культуры, “культурное наследие”. Политика идентичности является ответом на специфический вызов глобализации – усугубление конфликтов между людьми, ощущающими себя в глобальном мире, и людьми локальной культуры. В настоящее время указанная проблема приобрела глобальный масштаб и это - конфликт мультикультуризма и идентичности.

Сегодня, в глобальном мире идентичность становится основным дискурсом, как для науки, так и повседневной жизни. Мы видим, что многие общества, народы и индивиды испытывают кризис идентичности, и что идентичность в ходе глобализации меняется.

Учёные считают, общение к культурному наследию, забота для сохранения, означает использование достижений и исторического опыта данной культуры. А в процессе глобализации в привычную жизнь человека традиционной культуры вливается новый, неизвестный многообразный мир и люди испытывают чувство



Сэмюэль Филипп Хантингтон



Фрэнсис Фукуяма

растерянности, лишаются ценностных ориентиров, которые трансформируются и способствуют утрате идентичности. Это очень сложный процесс и это тема другого формата...

Если выразиться словами академика Р.Метревели в XXI веке началась «настоящая война цивилизаций». Он рассматривает суждения известного американского философа, политолога, политического экономиста и писателя японского происхождения Ёсихиро Френсиса Фукуяма (1952) в статье «Конец истории» (реценз. книга, ст.12).

Неразрешенные конфликты и последствия войн могут быть трагическими, и если выразиться словами Ф.Фукуяма **«может погибнуть не какая-то одна империя, а вся цивилизация»** (реценз. книга, ст.12; Ф.Фукуяма, Полемика о статье «Конец истории», Диалог - США, 45, 1990, стр.12; С.Хантингтон, Столкновение цивилизаций, Полис, 1994, №1, стр. 33; Ср.:И.Валлерстайн, Анализ мировых систем и ситуация в современном мире, СПб, 2001, стр. 49-51. П.Дж.Бьюкенен, Смерть Запада, М.-СПб, 2004; А.Дж.Тойнби, Цивилизация перед судом истории, М., 2003).

Учёный считает, «по своей сути цивилизация является неотъемлемой частью глобальной истории. Глобализация, с одной стороны - процесс единый, цельный, а с другой – это расчлененный процесс развития с противоположно направленными векторами. Отношения между цивилизациями могут быть сложными ввиду того, что глобализационная версия каждой из них может направляться в противоположные стороны и порождать конфликт (реценз. книга, ст.12; А.С. Ахиезер, 2004: 219).

Автор обсуждает взгляды Арн. Тойнби и других ученых, в чем заключается опасность для цивилизаций во время кризиса. «У отдельной цивилизации есть сила, с которой она борется с версиями глобализации, предлагаемыми другими цивилизациями, хотя в любой цивилизации присутствует определенный потенциал культурной интеграции – способность привнести потоки инноваций в процесс глобализации» (реценз. книга, ст.13).

Процессы глобализации не везде встречают мирно и с пониманием. «Более того, люди испытывают определенный страх, что в результате глобализации может утратиться то собственное и важное, что необходимо для отождествления той или иной страны» (реценз. книга, ст.13-14).

Автор книги приводит пример, как выступления президента США Дональда Трампа, который «...открыто осудил глобализацию и подчеркнул значение патриотизма, формирования государств на основе любви к родине», вызвал агрессию со стороны глобалистов (реценз. книга, ст. 14).

Академик Р.Метревели напоминает, что несмотря на то, что - «кавказская культура традиционна, соответственно, традиционна и кавказская цивилизация» и специально заостряет «внимание на локальности и традиционности кавказской цивилизации», в «классификации цивилизаций кавказскую ученые вообще не упоминают... и для Арн.Тойнби цивилизации были определенными этапами развития человеческого общества, вызывающими однородные ассоциации в сфере религии, зодчества, живописи, обычаев и нравов – в сфере культуры вообще. Цивилизация по Тойнби это – культура, достигшая границы самоидентификации, способная находиться в рамках человеческой и глобальной цивилизации. Ученый среди т.н. зависимых цивилизаций упоминает православную христианскую религию в России. Наверное, это возможно, однако на этом фоне нам совершенно неправомерным представляется неупоминание, игнорирование кавказской цивилизации» (реценз. книга, ст.14-15).

В то время, когда современные учёные игнорировали упоминание кавказской цивилизации рядом с другими, «великие античные и средневековые империи опирались на отдельные центры цивилизации. Одним из таких центров для Евразийского континента был именно кавказский регион с его цивилизационной системой» (реценз. книга, ст.16).

**Общеизвестно, что каждая цивилизация имеет свои собственные ценности.** В современном мире идёт борьба, когда мораль и духовные качества переходят на задний план и создаются конфликты...

Академик Р.Метревели Обсудив глобальные катастрофы в историческом контексте (в том числе и пандемию 2020), возвращается к вопросу об изменении концепции цивилизации.

Автор анализирует имеющиеся источники по этой проблеме и высказывает своё мнение, что сегодня идет борьба и это борьба - за спасение мира! «Факт, что глобализация, в сущности, потерпела крах в мировом масштабе. Пандемия корона вируса ввергла мир в тяжелый кризис. Это - глобальный кризис...

Наступление коронавируса на мир вызовет и грандиозные цивилизационные изменения, изменится концепция цивилизации. Разумеется, эта пандемия - самая значительная после угрозы ядерной катастрофы, и она со всей полнотой ставит вопрос о необходимости самосохранения общества (реценз. книга, ст.22).

Ученый считает, что «все происходящие в мире процессы имеют существенное значение для Кавказа. Регион, в котором нарушена территориальная целостность входящих в него государств, более сотни тысяч сёл опустошены, разрушены сотни деревень, попрано достоинство людей, прежде всего, стремится к спокойствию – борется за всеобщий мир» (реценз. книга, ст.23).

Академик Р.Метревели рассматривает вопрос о внешней политике Кавказа (имеется в виду весь регион), которая развивалась в двух направлениях:

**а) политические и дипломатические отношения внутри региона, в кавказских странах.** Это было несколько трудным делом, так как Кавказ отличается национальной и религиозной пестротой, неодинаковым социальным и культурным уровнем. Все это в разное время порождало внутри кавказские проблемы. Поэтому наипервойшей задачей было именно обеспечение внутрикавказского мира (А.Койчуев, Северный Кавказ: проблемы мира и межнационального согласия, Caucasica, vol. 2, Tb., 1998, pp. 137-147)

**б) внешние отношения со странами, находящимися за пределами кавказского региона** (страны Европы, Азии и Африки») (реценз. статья, ст. 24).

По мнению учёного, «перманентное развитие внешних отношений обогащает внутреннюю жизнь этноса. Здесь же следует отметить, что бывают кризисные периоды, когда та или иная этническая территория становится ареной нашествия народов, стоящих на низком культурном уровне. Подобные явления часто наблюдались на Кавказе» (реценз. книга, ст. 24).

Как известно, кавказские страны и народы прошли долгий исторический путь... и периодические кризисы в отношениях неоднократно наблюдались на Кавказе. Например, такие этноконфликты, как вооруженный конфликт на территории Грузии инспирированный «центром», который по сей день нарушает нашу территориальную «целостность» и продолжает нарушать границу. Актуальность темы обусловлена тем, что на сегодняшний день также идёт война между Азербайджаном и Арменией, ставшая самой масштабной, продолжительной и кровопролитной в регионе с момента окончания Карабахской войны в 1994 году. И у каждой стороны есть свое мнение на счет того, что сейчас происходит в Нагорном Карабахе.

Как и многие учёные, Р.Метревели рассматривает один из путей преодоления кризисных явлений – «диалог культур», хотя также отмечает, что «диалог культур (цивилизаций) не является инновацией, он существует между народами мира» (реценз. книга, ст. 27).

Как ученые считают и высказывают свои мнения, «нужно разработать новую концепцию диалога, ...что идеология межкультурного диалога должна быть разработана на основе консенсуса между двумя течениями господству-

ющих сегодня мировоззрений – антропоцентрического («западного») и космоцентрического («восточного»)» (реценз. книга, ст. 28).

Ряд историков занимается проблемами цивилизаций Восток-Запад. В изучении проблематики значительный вклад внесли и грузинские учёные.

Анализируя эти важные вопросы современности, учёный аргументировано утверждает мнение, что стремление к взаимопониманию и диалог - «это желание мирового сообщества найти систему ценностей, которая сменит стратегию существующей ныне системы, ориентированной на идеал потребительского общества. Именно во время общения между культурами возможно возникновение новых ценностей, отличных от традиционных. Это будет не продление существующего техногенного развития, а существенное его изменение. Для всего этого нужна революция духовности (в противовес тому, что было в эпохи Ренессанса и Реформации) (реценз. книга, ст. 28).

Основная проблема исследования заключается в уточнении места кавказской цивилизации в мировом сообществе. И потому на первое место выдвигается вопрос будущего Грузии - определить своё место в мировых политических и экономических отношениях, о евразийском статусе страны, когда ещё современный этап политической, культурной и социально-экономической жизни страны выглядит сложным.

В заключение первой главы автор книги «Где кавказская цивилизация?» напоминает о значение Кавказа на Евразийском континенте, и насколько важно восстановление территориальной целостности государств, когда на первый план выходят проблемы национальных интересов... Когда баланс нарушен, а сепаратистские силы создают угрозу нестабильности...

Вторая часть книги «Один вопрос противопоставления Востока и Запада» - посвящена предвзятым, ложным, некомпетентным выводам о Грузии и искажение её истории игнорируют реальные факты. Эта, рецензия на книгу Олжаса Сулейманова «Аз и Я». Автор рассматривает поверхностные суждения О.Сулейманова, который с иронией упоминает известного и всеми любимого грузинского прозаика К. Гамсахурдия и его роман.

Об этом ещё в 1977 году академик Р.Метревели опубликовал статью, но О.Сулейманов к сожалению, мало того, что не исправил ошибки, а наоборот, переиздал книгу несколько раз с искажёнными фактами.

Особенно важны пояснения, приложенные к тексту.

В заключение хотелось бы подчеркнуть, что книга отличается высокой информативностью, количеством использованной в ней научной литературы и обилием примеров.

Думаю, если объективно оценить все вышесказанное, мы придем к правильному выводу, что эта книга Р. Метревели «Где кавказская цивилизация?» важна для современных грузинских историков.

В связи с актуальностью исследовательского вопроса, материалы, исследования и выводы, содержащиеся в столь малой книге, требуют нового



Иоганн Фридрих Блюменбах  
(Johann Friedrich Blumenbach)  
1752-1840

оригинальность, она имеет практическо-теоретическое значение, что делает книгу соответствующей общепринятым международным требованиям и традициям.

Представленные факты, аргументы и выводы позволяют углубить важность и актуальность вопроса.

Рецензию хочу закончить словами известного немецкого антрополога Иоганна Фридриха Блюменбаха (Johann Friedrich Blumenbach, 1752-1840), одним из первых давшего расовую классификацию человечества, а также считавшего Кавказ прородиной Белой расы и введшего в научный оборот термин Кавказская раса для обозначения Европеоидов:

“Кавказский тип — для изучения я взял именно этот тип, горский тип Кавказа, потому как его южный склон производит самую красивую расу людей, под этой расой я в первую очередь подразумеваю грузин. Все физиологические признаки сводятся к этому. Таким образом, мы должны с большой уверенностью утверждать, что Кавказ — это место рождения человечества” [Blumenbach, *De generis humani varietate nativa* (3rd ed. 1795), trans. Bendyshe (1865). Quoted e.g. in Arthur Keith, *Blumenbach's Centenary, Man, Royal Anthropological Institute of Great Britain and Ireland* (1940)].

понимания. Работа заслуживает достойное место в изучении этих вопросов.

Как мы уже говорили, этот вопрос ставился грузинскими учеными на всех исторических всемирных конгрессах с 1990-х годов. Из-за сложности вопроса (иногда из-за отсутствия волеизъявления) он практически не решен до сих пор. В этом году вопрос должен был снова обсуждаться на Всемирном конгрессе историков и снова был приостановлен из-за пандемии.

На сегодняшний день итог таков — кавказской цивилизации в научной литературе и источниках, к сожалению, пака нигде не видно! Поэтому автор счител необходимым еще раз напомнить нам об этой проблеме и снова поднять ее в сложных реалиях сегодняшнего мира.

В этом новизна данной книги, а также ее

### **Список литературы и интернет-ресурсы:**

1. Семененко И.С. Глобализация и социокультурная динамика: личность, общество, культура // Полис. 2003. №1.
2. Федотова Н.Н. Кризис идентичности в условиях глобализации // Человек. 2003. №6.
3. Богатырева Т.Г. Государство и культура в условиях глобально-локальной динамики // Вестник Московского университета. Сер. 18. Социология и политология. 2002. №5.
4. Эрикссон Э.// Идентичность: Юность и кризис М.: 1996
5. Грушевицкая Т.Г., Попков В. Д., Садохин А. П./Основы межкультурной коммуникации. 2002.
6. Кон И. С./ В поисках себя. Личность и ее самопознание М.: 1984
7. Л.Г. Ионин // Социология культуры М.: Логос 1998
8. Ядов В.А. // Процессы идентификации российских граждан в социальном пространстве, 1999-2002
9. Стефаненко Т.Г. // Этнопсихология, М.: 1999
10. Лурье С.В. // Историческая этнография, М.: 1998
11. Хантингтон, С. Кто мы? Вызовы американской национальной идентичности. М.: ACT.2004; Huntington,S. Who are we? Challenges to America's national identity. 2004.
12. Б.С.Ерасов. Цивилизации, универсалии и самобытность. М.,2002.
13. [https://lib.ru/POLITOLOG/FUKUYAMA/konec\\_istorii.txt.pdf](https://lib.ru/POLITOLOG/FUKUYAMA/konec_istorii.txt.pdf).
14. <https://e-reading.life/book.php?book=61484>
15. <https://shguno.livejournal.com/86684.html>
16. <https://www.livelib.ru/author/236120-arnold-tojnbi.pdf>.
17. Самюэль Хантингтон; Столкновение цивилизаций,.pdf.
18. Фрэнсис Фукуяма; Конец истории и последний человек, 2004.pdf.

### **ძირითადი სტატებები**

**ცივილიზაციათა შორის დაკირისპირების პრობლემათიკა  
რეცენზია აკადემიკოს რ. მეტრეველის წიგნზე „სად არის კავკასიური  
ცივილიზაცია?“**

რეზიუმე

აკადემიკოს როინ მეტრეველის სარეცენზიონო წიგნი „სად არის კავკასიური ცივილიზაცია?“, თბილისი, 2020, 50 გვ., რედაქტორები: ლუიზა მეტრეველი, ნანა კიკნაძე; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია – როგორც სათაურიდან ჩანს, ეძღვნება „კავკასიური ცივილიზაციის ბედს“, ანუ კავკასიური ცივილიზაციის ადგილის და როლის პრობლემას, მის იგნორირებას მსოფლიო ცივილიზაციების საერთო სიიდან. წიგნი ეხება მრავალ აქტუალურ და ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულ თემას. ავტორი თანამედროვეობის უმნიშვნელოვანესს საკითხებს განიხილავს.

აკადემიკოს რ. მეტრეველის კვლევის შედეგი კი ასეთია - ჯერ არსად ჩანს სამეცნიერო ლიტერატურასა და წყაროებში კავკასიური ცივილიზაცია. ამიტომ ჩათვალა ავტორმა ამ პატარა წიგნით კვლავ შეეხსენებინა ეს პრობლემა და დღევანდელ მსოფლიო რთულ რეალობაში ისევ დააყენა ეს საკითხი.

ეს არის ამ წიგნის სიახლე, მისი ორიგინალობაც. მას პრაქტიკულ-თეორიული მნიშვნელობა გააჩნია, რაც წიგნს საერთაშორისო საერთო მოთხოვნების და ტრადიციების შესაბამისად ხდის.

წარმოდგენილი ფაქტები, არგუმენტები და დასკვნები საშუალებას იძლევა ჩაუღრმავდეთ საკითხის მნიშვნელობასა და აქტუალობას.

**საკვანძო სიტყვები:** კავკასიური ცივილიზაცია, გლობალიზაცია, მსოფლიო ცივილიზაცია.

KETEVAN AKHOBADZE

## THE PROBLEMATIC OF CONTRADICTIONS BETWEEN CIVILIZATIONS.

**Review of the book “Where is the Caucasian civilization?”**

**Academician R. Metreveli**

### Abstract

Academician Roin Metreveli's review book "Where is the Caucasian Civilization?", Tbilisi, 2020, 50 pages, editors: Luiza Metreveli, Nana Kiknadze; Georgian National Academy of Sciences - as the title suggests, is dedicated to the "fate of the Caucasian civilization". That is, the problem of the place and role of the Caucasian civilization, its ignorance from the general list of world civilizations. The book deals with many actual and closely related topics. The author discusses the most important issues of modernity, of modern world.

The result of the research of academician R. Metreveli is as follows - the Caucasian civilization is nowhere to be seen in scientific literature and sources. Therefore, the author considered this small book to remind him of this problem again and to raise this issue again in the difficult reality of today's world.

This is the novelty of this book, its originality as well. It has a practical-theoretical meaning, which makes the book in accordance with the common international requirements and traditions.

The presented facts, arguments and conclusions allow us to deepen the importance and urgency of the issue.

**Keywords:** Roin Metreveli; Caucasian civilization; World civilization; Georgia.

## მაგდანა გურგულიანი

### ლეჩების კულტურული მემკვიდრეობა

#### რეცენზია ვალერი ასათიანის წიგნ- ალბომზე „ლეჩების საქართველო“

ცნობილი ქართველი მეცნიერის, პროფესორ ვალერი ასათიანის სარეცენზიონ წიგნი-ალბომი „ლეჩების საქართველო“ (თბილისი, 2019, 186 გვ., იდეა და ტექსტი: ვალერი ასათიანი; დიზაინი: გიორგი ჯანბერიძე; ასოციაცია „კულტურათა დიალოგი XXI“, ISBN 978-9941-8-1315-3) ეძღვნება საქართველოს ერთ-ერთ ულამაზეს ისტორიულ-გეოგრაფიულ მხარეს – ლეჩების, რომელიც დღევანდელი ცაგერის მუნიციპალიტეტს წარმოადგენს.

რეცენზიის დასაწყისშივე მინდა ალენიშვილი, რომ წარმოდგენილი წიგნი-ალბომი უხვადა ილუსტრირებული, განკუთვნილია ფართო მკითხველისთვის და თავისი არსით – საგანმანათლებლო-საცნობაროა. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ წიგნი ენციკლოპედიური ხასიათისაა. წიგნი-ალბომი ამომწურავად ასრულებს თავის მისიას – სრულად, გამოწვლილვით აღინუსხოს ის უნიკალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, რომლებიც ამ უძველეს ისტორიულ-გეოგრაფიულ მხარეში მდებარეობს.

პროფესორი ვალერი ასათიანი მეტად საინტერესოდ, ამასთან პოპულარულად გვაწვდის ლეჩების ისტორიას. საგანგებოდ ჩერდება სახელწოდების ეტიმოლოგიაზე. მიუთითებს, რომ „ლეჩების“ ეტიმოლოგიის ირგვლივ რამდენიმე მოსაზრება არსებობს. ყველაზე უფრო გავრცელებული მოსაზრებით, სახელწოდება უკავშირდება „თევზს“ (მეგრული „ჩების“ – თევზის მიხედვით) და სვანურ „ცხების“ (რცხილის მიხედვით). მკვლევრების წანილი მიიჩნევს და უფრო სარწმუნოდ მიაჩნიათ, რომ „ლეჩების“ მეგრული წარმოშობისაა.

ქართული წყაროების გარდა, „ლეჩების“ ბიზანტიურ, ბერძნულ, სომხურ წყაროებშიც მოიხსენიება. მაგალითად, ბიზანტიურ წყაროებში, ეს ტერიტორია პირველად VI საუკუნეში სკვიმნიას სახელწოდებით გამოჩნდა (ისტორიოსი პროკოპე კესარიელი) და მის ბიზანტიურ შესატყვისს წარმოადგენდა.

შუა საუკუნეებში (დაახლოებით XIII საუკუნიდან) ქართული წყაროები მოიხსენიებნ თაკვერისა და რაჭა-ლეჩების საერისთავოს. ამგვარად, გვიანანტიკურ ხანაში ლეჩების ცნობილი იყო „სკვიმნიას“ სახელით, VII-XIV საუკუნეებში იგი იხსენიება როგორც „თაკვერი“. XIV საუკუნიდან კი მკვიდრდება ტერმინი „ლეჩების“.

ლეჩხუმის ისტორიის მკვლევრების თვალსაზრისით, ის „წარსულში... კოლხეური კულტურის წარმოშობის ერთ-ერთი ადგილია... აქ „ადამიანის ცხოვრების კვალი (სოფლები – ნაკურალები, ზუბი, ზედა ტვიში, დღნორისა) ქვის ხანიდან ჩანს“ (ნ.სულავა), რასაც არქეოლოგიური არტეფაქტები ადას-ტურებს“ (სარეცენზიო ნაშრომი გვ.12).

ლეჩხუმის ცენტრი, ძველი დროიდან, ციხე-ქალაქი ცაგერი ყოფილა.

ვ.ასათიანის მიერ წარმოდგენილი წიგნი-ალბომი, ლეჩხუმის მხარის მოსახლეობის, მათი ისტორიული წარსულის შესახებ დაგროვილი ინფორმაციის, მეცნიერთა და მკვლევართა მიერ აღწერითა და კვლევის შედეგად მიღებული მასალის წარმოჩნდით, საშუალებას იძლევა ამ ისტორიულ-გეოგრაფიული მხარის მრავალფეროვანი სურათი დავინახოთ.

წიგნ-ალბომის სტრუქტურა საინტერესოდაა აგებული.

დასაწყისშივე წარმოდგენილი სარჩევი ასე გამოიყურება: ისტორია; ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლები; ცაგერის ისტორიული მუზეუმი; ეთნოგრაფია; ბუნება; აკაკი ლეჩხუმში; ლადო ასათიანი; ჯანსულ ჩარკვიანი; ლეჩხუმის სოფლები; გავრცელებული გვარები და სახელები; ლეჩხუმური დიალექტის ლექსიკონი; Lechkhumi (ინგლისურენოვანი ტექსტური მასალა); ბიბლიოგრაფია.

მეცნიერის მთავარი მიზანი დასაწყისიდანვე კარგად იკვეთება – ეს წიგნში მოცემული კონკრეტული გეოგრაფიული არეალის მრავალფეროვნების წარმოჩნდება. თავი „ისტორია“ ვახუმტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“-დან ლეჩხუმზე არსებული მასალით იწყება, რომელიც ქართველი არქეოლოგების და ეთნოგრაფების შესწავლის შედეგად მიღებული მასალის გაშლით, თვალსაჩინო მასალით გამდიდრებულ მხარის ისტორიის სურათს იძლევა. ვ.ასათიანი ხაზს უსვამს, რომ კოლხეთის ერთ-ერთი უმშვენიერესი მხარე – ისტორიული ლეჩხუმი დიდი ხანია იპყრობს მკვლევართა ყურადღებას, როგორც ბრინჯაოს ხანის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მეტალურგიული კერა კოლხური კულტურის ერთიან სივრცეში.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თავი – „ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლები“, რომელშიც აღნუსხულია 130-მდე ქართული ეკლესია-მონასტერი და ციხე-კოშკი სხვადასხვა კონფესიურ ნაგებობასთან ერთად. ალსანიშნავია, რომ ლეჩხუმის გეოგრაფიულმა მდებარეობამ მისი სრტატეგიული მნიშვნელობა განაპირობა. ამიტომაა ეს მხარე მდიდარი საფორტიფიკაციო ნაგებობებით. ჩამონათვალს თვალსაჩინოებისათვის თან ახლავს ილუსტრაციების უხვი მასალა და ტექსტი რამდენიმე უმნიშვნელოვანესი ნაგებობის შესახებ – გვესოს კომპლექსი, მურის ციხე, ორბელის ციხე...

როგორც ცნობილია, ლეჩხუმში პირველი არქეოლოგიური ექსპედიცია, დიდი ექვთიმე თაყაიშვილის ხელმძღვანელობით მოეწყო (1910), რომლის შედეგებიც მოგვიანებით, პარიზში 1937 წელს გამოცემულ წიგნში – „არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს“ აისახა. ლეჩხუმის ისტორიისა და ყოფის სესწავლას დიდი ამაგი დასდეს გამოჩენილმა ქართველმა მეცნიერებმა გიორგი ჩიტაიამ, მიხეილ ალავიძემ, გიორგი ბოჭოიძემ და სხვ.

პროფესორი ვ. ასათიანი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ს. ლაილაშვი აღმოჩენილ განძს. მნიშვნელოვნად წარმოაჩენს ლეჩებუმში ებრაელთა ჩამოსახლების ისტორიას (ქართული ისტორიული წყაროების მიხედვით ებრაელები საქართველოში, ნაბუქოდონისორის მიერ ძვ.წ. 586 წელს, იერუსალიმის დარბევის შემდეგ ჩამოვიდნენ).

ყურადღებას აქცევს ებრაული დასახლების სოფლებს (თაბორი, ლაილაში...), აქ არსებულ საკულტო ნაგებობას (ლაილაშის სინაგოგა). სავსებით მართებულადა განსაკუთრებულადაა წარმოდგენილი „ლაილაშის ბიბლია“ (X).

წიგნი-ალბომის – „ლეჩებუმი საქართველო“ ავტორი, ძალიან საინტერესოდ ამახვილებს ყურადღებას საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების საკითხზე და ლაკონურად, მკითხველისთვის გასაგებად აღწერს VII საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი წმინდანის, ბიზანტიული მოაზროვნის და ლვთისმეტყველის – მაქსიმე აღმსარებელთან დაკავშირებულ „ლეჩებუმურ“ ცხოვრებასა და მოღვაწეობას. გადმოცემით და ქართველი თუ უცხოელი მეცნიერების ვარაუდით, წმიდა მაქსიმე სოფელ მურშია დასაფლავებული, რომლის წმინდა ნაწილი (მოკვეთილი მარჯვენა) ამჟამად, ათონის მთაზე ინახება.

პროფესორი ვ. ასათიანი მართებულია, როცა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს წმინდა მაქსიმე აღმსარებლის საქართველოში დაკრძალვის შესაძლებლობას და წარმოაჩენს მასალას, რომელიც ამ ფაქტს ადასტურებენ. თავდაპირველად, მიუხედავად წერილობითი წყაროებისა, წმინდანის საბოლოო განსასვენებლის ზუსტი ადგილმდებარეობა ვერ დადგინდა. ეს, შესაძლებელი გახდა მხოლოდ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II ლოცვა-კურთხევითა და ძალისხმევით. დაიწყო კვლევა, მოეწყო სამეცნიერო ექსპედიცია (2010-2011). წმ.მაქსიმე აღმსარებლის მონასტრის ეკლესიის ტრაპეზის ქვემოთ, არქეოლოგიური გათხრების შედეგად, ადამიანთა ნეშტები აღმოჩნდა. ქართველმა არქეოლოგებმა და ანთროპოლოგ-პალეოპათოლოგებმა ჩატარებული კვლევებით დაადასტურეს, რომ „აღმოჩენილი წმინდა ნაწილები ნამდვილად ეკუთვნის წმ. მაქსიმე აღმსარებელს“ (სარეცენზიონი ნაშრომი გვ.49).

უთუოდ მისასალმებელია, რომ წიგნი-ალბომი უხვადაა ილუსტრირებული, რაც საშუალებას იძლევა, ნათლად იქნეს წარმოჩენილი ლეჩებუმის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები. განსაკუთრებულად საინტერესოა ალბომის ის ნაწილი რომელიც ვარლამ მახარობლიდის სახელობის ცაგერის ისტორიულ მუზეუმში დაცულ უნიკალურ მასალას ასახავს.

როგორც ცნობილია, ცაგერის ისტორიული მუზეუმი 1937 წელს დაარსდა და საფუძველი ამ უმნიშვნელოვანეს მოვლენას, მხატვარმა, პედაგოგმა და საზოგადო მოღვაწემ – ვარლამ მახარობლიძემ ჩაუყარა. ასევე ცნობილია, რომ მუზეუმის ექსპონატების დიდი ნაწილი, სწორედ მის მიერ იყო მოძიებული, შეძენილი. მუზეუმში დაცული დაახლოებით 10 000-მდე ექსპონატს შორის განსაკუთრებულ ყურადღებას ქვის, ბრინჯაოს, სპილენძის, ვერცხლის და ოქროს ნივთები იძყრობს: ბრინჯაოს მხედარი, აღმოსავლური და კოლხური ბრინჯაოს სტილიზებული ცულები, კავკასიური სიკილი, ხეთური

ლაგამი, ქვის ხანის იარაღები: ცულ-წერაქვი, ისრისპირები, სახნისი, დანები; ნუმიზმატიკის ნიმუშები – ალექსანდრე მაკედონელის მონეტა, ლიზიმაქეს ოქროს სტატერი, კეისრების: ოქტავიანესა და ადრიანეს მონეტები, არაბული და თურქული მონეტები და სხვ.

მუზეუმში, XVII-XIX საუკუნეების საეკლესიო ნივთებთან და იშვიათ ბიბლიოგრაფიულ გამოცემებთან ერთად, ცნობილი ფოტოგრაფების დ. ერმაკოვის და ალ. რონიშვილის უნიკალური ფოტომასალაც ინახება ლეჩეუმზე. მიუხედავად მძიმე პირობებისა და მომხდარი ხანძრისა, საბედნიეროდ, მუზეუმის ძირითადი ფონდი გადარჩა. მუზეუმს ფილიალები აქვთ: ლადო ასათიანის სახლ-მუზეუმი – ს. ბარდნალაში, სევერიან ისაძინის სახლ-მუზეუმი ზოგიშვი, არჩილ გელოვანის სახლ-მუზეუმი ს.სპათაგორში ([http://www.dzeglebi.ge/statiebi/arqeologia/varlam\\_maxaroblidzis\\_saxelobis.html](http://www.dzeglebi.ge/statiebi/arqeologia/varlam_maxaroblidzis_saxelobis.html)).

საინტერესოდ არის წიგნი-ალბომის შემდეგი თავის „ეთნოგრაფია“ – სტრუქტურა აგებული. მასში წარმოდგენილი საინტერესო მასალის შინაარსიც და თანმიმდევრობაც ორიგინალურია.

საყოველთაოდ ცნობილია, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ხალხის ყოფისა და კულტურის შესწავლა. ხალხის კულტურულ ისტორიული კავშირები, რადგან საჭიროა ეთნიკურ კულტურათა საერთო და განსხვავებულ ფორმათა წარმოჩენა, მათი განვითარების კანონზომიერებები. ამ თვალსაზრისით, წიგნი-ალბომის ავტორი პროფესორი ვ.ასათიანი ლეჩეუმში სხვადასხვა დროს ჩატარებული ექსპედიციების და არსებულ ფოტომასალებზე დაყრდნობით, მეტად ღრმად და საინტერესოდ წარმოგვიდგენს ლეჩეუმის ეთნოგრაფიულ ყოფას. მოიხილავს რა – მემინდვრების კულტურიდან დაწყებული, მხარეში გავრცელებულ მჭედლობას, ხეზე ოსტატობას, „ქვითხურობას“, ლეჩეუმის „სამშენებლო მოხელეთა“ ოსტატობას, ფარდაგების ქსოვის და თელვის, სამოსის მრავალფეროვან სახეობას და მისი ღებვის ადგილობრივ კულტურას.

სარეცენზიონი წიგნის ავტორი ტექსტთან ერთად, პანორამული და ულამაზესი ხედებით გამორჩეული ფოტოების საშუალებით, მნახველს გასაოცარ წარმოდგენას აძლევს ლეჩეუმის მდგრადი სახლების ტიპზე, ჭურ-მარანის, წისქვილის, დღეობა-დღესასწაულის, სხვადასხვა კულტთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენების შესახებ.

ლეჩეუმის ბუნებრივი და კლიმატური პირობებიც გამოირჩევა. კარსტული მასივებით, მინიშქვეშა დინებებით, მღვიმეებით, სუბალპური და ალპური მდელოებით, წიფლის ტყეებით, ტბებითა და ჩანჩქერებით მდიდარი ბუნება ყოველთვის იზიდავდა მნახველს.

არ არის შემთხვევითი, რომ განსაკუთრებული სიფაქიზითაა წარმოდგენილი ხვამლის მთა. ლეჩეუმელები ამაყობენ ამ ლამაზი სანახაობით (არ ივიწყებენ, რომ ზოგიერთი მეცნიერისა თუ მოგზაურის აზრით ამ მთაზე იყო მიჯაჭვული ამირანი (პრომეთე).

საინტერესოდ განიხილება შემდეგი თავი „ბუნება“, რომელიც ულამაზესი ფოტომასალის საშუალებით, მნიშვნელოვან წარმოდგენას შეგიქმნით ლეჩეუმის ლანდშაფტზე.

თითქმის ყველა ქართველმა იცის, რომ 1912 წელს ჩვენმა სასიქადულო მწერალმა აკაკი წერეთელმა რაჭა-ლეჩებუმში რომ იმოგზაურა. მოგზაურობის ფაქტს, რეჟისორ ვასილ ამაშუკელის 44 წუთიანი, პირველი ქართული სრულმეტრაჟინი ფილმი „აკაკის მოგზაურობა“ ადასტურებს. ლეჩებუმისათვის ამ მნიშვნელოვან მოვლენაზე, ყურადღებს ამახვილებს წიგნი-ალბომის ავტორიც – ვალერი ასათიანი.

ლეჩებუმიდან არაერთი ღირსეული მამულიშვილი, ცონბილი მეცნიერი, პოეტი და საზოგადო მოღვაწე იყო წარმომობით.

ერთგვარი ხიბლის მატარებელია წიგნის ბოლოს ლადო ასათიანის და ჯანსულ ჩარკვანის ლექსები.

სრულყოფილებისათვის, ავტორს სკრუპულოზურად აქვს შესწავლილი ლეჩებუმის ისტორია მისი განვითარების სხვადასხვა ეტაპზე ყველა ჭრილში, რასაც წიგნი-ალბომის მთლიანი სტრუქტურა, ბიბლიოგრაფიის შთამბეჭდავი ჩამონათვალი ადასტურებს.

დასასრულს, საგანგებოდ მინდა ალვნიშნო, რომ სარეცენზიო წიგნი-ალბომი „ლეჩებუმი საქართველო“ ინფორმაციულობის მაღალი ხარისხით, მასში გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურის რაოდენობით და მაგალითების სიუხვით, გ.ჯანბერიძის დიზაინის და ფოტომასალის მაღალი ხარისხით გამოირჩევა.

ალსანიშნავია ისიც, რომ წინამდებარე წიგნი-ალბომი ლეჩებუმის კულტურული მემკვიდრეობის ერთიან მონაცემთა სრული ილუსტრირებული ბაზის შექმნას უწყობს ხელს.

ვფიქრობ, ის უახლესი ქართული საისტორიო, ეთნოლოგის, კულტურის მეცნიერებათა სხვადასხვა მიმართულებისათვის მნიშვნელოვანი შენაძენია და საზოგადოება უდიდესი ინტერესით გაეცნობა.

### ბიბლიოგრაფია:

1. გამოყენებული ლიტერატურა და ინტერნეტ-რესურსი:
2. [http://www.dzeglebi.ge/statiebi/arqeologija/varlam\\_maxaroblidzis\\_saxelobis.html](http://www.dzeglebi.ge/statiebi/arqeologija/varlam_maxaroblidzis_saxelobis.html)
3. <http://www.nplg.gov.ge/publishers/fotoebi/index.php?do=view&id=16979>
4. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, VI, „ლეჩებუმი“, 1983.
5. ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი, რედ. ე.ნადირაძე, თბ., 2011.

---

**MAGDANA GURGULIANI**

**CULTURAL HERITAGE OF LECHKHUMI**

**Review of Valeri Asatiani's book-album "Lechkhumi Georgia"**

**Abstract**

Valeri Asatiani's book-album "Lechkhumi Georgia", Tbilisi, 2019, 186 pages; Idea and text: Valeri Asatiani; Design: Giorgi Janberidze; Association "Dialogue of Cultures XXI", ISBN 978-9941-8-1315-3 - as the title suggests, the richly illustrated book-album is dedicated to one of the most beautiful historical-geographical parts of Georgia - Lechkhumi, which is the present-day Tsageri municipality.

The book-album is well illustrated, which allows Lechkhumi cultural heritage monuments should be well presented.

Valeri Asatiani's book-album "Lechkhumi. Georgia" is a great acquisition for Georgian Humanitarian Science and for the public, because it stands out with a high degree of informativeness, the amount of scientific literature used, with an abundance of examples, by design and with high quality photo material

The book-album will help to create a complete illustrated database of Lechkhumi cultural heritage.

**Keywords:** Cultural Heritage; Lechkhumi; Georgia;

**МАГДАНА ГУРГУЛИАНИ**

**КУЛЬТУРНОЕ НАСЛЕДИЕ ЛЕЧХУМИ**

**Рецензия на книгу-альбом Валерия Асатиани «Лечхуми Грузия»**

**Резюме**

Представленная на рецензию книга-альбом «Лечхуми Грузия», Тбилиси, 2019, 186 страниц, идея и текст: Валерий Асатиани; Дизайн: Георгий Джанберидзе; Ассоциация «Диалог культур XXI», ISBN 978-9941-8-1315-3 - как следует из названия, книга посвящена одному из красивейшему историко-географическому уголку Грузии - Лечхуми, который является нынешним Цагерским муниципалитетом.

Книга-альбом богата иллюстрирована, что позволяет наглядно представить памятники культурного наследия Лечхуми.

Книга-альбом Валерия Асатиани «Лечхуми Грузия» - большое приобретение для грузинских гуманитарных наук и для общества, так как отличается высокой информативностью, обилием научной литературы и примеров, дизайном и качественными фотографиями.

Книга-альбом поможет создать иллюстрированную базу данных культурного наследия Лечхуми.

**Ключевые слова:** Культурное наследие; Лечхуми; Грузия;

## ახალი წიგნები

### **როინ მეტრეველი, სად არის კავკა- სიური ცივილიზაცია? თბ., 2020**

წიგნი ეძღვნება კავკასიური ცივი-  
ლიზაციის „ბედს“, ანუ კავკასიური ცი-  
ვილიზაციის ადგილის და როლის წარ-  
მოჩენას მსოფლიო ცივილიზაციათა  
რიგში. ავტორი გაუმართლებლად მი-  
იჩნევს მის იგნორირებას მსოფლიო  
ცივილიზაციებისადმი მიძღვნილ სპე-  
ციალურ ლიტერატურაში. ამიტომ მან  
საჭიროდ ჩათვალა თანამედროვეობის  
მრავალი აქტუალური და ერთმანეთთან  
მტკიდროდ დაკავშირებული საკითხის  
განხილვის ფონზე კიდევ ერთხელ წინა  
პლანზე წამოენია აღნიშნული პრობლემა  
და კვლავ შექხსენებინა სამამულო თუ  
საერთაშორისო სამეცნიერო წრებისა-  
თვის, რომ კავკასიური ცივილიზაცია  
სამართლიანად იმსახურებს ლირსეული  
ადგილის დამკვიდრებას მსოფლიო ის-  
ტორიაში.

### **მარიამ ლორთქიფანიძე, რჩეული ნაწერები, წ. II, 2020**

წიგნში შეტანილია აკად. მ. ლორთქ-  
იფანიძის სხვადასხვა დროს პერიოდულ  
გამოცემებსა და კრებულებში გამოქვეყ-  
ნებული ნარკვევები, სადაც განხილულია  
შუა საუკუნეების საქართველოს სო-  
ციალური, პოლიტიკური და კულტურუ-  
ლი განვითარების ისტორიის, ქართული  
ისტორიოგრაფიისა და წყაროთმცოდნე-  
ობის მნიშვნელოვანი საკითხები.

### **ალექსანდრე თაბუაშვილი, ნიკო ჯა- ვახიშვილი, მეფე ერეკლე II-ის დაბადების თარილის დაზუსტებისთვის, თბ., 2020**

წიგნში დეტალურად არის შესწავ-  
ლილი ყველა წერილობითი წყარო რო-  
მელშიც შემონახულია ცნობები მეფე  
ერეკლე II-ის დაბადების შესახებ. ყველა  
მონაცემებზე დაყრდნობით ავტორების  
მიერ დადგენილია, რომ ერეკლე II და-  
იბადა 1720 წლის 7 ოქტომბერს და არა  
7 ნოემბერს, როგორც მანამდე იყო მიჩ-  
ნეული. წიგნის გამოცემა მიეძღვნა გა-  
მოჩენილი მეფის დაბადების 300 წლის-  
თავს.

### **ვ. ასათიანი, ლეხებუმი - საქართველო, თბ. 2019.**

წიგნი-ალბომი ენციკლოპედიური  
ხასიათისაა, მასში წარმოჩენილია საქა-  
რთველოს ისტორიული რეგიონის ლეხე-  
ბუმის ბუნება, ისტორია, ისტორიული  
გეოგრაფია, ეთნოგრაფია, კულტურული  
მემკვიდრეობის ძეგლები, ონოშასტიკა,  
ლეჩეუმური დიალექტი და ა.შ. წიგნი  
უხვადაა ილუსტრირებული მაღალი ხა-  
რისხის ფოტომასალით.

### **ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, შეად- გინა თამაზ ჯოლოგუამ, თბ., 2019**

წიგნი ეძღვნება ქართველთა შო-  
რის წერა-კითხვის გამავრცელებელი  
საზოგადოების ისტორიის ძირითად სა-

კითხებს. ნაჩენებია, რომ აღნიშნული საზოგადოება ათეული წლების განმავლობაში იყო ეროვნული კულტურის ძირითადი ცენტრი, რომელიც, გარდა სასკოლო-საგანმანათლებლო და საბიბლიოთეკო კერების დაარსებისა, იდეურად და მატერიალურად ქმარებოდა ქართულ თეატრს, გამომცემლობებს, ხელს უწყობდა სამეცნიერო და სალიტერატურო პროცესების განვითარებას, ექცევა და თავს უყრიდა ძველ ქართულ ხელნაწერებსა და ნაბეჭდ წიგნებს, ისტორიულ-არქეოლოგიურ მასალასა და ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს, სტიპენდიებს უნისავდა რუსეთსა და საზღვარგარეთ მოსწავლე ახალგაზრდებს და ა. შ. წიგნი ეძღვნება საზოგადოების დაარსების 140 წლისთავს.

### **კონსტანტინე კანდელაკი, ქართული საკითხი თავისუფალი სამყაროს წინაშე, თბ., 2019**

წიგნის ავტორი კონსტანტინე კანდელაკი საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი იყო. “ქართული საკითხი თავისუფალი სამყაროს წინაშე” პარიზში გამოიცა 1953 წელს ფრანგულ ენაზე და პირველად ახლა ითარგმნა. ავტორი უძრესად მნიშვნელოვან მასალას გვანვდის საქართველოს პირველი რესპუბლიკის (1918-1921 წ.). სამინა და საგარეო პოლიტიკის არაერთი კარდინალური საკითხის შესასწავლად.

### **ვახტანგ გურული, საქართველოს ახალი ისტორია (1801-1918), წიგნ III, თბ., 2019**

2018 წელს საქართველოს საპატირიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის გამოცემლობა “ქართულმა უნივერსიტეტმა” გამოსცა ჩვენი „საქართველოს ახალი ისტორიის (1801-

1918)“ მეორე წიგნი. ამჯერად მეითხველს ვთავაზობთ „საქართველოს ახალი ისტორიის“ მესამე წიგნს

**გიორგი არქანია, გიგი გიოშვილი, გიორგი ჯავახიშვილი, გიორგი ბუცხრიკიძე, ეროვნული ხელისუფლების 419 დღე, თბ., 2019**

„უახლესი ისტორიის ცენტრისა“ და გამომცემლობა „არტანუჯის“ მიერ დაგეგმილია მასშტაბური პროექტი, რომელიც ჩაფიქრებულია, როგორც საქართველოს მეორე რესპუბლიკის ყოველდღიური მატიანე, კერძოდ, 1990 წლის 14 ნოემბრიდან 1992 წლის 6 იანვრის ჩათვლით მომხდარი მნიშვნელოვანი პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული მოვლენების დეტალური მიმოხილვა. დასახელებული წიგნით იწყება აღნიშნული პროექტის განხორციელება. მასში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა შემდეგ საკითხებს: სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისკენ გარდამავალი პერიოდის მიმდინარეობა საქართველოში; ეროვნული ხელისუფლების წინაშე მდგარი გამოწვევები; ქართული საზოგადოება 1990-1992 წლებში; საბჭოთა კავშირში მიმდინარე მოვლენები; დასავლური სამყარო და მისი დამოკიდებულება საქართველოში არსებული; სოციალურ-ეკონომიკური ძრები დამოუკიდებული საქართველოს პირველ წლებში; ავტონომიურ რეგიონებში მიმდინარე მოვლენები და ა. შ.

### **ავთანდილ სონლულაშვილი, ქეთევან ჯინჭარაძე, ვახტანგ სონლულაშვილი, სახალხო დიპლომატია და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიები, თბ., 2020**

ნაშრომში, მდიდარი სამეცნიერო ლიტერატურისა და რესპონდენტთა ინფორმაციის ანალიზის გათვალისწინებით შესწავლილია საქართველოს ძალისხმევა სახალხო დიპლომატიკის მეშვეობით ოკუ-

პირებული ტერიტორიების მოსახლეობას-თან ურთიერთობების აღსადგენად. წარმოჩენილია სახალხო დიპლომატიის როლი და ადგილი საერთაშორისო ურთიერთობებში, განხილულია საზოგადოებრივი აზრის დამოკიდებულება ამ ფენომენისადმი. აქვე, ნაჩვენებია ის ხელისშემსრულები ფაქტორები, რომელიც აძრკოლებს ქართულ-აფხაზურ და ქართულ-ოსურ უშუალო კონტაქტებს. ნაშრომი განკუთვნილია სპეციალურებისა და მეითხველთა ფართო საზოგადოებისათვის.

### **ხასო ხანგოშვილი, ქისტები, თბ., 2020**

პანკისის ხეობა შიგნით კახეთში, ჩრდილო მხარეს, მაღალსა და ტყიან მთებს შუა მოთავსებული. აი, ამ ხეობაში ცხოვრობენ ქისტები, ძველად რომ ჩამოსახლდნენ საქართველოში და მეორე სამშობლოდ მიიღეს. წიგნი ბევრ საინტერესო ამბავს მოგითხობთ ქისტების ადათ-წესებზე, ძმადნაფიცობაზე, დამძობაზე, სტუმარმასპინძლობასა თუ სისხლის აღებაზე; როგორ იბრძოდნენ დამპყრობელი რუსეთის წინააღმდეგ, ვინ იყვნენ პანკისის პირველი მოსახლეები, რა ურთიერთობა ჰქონდათ ვაუა-ფშაველასა და ქაქუცა ჩილოყაშვილთან. შეიტყობოთ მათ ომებსა და თარეშებზე, მიუვალ, სალ კლდებზე აშენებულ საბრძოლო კოშკებზე, იარაღის სიყვარულზე, ბავშვობიდან რომ მოსდგამდათ ვაჟებს.

### **ფრენის ფუკუიამა, პოლიტიკური წესრიგის წარმოშობა, თბ., 2019**

წიგნში განხილულია დემოკრატიის სამი ძირითადი საყრდენი – სახელმწიფო, კანონის უზენაესობა და პოლიტიკური ანგარიშვალდებულება. სწორედ მათი წარმოშობისა და მოდერნულ ეპოქამდე ევოლუციის შესახებ მოგვითხობს წიგნი. ნაშრომის არს ლაკონურად გამოხატავს გარეკანზე გამოტანილი დომინიკ ლოურენსის სიტყვები: „ეს წიგნი უნდა წაიკითხოს ყველა დემოკრატმა და ყველა

დიქტატორმა“. წიგნი თანაბრად საინტერესოა როგორც პოლიტოლოგების, ისე მეითხველთა ფართო საზოგადოებისათვის. წიგნის თარგმნაზე მუშაობდნენ: დ. აფრასიძე; გ. გვალია; ბ. ლებანიძე; ა. მიქაელიძე; გ. ნოდია; თ. ქუმსიშვილი.

### **ანელიზა დოდისი, შედარებითი საჯარო პოლიტიკა (მთარგმნელები: სალომე დუნ-დუა და ზვიად აბაშიძე, თბ., 2020)**

მოცემული წიგნის მიზანია, მეითხველს შესთავაზოს შედარებითი საჯარო პოლიტიკის შესავალი. ნაშრომში თავმოყრილია ინფორმაცია სხვადასხვა ქვეყნის საჯარო პოლიტიკის შესა-ხებ და ახსნილია ის თეორიული ჩარჩოები, რომლებიც გამოიყენება სხვადასხვა ტიპის საჯარო პოლიტიკის გასაანალიზებლად. წიგნში, პოლიტიკის ძირითადი სექტორების განხილვის მა-გალითზე, შემოთავაზებულია სახელმწიფოთაშორისი პოლიტიკის ბუნებისა და განსხვავებების დეტალური მიმოხილვა. მოცემული ვარიაციები გაანალიზებულია მთავრობის მიერ ფინანსური რესურსების გამოყენების, სხვადასხვა ორგანიზაციის ძალაუფლების, ინფორმაციის ფლობისა და ხელისუფლების შტოების ერთმანეთისგან განცალკევების ჭრილში.

### **ბერტა ფონ ზუტნერი, ქართველებთან და საქართველოში, გერმანულიდან თარგმნა ნოდარ კაკაბაძემ, თბ., 2020**

ამ წიგნით მეითხველი ეცნობა ნობელის პრემიის პირველ ლაურეატი ქალის (1905), ანტისემიტიზმის წინააღმდეგ და ქალთა უფლებებისთვის ცნობილი მებრძოლის ბერტა ფონ ზუტნერის მოგონებებს საქართველოზე, რომელიც ერთი შეხედვით შემთხვევითობამ, მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში, საქმაოდ ხანგრძლივი დროით, ცხრა წლით, დააკავშირა საქართველოს, რამაც შემდგომ განსაზღვრა კიდევც მისი ცხოვრების გზა. ზუგდიდში, ქუთაისსა და თბილისში

გატარებულმა წლებმა (1876-1885), ავტორის აღიარებით, ის ჩამოაყალიბა მწერლად და პუბლიცისტად. ბერტა ფონ ზუტნერის მოგონებები, სადაც საქართველოში მისი ცხოვრების პერიოდია აღნერილი, სანტერესო მასალას გვაწვდის იმდროინდელი ქართველი საზოგადოების ყოფისა და კულტურის შესახებ.

### **როსტომ ჩხეიძე, 125 ამბავი პავლე ინგოროვაზე, თბ., 2019**

წიგნი ეძღვნება პავლე ინგოროვა იმ ჩხეიულ პიროვნებათა შორის იგულისხმება, რომელთა ბიოგრაფიაც უშუალოდ გადაჯაჭვულია ქვეყნის ცხოვრებას, მის ისტორიულ მდინარებაში მომხდარ უმნიშვნელოვანეს საზოგადოებრივ-კულტურულ მოვლენებს. იშვიათია ასეთი მდელვარე, ასეთი დრამატიზმით აღსავს ბიოგრაფია მეცნიერისა და მწერლისა. და ეს იშვიათობა ძალაუტანებლად აირევლება აქაც – პატარ-პატარა ამბებად დალაგებულ კომპოზიციურ ქარგაში. პავლე ინგოროვას დაბადებიდან ახლახან 125 წელი გავიდა. წიგნიც, ამ თარიღის აღსანიშნავად, სწორედ 125 ამბავია წარმოდგენილი.

### **უცხოეთში გადაწერილი ქართული ხელნაწერები საქართველოს სიძველეთ-საცავებში (მეორე გამოცემა), შემდგენლები: ვ. კეკელია, ნ. მიროტაძე, თ. ოთხმეზური, დ. ჩიტუნაშვილი, თბ., 2020**

ქართველთა უცხოეთში მოღვაწეობის კვლევისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყარო მათ მიერ შექმნილი შეა საუკუნეების ქართული ხელნაწერი მემკვიდრეობაა, რომლის ძირითადი ნაწილი დღეს იმ მონასტერთა ბიბლიოთეკებია დაცული, რომლებშიც ის იქმნებოდა, კერძოდ, ათონზე – ივირონის მონასტერში, სინაზე – წმ. ეკატერინეს მონასტერში. ქრისტიანულ აღმოსავლეთსა და ბიზანტიაში გადაწერილი ქართული ხელნაწერების ერთი ნაწილი

დღეს საქართველოში, კერძოდ, თბილისში, საქართველოს კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრში, ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში, ასევე, ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმსა და მესტიაში, სვანეთის მუზეუმშია წარმოდგენილი. დასახელებული წიგნი სწორედ ამ ხელნაწერების ორენოვანი – ქართულ-ინგლისური (ინგლისურად თარგმნა მ. ოდიშელმა, გაარედაქტირა მ. ვიკერსმა) ილუსტრირებული კატალოგია.

### **იური პიატნიცევი, წერილები ქართულ სიძველეებზე, თბ., 2020**

წიგნში თავმოყრილია პეტერბურგელი მეცნიერის, სახელმწიფო ერმიტაჟის ხატებისა და ბიზანტიური კოლექციის მცველის, იური პიატნიცევის ქართულ ენაზე თარგმნილი ნარკვევები, რომლებიც ეძღვნება ერმიტაჟში დაცული ქართული საგანძუროს ერთი ნაწილის, მათ შორის ვარძის თოხთავის ყდის მოჭედილობისა და ტიხორულ მინანქრების შესწავლას. (ქართულ ენაზე წიგნი თარგმნა ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორმა ლეილა ხუსკივაძემ).

საქმის ღრმა ცოდნით დაწერილ ამ ნარკვევებს ინტერესით მიიღებს ქართული ხელოვნების ისტორიის მკვლევარები და მკითხველთა ფართო აუდიტორია.

### **ლია კიკაძე, ალექსანდრე ჭავჭავაძის შთამომავლობა (მეორე გამოცემა), თბ., 2020**

მონოგრაფია ეძღვნება გამოჩენილი პოეტის ალექსანდრე ჭავჭავაძის შთამომავლთა ცხოვრებას. წიგნი უხვად არის ილუსტრირებული, ერთვის გენეალოგიური ტაბულები. განკუთვნილია მკითხველთა ფართო საზოგადოებისთვის, ყველასთვის, ვინც დანტერესებულია ქართული ლიტერატურით, ზოგადად, კულტურით და გენეალოგით.

**ახალი „ქართლის ცხოვრება“, ვახტანგის იული რედაქცია, ტომი III, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გონიერი არახამიამ, რედ. რ. მეტრეველი, თბ., 2020**

ამ წიგნის გამქეყნებით დასრულდა ახალი „ქართლის ცხოვრების“ ვახტანგის იული რედაქციის სამტომეულის გამოცემა (I ტომი – 2017 წ., II ტომი – 2019 წ.). მესამე ტომი ეთმობა ვახტანგის იული რედაქციის ბოლო ნაწილს, სადაც გადმოცემულია XIV-XVII საუკუნეების საქართველოს ისტორია, აგრეთვე, მის გადაკეთებულ ვერსიას, რომელიც გვიანდელი ხანის ავტორს ეკუთვნის.

### **დოკუმენტური წყაროები XVII ს. I ნახევრის ქართლისა და კახეთის მეფეების შესახებ, I, თბ., 2019.**

წიგნში თავმოყრილია სიგელები, ეპიგრაფიკული ძეგლები, ხელნაწერთა კოლოფონები, რომლებიც ამა თუ იმ ფორმით დაკავშირებულია XVII ს. I ნახევრის ქართლისა და კახეთის მეფეების – გიორგი X-ის, ლუარსაბ II-ის, ბაგრატ VII-ის, სვიმონ II-ის, თეიმურაზ I-ის მოღვაწეობასთან. მასალების კომპლექსურობა, ქრონოლოგიური პრინციპით დაჯგუფება და კომენტირება მნიშვნელოვნად უწყობს ხელს აღნიშნული პერიოდის ქართლისა და კახეთის სამეფოების სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური ისტორიის, სამოხელეო წყობილების გაღრმავებულ კვლევას.

წიგნი მომზადებულია შემოქმედებითი ჯგუფის მიერ. სიგელები დამუშავეს და გამოსაცემად მოამზადეს მ. შაორშაძემ და ო. გელაშვილმა, კომენტარები დაურთეს მ. სურგულაძე და თ. ქართველიშვილმა, ეპიგრაფიკული ძეგლები – თ. გოგოლაძემ, ხელნაწერთა მინაწერები – თ. ჯოჯუამ, გამოკვლევა დაურთო თ. ქართველიშვილმა, რედაქტორია მ. სურგულაძე.

**შალვა ამირანაშვილი, ნარკვევები ქართული ხელოვნების ისტორიიდან, თბ., 2019**

წიგნში გაერთიანებული ნარკვევები ქრონოლოგიური პრინციპითაა დალაგებული, რაც ნათლად ნარმოაჩენს მკვლევრის მიერ განვლილ გზას, რომელიც მოიცავს დაახლოებით ხუთ ათწლეულს. ამასთან ასახავს მის მრავალმხრივ ინტერესებს, მახვილ ხედვას და საკვლევი პრობლემისადმი მრავლისმომცველ მიდგომას. კრებულში შესულია როგორც მკვლევრის მიერ სხვადასხვა წლებში გამოქვეყნებული სტატიები, ისე მისი მოღვაწეობის ადრეულ წლებში შექმნილი ნარკვევები, რომლებიც გამოუცემელი დარჩია და ამჟამად ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, შალვა ამირანაშვილის პირად არქივშია დაცული.

კრებული გამოიცა მეცნიერის დაბადების 120-ე წლისთავთან დაკავშირებით.

**მარიამ გაბაშვილი, ლითონმქანდაკებლობის ისტორიისათვის წინაქრისტიანულ საქართველოში (ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცული საგანძურის კვალდაკვალ), თბ., 2019**

წიგნი-აღმომი ნარმოადგენს ქართულ-ინგლისურნოვან გამოცემას, სადაც ერთადაა თავმოყრილი რაჭაში აღმოჩენილი ლითონმქანდაკებლობის ნიმუშები, დაცული ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. არტეფაქტები შერჩეულია მხატვრული ნიშნით და გაანალიზებულია სახელოვნებათმცოდნეობრიობი. გათვალისწინებულია მათი ისტორიულ-სემანტიკური კონტექსტიც. წიგნის შესავალში მიმოხილულია რაჭის მუზეუმის შექმნის ისტორია, მასში დაცული კოლექციები და ხაზგასმულად ლითონმქანდაკებლობის ნივთები. რაჭის ტერიტორიაზე ნინაქრისტიანული ხანის სამთამადნო და მეტალურგიულ საქმიანობას დათმობილი აქვს ცალკე

თავი. წიგნს ტაბულების სახით ერთგის საილუსტრაციო მასალა.

### **საქართველოს ქალაქების ურბანული განვითარება 1801-1918 წლებში თბ., 2019**

წიგნში წარმოდგენილია დავით ხემტარიას, მანონ ლილუაშვილის, ნათია ნაცვლიშვილისა და გიორგი ჭანიშვილის ნარკვევები, რომლებიც ეხება საქართველოს ხუთი ძრითადი ქალაქისა (თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, ფოთი, ახალციხე) და ორი საკურორტო ქალაქის (ბორჯომი, აბასთუმანი) ურბანული გეგმარებისა და არქიტექტურული სახის ევოლუციას 1801-1918 წლებში. ქალაქშენებლობის ისტორიის საკითხები განხილულია ფართო პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ კონტექსტში.

### **ანისი გზაჯვარედინზე, თბ., 2019**

კრებულში შეტანილია სტატიები, სადაც განხილულია მრავალი კულტურის მომცველი გარემო, რითაც აღმოსავლეთ-დასავლეთის გასაყარზე მდებარე ისტორიული ქალაქი ანისი ხასიათდებოდა. წარმოჩენილია ანისის მულტიკულტურული გარემოს ჩამოყალიბების სურათის ცალკეული ასპექტები (სომხური, ბიზანტიური, ქართული და სელჩუკური კულტურულ-პოლიტიკური ელემენტები), ქალაქისა და მისი რეგიონის პოლიტიკური, კულტურული, ეკონომიკური და ეთნო-კონფესიური ვითარების სხვადასხვა მხარეები. სტატიების ავტორები არიან აღნიშნული რეგიონითა და თემატიკით დაინტერესებული

მევლევარები როგორც საქართველოს, ისე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის სამეცნიერო და სასწავლო ცენტრებიდან. კრებული მომზადდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნების ისტორიის და თეორიის ინსტიტუტის მიერ.

**მასალები ანისის წმ. გრიგოლის ეკლესიის მოხატულობის შესწავლისთვის, თბ., 2019**

წიგნში წარმოდგენილია ცნობილი ხელოვნებათმცოდნის და რესტავრატორის, ნიკოლაი სიჩოვის მიერ 1911 წელს ანისში განხორციელებული სამუშაოს დღიური (თანდართული გრაფიკული ჩანახატებით და ქართული ფრესკული წარწერების მონახაზებით), აგრეთვე, 1912 წ. მის მიერ ნაკითხული მოხსენება. ეს მასალები ინახება სანკტ-პეტერბურგის მატერიალური კულტურის ინსტიტუტის სამეცნიერო არქივში. 6. სიჩოვის დღიურში დეტალურადაა აღწერილი და დახასიათებული ანისის წმ. გრიგოლის ეკლესიის და კარიბჭის ფრესკები, რომლებიც, ავტორის დასკვნით, ქართველი ოსტატების მიერ უნდა იყოს შექმნილი XIII საუკუნის პირველი ნახევარში. ესაა ამ მოხატულობების ფიქსაციის და დახასიათების პირველი ცდა, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს კავკასიის ქრისტიანული ხელოვნების შესწავლისთვის.

პუბლიკაცია მომზადდა ივანე ჯავახიშვილი სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ინსტიტუტისა და სანკტ-პოტეტერბურგის მატერიალური კულტურის ისტორიის ინსტიტუტის თანამშრომლობით.

## განახლებული მეგზური ავტორთათვის

უურნალში წარმოდგენილი სტატია შეიძლება იყოს ისტორიის, წყაროთ-მცოდნეობის, ისტორიოგრაფიის, ისტორიული გეოგრაფიის, არქეოლოგიის, ეთნო-ლოგიისა და ხელოვნების ისტორიის დარგებში შესრულებული ორიგინალური გამოკვლევა.

კვლევითი სტატიების გარდა უურნალში მიიღება რეცენზიები, სამეცნიერო ცხოვრების სხვადასხვა ფაქტის (სამეცნიერო ფორუმის, წიგნის პრეზენტაციის და ა.შ.) ამსახველი ინფორმაციები, სამეცნიერო პოლემიკის მასალები, დარგის სპეციალისტების შესახებ მოვლენები, მილოცვები, წეროლოგები, დარგის წამყვან სპეციალისტებთან ინტერვიუების ჩანაწერები, სხვადასხვა სამეცნიერო პრობლემაზე მოკლე კომენტარები.

უურნალში სტატიის გამოქვეყნება უფასოა. უფასოდ მიიღებენ ავტორები უურნალის ერთ ბეჭდურ ცალს. უურნალის ელ-ვერსია მუდმივად ხელმისაწვდომი იქნება უურნალის ვებგვერდზე.

კორექტურული შეცდომების შემცველი და სტატიის გაფორმების წესების იგნორირებით შესრულებული ნაშრომები შინაარსობრივი განხილვის გარეშე დაუბრუნდებათ ავტორებს შესწორებებისათვის.

საბოლოო გადაწყვეტილებას სტატიის გამოქვეყნების თაობაზე იღებს მთავარი რედაქტორი სამეცნიერო ექსპერტების რეცენზიების გათვალისწინების საფუძველზე.

სტატია როგორც word ისე pdf ფორმატში რეზიუმებისა და საილუსტრაციო მასალების თანხლებით უნდა გადაიგზავნოს მისამართზე:

goneli.araxamia@gmail.com

### სტატიის ენა.

სტატია შეიძლება წარმოდგენილ იქნეს ქართულ ან ინგლისურ ენებზე, აგრეთვე, რუსულ, ფრანგულ, გერმანულ, იტალიურ ენებზე.

### სტატიის სტრუქტურა.

კვლევითი სტატია უნდა შედგებოდეს შემდეგი ნაწილებისაგან: სათაური, ავტორის სახელი და გვარი, აბსტრაქტი, ძირითადი ტექსტი, შენიშვნები (თუკი არის), დამოწმებული წყაროებისა და ლიტერატურის სია („დამოწმებანი“).

### სტატიის სათაური.

გამუქებული, ცენტრში, ფონტის ზომა 14.

ავტორის სახელი და გვარი,

სამეცნიერო ხარისხი, აკადემიური თანამდებობა, სამუშაო ადგილი, მეილი, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი

გამუქებული, მარჯვენა კიდეში სათაურის ქვემოთ, ფონტის ზომა 12.

### ძირითადი ტექსტი.

ფონტის ზომა 11, მანძილი სტრიქონებს შორის 1.15. ძირითად ტექსტი ევესათაურები – ფონტის ზომა 11, გამუქებული.

შენიშვნები უნდა განთავსდეს ძირითადი ტექსტის ბოლოს (სათაურით „შენიშვნები“).  
გამუქებული, ფონტის ზომა 12.

## **შენიშვნები (ტექსტი).**

ფონტის ზომა 10, მანძილი სტრიქონებს შორის 1. შენიშვნების ნუმერაცია უნდა გაკეთდეს ხელით და არა არსებული სპეციალური პროგრამის საშუალებით. შენიშვნები არ უნდა იქნეს გამოყენებული ლიტერატურის დამოწმებისათვის, არამედ მხოლოდ დამატებითი ინფორმაციის მისაწოდებლად.

**სექცია (დამოწმებული წყაროებისა და ლიტერატურის სია) სათაურით „დამოწმებანი“ გამუქებული, ფონტის ზომა 12,**

## **დამოწმებანი (ტექსტი).**

ფონტის ზომა 10, ინტერვალი 1. უცხოელი ავტორების გვარები უნდა გადმოღებულ იქნეს ქართულად და ლიტერატურა უნდა დალაგდეს ქართულ ანბანურ რიგზე.

## **ფონტი.**

სილფაენ (Sylfaen) ყველა ენისათვის.

## **ციტირება.**

ერთი ან ორი სტრიქონის მოცულობის ამონარიდი (პირდაპირი ციტირების შემთხვევაში) ტექსტისაგან გამოიყოფა ორი ბრჭყალით. ორ სტრიქონზე მეტი მოცულობის ამონარიდი ზემოდანაც და ქვემოდანაც უნდა გამოიყოს ძირითადი ტექსტისაგან. ციტატის ტექსტი უნდა შეინიოს აბზაცის დონეზე, ფონტის ზომა უნდა იყოს 10, სტრიქონებს შორის ინტერვალი 1.

ციტირებისას სტატიის ავტორის მიერ გამოტოვებული ადგილების ნაცვლად უნდა დაინეროს სამი წერტილი და ჩაისვას ათხვეთხედ ფრჩხილებში [...]. ციტატაში ავტორისეული ცვილებების შესახებ შენიშვნები თავსდება ფრჩხილებში. ქართულენოვან სტატიაში უცხოენოვანი წყაროდან ციტირების შემთხვევაში აუცილებელია ქართული თარგმანის წარმოდგენა. იმ შემთხვევაში თუ ავტორი ციტირებისას აკეთებს გამოტოვებებს და ციტატა მოიცავს რამდენიმე გვერდს ციტატაში გამოტოვების ადგილების სათანადო აღნიშვნასთან ერთად დამოწმებაში უნდა მიეთითოს საწყისი და საბოლოო გვერდები.

## **სასვენი ნიშნები.**

აუცილებელია ტირესა და დეფისის განსხვავება. დეფისი არის პატარა ხაზი, რომელიც უნდა გამოყენებულ იქნეს კომპიუტერისათვის. რაც შეეხება ტირეს – ესაა დიდი ხაზი, რომელიც უნდა გამოვიყენოთ სიტყვებს შორის. სასვენი ნიშანი ინერება ბრჭყალების შემდგომ, ხოლო შენიშვნის მაჩვენებელი ინდექსი ინერება სასვენი ნიშნის შემდგომ.

## **მოცულობა.**

სტატიის მოცულობა შენიშვნების, დამოწმებანის, დანართებისა და აბსტრაქტის ჩათვლით არ უნდა აღემატებოდეს A4 ფორმატის 20 გვერდს. საინფორმაციო წერილების მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს იმავე ფორმატის 12 გვერდს. მოცულობის გადაჭარბება ითვლება ტექნიკურ ხარვეზად და ამგვარი სტატიის შინაარსობრივი განხილვის გარეშე დაუბრუნდებათ ავტორებს რედაქტირებისათვის.

## აპსტრაქტი

როგორც ქართულენოვან, ისე უცხოურენოვან სტატიას უნდა წინ უნდა უძლოდეს აპსტრაქტი ქართულად, ინგლისურად და რუსულად

აპსტრაქტი არ უნდა იყოს A4 ფორმატის 1 გვერდზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს იმავე ზომის 1.5 გვერდს. აპსტრაქტი უნდა უძლოდეს ნებისმიერ ტექსტს უკრნალის რომელი სექციისათვისაც არ უნდა იყოს იგი გამიზნული. კვლევითი სტატიის აპსტრაქტი უნდა პასუხობდეს შემდეგ ოთხ კითხვას: რა არის საკლევეო პრობლემის არის?; როგორია მისი შესწავლის მდგომარეობა?; როგორია ავტორის დასკვნა? რა არგუმენტები მოჰყავს მას თავისი თვალსაზრისის დასამტკიცებლად? ინფორმაციული, მიმოხილვითი და ა.შ. სტატიის აპსტრაქტისათვის სავალდებულო არაა ამგვარი მოთხოვნების მკაფიო დაცვა. ამ შემთხვევაში მოკლედ აღნიშნული უნდა იყოს, თუ რას შეეხება პუბლიკაცია.

## ლიტერატურის მითითების წესი.

სექციაში „დამოწმებანი“ ტექსტში მითითებული ლიტერატურა უნდა დალაგდეს ანბანური რიგის მიხედვით (უცხოელი ავტორის ან უცხო ენაზე გამოქვეყნებული ნაშრომის ავტორი ტექსტშიც და ლიტერატურის ჩამონათვალში უნდა მიეთითოს ქართულად). ფონტის ზომა 10, სტრიქონებს შორის ინტერვალი 1.

დამოწმებული ლიტერატურის ბიბლიოგრაფიულ აღწერილობაში, სასურველია, ავტორებმა მიუთითოთ არა მარტივი გამოცემის ადგილი, არამედ გამომცემლობაც. ამავე დროს წერტილები და მძიმეები დასვან ქვემოთ მოცემული კონკრეტული მაგალითების მიხედვით.

## ლიტერატურის დამოწმების კონკრეტული მაგალითები

### ა) დამოწმება სტატიის ტექსტში და სტატიის ბოლოში

სტატიის შიგნით – ერთი ავტორის ნაშრომი:

(დადიანი, 2009, გვ. 5).

სტატიის ბოლოში, სექციაში „დამოწმებანი“ ერთი ავტორის ნაშრომი:

დადიანი, გ. (2009). საქართველო არქაულ ხანაში, თბილისი, უნივერსალი.

სტატიის შიგნით – ორი ავტორის ნაშრომი:

(დადიანი, მაყაშვილი. 2011, გვ. 10)

სტატიის ბოლოში, სექციაში „დამოწმებანი“

დადიანი, გ., მაყაშვილი, ბ. (2011). საქართველო ანტიკურ ხანაში, ტ. 1, თბილისი, უნივერსალი.

სტატიის შიგნით – სამი ან მეტი ავტორის ნაშრომი:

(დადიანი და სხვები, 2011, გვ. 10)

სტატიის ბოლოში, სექციაში „დამოწმებანი“

დადიანი და სხვები, (2011). დადიანი, გ., მაყაშვილი, ბ., მიქელაძე, დ. საქართველო ანტიკურ ხანაში, ტ. 1, თბილისი, უნივერსალი.

### ბ) ერთი და იმავე ავტორის ერთი და იმავე წელს გამოცემული ნაშრომების

დამოწმება სტატიის ტექსტში და სტატიის ბოლოში

სტატიის შიგნით:

(დადიანი, 2009ა, გვ. 5).  
(დადიანი, 2009ბ, გვ. 15).

სტატიის ბოლოში, სექციაში „დამოწმებანი“:

დადიანი, გ. (2009ა). საქართველო არქაულ ხანში, თბილისი, უნივერსალი.  
დადიანი, გ. (2009ბ). საქართველოს პოლიტიკური ისტორია არქაულ ხანში, თბილისი,  
უნივერსალი.

გ) დისერტაციის დამოწმება, კრებულის ან უურნალის სტატიის დამოწმება:

დამოწმება ტექსტი:

(თარგამაძე, 2019, გ. 67).

სტატიის ბოლოში, სექციაში „დამოწმებანი“:

თარგამაძე, გ., (2019). ქართველთა თვითცნობიერება: ისტორიული ასპექტები (XVIII  
საუკუნე), სადოქტორო დისერტაცია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი.  
დამოწმება ტექსტი:

(დადიანი, 2002, გვ.50)

სტატიის ბოლოში, სექციაში „დამოწმებანი“:

დადიანი, გ., (2002). ხევისუფლის ინტიტუტი ძველ საქართველოში, მაცნე. ისტორიის,  
არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, № 2, თბილისი.

თუ დისერტაციას ვიმოწმებთ, მაშინ კურსივით ვტექსტავთ მის სათაურს; თუ  
კრებულში ან უურნალში გამოქვეყნებულ სტატიას ვიმოწმებთ, კურსივით ვტექსტავთ  
კრებულის ან უურნალის სახელწოდებას. შესაბამისად, აღარაა საჭირო მითითება  
„უურნ.“, ან „კრ“.

ამასთან როდესაც ერთი და იმავე ადგილას ვიმოწმებთ რამდენიმე ავტორს,  
ტექსტში თითოეული დამოწმება ფრჩხილებით უნდა გამოიყოს ერთმანეთისაგან:  
დამოწმება ტექსტი: (დადიანი, 2008, გვ.135); (მაყაშვილი, 2015, გვ. 20).

ე) გამოქვეყნებული წყაროს მითითების წესი:

გამოქვეყნებული წყაროს დამოწმების შემთხვევაში ტექსტი უნდა მიეთითოს  
გამომცემლის ან რედაქტორის (და არა ავტორის) გვარი; არ უნდა მიეთითოს თხზულების  
სათაურიც:

სტატიის შიგნით: (ყაუხჩიშვილი, 1955, გვ. 40) (და არა „ქართლის ცხოვრება“ ან  
ლეონტი მროველი)

სტატიის ბოლოში, სექციაში „დამოწმებანი“:

ყაუხჩიშვილი, ს., (1955) ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი  
ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტომი I, თბილისი, სახელგამი.

ვ) საარქივო მასალის დამოწმება:

სტატიის შიგნით:

(S-200, გვ. 10)

სტატიის ბოლოში, სექციაში „დამოწმებანი“:

S-200. კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული

ცენტრი. ქართველთა შორის წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების კოლექცია

**8) საინტერნეტო ჰუბლიკაციის დამოწმება:**

საინტერნეტო ჰუბლიკაციის შემთხვევაში მოქმედებს დამოწმებისა და ციტირების ზემოთ აღნერილი წესები: თუ ვიმოწმებთ ელ-გამოცემას, აუცილებელია, ლიტერატურის ჩამონათვალში ეს აღნიშნული იყოს; ამასთან უნდა მიეთითოს ვებ-გვერდის მისამართი, ასევე დამოწმების ბოლოს ფრჩხილებში უნდა დაფიქსირდეს ჰუბლიკაციის ნახვის თარიღი.

სტატიის შიგნით:

(სმელბური, გვ. 10)

სტატიის ბოლოში, სექციაში „დამოწმებანი“:

სმელბური ნეილ. კულტურა და საზოგადოება. [http://socium.ge/downloads\\_\(ნახვია\\_05/11/2019\).](http://socium.ge/downloads_(ნახვია_05/11/2019).)

იმ შემთხვევაში თუ ინტერნეტ ჰუბლიკაციაში არ არის მითითებული ავტორი და თარიღი, მაშინ დამოწმებაში უნდა მიეთითოს ნაშრომის სათაური, ელექტრონული მისამართი და ელექტრონულად გამოქვეყნების თარიღი.

**თ) საილუსტრაციო მასალის გამოყენების წესი:**

ურნალში ილუსტრაციები (ფოტო, გრაფიკული გამოსახულება და სხვ.) დაიბეჭდება შავთეთრად. ავტორმა მასალა უნდა წარმოადგინოს ელექტრონული სახით. ილუსტრაციას უნდა ახლდეს განმარტება. ამასთან სტატიის ავტორი ვალდებულია თავად მოიპოვოს მასალის გამოყენების უფლება.

**ი) ნაშრომის დამოწმება სხვა ავტორის ნაშრომის მეშვეობით:**

იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე ავტორს ვამოწმებთ სხვა ავტორის მიხედვით, დამოწმებაში ჩვეულებრივ უნდა წარმოდგენილ იქნეს სრული ბიბლიოგრაფიული აღნერილობა და ამის დამატებით უნდა მიეთითოს იმნაშრომის სრული ბიბლიოგრაფიული აღნერილობა, საიდანაც ვსარგებლობთ დამოწმებისათვის.



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სტამბა  
თბილისი – 2020  
რუსთაველის გამზ. 52

Georgian National Academy Press  
Tbilisi – 2020  
52, Rustaveli Ave.